ნოდარ გრიგალაშვილი

თანამდევი სული

(ილია და მისი ეპოქა)

2 წიგნად

ტომი
I

„თანამდევი სულის“ პირველივე თავების ბეჭდვა შემთხვევით არ აუკრძალავთ კომუნისტებს.

მათ რომ „თანამდევი სულის“ უკანასკნელი თავები იმ დროში წაეკითხათ, ამ ორტომეულს ალბათ დაწვავდნენ.

ავტორი დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით აღადგენს რეალურ სურათს ილიასა და მისი ეპოქის შესახებ, მაგრამ ეს წიგნი არ არის მხოლოდ წარსულზე...

„თანამდევი სულის“ კითხვისას ბევრი სიახლე და მოულოდნელობა ელის მკითხველს.

თუნდაც ილიას მკვლელობის დღემდე სრულიად უცნობი დოკუმენტების აღმოჩენა რად ღირს.

ამ წიგნით ძირითადად ისარგებლებენ სტუდენტები, პედაგოგები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, თუმცა ავტორს თხრობის ისეთი ფორმა აქვს შერჩეული, რომ მას სიამოვნებით წაიკითხავს მკითხველთა ფართო საზოგადოებაც.

თავი პირველი

ილიას წუთისოფელი

1837-1907



ნაცვლად პროლოგისა

„მაშა რაისათვის ვცოცხალვართ?“

ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი.

ჩვენი ხმა და სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა.

მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან. ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?

რაისათვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?!

ნუ უკვე ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მაშა, რაისათვის ვცოცხალვართ?

სოლომონ დოდაშვილი

„ბალლამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა“.

ილია ჭავჭავაძე

„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასთვის არ ჰფიქრობს და ყველა – თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი“.

ილია ჭავჭავაძე

ზეცამ ადამიანს საკუთარი ხვედრის შესამსუბუქებლად ორი რამ მისცა – ძილი და იმედიო. ვოლტერის ეს აზრი ზუსტად მიესადაგება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველთა მდგომარეობას.

საკუთარი ხვედრის შესამსუბუქებლად ჩვენს ხალხს ძილისათვის მიუცია თავი. ბანგითა და უძლურებით გაყუჩებულა. ათასწლეულებში ნაგვემი ბობოქარი ქართული სული ბედს შერიგებია, მინდობია და ხვედრი ცაში გადაწყვეტილი განაჩენივით მორჩილად მიუღია. თვლემდა საქართველოს სატახტო, ოდესღაც ქრისტიანული სამყაროს ერთი მესვეურთაგანი. თვლემდა დაქანცული ეროვნული ენერგია და ეს თითქოს ბუნებრივიც ჩანდა, რადგან „მეთვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტის პირველი წლების წეწვაგლეჯამ საქართველოს ერი მოჰლალა, ქანცი გაუტეხა, თავის-თავის იმედიც კი დააკარგვინა და, რასაკვირველია, როცა შემთხვევა მოეცა, ერმა თითქო თავი მოსვენებას მისცა და თითქმის ხმაამოუღებლად დაემორჩილა ახლადმოვლენილ სვე-ბედსა... თვითეული ცალკე კაცი და მთელი საზოგადოება საერთოდ, თავბრუდასხმულივით გარინდებულია და საქვეყნოდ არც ხალისი, ძალ-ღონე არ გამოუჩენია – არც უკან მიხედვისათვის, არც წინ გახედვისათვის, თითქოს დიდი ჯანღი მიხვევიათ და ელიან, აცა ჩამოიყაროსო, ან

თავზარი დაეცათ და გამოურკვეველ ელდას შემოუკრავსო". ეს იყო დრო დაქანცულობის, „ჩვენი გონებრივი და ეროვნული მიმ-ძინარებისა" (ილია).

იმდროინდელი დაწინაურებული სახელმწიფოების ფონზე ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებით სავალალოა.

საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში კულტურული ცხოვრება დუღს. არავინ ნატრობს სკოლას, უნივერსიტეტს, აკადემიას, გაზეთს, ჟურნალს, გამომცემლობას, თეატრს, ოპერას, ბიბლიოთეკას. XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოში კი გაუქმებულია თითქმის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

ქვეყანაში, რომელიც ერთ დროს თავს იწონებდა ფაზისის, იყალთოსა და გელათის აკადემიებით, არ არსებობს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, არ არსებობს არც ერთი ბიბლიოთეკა, არც გამომცემლობა არსებობს, არც თეატრი, არც ოპერა.

ქართული ჟურნალისა და გაზეთის გამოცემის საქმეც უდღეური აღმოჩნდა. 1819 წელს დაიბეჭდა პირველი ქართული გაზეთი, რომელსაც **„საქართველოს გაზეთი"** ეწოდა. მერე იფიქრეს, საქართველო აღარ არსებობს და „საქართველოს გაზეთი"-ს არსებობა ანაქრონიზმიაო, ამიტომ ჯერ სახელწოდება გამოუცვალეს გაზეთს, ორიოდე წლის შემდეგ კი სულაც დახურეს. მართალია, მასში მხოლოდ ოფიციალური ცნობები იბეჭდებოდა, მაგრამ ქართულ ენაზე გაზეთის არსებობა მაინც მნიშვნელოვანი იქნებოდა, მისი დღემოკლეობა რომ არა. ასევე მალე დახურეს სოლომონ დოდაშვილის მიერ გამოცემული გაზეთი და ჟურნალი, რის გამოც ქართული მწერლობა სალონებში გამოიკეტა. ალექსი პეტრიაშვილისა და იოანე ქართველიშვილის მიერ მონყობილმა სტამბამაც ვერ იარსება დიდხანს. როცა ფრანგი გამომცემელნი უკან დასდევენ ჰიუგოს, ბალზაკს, დიუმას და თხოვნით აწუხებენ, ნება მოგვეცით, თქვენი ტომეულები სწორედ ჩვენმა გამომცემლობამ დასტამბოსო, როცა ალექსანდრე დიუმა ხუთასი-ექვსასი ტომის გამოცემას ახერხებს და თანაც დიდი ჰონორარის მოთხოვნით, ასეთ დროს, ჩვენში, ნიკოლოზ ბარათაშვილს ორმოციოდე ლექსის გამოქვეყნება ვერ მოუხერხებია, იძულებულია ხელნაწერი კრებულები შეადგინოს, ან ნაცნობ-მეგობრებს კერძო წერილებში ჩანართების სახით უგზავნოს თავისი ღვთაებრივი ლექსები. ბარათაშვილზე დიდი პოეტიც რომ დაბადებულიყო იმ დროს საქართველოში, იმასაც უბით უნდა

ეტარებინა საკუთარი ნაწერები და მომავლისათვის შეევედრებინა თავისი იმედებიო, გულისტკივილით წერდა იონა მეუნარგია.

ევროპის ქვეყნების თეატრების ფონზე ერთობ უნუგეშო ჩანს ჩვენი თეატრალური ცხოვრებაც. წარმოდგენები იმართება ოჯახებში. თეატრალური ხასიათისაა გიმნაზიის საჯარო აქტები. ეს არის და ეს, რითაც დადასტურებულია XIX საუკუნის 40-იან წლებამდე ქართული „თეატრის" არსებობა.

პირველი ბიბლიოთეკაც მხოლოდ 40-იან წლებში გაიხსნა, (არადა, საქართველოში ერთ დროს წიგნსაცავები არსებობდა). საერთო სურათის წარმოსადგენად, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ ერთი ცნობა დიმიტრი ყიფიანის მოგონებებიდან: „აქ მექნება ლაპარაკი პირველ ბიბლიოთეკაზე, რომელიც ტფილისში მხოლოდ 40-იანი წლების დასაწყისში დაარსდა. – ეს, რასაკვირველია, ძალიან დაგვიანებულ მოვლენად ჩაითვლება, თუ გავიხსენებთ იმას, რომ ტფილისი ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან, საქართველოს სამეფოს სატახტო ქალაქი იყო, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისიდან მთელი ამიერ-კავკასიის მმართველობის უმთავრესი ქალაქია. მაგრამ ჩემს ხსოვნაში არანაკლებ კურიოზული ამბავი მომხდარა. ასე მაგალითად: მე მახსოვს ტფილისში პირველი ეტლის გამოსვლა ბირჟაზე, მეეტლე ცაკანას „დროშკებისა", რომელიც 20-იან წლებში რამდენიმე წლის განმავლობაში ბირჟის ერთადერთი მეეტლე იყო ამ ქალაქში. პირველი კალიასკა ტფილისის პირველი სამხედრო გუბერნატორისა, გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ მარტვიანის ძე სიპიაგინისა, ტფილისის ქუჩებში გამოჩნდა სპარსეთის ომის დროს 1826-1828 წლებში... ამ პირველი ეტლების გამოსვლამდე მისვლა-მოსვლა ტფილისში ჩვენი უშნო ურმებით ან ბედაური ცხენებით იყო. მაგრამ ასეთი საშუალება დიდად უხერხული იყო ავდარში, როდესაც მშვენიერ სქესს უნდა დაემშვენებინა ხოლმე მთავარმართებლის მიერ ძალიან იშვიათად გამართული საღამოები და ბალები. არაერთხელ მინახავს მე როგორ მოიყვანდნენ ხოლმე მანდილოსნებს ისე ორიგინალურად, როგორც შორეულ იაპონიაში იყო შემოღებული მისი განახლების წინა ხანებში მაინც. ქოლგის ქვეშ შეფარებულს ზორბა მუშის კისერზე დამჯდარს. ამის შემდეგ იმედი მაქვს გაზვიადებულად არავინ დაინახავს ჩემს ნათქვამს, რომ პირველი ბიბლიოთეკა თბილისში 40-იანი წლების დასაწყისში დაარსდა."

იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად სახელდებული ივერია კუდში მისდევდა. ერს ეძინა. ძილი კი „ხატი არს სიკვდილისა და უქმობა არს საცნობელთა".

აქა-იქ იმედის სხივიც კრთებოდა. თითო-ოროლა მამულიშვილი ერის გამოსაფხიზლებლად იღვწოდა. სოლომონ დოდაშვილი იყო პირველი ქართველი, რომელმაც 1828 წელს, კეთილშობილთა სასწავლებლის სადღესასწაულო წარმოდგენაზე წარმოთქმულ სიტყვაში, საჯაროდ განაცხადა მომავლის პროგრამა: ერის **„სასოებითა აღდგომად სწავლათა შინა და დადგომად არა თუ ოდენ ხარისხსა ზედა პირველსა ღირსებისა ჩვენისა, არამედ ყოფადმცა ოდესმე ხარისხსა ზედა ევროპელთა ერთასა".** ამ ნატვრის აღსრულებამდე მძიმე გზებით უნდა ევლო ერს. სოლომონ დოდაშვილის სიცოცხლის წლები ხანმოკლე აღმოჩნდა. პატივაყრილი, სამშობლოდან გადასახლებული 32 წლის სოლომონი, შორეულ ჩრდილოეთში სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. 1836 წელს სამუდამოდ დაუღამდა მას ვიატკის ცივ მიწაზე.

ერთი წლის შემდეგ კი საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის დიდი იმპერიის პირქუში იმპერატორი ნიკოლოზ პირველი. თან ახლდა ტახტის მემკვიდრე, მომავალი იმპერატორი ალექსანდრე II. ის ხალხი, ვისი თავისუფლებისთვისაც თავი განირა სოლომონ დოდაშვილმა, არნახული ზარ-ზეიმით ხვდება თვითმპყრობელ ხელმწიფეს. 7 ოქტომბერს 1837 წლისა, ნიკოლოზი თბილისშია. მის სანახავად და გასაცნობად (როგორც სამხედრო ისტორიკოსი პოტტო გადმოგვცემს კონსტანტინე მამაცაშვილის ნაამბობს) ქართველ თავად-აზნაურებს შვილები მოჰყავდათ 100 და 200 ვერსიდან. 9-ში მოედანზე იმპერატორს გაუმართეს ჯარების აღლუმი. შემდგომ ამისა „უქვეშევრდომილესი" გრძნობით აღფრთოვანებულ ქართველ თავადაზნაურობას მეფისთვის გაუმართავს აგრეთვე ბრწყინვალე ბალი, რომელზედაც, პოტტოს სიტყვით, „იმპერატორი მეტად მხიარული იყო და რომელზედაც მან პირველი პოლონეზი იცეკვა სილამაზით გამოჩენილ მართა სოლოღაშვილის ქალთან (შემდეგ თავად ალექსანდრე ერისთავზე გათხოვილი) ხოლო მეორე – ქალაქის თავის სარაჯიშვილის ცოლთან."

ხელმწიფეს ინციდენტიც შემთხვევია, – ვერის დაღმართზე ეტლი გადაბრუნებია, რის გამოც მცირედ დაშავებულა კიდეც. (იმ ადგილზე ჯვარი აღუმართავთ ლოცვის წარწერით), თუმცა ამ ამ-

ბავს იმპერატორისთვის ხელი ვერ შეუშლია, თბილისში ტკბილი დღეები ეტარებინა...

განსაკუთრებით აქტიურობს მელიტონ ბარათაშვილი, ვითარცა მარშალი თავად-აზნაურთა საკრებულოსი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1837 წლის 11 ოქტომბერს ნიკოლოზ პირველის პატივსაცემად მოეწყო მეჯლისი. ყველა თავის გამოჩენას ცდილობს, იმპერატორისაგან ყველა წყალობას ელის. არავის ახსოვს ერის აღდგომა „ხარისხსა ზედა ევროპელთა ერთასა“ იმპერატორთან ყველას თავისი პატარ-პატარა სათხოვარი აქვს. პატარა გულისთქმა და ვნებათაღელვა აწუხებს ყველას. მელიტონ ბარათაშვილიც იმედებს ამყარებს ამ დღეზე. იქნებ ინებოს მისმა უდიდებულესობამ, გარჯა დაუფასოს და წყალობის თვალით გადმოხედოს მელიტონის ოჯახს. იქნებ მფარველად მოევლინოს მის შვილს, კანცელარიის უბრალო მოხელეს, 20 წლის ტატო ბარათაშვილს, იქნებ ჩინი მისცეს და საქვეყნოდ ცნობილი კაცი გახადოს.

რა იცის სიხარულით, იმედით და მოუთმენლობით აფორიაქებულმა მარშალმა, რომ ზუსტად 16 დღის შემდეგ კახეთის ერთ პატარა სოფელში დაიბადება ვაჟი, რომელიც საქვეყნოდ ცნობილს გახდის მისი შვილის ტრაგიკულად მივიწყებულ სახელს, დაარღვევს საქართველოს საყდრულ მყუდროებას, მფარველად მოევლინება თვით საქართველოს.

შეძლებს ერის „სასოებითა აღდგომას, სწავლათა შინა დადგომას, არათუ ოდენ ხარისხსა ზედა პირველსა ღირსებისა ჩვენისა, არამედ ყოფადმცა ოდესმე ხარისხსა ზედა ევროპელთა ერთასა“

„გამოიგონებს, შექმნის და დაჰკირავს“ XIX საუკუნის საქართველოს. სახელი მისი ილია, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

1837

„ვერცერთი ქალბატონი ვერ შესძლებს ასეთი ბავშვის გაჩენას“.

მიხაილ ბულგაკოვი



გრიგოლ ჭავჭავაძის სახლი ყვარელში

„მომავალთაგანი არა რაი უწყიან“.

იოანე სინელი

დიახ, 1837 წლის 27 ოქტომბერს თავად გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძესა და მის სჯულიერ თანამეცხედრეს მარიამ ბებურიშვილს შეეძინათ ვაჟი, რომლის მსგავსნი კაცობრიობას იშვიათად ევლინებიან. მან ერთმა უნდა იტვირთოს ათასების ტკივილი, ყველას ვარამი მარტომ უნდა ზიდოს და უშქარი მოკვდავის გადასარჩენად ერთადერთი ავიდეს გოლგოთაზე. ბიბლიური მოსესავით უნდა წარუძღვეს თავის ერს, რომელიც „ბნელსა შინა მავალ არს“. სიამაყედ უნდა მოევლინოს თავის დაბეჩავებულ მამულს.

ახლა კი ეს ბავშვი მხოლოდ ჭავჭავაძეთა გვარის სიხარულია. ჯერჯერობით არც პორუჩიკმა გრიგოლ ჭავჭავაძემ, არც მარიამმა და არც ნათესავებმა თუ ოჯახის ნაცნობ-მეგობრებმა „მომავალთაგანი არა რაი უწყიან“. მიხეილ ბულგაკოვის ოდნავ პერიფრაზირებულ სიტყვებს მოვიშველიებ: პატივცემული ბებიაქალისთვის იმის თქმა რომ შესძლებოდა ვინმეს, ქვეყანას ვინ მოევლინა, დარწმუნებული ვარ, აღელვებული რაღაცას დამართებდა პატარას და მასთან ერთად საქართველოსაც ავნებდა.

– ქალბატონო, – ეტყოდნენ ბებიაქალს, ახალშობილს ხელი ფრთხილად მოჰკიდეთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ ბავშვის სიკვდილით თქვენი ქვეყანა ბევრ რამეს დაჰკარგავს. მარიამი ასეთ ბავშვს ჯელარ გააჩენს. ეგ კი არა, საუკუნეები ისე გავა, ვერცერთი ქალბატონი ვერ შესძლებს ასეთი ბავშვის გაჩენას.

იცით, თუ არა, საუკუნეების შემდეგ მხოლოდ იმიტომ გაგიხსენებენ, რომ გრიგოლ ჭავჭავაძის ვაჟი გეჭირათ ხელში. ეს ბავშვი უფრო მეტად გაითქვამს სახელს, ვიდრე ახლახან თბილისს ჩამობრძანებული იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, რომელიც სიამაყით იმეორებს ლუდოვიკო XIV-ის სიტყვებს: „სახელმწიფო ეს მე ვარ“, უფრო მეტადაც, ვიდრე ამ ბავშვის თანამედროვე სხვა ხელმწიფე-

ნი, ალექსანდრე მეორე იქნება იგი, თუ მესამე, ანდა მათი გვარის უკანასკნელი თვითმპყრობელი. გაივლის წლები და იგი საქართველოს უგვირგვინო მეფე გახდება. გავა დრო და მის მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვას უბის წიგნაკში ჩაიწერენ, მის ნაწერებზე მეცნიერთა თაობები იმუშავებენ, მის თხზულებებს სხვათა ქვეყნებში წაიკითხავენ და ეს კოშკი, ბებიაქალო, ჩვილის სუნთქვით რომ ივსება და თბება, ის სახლი, რუსეთის ვრცელი იმპერიის ერთ გადაკარგულ სოფელში რომ დგას, საყოველთაოდ ცნობილი და ქართველთათვის უსაყვარლესი სახლი გახდება. ამ სახლში მოვლენ ფრანგები და ინგლისელები, იტალიელები და გერმანელები, იაპონელები და ამერიკელები, მოვლენ მაშრიყით და მაღრიბით, რათა ის „ბაგა" ნახონ, სადაც ახლა ჩვილს სძინავს, ნახონ სოფელი ყვარელი, სადაც ილია ჭავჭავაძე დაიბადა. ნახონ ის ადგილი, სადაც ისეთივე ლეკიანობა მძვინვარებდა, როგორი ირროდიადაც (ნეოლოგიზმია, ირროდის შვილიშვილი ირროდიადა არაფერ შუაშია) იყო ბეთლემს იესოს შობის შემდეგ...

კაცთა მოკვდავთა კი „არა რაი მომავალთა საქმეთაგან იციან წინასწარმცნობელობით". არც სოფელ ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდელს, დანიელ ზურიაშვილს შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მისი ხელით ჩაწერილ ილია ჭავჭავაძის მეტრიკულ მონაცემებს დიდი ხნის შემდეგ ათასი თვალი ჩახედავდა, ათასი მკვლევარი გადაქექავდა. არ იცოდა, ამიტომაც, ილიას შობისა და შემდეგ მონათვლისთანავე კი არ შეადგინა მეტრიკული მონაცემები, არამედ, როგორც საერთოდ ხდებოდა, წლის ბოლოს, დეკემბერში ერთად ჩამოწერა ახალდაბადებულთა სია და ილიას დაბადების დღეც დაუზუსტებლად ჩაწერა თავის წიგნში. ამ მცირე უზუსტობის გამო მღვდელი ზურიაშვილის სახელი ისტორიას შემორჩა. 1912 წელს აპოლონ წულაძე წერდა: „წინად მეტრიკულ წიგნებს მღვდლები ადგენდნენ წლის ბოლოს დეკემბერში. ოღონდ კი ჩაეწერათ იანვრიდან მოკიდებული, იანვრამდე ვინ დაბადებულა და მონათლულა და მათთვის სულ ერთი იყო, როგორ ჩაწერდნენ. მხოლოდ მათ ევალებოდათ მრევლისათვის შეეგონებინათ, რომ ბავშვი მოენათლად დაბადებიდან რვა დღეში, წლის ბოლოსაც, დეკემბერში, მოიგონებდნენ მღვდელი, დიაკვანი, ამ წელში ვინ მოვნათლეთო და ვინც როგორ გაახსენდებოდათ, ისე ჩაწერდნენ თითქმის ერთ „შაბლონზე" – დაიბადა 1 იანვარს, მოინათლა 8-ს, დაიბადა 12 აპრილს, მონათლულია 20-ს

და სხვა. ცხადია, პირველ ნომერში მოაქცევდნენ საპატიო მრევ-ლთაგანს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნეტარ ილიას შესახებაც ასე მოიქცნენ, თორემ ის ნამდვილად ოქტომბერშია დაბადებული".

ამას თვით ილიაც ადასტურებს. ბროკჰაუზის ენციკლოპედიისათვის დაწერილ ავტობიოგრაფიაში ილია წერს: „დავიბადე 27 ოქტომბერს 1837 წელს".

ილიას დაი, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა, თავის მოგონებაში დასძენს: „ტყუილია, ვითომ განსვენებული ჩემი ძმა დაბადებულიყვეს იანვარში. მე კარგად მახსოვს, ჩვენს ოჯახში სახარება, რომელშიაც მამაჩემისაგან საკუთარის ხელით იყო აღნიშნული ყველა მისი შვილის დაბადების დღე. კარგად მახსოვს, ჩემი ძმის ი. ჭავჭავაძის შესახებ ეწერა, რომ დაიბადა 27 ოქტომბერსაო."

სოფლის მეტრიკულ წიგნში კი, მართალია, მცდარი თარიღი ჩაუწერია მღვდელს, მაგრამ ეს ჩანაწერი მაინც გვინდა კიდევ ერთხელ გავაცნოთ მკითხველს, რადგან მასში ის პირებია მოხსენიებული, რომელთაც პატარა ილია განათლეს, რომელთაც პირველად გამოიყვანეს ოჯახიდან და ღვთის სახლში მიიყვანეს... აი, ეს ჩანაწერი: „დაიბადა იანვრის 20-ს, მოინათლა კვ-ს (26), ამავე სოფლის მცხოვრებლის თ. პორუჩიკს გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძეს და ჰსჯულიერსა ცოლსა მისს მაგდანა (ქალიშვილობის სახელია, – ავტ.) ქრისტეფორეს ასულს, – დაებადათ ვაჟი ილია, სახელი გაუნათლე და ნათლისცემა სრული ვყავ ამავე სოფლის ნათლისმცემლის შობის ეკლესიის მღვდელმან ბალაღოჩინმა დანიილ იოსების ძემ ზურიევმან. ნათლისღების დროს იყო ამავე ეკლესიის მნათე მოსე ივანეს ძე ფხოჭიაშვილი. მიმრქმელი იყო თელავის უეზდის სოფლის ქისტაურის მცხოვრებელი გარდაცვალებულის თავადის გიორგი ერისთავის მეუღლე ნინო მალხაზის ასული".

იწურება 1837 წელი. პატარა ილია ჯანსაღი, ჯანმრთელი ბავშვი ჩანს. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს გრიგოლსა და მარიამს ამ მხრივ ჯავრი არაფრისა აქვთ, თუმცა ღარიბი თავადიშვილი უკვე სამი შვილის მამაა და უფრო და უფრო უმძიმდება ცხოვრება. გრიგოლი, მუდამ მხიარული და ენამოსწრებული, თანდათანობით პირქუში და სიტყვაძუნწი ხდება. მაგრამ ცხოვრება ჯერჯერობით მიედინება უშფოთველად და ჩვეულებრივად. ჰყავს მო-

სიყვარულე მეუღლე, პირმშვენიერი, გონიერი და საქმიანი. ბავშვობის ასაკს არც იყვნენ გადაცილებულნი, როცა გრიგოლი და მარიამი შეუღლდნენ. მარიამ ბებურიშვილი მაშინ 13 წლისა იყო, გრიგოლი კი პატარძალზე ექვსი წლით უფროსი გახლდათ. ერთი სიტყვით, 19 წლის მარიამი უკვე სამი შვილის დედაა – კონსტანტინესი, ნინოსა და ილიასი.

გრიგოლ ჭავჭავაძეს გადაუდებელი საქმე აქვს მოსაგვარებელი. შვილები თავადების სიაში უნდა ჩაწეროს. ერთ დროს საქართველოს სამეფო კართან დაახლოვებული და აღზევებული გვარის მემკვიდრისათვის ეს საქმე არც ისე იოლი აღმოჩნდება.

1838

გრიგოლ ჭავჭავაძის გამგზავრება თბილისს შვილისთვის თავადობის დამადასტურებელი ცნობის ასაღებად. რატომ იყო გართულებული კანონიერი ცნობის მიღება?



ძველი თბილისის ხედი

„ილია ჭავჭავაძე უკანასკნელი საჩუქარია გვაროვნული არისტოკრატიის წრიდან“.

კონსტანტინე გამსახურდია

1838 წლის დასაწყისში გრიგოლ ჭავჭავაძე დადარდიანებული თბილისს გაემგზავრა. დადარდიანებული, რადგან უოქმო საქმე საოქმოდ გაუხდიათ. თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში განცხადების შეტანა სურს, რათა თავადების სიაში ჩარიცხონ მისი შვილები, ხოლო თუ ღმერთი გაწყრა და მათ თავადის წოდება არ უბოძეს, ერთხელ და სამუდამოდ გადაეკეტებათ ადამიანური ცხოვრების გზა. ვინც თავადად ან აზნაურად არ არის დაბადებული, ცხოვრების სიკეთე და სიამე მისთვის არ არსებობს. მისთვის სწავლაც მიუწვდომელია, თანამდებობაც, სახელიცა და ღირსებაც. ასეთია ბატონყმური ცხოვრების დოგმადქცეული წესი. „კეთილშობილნი“ ოდენ არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლებს ჰქვიათ. გლეხი თავადის მოკვლისათვის სიკვდილით ისჯება, თავადი კი, თუ გლეხს გამოასალმებს წუთისოფელს, მხოლოდ ჯარიმდება.

„რა წაიქცეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს“-ო, – ჩვენმა მეფეებმა თეორიულად ეს კარგად იცოდნენ, მაგრამ, დალოცვილი, ესეც მეფის „სამართლიდან“ არის – „გლეხისა ყოველივე ბატონისა არს, გარდა სულისა“.

XIX საუკუნეში გლეხკაცის ცხოვრება სულ გაუბედურდა. ერთის ნაცვლად ორი გაუბატონდა: შინაური და გარეული, თავადი და ჩინოვნიკი.

საარქივო დოკუმენტებში დაცულია ცნობა: ერთმა მზარეულმა იმპერატორს თხოვნით მიმართა, რათა ნება მიეცათ, გიმნაზიაში მიებარებინა შვილი. მის უდიდებულესობას კი აღშფოთებულს მიუწერია მზარეულის განცხადებაზე: რუსეთის საქმე მაშინ წახდა „კუხარკის“ შვილებმა სასწავლებლის გზა რომ ისწავლესო!

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის ცემა ღირსებას! ნიჭს აძლევს ხეწა მხოლოდ კაცს და არა გვარის შვილობას!“ – თეორიუ-

ლად ასე ფიქრობდა ქართველი თავად-აზნაურების მონინავე ნაწილი, პრაქტიკულად კი... საქართველო მაშინ დაიღუპა, უგვარო აზნაურები რომ წამოგვასხდნენ თავზეო, განაცხადა ზემოთ მოყვანილი დიდებული სტრიქონების ავტორმა 1864 წელს, როცა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად აბაშიძეების ყოფილ აზნაურს, დიმიტრი ყიფიანს ირჩევდნენ. გვაროვნული და წოდებრივი უპირატესობის გრძნობა იმდენად შესისხლხორცებული ჰქონდათ ჩვენს დიდგვაროვან თავადებს, რომ „უსახელო აზნაურების" არჩევნებისას, შეურაცხყოფილნი მიატოვებენ სხდომას გენერლები: ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, გიორგი რომანოზის ძე ერისთავი, ივანე შალიკაშვილი, მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგი (ალ. ყაზბეგის მამა), ალექსი დიმიტრის ძე საგინაშვილი (ილიას მომავალი სიძე); მათთან ერთად 29 კაცი, ხოლო გრიგოლ ორბელიანი, სიტყვით რომ ნიჭისა და ღირსების მიხედვით მოითხოვდა ადამიანის დაფასებას, წინამძღოლის თანამდებობაზე აზნაურის არჩევამ ისე შეაძრწუნა, ლოგინად ჩავარდა და თვე-ნახევარს იწვა. მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ხშირად ნახულობდა მას და ამშვიდებდა, ყიფიანს არ დაამტკიცებენო. აზნაურის გადიდკაცება თუ ასე აღელვებდათ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი დამოკიდებულება ექნებოდათ გლეხებისადმი. ერთი სიტყვით, ბატონყმური ცხოვრების პირობებში, განსაკუთრებით – XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თავადობა ერთადერთი გარანტია იყო (თუ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში) თანამდებობრივი იერარქიის მაღალ საფეხურზე ასასვლელად.

XIX საუკუნეს განსაკუთრებით გამოვყოფ ერთი გარემოების გამო: ადრე, როცა საქართველოს სატახტო ქალაქი თბილისი იყო, როცა ქვეყანას ქართველი მეფე მართავდა, გლეხს შეეძლო აზნაურობაზე ეოცნება და აზნაურს – თავადობაზე, რადგან მამულისა და მეფისათვის დანთხეული სისხლი, მსხვერპლის გაღება, მეფისგანვე უფასდებოდათ. XIX საუკუნეში კი ხელმწიფე-იმპერატორი ძალზე შორს იყო საიმისოდ, რომ რომელიმე ქართველის თავდადება შეემჩნია და წოდება ებოძებინა მისთვის... ამიტომ აზნაურობისა და თავადობის მაძიებელთ XIX საუკუნეში სხვა ხერხს მიმართეს. გაჩნდნენ ფალსიფიკატორები. ისინი ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს, რომელთაც გარკვეული გასამრჯელოს ფასად ურიგებდნენ ტიტულის მაძიებელთ. ახალი მმართველების მოტყუება ადვილი

იყო. მათ არათუ ქართული გვარების წარმომავლობაზე, თვით საქართველოს შესახებაც ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. ასეთ სიტუაციაში სიყალბე, სიცრუე კანონად იქცა. ვისაც სურდა, ჩოლოყაშვილი ხდებოდა, ვისაც სურდა – ორბელიანი. თუ ძალიან მოინდომებდნენ და დიდ გასამრჯელოს გაიღებდნენ, ბაგრატიონობის დამადასტურებელი სიგელიც შეეძლოთ ხელში ჩაეგდოთ. ყველაფერი ფულსა და მარიფათზე იყო დამოკიდებული. ერთიც და მეორეც კი უხვად ჰქონდათ მიმადლებული განგებისაგან თბილისელ ჩარჩ-ვაჭრებს, რომელნიც გვარ-ტომობით არაქართველნი იყვნენ.

1830 წელს ყალბისმქმნელთა ჯგუფი აღმოაჩინეს. პეტერბურგის წინაშე ეჭვქვეშ დადგა თითქმის ყველა ქართველი აზნაურისა თუ თავადის ვინაობის საკითხი. სიმართლის დასადგენად დაარსდა სპეციალური კომისია, რომელმაც ათ წელიწადს იმუშავა და ვერაფერი დაადგინა. დიმიტრი ყიფიანი „მემუარებში" დაწვრილებით აღწერს შექმნილ ვითარებას: საქართველოს თავად-აზნაურთ ავტორიტეტულად განუმარტეს, რომ პეტერბურგში სენატის წინაშე ვინც ვერ დაამტკიცებდა სადეპუტატო საკრებულოს მეშვეობით თავის თავადობას ან აზნაურობის ღირსების უფლებას, ის მოხარკე წოდებაში იქნება გადარიცხულიო.

ეს, მაშინდელი მსოფლმხედველობით, არ შეიძლებოდა საშინელ მუქარად არ მოსჩვენებოდათ და არ მოენდომებინათ მისი თავიდან აცილება, რა საშუალებითაც უნდა ყოფილიყო.

და აამუშავეს ყოველი ღონისძიება: თუ თხოვნები, თუ ფული, რაც კი გააჩნდათ, თუ ძველებური ოქრო-ვერცხლის სამკაული ოჯახისა, ოღონდ კი როგორმე მიეღოთ წერილობითი საბუთი: გამოამზევეს გაყვითლებული დოკუმენტები; განვითარდა მათი ფალსიფიკაციის დანაშაულობა...

გამოვიდა უქაზი, რომლითაც სახელმწიფო საბჭოს მოსაზრებაზე დაყრდნობით შემოღებული იქნებოდა ისეთი გვარიშვილებისთვისაც კი, როგორიც არიან ერისთავები, ანდრონიკაშვილები, ამილახვრები, აბაშიძეები და მრავალი სხვა.

აზნაურობის უფლების მიღებისათვის თხოულობდნენ ამ უქაზით:

1. წარმოედგინათ ღრამატა თავადობის ან აზნაურობის ღირსების ბოძებისა;

2. სინამდვილე და უეჭველობა ამ ღრამატისა უნდა დამტკიცებულიყო მთავრობისთვის ცნობილი ორმოცდარვა თავადისა და

აზნაურის მოწმობით, რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ფიცის ქვეშ თავად-აზნაურთა დეპუტატობის საკრებულოს თანდასწრებით;

3. თუ ბოძებული ღრამატა თავადობაზე ან აზნაურობაზე დაკარგული იყო, უნდა წარმოედგინათ იმნაირადვე და იქვე, მაზრის ყველა თავად-აზნაურთაგან და ზოგს შემთხვევაში მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთაგანაც ჩვენება იმის შესახებ, რომ იმათ პირადად იციან, რომ ესა და ეს ღრამატა „ამადაამ მეფისა, ამდაამ პირზე ბოძებული და რომ ის დაიკარგა ამდაამ დროს, ამდაამ შემთხვევისა გამო და ყოველივე ეს ამრიგად უნდა გატარებულიყო თვითოეულ გვარზე ცალ-ცალკე."

ნიკო ლორთქიფანიძე ბრძანებდა: იმერეთში რამდენიც კორტოხია, იმდენივე ბატონი არისო. აბა წარმოვიდგინოთ, რა დღეში ჩავარდებოდა პატარა ქვეყნის მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა ზემონახსენები „უქაზის" გაცნობის შემდეგ. დიდად გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იმ წლებში ნახევარი საქართველო გაცრეცილი სიგელ-გუჯრების ძიების ცხელებით იყო შეპყრობილი. ამ სიგელ-გუჯრების მოძიება კი თითქმის შეუძლებელი ხდებოდა, რადგან საქართველოს დინასტიურ მეფეს არ შეიძლებოდა პირადად არ ცნობოდა თავისის თავადაზნაურობა და ამიტომ არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლები წყალობის სიგელების შენახვაზე დიდად არ ხრუნავდნენ. ის კი არა, ერთ დროში ჩვენში არსებული ეტიკეტის ბიბლიოთეკით მაღალი წოდების პირი არც პირად და არც წერილობით ბიმართვაში არ შეიძლებოდა თავადად მოხსენებულიყო. ამ „ეტიკეტის" საფუძველი ასეთი რამ გახლდათ: „განა ვისთვის არის ეს ადალი, რომ თავადი ვარ ან აზნაური, ან ვინ არ იცის ეს?" ამ სკვითების მეკითხვაზე ხომ მთლად გულზე სკდებოდნენ, რადგან ზოგთა გვარს უფრო დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, ვიდრე სკვითების თვით საბელმწიფოს. მაგალითად, ერთხელ, როცა მუხრანში ყაზახები თავს დაადგნენ როსტომ ბაგრატიონს, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირში იმხილებოდა და პირადობის საბუთის წარმოდგენა მოსთოოვეს, როსტომს ქედმაღლურად მიუცია პასუხი: მე გახლავართ როსტომ ბაგრატიონი და არავითარ დოკუმენტს არ ვატარებ, რადგან ბაგრატიონთ ათას ორასი წლის სახელოვანი ისტორია აქვთ, ისევ მე მოსულიდ ჯერ წლის ვარო.

გორგოლის შემთხვევაში ქედმაღლობა საბუთად არ გამოდგებოდა. საქართველოს ახალმა მმართველებმა ამ ჩვენი თავადე-

ბის ისტორია მართლა არ იცოდნენ. სწორედ ამიტომ გაემგზავრა გრიგოლ ჭავჭავაძე გულჯავრიანი თბილისს. გრიგოლმა კარგად უწყოდა შექმნილი ვითარება. ჯერ კიდევ კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლისას მოსთხოვეს მას თავადობის დამადასტურებელი საბუთი. თან მაშინ ასე გართულებული არ იყო საქმე. ახლა კი თავადობის დამტკიცება თითქმის შეუძლებელი ხდება. თავადობა აუცილებელი პირობაა მომავალში მისი შვილების შედარებით უზრუნველყოფილი ცხოვრებისათვის. გრიგოლმა თავისი წარმომავლობის შესახებ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცის. იცის, რომ მისი წინაპარნი მამულისა და მეფის „ერთგულებისა, სამსახურსა შინა აღსრულებულ იყვნეს". „არა ჰრიდეთ ხორცთა თქვენთა სიკვდილად" – მადლიერების გრძნობით მიმართავდა ჭავჭავაძეებს მეფე კონსტანტინე პირველი.

გრიგოლის წინაპრები, XV საუკუნიდან მოყოლებული, უკვე აღზევებულნი ჩანან. 1914 წელს თბილისის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს არქივში ილიას თხზულებების ცნობილი გამომცემლის მიხეილ გედევანიშვილისა და სარედაქციო კომისიის წევრების თაოსნობით მოუძებნიათ საბუთები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძის გენეალოგიური შტო სწორედ XV საუკუნეში იღებს დასაბამს. ჭავჭავაძეთა გვარზე საინტერესო გამოკვლევა აქვს ლევან ასათიანს, სარგის ცაიშვილს. კახეთში ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოსულან. თუმცა მთაში ბარიდან, ქართლიდან ჩანან ასულები. ცერონსა და ავლევს ასახელებს გრ. ყიფშიძე. სხვათა შორის, წერეთლებიც ქართლიდან, ფრონეს ხეობიდან გადასულან იმერეთში.

თეიმურაზ პირველი ჭავჭავაძეთა გვარის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის შესახებ ამბობდა: „იმ ტოლი კაცი იმ დროსა, მე აღარ მყვანდა მისთანა".

ჭავჭავაძეებს თავი უსახელებიათ ერეკლე მეორისა და საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის დროსაც. გრიგოლის მამა-ბიძებიც ქვეყნის სამსახურში იდგნენ. სამშობლოსათვის სისხლი ჰქონდათ დათხეული. გრიგოლის მამა – პაატა, გიორგი XII-ის ხუთასისთავი იყო. პლატონ იოსელიანი მას მოიხსენებს როგორც უერთგულეს გიორგი მეფისა, უფრო ადრე მას ერეკლეს დავალებით უსარდლია 900 ლეკისათვის, რომლებიც ერეკლეს ჯარს ეხმარებოდნენ იმერეთში სოლომონ მეორის გასამეფებლად. პაატას ექვსი შვილი ჰყოლია. ერთი ქალი და ხუთი ვაჟი. ცოლად

ჰყავდა ანდრონიკაშვილის ქალი. გრიგოლის ოთხი ძმიდან სამი – სვიმონ, ალექსანდრე, გარსევან მტრებთან ბრძოლებში დაიხოცნენ, სრულიად ახალგაზრდები. (მეოთხე ძმა იოსები ბავშვი გარდაცვლილა). წინაპართა ქება-დიდება არაერთგზის სმენია გრიგოლს, მაგრამ გაგონილსა და მოსმენილს საბუთის ძალა არ ჰქონდა. მთავარმართებელი გოლოვინი სულ რამდენიმე თვის დანიშნული იყო და, ცხადია, ჭავჭავაძეთა გვარის ისტორიაზე მას წარმოდგენა არ ჰქონდა, ისევე როგორც „სპეციალური კომისიის" წევრებს. ერთი სიტყვით, გრიგოლ ჭავჭავაძის შვილების თავადების სიაში ჩარიცხვა დამოკიდებული იყო იმ ხალხზე, ვინც ენის ბორძიკით, დამახინჯებით ძლივს ახერხებდა ჭავჭავაძის წარმოთქმასაც კი.

1838 წელს გრიგოლ ჭავჭავაძის ვიზიტი თბილისში უშედეგო აღმოჩნდა...

1839

ილიას მამის იუმორი. სტუმრობა ალ.ჭავჭავაძესთან. სამი რაყიფი ერთ მაგიდასთან.

ეკატერინე ჭავჭავაძე

„რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობასა?"

ნ. ბარათაშვილი

რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში გადასახლებული შეთქმულნი რიგრიგობით ბრუნდებიან სამშობლოში. მათი პოლიტიკური ვნებანი უკვე დამცხრალა. ბედს შერიგებიან და „ცოდვათა გამოსყიდვის" მიზნით ერთმანეთს ეჯიბრებიან ტახტისა და ხელმწიფე იმპერატორისადმი ერთგულების დამტკიცებაში. შეთქმულთა უმრავლესობა სამხედრო პირია, ისინი კავკასიის სრული დაპყრობის ხარჯზე იმპერიის საზღვრების გაფართოებისათვის იკლავენ თავს.

თბილისიც ბედს შერიგებული ქალაქია. მოქალაქეთა საზრუნავი პირადი ცხოვრების კეთილმოწყობითა და „მოწესრიგებული" ცხოვრებისათვის ბრძოლით განისაზღვრება. დროდადრო არისტოკრატები წვეულებებს მართავენ. ძვირფასი სუფრების განყობას დიდი დრო და ენერგია, დიდი ფული და ზოგჯერ მამულებიც ეწირება. ვიდრე მელიტონ ბარათაშვილი თავად-აზნაურთა მარშალი იყო, მის ოჯახში სუფრა არ აულაგებიათ. ახლა კი, 1939 წლისათვის, მელიტონის ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. ცალკე მარშლობის ვადა ამოეწურა, ცალკე ყოველგვარი სახსარი. ჩვენი თავადები, მათ შორის მელიტონი, რუსებივით მექრთამეობას არ კადრულობდნენ და თუ ილხენდნენ, საკუთარი მამულების ხარჯზე. კვლავ დიდი წვეულებები იმართება ორბელიანებთან, მუხრან-ბატონებთან და სხვა დიდგვაროვნებთან. განსაკუთრებით ხშირია სტუმრიანობა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში. ალექსანდრე და გრიგოლი ჭავჭავაძეთა სხვადასხვა შტოს შთამომავალნი არიან, მაგრამ მოგვარენი და ნათესავები, ერთმანეთს ხშირად მასპინძლობენ. უფრო სწორედ, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახია ხშირი მასპინძელი გრიგოლისა, რადგან ამ უკანასკნელს დიდი წვეულებების საშუალება არა აქვს, ძმების დატოვებული ვალების გასტუმრებისათვის შრომობს დღენიადაგ.

გრიგოლი, მიუხედავად გაჭირვებისა და სიღარიბისა, ხალისიანია, მომლხენი და, ამდენად, საზოგადოებისათვის სასურველი სტუმარი. ალექსანდრე ჭავჭავაძე ევროპული განათლების კაცი იყო. სახლიც დიდებული ჰქონდა, ოთახები – განსაკუთრებული სილამაზისა – ძვირფასი ავეჯით გაწყობილი. კედლებზე პირველხარისხოვან მხატვართა ნამუშევრები ეკიდა. მათ შორის მისი პირმშვენიერი ქალიშვილების პორტრეტებსაც იხილავდით. სავარძლები – მდიდრული, იატაკი სარკესავით კრიალებდა.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში გრიგოლი დროზე ადრე გამოცხადებულა წვეულებაზე, სტუმრები ნება-ნება მოდიოდნენ. გრიგოლმა მათ შორის ერთი კახელი თავადი შენიშნა, რომელიც ქალაქში (XIX საუკუნეში და მერეც ქალაქს მხოლოდ თბილისს ეძახდნენ ჩვენში) ხამად იყო. ილიას მამა მას კარგად იცნობდა და კარებში გამოეგება. სოფლელი თავადიშვილი ჭავჭავაძის სახლის მდიდრულმა მორთულობამ ცოტა არ იყოს შეაკრთო. გრიგოლმა ეს შეამჩნია და მისალმების შემდეგ მთელი სერიოზულობით მიმართა: „სად მიდიხარ, კაცო, ემაგრე კი არ ნაეყუდო, უნდა წაღები გაიხადო და ისე შეხვიდე, ლაქია გაგიწმენდს და ზალაში მოგართმევსო“.

გულუბრყვილო თავადმა დაიჯერა და სასწრაფოდ შეუდგა წაღების გახდას, გრიგოლი მაშინვე გაქრა და ეს ამბავი დიასახლისს შეატყობინა. დარბაზში გამოცვივდნენ ქალები და ფეხშიშველა სტუმარი გამოჭიმული რომ დაინახეს, სიცილ-ხარხარი აუტყდათ.

თავადი სირცხვილით დაიწვა. – ეს რა მიყავ, პაჭუავ? – გაუბრაზდა გრიგოლს.

(გრიგოლს მეტსახელად პაჭუას ეძახდნენ)“.

ეს პატარა ამბავი შესანიშნავად ახასიათებს გრიგოლ ჭავჭავაძეს, როგორც იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ, ხალისიან კაცს. ხალისიანი გუნებისა რა ვთქვა, მაგრამ იუმორის დიდი ნიჭი ილიასაც გამოჰყვება. ილია იშვიათად იხუმრებდა, მაგრამ ნათქვამს სამუდამოდ დაამახსოვრებდა კაცს. გრიგოლ ჭავჭავაძის მახვილ სიტყვასაც უფრთხოდნენ. გრიგოლი ხალისობდა ერთი შემთხვევის გამო. მას რომელიღაც ნაცნობი თავადიშვილისათვის ზედმეტსახელად „კუდა“ დაუნათლებია. ერთხელ ეს „კუდა“ ვორონცოვის კანცელარიას მიადგა სასწრაფო საქმეზე. კარი შეაღო თუ არა, თოფიანმა ჯარისკაცმა მიაძახა – „კუდა?!“ წყეულ გრიგოლს ეს საცოდავებიც გაუბრიყვებიაო, განრისხებულა თავადი და უკან გამობრუნებულა.

1939 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში მორიგი წვეულება გაიმართა. კონსტანტინე დადიანის გადმოცემით, „შემოდგომის მზე რომ მთაწმინდის უკან დაიმალებოდა, მეოთხე-მეხუთე საათზე ბანზე იყო ყრილობა, სადაც მიირთმევდნენ დუმას და ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინოს" წვეულებას, როგორც ყოველთვის, რჩეული საზოგადოება ესწრებოდა. მათ შორის, ეკატერინე ჭავჭავაძეზე უიღბლოდ შეყვარებული ტატო ბარათაშვილიც იყო. ეკატერინეს სხვაც ბევრი ჰყავდა მეტრფე (მათ შორის გიორგი ერისთავიც). თანამედროვე იგონებს: „ეკატერინე ჭავჭავაძის ფეერიული სიმშვენიერით საქართველოდან პეტერბურგამდის და პეტერბურგიდან ისპაჰანამდის გაგიჟებული იყო ხალხი". იმ დროისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძის შუათანა ასული უკვე დავით დადიანს ჰყავდა ცოლად. მათ მაისის თვეში ქაშვეთში დაიწერეს ჯვარი. არადა, აქ ზის ივანე მუხრანსკი. ადრე ეკატერინე ამ მუხრანსკიზე იყო დანიშნული... სასიძო ქორწინების ნებართვის მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა ალექსანდრე ჭავჭავაძის სანახავად, მაგრამ იგი უარით გამოისტუმრეს. მუხრან ბატონმა დიდად აღარ გამოიდო თავი და იმავე 1839 წელს დავით დადიანის და შეირთო. უფრო ადრე დადიანიც დანიშნული ყოფილა დადეშქელიანის ქალზე, სვანეთის მთავრის დაზე და დავითისგან საქმის ჩაშლამ კინაღამ ორ სამთავროს შორის ომი გამოიწვია...

ეს წვეულება განსაკუთრებული და სხვა შეკრებათაგან გამორჩეული გახდება იმით, რომ ტატო ბრათაშვილი უნიჭიერესი მწერლის სახელს მოიხვეჭს. 22 წლის ნიკოლოზმა სწორედ იმ წვეულებაზე წაუკითხა საზოგადოებას პოემა „ბედი ქართლისა"...

ეკატერინემ უარი უთხრა გენიოს პოეტს. მუხრანსკიზე ფიქრობდა, სამეგრელოს მთავარი რომ არ გამოჩენილიყო. ხანდახან ისეთი ფაქტები, რომელთაც ერთი შეხედვით შეხების არავითარი წერტილი არა აქვთ, აუხსნელი კანონზომიერებით გადაეჯაჭვებიან ხოლმე ერთურთს. გაივლის წლები, ეკატერინე ჭავჭავაძე და ილია, რომელიც აქ აღწერილი დროისთვის ორი წლის ჩვილია, ერთმანეთს შეხვდებიან. ეს შეხვედრა ბარათაშვილის პოეზიის მეორედ დაბადების საწინდარი გახდება. გაივლის წლები და ასევე ერთმანეთს შეხვდებიან ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანსკი და ილია ჭავჭავაძე. ეს შეხვედრა ბარათაშვილის რაყიფისთვის არცთუ ისე სასიამოვნოდ დამთავრდება...

1840

გასაიდუმლოებული „უქაზი“, კბილი-კბილისა წილ. ორი დიდი ქართველის დაბადება.

პატარა აკაკი წერეთელი

„შორით მოსული მყვედრის ცხოვრებას“.

გრ. ორბელიანის
სიჭაბუკის ლექსიდან

დროის მდინარება, უწყვეტი და დაუსაბამო, ადამიანმა საუკუნეებად, წლებად, თვეებად, კვირებად, დღეებად, საათებად, წუთებად, წამებად დაყო. თვით ადამიანის ცხოვრება წამიერი გაელვებაა ჟამის მარადიულ მდინარებაში. ყოველი კაცის, ოჯახისა თუ მთელი ერის ცხოვრებაზე საბოლოოდ თარიღების მიხედვით ვმსჯელობთ ხოლმე.

მაგრამ არსებობენ მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო თარიღები. მნიშვნელოვან თარიღებზე მემატიანენი ტომეულებს თხზავენ, უმნიშვნელო წლები კი მიტოვებული საყდარივით დავიწყებას ეძლევა.

1840 წელი ქართველთა ცხოვრებისათვის ერთი შეხედვით ულიმლამოდ ჩაივლის, მაგრამ მოვლენები ამ ცისქვეშეთში ისეა გადაჯაჭვული, როცა გგონია შენს ირგვლივ არაფერიც არ ხდება ცუდი ან კარგი, შესაძლოა სწორედ მაშინ შენი ბედი იჭედებოდეს. ასე მაგალითად, ზემოთ ვწერდი, გრიგოლ ჭავჭავაძეს არადა არ უწერენ შვილებს თავადების სიაში. მელიტონ ბარათაშვილს, საკრებულოს მარშლობიდან გადამდგარს, არა და არ აძლევენ სამსახურს, იმ უკიდურესობამდე მიიყვანეს კაცი, რომ დამბლა დაეცემა და სასიკვდილო სარეცელს მიეჯაჭვება. ჩოხა რომ ჩოხაა, მამა-პაპურ სამოსში გამონყობილ ქართველს ამრეზით უყურებენ. რა მოხდა? არც არავინ იცის ის, რომ ამ 1840 წელს ერთი გასაიდუმლოებული „უქაზის“ გამოცემით, ისეთი რამ მოხდა, პირდაპირ კავშირში რომაა გრიგოლისა და, საზოგადოდ, ყველა ქართველის ოჯახის ბედთან. უფრო მეტიც, 1 წლის შემდეგ გურიაში რომ აჯანყება დაიწყება, ესეც ამ „უქაზის“ გამოისობით მოხდება. რუსებმა ჩათვალეს, – 40 წელი უკვე საკმარისი დრო იყო საიმისოდ, რომ პირდაპირ, ჯიქურ ემოქმედათ ამ მიწაზე. 1840 წლის 10 აპრილს გამოსცეს სამი კანონი ამიერ-

კავკასიაში ახალი მართვა-გამგეობის შესახებ. დაიწყეს რეფორმა, რითაც საქართველოს სრული შერწყმა უნდა მომხდარიყო რუსეთთან. იდეა ასეთი გახლდათ. არც ერთი ადგილობრივი დანიშვნით თანამდებობაზე. (აი, მიზეზი, თუ რატომ არ ნიშნავენ არსად მელიტონ ბატონს). ხელის შეშლა თავად-აზნაურების პირველ პატივში აღიარებისთვის (აი, მიზეზი გრიგოლის ამაო მიმოსვლისა ტფილისსა და ყვარელს შორის) გადასახადების გაზრდა და ნატურის ნაცვლად რუსული ფულის აკრეფა. ფულისა, რომელიც არც ერთ გლეხს თვალით არ ენახა (აი, საბაბი გურიის აჯანყებისა).

სხვათა შორის, ეს რეკომენდაციები 30-იან წლებში ჩამოსულმა ორმა რევიზორმა შეიმუშავა, სენატორებმა მეჩნიკოვმა და ქუთაისოვმა. ვინ უწყის, ამ მეჩნიკოვსა და ქუთაისოვს, საქართველოში „კალმასობის" ჟამს, რა ასვეს და რა ახეთქეს, როგორ გადაჰყვნენ ჩვენი თავადები და იმ საიდუმლო რეკომენდაციებს კი გამორჩნენ, რაც მოგახსენეთ.

1940 წლისათვის კავკასიის მთავარმართებლად კვლავ გენერალი გოლოვინია. მმართველობის სისტემაში გოლოვინმა მხოლოდ „მცირეოდენი" ცვლილებები შეიტანა.

XIX საუკუნის 20-იან წლებიდან არსებობდა მთავარმართებლის კანცელარია, რომელიც სამ სამდივნოდ იყოფოდა: ქართლისა, იმერეთისა და სამუსლიმანოსი. მათ ხელმძღვანელობდა კანცელარიის მმართველი. თითოეულ სამდივნოს თავისი მდივანი ჰყავდა და ფაქტიურად სამი მდივანი წყვეტდა დიდმნიშვნელოვან საქმეებს. თითოეული მათგანი თავს დამოუკიდებლად გრძნობდა, საკუთარი ჭკუის საზომით უდგებოდა საკითხს, რაც დიდ არევ-დარევას იწვევდა. გოლოვინმა ეს წესი შეცვალა. კანცელარიის დირექტორი დიდი უფლებებით აღჭურვა, გარდა ამისა, შექმნა ცალკე საბჭო, რომელსაც რთული და მძიმე ხასიათის პრობლემების გადაჭრა ევალებოდა. ორივე დაწესებულება – კანცელარია და საბჭო – სათანადო ინსტრუქციით ხელმძღვანელობდა. გოლოვინი სხვა სიახლეთა დანერგვასაც ეცადა. მთავარმართებელმა ხსენებული რეკომენდაციის საფუძველზე მოითხოვა, რომ გადასახადები ადგილობრივი მოსახლეობიდან აეკრიფათ არა ნატურის, არამედ ფულადი სახით და მეორე, გლეხებს ებრძანათ კარტოფილის მოყვანა. აღნიშნული ბრძანების გამოცემით აქა-იქ დენთის სუნი იგრძნეს, რადგან გლეხობას არც ფულადი გადასახადის შეტანა შეეძლო და არც კარტოფილი მოდიოდა ბრძანებით...

1840 წლისათვის საქართველოს საზღვრებს გარეთ პატარ-პატარა ბრძოლებს აწარმოებდნენ იმპერიის გენერლები. გრიგოლ ორბელიანს ჯერჯერობით კაპიტნის ჩინი აქვს, საქმე კი მნიშვნელოვანი დაავალეს. 1840 წელს გრიგოლ ორბელიანი მეამბოხეებს ებრძოდა კიშილისა და მაღლად-ლეთის გარშემო მდებარე სოფლებში. მოგვიანებით ერთ პირად წერილში, უკვე დაღესტანში მებრძოლი, იგი წერდა: „სოფელს კომლზე თითო ამანათი გამოვართვი. პირველნი იმათნი კაცნი დიდრონის ხუნდებით ჩავყარე ნაობახტში და გამოვუცხადე ხალხსა, რომ ამათ სუყველას დავახრჩობ. შეიყარნენ ყადიები, ბეგაულები, მუხლთმოდრეკით მთხოვეს პატიება, მეც რასაკვირველია მეამა ესე და ამათ პატივისცემით ისინი დავიხსენ სიკვდილისაგან, მაგრამ ერთი თვე შევინახე ტუსაღხანაში". პოეტური ბუნება ხელს არ უშლიდა გრიგოლს სასტიკი ყოფილიყო, დაღესტნის მთებში გვამების მთები აღემართა, აეოხრებინა და გადაეხნა აულები. მას, ერთი მხრივ, პოეზიის ღვთაება კარნახობდა: **„ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად სურს სისხლი კაცისა?.."** მეორე მხრივ, მუნდირის ღირსება და შურისძიების გრძნობა მთის ტომების სისხლის დასაღვრელად აღანთებდა.

ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი 40-იანი წლების დასაწყისიდან უკვე ერთგულად ემსახურებოდა იმპერიის მიზნებს, მათი ცოლები და ქალიშვილები თუმცა საცოდავად, მაგრამ მაინც რუსულად საუბრობენ. ამ მხრივ, ვითარების წარმოსადგენად საინტერესო სიუჟეტს ვეცნობით ნიკო ნიკოლაძის მოგონებებში. ერთ-ერთ საღამო-შეკრებაზე ვიღაცას შემთხვევით ჭინჭარი უხსენებია. ნიკო ნიკოლაძის მამისათვის ხონელ ქუთათელაძის ქალს დამტვრეული რუსულით უკითხავს: „Что такое чинчари?" ნიკოს მამას მოურიდებლად უპასუხებია: ჭინჭარი, ქალბატონო, ის მცენარეა, რომლის კრეფით ხონს წვიები დათუთქული გქონდაო". ერთი სიტყვით, უცნაური იყო იმდროინდელი ვითარება: რუსები მშობლიური რუსულის ნაცვლად ფრანგულად საუბრობდნენ, ქართველი არისტოკრატები კი – რუსულად.

ასეთია საერთო ვითარება 40-იანი წლების დასაწყისისათვის. ზემოთ ვთქვით, რომ ერთი შეხედვით ულიმღამოდ მდინარებდა 1840 წელი, მაგრამ ცხოვრებაში არის ისეთი ფაქტები, რომელთა განსაკუთრებულობას მხოლოდ დროის გასვლის შემდეგ ესმება ხაზი. 1888 წელს ილია დაწერს:

„ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია. ეს საქმე მო-

იმოქმედა იმ ძველმა თაობამ (იგულისხმება თერგდალეულთა თაობა, ავტორი) და ეს არის უმთავრესი იმისი სამსახური“.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად იმ თაობის წარმომადგენლები, რომელმაც მოღვაწეობის „საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა“ გაიხადა, პირველ ყოვლისა, **აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი** იყვნენ. სწორედ მათ აუბეს მხარი ილიას და ერთიანი ძალით შეძლეს „ერის სასოებითა აღდგომა“. 1840 წელს ზემო იმერეთში, სოფელ სხვიტორში, დაიბადა **აკაკი წერეთელი**, ხოლო შუა ქართლის სოფელ ვარიანში – **იაკობ გოგებაშვილი.** 1840 წელი სწორედ ამით გახდა გამორჩეული დროის დაუსრულებელ მდინარებაში.

გრიგოლის ოჯახში კი მეორე ქალიშვილი გაჩნდა – ელისაბედი (ლიზა).

პაატა ჭავჭავაძის შტოდან ერთადერთი ჭავჭავაძე იქნება ელისაბედი, რომელიც 67 წლის შემდეგ ძმის ცხედარს გააცილებს უკანასკნელ გზაზე.

ასე რომ, ილიას სიკვდილით არათუ „ეპოქა დასრულდა დიდი“, არამედ ჭავჭავაძეთა ის შტოც, რომელმაც ყველაზე დიდი ქართველი უბოძა სამშობლოს.

1841

გურიის აჯანყება. ორი თაობის შედარება, ილიას მამის მორიგი უშედეგო ცდა.

ნიკოლოზ I

„აღსდექი, გიხმობს, ხალხო ჩემო, ხმა იდუმალი!
გაბედე იყო, თუნდ ერთი დღით თავისუფალი!"

ფერდინანდ ფრაილიგრათი

ნიკო ნიკოლაძე წერდა: „კარგი იქნებოდა, რომ მომავალ თაობების სამაგალითოდ, ძველი თაობის მოთავე პირებს ძეგლი აუგოს ჩვენმა ხალხმა და ზედ წარწერა ამოსჭრას: აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარგებლობა ღმერთად მიაჩნდა, რომელიც ბრმად ატარებდა თავის სიცოცხლეს და დაბრმავების გამო ახალი თაობის ფეხ-ქვეშ გაითელა"

ეს ბრალდება სწორედ იმ თაობის წარმომადგენელთა შესახებ დაიწერა, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია 1832 წლის შეთქმულება.

და მაინც, თერგდალეულთა მიერ გამოტანილ მკაცრ განაჩენში გადაჭარბება არის, მაგრამ არაფერია უცნაური, რადგან ძველი თაობის ოცნება საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, შეთქმულების გამჟღავნებისთანავე ჩაკვდა. შეთქმულების ლიკვიდაციით, როგორც სიმონ ხუნდაძე წერდა, „გარდატეხა მოხდა საქართველოს თავადაზნაურობასა და ინტელიგენციაში. რუსეთის მთავრობასა და საქართველოს თავადაზნაურობას შორის შეთანხმების ხიდი გაიდო. უკანასკნელმა ქედი მოიხარა პირველის წინაშე. ამით დაიწყო მეორე ხანა საქართველოს თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის ისტორიაში." ეს „ხანა" ხასიათდება ეროვნული ინტერესების იგნორირებით. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი, რომელიც 1838 წელს ბრუნდება საქართველოში, აკაკი გაწერელიას სიტყვებით, „უკვე საკმაოდ გამოცვლილი, პირობებს შეგუებული და ფრთხილი კარიერისტია. არცერთი სიტყვა იმ გატაცებაზე, რომელმაც მას ყაზარმის კედლებში ყოფნა არგუნა წილად, არცერთი საყვედური რუსული მმართველობის მიმართ გადასახლებულ შეთქმულთა ბედის გამო, მოსკოვსა და პეტერბურგში უქმად მსხდომ, მისთვის საყვარელ ბატონიშვილების პატივსაცემად

თქმული". იგივე ითქმის ალექსანდრე ჭავჭავაძისა თუ სხვა შეთქმულთა შესახებაც (ალექსანდრე ორბელიანისა და კიდევ ორიოდ უტეხი მამულიშვილის არ აყოლა საერთო ფერხულს, ამინდს ვეღარ ქმნიდა). ილიას თქმით, „ზურგი შეაქციეს წარსულ ანდერძთა ღაღადებას. დამარცხებულნი სრულიად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდამ" და „მთლად დაუთმეს ცხოვრების მოედანი გამარჯვებულთა".

40-იან წლებში თავად-აზნაურები მხოლოდ სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურში დაწინაურებისთვის ზრუნავდნენ. საზოგადო ინტერესი აქა-იქ თუ გაკრთებოდა. 1841 წელს განიზრახეს დაეარსებინათ სალიტერატურო ჟურნალი „ცდა". თუმცა ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, ძველ თაობას თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. სამშობლოს სიყვარულს ტახტისადმი ერთგულებით გამოხატავდნენ. რუსეთის იმპერიისათვის სამსახური საქართველოს სამსახურად მიაჩნდათ.

ილია ჭავჭავაძემ მთელი თაობის წინამძღოლობა იტვირთა. რა შინაარსი მოიაზრება ახალი თაობის ცნებაში, რით განსხვავდება იგი ძველი თაობისაგან და რა ნიშნით შეიძლება ეწოდოს თაობას ძველი? ეს კითხვა ჩვენში ილიამ დასვა პირველად.

„ხოლო საკითხი ესე არის: რა საწყაო ვიხმაროთ, რომ ერთს შეუწყოთ ახლობა, ან მეორეს ძველობა? ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბავშვობა იქნება! ან კიდევ ის, რომ ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეგ იქნება საკადრისი ჭკუათმყოფელის კვლევისათვის! მაშ სხვა რა შეუწყათ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან". ილიასეული კითხვა ნაწილობრივ პასუხსაც შეიცავს: თაობას ასაკობრივი ტოლ-სწორობა არ ქმნის, არც იმის მიხედვით შეიძლება ძველისა და ახლის გარჩევა, ვინ როდის გამოჩნდა მოღვაწის ასპარეზზე. თაობა ერთი იდეით შეკავშირებულ მოღვაწეთა ჯგუფია. ახალსა და ძველ თაობას მოვლენებისადმი განსხვავებული პოზიცია ქმნის და არა ასაკობრივი ცენზი. ილია ჭავჭავაძის თაობა იდეური მრწამსით განსხვავდება ძველი თაობისაგან (თუმცა ილია 1892 წელს სტატიაში „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე" ასე რადიკალურად აღარ სვამდა საკითხს).

რა იდეური სხვაობაა მათ შორის, კარგად ჩანს მსგავსი ისტორიული ფაქტებისადმი დამოკიდებულებაში.

1841 წლის 20 ივნისს გურიაში აჯანყებამ იფეთქა. 3000-მა კაცმა იარაღი აისხა. ალყა შემოარტყეს გურიის ცენტრს – ოზურგეთს. გარშემორტყმულნი აღმოჩნდნენ პოლკოვნიკ ბრუსილევის და გენერალ კახნოვის ჯარი. მათ მისაშველებლად სასწრაფოდ გაგზავნეს მამაცი პოლკოვნიკი არღუთინსკი-დოლგორუკი, რომელმაც შემდეგში სახელი გაითქვა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. გენერალი გოლოვინი თვითონაც გადავიდა დასავლეთ საქართველოში და ქუთაისს დაბანაკდა, სხვათა შორის, გოლოვინს ქუთაისში თან ახლდა დიმიტრი ყიფიანი.

გურიის აჯანყების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი იყო აზრი. რომ ეს ამბოხება მხოლოდ სტიქიური, გლეხური, სოციალური ხასიათისა გახლდათ. არადა, აჯანყების მიზეზი ერთდროულად იყო როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრა, რაც უფრო გამძაფრდა 1840 წლიდან მართვის ახალი სისტემის შემოღებით. გურიის მოსახლეობას მხოლოდ სიდუხჭირის გამო არ გამოუღია ხელი, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ აჯანყების მონაწილეთა შორის არისტოკრატიის წარმომადგენლებიც იყვნენ.

გურულები და ნაწილი იმერეთისა, სწორედაც რომ რუსეთს აუჯანყდნენ. აჯანყების საბაბის შესახებ დიმიტრი ყიფიანი შემდეგს გვამცნობს:

„შემოიღეს გადასახადების ფულად შეწერა. ამ შეწერის დროს არავინ დაჰკითხებია თავის თავს, შეიძლებოდა თუ არა მისი რეალიზაცია?

ეს კითხვა რომ დაყენებულიყო ვისგანვე, მის გადასაჭრელად წარმოსდგებოდა აი, ასეთი მოსაზრებანი: რუსული მმართველობა შემოღებული იყო გურიაშიო 1829 წელს. ამ მმართველობის მთელი პერსონალიდან მხოლოდ გურიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარე, რუსი ოფიცერი იღებდა ფულად ჯამაგირს 600 მანეთს წელიწადში. დანარჩენი მთელი პერსონალი მმართველობისა, თავიდანვე არსებული წესით ჯამაგირს იღებდა ნატურით; თვითეული გადაჭრილ რიცხვს საკლავისას და გადაჭრილ წონას ღომისა და სიმინდისას. მაშასადამე ადმინისტრაციას გურიაში მხოლოდ 600 მანეთი შემოჰქონდა ფულად; ხოლო ეს ფულიც მაშინვე ქუთაისში მიდიოდა, სადაც შეიძლებოდა შოვნა ხორბლისა, ჩაისა, ყავისა, შაქრისა და ტანსაცმლისა. ვნახოთ ახლა რა შემოჰქონდა ვაჭრობას. იქ იყო ერთად-ერთი სავაჭრო კუთხე დვაბზუ, სადაც

20-30 ჩალვადარი თათარი მთელ გურიაში აწარმოებდა გაცვლა-გამოცვლის ვაჭრობას. ფულის ნიშნებად ტრიალებდა ერთად-ერთი თათრული ფარა, ლითონის ისეთი მცირე წონისა, რომ ხელის გულიდან შებერვით ასობით ადვილად გადაიყრებოდა, კაპიკის 1/20, თუ უფრო ნაკლებს რომ უდრიდა... მხოლოდ დიდმა მოხელეებმა თუ იცოდნენ, რა იყო რუსული ფული. ვგონებ ცხადია, რომ 1840 წ. გადასახადების ფულად გაწერა ძალიან მოუფიქრებელი რამ იყო და პოლიციაც ფულს თხოულობდა, ხოლო უარის თქმაზე ეგზეკუციას აყენებდა. ამას მიემატა კიდევ სასტიკი მოთხოვნა კარტოფილის მოყვანისა. რა სალაპარაკოა – მშვენიერი რამ არის! მაგრამ გურულები ღომს და სიმინდს რომ არიან შეჩვეულნი, ერთიც და მეორეც საკმარისი ჰქონდათ... აქ უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი გარემოება. ეს არის უაღრესად მოთაკილე და წყენის ფიცხად ამყოლი ხასიათი გურულებისა... თითქმის ყოველ სახლში ჩაყენებული ყაზახები, ძალიან ზრდილობიანნი, ვსთქვათ, მაგრამ მაინც ყაზახები... ჰო და აი განმეორება იმისი, რაც 1811 წელს კახეთში იყო" (უნდა იყოს 1812წ. – ავტორი). დიმიტრი ყიფიანი, როგორც ვხედავთ, აჯანყების საბაბზე, ანუ სოციალურ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, ისე როგორც შემდეგში მთელი საბჭოთა ისტორიოგრაფია. ფილმიც კია გადაღებული – „ჯანყი გურიაში", ანუ ეს აჯანყება ისტორიკოსებმა ბატონსა და ყმას შორის არსებული უფსკრულის საილუსტრაციოდ აზიდეს ფარზე, მაგრამ, უკაცრავად, როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ აჯანყებულ გურულებს მხარს უჭერდნენ აჭარისა და გურიის თავადებიც? ბატონყმობის წინააღმდეგ თავადები შეიარაღებულნი გამოვიდნენ? ვის ებრძოდნენ, საკუთარ მამებს თუ შვილებს? სწორედაც რომ.ასეთ დასკვნამდე მივალთ იმ უცნაური ლოგიკით რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

თუმცა ამ უხერხულობას გრძნობენ და ვინც ამ ჯანყს ბატონყმობის წინააღმდეგ გამოსვლად ნათლავს, ერთი სიტყვითაც არ ახსენებს, რომ ბრძოლაში არა ერთი და ორი თავადიშვილი მონაწილეობდა აჯანყებულთა მხარეზე. დიმიტრი ყიფიანმა, ვითარცა უაღრესად პატიოსანმა კაცმა, აკი ვერც დამალა აჯანყების ხასიათი და იგი 1812 წლის კახეთის აჯანყებას შეადარა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი გამოსვლა იარაღით ხელში სკვითთა წინააღმდეგ. ეს იყო საქართველოს ერთი კუთხის გაბრძოლება თავისუფლებისათვის.

გურიის აჯანყება პოლკოვნიკ არღუთინსკი-დოლგორუკოვის ჯარმა სისხლში ჩაახშო. ამოწყვიტეს უდანაშაულო ხალხი, რომელსაც გადასახადის გადახდა არც რუსული ფულით შეეძლო და არც ქართულით, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რუსული ფული, რომელიც საქართველოში შემოიღეს 1834 წლიდან, როგორც აღინიშნა, არავის მოეპოვებოდა. ქართული ფულის (ვერცხლის) უკანასკნელი ცალები კი მეფე გიორგი XII-ის სიკვდილის წინა ხანში მოიჭრა (თბილისში 1804-1834 წლებში არსებობდა ზარაფხანა, მაგრამ რუსული ფულის შემოღებისთანავე იგი გაუქმდა).

ერთი სიტყვით, 1812 წლის ტრაგედია 1841 წელს კვლავ განმეორდა. მარკიზ პაულიჩმა „მოასრევინა უბრალონი ქრისტიანენი ვიდრე ასადმდე ჩვილითურთ, მსგავსად ირროდისა, და მუნ მოკლეს ხიშტით მონაზონი აბაშიძის ასული მარიამ, ოთხმოცისა წლისა დედაკაცი". ეს 1812 წელს მოხდა. 29 წლის შემდეგ ასევე გაუსწორდნენ აჯანყებულ გურულებს. 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩასახშობად მარკიზ პაულიჩს მხარში ედგნენ იმპერიის ერთგული ქართველი თავადები. თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა: „მოკლეს კახთა ყაფლანიშვილი ვახტანგ, სიძეი მეფის ირაკლისა, და დასჭრეს მუხლსა მამუჩიშვილი (ასე იხსენიებდნენ გარსევან ჭავჭავაძის შტოს – ნ.გ.) მათ ეპყრათ კერძოი რუსთა და პირისპირ მამულისა თვისასა იყუნენ მტერ." სინამდვილეში პირველმა ძალით შეაკლა თავი კახელებს რუსთაგან სიცოცხლემოძულებულმა, ხოლო მეორეს უხაროდა რომ დაჭრეს და იძულებით ბრძოლას ვეღარ გააგრძელებდა თანამემამულეთა წინააღმდეგ. გურიის აჯანყების ჩახშობისას სინანულიც აღარ ჩანს.

1841 წელსაც ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი „პირისპირ მამულისა თვისასა იყუნენ მტერ". მათ წარმატებით იბრძოლეს გურიის წინააღმდეგ. 5 სექტემბერს აჯანყება საბოლოოდ ჩაახშვეს. დატყვევებულთა დიდი ნაწილი და მათი მოთავე 16 კაცი ქუთაისის ციხეში გაგზავნეს. 100-მდე გლეხი გაროზგეს, 2812 ოჯახი კი ტახტის ერთგულებაზე დააფიცეს. დამსჯელთა რაზმის გმირი ამჟამად კვლავ ყაფლანიშვილთა ოჯახის შთამომავალი გრიგოლ ორბელიანი იყო. მამაცობისათვის გურულებთან ბრძოლის შემდეგ კაპიტანი გრიგოლ ორბელიანი სამხედრო კარიერის შემდგომ საფეხურზე დააწინაურეს. 1840 წელს ოსეთში აჯანყების ჩახშობისათვის ორბელიანმა სტანისლავის მედალი მიიღო. „მე ოსებისათვის სტანისლავი ყელზე მომივიდა. ამის იმედი სრულე-

ბით არ მქონდა, ახლა თუ გურიისთვისაც გამოვიდა ზედ დატანებით, ძალიან კარგი იქნება," – წერდა გრიგოლი ერთ კერძო ბარათში ძმას, ზაქარია ორბელიანს. მედალი თანამოძმეთა სისხლის წილ! თუმცა ბალღამში ამოვლებული კიდევ ერთი ჭეშმარიტების მოსმენა მოგვიწევს. 1841 წლის ოქტომბერში გრიგოლ ორბელიანი მილოცვის ბარათს მიიღებს: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ, დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებამ. – მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი (იგულისხმება დაღესტნის მთებში მებრძოლი იასე ანდრონიკაშვილი – ნ.გ.)! მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მთელს მხედრობაში; თორემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვრილებით, მითამ როდის და რაში არა ვყოფილვართ კარგნი... მჯერა სარდლობა არღუთინსკისა, საგინოვისა და გურამოვისა, რადგანაც შენ აქებ მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ; შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა." ...მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ, შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა"-ო. ცხადია, ირონიით ამთავრებს წერილს მისი ავტორი ქართველთაგან ქართველთა დამარცხებისა და დასჯის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ამ ფრთხილი ირონიით დაკმაყოფილდა ის, ვისი სახელი და გვარიც არის ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ახლა კი კვლავ თაობათა ურთიერთობას დავუბრუნდეთ: „რა საწყაო ვიხმაროთ, რომ „ან ერთს მივუწყოთ ახლობა, ან მეორეს ძველობა?"

გაივლის 65 წელიწადი. გურიის ტრაგედია კვლავ განმეორდება. უფრო დიდი ძალით იფეთქებს აჯანყება. ალიხანოვ-ავარსკის ჯარები გურიის გადასაბუგად წავლენ. ქართველ თავად-აზნაურთა ერთი ნაწილი კი იარაღს აისხამს არა ალიხანოვის, არამედ ქართველ გლეხთა წინააღმდეგ. მათ მრისხანე სიტყვებით წინ აღუდგება ილია ჭავჭავაძე: „ეგ თოფები იმათ დაახალეთ, ვინც დაგირიგათ!"

„მინდა ერთი ჩაგიხველოთ, შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა."

„ეგ თოფები იმათ დაახალეთ ვინც დაგირიგათ!"

ერთი მოვლენა ორი საწყაოთი აირწყა: პირველი რუსის მონარქთა შეგუებულის ფრთხილი საწყაოა. მეორე კი – მონარქის მტრისა.

ჯერ კი ილია მხოლოდ 4 წლისაა და ცოდვა-ბრალიან ქვეყნის ორომტრიალში მას წილი არ უდევს. მისი მამა გრიგოლი კვლავ თბილისს გაეშურება, რათა ხელმეორედ შეიტანოს თხოვნა შვილების თავადების სიაში ჩარიცხვის შესახებ. ჩვენამდე შემონახულია გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძის 1841 წლით დათარიღებული თხოვნა საქართველო-იმერეთის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსადმი მისი შვილების კონსტანტინეს და ილიას თავადის წოდებაში დამტკიცების შესახებ:

„После представления доказательства княжеского рода нашего происхождения, родилис у меня сыновя Константин и Илья, о рождении и крещении коих при сем представляют два свидетельства, выданные из Грузино-Имеретинской синодальной конторы за №№3113 и 3109, покорнейше прошу оное собрание сделать дополнительное определение о причислении к роду нашему сыновей моих и выдать на имя их в княжеском достоинстве и копии со свидетельства Грузино-Имеретинской синодальной конторы за надлежащей подписью и приложением печати нужны им для определения в учебное заведение, а потом — государственную службую.

Поручик кн. Григорий Паатов сын Чавчавадзе."

გრიგოლ ჭავჭავაძის ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა.

1842

მთავარმართებლის შეცვლა. პატიმარ გურულთა გათავისუფლება. პატარა ჩინოვნიკის მაღალი აზრი ნიკოლოზ ბარათაშვილზე. პირველი ბიბლიოთეკის დაარსება.

მაიკო ორბელიანი

„ყველა სიძნელე ჩვენში მხოლოდ ამრავლებს ძალებს“.

ემილ ვერჰარნი

გურიის აჯანყების ცნობამ ნიკოლოზ პირველის სასახლის კარი მეტისმეტად ააფორიაქა. იმპერატორმა 1842 წელს საგანგებოდ მოავლინა საქართველოში სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი და „სტატ-სეკრეტარი“ პოზენი. მათ დავალებული ჰქონდათ გადაესინჯათ სამოქალაქო-ადმინისტრაციული რეფორმები, რომელიც კავკასიაში 1840 წელს განხორციელდა. ამ პროექტით რუსული კანონები მექანიკურად ინერგებოდა საქართველოში. რუსი ისტორიკოსის ივანენკოს ცნობით, ეს ღონისძიება თვით უმაღლესმა პირებმაც ნაადრევად ცნეს. ამიტომ, სენატისადმი წარდგენილ პოზენის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე პროექტი უკუგდებულ იქნა და საჭირო გახდა სამოქალაქო-მმართველობის შეცვლა კავკასიაში.

ქუთაისის ციხეში გამომწყვდეულ აჯანყების მონაწილეებს ჯარი დარაჯობდა. ამჯერად ქუთაისში იყო გრიგოლ ორბელიანიც, რომელსაც შეუტყვია თბილისში ჩერნიშევისა და პოზენის ჩამოსვლა. იგი დაღესტნის მთებში მებრძოლ ძმას ზაქარიას სწერდა: „ქალაქის ამბავი ეს არის, რომ მინისტრი მიიღეს ხალხმა, ისე როგორც ხელმწიფე. ბანები, ქუჩები სავსე იყო თურმე ხალხითა, ასე რომ, ძლივს ადგილი ჰქონდა მინისტრსა გავლისა. – გაშინჯა ჯარი ხუთი ბატალიონი არტილერიით დიდუბეში და ძალიანაც მადლობა უთხრა. სიმბორსკისა დიდი დიდი მადლიერი დარჩა და ახლა შენ უყურე იმის გაბერვა, ვინღა მორჩება იმის ჩაჩხანსა. (1839წ. ორბელიანი იბრძოდა გენერალ-მაიორ სიმბორსკის ჯარში. ნ.გ.). სწორედ გითხრა, საქართველო დიდი ბედნიერი არის, რომ ხელმწიფემ ინება გამოგზავნა ამ კაცებისა, ესე იგი ჩერნიშევისა და პოზენისა, რომელთაცა გულით ჰსურთ კეთილდღეობა ამ მხარისა, – ღმერთმა ადღეგრძელოს ხელმწიფე და მას უკან ესენი, მთავარმართებელისაც ჯერ დიდი მადლობელია; ნეტავი არ გამოგვიცვალონ ჯერ მაინც“. (ამ წერილში ისეთი ნიუანსებია, რომ გრიგოლი

აშკარად ფიქრობს, ვიდრე ადრესატამდე მიაღწევს, მას ვიღაც წაიკითხავს)...

მინისტრმა ადგილობრივი მოსახლეობის გული იმითაც მოიგო, რომ გურიის აჯანყების მონაწილენი ციხიდან გამოუშვა. ამ ცნობასაც გ.რიგოლ ორბელიანის დასახელებული წერილიდან ვგებულობთ – „ქუთაისში მინისტრის ბრძანებით გაანთავისუფლეს გურულები, ბუნტისათვის დაჭერილნი, უნდა გენახა ამათი ტირილი და დალოცვა. – მხოლოდ ერთი გააგზავნეს ციმბირში შალიკაშვილი, რომელიც უწინდელს ბუნტებშიც ერია."

ჩერნიშევი სამხედრო ბრძანებებს იძლეოდა, კავკასიის ჯარებს ათვალიერებდა, პოზენი კი სამოქალაქო დანესებულებებს ამოწმებდა. სხვათა შორის, პოზენს კავკასიის უზენაესი სასამართლოს მუშაობაც შეუმოწმებია, რომელსაც ერქვა „Експедиция суда и расправы". ამ დაწესებულებაში მსახურობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. ათეული წლების შემდეგ ბარათაშვილის მეგობარს ლევან მელიქიშვილს იონა მეუნარგიასათვის უამბნია, რომ ბრძანება გამოიცა, ქართველებს უპირატესობა მისცემოდათ სამსახურში. ბარათაშვილს უფროსი ჰყავდა ერთი, ვინმე ილინი. ეს ილინიც ისეთი დიდი აზრისა ბრძანებულა ნიკოლოზის ნიჭზე, რომ სიამაყით უთქვამს – „Баратов на моем месте будет сидеть"...

ახლა კი ცოტა წინ გავასწროთ მოვლენებს. პავლე ინგოროყვა წერდა, რომ ბარათაშვილის სიტყვები „პეტრეს ქალაქში გარდაასახლენ"... ("ბედი ქართლისა") პოეტისავე სატრფოზე აღსრულდაო. 1857 წელს პეტერბურგს იძულებით გაიწვიეს სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე. იმ დროისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ილია ჭავჭავაძე, ნათესავი ეკატერინესი, ზაფხულობით დაიარებოდა მის ოჯახში. ილიას გიმნაზიისა და სტუდენტობისდროინდელი მეგობარი კოხტა აფხაზი გადმოგვცემს: ერთხელ „ქალბატონ დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი" და „მერანი". ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით."

პალატის უფროსი ილინი თავისი სტოლნაჩალნიკისთვის გულმოწყალედ იმეტებდა ჩინოვნიკის პატარა თანამდებობას. არადა „ბედი ქართლისა" და „მერანი", რომლებმაც გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინეს ილიაზე, ილინის ქვეშევრდომს, 25 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილს უკვე დაწერილი ჰქონდა...

კვლავ ზემოთქმულს დავუბრუნდეთ, ჩერნიშევმა და პოზენმა ქვეყანა დამშვიდებულად ჩათვალეს. პატიმრები გამოუშვეს. ამით მათი ოჯახები დაწყნარდნენ. ერთი გადასახლებულის, შალიკაშვილისათვის კი, რომელიც სხვა ბუნტშიც ერია, ველარავინ გამოიდებდა თავს. სამოქალაქო დაწესებულებათა შესახებაც თავისი აზრი შეიქმნეს. ჩინოვნიკთაგან ზოგი დააწინაურეს, მავანნი სულაც გაათავისუფლეს. თავის მხრივ მასპინძლები თავს არ ზოგავდნენ მათ პატივსაცემად. „მინისტრი ძალიან მადლიერი დარჩა ჩვენი ხალხისა და საზოგადოებისა, ჰსურს ბედნიერება ამა მხარისათვის, და რა საკურველია, რომ კიდეც მოუვლენს". მთავარმართებელი გოლოვინი 1842 წელს კავკასიიდან გაიწვიეს. მის ნაცვლად დანიშნეს მისი ყოფილი მოადგილე გენერალი ნეიდგარტი. თანამედროვეთა დახასიათებით „კაცი უაღრესად სამართლიანი, მაგრამ იქამდე სასტიკი და პუნქტუალური, რომ არავის არ აჩუქებდა არც ერთი წუთის დროს და ყველა ცახცახებდა მის წინაშე". მცირედი დანაშაულისათვის მათ „გაუპტვახტში" გზავნიდა.

მთავარმართებელი თავისი შვილების აღსაზრდელად გერმანიიდან დაიბარებს ასევე სასტიკ კაცს, თუმცა განათლებულსა და მზრუნველ პედაგოგს ჰაკეს. ჰაკე ნეიდგარტის წასვლის შემდეგაც საქართველოში დარჩება, აქვე განაგრძობს სამსახურს. მისმა თბილისში დარჩენამ ეს კაცი დავიწყებისაგან იხსნა. მისი სახელი არც პედაგოგიური აზროვნების ისტორიიდან შემორჩენილა და არც იმით, რომ მთელი კავკასიის განმგებლის შვილებს ზრდიდა. (ან ის მთავარმართებელი ვილას ახსოვს). იგი თბილისის ერთ-ერთი სასწავლებლის რაევსკის კერძო პანსიონის სასწავლო ნაწილის გამგე და ფაქტიური ხელმძღვანელი გახდება. ჰაკეს აღსაზრდელთა შორის აღმოჩნდება ღარიბი თავადიშვილი, პატარა ილია ჭავჭავაძე, რომლის წყალობითაც საქართველოში დღესაც ვიხსენებთ ჰაკეს... ილია ჭავჭავაძე ავტობიოგრაფიაში გულთბილად მოიგონებს გერმანელ პედაგოგს. „ჰაკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივ მზრუნველობას იჩენდა შეგირდების მიმართ, იმოდენას ცდილობდა და ყურს უგდებდა მათ ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს კლასში მეცადინეობის შემდეგ იმათ ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკითა და მართავდა ხელახალ კონცერტებს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა". ასე რომ, 1842 წელს ნეიდგარტის საქართველოში ჩამოსვლისა და მის მიერ გერმანელი

პედაგოგის გამოძახების ფაქტი ასე თუ ისე შეეხო გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახსაც.

XIX საუკუნის 40-იან წლებში რუსეთის იმპერიაში გავრცელებული იყო საბავშვო თავშესაფრების მოწყობის იდეა. ამ იდეას საქართველოშიც დაუჭირეს მხარი. მთავარმართებელ გოლოვინის მეულლეს სურდა თბილისში დაეარსებინა საქველმოქმედო საზოგადოება. ამ საზოგადოების მდივნად დიმიტრი ყიფიანი ყოფილა შერჩეული, მაგრამ გოლოვინის დროს აღნიშნული იდეა ვერ განხორციელდა. ეს საქმე მკვიდრ ნიადაგზე ალექსი ივანეს ძე ნეიდგარტს დაუყენებია. იმავე 1842 წელს კიდევ ერთ კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

თბილისში გაიხსნა კერძო ბიბლიოთეკა, რომელიც მოთავსებული იყო ამ ბიბლიოთეკის დაარსების ერთი ინიციატორთაგანის დიმიტრი ყიფიანის ბინაში.

ცნობილია „საბიბლიოთეკო ამხანაგობის" სხვა წევრთა სიაც: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ივანე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი, ზაქარია ერისთავი, ზაქარია ფალავანდიშვილი, კონსტანტინე დადიანი, ლევან მელიქიშვილი, დავით ჭავჭავაძე და სხვები. „ამხანაგობას" სულ 29 წევრი ჰყოლია. XIX საუკუნის 40-იან წლებში ბიბლიოთეკის დაარსება პირველი განხორციელებული, კეთილად დამთავრებული საქმე იყო კულტურული ცხოვრების ასპარეზზე, თანდათანობით თბილისში სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიც გაჩნდება.

1843

ჩინოვნიკის სკამზე მიჯაჭვული გენიოსის წერილი ბიძისადმი. ქალთა პანსიონი თბილისში.

ნინო ჭავჭავაძე

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“.

ნ. ბარათაშვილი

იმ პირთა უმრავლესობა, რომელნიც „საბიბლიოთეკო ამხანაგობის“ სიაში მოვიხსენიეთ, სამხედრო ჩინოსნები იყვნენ და 1843 წლისათვის თითქმის ყოველი მათგანი დაღესტნის მთებში იბრძოდა. თბილისი ახალგაზრდობისაგან დაიცალა. „ყველანი შამილის დასაჭერად წავიდნენ“. მთავარმართებელი ნეიდგარტი შაჰის ელჩს, ევროპულ ენებზე განსწავლულ მირზა სალს ელოდება. ზაფხულია, აგვისტო. მთავარმართებელი დიდი მეჯლისის გადასახდელად ემზადება. წუხს, რომ თბილისის დამამშვენებელი მანდილოსნები ქალაქიდან არიან გაკრეფილნი.

ახალგაზრდა თავადებიდან ქალაქში ვგონებ მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო დარჩენილი. უსახსრობის გამო ვერსად წასულა პოეტი და ზაფხულის ხვატში კანცელარიის დახუთულ ოთახში ზის, მოწყენილობით გულგასენილ კაცს იმედი აქვს ბიძისა, რომელიც უკვევ ავარიის მმართველია. – „მე გვარიანად მინდა შენთან ლაპარაკი და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება – წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლს. – საკვირველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებიო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე საუკეთესო ხმა მიწვევს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა პატარა ღრე-კლდეს გამომიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა“.

ამ წერილში ყოველი სიტყვა თავისუფლებამოწყურებული სულის ტკივილითაა გაჯერებული, თუმცა, ერთიც არის. მკვლევარნი ბარათაშვილის ამ წერილის ციტირების დროს არ იწერენ მომდევნო სტრიქონებს, – „ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის, ეცადე, რომა რემენ-კაფთან დამანიშვნინო". ამ სიტყვებით იმდროინდელი ახალგაზრდობის მიზანია გადმოცემული. მათთვის სამხედრო კარიერაა სანუკვარი ოცნება, რაც მაშინდელი თბილისის ფონზე ბუნებრივიც ჩანს. ქალაქში კულტურული ცხოვრება ჩამკვდარი იყო, ადამიანის სულს კი მოძრაობა, მრავალფეროვნება სწყურია. ულიმლამობასა და ერთფეროვნებას ისევ ფათერაკიან ცხოვრებას ვამჯობინებთ. ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის კანცელარიის დახუთულ კედლებში მუშაობა აუტანელი ხდებოდა. გენიოსი, ჩინოვნიკის სკამზე მიჯაჭვული, ან უნდა გაგიჟდეს, ანდა მოკვდესო, – წერდა მიხეილ ლერმონტოვი. აკი ბარათაშვილის ცხოვრების გზა მოკლე აღმოჩნდა.

მიუხედავად თავადაზნაურობის საერთო განწყობისა, მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ჭავჭავაძე თვითონ იყო სამხედრო პირი, შვილების სამხედრო სამსახურისთვის გამოზრდაზე არ ფიქრობს,

1843 წელს გრიგოლი, როგორც ითქვა, ოთხი შვილის მამაა. ორი ვაჟისა და ორი ქალისა. უფროსი, კონსტანტინე, გონებაგახსნილი და საიმედო ვაჟია. 6 წლის ილია ჯერ მხოლოდ ანბანის სწავლას იწყებს. გრიგოლს და მარიამს სურთ გოგონებსაც მიაღებინონ განათლება, მით უფრო, რომ ცოდნის წყურვილმა XIX საუკუნის 40-იან წლებში ქალებშიც იჩინა თავი. თბილისში არსებობდა ქალთა პანსიონი. 1840 წელს პანსიონი გადაკეთდა „ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად". ამ ინსტიტუტს 1843 წელს ერთი უცხოელი ეთნოგრაფი სწვევია, რომელიც წერდა: თბილისში არსებობს პანსიონი, სადაც ქართველი ქალიშვილები ფრანგულად მუსაიფობენ და კითხულობენ ბალზაკის რომანებს.

გრიგოლ ჭავჭავაძე ვალს ვალზე იღებს, რათა შვილები უსწავლელნი არ დაურჩეს. ეს ვალები საბოლოოდ დიდ თანხად იქცევა და გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ მის გასტუმრებაზე ზრუნვა ილია ჭავჭავაძეს მოუწევს.

1844

ოეიმურაზის დაბადება. გრიგოლის ოჯახი. ძმის სახელი.

მანანა ორბელიანი

„ვხედავ ჩემს თავს პატარა სოფელში“.

ილია

1844 წლის 12 დეკემბერს გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში ვაჟი დაიბადა – თეიმურაზი. თეიმურაზი გრიგოლის მეხუთე შვილი იყო. ორი წლის შემდეგ თანასოფლელებმა ყვარლის მებატონეს კიდევ ერთხელ მიულოცეს ვაჟიანობა. გრიგოლმა ვაჟს სვიმონი დაარქვა, ადრე დაღუპული უფროსი ძმის სახელი. უკვე ვთქვით, რომ პაატას, გრიგოლის მამას, 5 ვაჟი ჰყავდა. გული უტიროდა გრიგოლს იმის გახსენებაზე, რომ მის ძმათაგან აღარავინ იყო ცოცხალი. ისინი სრულიად ახალგაზრდები აღესრულნენ: გრიგოლის მომდევნო ძმები ლეკებმა მოკლეს დაღესტანში. უფროსი, სიმონი კი 1827 წელს დაიღუპა ერევნის ციხის აღების დროს. ერევნის ციხის აღებაში მონაწილეობას ღებულობდა გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც პოემა „სადღეგრძელოში“ გაიხსენა და ამით უკვდავყო დაღუპულთა სახელები:

„კმარა მოძღვრობა... დავლიოთ, ვინ იცის, ხვალ ვინ მოგვაკლდეს?
ნაცვლად ლხინისა, იქნება ვისმე გვითხრიდნენ სამარეს?
ოხ! ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს.
ანუ სჭვრეტდეს საშიშ ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს!“

ამ ტკივილიან სტრიქონებს მოსდევს პოეტისავე კომენტარი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ცნობაა დაცული: „ერევნის ფორშტატში მოჰკლეს სვიმონ ვაჩნაძე, ჯავან-ბულაღის ომში გაბრიელ დოდაშვილი და ურდო აბბასის სიახლოეს **სვიმონ ჭავჭავაძე**, სამნივე მშვენიერნი და სავსე გონებითა ყმაწვილნი კაცნი.“ ამ ომში გრიგოლ ჭავჭავაძის ძმამ სხვა მრავალ ქართველთან ერთად სამარე ჰპოვა, მთავარსარდალმა პასკევიჩმა კი სახელი და დიდება. ერევნის ციხის აღების შემდეგ პასკევიჩს „ერევანსკის“ სახელით მოიხსენიებდნენ (როდესაც პოლონეთის აჯანყება სისხლში ჩაახშო, ზეწოდებად „ვარშავსკი“ უბოძეს.). თბილისში ერთ-ერთ მოედანს (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) პასკე-

ვიჩის პატივსაცემად „ერევანსკის" მოედანი ერქვა (არა ერევნის, როგორც ხშირად წერენ შეცდომით). ერთი სიტყვით, სპარსეთთან ომში დაღუპული ძმის პატივსაცემად გრიგოლმა ნაბოლარა შვილს სვიმონი დაარქვა. გრიგოლი, ოთხი ვაჟისა და ორი ქალიშვილის პატრონი, გახარებული იყო, რომ მისი მამის პაატა ჭავჭავაძის შტო გრძელდებოდა. ადრე დაღუპულ ძმათაგან მემკვიდრე არავის დარჩა. ეს დანაკლისი მის შვილებს უნდა შეევსოთ, ემრავლებინათ ჭავჭავაძენი. მაგრამ განგებამ ასე არ განსაჯა. სვიმონი ჩვილი გარდაიცვალა. სიკვდილისთვის არაერთხელ ჩაუხედავს თვალებში მშობლებისა და ოთხი ძმის დამკარგავ გრიგოლს, მაგრამ მის ოჯახში, მარიამთან ერთად შექმნილ ოჯახში, სვიმონის გარდაცვალება სიკვდილის პირველი გამოჩენა იყო. მერე შეეჩვია და გრიგოლ ჭავჭავაძის სახლთან ახლოს დაიბუდა უბედურებამ. გავა დრო, ილია ჭავჭავაძე დაწერს სევდით აღვსილ სტრიქონებს: „ვხედავ ჩემს თავსა პატარა სოფელში, პატარა ფუნჩულა დაძმებს, ვხედავ როგორ დაგვხარიან დედა, მამა, როგორ შევხარით ბავშვური სიხარულითა დედას, მამას. მესმის უგუნური ტიტინი ჩემი პატარა დისა, პატარა ძმისა, მესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედაჩემისა, მამაჩემისა, დღეს ყოველივე ეს იყო ტკბილი სიზმარი, დღეს იმ პატარა სოფელში, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე, რისთვისაც ეხლა გული მეწვება, მედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და და ამასთან ერთად ჩემი ბალღობაცა." როცა ამ ტკივილიან სიტყვებს წერდა (წერდა მხატვრულ ნაწარმოებში, ამიტომ არ არის ზუსტი ჩამონათვალი), ილია მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო. მან ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებში დაკარგა თავისი უსაყვარლესი ადამიანები. 9-10 წლის იყო ილია, როცა პატარა ძმა მოუკვდა. 11 წლისას დედა გარდაეცვალა. 15 წლის ასაკში აღარც მამა ჰყავდა. 17 წლისას ძმა ლეკებმა მოუკლეს, ხოლო პეტერბურგში სტუდენტმა ილია ჭავჭავაძემ ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ძმაც თავისი ხელით მიაბარა საფლავს. 1883 წელს ნინოც გარდაიცვალა, ილიას უფროსი და. გრიგოლ ჭავჭავაძის მრავალრიცხოვანი ოჯახიდან მხოლოდ ორნი დარჩნენ – ილია და ელისაბედი. გრიგოლის ვაჟებს მემკვიდრე არ დარჩენიათ. კონსტანტინეს ცოლად პოლონური წარმოშობის რუსის ქალი ჰყავდა, მას შემდეგ რაც ქმარი ლეკებმა მოუკლეს, ქალი რუსეთში წავიდა. ჰყავდა ვაჟი. ილიას ერთადერთი ძმისშვილი – სვიმონი (სენო),

მაგრამ იგი ახალგაზრდა დაიღუპა. სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ილიას რძალიც.

სჯულიერ თანამეცხედრესთან ილიას შვილი არ ჰყოლია.

თუმცა მოვლენებს გავუსწარით, გრიგოლ ჭავჭავაძემ, ცხადია, არაფერი უწყის მომავლის შესახებ. ვაჟი შეეძინა, გვარის კიდევ ერთი გამგრძელებელი. „სისხლით მდიდარი და ხორცით ღარიბი თავადიშვილი" პატარ-პატარა წვეულებებს იხდის. დეკემბერია. ერთმანეთთან მისვლა-მოსვლისა და ლხინის დრო. გრიგოლი ყოველდღე მეზობლებისა და ნათესავების მისაღებად ემზადება.

იმ დღეებში საქართველოში ყველას: აზნაურს, თავადსა თუ „უაზნოს" ასევე მოლოდინის გრძნობა ჰქონდა. სტუმრის მისაღებად ემზადებოდნენ, მაგრამ არა უბრალო სტუმრის. იმპერატორმა კავკასიას ახალი მთავარმართებელი, უფრო სწორად, მეფისნაცვალი გამოუგზავნა.

1845

ვორონცოვის დანიშვნა. მთავარმართებ-ლისა და მეფისნაცვლის ინსტიტუტების განსხვავება. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

„დედინაცვალი მშობელ დედასავით“...

მ. ვორონცოვი

საქართველოში ნეიდგარტის მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მართალია, მისი მთავარმართებლობის ჟამს ჩვენში აჯანყება არ მომხდარა და ამით იმპერიის სასახლის კარი არ შეშფოთებულა, როგორც 1841 წელს, მაგრამ ნიკოლოზ პავლეს ძე, როგორც ჩანს, მაინც არ იყო დადებითი აზრისა კავკასიის გამგებლის მოღვაწეობაზე. საამისო მიზეზი ჰქონდა კიდეც იმპერატორს. რუსეთმა რაც კავკასიაში მოიკიდა ფეხი, იმის შემდეგ მთის ტომთა პატარ-პატარა აულების ასაღებად იბრძოდა. არა და არ იქნა შამილისა და მის მებრძოლთა ნებისყოფის შერყევა, მათი გატეხვა და დამორჩილება. ნეიდგარტის მოღვაწეობის დროს იმპერიის გენერლებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს, არა თუ წარმატებას, პირიქით, 1841-1843 წლები შამილის გამარჯვებებით აღინიშნა. 1843 წლის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში რუსეთის მხრიდან შამილთან ბრძოლებს შეეწირა 3000 ჯარისკაცი და ოფიცერი. ნადავლის სახით მთიელებმა ხელთ იგდეს რუსთა 35 ზარბაზანი, ურიცხვი ვაზნა, გაანადგურეს მტრის 12 ციხე-სიმაგრე.

ნიკოლოზ პირველმა 1844 წლის დეკემბერში ნეიდგარტი გაიწვია და მის ნაცვლად 27 დეკემბერს დანიშნა მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი. ვორონცოვი თითქმის ათი წლის განმავლობაში განაგებდა კავკასიას. მისი მმართველობის ხანას დაემთხვა ილია ჭავჭავაძის მოწაფეობის წლები. „როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში ილიას ყველაფრით განსხვავებული დრო დახვდა.“

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ ვორონცოვი წინამორბედ მმართველებზე მეტი უფლებებით იყო აღჭურვილი. საქართველოში 1801 წლიდან არსებობდა მთავარმართებლობის სისტემა. მთავარმართებელი ემორჩილებოდა იმპერიის თითოეულ მინისტრს. ვორონცოვი მეფისნაცვლის უფლებებით აღჭურვა იმპერატორმა. მას უშუალო კავშირი ჰქონდა ნიკოლოზთან. მეფისნაც-

ვალი თავს სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდა და იმპერიის ბიუროკრატიულ აპარატში იძულებული აღარ იყო ყოველ მინისტრს ფეხქვეშ გაგებოდა. ემორჩილებოდა მხოლოდ სამხედრო მინისტრს. ვორონცოვი არა მარტო განსხვავებული უფლებებით აღჭურვილი მმართველი გახლდათ, არამედ საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ განსაკუთრებული პოზიციაც ჰქონდა. ამ პოზიციის უკეთ წარმოსადგენად საჭიროდ ვრაცხთ მცირე ისტორიულ ექსკურსს მთავარმართებელთა ინსტიტუტის ისტორიიდან.

საქართველოს პირველი მთავარმართებელი იყო **კნორინგი** (1801-1802), რომელმაც სიონის ტაძარს სამპირად შემოარტყა ჯარი და ქართველ თავადაზნაურობას იმპერატორის ერთგულების ფიცი მიაღებინა. კნორინგი შეცვალა **ციციანოვმა** (1803-1806). მან იარაღის ძალით გადაასახლა უფლისწულები რუსეთში. არ დაინდო გიორგი მეფის მეუღლეც, ციციშვილის ასული მარიამი.

გუდოვიჩი (1806-1809). მარცხი განიცადა უნიჭოდ ჩატარებული სამხედრო ოპერაციების განხორციელებისას, რის გამოც პეტერბურგს გაიწვიეს. **ტორმასოვი** (1809-1812). „კაცი მძვინვარე, ამპარტავან და უწყალო". <u>მარკიზ პაულიჩი</u> (1812-1813). „კაცი ელამი, რაგვარადაც თვალითა, ეგრეთვე სულითა და მოქმედებითა". **რტიჩშევი** (1813-1816). „კაცი ესე იყო ფრიად მექრთამე – ვინცა მისცემდის ქრთამსა, გაუშვებდის და ვინცა არა – წარგზავნიდეს ციმბირსა, და გარდა ამისა იყო შტერიცა". **ერმოლოვი** (1816-1827). „კაცი ესე იყო არა უგნურ, არამედ იყო ქუეგანმხედველი, ქუებუდან, მცბიერ და ფიცხელ... მოვიდა რა ტფილისს, შემოარღვია ამანა ზღუდენი ტფილისისანი და რაოდენნი ნაწილნი ციხენიცა დააქცია და გარდა ამისა მოჰყვა ნგრევასა ტფილისისასა, რათა აღაშენოს მან პლანითა. ამასზედა ფრიად ურვეულ იქნენ და შეჭირვებულ ტფილისსა შინა მცხოვრებნი". ასე ახასიათებს თეიმურაზ ბატონიშვილი აქ ნახსენებ მთავარმართებლებს, რომელნიც მახვილით ცდილობდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებას. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა **პასკევიჩის** (1827-1831), **როზენის** (1831-1837), **გოლოვინის** (1837-1842) და **ნეიდგარტის** (1842-1844) დროსაც და აი, მათ შემდეგ საქართველოში ჩამოდის **გრაფი ვორონცოვი,** ევროპული ენების მცოდნე, განათლებული და გონიერი მმართველი. ვორონცოვს წინარე განმგებლებთან შედარებით ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ შესანიშნავად იცნობდა საქართველოს. აქ იგი ჯერ კიდევ პავლე ციციანოვის მთავარმართებლობის დროს მსახურობდა. იცოდა ქარ-

თველი კაცის ზნე, ჩვეულება, ხასიათი. არადა, ჩვენს ხალხს ისეთი მმართველებიც ახსოვდა, საქართველოს კი არა, რუსეთის შესახებაც რომ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, მაგალითად, დიმიტრი ყიფიანის გადმოცემით, ქუთაისში ყოფილა ვინმე სვიმონ მიხეილის ძე ესპეხო, მმართველი იმერეთისა, სამეგრელოსი, გურიისა, აფხაზეთისა და სვანეთისა. ესპეხო შთამომავლობით ესპანელი იყო, ევროპული ენების მცოდნე, მაგრამ ქართულსა და რუსულზე კი მწყრალად გახლდათ. ასე რომ, მმართველს ხალხის ენა არ ესმოდა, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მნიშვნელობით, მმართველობით კი, როგორღაც მაინც იოლად მმართველობდა... საქართველოში ნამყოფსა და ნამსახურ ვორონცოვს, ცხადია, იმედით შეჰყურებდა ქვეყანა, სიხარულით მიიღეს მეფისნაცვალი – „სადღეგრძელოებითა, ზარბაზნების სროლითა, ურათი, ჩირაღდანითა". ვორონცოვმა იმდენი გააკეთა საქართველოში ყოფნის ათი წლის მანძილზე, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ გულწრფელად შეაყვარა თავი. მეფისნაცვლისადმი ჩვენი ხალხის დამოკიდებულება აირეკლა აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი". გრაფის სიკვდილის შემდეგ, როგორც აკაკი გადმოგვცემს, რუსეთში მყოფი ან მიმავალი თითოეული ქართველი თავს ვალდებულად თვლიდა, ვორონცოვის ქვრივი ენახა. ერთხელ აკაკიც სტუმრებია ამ უკანასკნელს. ნასიამოვნებ ვორონცოვის ქვრივს უთქვამს: „ვახსოვართ ქართველებს და სჩანს, რომ ჩემს ქმარს მალე არ დაივიწყებენო". „სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, ვორონცოვის სახელიც არ დაივიწყება მეთქი", – წამოვიკნავლე მე ეს უფროსებისგან ჩვენში ბევრჯერ ნათქვამი და ჩემგან გაგონილი გულში ჩარჩენილი სიტყვები", – იგონებდა აკაკი წერეთელი.

ნუთუ, მართლა კავკასიისათვის თავგამოდებული მეფისნაცვალი გამოაგზავნეს თბილისში? – ვორონცოვს ერთადერთი მიზანი ჰქონდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ქართველ ერს დედინაცვალი მშობელ დედასავით შეჰყვარებოდა"**. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი ფრთხილად მოქმედებდა, მისი საქმიანობის მოკლე კონსპექტად შეიძლება მივიჩნიოთ იმპერატორისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი: ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი რეფორმა, რომელიც საუკუნეობით შექმნილ ჩვეულებებსა ცვლის, ყველგან არაჩვეულებრივ სიძნელეს წარმოადგენს ცხოვრებაში გატარების დროს, განსაკუთრებით კი ამ მხარეში, ამისთვის ამგვარ შემთხვევაში საჭიროა დიდი სიფრთხილით

მოქმედებაო. მან ჩამოსვლისთანავე ქართველ ინტელიგენციას მხარი დაუჭირა ყოველგვარ კულტურულ საქმიანობაში, მაგრამ ყოველივე ეს კეთდებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის უფრო დახვეწილი ფორმით განსახორციელებლად, რაც მაშინ ბევრს არ ესმოდა. თავადაზნაურობა მეფისნაცვლის მზეს ფიცულობდა, თითო-ოროლა ქართველი კი იმთავითვე ხედავდა ახალი პოლიტიკის ნამდვილ არსს, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი წერდა: „სხვა წარსული მთავარმართებლები ხომ გვატყუებდნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტური მძვინვარებით, ხოლო ის დრო ვორონცოვისა, საქართველოში, ჩვენი გამოუცდელობისათვის სულ სხვაგვარი მოსატყუებელი დრო იყო ვორონცოვისაგან... ალერსითა მითომ კაიკაცობას გვიჩვენებდა, ნამეტნავად კიდევ უფრო იმით, ვინც რუსეთის ინტერესებზე იქცეოდა, მასთან ხელგაშლილი, ჩინებსა და სხვა ჯილდოს იძლეოდა, თან ბევრი შეძლება და განცხრომა ჰქონდა ხოლმე... ამიტომ ვორონცოვის სახელს ადიდებდნენ: ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო, ვიცოდი, ესეები სულ მოჩვენება იყო ვორონცოვისგან. რომ საქართველოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითა და ამაებში და მთავრობაზედ ცუდი ფიქრი აღარავის ჰქონდეს. ამისათვის, რომ ვორონცოვის დროს შამილი და დაღესტანი გაძლიერებულნი იყვნენ. ქართველების ეშინოდა, მაგრამ ვორონცოვმა იმ თავისი ცბიერი გონებითა ესეები სუ ჩაშალა და ბოლო დროს **ისევ მონობაში დარჩნენ ქართველები, როგორც ადრე იყვნენ რუსებისა“.**

სწორედ იმ წელიწადს, ვორონცოვი რომ ჩამოვიდა საქართველოში, რვა წლის ილია ჭავჭავაძემ სწავლა დაიწყო... ილია მიაბარეს სოფლის მთავარ დიაკვანს. სოფლის მთავარდიაკონი პატარა ილიას საქართველოს წარსულის ამბებს მოუთხრობს. იმ ნათელი კაცის ნაამბობი, მომავალში ილიას მხატვრულ თხზულებებში იჩენს თავს....

დაბოლოს, სწორედ იმ წელიწადს საქართველოში დიდი ტრაგედია ხდება. გარდაიცვალა კაცი, რომლის დარი პოეტი შეიძლება საუკუნეში თითო-ოროლა გვყავდეს ან რამდენიმე საუკუნემ ისე შეისვენოს, რომ მისი მსგავსი აღარც დაიბადოს. ასეთი კაცის გარდაცვალება დიახაც რომ ეროვნული ტრაგედიაა. მით უფრო, გარდაცვალება 27 წლის ასაკში. სამშობლოდან შორს, მიყრუებულ განჯაში, ისე, რომ არც ერთმა ახლობელმა არაფერი უწყოდა. 15 დღე მალარიის სენს ებრძოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. აუხდა წი-

ნასწარმეტყველება, უცხო მხარეში არავისგან დატირებული, 1845 წლის 10 ოქტომბერს გაეყარა გენიოსის სული ხორცს. იმ დღეებში, როცა ბარათაშვილი სიკვდილს ებრძოდა, იქ გვერდით სახლში იმყოფებოდა თბილისიდან ჩასული ერთადერთი „შინაური", ბარონი ნიკოლაი. ადამიანს ვერ უწოდებ ამ ცივსისხლიან რუსის ჩინოვნიკს, რომელიც თავის იქ ყოფნას დღიურში აღწერს და არათუ დაეხმარა მომაკვდავ პოეტს, დღიურშიც კი ერთი სიტყვით არ მოიხსენებს ტრაგიკული ბედის გენიოსს. ბედის ირონია თუ გინდა, ეს არის. სწორედ ბარონი ნიკოლაი გახდება ჭავჭავაძეთა ოჯახის სიძე (ალექსანდრეს შვილი – სოფიო შეირთო ცოლად). იმ ოჯახისა, რომელიც ბედისწერად ექცა ტატოს. დამარხეს მართლმადიდებლური ეკლესიის ეზოში, კიპაროსის თუ აკაკის ხის ძირას და ამ ხემ იხსნა საქართველო სირცხვილისგან (საფლავის ქვა წლისთავზე რომ დაადგა ილია ორბელიანმა, „მერანი" სწორედ მას ეძღვნება, ერთ წელიწადში მოიპარეს)... ნახევარი საუკუნის შემდეგ ბარათაშვილის დიდი „მოკანანახის" – პოეტური მიმდევრის, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით პოეტის ცხედარი საქართველოში გადმოასვენეს.

1846

თეკლა ბატონიშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალება. ორ ვერცხლის კულაში და ორ საკაბეში გაყიდული მამულები.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

„სილარიბე სჯობს ობლობას“.

ხალხური

ტატოს გარდაცვალებიდან დიდი დრო არ იყო გასული, როცა ერეკლეს გვერდით სვეტიცხოველში მიწას მიაბარეს თეკლე ბატონიშვილი. დედა ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანებისა, მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა და სასჯელმოხდილი შვილებთან ერთად. ტყუილად როდი შეარქვა ბავშვობაში ერეკლემ „თეკლა ბიჭი“. ეს იყო ქალი, რომელიც მამაკაცებს აქეზებდა და თავადვე იღვწოდა რუსთაგან მამულის გამოხსნისათვის. იგი იყო სიმბოლო ქართველი დედისა. შვილებს მოუწოდებდა, თუ გატყდებით, არ გიტირებთო, ქმარს კი აჯანყებულ კახელთა მხარეზე დგომას სთხოვდა 1812 წელს. დაე, შენი ცოლ-შვილი სულაც აგვკუწონ რუსებმაო. აი, ეს ქალი მიიცვალა მარტში 1846 წლისა.

ვიდრე კავკასიის მთიანეთში იმამი შამილი თავისუფლებისათვის ბრძოლას განაგრძობდა, მანამდე საქართველოს საკითხიც აფიქრებდა და აშინებდა რუსეთს. აქა-იქ ხმა დადიოდა, შამილი ალექსანდრე ბატონიშვილის შვილიაო, ეს ხმა შამილსაც ესმოდა და არათუ ხელს უშლიდა მის გავრცელებას, სიამოვნებდა კიდეც, რადგან, ერთი მხრივ, მეფური წარმომავლობის შარავანდედს იფერებდა, მეორე მხრივ კი, ქართველებს ამუნათებდა, სისხლით და ტომით თქვენი ვარო. მტრობის დავიწყებას და მხარდაჭერას სთხოვდა, მაგრამ ვორონცოვი შამილზე გამჭრიახი და მოქნილი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. მისი გეგმა წინარე მმართველთაგან განსხვავებით ითვალისწინებდა არა ქართველი ხალხის დაშინებას, არამედ ერთგულ მოკავშირედ ქცევას, მინდობას და მათი ყოფის შერწყმას რუსულ სინამდვილესთან. ამ მიზანს ვორონცოვი წარმატებით ახორციელებდა. მან მონარქისადმი მეტი სიყვარულით და ერთგულებით განაწყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ასპარეზზე მოღვაწე ქართველები. დაღესტნის მთებში მებრძოლებს თავგანწირვას უფასებდა და ჩინ-მედლებს უხვად ურიგებდა,

ზურგის სიმშვიდე კი იმით დაიცვა, რომ ადგილობრივი უმაღლესი წოდების წარმომადგენლები .დაიახლოვა, ქართველი მოხელენი დააწინაურა. 1845 წელს ვორონცოვი იმპერატორს სწერდა: „აქ ნამეტნავად ბევრია უსაქმოდ მოხეტიალე რუსის მოხელეობა. ამის გარდა, ყოველწლიურად მატულობს იმ ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვი, რომელნიც განათლებას ღებულობენ რუსეთის გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში. ისინი ცდილობენ ადგილის შოვნას. ვიღებ რა მხედველობაში ყველა ამ გარემოებას, მე განკარგულება გავეცი, რომ თუ განსაკუთრებული საჭიროება არაა, ისე აღარ გამოიწვიონ რუსეთიდან მოხელეები და თუ ასეთი საჭიროება იქნება, ყოველ ცალკე შემთხვევაში ჩემი ნებართვა ითხოვონ ხოლმე."

მეფისნაცვალი გარდა მოხელეებისა, როგორც ითქვა, დახმარებას უწევდა კულტურის მოღვაწეთ. პლატონ იოსელიანის რედაქტორობით 1845 წელს გამოვიდა ყოველკვირეული ქართული გაზეთი „კავკასიის მხარეთა უწყებანი", იმავე წელს დაარსდა რუსული თეატრი. 1846 წელს გამოიცა რუსული გაზეთი „კავკაზი", თბილისში გაიხსნა წმინდა ნინოს სასწავლებელი (სწორედ ამ სასწავლებელში შეიყვანეს ილიას უფროსი და ნინო), იმავე 1846 წელს თბილისში ჩამოვიდა ვინმე პელეტი, რომელმაც გახსნა ფრანგული წიგნის მაღაზია; ასე რომ, თბილისი თანდათანობით „ძალიან ბაძავს პეტერბურგს", ქალაქი ევროპეიზაციის გზას ადგება...

1846 წელს თბილისს თავზარდამცემი ამბავი მოედო: უბედური შემთხვევის გამო მოულოდნელად დაიღუპა ბრწყინვალე ქართველი რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე. (სხვათა შორის, ამ წელს გარდაიცვალა მისი მძახალი, სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანიც).

ალექსანდრემ პირველი საბრძოლო ნათლობა რუსთა წინააღმდეგ აჯანყებაში მიიღო 1804 წელს. ყმაწვილი სახლიდან გაიპარა და ფარნაოზ ბატონიშვილს მიემხრო. დაატყვევეს, ტამბოვს გადაასახლეს. შემდეგ ვხედავთ 1812 წლის აჯანყებაში, ამჯერად რუსების რაზმში, მაგრამ დაჭრა უხაროდა, ბრძოლას გამოეთიშა...შემდეგ არის ბარკლაი დე ტოლის ადიუტანტი, ებრძვის ნაპოლეონს და ჩადის პარიზამდე. უკან დაბრუნებულს ვხედავთ ყველა ომში თურქებთან, სპარსებთან, ლეკებთან. აქვს ბრწყინვალე განათლება – ფლობს ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, სპარსულ ენებს. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ ისევ ტამბოვს გაასახლეს. უშველა ეკატერინესა და ალექსანდრე I-ის ნათლულობამ. დაბრუნება,

ისევ ომები და აი, ეს კაცი იმსხვერპლა უბირმა ქალმა. აივნიდან სარეცხი წყალი გადმოაქცია. ცხენები დაფრთხნენ. შინელი ეტლის ბორბლებმა ჩაიხვიეს და პოეტმა ქვაფენილზე დაანთხია ტვინი...

1846 წელს დაღესტნის მთებში რუს-ქართველთა ჯარი წარმატებას აღწევს. ერთ-ერთი ბრძოლიდან შამილმა ძლივს გააღწია.

გაივლის წლები, მოვა ახალი თაობა, რომელიც მამებს განვლილ ცხოვრებას დაუწუნებს. გმირი სარდალი და სასიქადულო ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი ილია ჭავჭავაძის „გამოცანებით" განრისხებული დაწერს:

„მამანი თქვენი
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ
სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები,
ქებით გეტყვიან მათ დიდთა საქმეთ!"

ზემოთ არ გვითქვამს, შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად ილიას მამაც წავიდა. გრიგოლ ჭავჭავაძე 1845 წელს მილიციის ჯარში (მილიცია გლეხებისგან შემდგარ ჯარს ერქვა) ათასისთავად დანიშნეს. ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისთვის მას შტაბს-კაპიტნის წოდება უბოძეს. იმავე 1845 წელს გრიგოლი ოჯახს დაუბრუნდა. ყვარლელ თავადიშვილს გრიგოლ ჭავჭავაძეს სახელი და დაფასება არ აკლდა, მაგრამ ძმათაგან დანატოვარი თუ მისი საკუთარი ვალების გადასახდელად გმირის სახელი არ კმაროდა. მევახშეები ფულს სთხოვდნენ. გრიგოლს ეშინოდა, სხვა თავადთა ბედი არ გაეზიარებინა, მისი მამულები არ გაეყიდათ და უსახლკაროდ არ დარჩენოდა შვილები. ასეთი მაგალითი კი ბევრი შეიძლებოდა გახსენებოდა. ვისაც ფული დასჭირდა, ყველა ვაჭრის მსხვერპლი გახდა. ჯერ კიდევ 1820 წელს „მარტოდ ორთაჭალაში გაიყიდა 15 კარგი ბაღი, რომელიც ბატონიშვილებს ეკუთვნოდათ. 20-მდე ბაღი ქართველი თავადიშვილებისა სოლოლაკზე გაიყიდა. მაშინ, ვინც თბილისში თავადიშვილები ცხოვრობდნენ, ყველას ჰქონდათ თითო ან ორ-ორი ბაღი. დღეს კი, მთელს თბილისში ორ კაცსაც აღარ აბადია. მარტო ბაღები კი არა და, მთელი თბილისი მამულებიც ასევე წაუვიდათ ქართველთ ხელიდან. ვაჭრები 1830 წლების შემდეგიდან გამდიდრდნენ, როცა მათ ქართველთა

მამულებს უხვად უწყეს შებოჭვა"... ერთ ქართველ თავადიშვილს დიდი მამული (დღევანდელ თავისუფლების მოედნის და მისი შემოგარენის ტერიტორია) ორ ვერცხლის კულაში და ორ საკაბეში გაუყიდეს. შემორჩენილია სხვა ცნობაც: ერთ ქართველ მღვდელს ვაჭრის ვალი ჰქონია 60 მანეთი. დათქმულ ვადაზე ეს ფული ვერ გადაუხდია და ქაშუეთის პირდაპირ ის შენობა, სადაც ახლა მხატვრის სახლია – ძველი სასტუმრო „ორიენტი" (ახლა იქ აღარც ძველი სასტუმრო „ორიენტია" და აღარც მხატვრის სახლი, ახლა იქ კიტოვანის შემოქმედების ნაყოფი – ცარიელი, პარტახი მიწაა. – **ნ.გ.**) 60 მანეთად დარჩენია ვაჭარს.

ამგვარი მაგალითების მოტანა, სამწუხაროდ, მრავლად შეიძლება. ჩვენი თავადების ბედოვლათობის მიზეზით, ეს პროცესი თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. გრიგოლ ჭავჭავაძე ვალებს ვერ ისტუმრებს, მაგრამ სასწაულებრივი ძალით მაინც მოახერხებს მამულის შენარჩუნებას.

მოახლოებულია პატარა ილიას ქალაქის სასწავლებელში შეყვანის დრო. იმის გამო, რომ სასწავლებელში შესატანი ფული არ აქვს, გრიგოლი იძულებულია, თხოვნით მიმართოს თავადაზნაურობის წინამძღოლს სიღარიბის მოწმობის გაცემის შესახებ.

Вашему сиятелъству небезызвестно, что при ограниченном состоянии моем, подлежащем дележу на три части между мною, младшим братом и сиротами старшего брата, не могу датъ детям своим – Константину, Илье и дочери Элизабет- приличного по званию моему воспитания, и поэтому я желаю просить о воспитании детей моих в одном из казенных учебных заведений. А как при этом нужно мне иметъ удостоверение вашего сиятелства о нсдостаточном состоянии моем, то я имею честь покорнейше просить о выдаче в сем свидетелъства в трех экземплярах, Штабс-капитан кн.Чавчавадзе.

გრიგოლს სიღარიბის მოწმობა მისცეს, რომელიც ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა...

1847

ილიას პირველი მასწავლებელი, სილარიბის ცნობა, თავადთა სიაში ჩარიცხვა.



მთავრის სკოლა (ნახატი)

„ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს"...

(ილიას ავტობიოგრაფიიდან)

ღირსებისა და თავმოყვარეობის შეგრძნება არასოდეს დაუკარგავს ქართველ კაცს. ჩვენს თავადაზნაურობას ეს თვისებები, მოჭარბებულადაც ახასიათებდა, იმდენად, რომ თავმოყვარეობა ხშირად პატივმოყვარეობასა და ამპარტავნობასთან იყო გაიგივებული. გრიგოლ ჭავჭავაძე ამპარტავანი კაცი არ იყო. იგი ღირსეული, თავმოყვარე პიროვნება გახლდათ. გრიგოლის ღირსებასა და სიამაყეს პიროვნული თვისებებიც განაპირობებდა და გვარიშვილობაც.

„სისხლით მდიდარი" გრიგოლ ჭავჭავაძისათვის ადვილი არ იყო სათხოვნელად მისვლა თავად-აზნაურობის წინამძღოლთან, რათა ამ უკანასკნელისგან სიღარიბის დამადასტურებელი საბუთი მიეღო. თავადის ღირსებისათვის ეს ნაბიჯი ერთობ შეურაცხმყოფელი რომ გახლდათ, კარგად ჩანს აკაკის მამის როსტომ წერეთლის ცხოვრების ერთი ეპიზოდიდან: როსტომი ვორონცოვს პირადად იცნობდა. კავკასიის მეფისნაცვალი მას ერთი შვილის სახელმწიფო ხარჯზე გაზრდას შეჰპირებია. ამ ფაქტთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ქუთაისის პოლიციის სახელზე დაწერილ როსტომ წერეთლის განცხადებას: „ვორონცოვისგან შეპირებული მქონდა, ერთ შვილს სახელმწიფო ხარჯზე გაგიზრდიო. ახლა, ამასთან დაკავშირებით, პოლიციამ სიღარიბის მოწმობა მომთხოვა. მე ასეთ მოწმობას ვერ წარმოვადგენ, რადგან არ შემიძლია ტყუილის თქმა და „სიფალშივის" ჩადენა. უარს ვამბობ ჩემს თხოვნაზე და გთხოვთ ამ საგანზე შეტანილი ყველა საბუთი უკანვე დამიბრუნოთ". არადა, გარდა იმისა, რომ როსტომს „ტყუილის" თქმა ეძნელებოდა (თუმცა ვერც სიმდიდრით დაიკვეხნიდა იგი), სიღარიბეზე ოფიციალურად დაჩივლებაც თავადური ღირსების შელახვად მიაჩნდა. ილიას მამას გამოსავალი აღარ ჰქონდა. იძულებული იყო, მისთვის უსიამოვნო ნაბიჯი გადაედგა,

მაგრამ რა, მისმა ცდამ შედეგი არ გამოიღო. სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით შვილის ჩარიცხვაზე უარი უთხრეს და ორმაგად შეურაცხყოფილი გრიგოლ ჭავჭავაძე თბილისიდან ყვარელს დაბრუნდა. ასე რომ, ერთი წლის შემდეგ, 1847 წელსაც პატარა ილია კვლავ სოფლის მთავარდიაკვანთან განაგრძობდა სწავლას. თვით ილიას ამით არაფერი დაუკარგავს. ენციკლოპედიისათვის დაწერილ ავტობიოგრაფიაში, მიუხედავად ავტობიოგრაფიის სპეციფიკურობისა, ილია საკმაოდ ვრცლად ახასიათებს თავის პირველ მასწავლებელს:

„მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგი მკითხველისა, ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვებისთვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა. ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცავად. ბევრი ამ ამბავთაგან ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის – „დიმიტრი თავდადებული“ – თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადათ ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა. მთავართან ვსწავლობდი ამავე ჩემ სამშობლოს სოფლის გლეხკაცების შვილებთნ. რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა მხოლოდ შუადღემდე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ ერთ საათს ვანდომებდით თვით მთავრის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს“

ეს ვრცელი და ცნობილი ამონაწერი, იმად მოვიხმეთ, რომ წარმოგიდგინოთ ის პატრიარქალური ხალხური სკოლა, რომელიც ძველი საქართველოს სოფლებისათვის ჩვეულებრივი და დამახასიათებელი იყო. ილიას ამ ჩანაწერში მოხსენიებულმა სიტყვამ „მთავარი“ ზოგიერთი მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა, მათ მთავარი საერო პირი ჰგონიათ, რომელიც, როგორც ტოლსტოი, გლეხის ბავშვებს ასწავლიდა. ამ შემთხვევაში სოფლის თავადიშვილთან ერთად.

ილიას პირველი მასწავლებელი, ცხადია, სოფლის სასულიერო პირი იყო. შეცდომა მოდის იქიდან, რომ ილია, როგორც მაშინ მი-

ღებული იყო, შემოკლებით წერს მისი სასულიერო ხარისხის შესახებ. იგი გულისხმობს მთავარ დიაკონს. ასევე წერს ერთგან გრიგოლ ორბელიანიც – აივანზე რომ გადმოვდგებოდი ანჩისხატიდან მთავრის გალობა მესმოდაო, ცოტა ქვემოთ კი დასძენს, მთავარდიაკონი კარგად გალობდაო. ეს არის და ეს.

ერთი სიტყვით, 1847 წელს ილია მთავარდიაკონთან დადიოდა სასწავლებლად. წლის მიწურულს იგი ციებით ავად გამხდარა. გრიგოლმა შვილი თბილისს ჩამოიყვანა სამკურნალოდ, ექიმებში იარა, მაგრამ ყველას ცდა უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს ვიღაც ფერშალს განუკურნავს გრიგოლის ვაჟი და უთქვამს, თავის დღეში ამას აღარ გააციებსო. მართლაც, მას აქეთ ჩემთვის არ გაუციებიაო, – ხალისობდა შემდეგში ილია. თბილისში მყოფმა გრიგოლ ჭავჭავაძემ თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსაც მიაკითხა. მომავალი წლიდან ილია დედაქალაქში უნდა ჩამოეყვანა სასწავლებლად. ილიას თავადობის დამადასტურებელ საბუთს მოსთხოვდნენ და „საკრებულოშიც“ ამ საქმის მოსაგვარებლად შეიარა გრიგოლმა. ასეთი საბუთის აღება ვორონცოვის დროს, აღმოსავლეთ საქართველოში მაინც, ადრინდელივით ძნელი.აღარ იყო. მართალია, თავადობის დამადასტურებელი ძველი სიგელ-გუჯრები ყველამ ვერ მოიძია, მაგრამ, როგორც იქნა, ერთ საბუთს მიაქციეს ყურადღება, რომლის ძალითაც წოდების მაძიებელთა 30 წლიანი უსარგებლო აურზაური შეწყდა. ეს საბუთი 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი იყო. დიმიტრი ყიფიანი იგონებს: „დარწმუნდნენ, რომ საქართველოს თავად-აზნაურთ, რომელთა სია ცალკე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ერეკლე მეფისაგან, ტრაქტატი სცნობდა თანაბრის უფლებებით რუსეთის თავად-აზნაურებთან და რომ თვით სიაც თავის დროზე იყო წარდგენილი და ჩართული ცნობიდან; ჩამოთვლილი იყო შიგ ამნაირად მიღებული ყველა გვარი საქართველოს თავადაზნაურობისა! (იგულისხმება აღმოსავლეთი საქართველო. – **ნ.გ.**) მაშ ეს ალიაქოთი რაღასთვის იყო?" 1847 წლის 13 დეკემბერს გრიგოლ ჭავჭავაძის ვაჟი ილია თავადების სიაში ჩარიცხეს. ამ საბუთის აღებისათვის ბრძოლამ გრიგოლიც გატანჯა და კარგა ხნის შემდეგ არც მის შვილს მოუტანს სიკეთეს...

1848

ილიას თბილისში ჩამოყვანა. ჰაკეს პანსიონი. მაშინდელი ჩინოვნიკის ხელფასი. ილიას დედის გარდაცვალება.

ილიას გამდელი სალომე ლოლაძე

„დედავ, სიცოცხლის დიდო საწყისო".

ი. ნონეშვილი

გასრულდა ილიას ცხოვრების ერთი მონაკვეთი, მისი ბავშვობის ადრეული წლები. იგი უკვე მეთერთმეტე წელშია გადასული. მისი კბილა თავადიშვილები მთავრობის სასწავლებლებში დადიან. მეტის დახანება აღარ შეიძლება, ილიაც დედაქალაქის გზას უნდა გაუდგეს. გრიგოლი ხედავს, რომ მის ვაჟს ნიჭი და ენერგია არ აკლია. ფიქრიანი ყმაწვილია ილია. ენამახვილობა უყვარს, მაგრამ უფრო ხშირად დუმს და განმარტოებული ფიქრებს მისცემია. ხასიათის ეს თვისებები მამისაგან გამოჰყვა. ასეთი იყო გრიგოლიც, კუშტიც და ენამოსწრებულიც. დროდადრო მომლხენი და მხიარული, უფრო ხშირად ჩაფიქრებული, მწუხარე. გარეგნობით მარიამს ჰგავდა შვილი. დედასავით სრული იყო და ლამაზი პირისახისა. გამორჩეული ბავშვი ყოფილა, სხვათაგან განსხვავებული, თავისთავადი ხასიათით, მარტოობისაკენ ლტოლვით. გამორჩეულად მგრძნობიარე, გულჩვილი ბავშვი იყო. სიყმაწვილეშივე ლექსების წერა დაუწყია. პირველი ლექსები გამოუთქვამს მარანზე და იმ კოშკზე, რომელიც მის სახლს ჰქონდა მიშენებული და მტერთაგან თავდასაცავ სიმაგრეს წარმოადგენდა. (სხვათა შორის, რომელშიც ის დაიბადა) ილიას გამდელი სალომე ლოლაძე, რომელიც 8-9 წლისა მიიყვანეს გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახში, მოხუცებულობის ჟამს იგონებდა: „ილია პატარაობიდანვე ლექსებს გამოსთქვამდა ხოლმე. მახსოვს ძალიან კარგი ლექსები გამოსთქვა კოშკზე, მარანზე, მაგრამ დავბერდი და თვით ლექსები დამავიწყდა, თორემ წინათ კარგად ვიცოდი. ხშირად მოიხმობდა ხოლმე ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა. ერთხელ, ერთმა რაღაც ბინძური ლექსი უთხრა, ილიას არ ეჭაშნიკა და მოლექსე გააგდო: შენ კარგი ლექსები არ გცოდნიაო". ამ მოგონებას ერთს დავსძენ, გლეხის ქალი, სალომე ლოლაძე თავის მცირე მოგონებაში ილიას ისეთ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას, ჩვენი მეორე დიდი წინაპრის გრიგოლ ხანძთელის სიყრმის აღწერა გვახსენდება.

გრიგოლ ხანძთელი – „სიჩჩოითგანვე ღვინოი და ხორცი არა შეხვდა პირსა მისსა.“

ილია – „ბავშვობაში ჭამა აგრე რიგად არ უყვარდა“.

გრიგოლ ხანძთელი – „თავისუფალი იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაისა და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაისა და მარტოდ იყოფ-ვინ“.

ილია – „ანგელოზივით ბავშვი იყო. ცელქობა და თამაშობა აგ-რე რიგად არ უყვარდა“.

გრიგოლ ხანძთელი – „ხოლო გულისხმიერებაი სწავლისაი გან-საკვირველი იყო ფრიად“.

ილია – „ძლიერ მეცადინეობდა და კითხვა უყვარდა“.

გრიგოლ ხანძთელი – „არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზვაობარ“.

ილია – „მეტის მეტი ხათრიანი ბავშვი იყო, ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს“.

გაებედე და ქართული პროზის დიდოსტატის გიორგი მერ-ჩულის ფრაზების გვერდით უსწავლელი გლეხის ქალის სალომე ლოლაძის უბრალოდ ნათქვამ სიტყვებს მოვუხმე. რაოდენ ჰგავს ერთმანეთს ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ხანძთელის ბავშვობის პორტრეტები. ნურავის გაეღიმება, სწორედ ასეთი თვისებების ბავშვი ათასობით გვინახავსო. მართალია, მაგრამ ხანძთელი ხომ ერთია, ილია ხომ ერთია. და არავინ საქართველოში ისე არ ჰგავს ხანძთელს, როგორც ილია ჭავჭავაძე.

1847 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში მამა და შვილი დედა-ქალაქის გზას გაუდგნენ. უკან დარჩა პატარა სოფელი, ყვარლის მთები, მდინარე დურუჯი, ილიასთან თანშეზრდილი გლეხის ბი-ჭები, მთავარდიაკონი და მისი სკოლა, თვალცრემლიანი დედა და დედმამიშვილები. რა იცოდა ილიამ, რომ მომავალში საკუთარი სახლ-კარის მონახულებას მხოლოდ იშვიათად მოახერხებდა და ისეთ დიდ საქმეს შეეჭიდებოდა, რომელიც პატარა სოფელში დი-დი ხნით აღარ გამოუშვებდა. მისი სიცოცხლე ერის კუთვნილებად იქცეოდა და სიკვდილის შემდეგაც ერი დაეპატრონებოდა, ამიტომ აღარც სამარე გაიჭრებოდა მისი ჭავჭავაძეთა საფლავების გვერ-დით ყვარლის სასაფლაოზე. მიდიოდა ილია და „მომავალთაგანი არა რაი უწყოდა“... მამამ, ხელმოკლეობის მიუხედავად, თბილისის საუკეთესო პანსიონში შეიყვანა. ეს იყო ჰაკეს კერძო პანსიონი. შესატანი ფასი პანსიონერებისათვის დაწესებული ყოფილა წელი-წადში 250 მანეთი, ნახევრადპანსიონერებისათვის ანუ იმ ბავშვე-

ბისათვის, რომელნიც პანსიონში არ ცხოვრობდნენ – 200 მანეთი. გრიგოლმა მხოლოდ 200 მანეთის შეტანა მოახერხა და 1848 წლის I იანვრიდან (სწავლა I იანვრიდან იწყებოდა) მისი ვაჟი ილია პანსიონერთა, უფრო სწორედ, ნახევრადპანსიონერთა სიაში ჩარიცხეს.

იმ დროისათვის 200 მანეთი საკმაოდ სოლიდური თანხა გახლდათ. მევახშეებით გაწამებულ ღარიბ მემამულეს კი არა, ასეთი თანხის გადახდა სახელმწიფო სამსახურში მყოფ თანამდებობის პირებსაც უჭირდათ. მაგალითად, დიმიტრი ყიფიანს, როდესაც იგი თბილისის გუბერნატორ ფალავანდიშვილთან (1832 წლის შეთქმულებიდან ცნობილი იასე ფლავანდიშვილის ძმა) მსახურობდა კანცელარიაში, ყოველთვიური ხელფასი ჰქონია მხოლოდ 7 მანეთი, საყურადღებოა კიდევ ერთი ცნობა: 1846 წელს გრიგოლ ორბელიანი ძმას, ილიას სწერს: „ბარბარე ოთარის ცოლის წიგნი მომივიდა, რასაკვირველია, ფულს ითხოვს, (იგულისხმება ბარბარე ქობულაშვილი, რომელსაც გრიგოლი რამდენიმე წელი უხდიდა ვალს. – **ნ.გ.**) – მეც დიდის ოხვრით და სიმწარით გავუგზავნე ფოშტით ათი თუმანი... და შევუთვალე, რომ მეტი აღარ მთხოვოს, მანამ არ გავმდიდრდე. ეს ფული, შენ ნუ მომიკვდები, ეფემიასათვის მინდოდა, და ამ წყეულმა დედაკაცმა გამომტაცა ხელიდან. ასე რომ, ეფემიას ვეღარ გავუგზავნი; ეგებ შენ, ჩემო ილიკო, ხუთის თუმნით მაინც შეეწიე". როცა ეს ბარათი იწერებოდა, ორბელიანი ავარიის მმართველი იყო და, დიდი სურვილის მიუხედავად, შესაძლებლობა არ ჰქონდა გაუბედურებულ დას დახმარებოდა. მეფე ერეკლეს შთამომავალს, ეფემიას, უდროოდ გარდაცვლილი შვილის ტატოს განჯიდან თბილისში ჩამოსვენება ვერ მოეხერხებინა. ხელმოკლეობის გამო უძლურნი არიან მისი სახელგანთქმული ძმებიც გრიგოლი, ილია და ზაქარია. ასე რომ, 200 მანეთი იმ დროისათვის მართლაც დიდი თანხა იყო. ახლა ძნელია თქმა იმისა, საიდან იშოვა ვალებში ჩაფლულმა გრიგოლ ჭავჭავაძემ ფული. შესაძლოა, ეს თანხა მან ილიას პანსიონში შეყვანის შემდეგ აიღო სახელმწიფო სესხის სახით.

კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის „მზრუნველობის" შედეგად, სწორედ 1848 წლიდან იქნა დაარსებული ე.წ. „პრიკაზები". ვინც ქონებას დააგირავებდა, სახელმწიფოსაგან სესხის აღება შეეძლო.

ჯერჯერობით გრიგოლმა მხოლოდ 200 მანეთის შეტანა მოახერხა, რის გამოც ილია პანსიონში არ ცხოვრობს, მაგრამ ალბათ

მასაც ნახევრადპანსიონერობა ერჩია, რადგან სასწავლებლის მკაცრ რეჟიმთან შეგუება სოფელში ლაღად გაზრდილი ბავშვისთვის ადვილი არ იქნებოდა. ილიას, მართალია, ისეთი შესანიშნავი მასწავლებელი ჰყავდა, როგორიც ჰაკე იყო, მაგრამ სასწავლებლის საერთო რეჟიმის ატანა მაინც გაუჭირდებოდა, განსაკუთრებით პირველ ხანებში. იაკობ ბალახაშვილი გადმოგვცემს პანსიონის ერთ-ერთი ყოფილი მოწაფის მოგონებას: „პანსიონში შესვლის პირველ დღეებში, როგორც გარეთ თავისუფლებისა და ჩემს მახლობელ ნათესავებში ნებივრობას ჩვეულსა, საშინლად მადარდიანებდა იმგვარი შეკეტილი მდგომარეობა, და რაღაც საპატიმროდ მიმაჩნდა ეს შემწყვდეული ცხოვრება."

პანსიონში ბავშვები სწავლობდნენ საღვთო რჯულს, საეკლესიო ისტორიას, რუსულ გრამატიკას, არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ლათინურ, ფრანგულ, გერმანულ, ქართულ, სომხურ ენებს, მართლწერას, ხატვას და ცეკვას. ჰაკეს პანსიონი ინტერნაციონალური სასწავლებელი ყოფილა. აქ სწავლობდნენ რუსები, სომხები, ქართველები, ოღონდ ეგ იყო, ქართველთა რიცხვი პანსიონში ყველაზე მცირე გახლდათ...

გრიგოლ ყიფშიძე გადმოგვცემს: „პირველი გიმნაზიის არქივში შემდეგნი ცნობანი აღმოჩნდა ამ პანსიონის შესახებ. სასწავლებელი თვისის კურსით ეთანასწორება გიმნაზიის დაბალ კლასებს და მოთავსებულია ტფილისში, სახლი პეპინოვისა მეორე ნაწილი, პირველი კვარტალი."

პატარა ილია ყოველ დილით პანსიონისკენ მიიჩქარის. იგი უკვე შეეჩვია ამხანაგებს, უცხო მასწავლებლებს. ინურება 1848 წლის გაზაფხული, ილიას მეთერთმეტე გაზაფხული. ამ დროს, მაისის დასაწყისში, ილია ოჯახიდან თავზარდამცემ ამბავს შეიტყობს: დედა აღარ არის! დედის სიკვდილით გულჩაწყვეტილი, ცრემლადქცეული ილია ყვარელში წაიყვანეს.

სულ 30 წელი იცოცხლა ილიას დედამ. გაუხარელი იყო მისი ცხოვრება. გაჭირვებასა და სიღარიბეს თან ერთვოდა გამუდმებული შიში ომიანობისა. ყოველდღე შეიძლებოდა გრიგოლი საბრძოლველად წასულიყო. იქ კი რა მოხდებოდა, ვინ იცის. თითქმის ბავშვი ჩაება ოჯახის უღელში მარიამი. ქმარ-შვილის მოსიყვარულე იყო. დღენიადაგ ოჯახზე ზრუნავდა. ქართული მწერლობის სიყვარულს ადრიდანვე უნერგავდა შვილებს. მოცალეობის ჟამს წიგნები.იყო მისი „სულის პური", წიგნები კი იმ დროის კვალობა-

ზე საკმაოდ ჰქონია. გარდა იმისა, რაც გრიგოლის ოჯახში დახვდა, მზითვად გამოტანებული წიგნებიც იდო მისი ბიბლიოთეკის თაროზე. აზნაურმა ქრისტეფორე ბებურიშვილმა (თბილისს გადმოსულა კახეთიდან, სარწმუნოებით იყო გრიგორიანი. მისი შვილი მაგდანი მარიამად, მართლმადიდებლად მოინათლა და ისე შევიდა ჭავჭავაძეთა ოჯახში) გული არ დასწყვიტა მწერლობაზე შეყვარებულ შვილს და უხვად უბოძა ძველქართული საერო და სასულიერო ხასიათის წიგნები. მოგვიანებით ილია იგონებდა: „დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი. საღამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს, წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზედ გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით." „ვეფხისტყაოსნის" ღვთაებრივ სტრიქონებს ზეპირად ასწავლიდა მარიამი შვილებს. ცოტა მოასწრო. ნაადრევად გამოეთხოვა წუთისოფელს. მისი გარდაცვალება მოულოდნელი იყო ყველასთვის, რადგან, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა გახლდათ, არც ჯანმრთელობას უჩიოდა. არადა, ერთ კვირაში გათავებულა: აპრილის ბოლო რიცხვებში სახადი შეხვდა და მაისის ოთხს აღესრულა. უდედოდ დარჩა ილია ჭავჭავაძე. ცხოვრებამ დიდი ტკივილი უკვე აგემა. წლების შემდეგ დედაშვილობის მადლზე იგი ბრწყინვალე მოთხრობას დაწერს. ისე მოხდა, რომ განგებამ ილიას დედა ადრე წაჰგვარა, შვილი კი სულ არ მისცა. თითქოს ბედს გაეჯიბრაო ილია, ორმოცი წლის შემდეგ „ოთარაანთ ქვრივში" თვითონ გააცოცხლებს იდეალური ქართველი დედის სახეს და თვითონვე შექმნის იდეალური შვილის ხატებას. მაგრამ არც ხელოვნებას შეუძლია იმ ტკივილების გაყუჩება, რომელსაც ცხოვრება გვიტოვებს. დედის სიკვდილმა ისედაც მარტოობის მოყვარული ბავშვი ერთიანად მწუხარებად და კაეშნად აქცია. მან ერთადერთ გამოსავალს მიაგნო, ბერად შემდგარიყო და სამუდამოდ განშორებოდა ამ ცრუ წუთისოფელს. იმხანად მას ბერად წასვლა სურდა. ვინ იცის, 35 წლის შემდეგ, როცა ილია ჭავჭავაძე განდეგილის შთამბეჭდავ სახეს ქმნიდა, იქნებ თავისი ბავშვობის ოცნებასაც იხსენებდა.

1849

მამიდა მაკრინე. ილიას არდადეგები. პირველი გამართული ლექსი. გრიგოლ ჭავჭავაძის მორიგი წასვლა ომში. კომედია „გაყრა“.

მიხეილ ვორონცოვი

„ელჩი ვარ მის დიდებისა".

ილიას პირველი ლექსიდან

გრიგოლ ჭავჭავაძის უდედოდ დარჩენილ შვილებს მხსნელად მოევლინათ გრიგოლის და, მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისა. მაკრინეს ქმარი ახალგაზრდობაშივე გარდაეცვალა, შვილი არ ჰყავდა, ამიტომ, როდესაც ძმა ეწვია და ყვარელში გადასვლა სთხოვა, არ უყოყმანია. ახალგაზრდა ქალმა თავისი ხუთი ძმისშვილის დედობა იტვირთა. ილიას და ელისაბედი იგონებდა: „ნეტარხსენებული დედა რომ გარდაიცვალა, დავრჩით ობოლნი, მცირეწლოვანნი. მამიჩემის და კნეინა მაკრინე ივანე არაგვის ერისთავისა დარჩა ქვრივად; შვილი არა ჰყვანდა, მამიჩემის თხოვნით გადმოსახლდა თავისს სამშობლოში თავის ძმა გრიგოლთან, მიიღო დედობრივი მზრუნველობა ობლებზედ. ფრიად კეთილი, ღვთისმოყვარე, ქართულ მწიგნობრობაში, საღვთო წერილში განვითარებულს, ყოვლად პატივცემულ ადამიანთან აღვიზარდენით". 1898 წელს მიხეილ ნასიძე წერდა: „ყველაზე გამოჩენილ პირად პოეტის ოჯახში უნდა ჩაითვალოს მამიდამისი მაკრინე, ერისთავის მეუღლე, ისა ბრძანდებოდა დიდი მწიგნობარი, დიდი განათლებული და ნაკითხი თავისი დროის შესაფერად". მაკრინე ცდილობდა, რომ ძმისშვილებისათვის სიღარიბისა და ობლობის ხვედრი შეემსუბუქებინა. ბიოგრაფები ხშირად იმოწმებენ ილიას ერთ კერძო ბარათს, საიდანაც ჩანს, თუ რამდენად დიდი გრძნობით უყვარდა ძმისწულს მამიდა, რაოდენ თაყვანს სცემდა მას. აი, რას წერს უკვე დავაჟკაცებული ილია თავის გამზრდელ მამიდას: „თქვენმა მხიარულმა წიგნმა და კარგს ქეიფზედ ყოფნამ, როგორც წიგნიდამა ჰსჩანს, ჩემი სიხარული და სიამოვნება ჩვეულებრივ წრეს გადააცილა. ღმერთმა მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროთ, ჩვენდა სასიქადულოდ და სანუგეშოდ, მაგრამ მამიდაჯან, უთქვენობა, რომ მე თქვენთან არ გახლავარ, რად მაწუხებს ეგრე? ღმერთი მოწამეა, რუსეთში ვყოფილვარ უფრო პატარა, რამოდენა ხანია მე გა-

რეთ ვეთრევი, რომ თრევით დავიღალე და როგორც დაღალული მგზავრი ველი როდის მომცემს ბედი ნებას, რომ ჩემი თავი ჩემს ქოხს შევაფარო. ესე ამთვენი ხანი გარეთა ვარ უთქვენოდ, მაგრამ ისე, როგორც ეხლა თქვენი ნახვა მინდა, ჩემს დღეში არ მომდომებია. არ ვიცი, ეს რისგან არის? იმისაგან თუ, რომ ეხლა ბედმა ცოტად მაინც გამიღიმა, ცოლიც კარგი მყავს, ლუკმა პურსაც ჩემი ცოდვილობით ვშოვობ და მაქვს, იქნებ ამისაგან მინდა, რომ ამ ყოფაში თქვენ მნახოთ მხიარული, ბედნიერი და თქვენც ჩვენის ამ ყოფით ისიამოვნოთ, მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის მამიდაჯან, რომ ბოლოს, ვინც პატარაობაში დიდის მზრუნველობით გაგვზარდეთ, ახლა იმან თქვენის შრომისათვის ხელისგულზედ ერბო-კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ. სიკეთე, მამიდაჯან, დაუვიწყარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ, ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის. მე რომ მინდა მანდ გადმოსვლა, იმიტომ უფრო, მამიდაჯან, რომ თქვენ თან გახლდე და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო".

1849 წელს ილია კვლავ ნახევრადპანსიონერთა სიაში ირიცხება. დადგა ზაფხული. გრიგოლ ჭავჭავაძე კიდევ ერთხელ გაემართა მთიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. 1849 წლის ივნის-ივლისის საბრძოლო ექსპედიციებში გამოჩენილი სიმამაცისათვის თავადი გრიგოლი დააჯილდოვეს წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენით. ილია კი საზაფხულო არდადეგებზე სოფლისაკენ გაემართა. სწორედ იმ ზაფხულს უნდა სტუმრებოდა ის თავის თანაკლასელს, ნათესავსა და მეგობარს კოხტა აფხაზს.. ამ სტუმრობის შესახებ თვით კოხტა აფხაზი გვამცნობს: „ილია და მე ერთად შევიზარდენით. რაც ჩემი თავი მახსოვს, იმ დღიდან მახსოვს ილიაც. ილია ერთის წლით (ცოტა ნაკლებით) ჩემზედ უმფროსი იყო. ის დაიბადა 1837 წელს, მე კი 1838 წ. (სხვათა შორის ილიას დაბადების თარიღზე მსჯელობისას ეს ცნობაც ყურადღებამისაქცევია. ილია რომ 1837 წლის იანვარში იყოს დაბადებული და არა ოქტომბერში, კოხტა აფხაზი არ იტყოდა ილიას შესახებ, ჩემზე ერთ წელზე ცოტა ნაკლებით იყო უფროსიო. – **(ნ.გ.)**. გიმნაზიაშიც ერთად ვიყავით და სტუდენტობის დროს ერთს ოთახში ვცხოვრობდით. როგორც მახსოვს, ილია პატარაობიდანვე ლექსებს სწერდა: მახსოვს ერთი შემთხვევა. ილია იქნებოდე ასე 11 წლისა. ჩვენს სოფელში კარდანახში ვიყავით... კვირა დღე იყო და ერთი ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩვენც იქ წავედით. მთელი დღე ვუცქეროდით გახურებულ მამითადს. სა-

ღამოთი შინისკენ დავბრუნდით და კარდანახამდინ რო ასე 7 ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სოფელში ჩალაუბანში და ღამეც იქ გავატარეთ. მაგრამ მთელი ღამე არ მოგვითვლემია. ერთს გლეხკაცის სახლში ვიწექით და ღამე იმოდენა მკბენარი (რწყილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვვარდით გარეთ ლოგინებითურთ და ერთს დიდ კაკალს ქვეშ გავშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთ. აი სწორედ აქ დაწერა ილიამ თავისი პირველი ლექსი „რწყილები". საუბედუროთ ეს ლექსი არ შენახულა, და არც ვიცი, რა უყო ილიამ. მახსოვს, მარტო რომ ამ ლექსში დიდის ოხუნჯობით და მეტად კომიკურად იყო აღწერილი ჩვენი რწყილებთან ბრძოლა, და ლექსმა ბევრი გვაცინა."

ილიას პირველი ლექსი არ დაკარგულა. მისი დაწერიდან დიდი ხნის შემდეგ იგი გიორგი ლეონიძემ გამოაქვეყნა. ეს ლექსი საყურადღებოა არა მხოლოდ იმით, რომ ილიას კალმის პირველი ნაყოფია, არამედ ერთი გარემოებითაც. უკვე ითქვა, რომ ილია ბავშვობიდანვე სწავლობდა ძველქართულ ტექსტებს, რომ დედა „ვეფხისტყაოსნის" სტროფებს ზეპირად ასწავლიდა. ილია ჭავჭავაძის პირველი ლექსი გვიდასტურებს, რომ 11 წლის ყმაწვილი რუსთველის პოემის საკმაოდ დაკვირვებული მკითხველი ყოფილა, უკვე გრძნობს „ვეფხისტყაოსნის" რიტმისა და რითმის ხიბლს. რაც მის ბავშვურ ნაწერშიც იგრძნობა. ნიმუშად რამდენიმე სტრიქონს მოვიხმობთ: „რწყილთა ბევრი ივაგლახეს, იტირეს, და თავში იცეს"... „იგი მეფე შაოსანი ფიცს მოითხოვს დიდსა, მტკიცეს..." „ზოგსა ვსტყორცნი, ზოგი სადღაც დამემალა" ან:

მან მიპასუხა მე ვარო
მონაი რწყილთა მეფისა,
გამოგზავნილი შენდამი
ელჩი ვარ მის დიდებისა,
ჯნ მე გეტყვი ყველაყასა,
ვჰცანი ძალი მის ნებისა,
შენსა ტანსა ამაღამა
ლხინი გვინდა რწყილებისა".

ვიდრე ილია და მისი მეგობარი მამითადიდან დაბრუნებულნი ჩალაუბანში ერთობიან და მხიარულად ხვდებიან განთიადს, ვიდრე გრიგოლ ჭავჭავაძე დაღესტნის მთებში ხმალს ატრიალებს, ვნახოთ, რა ხდება საქართველოს დედაქალაქში, რას აკეთებს და რითი ცხოვ-

რობს, რით ერთობა ქართველი ინტელიგენცია. ერთ დღეს მანანა ორბელიანის სალონში გადაწყდა, ვორონცოვისათვის ეთხოვათ ნებართვა თბილისში პროფესიული თეატრის დაარსების შესახებ. ვორონცოვი თეატრის ბედით თვითონაც იყო დაინტერესებული. 1849 წლის 14 ივლისს რუსული თეატრის შესახებ მეფისნაცვალი წერდა: „ვუცქერი რა თბილისში რუსული თეატრის არსებობას არა როგორც სიამოვნებასა და გართობის ერთ-ერთ საშუალებას, არამედ როგორც დაწესებულებას, რომელიც მეტად მნიშვნელოვან მიზანს ისახავს: ადგილობრივი მოსახლეობის გაცნობას რუსულ ენასთან, რუსულ ჩვევებთან და მის თანდათანობით შერწყმას რუსეთთან, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვეცადო, რათა თბილისში იყოს კარგი რუსული თეატრი". ცარიზმის ერთგულ მსახურს, საბედნიეროდ, ქართული თეატრის დაარსებაზეც არ უთქვამს უარი. მართალია, ამ შემთხვევაშიც მის თანხმობას პოლიტიკური მიზანდასახულება განსაზღვრავდა, მაგრამ, ობიექტურად, თბილისში ქართული პროფესიული თეატრის დაარსება დიდი კულტურულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტი იყო. ქართული თეატრის აღდგენის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გიორგი ერისთავი გახლდათ. მისი კომედია „გაყრა" გასცენიურებამდე საცენზუროდ გადაუციათ თავად ვასილ ბებუთაშვილისათვის. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, პიესა დიდად მოიწონა და ვორონცოვს კომედიის შესახებ დადებითი აზრი მოახსენა. მეფისნაცვალი კომედიით დაინტერესებულა, დიმიტრი ყიფიანს რუსულად ათარგმნინა იგი და წაკითხვის შემდეგ აღფრთოვანება ვერ დაუმალავს („გაყრის" რუსული თარგმანის გავლენით დაიწერა რუსი მწერლის ალექსეი პისემსკის „რაზდელ"). დადგმა თვით გიორგი ერისთავმა მოამზადა. რეჟისორიც, მსახიობიც და სცენის მუშაც თავადვე ყოფილა. პიესა სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში უნდა დაედგათ. თბილისში იმ დროს (1848-1854 წწ) ცხოვრობდა ცნობილი რუსი მხატვარი, არქიტექტორი, ხელოვნების მკვლევარი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გრიგორი გრიგორის ძე გაგარინი (1810-1893), რომელსაც მოუხატავს სიონის ტაძარი და თბილისის საოპერო თეატრის ფოიეები. სწორედ გაგარინს სთხოვეს, გაეფორმებინა გიმნაზიის სააქტო დარბაზი სპექტაკლისათვის. მხატვარს სააქტო დარბაზი შესანიშნავად მოურთავს. ქალაქის ქუჩებში გამოაკრეს აფიშა, რომელიც იუწყებოდა, რომ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში 2 იანვარს გაიმართებოდა წარმოდგენა გიორგი ერისთავის კომედიისა „გაყრა".

1850

ქართული თეატრის დაარსება. ლეკიანობა ყვარელში. გრიგოლ ჭავჭავაძის გმირობა.



I გიმნაზიის დარბაზი

„ყველა ქართველის მტერი იყო“.

დ. გურამიშვილი

1850 წლის 2 იანვარს იმ შენობაში, სადაც ორიოდე წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძე გადავა სასწავლებლად, უჩვეულო სტუმრიანობაა. გიმნაზიის სააქტო დარბაზში შეკრებილა თბილისის რჩეული საზოგადოება. მცირე ხნის შემდეგ აიხდება ფარდა და დაიწყება პირველი ქართული კომედიის წარმოდგენა. ქალაქს მსახიობის ამპლუაში მოევლინენ: თავადი ილია ორბელიანი (გრიგოლის ძმა) – შამილთან ტყვედ ნამყოფი, დაღესტნის გმირი, ახალდაბრუნებული პეტერბურგიდან, სადაც პირადად უმასპინძლა იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა, დიმიტრი ყიფიანი – მეფისნაცვლის კანცელარიის აპარატში მნიშვნელოვანი თანამდებობისა და ავტორიტეტის მქონე პიროვნება, პიესის ავტორი გიორგი ერისთავი; ქეთევან ორბელიანისა – სენატორ გიორგი ერისთავის ასული, ბარბარე ანდრეევსკისა – ვორონცოვის პირადი ექიმის მეუღლე და სხვანი. ერთი სიტყვით, „სეკრეტარების“, „სუდიების“, „თათელების“, „მიკირტუმ გასპარიჩებ.ის“ როლს ცნობილი მოღვაწენი თამაშობენ. ამ ამბავმა, და განსაკუთრებით – სპექტაკლში ქალების მონაწილეობამ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საზოგადოების ერთი ნაწილი თავდაპირველად აღშფოთებული იყო თავადიშვილების „უკადრისი“ საქციელისა და ქალბატონების „გაუგონარი მკრეხელობის“ გამო. გიმნაზიის სააქტო დარბაზი ცნობისმოყვარე მაყურებლებით გაივსო. იონა მეუნარგია გადმოგვცემს: „გიმნაზიის პატარა დარბაზი ვერც კი იტევდა თურმე მაყურებლებს, იმდენი ხალხი დაესწრო ამ პირველ წარმოდგენას. ვორონცოვიც თავის სახლობით და ამალით თეატრში იყო და ყველაზე უფრო გაცხარებულად ტაშს უკრავდა სცენისმოყვარეთა. ნამეტნავად კომედიის დამწერი მოიწონეს, როგორც აქტიორი და ავტორი. რამდენიმე დღის შემდეგ ვორონცოვმა გიორგი ერისთავი დანიშნა თავის ამალაში „საგანგებო მინდობილობათა უმცროს ჩინოვნიკად.“

1850 წლის 2 იანვარი ქართული პროფესიული თეატრის დასაბამად იქცა და ეს დღე ტრადიციულად აღინიშნება.

1850 წლის 25 სექტემბერს, როცა თბილისში რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩამოვიდა, ვორონცოვს გიორგი ერისთავი ამ სიტყვებით წარუდგენია მისთვის: „წარმომიდგენია თქვენის უმაღლესობისათვის ქართველთა მოლიერი." 1850 წლის სეზონზე თეატრალურ დადგმებს გულთბილი გამოხმაურება მოპყვა, მეფისნაცვალი კი ქართველთა კულტურული ცხოვრების ხელშეწყობით ორმაგ საქმეს აკეთებდა. მადლიერი ჰყავდა და თავის მზეს აფიცებდა ინტელიგენციას, ამასთან, ცდილობდა, ქართველი ხალხის ყურადღება ჩამოეცილებინა კავკასიის მთიელთა ომებისათვის, სადაც იმპერიის საუკეთესო გენერლებს 10-კაციანი აულების აღება ზოგჯერ მთელი პოლკის გამეოთხედების ფასად უჯდებოდათ. თუმცა მარტო რუს-ქართველთა ჯარი როდი მიდიოდა აულების ასაოხრებლად. ლეკებიც ხშირად ანიოკებდნენ ჩვენს სოფლებს. სახლებს სწვავდნენ და უპატრონოდ დარჩენილი ქალები და ბავშვები ტყვეებად მიჰყავდათ. ყვარელი, როგორც მონაპირე, მოსაზღვრე სოფელი, მუდამ თავდასხმის მოლოდინში იყო. დრო გახლდათ უცნაური. ერთი მხრივ, ლხინი, წვეულება, ყაბახი, თეატრი.. მეორე მხრივ კი – ომები.. რომელიმე გენერალი დღეს რომ თეატრში იჯდა და გულიანად ხარხარებდა, ხვალ სისხლისმღვრელ ბრძოლებში უნდა ჩაბმულიყო. ქართული სამხედრო არისტოკრატია ისე ეცეკვებოდა სიკვდილს, როგორც აშიყი გულგარეშეთ ყველა ლამაზმანს.

და აი, 1850 წლის 14 ივლისს, დილის 5 საათზე, სოფელში მოულოდნელად თავზარდამცემი ხმები გაისმა. ლეკთა ხუთასკაციანი ცხენოსანი რაზმი მოადგა ყვარელს. სოფლის ბოლოს მთიელთა ქვეითი ჯარი იყო დამალული. ძალები არათანაბარი გახლდათ: სად შურისგების გრძნობით ანთებული 500 ლეკი და სად ჯერაც წამოუშლელი, ნამძინარევი სოფელი. ყვარელს უთუოდ გადაბუგვა ემუქრებოდა, რომ არა გრიგოლ ჭავჭავაძის თავგანწირვა. გრიგოლმა სოფლის კორდონის უფროსთან – დავით ჭავჭავაძესთან ერთად, სასწრაფოდ შეკრიბა თანასოფლელნი, სწრაფად გამოვიდა ქუდზე კაცი, მალე აისხა გლეხობამ იარაღი. ქალები და ბავშვები კოშკებში შეხიზნეს. გრიგოლი კი დავით ჭავჭავაძესთან ერთად ყვარელის ციხის უფროსთან, პოდპოლკოვნიკ სტაროვთან მიიჭრა, რომლის განკარგულებაში 400 ჯარისკაცი და 60 მილიციელი

ირიცხებოდა. სტაროვმა დახმარებაზე უარი თქვა, არც მილიციის უფროსს ლუარსაბ ვაჩნაძეს მისცა ნება, ადგილიდან ფეხი მოეცვალა. ბრძანება არ მომსვლიაო, განაცხადა მთავრობის ჯარის მეთაურმა. ვიდრე სტაროვი სარდლობის ბრძანებას მიიღებდა, ლეკები სოფელში ერთ სულიერსაც აღარ დატოვებდნენ ცოცხალს. ღალატით გაწბილებული და გაბოროტებული გრიგოლ და დავით ჭავჭავაძენი საკუთარი ძალებით ეკვეთნენ მტერს. თავგანწირულ მებრძოლთა მცირე ჯგუფმა სოფელი განადგურებისაგან იხსნა. გამარჯვება მათ დარჩათ. აქ გაწყდა უამრავი ლეკი. მათ შორის იყო თავდამსხმელთა ბელადი – ანწუხ-ყაფუჩას თემის ნაიბი – აბალუ. გრიგოლ ჭავჭავაძის გმირობის შესახებ პეტერბურგში აცნობეს სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს. გრიგოლ ჭავჭავაძე ამჯერად წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს... ასეთი იყო წესი რუსის მთავრობისა, ჯერ ღალატი, მერმე ჯილდო, რა ექნა ამ შეჩვენებულ სტაროვს, მართლა და მართლა, წესს ხომ არ დაარღვევდა?!..

1851

ილიას შესვლა I გიმნაზიაში. I გიმნაზიის მოკლე ისტორია. ჰაჯი მურატი თბილისის ოპერაში.



I გიმნაზია

„აქ უსწავლია ოდესლაც ტატოს
და ილიასაც აქ უსწავლია".

ხ. ბერულავა

უკვე ითქვა, რომ ერთხანს ილია ჭავჭავაძე ნახევრადპანსიონერი იყო, სასწავლებელში ბინიდან დადიოდა. ამის გამო ყვარელში ღელავდნენ. მაკრინე მცირეწლოვანი ბავშვების აღზრდას უნდებოდა. გრიგოლი კი საოჯახო მეურნეობას უძღვებოდა, ხანაც სალაშქროდ მიდიოდა. ასე რომ, თბილისში ჩამოსასვლელად უფროსები ხშირად ვერ იცლიდნენ. მართალია, ქალაქში ილიას მზრუნველად უფროსი შვილები ეგულებოდა გრიგოლს, ცოლის ახლობელ-ნათესავებიც თბილისში იყვნენ, მაგრამ მამამ მაინც ილიას პანსიონში გადაყვანა არჩია. გრიგოლმა შეძლო და სწავლის სრული ქირა – 250 მანეთი გადაიხადა, რის შემდეგაც ილია პანსიონში გადავიდა საცხოვრებლად. პანსიონში იგი სამ წელიწადს სწავლობდა. 1851 წლის 1 იანვრიდან ილია უკვე თბილისის გიმნაზიის IV კლასის მოსწავლე ხდება (ბინად კი კვლავ პანსიონში დარჩა). ეს გიმნაზია ცნობილი და გამორჩეული სასწავლებელი გახლდათ. ვფიქრობ, ინტერსმოკლებული არ იქნება მკითხველს მოვუთხროთ იმ სკოლის ისტორია, სადაც ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრების 6 წელიწადი გაატარა.

1802 წლის 21 სექტემბერს საქართველოს პირველმა მთავარმმართებელმა გენერალ-ლეიტენანტმა კნორინგმა და საქართველოს მმართველმა კოვალენსკიმ თავადაზნაურთა შვილებისათვის თბილისში დააარსეს მთავრობის ორკლასიანი საწავლებელი. სასწავლებლის დირექტორად განამწესეს „ნადვორნი სოვეტნიკი" კორნეევი. რუსული ენის მასწავლებლებიც სახელდახელოდ მოძებნეს: ჩინოვნიკები პლეჩშევი და პოკროვსკი. ქართული ენის სწავლებას სასულიერო პირი – მამა გრიგოლი უნდა გასძღოლოდა. სხვა საგნების მასწავლებლები კნორინგმა რუსეთიდან გამოიხმო. სასწავლებელში 45 მოწაფე მიიღეს, შეადგინეს სკოლის

შინაგანაწესი და სასწავლო ცხრილი, მაგრამ სკოლა იმავე, 1802 წელს დაიხურა. ორბელიანების და ჭავჭავაძეების, ავალიშვილების და ამილახვრების, აბაშიძეების და ბარათაშვილების, ერისთავების, ანდრონიკაშვილების, ჩოლოყაშვილებისა და სხვა დიდგვაროვანთა შთამომავლებმა, საგმირო-სარაინდო ამბებზე რომ იზრდებოდნენ, ვერ გაუძლეს პლეშჩეევისა და პოკროვსკის აღზრდის უცნაურ მეთოდებს, გაუგებარი სიტყვების ზუთხვასა და „გონების განსავითარებლად" მასწავლებელთა მიერ წკეპლის ენერგიულად ხმარებას. მათ თანდათანობით, ერთმანეთის მიყოლებით მიატოვეს სასწავლებელი და „ნადვორნი სოვეტნიკ" კორნეევს გამოცარიელებული საკლასო ოთახების დირექტორობაღა შერჩა.

1804 წლის 31 დეკემბერს სასწავლებელი ხელმეორედ გახსნეს. თავდაპირველად კეთილშობილთა საწავლებელში (ასე ეწოდა სკოლას) თავადაზნაურთა შვილებთან ერთად მოქალაქეთა და სასულიერო პირების ბავშვებსაც ღებულობდნენ, რადგან თავად-აზნაურობა უნდობლობას იჩენდა რუსული სკოლის მიმართ, ხოლო მოსწავლეთა კონტინგენტს შევსება ესაჭიროებოდა. უფრო მეტიც, მოწაფეებისათვის, სასწავლებელში მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით, ყოველთვიურად წამახალისებელი ჯამაგირიც კი გახლდათ გამოყოფილი. სკოლა ორკლასიანი იყო. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს 1804 წლიდან 1813 წლამდე, ქართველი მოღვაწე ალექსი პეტრიაშვილი ედგა სათავეში. 1819 წლისათვის სასწავლებელი უკვე ხუთკლასიანია, 4 წლის შემდეგ კი მას მეექვსე კლასიც მიემატა და სასწავლო გეგმის მიხედვით ფაქტიურად გიმნაზიად იქცა. კეთილშობილთა საწავლებელში სწავლა კვირისა და დღესასწაულების გარდა ყოველდღე მიმდინარეობდა. დილით 7 საათზე აგუგუნდებოდა მძიმე რკინის ზარი. 11 საათზე მეცადინეობა წყდებოდა და ნაშუადღევს კვლავ უბრუნდებოდნენ მოწაფენი საკლასო ოთახებს. პირველ კლასში შემსვლელთათვის ეწყობოდა დახურული გამოცდები, ხოლო კლასიდან კლასში გადასაყვანი და სასწავლებლის დამამთავრებელი გამოცდები ღია, საჯარო წესით ტარდებოდა. გამოცდების დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, იმართებოდა საჯარო აქტები. საჯარო აქტები ერთგვარი სადღესასწაულო ფორმით სრულდებოდა. კეთილშობილთა საწავლებლის კურსდამთავრებულებში მომავალ ჩინოვნიკებს, ადგილობრივ დასაყრდენ ძალას ხედავდა მმართველობა, ამიტომ საჯარო აქტებს თვით უმაღლესი პირნიც ესწრებოდნენ. თავის მხრივ, მას-

წავლებლები თავიანთი ხანგრძლივი შრომის დემონსტრირებას ცდილობდნენ გამოცდაზე და ეს უკანასკნელი თეატრალურ წარმოდგენას ემსგავსებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს ეძლეოდათ სხვადასხვა ხარისხის ატესტატები, ხოლო ის, ვინც აზნაურობისა და თავადობის საბუთს ვერ წარმოადგენდა, ატესტატის გარეშე რჩებოდა (ამ მიზეზით სხვადასხვა დროს ატესტატის გარეშე დარჩნენ დიმიტრი ყიფიანი და ივანე კერესელიძე). მოწაფენი, რომელნიც ყველა საგანში ხუთიანს დაიმსახურებდნენ, იღებდნენ „ბრწყინვალე წარმატების“ ატესტატებს და სამსახურის დაწყებისთანავე ეძლეოდათ მეთოთხმეტე კლასის სახელმწიფო მოხელის ხარისხი. არსებობდა ასევე „მოწონებული წარმატებისა“ და „საკმაო წარმატების“ ატესტატები. „მოწონებული წარმატების“ ატესტატი წილად ხვდებოდა იმ ვაჟს, რომელსაც ყველა საგანში ჰქონდა ნიშანი „4“. ასეთ ყმაწვილებს მხოლოდ ერთი წლის გულმოდგინე სამსახურის შემდეგ ეძლეოდათ მოხელის აღნიშნული ხარისხი. ხოლო როგორ იყო განსაზღვრული „საკმაო წარმატების“ ატესტატების მქონე პირთა მომავალი კარიერა, ამაზე საარქივო მასალებში არაფერია ნათქვამი. უნდა ვივარაუდოთ, რომ „საკმაო წარმატების“ ატესტატიან ახალგაზრდებს ჩინოვნიკურ სარბიელზე „ბრწყინვალე წარმატებისათვის“ უნდა მიეღწიათ, რათა „მოწონებულ“ ყოფილიყვნენ ზემდგომთა მიერ.

1830 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. ერთი წლის შემდეგ, 1831 წელს სასწავლებელმა დღევანდელი პირველი სკოლის შენობაში დაიდო ბინა. გიმნაზია შვიდკლასიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა იმჟამად მხოლოდ ხუთი კლასის გახსნა მოახერხა იმდროინდელმა დირექტორმა გრუბერმა. 1830 წლის 18 დეკემბერს დაარსდა გიმნაზიის პანსიონი. მმართველობა არ დაერიდა ხარჯებს და 58 700 მანეთიდან, რაც გიმნაზიის ხარჯებისათვის იყო გამოყოფილი, 24 000 მანეთი პანსიონის შესანახად გადადო. პანსიონი განზრახული იყო 40 მოწაფისათვის. სხვათა შორის, საუკეთესო პანსიონერთა რიცხვში მოიხსენიებოდნენ მეორე კლასის მოწაფე 12 წლის ლევან მელიქიშვილი და მეორე კლასის მოწაფე 12 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი – ორი განუყრელი მეგობარი, რომელთაგან პირველი შემდგომში გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი და სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა, მეორეს კი ხანმოკლე სიცოცხლეში კანცელარიის „სტოლნაჩალნიკობა“ არ-

გუნა ბედმა. მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილის, გენერალ ლევან მელიქიშვილის სახელი თუ დღეს სკოლის მოწაფემაც იცის, ეს იმ „უბრალო სტოლნაჩალნიკის" დამსახურებაა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების დასასრულისათვის გიმნაზიის მოწაფეთა რიცხვი ოთხასამდე აღწევდა. 1835 წლიდან ყოველწლიურად ათ-ათი კურსდამთავრებული სახელმწიფო ხარჯით იგზავნებოდა რუსეთში, კადეტთა კორპუსში, ხუთ-ხუთი კაცი კი – პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ სასწავლებლის დამთავრებისთანავე უკან დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ. ჯერ საქართველოს საზღვრებს გარეთ უნდა ემუშავათ 6 წლის განმავლობაში (ცოტა ხანში კურსდამთავრებულთა სავალდებულო სამსახური ათი წლის ვადით განისაზღვრა) და მხოლოდ შემდეგ შეეძლოთ სამშობლოში დაბრუნება...

1845 წელს იმპერიის განათლების მინისტრის, უვაროვის ხელმოწერით, „განათლებისაკენ ახალგაზრდობის შესაკავებლად", გამოიცა ბრძანება, რომლის ძალითაც გადიდდა სწავლის გადასახადი; ასე რომ, ქართველ თავადაზნაურობას ერთ დროს რომ იქით აძლევდნენ ფულს შვილები სასწავლებელში მოგვიყვანეთო, ახლა უკვე უჭირდათ გიმნაზიაში ბავშვების გაგზავნა. გლეხკაცობას, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს კი არც სახსრები გააჩნდათ საამისო და, სკოლებში წოდებრიობის პრინციპის მკაცრად დაცვის შემდეგ (1828 წ.), არც უფლება ჰქონდათ გიმნაზიაში შვილების შეყვანისა. 1847 წლისათვის თბილისის ერთადერთ გიმნაზიას 467 მოწაფე ჰყავდა. ამ სასწავლებელში ჩვენი ერის გამორჩეულ შვილებს უსწავლიათ. სკოლის აღზრდილთა შორის არიან: **ნიკო ჩუბინაშვილი (1788-1845), ალექსანდრე (1802-1869), გრიგოლ (1804-1883) და ვახტანგ (1812-1890) ორბელიანები, გიორგი ერისთავი (1813-1864), დიმიტრი ყიფიანი (1814-1887), ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845), რაფიელ ერისთავი (1824-1901), ივანე კერესელიძე (1829-1892), დიმიტრი (1838-1880) და ალექსანდრე (1848-1893) ყაზბეგები, ბესარიონ (1832-1879) და ნიკო (1839-1911) ღოღობერიძეები, ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929), დავით (1846-1911) და ალექსანდრე (1851-1914) სარაჯიშვილები, მიხეილ საბინინი (1845-1900), პეტრე მელიქიშვილი (1850-1927), ივანე მაჩაბელი (1854-1898), ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი (1857-1927), ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1911), ზაქარია ფალიაშვი-**

ლი (1871-1933), კოტე მარჯანიშვილი (1872-1933), ივანე ჯავახიშვილი (1876-1940)... ეს სია სრული არ არის, კიდევ მრავალი დაუვიწყარი სახელის ჩამოთვლა შეიძლებოდა.

ასეთია ძალზე მოკლედ და კონსპექტურად გადმოცემული ისტორია იმ სასწავლებლისა, რომლის მონაფეც 1851 წლის I იანვარს ილია ჭავჭავაძე გახდა. დიდი ხნის გადასული არ იყო ილია გიმნაზიაში, როცა შეიტყო, რომ მისი და – ნინო თხოვდებოდა. 1851 წლის 11 თებერვალს გრიგოლ ჭავჭავაძის უფროსი ქალიშვილი ცოლად გაჰყვა თავად ნიკოლოზ აფხაზს. ნიკოლოზი შვილიშვილი იყო ივანე აფხაზისა. მამა შერმაზანი ბავშვობაშივე გარდაეცვალა, მაგრამ პაპის – ივანე აფხაზის წყალობით, საკმაო მამულები და ქონება დარჩა. ივანე ადგილობრივ მკვიდრთა შორის მმართველთა ერთ-ერთი დასაყრდენი ძალა იყო. ამიტომ ზემდგომთა მიერ მხარდაჭერა და დაფასება არ დაჰკლებია. ასე რომ, მდიდარი ოჯახის შვილი, ახალგაზრდა კარდანახელი თავადი ნიკოლოზ აფხაზი სასურველ სასიძო კაცად ითვლებოდა, მით უფრო, რომ სამეფო ოჯახის შთამომავალი იყო, მისი ბაბო, დედის დედა ანასტასია გახლდათ მეფე ერეკლეს შვილი. გრიგოლი და მაკრინე გახარებული იყვნენ ნინოს ბედნიერებით.

●

1851 წლის 27 აპრილს გაზეთ „კავკაზიდან“ გიორგი ერისთავმა თანამემამულეთ აუწყა, რომ გამოიცემოდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“ (ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1852 წლის იანვარში). 1851 წელსვე ერევანსკის მოედანზე თამამშევის მიერ შესყიდულ მამულში აგებულ იქნა ქარვასლის მშვენიერი, სათეატრო შენობა და ვორონცოვმა მოიწვია იტალიური საოპერო დასი. შემოდგომაზე თბილისის მოქალაქეებს დაუჯერებელი ამბავი აუწყეს: შამილმა თავისი ერთგული ნაიბი ჰაჯი-მურატი სასიკვდილოდ გაწირა, ამიტომ რუს-ქართველთა ჯარის დაუძინებელი მტერი რუსეთის მხარეზე გადმოვიდაო. ეს 1851 წლის 23 ნოემბერს მოხდა. იმ დროს თბილისში იმყოფებოდა ლევ ტოლსტოი, რომელიც 45 წლის შემდეგ თავის გენიალური მოთხრობით მსოფლიოს გააცნობს ჰაჯი-მურატის სახელს. 1851 წელს ლევ ტოლსტოი თავის ძმას – სერგეის თბილისიდან სწერს: „თუ გსურს, თავი ისახელო კავკასიის ამბების ცოდნით, შეგიძლია მოჰყვე, რომ შამილის

შემდეგ მეორე პიროვნება, ვინმე ჰაჯი-მურატი ამ დღეებში ჩაბარდა რუსეთის მთავრობას.“ ჰაჯი-მურატის ცოლ-შვილს შამილის ხელით ამოწყვეტა ან თვალების დათხრა ემუქრებოდა. მეფისნაცვალი კი ჰაჯი-მურატს დახმარების შესახებ პასუხს უგვიანებდა და გულის გადასაყოლებლად ოპერაში ეპატიჟებოდა, სადაც მთიელის გაოცებული მზერა მოშილიფებული ქალების ცნობისმოყვარე გამოხედვას აწყდებოდა...

ერთი სიტყვით, 1851 წლის შემოდგომაზე სტუმარნი თუ თბილისის მკვიდრნი ახალი შთაბეჭდილებებით ცხოვრობდნენ, ახალგახსნილ ლამაზ ოპერაში სიარულით ერთობოდნენ... გიმნაზიელ ილია ჭავჭავაძეს კი გასართობად არ ჰქონდა საქმე.

1852

ილიას პირველი სიყვარული. მამის ხელ-
მეორე ქორწინების ჩაშლა. გრიგოლ ჭავ-
ჭავაძის მოულოდნელი გარდაცვალება.



ქაშვეთის ეკლესია

„მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი“.

გალაკტიონი

აკი მოგახსენეთ, გიმნაზიელ ილია ჭავჭავაძეს გასართობად არ ჰქონდა საქმე. მასწავლებლები მისით უკმაყოფილონი იყვნენ, რის გამოც 1852 წლის იანვრიდან კვლავ მეოთხე კლასში მოუწია სწავლამ. განსაკუთრებით რუსული სიტყვიერების, თურქული ენისა და მათემატიკის მასწავლებლები არ სწყალობდნენ. კაცმა რომ თქვას, არც ილია იყო მაინცდამაინც აღფრთოვანებული თავისი აღმზრდელებით. ილიას ყმაწვილკაცობის დროს გიმნაზიის ხელმძღვანელობა რიგიან პედაგოგთა სიმრავლით, როგორც ჩანს, ვერ დაიკვეხნიდა. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ გიმნაზიაში გატარებული წლების შესახებ ილიას არაფერი დაუწერია და არ უხსენებია არც ერთი გიმნაზიისდროინდელი მასწავლებელი.

მაგრამ ვინ უწყოდა ყველაზე უკეთ, თუ არა მან, ილია ჭავჭავაძემ, რომ ჩამორჩენის მიზეზი მარტო სწავლების სქოლასტიკური მეთოდებისადმი პროტესტი და პედაგოგებისადმი გულგრილობა არ იყო. ბრალი ილიასაც მიუძღოდა, უფრო სწორად, სიყვარულს, გრძნობას, რომელმაც გიმნაზისტი ყველა სხვა საფიქრალს ჩამოაცილა. „ილია იქნებოდა ესე 13-14 წლისა, – იგონებდა კოხტა აფხაზი, – მისი სატრფოს მშობლები ცხოვრობდნენ თამამშევთა ქარვასლის მეორე სართულში. ხშირად მიუახლოვდებოდით ხოლმე მე და ილია მის ღვთაებრივ სარკმელს და იქიდანაც ღიმილით გადმოგვხედამდა ხოლმე ქერა ქალი. ეს სიყვარული, თუკი სიყვარულად ჩაითვლება, იყო ნამდვილად პლატონური.“

ძველ გიმნაზიასთან თამამშევის ქარვასლა სულ ახლოს იყო. ამიტომ სატრფოს სახლთან ხშირად მდგარა „პატარა ქალის“ ხილვას მიდარაჯებული. ცოტა ხანში ილია გიმნაზიის დირექტორის, დემენტიევის ქალიშვილს გამიჯნურებია. არავინ იცის, შეიტყო თუ არა ეს ამბავი გიმნაზიის დირექტორმა, ის კი უკვე მოგახსენეთ, რომ იმ წელიწადს ილია მეხუთე კლასში ვეღარ გადავიდა... ამ

ფაქტმა გრიგოლ ჭავჭავაძე დიდად შეაწუხა. ილია მამას ჩამორჩენის ნამდვილ მიზეზს ვერ უხსნიდა. არადა, გაბრაზებული გრიგოლი ყველაფერს თავისი შვილის საზარმაცეს აბრალებდა. ასე იყო თუ ისე, გრიგოლი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა და შვილს გაუნაწყენდა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ილიამ მამაზე ისეთი ამბავი შეიტყო, რომ თუ ადრე მის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა, ახლა თვითონ აღშფოთდა და თვითონ დარჩა განაწყენებული: ილიას აცნობეს, რომ გრიგოლ ჭავჭავაძე მეორე ცოლს ირთავდა. ეს ამბავი მართალი გამოდგა. გრიგოლის გაჭირვებას ვერაფერმა უშველა, ვერც სიმამაცემ, ვერც სამხედრო მინისტრისაგან გამოგზავნილმა ორდენმა და ვერც საოჯახო მეურნეობაზე ზრუნვამ. თავად-აზნაურებს საყოველთაო გასაჭირი ადგათ და სურვილიც რომ ჰქონოდათ, ერთმანეთს დიდად მაინც ვერაფრით წაადგებოდნენ. ღარიბი თავადიშვილები ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ საუკუნეობით ძვალსა და ხორცში გამჯდარი წოდებრივი სიამაყისა თუ უპირატესობის გრძნობა დაეთრგუნათ და ვაჭრობით გამდიდრებულ გუშინდელ მდაბიოს დამოყვრებოდნენ. გრიგოლ ჭავჭავაძემაც ეს გზა აირჩია. სხვა არჩევანი მას აღარ ეგულებოდა. სწორედ ამ წელს, 1852-ში უფროსი ვაჟი კონსტანტინე მოსკოვის უნივერსიტეტში გაგზავნა სასწავლებლად, უმაღლესი განათლება უნდა მიეცა სხვა შვილებისთვისაც. ასეთ ხარჯებს იგი ვერ გასწვდებოდა, ვალის კვლავ აღება კი მამულის დაკარგვას ნიშნავდა. გრიგოლი იძულებული შეიქნა, მდიდარი ქალაქელი ქალი შეერთო. ფაქტია, ქორწინება მას სიყვარულისა გამო არ განუზრახავს. ილიამ ამ ქორწინების ჩაშლა მოინდომა. ქაშუეთის ეკლესია, სადაც ჯვრისწერა უნდა მომხდარიყო, გიმნაზიიდან ორიოდე ნაბიჯზეა. ილიამ პატარა ბიჭები შეყარა და ეკლესიას მიაშურა. აი, რას იგონებს ამ ამბის შემსწრე ეკატერინე ავთანდილის ასული კრიჟანოვსკისა: „საპატარძლო საკმაოდ ხანდაზმული ქალი გახლდათ; მაგრამ თავად გრიგოლს თურმე ფულსა და მზითევს დაჰპირდნენ და ქორწინებაზე დაიყოლიეს. ჯვრის წერა ქაშუეთის ეკლესიაში უნდა მომხდარიყო. ჩვენიანები ყველა მიპატიჟებულნი იყვნენ და მეც საცქერლად გავეშურე ეკლესიისკენ, მითუმეტეს, რომ ილია იქ მეგულებოდა და მისი შეხვედრა მწყუროდა... მე უკვე ვიცოდი, რომ ილია დიდი წინააღმდეგი იყო მამის მეორედ ქორწინებისა. როცა ეკლესიის გალავანში შევედით, იქ საკმაოდ მოგროვილი ხალხი დამხვდა, რომელსაც უმეტესად კახელი თავად-აზნაურო-

ბა შეადგენდა. ყველანი გაიცქირებოდნენ ალაყაფის კარებისაკენ, საიდანაც მოელოდნენ მეფე-დედოფლის შემოსვლას. აგერ კიდეც გაჩერდა ეტლი, გადმოვიდნენ იქიდან მეფე-დედოფალი და ხელგაყრილი შემოვიდნენ ეკლესიის ეზოში. იმ დროს მოულოდნელად იჩინა თავი უცნაურმა სანახაობამ. ვიდრე მეფე-დედოფალი ეკლესიაში შესვლას მოასწრებდნენ, უეცრად გაჩნდა ხალხში ქუჩის ბიჭები, რომელთაც ხელში ნაცრით სავსე კალათები ეკავათ. ეს ბიჭები ამ კალათების ქნევით ხალხში დარბოდნენ, საშინელ მტვერს და კორიანტელს აყენებდნენ და თან ამ ლექსს გაიძახოდნენ:

გოდორი და კალათა,
ბებერს რთავენ ქალათა,
გრიგოლ ჭავჭავაძესა
ჯვარსა სწერენ ძალათა!

ამ ამბით გაბრაზებულმა გრიგოლმა ეკლესიაში თვალების ბრიალით მიიხედ-მოიხედა და რა დაინახა ერთ კუნჭულში განმარტოებით ატუზული, გულხელდაკრეფილი თავისი შვილი, მცირე ხანს პატარძალი მიატოვა, მარდი ნაბიჯით მისკენ გაემართა და მრისხანედ თითის ქნევით უთხრა: „ეს სულ შენი ოინბაზობაა, დამაცადე რა გიყო". ცოტა ხანს მერე მეც მივედი ილიასთან და ვკითხე, ვისი მოხერხებული იყო ეს საქმე, რაზედაც მომიგო: „ჩუმად, არავის უთხრა, მამის ყურამდის არ მივიდეს, ჩემი საქმეა, რაც უნდა ისა ჰქნას".

ილიამ ქორწინება ჩაშალა, უფრო სწორად, გრიგოლი დამორჩილდა შვილების ნება-სურვილს. 40 წლის თავადმა ყვარელში საკმაოდ ხანდაზმული პატარძალი აღარ ჩაიყვანა, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა სასიხარულო ამბავი აცნობეს. სიძე და ქალიშვილი კარდანახში ეპატიჟებოდნენ შვილიშვილის დასალოცად: ნიკოლოზ აფხაზსა და ნინო ჭავჭავაძეს ვაჟი შესძენოდათ. ახალშობილს გიგო დაარქვეს. ილიამ თბილისიდან ლექსით მიულოცა ვაჟის შეძენა უფროს დას.

დრო მიდის, იწურება 1852 წელი. ილია სოფლად ზამთრის არდადეგებზე შარშანდელივით მოწყენილი აღარ მიეშურება. ამჯერად სასწავლო წელი კარგად დამთავრდა, გრიგოლისა და მამიდა მაკრინეს საყვედურებიც ასცდება. თავის მხრივ, თვითონაც აღარ ემდურის მამას, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ბედი კიდევ ერთხელ დაბეჭდავს მწარე განაჩენს. ეს ყმაწვილი არსთა გამრიგეს

ტკივილების სატარებლად მოუვლენია. ჭავჭავაძეთა ოჯახს მორიგი დიდი უბედურება ეწვია.

ახალ წელს სოფელი ახლის იმედებით, უკეთესის მოლოდინით ხვდებოდა. მაკრინეს და მის ძმისშვილებს კი გლოვა ჰქონდათ, დედით დაობლებულ ბავშვებს 1852 წლის 10 დეკემბერს მოულოდნელად მამაც ხელიდან გამოეცალათ.

გრიგოლ ჭავჭავაძე 17 წლისა იყო, როცა პირველად გავიდა ბრძოლის ველზე, მას შემდეგ მრავალ ფათერაკს გადაურჩა: ცოცხალმა გამოაღწია სპარსელებთან და თურქებთან ომებიდან, ლეკებთან მრავალგზის ბრძოლებშიც დაინდო სიკვდილმა და ეს ნაბრძოლ-ნაწამები, გმირი კაცი უბრალო შემთხვევამ წააქცია. საკუთარ სახლში კიბეზე ასვლისას დაეცა და კიბის თავს მუხლი დაარტყა. იარა გაურთულდაო, იგონებდა ილიას უმცროსი და ელისაბედი. საღ-სალამათი ლოგინად ჩავარდნილა და იმ დღიდან ფეხზე ველარ წამომდგარა. ექიმებმა ვერაფერი უშველეს. 1852 წლის 13 დეკემბერს 41 წლის გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძის ცხედარი ყვარლის მიწამ მიიბარა. ილიას აღარც დედა ჰყავს, აღარც მამა. დაობლებულ ოჯახს 3000 მანეთი ვალი დარჩა მემკვიდრეობით გადმოყოლილი.

1853

ილიას ძმის კონსტანტინეს რუსეთიდან დაბრუნება. მაკრინეს ამაო მცდელობა ძმისშვილებისათვის სახელმწიფო დახმარების მოსაპოვებლად. მაკრინეს უცნაური ჩანაფიქრი.

ელისაბედ ჭავჭავაძე (ილიას სატრფო)

„დავწვი თქვენი სამართალი, თქვენი კანონდებულება“.

ალ.ყაზბეგი

როგორც ილია იყო მოსიყვარულე, ასეთივე თბილი და მოსიყვარულე და-ძმანი ჰყავდა მას. უფროსი ძმა კონსტანტინე მოსკოვს არის, იქ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. დაოჯახებულა კიდეც, წარმოშობით პოლონელი ქალი შეურთავს ვორონეჟის გუბერნიიდან. მამის გარდაცვალება რომ შეიტყო, მიანება ყველაფერს თავი, იცის, რომ ოჯახს უფროსი ძმის გარეშე გაუჭირდება და ცოლთან ერთად ყვარელში გამოემგზავრა 1853 წლის დასაწყისშივე.

ვინ იცის რამდენჯერ ამოიგმინა ილიამ, – ნეტავ არ წამოსულიყო“

გრიგოლ ჭავჭავაძის მამულს და სახლ-კარს ვალში გაყიდვა ელოდა. რომ არა მაკრინეს თავგამოდება, მისი ძმისშვილები უბინაოდ, უთავშესაფროდ რჩებოდნენ. მაკრინემ რკინის ქალამანი ჩაიცვა, ძმის დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ თელავის მაზრის უფროსს თავად ანდრონიკაშვილს ეახლა და გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახის უბედურებაზე შესჩივლა. მაზრის უფროსმა ობლების გასაჭირი გულთან მიიტანა. იგი კარგად იცნობდა გრიგოლ ჭავჭავაძეს. რაღა თქმა უნდა, ახსოვდა, ორი წლის წინათ რა გმირობა ჩაიდინა გრიგოლმა, როგორ იხსნა ყვარელი ლეკებისაგან. მან გარდაცვლილის ხსოვნას პატივი სცა და თბილისის სამხედრო გუბერნატორს ისეთი მიმართვა გაუგზავნა, რომ ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ადამიანურ მოვალეობად ჩათვალა აქტიურად გამოეხატა თავისი პოზიცია, გულწრფელად ეცადა დახმარებოდა ობლებს. თბილისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი 1853 წლის 19 თებერვალს ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსს სწერდა: „თელავის მაზრის უფროსი, კოლეჟსკი ასესორი თავ.ანდრონიკოვი, 1852 წლის 31 დეკემბრის რაპორტში იტყობინება, რომ თელავის მაზრის სოფელ

ყვარელში, 1852 წლის 8 დეკემბერს (ამ საბუთში ასეა – **ნ.გ.**) გარდაიცვალა შტაბს-კაპიტანი თავადი გრიგოლ ჭავჭავაძე. დარჩა ვაჟები: კონსტანტინე (20 წლის), ილია (15 წლ.), თეიმურაზი (8 წლ.) და ქალიშვილი ელისაბედი 12 წლისა, რომელთაც არავითარი საარსებო წყარო არ გააჩნიათ. მზრუნველიც არავინაა მათზედ. რადგან არა ჰყავთ ახლო ნათესავები. ასე რომ, ამ საბრალო ობლების ბედი მაზრაში საერთო სიბრალულს იწვევს. განსვენებულს დიდძალი მამული დარჩა და მცირე ვალები, რომელიც მან თავისი მიამიტობისა და გაუფრთხილებლობის გამო კაპიტან წილოსანს მიანდო. ამ უკანასკნელის „წყალობით" სულ მოკლე ხანში ეს მამულიც უნდა გაიყიდოს, წილოსანის სახაზინო დავალიანების დასაფარავად. ამ მამულის გაყიდვის შემდეგ თავად ჭავჭავაძის ობლებს თავშესაფარიც აღარ ექნებათ. მათი ერთადერთი იმედი მთავრობის მოწყალებაა, რომელსაც ისინი მოელიან სრულიად მართებულად მამისა და მათი ოჯახის წევრების დამსახურებათა გამო. გარდაცვლილის უფროსი ძმები თავ.ჭავჭავაძეები: სიმონი – ყოფ.ქართველ გრენადერთა პოლკის პორუჩიკი, გარსევანი – კავკასიის მსროლელი ბატალიონის შტაბსკაპიტანი და პრაპორშჩიკი ალექსანდრე ბრძოლის ველზე დაიღუპნენ. სიმონი 1827 წელს სპარსეთთან ომში, გარსევანი-დაღესტანში, ალექსანდრეც – დაღესტანში (გენერალ ფეძის რაზმში). დაბოლოს, თვითონ განსვენებული შტაბსკაპიტანი გრიგოლი (ძმებში ერთადერთი, რომელიც თავისი სიკვდილით მოკვდა), ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა, იძულებული გახდა (სამი ძმის დაღუპვის შემდეგ) სამხედრო სამსახურისთვის თავი დაენებებინა, ოჯახისათვის მიეხედა და ვალებიც გადაეხადა, მაგრამ სამხედრო სამსახურიდან გადადგომის პერიოდშიც დიდ სამსახურს გვიწევდა, რისთვისაც მრავალი ჯილდო მიუღია. მაზრის უფროსი თავ.ანდრონიკოვი სთხოვს უავგუსტეს მონარქს მიიღოს მოწყალება განსვ.თავ.ჭავჭავაძის ობლების კონსტანტინეს, ილიას, თეიმურაზისა და ელისაბედის მიმართ, რომელთა მამა და ბიძები სამსახურის მსხვერპლნი გახდნენ და მათი უკიდურესი მდგომარეობისა გამო გაიღოს 100 მან. ვერცხლით წელიწადში მათ სრულწლოვანებამდე, თან ილია და თეიმურაზი სახელმწიფო ხარჯზე გაიგზავნონ რომელსამე სასწავლებელში". ერთი კვირის შემდეგ ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა რეუტმა თბილისის სამხედრო გუბერნატორს აუწყა: „განვიხილე რა ეს წარდგინება, თავს ვალდებულად

ვთვლი ვაცნობო თქვენს ბრწყინვალებას, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული მიიღოთ განსაკუთრებული შუამდგომლობა, რათა თავად გრიგოლ ჭავჭავაძის ობლებმა მამის დამსახურებათა გამო მიიღონ კანონიერი უფლება პენსიის ან სახელმწიფო ხაზინისაგან რაიმე დახმარების სახით. რაც შეეხება გარდაცვლილი ჭავჭავაძის შვილების, თავადების ილიასა და თეიმურაზის სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე მიღებას, საჭირო დოკუმენტების უქონლობის გამო არავითარი განკარგულების გაცემა არ შემიძლია. მით უფრო, რომ გაურკვეველია, თუ რომელ სასწავლებელში სურთ მათი მიღება ნათესავებს". საბუთს ხელს აწერს გენერალ-ლეიტენანტი რეუტი. ადასტურებს განყოფილების გამგე ავთანდილოვი. თუ რამდენ ხანს გაგრძელდა და რითი დამთავრდა ეს მიწერ-მოწერა, ჩვენთვის უცნობია. ფაქტი კი ერთი გახლავთ, ილიასათვის სახელმწიფოს არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია. გიმნაზიაში შესატან ფულს მამიდა იხდიდა. თეიმურაზს კი მოგვიანებით პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში ვხედავთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მაკრინეს თხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილეს.

ოჯახის ფეხზე წამოსაყენებლად მაკრინე დღენიადაგ ზრუნავს, ცხოვრების უღელს ვაჟკაცურად შებმია. ქალი გრძნობს, რომ მოწყალების იმედად ყოფნა დიდ სიკეთეს ვერ მოუტანს. გამოსავალი კი არ ჩანს, თუმცა ერთმა შემთხვევამ იმედი გაუჩინა: მამიდის გამოცდილმა თვალმა შეამჩნია, რომ მისი ძმისშვილის ილიას მიმართ გულგრილი არ იყო კახეთში სიმდიდრით ცნობილი სოლომონ ჭავჭავაძის ასული ელისაბედი. გრიგოლ ჭავჭავაძის სახელოვან ოჯახს მხოლოდ სიღარიბის გამო სოლომონი ალბათ ვერ დაინუნებდა. სოლომონზე უკეთ ამ ოჯახს ვინ იცნობდა. ის ძალზე ახლო ნათესავი იყო... ასე განსაჯა მაკრინემ და იმედი გაუჩნდა, რომ ძმისწულს ცხოვრების სახსარს მოუპოვებდა. ივანე არაგვის ერისთავის ქვრივს გუმანმა არ უმტყუნა.

1854

ლეკების თავდასხმა წინანდალზე. დავით ჭავჭავაძის ოჯახის დატყვევება. ილიას უფროსი ძმის დაღუპვა.

დავით ჭავჭავაძის ასული თამარი

„ლეკი ხარ, მაინც ლეკი ხარ,
იმამ შამილის ლეკვი ხარ,
სანამ სატევარს დამკრავდი,
სახელი მაინც გეკითხა"

რ. ამაშუკელი

ეს უილიაოდ მოხდა, მაგრამ ილია მაინც დაემორჩილაო, – იგონებდა კოხტა აფხაზი. რა მოხდა უილიაოდ? ისტორიული მნიშვნელობისა არაფერი, მაგრამ რაც მოხდა, მთლად უინტერესოც არ არის, მით უფრო, ილიას ბიოგრაფიიდან წვრილმანიც კი დღეს დიდად ძვირფასი და მნიშვნელოვანია. მკითხველი ალბათ მიხვდება, ეს ამბავი მაკრინეს ჩანაფიქრთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ასეც გახლდათ. მაკრინემ სოლომონ ჭავჭავაძის მძახლად ქცევა განიზრახა. ეს ოჯახი, ვინმე ივანე მჭედლიშვილის ცნობით, „განთქმული იყო მთელს ყვარელში და კახეთშიც... განცხრომით სცხოვრობდნენ, როგორც შეეფერება მდიდარ თავადიშვილს. ბავშვები იზრდებოდნენ გუვერნანტ ქალების ზედამხედველობის ქვეშ". მაკრინემ ასეთი წინადადება მისცა სოლომონს: მომავალში ელისაბედს (სოლომონის ქალიშვილს) ცოლად შეირთავს ილია, უკეთუ სოლომონ ჭავჭავაძე სასიძოს „გაუგზავნის თვეში ოთხ თუმანს, უნივერსიტეტში კურსის დასრულებამდე". სოლომონმა წინადადება მიიღო. ასე რომ, 17 წლის ილია ელისაბედზე დაწინდულად ითვლებოდა. აი, სწორედ ამ ფაქტის გამო იგონებდა კოხტა აფხაზი – ეს უილიაოდ მოხდა, მაგრამ ილია მაინც დაემორჩილაო. (მოგვარეთა და ნათესავთა ქორწინება იმდროინდელ არისტოკრატიულ წრეებში ანომალიად არ აღიქმებოდა. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი თავის მოგვარე სოფიო ორბელიანზე ყოფილა დანიშნული; მოგვარეს გაჰყვა ნიკოლოზის დაი ნინო ბარათაშვილიც, ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილი ალექსანდრე ორბელიანს და ბევრი სხვა) გარიგების შესახებ, გიმნაზიაში სწავლის დროს, ილიამ არაფერი იცოდა. სტუდენტი რომ გახდა, როგორც ჩანს, მაშინღა შეიტყო,

თუ ვისგან იყო იგი მატერიალურად დავალებული. შეიტყო, თუ რისთვის იჩენდა სოლომონი „მეცენატობას". ეს ფაქტი დიდად არ მოეწონებოდა, მაგრამ თავდაპირველად ბედს ნებაყოფლობით დამორჩილდა. დამორჩილდა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, მას ელისაბედი უყვარდა და მეორეც, ელისაბედის მამის ფულის გარეშე პეტერბურგიდან ფეხი უნდა ამოეკვეთა. ბედს ნებაყოფლობით თავდაპირველად დამორჩილდაო, ვწერთ, რადგან მომავალში მოვლენები სხვაგვარად განვითარდება, თუმცა, ამაზე ჩვენც მომავალში ვისაუბრებთ. ახლა კი გიმნაზიის მეექვსეკლასელის, 17 წლის ილია ჭავჭავაძის ცხოვრების გზას მივადევნოთ თვალი.

1854 წლის გაზაფხულამდე ილია სასწავლებელში კვლავ პანსიონიდან დადის. გიმნაზიის მოსაწყენ გარემოს ენაცვლება ზაფხულის არდადეგებზე ყვარელში გატარებული შთამბეჭდავი დღეები. საღამოობით გლეხკაცებთან საუბარი. იშვიათად – თოფის მხარზე გადაგდება და მთებში თუ ალაზნის ჭალებზე სანადიროდ წასვლა. ერთი ნადირობის გამო კოხტა აფხაზი გაიხსენებს: „მახსოვს, ერთხელ ალაზანზედ წავედით რამდენიმე კაცი სანადიროდ. დავდექით ნომრებზე. ჩემს გვერდით, ცოტა მოშორებით იდგა ილია. ხშირი და დიდი ტყე იყო. ძაღლებმა უკვე დაჰყეფეს, როგორც ეტყობოდა, კვალს მიაგნეს. გაფაციცებით ველი ნადირს და არ გავიდა ბევრი ხანი, რომ გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მოფარებული, რომ ვერ ვესროდი, ილიასათვის კი ირემი მეტად მარჯვედ იდგა. ველი გულის ფანცქალით, რომ აი, ან ეხლა გავარდება ილიას თოფი, ან ეხლა-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, კარგა ხანი გავიდა, იდგა, იდგა ირემი, მერმე ერთი დაიფრუტუნა და გადახტა და გაჰქრა ტყეში. გავქანდი ილიასაკენ, დავუწყე ჯავრობა: „კაცო, რა ჰქენი, რატომ არ ესროლე?" – უხ, ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდიო!!!". ამ გამეტებაზე გამახსენდა: იმ ხანებში ირმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ადამიანები ერთმანეთს იმეტებდნენ დაუნდობლად, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით ერთობოდნენ. უკვე ერთი წლის ამტყდარი იყო რუსეთ-თურქეთის მორიგი, ეგრეთ წოდებული ყირიმის ომი.

დასავლეთ საქართველოდან ქვეყანას თურქთა ჯარები აწიოკებდნენ, აღმოსავლეთით კი – ლეკნი. ლეკთა ძლიერი რაზმი 1854 წლის 3 ივლისს წინანდალს დასცემია. წინანდალი ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული იყო. ალექსანდრეს დაღუპვის შემდეგ წინანდლის მამულები და მშვენიერი სასახლე ულამაზესი ბაღით მისი შვილის

– დავითის მფლობელობაში გადავიდა. და აი, 1854 წლის 3 ივლისს, გამთენიისას დავით ჭავჭავაძის სასახლე ცეცხლში გაეხვია. უამრავ დატყვევებულთა შორის იყვნენ დავით ჭავჭავაძის მეუღლე – ილია ბატონიშვილის ასული ანნა ექვსი შვილით; ბატონიშვილი ბარბარე (ანნას და) – რძალი გრიგოლ ორბელიანისა მცირეწლოვანი შვილით – გიორგით; გრიგოლის დისწული, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ნინო; დავით ჭავჭავაძის შვილების აღმზრდელი, ფრანგი გუვერნანტი ანა დრანსე და სხვები. ანა დრანსემ მოგვიანებით საკმაოდ ვრცლად აღწერა ტყვეობის ამბები. მდევართა შორის გრიგოლ ჭავჭავაძის უფროსი შვილი კონსტანტინე ჭავჭავაძეც იყო. კონსტანტინე, ისე როგორც მისი ბიძები ალექსანდრე და გარსევანი, ლეკების მსხვერპლი გახდა. ილიას უფროსი ძმა 21 წლის ასაკში გამოასალმეს წუთისოფელს ლეკებმა. მადევარმა მდინარეში შეაგდო ცხენი და იქ დაახალეს თოფი. კიდევ ერთი მიცვალებული გაიტანეს გრიგოლ ჭავჭავაძის გაუბედურებული ოჯახიდან. კიდევ კარგი, გრიგოლი უფროსი ვაჟკაცის სიკვდილს ვეღარ შეესწრო, მაგრამ ილია? ძნელია კალმით აღწერო, სიტყვით გადმოსცე ის ტკივილი, რაც 17 წლის ილიას გულს უნდა განეცადა, გულს, რომელიც სხვათა საკურნებლად გაჩნდა და სანაცვლოდ მუდმივ საწამლავს სთავაზობს ცხოვრება. კონსტანტინეს მეუღლე მცირეწლოვანი შვილით მოსკოვში დაბრუნდა. მალე დაავადმყოფდა. ძმისწულის სანახავად ილია რუსეთის შორეულ გზას გასდგომია. გრიგოლ ჭავჭავაძის ერთადერთი შვილიშვილი ვაჟების მხრიდან ციებით გარდაიცვალა. ასე წერენ ილიას ბიოგრაფები, მაგრამ მოგვიანებით ვნახავთ, რომ ეს ინფორმაცია სწორი არ არის. 1854 წელს მაკრინე თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. ილიაც წამოვიდა პანსიონიდან. მამიდასთან ერთად, ახლა უკვე მას უნდა მიეხედა უმცროსი დისა და ძმისათვის. მაკრინე სულიერად არ დაცემულა. ავად თუ კარგად ჭავჭავაძეთა ოჯახი ამდენი უბედურების შემდეგ ისევ ფეხზე დადგა.

1855

ილიას [illegible]ნაზიისდროინდელი მეგობრები. [illegible]ისნაცვლის შეცვლა. ტყვეთა გაცვლა. ილიას შეხვედრა კაკო ყაჩაღის პროტოტიპთან.

კოხტა აფხაზი

„შენ ყაჩალი, მე მგოსანი".

ო. ჭელიძე

გავეცნოთ იმ გიმნაზიელთა გვარებს, რომლებიც ილიასთან ერთად სწავლობდნენ და რომელნიც სიცოცხლის ბოლომდე ილიას უსაყვარლეს მეგობრებად დარჩნენ. პირველ ყოვლისა, ეს იყო კოხტა აფხაზი, ილიასთან ერთად გაზრდილი, მისი ნათესავი და მეგობარი, რომელმაც უზარმაზარი სიყვარულით გამსჭვალული მოგონებები დაგვიტოვა ილიაზე. ნიკო ღოღობერიძე, შემდგომში საზოგადო მოღვაწე, ილიას მიწვეული ჰყავდა თავის „საქართველოს მოამბეში" თანამშრომლად. დავით ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ძმისშვილი, ისიც „საქართველოს მოამბეში" თანამშრომლობდა. პეტრე ნაკაშიძე, მას ილიამ უძღვნა „ქართვლის დედა" და „დიმიტრი თავდადებული", ივანე პოლტორაცკი, რომელსაც ილია წინამძღვრიშვილთან ერთად უძღვნა „აჩრდილი", დიმიტრი ყაზბეგი, ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი, რომელსაც ილია ახასიათებდა როგორც თავის თაობაში ყველაზე ნიჭიერ და გამორჩეულ კაცს. დიმიტრი ყაზბეგი ახალგაზრდა გარდაიცვალა. მისმა დამ ელისაბედ ყაზბეგმა დატოვა მოგონებების წიგნი, რომელიც, მისი ანდერძის თანახმად, მისივე სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა. მოგონებებში ამტკიცებდა, რომ თითქოს ნამდვილი ავტორი ყაზბეგის პროზისა არის არა ალექსანდრე, არამედ დიმიტრი.

ილია გიმნაზიის მეშვიდე კლასში სწავლობდა. ილიასთან ურთიერთობა სხვასაც ბევრს ჰქონდა გიმნაზიაში, მაგრამ აქ მისი ის მეგობრები მოვიხსენიეთ, რომლებიც შემდგომში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდებიან, რომელთა თანადგომას და მხარდაჭერას ყოველთვის იგრძნობს ილია. ასე რომ, ახალი თაობა მოდის და, რაც მთავარია, მოდის ახალი მიზნებით. ქვეყანა კი ისევ ძველებურად ცხოვრობდა. 1854 წლის 29 ნოემბერს მეფისნაცვლად დაინიშნა გენერალ-ადიუტანტი ნიკოლაი მურავიოვი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა 1855 წლის 1 მარტს. რამდენადაც

მოქნილი და ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო ვორონცოვი, იმდენად უხეში და გონებაშეზღუდული აღმოჩნდა ახალი მმართველი. პირველი, რითაც მან მოღვაწეობა დაიწყო, გახლდათ ის, რომ ყველა თანამშრომელი სასწრაფოდ აიძულა „საპარადო ფორმა" შეეკერათ და როცა ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა, თანამშრომელთა ჩაცმულობა აქცია ყოფნა-არყოფნის საკითხად. მურავიოვმა ერთი ხელის მოსმით გააუქმა თბილისში ქართული თეატრი, იტალიური ოპერა და რუსული ბალეტი. როდესაც ივანე კერესელიძემ მმართველებს თხოვნით მიმართა თეატრის აღდგენის შესახებ, ძალზე მარტივი და ლაკონიური პასუხი მიიღო. თქვენი თხოვნა უბრალო ქაღალდზეა დაწერილი და ამიტომ მის განხილვაზე უარს ვამბობთო. ახალი მეფისნაცვლის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ერთი საინტერესო დეტალი: მას თვალში ამოუღია თეატრის დირექტორი სოლოგუბი, რომელიც იმხანად გახმაურებული მოთხრობის „ტარანტასის" ავტორი იყო. ერთხელ მურავიოვს სოლოგუბისათვის უკითხავს: „თქვენ ბრძანდებით ტარანტასის ავტორი?" როდესაც პასუხი მიიღო, დასძინა: „მაშ, შეგიძლიათ ჩაბრძანდეთ თქვენს ტარანტასში და გაემგზავროთ აქედან". არ ვიცით, რითი წავიდა, მაგრამ თეატრის დირექტორმა მართლაც სასწრაფოდ აიკრა გუდანაბადი თბილისიდან.

ზემოთ არ მითქვამს, რომ ვიდრე თბილისში ახალი მეფისნაცვალი ჩამოვიდოდა, იმპერიაში უფრო დიდი ცვლილება მოხდა. 1855 წლის 18 თებერვალს მოკვდა ნიკოლოზ პირველი. ტახტზე ავიდა ახალი იმპერატორი ალექსანდრე მეორე.

იმ პერიოდში თურქებმა შავ ზღვაზე თითქმის ყველა ნავსადგური აიღეს. ყირიმში მომხდარმა ამბებმა პირდაპირი გავლენა იქონია დასავლეთ საქართველოს ბედზე. გაძლიერებული ომერ ფაშა გურიასა და სამეგრელოში შემოიჭრა და ეს ტერიტორიები დაიკავა.

იმერეთს იგივე ბედი ელოდა, რაც სამეგრელოსა და გურიას. დიმიტრი ყიფიანი იგონებდა: „იმერეთში ისეთი პანიკა იყო, რომ ქუთაისში რიონის მარჯვენა ნაპირიდან სახაზინო და კერძო განძეული მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს; ქალაქში მხოლოდ ისინი დარჩნენ, ვისაც იარაღის ტარება შეეძლოთ". ყარსის აღების შემდეგ, სადაც მურავიოვი იბრძოდა თავისი ჯარით, დასავლეთ საქართველოსაც ეშველა. მტერი უკუიქცა, მაგრამ ყირიმის ომი ამით არ შეწყვეტილა. იმპერიაში კვლავ დაძაბული ვითარება სუფევდა.

ქართველებს და რუსებს კი არა, ვის ზურგზეც ეს ომი გადადიოდა, ყირიმის ომისკენ მთელს ევროპას ჰქონდა მიპყრობილი თვალი და ყური. ვიქტორ ჰიუგო წერდა: „გუშინ სევასტოპოლი მხოლოდ ჭრილობა იყო, დღეს დაჩირქებული წყლულია, ხვალ საბედისწერო სიმსივნედ იქცევა და შთანთქავს საფრანგეთს, ინგლისს, თურქეთსა და რუსეთს. აი, ესეც მეფეების ევროპა! ო, მომავალო, როსღა იქნება, ხალხის ევროპა გვეღირსოს?!" ახალი იმპერატორი, რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობდა. ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. ძველებურად გრძელდებოდა ომი დაღესტნის მთებშიც. 1855 წელს ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა: შამილმა და დავით ჭავჭავაძემ ტყვეები გაცვალეს. მას შემდეგ, რაც წინანდლის ტრაგედია მოხდა, დავით ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ბარონი ნიკოლაი დღენიადაგ იმაზე ზრუნავდნენ, რომ როგორმე იმამისათვის გული მოელბოთ და ტყვეები გამოესყიდათ. დავითს ცოლ-შვილი ჰყავდა ტყვეობაში, გრიგოლს – რძალი, ძმისშვილი და დისწული, ბარონი ნიკოლაი კი სიძე იყო დავით ჭავჭავაძისა და ტყვეთა გამოხსნაშიც ამიტომ იღებდა გულმხურვალე მონაწილეობას. ბარბარე, ორბელიანების დედა სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა და იმპერატორს შეეევედრა, როგორმე შვილების გამოხსნაში დახმარებოდა. ცდამ შედეგი გამოიღო. შამილს დაუბრუნდა დიდი ხნის უნახავი შვილი ჯემალ ედ დინი, 40000 მანეთიც გადაუხადეს და ტყვეებს თავისუფლება ეღირსათ.

ყველა ეს ფაქტი იმისათვის გავიხსენეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორი იყო გარემო, ისტორიული ვითარება იმ დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძის შეგნებული ცხოვრება იწყებოდა, როდესაც იკვეთებოდა მისი პიროვნება. ადრე ბერობაზე, შემდეგ კი ვოლონტიერობაზე მეოცნებე ილია ნელ-ნელა გამოჰკვეთს საკუთარ მრწამსს. ყოველ შემთხვევაში, უკვე მისულიყ იმ დასკვნამდე, რომ თვინიერ საქმისა ყოველგვარი ოცნება ფუჭია, რომ ერის სამსახური მხოლოდ საქმით შეიძლება გამოიხატოს. ამ ეტაპზე კი ყველაზე დიდ საქმედ მან პიროვნული თვითშემეცნების რთული პროცესი მიიჩნია. ამით განისაზღვრა მისი, როგორც მოსწავლის ცხოვრების წესი. 1855 წლის ზაფხული, ისე როგორც წინა წლების არდადეგები, სოფელში გაატარა. ხან ყვარელში იყო მასზე დანიშნული ელისაბედ ჭავჭავაძის სიახლოვეს... ხანაც კარდანახში მიდიოდა დის ოჯახში. ერთი ასეთი მგზავრობის დროს ილია გზაზე ჩასაფრებულ ყაჩაღს გადაყრია. გვარად გაუხარაშვილს. კოხ-

ტა აფხაზი იგონებდა: „ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მიდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცებ, ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია. გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხამს: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო? ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგა გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ, როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო". მეორე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი, ხოლოდ დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებსო". ილიას პირველი შეხვედრა ყაჩაღთან ბედნიერად დამთავრდა ყაჩაღისთვისაც – მისი სახელი ამ შემთხვევის წყალობით უკვდავყოფილი გახდა: დღეს ხომ სკოლის მოსწავლემაც იცის, რომ კაკო ყაჩაღის პროტოტიპი ვინმე გაუხარაშვილი იყო...

1856

მეფისნაცვალი ბარიატინსკი. ილიას გამოსვლა გიმნაზიის დამამთავრებელი კლასიდან.

ბარიატინსკი

„წავიდა ბავშვობის დღეები,
მინდვრები, ჭალები, ტყეები“.

გალაკტიონი

მურავიოვის მმართველობამ დიდხანს ვერ გასტანა. ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით, ის უფრო წესიერი კაცი იყო, ვიდრე ვორონცოვი, რომელმაც ქართველებს ჩინ-მედლები აშოვნინა, სომხებს ფული და თავადაც ხელი მოითბო მათგან, მაგრამ მურავიოვმა თავის ჯარისკაცული უხეშობით ბევრი გაანაწყენა. 1856 წელს კავკასიის ჯარების მთავარსარდლად და მეფისნაცვლად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ბარიატინსკი. ბარიატინსკი ახალგაზრდა კაცი იყო. იმ დროისთვის 41 წლისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ბავშვობის მეგობარი გახლდათ იმპერატორ ალექსანდრე მეორისა (ახალგაზრდობისას მისი ადიუტანტიც იყო). ქართველი თავადაზნაურობა უხეში და სასტიკი მურავიოვის შემდეგ ახალ მმართველს დიდი იმედებით შეხვდა. ჩვენი ხალხის ამბავი ხომ იცით: ვიცნობო, შემხვედრიაო. თუ ახლობელმა წარმატებას მიაღწია, ან შურით უსკდება კაცს გული, ან მეორე უკიდურესობაში ვარდება – ოო, ეს ხომ ჩემი მეგობარია, ოო, ამასთან ხომ პური გამიტეხიაო და ისე სასაცილოდ იჩემებს უცნობის ნაცნობობას, თითქოს ამიერიდან მას აზის სიკეთის მაუწყებელი მტრედი მხრებზე. ეს ბარიატინსკი კი რაღა უცნობი ნაცნობი, ჩვენი სამხედრო თავადებისათვის მართლაც კარგად ნაცნობი პირი იყო. პირველად კავკასიის ომში 1835 წელს ანუ 20 წლის ბიჭი მონაწილეობდა. აქ მძიმედ დაიჭრა და პეტერბურგში დააბრუნეს, სადაც გამოჯანმრთელებისთანავე მომავალი იმპერატორის ალექსანდრე მეორის ადიუტანტად დაინიშნა. 1843 წელს ისევ კავკასიაში დაბრუნდება და ყველა სამხედრო ჩინსაც აქ მიიღებს გენერალ-ფელდმარშლობის ჩათვლით, რაც გუნიბის აღებისა და შამილის დატყვევების შემდეგ ებოძა. კაცმა რომ თქვას, შამილის საქმე დატყვევებამდე გრიგოლ ორბელი-

ანმა მიიყვანა, მაგრამ ბოლო მომენტში უკან გამოიხმეს. ბოლო გმირული აქტი რუსს უნდა ჩაედინა...

ერთი აქ ნამსახურობის გამო იცნობდნენ ბარიატინსკის, მეორეც, იცოდნენ, რომ იმპერატორის ახლობელი იყო, მოგვიანებით როგორც გრაფი ვიტე, იმპერიის პირველი მინისტრი (სხვათა შორის თბილისში გაზრდილი) იგონებდა, ბარიატინსკი შენობით ელაპარაკებოდა ხელმწიფეს. და მესამე, ახლობლობდა ჩვენს თავადებთან. (იყო ადიუტანტი ცნობილი გენერლის გიორგი ერისთავისა, რომელსაც მეფისნაცვლობას დაჰპირდა იმპერატორი. ეს გ. ერისთავი 103 წლისა გარდაიცვალა) ბარიატინსკი მალე მთლად ჩვენი სიძე გახდება. ცოლად შეირთო მასზე 21 წლით უმცროსი, ულამაზესი ელისაბედ ორბელიანი, რატომ ღმერთი არ გაიცინებს, ქალიშვილი 1832 წლის შეთქმულების ერთ–ერთი წევრის დიმიტრი ორბელიანისა.

როგორც საქართველოს, ისე უერთგულებს ამ ოჯახსაც...

ქართველებს კი ძალიან უხარიათ.

პატივისცემის ნიშნად ისეთი მეჯლისი გადაუხადეს, რომ პარიზის ჟურნალებიც კი წერდნენ იმ ბრწყინვალე საღამოს შესახებ: „ახალ მეფისნაცვალს დიდი ამბით შეეგება კახეთის ალაყაფთან თბილისის ქალაქის თავი სოლომონ სარაჯიშვილი, მოსახლეობა, ამქრები თავიანთი დროშებითა და დაფა-ზურნით. ბარიატინსკი დაქვეითდა, სოლომონმა მას პურ-მარილი მიართვა და სიტყვით მიმართა". სამეფო კარზე გაზრდილი მეფისნაცვალი მურავიოვივით მარტო ჯარისკაცების მომრავლებაზე არ ფიქრობდა, ამით ქართველმა მოღვაწეებმა ისარგებლეს და ჟურნალ „ცისკრის" ხელმეორედ გამოცემა განიზრახეს (1857 წელს ჟურნალი აღსდგა კიდეც ივანე კერესელიძის რედაქტორობით).

მაგრამ ახალ თაობას ამ „მზრუნველი" მეფისნაცვლებისა არ სჯეროდა. საერთო აღფრთოვანებას გულგრილად უყურებდა ილია ჭავჭავაძე. ილია იმ დროს სასწავლებლის დამამთავრებელ, მერვე კლასში სწავლობდა. მოხდა ისე, რომ სრულიად მოულოდნელად მან გიმნაზიიდან საბუთები გამოიტანა, გამოცდაზე არ გავიდა და, ცხადია, ატესტატიც ველარ მიიღო. არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ქუთაისის გიმნაზიის დამამთავრებელ კლასში ასევე მოიქცა აკაკი წერეთელიც. არც ილიას და არც აკაკის სწავლა-განათლების დამადასტურებელი საბუთების მოპოვებაზე არ უზრუნიათ...

როგორი იყო გიმნაზიელი ილია ჭავჭავაძე, რა ცოდნა გამოჰყვა მას სასწავლებლიდან? მისი თანაკლასელი კოხტა აფხაზი შემდეგს გადმოგვცემს: „გიმნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდად ითვლებოდა, მაგრამ ზარმაციც დიდი იყო. არასოდეს გაკვეთილებს არ ამზადებდა და მარტო, როდესაც მოახლოვდებოდა გამოცდა, მაშინ ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორს სამ საათში იმოდენას შეისწავლიდა და დასძლევდა, რომ სხვას ამისათვის ორი დღეც მოუნდებოდა. გასაკვირველი ის იყო, რომ ამგვარი შესწავლა, როგორც მოსალოდნელია, არ იყო ზერელე, პირიქით, რასაც კი შეისწავლიდა, უსათუოდ ზედმიწევნით... მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათაშორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზამენები და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18-20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ დამინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია". ამ მოგონებით ნათლად წარმოგვიდგება ილიას მუშაობის სტილი. სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართულიო. „სულ სხვა წიგნების" რეკომენდაციას კი გიმნაზიის პროგრამები არ იძლეოდნენ. ილიას უკვე თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული მოქმედების „საკუთარი" პროგრამა აქვს შემუშავებელი.

1857

წერილი დისადმი. პეტერბურგში გამგზავრება. ილია სტუდენტი.

ილიას დები

„სამშობლოს ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა“.

ილია

გაივლის ზუსტად 4 წელი და სანკტ-პეტერბურგიდან დაბრუნებული ილია ჭავჭავაძე მგზავრობისას გაცნობილ ოფიცერთან დიალოგს შემოგვთავაზებს:

„თქვენი ცივილიზაცია როგორ მიდის?

– მაგისას ვერას მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში არა ვყოფილვარ.

– ეგ არაფერი, მე ეხლავ შევიტყობ, როგორ მიდის. რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ ქართველებს?

– იქნება ერთი ოციოდე მოგროვდეს.

– რაო, ოციოდეო! ო, ო, ეგ დიდი საქმეა, – წარმოთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა, – ოციოდეო!.. ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი!.. თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოც-და-ათ წელიწადს უკან ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქნება. დიდი საქმეა“.

ჩიტირეკია ოფიცრის სიტყვები მკითხველში ღიმილს იწვევს, მაგრამ ამ ოფიცრისთანა ხომ მთელი ლეგიონი იყო ... ქვეყნის ძლიერებისა და ცივილიზაციის დასტურად გენერლების სიმრავლეა მიჩნეული. უკვე ითქვა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა. ყველა, დიდიან-პატარიანად, მუნდირისათვის ილვწოდა. ახალგაზრდა ილია არ წავიდა გატკეპნილი გზით. მან, ისე როგორც მისი თაობის ბევრმა სხვა წარმომადგენელმა, ქვეყნის წინაშე თავისი მოვალეობა სხვაგვარად მოიაზრა. ილიას მამა-ბიძები სამხედრო პირები იყვნენ. მამულის უსიყვარულობას მათ ვერავინ დასწამებდა, სამშობლოსათვის სისხლი უღვრიათ, მაგრამ მათსავე მაგალითზეც დარწმუნდა ილია, რომ ქვეყნის სამსახური მარტო ხმლის ტრიალით აღარ შეიძლებოდა. 1857 წლის გაზაფხულზე პეტერბურგის უნივერსიტეტში გასამგზავრებლად ემზადება, დას, ნი-

ნოს სწერს: „ვაპირობ სწავლას რუსეთში, მაგრამ, შენმა გაზრდამ, ისე მეძნელება დატევება ამ ჩვენ ყვარელისა, ნამეტნავად ამ ჩვენ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუნდობელ ყმაწვილობის დროს, სადაც ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებებითა. ერთის სიტყვით, ვესალმები ყოველ ფერს, რაიც არის ჩემის გულიდამ დაუვიწყარი, და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არავინ მეყოლება ნუგეშისმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მაგრამა... შენ თითონ იცი, ვარდსა წინ მოუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს ეკლისაგან...“ იგივე გრძნობა ბრწყინვალე პოეტურ ფრაზაში გამოხატა ილიამ: „მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა“... წუთისოფლის ვალი სამშობლოდან დროებით წასვლას სთხოვდა პოეტს. დიახ, უკვე პოეტ ილია ჭავჭავაძეს. 1857 წელს ხომ ილია უკვე ავტორია უკვდავი ლექსისა „ყვარლის მთებს“. 19 წლის ჭაბუკის ნაწარმოებს თაობები ზეპირად ისწავლიან. ჯერჯერობით კი ეს ლექსი მხოლოდ ილიას საკუთრებაა. „ყოველი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მაშორებს“ – სევდიანად მიმართავს მშობლიურ სანახებს სანკტ-პეტერბურგისაკენ გამგზავრებული ილია. იმ დროს რკინიგზა ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი. საქართველოდან რუსეთში ან გემით მიდიოდნენ (შავი ზღვიდან) ან კავკასიის ქედზე გაჭრილი სამხედრო გზით. ილიამ ეს უკანასკნელი გზა აირჩია. პეტერბურგში ჩასვლას დაახლოებით თვენახევარი სჭირდებოდა. ილია სატახტო ქალაქში ჩასვლისას დაბინავებულა ვაჭრის ცოლის – ვინმე კოლჩინას სახლში. ეს სახლი, №122, მდებარეობდა ამაღლების პროსპექტის მეორე კვარტალში, საადმირალოსთან. გაიარა თუ არა უცხო ქალაქის ნახვით აღძრულმა ემოციებმა, შთაბეჭდილებებმა, ილია უნივერსიტეტში შესასვლელად მზადებას შეუდგა. 1857 წლის 20 ივლისს მან თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ემილ ლენცს: „მაქვს რა სურვილი საბოლოო განათლების მისაღებად მოვისმინო სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალური განყოფილების სრული კურსი, უმორჩილესად ვთხოვ თქვენს აღმატებულებას უნივერსიტეტში შესასვლელად დაწესებულ გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩამრიცხოთ თავისუფალ მოსიარულე სტუდენტად“. 1857 წლის 15 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალური განყოფილების თავისუფლად მოსიარულე სტუდენტი გახდა.

1858

დამშვიდობება პირველ სიყვარულთან. ახალი სატრფო პეტერბურგში. ბარათაშვილის ხელახალი აღმოჩენა.

ალექსანდრა (საშა) ჩაიკოვსკაია

„ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა?..“

ილია

1858 წლის 13 ივლისს ტიარლევოდან, სადაც ქართველი ახალგაზრდები ზაფხულის არდადეგებს ატარებდნენ, ნათესავ ქალს ნენე ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილისას ილია მოკითხვის ბარათს გამოუგზავნის. წერილი მთავრდებოდა სიტყვებით: „ნუ დაივიწყებთ, რომ სამი ათასის ვერსტის სივრცის იქით გყავთ ერთი პატივისმცემელი ძმა ილიკო ჭავჭავაძე“.

რა ხდება სამი ათასი „ვერსტის“ იქით, როგორ ცხოვრობს უცხო ქალაქში ჩასახლებული ილია? ერთი წლის წინ ნათქვამი – „სამშობლოს ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა, და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა“ – წინასწარმეტყველება აღმოჩნდა. უცხო გარემოსთან შეგუება ძალზე გაჭირდა. ილიას ნოსტალგია მოეძალა. ამავე 1858 წელს ერთ ახლობელს წერდა: „შენმა წიგნმა ისე მასიამოვნა, რომ თითქმის გადმომასახლა შენ მშვენიერ კოლაგში და სულ დამავიწყდა ეს ოხერი ცივი ქვეყანა, სადაც ჩემმან ბედმან გადმომაგდო“.

ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი ილიასთვის უცხოა და არცთუ აღმაფრთოვანებელი: „ეს პეტერბურღი საშინელი, უდიდესი ქალაქია, ბევრი მხიარულება, ბევრი შექცევაა, მაგრამ ჩემთვის კი სულ ფუჭია, მისთვის, რომ მე ყოველს ჟამს და ყოველს წუთს ჯიბესთან ან მწყრალათა ვარ და აბა ამ ჯიბის მწყრალობით ფეხსაც ვერ გადასდგამს კაცი. რაც უნდა კარგი იყოს პეტერბურღი, მერწმუნე, შენს აქლემივით კოზაკიან კოლაგს არ ემჯობინება და ჩემს ყვარელს ხომ რა თქმა უნდა. ოხ! ნეტავი ეხლა ეშმაკმა ამიტაცოს და მანდ ახლო-მახლო დამაგდოს სადმე, თუნდ ძუნწ და საძაგელ ჩალაუბანში, ვაჩნაძიანთ სამფლობელოში, ან თუ არა ჩემ წყლიან ყვარლის ბარში. რა მადლობელი ვიქნებოდი იმ კუდიან ეშმაკისა“. რამდენადაც ფუფუნებაში ცხოვრობდნენ პეტერბურგის

უმაღლესი არისტოკრატიული ნრის წარმომადგენლები, იმდენად უფრო გამოკვეთილად ჩანდა ახალგაზრდა ქართველი თავადიშვილის გაჭირვება.

სოლომონ ჭავჭავაძისა და მაკრინეს მიერ გაგზავნილი ფულით ილიას თავის გატანა უჭირდა. მართალია, უნივრსიტეტში სწავლის მეორე წელს სწავლის ქირა (25 მანეთი) აღარ გადაუხდია, რადგან სიღარიბის მოწმობა წარადგინა, მაგრამ დიდი ქალაქის ცხოვრების წესისათვის ყვარლიდან გაგზავნილი ფული მეტისმეტად მცირე ჩანს. ერთადერთი, რაც გაჭირვებას შეიძლება დაუპირისპიროს, იუმორია, რომლის ნიჭი სიღარიბესავით მემკვიდრეობით დაანათლა განგებამ. „ჩემი ამბავი რა მოგწეროთ? ხომ იცი, ჭავჭავაძის სისუსტე სად არის, ჯიბეში და ისევ ჯიბეში – უხ! ხანდახან რა უგრძნო ქარიშხალი წამოუბერავს ხოლმე ჯიბით, რა რუსული თაგვები შედგებიან ხოლმე ყალყზედ თითქო ძალად დაცარიელებულს ჯიბეში". ამ დაცარიელებული ჯიბის გამო, გამიჯნურებული ილია ერთხელ ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილა. 1858 წლისათვის ახალი სიყვარული ეწვია. ელისაბედისადმი ტრფიალება მას უკვე განელებია. თუ რა იყო ამის მიზეზი, დანამდვილებით ახლა ამის თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში, მის ერთ-ერთ პირველ ბიოგრაფს გრიგოლ ყიფშიძეს, ილიასა და ელისაბედის სიყვარულის დასრულების მიზეზად ის უცნაური პირობა მიაჩნია, რაც მაკრინესა და სოლომონ ჭავჭავაძეს შორის დაიდო. იგი წერდა: „რა იცოდა ამ ქალის მამამა და ან ილიას მამიდამ, ამ ძველებურ პატრიარქალურ წესის ხალხმა, რომელიც ოდესმე აკვანშივე ჰნიშნავდა ქალ-ვაჟს, რომ მაგნაირის პირობის დადება სრულიად აღარ შეეფერებოდა ახალ დროს, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს, რომ ეგ პირობა საშიში იყო სიყვარულის საქმეში და ადვილად შეიძლებოდა მაგ სიყვარულის სამარედ გადაქცეულიყო. და სწორედ ასეც მოხდა. პირობა დაირღვა, საქმე ჩაიშალა. ნაზმა სფერომ გრძნობისა და პოეზიისა ვერ აიტანა ულმობელი პროზა ცხოვრებისა... ასეა, სიყვარული, აღტაცება, პოეზია ვერ იშვნევს პროზას, ანგარიშს, ამიტომ მოსდევს ხშირად დიდს სიყვარულს დიდი სიძულვილიცა". სიძულვილზე რა მოგახსენოთ, მაგრამ სიყვავრული კი, როგორც ითქვა, ილიას განელებია. ილია ერთი წლის შემდეგ მამიდას სთხოვს, დაავალებს, რომ სოლომონ ჭავჭავაძისათვის მიეცა ის ფული, რომლითაც ეს უკანასკნელი ყოველთვიურად ეხმარე-

ბოდა. სტუდენტი ილია დიდი სინანულით გამოემშვიდობა თავის პირველ სიყვარულს. თუმცა ამ სიყვარულიდან ორი ბრწყინვალე ლექსი დარჩა ქართულ პოეზიას. ასე იყო თუ ისე, ფაქტი ერთი გახლავთ: პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს ილია ჭავჭავაძეს ჭაბუკური გზნებით უყვარს უკვე სხვა ქალი – გენერალ ილია ჩაიკოვსკის ასული, უმცროსი და ცნობილი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკისა. ზემოთ ვნერდით, გამიჯნურებული ილია გამოცარიელებული ჯიბის გამო უხერხულ დღეში აღმოჩნდაო. ეს ამბავი ასე მოხდა: გენერალ ჩაიკოვსკის ოჯახში ილია მიღებული კაცი ყოფილა და, საერთოდ, იმპერიის ცენტრის არისტოკრატიულ წრეებში მას თავადური ღირსებით ეჭირა თავი. ილია რომ ღარიბი იყო და ამის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობაც კი იდო უნივერსიტეტში, ეს სასიმამრომ არ იცოდა. თავის გაჭირვებაზე კი უცხო ხალხთან ამაყი ილია არ დაიჩივლებდა. დაიჩივლებდა კი არა, ისე გულუხვობდა სატრფოსთან, თითქოს დიდი ფულების პატრონი ყოფილიყო, ალბათ იმიტომაც, რომ კარგად იცოდა, თავადობაცა და პიროვნული ღირსებებიც უპოვარი კაცისა ნაკლებად ფასდებოდა. დრო იყო ასეთი. ან კი როდის არის სხვაგვარი დრო. ყოველ შემთხვევაში, გენერლის ოჯახთან ურთიერთობის პირველ ხანებში მაინც ილია იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო. ცოტა მოგვიანებით ერთ წერილში უფროს დას სწერდა: „ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლის ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი, შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი, ისე ვარ მიღებული". არადა, ჩაიკოვსკაიამ ეჭვითაც არ იცოდა, თუ რა ნერვების წყვეტად და ტრაგიკომედიად ჰქონდა გადაქცეული მის ჯიბეცარიელ სატრფოს მდიდრულ წვეულებებზე სადარბაზოდ მისვლა. განსაკუთრებით საინტერესოა ილიასა და კოხტა აფხაზის – ორი ქართველი თავადის – პირველი სტუმრობა ჩაიკოვსკების ოჯახში. „მახსოვს, როდესაც პირველად მოვემზადეთ ამათთან სადარბაზოდ წასასვლელად, – იგონებდა კოხტა აფხაზი, – დიდ გაჭირვებაში ვიყავით. ერთი მუნდირი გვქონდა და მარტოკა არც მე მინდოდა წასვლა და არც ილიას. გადავწყვიტეთ, დავიჭიროთ კარეტა, ერთად წავიდეთ და სახლთან რომ მივალთ, ჯერ ერთი შევიდეს მუნდირით, მეორემ კი კარეტაში მოიცადოს. როდესაც

პირველი დაბრუნდება კარეტაში, გადასცემს მუნდირს ამხანაგს. ახლა ეს ჩაიცვამს და წავა სადარბაზოდ. ამგვარად დავაღწიეთ თავი უხერხულ მდგომარეობას".

სტუდენტ ილიას სხვა ოჯახი ეგულებოდა, სადაც მართლა შვილივით იყო მიღებული. ეს გახლდათ ილიას ნათესავის, სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახი (სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ ეკატერინე ერთხანს პეტერბურგში ცხოვრობდა). უკვე ითქვა, რომ დედოფლის სახლში ილიას ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები გადასცეს. ეს იმდენად დიდი მნიშვენლობის ფაქტი აღმოჩნდა, რომ, ალბათ, უფრო სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით: 1858 წელს გენიოსი პოეტის მივიწყებული სახელის აღსადგენად განგების ნებით ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახს საქართველოს თანამდევი სული ეწვია.

1859

ილიას ავადმყოფობა და საქართველოში დაბრუნება. სოლომონ ჭავჭავაძის „ულ-ლიდან“ გათავისუფლება. გამგზავრება უკან. შეხვედრა გრ.ორბელიანთან.



ილია სტუდენტი

„შენც გამოცვლილხარ, ალა ზანო,
მუხაც გამხმარა“...

ილია

სტუდენტური ცხოვრების წლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მღელვარე და შთამბეჭდავი. ასეთი იყო ილიასთვისაც ის „ძვირფასი ოთხი წელიწადი“. მას ხომ იმ დროს მოუხდა პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა, როდესაც რუსეთში, ევროპაში და საერთოდ – მთელ მსოფლიოში ახალი ცხოვრება იწყებოდა. მოგვიანებით იმ წლებს ნიკო ნიკოლაძე ასე დაახასიათებს: „მწარე ჩაგვრის შემდეგ, როდესაც მჩაგვრელნი 1848 წლისათვის შურს იძიებდნენ, განთიადი ხან აქ, ხან იქ გაიელვებდა ხოლმე. იტალია გაერთიანების გზაზე იდგა. გარიბალდიმ თავისი მამაცი „ათასეულით“ -ის იყო დაიპყრო ორივე სიცილია, – მთელი ქვეყანა ტაშით აჯილდოებდა გმირს. საფრანგეთში ნაპოლეონ მესამე ლიბერალურ დათმობაზე წავიდა. სოლფერინოში განადგურებული ავსტრია პარლამენტარიზმს ამყარებდა. ამერიკა ზანგთა მონობას სპობდა. ბოლოს ჩვენში, საქართველოსა და რუსეთში, გლეხებს ანთავისუფლებდნენ, გაზაფხული იდგა, როგორც ბუნებაში, ისე ცხოვრებაში“. მართალია, ეს ყველაფერი ერთ წელიწადში, ვთქვათ, 1859 წელს არ მომხდარა, მაგრამ ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით, ეპოქის საერთო სურათია დახატული იმ ეპოქისა, როდესაც ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობის სახე ყალიბდებოდა. ერთადერთი, რაც ილია ჭავჭავაძის იმ პერიოდის მღელვარე ცხოვრებაში ერთფეროვნების დამღით იყო აღბეჭდილი, პოეტის ეკონომიკური მდგომარეობა გახლდათ. ამ მხრივ 1859 წელს დაწერილი ბარათი წინა წლის წერილების ასლი გეგონებათ. ილია ისევ იუმორით, ხუმრობა-ხუმრობით წერს ნინოს თავის გასაჭირზე: „ჩემ ჯიბეში ნეტავ ჩამოგახედა, რა ამბავია. რუსეთის თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვსთ, რომ მეტი აღარ იქნება. ღმერთმანი, ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოჰკრავენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს

თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზეც არ იქნება ისე... სხვა რა მოგწერო, ჩემო კარგო დავ! პეტერბურღი ისევ პეტერბურღია, ცივი ქვით მოსიპული და უზარმაზარი".

პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა დიდად იყო დაინტერესებული სამშობლოში მომხდარი ამბებით. ახალგაზრდები მუდამ მოუთმენლად ელოდნენ ჟურნალ „ცისკრის" ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას, თუმცა „ცისკარი" მათ იმედებს ნაკლებად ამართლებდა. ილიას მხოლოდ „მოლაყბის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილები მოსწონდა მეტ-ნაკლებად. „კოლოკოლისა" და „სოვრემენნიკის" ფონზე „ცისკრის" მხატვრული და იდეური დონე მეტისმეტად დაბალი იყო. „ცისკარი" ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო, იწერებოდა ილია პეტერბურგიდან. თანამედროვენი გადმოგვცემენ ასეთ ანეკდოტურ ფაქტს: პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას „ცისკრის" რედაქტორის ივანე კერესელიძისათვის თხოვნა გამოუგზავნია, ჟურნალს მიმართულება შეუცვალეთო. რედაქტორს გაუთვალისწინებია მათი თხოვნა და მას შემდეგ სხვა მხრიდან – ზღვით აგზავნიდა პეტერბურგში ჟურნალს!.. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ივანე თვითონ ჰყვებოდა ამ ამბავს ერთგვარი თვითირონიით...

ზემოთ უკვე ითქვა, რომ პეტერბურგით ილია ჭავჭავაძე მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ ყოფილა. არც პეტერბურგი დარჩენილა ვალში – ჩრდილოეთის ჰავას ცუდად უმოქმედია ჭაბუკის ჯანმრთელობაზე. 1859 წლის მაისში მას სისხლის ღებინება დაეწყო და ისე ცუდად შეიქნა, რომ იძულებული გახდა, უნივერსიტეტი დროებით დაეტოვებინა და სამშობლოში გამომგზავრებულიყო. ექიმის მიერ გაცემულ ცნობაში ვკითხულობთ: „ეძლევა ესე ს.პეტერბურგის-უნივერსიტეტის სტუდენტს თავადს ილია ჭავჭავაძეს მასზე, რომ 1859 წლის მთელ მაისის თვის განმავლობაში ვწამლობდი ავადმყოფს, რომელიც სისხლს იღებდა გულიდან და, თუმცა სენმა იკლო ახლა, წამლობამ არგო, მაინც საბოლოოდ გამოჯანსაღებისათვის საჭიროა სამხრეთის ჰაერი". თბილისში ილია გამოჯანმრთელებულა. მშობლიური გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სადაც 9 წლის წინ პირველი ქართული კომედია დაიდგა, მას წარმოდგენა გაუმართავს, რომელსაც, პეტრე უმიკაშვილის გადმოცემით, დიდძალი საზოგადოება დასწრებია. ილიას თვითონაც მიუღია სპექტაკლებში მონაწილეობა – შექსპირის „მეფე ლირში' მას ლირის როლი განუსახიერებია.

საქართველოში ჩამოსულმა ილიამ, ცხადია, ყვარელიც მოინახულა. მისი უმცროსი და ელისაბედი ჯამბაკურ-ორბელიანზე გათხოვილიყო, ძმა მან პეტერბურგში დატოვა, ასე რომ, სახლში მამიდა მაკრინეს გარდა ოჯახის წევრთაგან არავინ დახვედრია. რა თქმა უნდა, ელისაბედ ჭავჭავაძეც მოინახულა, თუმცა ესიკვდილებოდა მასთან შეხვედრა. აქ, მშობლიურ სოფელში, ყველაფერი მისი ბავშვობის წრფელ სიყვარულს აგონებდა. ამ დროს უნდა იყოს დაწერილი ეს სევდიანი სტრიქონები:

რაც კი არს ჩემ-წინ
მომაგონებს მას, რაც დავკარგე
და რის წუხილიც უნუგეშოდ
გულში ღრმად ჩავრგე!...
აგერ ის მუხა, რომლის
ჩრდილ-ქვეშ ვისხედით ერთად
მე და ის, ვინცა აღმიჩნდა მე
ცხოვრების ღმერთად".

მაგრამ ახლა ყველაფერი წარსულის კუთვნილებად ქცეულა და გარდასული სიყვარულიც მოგონებებსღა შემორჩენია:

შენც გამოცვლილხარ, ალაზანო,
მუხაც გამხმარა...
მეც უდრო-უდროთ გამერია
თმაში ჭაღარა...
სად არს ის ღმერთი,
იგი გრძობა,
ის სიყვარული?
ყველა წასულა, რად არ მიდის
ხსოვნა ბედკრული!"

ცხოვრების პროზა კი სხვაგვარად მიდის. 1859 წლის შემოდგომაზე საბოლოოდ დაირღვა პირობა, ერთ დროს მაკრინესა და სოლომონ ჭავჭავაძეს შორის რომ იყო დადებული. კოხტა აფხაზი, რომელიც მაშინ არდადეგებზე იყო ჩამოსული, მოგვიანებით იგონებდა: „ერთ დღეს (1859 წ. 27 ენკ.) ალავერდში მივდიოდით ხატობაში და აი, აქ, გზაში ილიამ სიხარულით მითხრა: „კოხტა, მომილოცე გავათავეო, სოლომონმა აი ამტენი ფული გამომიგზავნა პეტერბურღში, ახლა მამიდა მაკრინეს დავავალე, სულ მთლად

დაუბრუნე-მეთქი. ახლა თავისუფალი ვარ“. მეტად ნასიამოვნები იყო ილია, რომ მძიმე ტვირთი თავიდან მოიშორა“. ჩანს, ილია კარგად ხვდებოდა, რომ რაც უნდა რომანტიკულ საბურველში გაეხვია ელისაბედთან ურთიერთობა, იგი მაინც ანგარებაზე იქნებოდა დამყარებული, რაც თავისთავად შეურაცხყოფდა ჭაბუკი პოეტის გრძნობას (ესეც არ იყოს, არა მგონია ამ ასაკში ილიას იმაზეც არ ეფიქრა, თუ რა ახლო ნათესავი იყო მისი მომავალი სასიმამრო). გაივლის ხანი, ელისაბედ ჭავჭავაძე გათხოვდება – თავად ალექსანდრე მარჯანიშვილს გაჰყვება ცოლად და 1872 წელს შეეძინება ვაჟი, რომელსაც მშობლები კოტეს დაარქმევენ და რომელიც რეფორმატორად მოევლინება ქართულ თეატრს.

1859 წლის ოქტომბერში ილია ჭავჭავაძე და კოხტა აფხაზი, რომელიც არდადეგებზე იყო ჩამოსული სამშობლოში, კვლავ პეტერბურგისაკენ გაემგზავრნენ. მოგვიანებით ამ მგზავრობის შესახებ ილია გაიხსენებს: „ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის ქედზე ვიწყეთ ასვლა, მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა ტფილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშეწყობილი, პირმღიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელის ნაბიჯით თავისი ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავის ელემენტით – კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდვილი, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში; სწორედ ეხლა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერ ბუნებასაო“. ამ შეხვედრას ილიას ზოგიერთი ბიოგრაფი 1857 წლით ათარიღებს, როდესაც ილია პირველად გაემგზავრება პეტერბურგს. ეს არ უნდა იყოს სწორი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 1857 წელს გრიგოლ ორბელიანი რუსეთში არ ყოფილა და, ცხადია, იქიდანაც ვერ დაბრუნდებოდა. გრიგოლ ორბელიანი იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიწვევით პეტერბურგში იმყოფებოდა 1859 წლის სექტემბერში. როგორც ცნობილია, 1859 წლის 25 აგვისტოს ღუნიბში დაატყვევეს შამილი. გრიგოლ ორბელიანი და შამილი – ორი მოსისხლე, მაგრამ ერთმანეთის ვაჟკაცობის პატივისმცემელი გმირი – პეტერბურგში შეხვედრიან ერთურთს. გრიგოლ ორბელიანი ერთ კერძო ბარათში წერდა: „დიდი ამბავი იყო პეტერბურგში შამილის შეპყრობაზედ და დაღესტანის დამორჩილებაზედ... ნევის პროსპექტის მაღაზიები აივსნენ პორტრეტებითა ბარიატინსკისა და შამილისა“. იმავე წერილში ვკითხულობთ: „შამილი გავიცან პე-

ტერბურღში. კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა. მაგრამ ძალიან გაოცებული იყო ყოველივე მით, რასაც ჰხედავდა. მითხრა, კნიაზო, დიდად ვჰსწუხვარ, რომ ვერ ვნახე თქვენი ნათესავი ქალები, რომ ბოდიში მომეთხოვაო: ეხლა ვხედავ, რასაც ნაკლულოვანებაში იყუნენ ისინი, მაგრამ როგორ მოვიფიქრებდი, რომ კაცები ასე განცხრომით ჰსცხოვრობენ, როგორც აქაო! დიდის სიმწარით მიამბო, რომ მიღალატეს ყოველთა მათ, ვინც იყუენ დაახლოებულნი ჩემგან და ვინცა ჩემს მფარველობას ქვეშე და ჩემის მოწყალებით ჰსცხოვრობდნენო! იმათვე ამიკლეს სრულებით, ასე, რომ ეს თეთრი ჩოხა ბარიატინსკიმ მიწყალობაო". ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, შამილის დატყვევების დღე, 25 აგვისტო, ყოველწლიურად ეზეიმათ მთელ იმპერიაში.

აი, ამ ამბების შემდეგ ბრუნდებოდა გრიგოლ ორბელიანი იმპერატორის სასახლის კარიდან, როცა მას მლეთის დაღმართზე ილია ჭავჭავაძე შემოხვდა. „თითქოს ნიშნეული იყო ეს შეხვედრა ორი სხვადასხვა ეპოქის მწერლისა კავკასიონის უღელტეხილთან, – წერდა პავლე ინგოროყვა, – იმ დროს, როდესაც გრიგოლ ორბელიანი ეშვებოდა მწვერვალებიდან, ილია ადიოდა კავკასიონზე"...

1860

ილიას ძმის თეიმურაზის გარდაცვალება.
პეტერბურგელი სატრფოს გათხოვება.

შამილი ტყვეობაში შვილებთან ერთად

„სიკვდილო, შვილი ნეტამც შენაც მაგცა."

ხალხური

სული მიგუბდა, გული მტეხდა
ტკივილით, ტანჯვით,
თითქოს ჩემს გვამსა
ზედ-გადესხა ნავთი მდუღარე.
ძარღვნი სკდებოდნენ საშინელის
წვითა და დაგვით,
ტვინი მეწოდა, გესლი მწვეთდა
თვალთაგან მწარე".

რა არის ეს, ლექსია თუ ღადარზე ცოცხალი ადამიანის სხეული შიშხინებს და ტკივილებისაგან იგრიხება? „ძარღვნი სკდებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით"-ო. რა სტანჯავს ასე სრულიად ახალგაზრდა კაცს, ჯერ 23 წელიც არ შესრულებია. კიდევ ერთი დარტყმა. კიდევ ერთი სიკვდილი. თემური, მისი უმრწემესი ძმა გარდაიცვალა.

1860 წლის აპრილში ილიამ სამარეს მიაბარა ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ძმა, პეტერბურგის კადეტთა კორპუსის მოწაფე, 15 წლის თეიმურაზი. სამშობლოს მოწყვეტილი 22 წლის ილია პეტერბურგში თავის 15 წლის ძმას მარხავს. ბედმა კიდევ ერთხელ შეასვა სიმწრის ფიალა.

მამიდაჯან! რა დავუშავეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოთ და შეუბრალებლად გვიწამლავს დღეებს ამთვენ ტანჯვით,– იწერებოდა ყვარელში გულდამდუღრული ილია, – ჩემი პატარა თემურა სადღა არის, მამიდაჯან! დავკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა?! ველარ გნახავთ ის საწყალი და უბედური; ნეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავებით მაინც მიცვალებულიყო. ვაიმე, ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა, რაზედ დამაობლე და დამაგდე,

შენ ნახვედი, მოგვშორდი და შენ მაგიერ დაგვიგდე ნუგეშად ცრემ-ლი და წუხილი... რა ვქნა? რაც გამოვზრდილვარ სულ სიკვდილი მესმის გარშემოდან. სიკვდილის მეტი ბედი არ დაგვყოლია ჩვენ, მადლობა ღმერთს ამგვარ ბედისათვის. ნუ იწუხებთ, მამიდაჯან, ამ ცხოვრების ღელვისაგან ბევრი მოგითმენიათ და ესეც მოით-მინეთ. მე ვერა ვარ კარგად, ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლილია, თუ ღმერთმა ბოლო არ მამიღო, კულავ ამ დროს დავბრუნდები შინ კურს გათავებული. მაგრამ მარტო მე მოვალ შინ მამიდაჯან, და თქვენი პატარა თემური საუკუნოთ დარჩება აქ".

წერილს თავზე მიწერილი აქვს:

ვაიმე, საწყალო თემურ! აღარ გაიხარებენ შენ ბედნიერობაზედ არც ძმა შენი უბედური, ველარც მამიდა და ველარც დები შენი, სად წახვედ, ჩემო საყვარელო ძმავ! შემომხედე მე და შემიბრალე, რომ უშენოთ ასე ვიტანჯები!".

ძმის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევს ახალგაზრდა პოეტს. იმავე 1860 წელს იწერება ლექსი „ძმის სიკვდილზედ".

უარესი რაღა მოხდებოდა, მაგრამ ეს წელი ილიას პირად ცხოვ-რებაში სხვა მხრივაც უკეთური აღმოჩნდა: **„სჩანს ოდითვე დანიშ-ნულა სამარტოოდ ჩემი გული!"** – გენერალ ჩაიკოვსკის ასული, რომელსაც ნამდვილი გრძნობით შესტრფოდა ილია, 1860 წლის შე-მოდგომაზე სატრფოს გაუმჟღავებს, რომ სხვაზე აპირებს გათხო-ვებას. ილიას რაყიფი აღმოჩნდა ვინმე ლევ დავიდოვი, რომელიც ასაკით ტოლი იყო, ქონებით – ილიაზე მეტი, სხვა მხრივ კი... გე-ნერალ ჩაიკოვსკის ქალმა დაკარგა შესაძლებლობა, გარდა იმისა, რომ გენიალური კომპოზიტორის და იყო, გენიალური შემოქმედისა და პიროვნების მეუღლე გამხდარიყო. თუმცა, ეს ამბავი, ალბათ, კანონზომიერიც გახლდათ. მართალია, ილია, მისი ლექსების მი-ხედვით, სატრფოს ღალატის გამო გულმოკლული ჩანს, მაგრამ იმ ხანებში დაოჯახებისათვის, როგორც ირკვევა, თვითონაც არ იკ-ლავდა თავს. იმასაც კარგად გრძნობდა ჭაბუკი პოეტი, რომ სხვა ქვეყნის შვილი იმ უღელს ვერ გასწევდა, იმ ტვირთს ვერ შეუდგე-ბოდა, რომლისთვისაც თავად ემზადებოდა იმ „ძვირფასი ოთხი წლის" მანძილზე.

რამდენადაც მძიმე იყო 1860 წელი ილიას პირად ცხოვრება-ში, იმდენად მძიმედ უშრომია შემოქმედებითად, იქნებ იმიტომაც, რომ სულიერ ტკივილს გაქცეოდა. სხვა ნაწარმოებთა შორის აღვ-ნიშნავთ ერთსაც: 1860 წელს ილიას დაუწერია ლექსი „ქართველი

სტუდენტების სიმღერა", რომელიც იწყება და მთავრდება ოპტიმისტური პათოსით:

„დედამ რომ შვილი გაზარდოს, -
ემაგრე ჩვენისთანაო;
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო." და ა.შ.

სტუდენტმა აკაკიმ ილიას ჩაუხველა:

„დედამ რომ შვილი გაზარდოს
და მერე თქვენისთანაო?!
ნაცარქექია რამე ხართ
ყველგან და ყველასთანაო!"

ეს იყო ქართული მწერლობის ამ ორი დიდი მახვშის პირველი წაწკიპურტება ერთმანეთთან, უფრო სწორედ, აკაკისა ილიასთან... აკაკი ბაქრაძემ, ვფიქრობ, სწორად ახსნა აკაკის პაროდიის მიზეზი. ეს იყო წყენა არა იმდენად ილიასადმი, არამედ სტუდენტთა იმ ჯგუფის მიმართ, რომელნიც იმჟამად პეტერბურგში სწავლობდნენ და რომელთაც ძლიერ გაანაწყენეს იმერელი ფიცხი ახალგაზრდა. მოდი და ნუ განაწყენდებოდი. იმის გამო, რომ აკაკის ძმა ილიკო იმპერატორის დაცვის რაზმში მსახურობდა (კონვოიერთა რაზმი), აკაკის მთავრობის კაცობა და ჯაშუშობა შესწამა ვილაცამ. ცხადია, მალე ყველაფერი გაირკვა, ცილისმწამებელმაც ბოდიში მოიხადა, მაგრამ აკაკი გვარიანად კი გააფიცხეს.

1860 წელს დაწერილ სხვა ნაწარმოებთა შორის აღვნიშნავთ ერთსაც: 5 ნოემბერს ახალგაზრდა მწერალმა დაასრულა წერილი, რომლის გამო თავის ახლო მეგობარს ილია წინამძღვრიშვილს თბილისში აცნობებდა:

„ამ სტატიას გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმცა სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოაშკარავო არავისთან, ხელაღებით არავისთან. იმისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ ჩემს მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ასე უნდა მოიქცე, რომ თვითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს,

სხვა მხრივ დააჯერე ისინი, რომ მართლა და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილი. ამას გარდა, თუ კერესელიძემ არ დაბეჭდოს, უთხარი როგორმე, რომ ეს აზნაური ზუმბერიძე რომელიმე რუსის ჟურნალში ან გაზეთში გიჩივლებს თქო ქართველებთან და გაგირჩევს თქო შენ საკუთარ ლექსებს... ვიცი, კერესელიძეს თ.რ.შ. ერისთავისა ეშინიან და იქნება ამისთვის არ დაბეჭდოს". საინტერესო კია, ასე ძალიან რატომ ფრთხილობს უშიშარი ილია?..

1861

ლიტერატურული ბრძოლის დაწყება. სტუდენტთა ბუნტი პეტერბურგში. უნივერსიტეტის მიტოვება.



პეტერბურგის უნივერსიტეტი

„ვაი, დარბაისელთ ამოწყვეტასს!"

რევაზ ერისთავი

ისტორიული მნიშვნელობის იმ თარიღთა შორის, რომელთაც სკოლის მერხიდანვე აღიბეჭდავს ჩვენი გონება, 1861 წელიც გახლავთ. 1861 წელს რუსეთში ბატონყმობა გაუქმდა. დაირღვა ის საუკუნო წესი, რომელიც ადამიანებს ბატონებად და გლეხებად ჰყოფდა. ის, რაც მანამდე ღვთიურ კანონად მიაჩნდათ, ერთი ხელის მოსმით იქნა უარყოფილი. 19 თებერვლის მანიფესტი რუსეთის იმპერიაში თითქმის ახალი ეპოქის დასაბამად იქცა. იმ დღეებში მთელი პეტერბურგი, უფრო სწორად, პეტერბურგის ლიბერალური ინტელიგენცია, საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენლები, სიხარულით ტიროდნენ. რაც შეეხება თავადაზნაურობას, იგი გაოგნებული შეხვდა ამ რეფორმას, მაგრამ იმპერატორის ნება სურვილს, რაც დროის მოთხოვნებით იყო გაპირობებული, წინ ვერავინ აღუდგებოდა, ამიტომ იძულებული იყვნენ დარდი და ბოღმა გულში ჩაეკლათ. იმპერიის დედაქალაქში მომხდარი ამბები თბილისში კანტიკუნტად ჩამოდიოდა. სატელეფონო კავშირი მაშინ თბილისსა და პეტერბურგს შორის არ არსებობდა. კავკასიის მეფისნაცვალი ბარიატინსკი, რომელსაც იმპერატორთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და ამიტომ მის სიტყვასაც დიდი ფასი ედებოდა, რატომღაც სატელეფონო კავშირის წინააღმდეგი გახლდათ, თუმცა რაღა რატომღაც, ამის მიზეზი – საკმაოდ უბრალო და მარტივი – ცნობილია: ბარიატინსკი შიშობდა, სატახტო ქალაქთან სატელეფონო კავშირი მეფისნაცვლის ინსტიტუტის გაუქმებას თუ არა, უფლებების შეზღუდვას მაინც გამოიწვევსო. ერთი სიტყვით, ის, რაც 1861 წლის თებერვალში პეტერბურგში მოხდა, საქართველოში მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ განმეორდება, თუმცა 1861 წლიდან მთელი კავკასია ამ ახალი ამბის მოლოდინით ცხოვრობდა. მართალია, გლეხობას ბოლოს ქაღალდზე დაწერილი თავისუფლებაღა შერჩა, მაგრამ „ბოლოს" რა იქნებოდა, ეს მემამულეთ არ

იცოდნენ, ამიტომ რეფორმის მადლიერნი ისინი ვერ იქნებოდნენ. 1861 წელი ძალზედ საინტერესო თარიღია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისთვისაც. როგორც დღემდე ცნობილია, ამ წელს ატყდა ლიტერატურული ბრძოლა მამათა და შვილთა შორის.

ილიას წერილით დაიწყო. აი, ზოგიერთი ამონარიდი: „1861 წლის აპრილის „ცისკარმა" საზოგადოებას მოჰფინა: „კაზლოვის შეშლილი", რაც უნდა ცუდი იყოს, მაინც თუ კაცმა იკისრა მისი გადმოთარგმნა, გულმოდგინედ და მსგავსად უნდა გადმოეთარგმნა და არა ისე უწყალოდ გაეფუჭებინა, როგორც თავად ერისთავს გაუფუჭებია. მისი თარგმანი ასეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალს მწერლებს. თარგმანი როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავს. ჩვენ გულდაჯერებით უწინასწარმეტყველებთ თავად ერისთავს რომ დრო მოვა, როცა მის თარგმნის ლექსებითა „დაჰსჯიან წარმართთა" ... „გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია. სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობა და სიძულვილი." ... „ვისაც არ წაგიკითხავთ „შეშლილი," ჩვენ, ვითარცა კაცთმოყვარენი, არ გირჩევთ წაკითხვას: პირველი, რომ უწყალოდ დაიტანჯებით, მეორე, რომ ჩვენ გაგვამართლებთ და ეგ იქნება თავად ერისთავს ეწყინოს. – ასეთნაირად ჭრიჭინებენ თავად ერისთავის ლექსები, როგორც გაუსაპნავი საპალნის ურმის თვლები; ასეთ ურჟოლას დაგმართებთ, რომ „ჟამი მოგივათ გაციებისა," თავად რაფ. ერისთავისა არ იყოს. ნამეტნავად ნაზ აგებულების ქალს მოარიდეთ ეგ თარგმანი. საწყალი კაზლოვი! იფიქრებდა, რომ იმისი „შეშლილი," რომელზედაც იქნება უტირნია, რომ ესრეთი სასაცილო იქნებოდა თავად ერისთავის თარგმანში? მართლა რომ კაზლოვის „შეშლილი" სრულად შეშლილა ქართულს ენაზედ; ერთი ბეწო შებრალება და სიყვარული არა ჰქონია იმის მთარგმნელს, არც იმისი, რაც უთარგმნია, არც თავისივე ამორჩეულ პოეტისა, არც ხელოვნებისა, არც თავის მშობლიურ ენისა. მარტო ჩანს, რომ საკვირველად ჰყვარებია თავად ერისთავს რითმების რახარუხი."...

კიდევ უფრო ბასრი სტრიქონებიც გვხვდება ილია ჭავჭავაძის პირველ კრიტიკულ წერილში **„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის" თარგმანზედა."**

ეს წერილი იქნებ ახალგაზრდული კატეგორიულობითა და დაუნდობლობით სცოდავდეს, ფაქტია, რომ ასეთი კრიტიკა ვაუგონარი იყო იმდროინდელ საქართველოში. თავმომწონე თავადი, გენით არისტოკრატი, უეცრად ქვეყნის სასაცილო ხდებოდა. მერე და ვინ კადრულობდა მის შეურაცხყოფას? 23 წლის ჯიბეცარიელი ახალგაზრდა, რომელიც არც გვარს მალავდა თავისას და არც სახელს. ფსევდონიმი ზუმბერიძე, რომლის მოწერაც თავდაპირველად სურდა ავტორს, უკუგდებულ იქნა. ამ გაბედულ წერილს ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე. „ცისკრის" რედაქტორმა ივანე კერესელიძემ თავი გადასდო, ასეთი წერილის დაბეჭდვა გმირობის ტოლფასი იყო. როცა „ცისკარი" გამოვიდა, ილია პეტერბურგში გახლდათ და მთელი პასუხისმგებლობა რედაქტორზე გადადიოდა.

რევაზ ერისთავი გავლენიანი კაცი ყოფილა. იგი ერეკლე მეფის შთამომავალი გახლდათ: მისი ბაბო, მამის დედა, ანასტასია – ერეკლეს შვილი იყო. მისი სიძე, დის, ქეთევანის ქმარი გახლდათ შალვა ერისთავი, 1832 წლის შეთქმულების მეთაური (სხვათა შორის, ბარათაშვილის ლექსი „ქეთევან" სწორედ რევაზის დას ეძღვნება). ილიას სიტყვით, რედაქტორს შიშიც ჰქონია მისი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, „ორიოდე სიტყვა" დაიბეჭდა. იმ დიდ საქმეში, რასაც ერისა და ლიტერატურის სამსახური ჰქვია ილიასათვის არც ახალგაზრდობაში და არც შემდეგ შენ-ჩემობა არ არსებულა. აკი თვითონვე წერდა: „ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა. თუნდ რომ იწყინოს თავად რ.შ. ერისთავმა ჩვენი პირ მოუფერებელი სტატია, რა უყოთ? მისი ნებაა! სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენკი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს." ეს იყო მიზეზი, რის გამოც ილიამ ხელთათმანი ესროლა ერისთავს. მომდევნო, მაისის ნომერში განგაში ატყდა.

ბარბარე ჯორჯაძე: ილია ჭავჭავაძე „გვიწერს, რომ ვითომ ჩვენ ვახდენდეთ ენას, არამც თუ ვაკეთებდეთ. თუ უკაცრავად არ ვიქნებით, მგონია თითონ უფრო ახდენს," „სულ რომ ეს ვჰსწეროთ, ჩვენი ჟურნალი ამ ერთმანეთის კიცხვას მოუნდება, თქვენი ჭირიმეთ, და კარგი რაღა დაიბეჭდოს?.." „მომაგონდება ამ შემთხვევა-

ში საღმრთო სიტყუა: „მიუტევე, მამაო, რამეთუ არა იციან, რასა იტყვიან!"...

გიორგი ბარათაშვილი: „ილია ჭავჭავაძე კრიტიკისა ერისთავის თარგმანზე აქამომდე ისე მიბჟუის ყურები, თვითქოს ეს არის ეხლა გამოველ მეთქი ბაზაზხანიდამ". „უფ.ჭავჭ. როგორათაც მდარე მოკრივემ აურია ცისკარში ქვა და იქნება ზოგიერთმა ალალმართალმა მწერალმა გამოაცალოს თავი ცისკარს."

რევაზ ერისთავი: „ეტყობა ძალიან ზაფრიანი აგებულებისა ბრძანებულა თავ. ჭავჭავაძე. ეშმაკათ, აკი იმ დროს წაუკითხავს ის ჩვენგან თარგმნილი, როდესაც ზაფრა ჰქონია აშლილი და ჯვარი ჩუენზედ უყრია."... „თავ. ჭავჭავაძე ბრძანებს, „ქართველებს სამი რამ დაგვრჩენია ჩუნეთ მამაპაპათაგანა: მამული, სარწმუნება და ენაო" – მეოთხეს კი ივიწყებს: ჩუნეთ წინაპართაგან ნაანდერძევს – ზრდილობას, – ვაი, დარბაისელთ ამოწყვეტას!"

მოკამათეთა პასუხებიდან შედარებით მძაფრი ადგილები ამოვწერეთ. საერთო შთაბეჭდილება კი ისეთია, რომ ოპონენტები, მიუხედავად მრავალი შენიშვნისა, ერთხმად აღიარებენ ახალგაზრდა ილიას განსწავლულობას. სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ილიას კრიტიკის მთავარი ადრესატი რევაზ შალვას ძე ერისთავი თავის პასუხს კეთილშობილური დასკვნით ამთავრებს: „ჩუენის მხრით, მაინც კიდევ ვეტყვით ილია ჭავჭავაძეს, რადგანაც ვგონებთ, გულს მოდგინეთ იღვწის ჩუენის ენის წარმატებისათვის"... „იმედი გვაქვს მარტო ჩუენის შეცდომების მხილებაზე" არ შეაყენებს თავის „ენიანს ენას და მეხის კალამს", რომელიც უპყრიეს ხელოვანს-ხელსა"...

აპრილისა და მაისის „ცისკარში" გამოქვეყნებული წერილები მხოლოდ დასაწყისი იყო ხანგრძლივი პოლემიკისა. ილია პეტერბურგიდან თბილისს ჩამოდის და ივნისის „ცისკარში" პასუხს ბეჭდავს. ერისთავის დამცველებმა ჟურნალს რომ ზურგი არ აქციონ და სულ არ დაუხურონ, ივანე კერესელიძე იძულებულია, მათ გამოექომაგოს. იგი ილიას პასუხს სარედაქციო შენიშვნებს ურთავს. პოლემიკა ისე გამწვავდა, რომ უკვე აშკარა გახდა: ლიტერატურული კამათი მხოლოდ ფორმა იყო, რითაც ინიღბებოდა ორ დასს შორის ატეხილი იდეოლოგიური ბრძოლა. ურთიერთბრძოლამ დაღუპა რომიო, – უკვე შეშფოთებული წერდა მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძე.

1861 წლის შემოდგომაზე ილია კვლავ პეტერბურგშია. სექტემბერ-ოქტომბერში უნივერსიტეტში დიდი ამბები მოხდა. სექტემბ-

რის დასაწყისში გამოქვეყნდა საუნივერსიტეტო რეფორმა, რომლის ძალითაც ღარიბ და თავისუფლად მოსიარულე სტუდენტებს ადრე არსებული შეღავათები ეხსნებოდათ, სწავლისათვის მათაც უნდა გადაეხადათ ქირა: იკრძალებოდა სტუდენტთა ყოველგვარი სახის შეკრებანი. სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა უნდა აერჩიათ უნივერსიტეტის მმართველებს და არა თვით სტუდენტებს: გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში სტუდენტს კურსზე აღარ ტოვებდნენ, იგი პირდაპირ გაირიცხებოდა უნივერსიტეტიდან. რეფორმა სხვა მოთხოვნებსაც აყენებდა, რომლებიც სტუდენტებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. გაჩნდა პროკლამაციები, დაიწყო საიდუმლო შეკრებანი. დიდი ტანჯვა-წვალებით ჩამოყალიბებულ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს, რომლის ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო, დაშლა ემუქრებოდა. სტუდენტობა უფლებების შეზღუდვას ვერ შეურიგდა. 1861 წლის 24 სექტემბერს ლექციები შეწყდა. მეორე დღეს გაიმართა დიდი დემონსტრაცია. სტუდენტების მღელვარება დედაქალაქის მოსახლეობასაც გადაედო. პოლიციამ და მმართველობამ გადამწყვეტ ზომებს ვერ მიმართეს. დემონსტრაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნიკო ნიკოლაძე იგონებდა: „ხელმწიფე ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა. ფოთსა და ქუთაისში; აქ იგი ნადირობდა თავადების ბაღებში, შინაურ ჯეირნებზე. საქართველოში ამ დროს ჯერ კიდევ მზადდებოდა გლეხების განთავისუფლების პროექტი, ამიტომ საჭირო იყო ქართველ თავად-აზნაურობის გულის მოგება და დატკბობა. იგი სტუმრად იყო შამილის დამამარცხებელ თავად ა.ი. ბარიატინსკთან (ნიკო ნიკოლაძეს, როგორც ჩანს, გადავიწყებია, რომ ამ დროს ბარიატინსკი საზღვარგარეთ იმყოფებოდა და იმპერატორს მასპინძლობდა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი გრ. ორბელიანი – **ნ.გ.)**... ამიტომ სანამ ხელმწიფემდე მიაღწევდა მოხსენება სტუდენტების არეულობის შესახებ და შემდეგ მისგან მოვიდოდა მითითებანი, რა ღონე ეხმარათ ჩვენს საწინააღმდეგოთ, – ორ კვირაზე მეტმა დრომ გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვიყავით სატახტო ქალაქში თუ ბატონები არა, ყოველ შემთხვევაში ნამდვილი გმირები; პოლიციასა და მთავრობის სრული უმოქმედობის გამო ... ასე გაგრძელდა 25 სექტემბრიდან – 13 ოქტომბრამდე ... ორშაბათს ოქტომბრის 13-ს, როცა ჩვენ ჩვეულებისამებრ შევიკრიბენით უნივერსიტეტის მთავარ შესასვლელთან, და ყრილობა არც კი დაგვეწყო, უეცრად გამოჩ-

ნდა ჯარი და სწრაფად და მოხერხებულად ალყა შემოგვარტყა." დაპატიმრებულთა შორის ქართველი სტუდენტებიც იყვნენ: კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ღოლობერიძე, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დავით აბდუშელიშვილი, აბელ ჩოლოყაშვილი, ივანე ისარლიშვილი, პეტრე ალხაზიშვილი, დავით ღოლობერიძე, გრიგოლ ჯავახიშვილი და სხვანი. ილია კრონშტადტის ციხეს გადაურჩა. „მე და ილია, როდესაც მივედით, – წერს კოხტა აფხაზი, – კრებისათვის უკვე პოლიციას და ჯარს ალყა შემოერტყა". ერთიც იყო: მართალია, ილია სტუდენტთა შეკრებებში მონაწილეობდა, მაგრამ ამბოხებაში აქტიურად არ ჩართულა, ისე, როგორც აკაკი წერეთელი, რაც მათი პოლიტიკური მიზანდასახულობით უნდა აიხსნას – კრონშტადტის საპყრობილიდან ისინი მათ მომლოდინე საქართველოს ვერას არგებდნენ... ამბოხებაში ილიას მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ არც უნივერსიტეტის ახალ წესებს დამორჩილდა. 1861 წლის შემოდგომაზე მან საბოლოოდ მიატოვა სასწავლებელი და სამშობლოსაკენ გამოეშურა. ისე, როგორც გიმნაზიიდან, არც ამჯერად წამოუღია სწავლა-განათლების დამადასტურებელი რაიმე საბუთი, თუმცა დიპლომს მისი ავტორიტეტი აღარ საჭიროებდა. 24 წლის ილია ჭავჭავაძე უკვე იმ ნაწარმოებთა ავტორია, რომლებიც შთამომავლობისათვის კლასიკად იქცა. მოდის და ფიქრობს ჭაბუკი. „შევძლებ კი?" – ეს კითხვა აფორიაქებს, გაუსაძლის ფიქრად მოსდევს. კავკასიონის ქედს რომ გადმოსცდა, მოხევე შეხვდა – ლელთ ღუნია. მოსაუბრობს ორი ქართველი – ილია და მოხევე. საქართველოს გული საქართველოს გონებასთან თავის სატკივარზე ჩივის. მათ საუბარში ერთი აზრი გამოიკვეთა, დიადი, ეპოქალური აზრი: **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". „თვით აზრი კი სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი"...**

1862

რეფორმატორთა და კონსერვატორთა ბრძოლა. ნათესაობა ილია ჭავჭავაძესა და რევაზ შალვას ძე ერისთავს შორის.

ილია ნათესავებთან

„მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ ალარ ჩანან, ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა."

ილია.

გრიგოლ ყიფშიძის სიტყვებით თუ ვიტყვით, ილიას „პირველი სადებიუტო წერილი ნამდვილი ყუმბარა იყო. მისმა ძალა-აფეთქებამ თავზარი დასცა მაშინდელ მწერალთა კრებულს, ძირამდე შეარყია დაგუბებული, ხავს-მოკიდებული სალიტერატურო ჭაობი და დიდი მითქმა-მოთქმა, დიდი ალიაქოთი გამოიწვია". ამ ვითარების ამსახველია ილიას სიტყვებიც: „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც ააღებინე... ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთ სტატიაზე, რა ამბავია? ეს ის ამბავია, ჩემო კეთილო მკითხველო, რომ ამ ჩემ მოპირდაპირეთ რიცხვით ჯობნა სურვებიათ და არა თავის სტატიების ღირსებითა". ღირსებისა რა მოგახსენოთ, ერთ-ერთმა ოპონენტთაგანმა ილიას სევდიან სტრიქონებს – **„აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები, მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?"** – ასეთი „ღრმა" კომენტარი გაუკეთა: „გაზაფხულში" პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის აყვავებას. **ნეტავი დაანახვა ეხლა, საქართველო როგორ მწვანე ხავერდივით ბიბინებს!!!"** ოპონენტთა რეცენზიების სრულყოფილება, ჩანს, თავად მათვე ეეჭვებოდათ და ალბათ ამიტომაც წერილს წერილი ემატებოდა. ახალგაზრდა ილიას დამარცხება ოპონენტთა ღირსების საქმედ იქცა. ბარბარე ჯორჯაძეს, რევაზ ერისთავსა და გიორგი ბარათაშვილს მალე სხვა ავტორებმაც აუბეს მხარი და მართლა „რიცხვით ჯობნა" მოინდომეს. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი აქვეყნებს წერილს სათაურით „უსტარი ანტიკრიტიკული". მან ჯერ ერთი საკითხი დააზუსტა – „რასაკვირველია, კარგად იცით, რომ წერა არი სამ გუარი: მაღალი, საშუალო და მდაბალი" – შემდეგ კი მრავალმნიშვნელოვნად მიმართა ილიას: „არ ვიცი, ამ სამში რომელს მიეთუისება თქუენი კალამი?" მკითხველმა ალბათ იცის, რომ „სამი შტი-

ლის" თეორია, რომელსაც სარდიონ ალექსი-მესხიშვილი იცავდა, XIX საუკუნის 60-იან წლებში უკვე ანაქრონიზმად აღიქმებოდა, თუმცა ენის „მაღალ", „საშუალო" და „მდაბალ" სტილებად დაყოფა არც არასოდეს ყოფილა ბუნებრივი და კანონზომიერი. მეფე გიორგი, რომელსაც უფლისწულობისას თვით ბიძამისი – ჩვენში ამ თეორიის ფუძემდებელი ანტონ კათალიკოსი „მაღალი შტილით" უკითხავდა თავის ფილოსოფიას, დაბეჯითებით ამბობდა: „არა მესმის ესე, ვნაყავ წყალსა". ამ ამბავს მოსწრებული კომენტარი გაუკეთა იონა მეუნარგიამ: **„ღმერთო, შეგცოდე და, მგონია ამ მეფეს მთელი მისი სამეფო ეხმარებოდა წყლის ნაყვაშიო"**. ერთი სიტყვით, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ილიას ბრალდებად უყენებდა იმას, რაც ახალგაზრდა მწერლის ღირსება იყო. ასეთ წერილებზე პასუხის გაცემა ილიასათვის ძალზე იოლი გახლდათ, მაგრამ „ცისკრის" ფურცლებზე მალე ცინიკური განცხადება გამოჩნდა: „დრო არის მოსპოთ უ. ჭავჭავაძეზე სიტყვა და შეუდგეთ სხუა უფრო სასარგებლო საქმეს, რომლითაც მდიდარია ჩუენი ქვეყანა და რომელიცა უფრო სარგებლობას მისცემს ჩუენს საზოგადოებასა. ჩუენ ვეთანხმებით უ. ჭავჭავაძეს მასზედ, რომ არც კაზლოვი ვარგა, არც მისი შეშლილი, არც შეშლილის თარგმანი, არც შეშლილის განხილვა და არც განმხილავი: მაშასადამე, არა ღირს მასზედ ლაპარაკი, და მართლაც დრო არის დაულოცოთ ჭავჭავაძეს გზა და კვალი, რომელსაც შესდგომია – „უფალმა უმეტესი შნო მისცეს". რამდენად მიაქცია ამ ბარათს ყურადღება რედაქტორმა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ 1861 წლის სექტემბრიდან 1862 წლის თებერვლამდე კამათი შეწყდა, თუმცა ვნებები არ დამცხრალა: ილია ჭავჭავაძის წერილებით აღშფოთებულ მოწინააღმდეგეებს ჟურნალზე მიჰქონდათ იერიში და ხალხს არწმუნებდნენ, რომ მისი გამოწერა აღარ ღირდა.

ცისკრის" 1862 წლის თებერვლის ნომერში დაიბეჭდა გორისელი ექვთიმე წერეთლის წერილი. ექვთიმეს აზრით, „ნიჭით გამორჩეულთ" ილიას სტატიები არ მოსწონდათ და ამიტომ სამართლიანი პრეტენზიები გააჩნდათ „ცისკრის" რედაქციისადმი. „ოთხი დღის წინათ ქუთაისშიდ ერთი პატივცემული მოხუცის სახლშიდ შევედი, – წერდა ექვთიმე წერეთელი,– იქ მისმა ნიჭიერმა მეუღლემ და იმის უნუჭიერესმა ძმისწულმა ყმაწუილმა ქალმა თქუის, რომ განვლილს წლის „ცისკარში" კაცს აღარ ჩაეხედებოდაო და წელს ამისათუის აღარ ვაწერთ ხელსაო, და სამწუხარია ჩუენთუ-

ის, რომ ჩუენი სამშობლო ენა ლამის დაეცესო, **ვილაც ჭავჭავაძე აუტყდა და არა ცილდება იმ კახელს ჯორჯაძის კნეინას, შეუსაბამოს სიტყუებით იხსენიებს, რისთუის? სიმართლისათუის და მშუეინიერის ლექსების წერისათუის?"**

წინა წელს ილია მარტო აღმოჩნდა ოპონენტების პირისპირ, მას შემდეგ კი, რაც ექვთიმე წერეთელმა კამათი განაახლა, ილია ჭავჭავაძეს მხარში ამოუდგნენ მისი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები. 1862 წლის აპრილში ილიას სტუდენტობის მეგობარი კირილე ლორთქიფანიძე „ცისკრის" რედაქტორს მოსწერს:

მოწყალეო ხელმწიფევ ივანე ივანეს ძევ! მარტის უკანასკნელ რიცხვებში მოვიდა პეტერბურგში ჩვენი დედისერთა ჟურნალი... დარწმუნდით, ივანე ივანეს ძევ! რომ ყოველი წარმატება ამ ჩვენი ჟურნალის გვახარებს და ყოველი ნაკლოვანება სამწუხაროა. ასე სისხლიანი ნაღველი გადაევლება ხოლმე ჩვენს გულს, როცა იმისთანა უებრო ცუდ სტატიებს ვნახავთ, როგორც სტატიაში ვუბნობ, თქვენი ბრალი არ არის ეს. განვიმეორებ, ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, არ დაგვეწერა რამე. ვინ სწერს? სწერს კაცი, რომელიც როგორც თვითონ უფ. წერეთელი უბნობს, სიკვდილში უდგია ფეხი და რომლის აქამდის არ უნახავს ხორციელს კაცს მწერლის ადგილზედ. ვიცნობ ამ კაცს, რა კაცია, როგორ გაბედა ამგვარი სტატიის დაწერა, მერმე ცხრა თვის გასვლის შემდეგ. მაგრამ ანდაზა იტყვის, „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირი ვარო". როგორც გაუნათლებლობით და ფარისევლობით გაყინული აქვს თავი უფ. გორისელს, ისეთი გაყინული აზრები უთქვამს. იპოვის ნეტავი კაცი მის სტატიაში რაიმე აზრს?! აი, ასე შეწუხებულმა დავწერე თქვენი ჟურნალისთვის ორიოდე სიტყვა და ამ წიგნთან ერთად გიგზავნი. თუ წინააღმდეგი არ იქნეს თქვენი ჟურნალი, გთხოვთ დააბეჭდვინოთ ან აპრილის ან მაისის წიგნში, რასაკვირველია, პირველში ემჯობინება. ჩემს სახელსა და გვარს ნუ გამოაცხადებთ. ჩვეულებრივი ფსევდონიმი იყოს მათ მაგიერი, ის ფსევდონიმი, რომელიც მომიწერია სტატიის ქვემოთ – **„თერგდალეული"**.

კირილე ლორთქიფანიძის სტატიის გარდა „ცისკარმა" დაბეჭდა კიდევ ორი წერილი: ერთის ავტორია აკაკი წერეთელი, მეორე კი გიორგი წერეთლის ხელმოწერითაა დაბეჭდილი, თუმცა არის აზრი, რომ იგი **სამსონ აბაშიძეს** უნდა ეკუთვნოდეს, ეს წერილი მთავრდება ერთსტროფიანი ლექსით:

ჩუენ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამნივ თერგდალეულთგანი.
მე გახლავართ, გორისელო,
ერთი ამ სამ ძმათაგანი.

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ეს სამი „თერგდალეული“ – აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სამსონ აბაშიძე – ექვთიმე წერეთლის ვაჟის – გიორგის მეგობრები იყვნენ. ამ მაგალითზეც კარგად ჩანს, თუ რამდენად პრინციპული იყო „ცისკრის“ ფურცლებზე გაშლილი პოლემიკა, რამდენად შორს იდგა იგი კერძო, პირადული ინტერესებისა და ინტრიგისაგან. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ერთ ჩემს მიერ შეჯერებულ ფაქტზეც გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას: რევაზ შალვას ძე ერისთავი, რომლის თარგმანის გაკრიტიკებითაც დაიწყო მწვავე პოლემიკა, ნათესავი გახლდათ ილია ჭავჭავაძისა...

წინა წერილში უკვე ითქვა, რომ რევაზ ერისთავი ერეკლე მეფის შთამომავალი იყო. საიდან ირკვევა ეს და რა კავშირი აქვს ამ ფაქტს ილიასთან? მაქსიმე ბერძნიშვილის ორტომეულში „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“ მოთხრობილია ერისთავთა რამდენიმე შტოს ისტორია. მართალია, აქ რევაზ შალვას ძე ერისთავის შესახებ არაფერია თქმული, მაგრამ ცნობილია, რომ პოეტი რევაზ ერისთავი, რომლის ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში“, ქსნის ერისთავთა შთამომავალია. ქსნის ერისთავთა შორის კი ჩვენთვის საინტერესო დროით ფარგლებში ერთადერთი შალვა გვხვდება. რევაზი სწორედ მისი შვილი იყო. შალვა ერისთავი რევაზის ძე გახლდათ და, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, შვილს მამის სახელი – რევაზი დაარქვა. **შალვას მამას – რევაზ ერისთავს ცოლად ჰყავდა ერეკლე მეფის ასული ანასტასია.** მათ 1793 წელს დაუწერიათ ჯვარი. რევაზსა და ანასტასიას ჰყავდათ ოთხი ვაჟი – ბიძინა (1800-1876), შალვა (?-1894), იასე (1811 წელს უკვე გარდაცვლილი) და გიორგი (ატამანი, 1812-1891) – და ერთი ქალი – თამარი. **(თამარი გათხოვდა შერმაზან აფხაზზე)**უფროსი შვილი ბიძინა გახლდათ. შალვა რევაზ ერისთავის მეორე ვაჟია. იგი დაბადებული უნდა იყოს XIX საუკუნის პირველსავე წლებში. ის ზუსტადაა ცნობილი, რომ მისი ვაჟი რევაზ შალვას ძე ერისთავი დაიბადა 1828 წელს. ესე იგი, **იგი მხოლოდ 9 წლით იყო უფროსი ილია ჭავჭავაძეზე.** 1861

წელს, როცა პოლემიკა დაიწყო, რევაზ შალვას ძე ერისთავი 32-33 წლის ახალგაზრდა გახლდათ. აქვე იმასაც დავსძენ, რომ თვით ილიას აღიარებით, რევაზ ერისთავი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი იყო მოწინააღმდეგეთა შორის და მის პასუხში, მართალია, ილიას მკაცრი კრიტიკით ნაწყენი, მაგრამ კეთილშობილი პიროვნება ჩანს. მისი ბიოგრაფია საგანგებო კვლევის საგნად არ ქცეულა, მკვლევარებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ მის ნლოვანებაზე, არადა, ამის მიხედვით, ამის გათვალისწინებით რადიკალურად იცვლება „მამათა" და „შვილთა" ბრძოლის დასაწყისის სურათი: დღემდე მიჩნეულია, რომ პეტერბურგიდან დაბრუნებული ილია ჭავჭავაძე დაუნდობლად დაესხა თავს მამათა ბანაკს. ამის თქმა კი კომენტარის გარეშე არ შეიძლება. სინამდვილეში ილია თავს დაესხა არა მამათა ბანაკს, თუკი ამ ცნებას პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, არა მამათა თაობის რომელიმე ნარმომადგენელს, არამედ გააკრიტიკა მასზე მხოლოდ 9 წლით უფროსი რევაზ ერისთავი, რომელსაც გამოესარჩლა ასევე ახალგაზრდა, 27 წლის ბარბარე ჯორჯაძე. დიახ, არა ჩიხტიკოპიანი მოხუცი მანდილოსანი, არამედ 27 წლის ახალგაზრდა ქალი, ილიაზე 3 წლით უფროსი... ასე რომ, პოლემიკის დასაწყისში ბრძოლა არ გაშლილა მამათა და შვილთა შორის, როგორც ეს დღემდეა მიჩნეული. ძველი თაობა მოგვიანებით ჩაება კამათში. თუმცა „თაობა", როგორც ადრეც ვთქვით, უნინ სოციალურ-იდეოლოგიური გაგებაა და არ გულისხმობს ბიოლოგიურ ტოლ-სწორობას, არც „ჰასაკის" თუ „ნლოვანობის" მიხედვით ყალიბდება. ამ აზრით, რევაზ ერისთავი და მისი ახალგაზრდა ქომაგნი „ძველი თაობის" წევრებად შეიძლება მოვიჩნიოთ. რადგან ისინი თავიანთი აზროვნებით, არსებითად, კონსერვატორულ პოზიციაზე დგანან. დახავსებულ ლიტერატურულ თუ ენობრივ შეხედულებებს იცავენ. ასე რომ, ილიამ „ორიოდე სიტყვით", „შინგაზრდილ" კონსერვატორთა წინააღმდეგ გაილაშქრა. ვიმეორებ, მოკამათეთა უმეტესობა ახალგაზრდა იყო (მათ შორის – თვით რედაქტორიც, 31 წლის ივანე კერესელიძეც). ახლა კი დავუბრუნდეთ რევაზ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის ნათესაობის საკითხს. **რევაზის მამიდა – ერეკლეს შვილიშვილი თამარი (ანასტასიას შვილი) – ცოლად ჰყავდა შერმაზან აფხაზს. ზემოთ ითქვა, რომ შერმაზანის შვილია ნიკოლოზ აფხაზი, ილიას სიძე. მაშასადამე, ილიას დის ნინოს მეუღლე ნიკოლოზ აფხაზი და რევაზ ერისთავი ღვიძლი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ.** ილი-

ას დის ოჯახისათვის რევაზი უახლოესი ადამიანია; ამდენად, – ილიასთვისაც. იქნებ ილია ჭავჭავაძემ ამ ახლობლობასაც გაუსვა ხაზი „ორიოდე სიტყვაში", როცა დაწერა: „სხვისა არ ვიცით, ჩვენ კი მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას მშობელ მამასაც არ დავუთმობდითო". ამის აღნიშვნა ფსიქოლოგიურად თუ ჩავუკვირდებით, ვგონებ, იმის თქმას უნდა ნიშნავდეს, კი ხარ ახლობელი, ნათესავი, ეს არ დამვიწყებია, მაგრამ მამასაც არ მოვერიდებოდი, ანუ ჭეშმარიტება მირჩევნია, როცა საქმე ისეთ ფენომენს ეხება, როგორიც ენაა ერისათვისო.

ახლა ის დეტალიც გავიხსენოთ, თავიდან როგორ გულმოდგინედ ცდილობს ილია, რომ წერილის ავტორად მისი ვინაობა არ გამჟღავნდეს. ცხადია, მას რაღაცის ერიდება...

თავის მხრივ ძალიან ქრისტიანული პასუხი გასცა რევაზ ერისთავმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანთა გარდა ორიგინალურ ლექსებსაც აქვეყნებდა, სულაც არ სდებდა დიდ მწერლობაზე თავს და, ალბათ, სახტადაც კი დარჩა, რისთვის დაიმსახურა ამ ოხერი, გადამთიელი კოზლოვის გამო, მისთვის საყვარელი და პატივსაცემი კაცის, საკუთარი რძლის ძმის ესოდენი მრისხანება? ამ პოლემიკით, რომელზეც მაშინ წერა-კითხვის მცოდნე ყოველი ქართველი ლაპარაკობდა, ილიამ ბევრი მტერი გაიჩინა. მოყვარეც ბევრი მოიმდურა. რევაზ ერისთავის ბიოგრაფიული მომენტებიც იმისთვის დავაზუსტეთ, რომ ადვილად წარმოსადგენი გაგვეხადა, თუ როგორ შეხვდებოდნენ ილიას ახლობლები მის წერილებს; ყოველ შემთხვევაში, კარდანახში, სიძის ოჯახში, სადაც ილია, ვინ იცის, რამდენჯერ შეხვედრია რევაზ ერისთავს, ეს ამბები სასიამოვნოდ არ დაურჩებოდათ. მაგრამ ილია სხვა მასშტაბის, სხვა მიზნის, სხვა ფიქრის, სხვა ოცნების ქართველი გახლდათ. „ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა", ჯერ ქვეყანა, მერე ახლობელი და ნათესავი, „მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არა სჩანან". ეს აზრი სიყრმიდანვე ღრმად ჰქონდა გულში ამოჭრილი ილიას. ამ პრინციპისთვის არასოდეს უღალატია.

1863

მეფისნაცვლის დუელი. მისი შეცვლა. „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ილიას დაოჯახება.



ილია 1863 წელს

„არის ვარსკვლავი, რომელსაცა ჰხვდომია ხვედრათ იმის ახდენა, რაც ჩვენთვის ჯერ სიზმარი არი“.

მ. მაჩაბელი

„ყოველ ფეხის გადადგმაზე მემტერებიან, უნდათ ჩემი წახდენა და დაცემა. ბევრი ხელის მომწერნი ჰყვანან, ყველგან კაცები ჰყავდათ დაჭერილები. ჯერ ოთხასამდინ ასულა და ჩემი ასამდინ ძლივს არის. ამას კი გეტყვი, ჩვენი ჟურნალი, ღვთით, ხუთი იქნება (გამოსული) და ამათი ერთიც ვერა: პირველი ხომ ათ თაბახზედ ნაკლები არ გამოვა ჩვენი. პირველი ნომერი თოთხმეტი თაბახი იქნება, მეორე ეს, ვინც რიგიანი მწერლები არიან. ჩვენს ჟურნალში არიან. გუშინ ჩემთან იყვნენ და სტატიები ამოვარჩიეთ იანვრისათვის... მაგრამ ხელის მომწერნი სუსტობენ, კარგად იცი ანდაზა: „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასაო“... ბაბალე მწერდა გუშინ წიგნსა, კახეთში ხმა დააგდეს, ჭავჭავაძემ ისეთი რამ უნდა გამოსცეს, ჯერ არც ენახოს ქვეყანას და ვერც ჩამომავლობამ ნახოსო!.. მე იმასა გთხოვ, ეგების ქუთაისში ნაცნობი ვინმე გყავდეს, დაგვეხმაროს ხელისმომწერთათვის, ილია მამაცაშვილი და გ. ღოღობერიძე ქუთაისში ძლიერაც ცდილობენ ჭავჭავაძისათვის. ჯერ ორმოცი თუმანი გამოუგზავნიათ... რაც უნდა კარგი იყოს (ჩვენი ჟურნალი), ისეთი ხმა დაუგდეს ჭავჭავაძის პარტიამ იმათ მომავალ ჟურნალს, რომ ჩვენი ჟურნალი სულ გაჰყინა“.

ეს წერილი „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ რაფიელ ერისთავს მისწერა. წერილის შინაარსიდან ნათელია, რომ ილია ჭავჭავაძეს ახალი ჟურნალის გამოცემა განუზრახავს. ეს ფაქტი ივანე კერესელიძეს სასიამოვნოდ ვერ აღუქვამს. „თერგდალეულთა“ კეთილშობილური სურვილი, დაეარსებინათ მორიგი ჟურნალი, „ცისკრის“ რედაქტორს პირად მტრობად მიუჩევნია. ჩემი წახდენა უნდათ, შეშფოთებულა ეს პატიოსანი კაცი. არ არის შემთხვევითი, რომ წერილის ავტორი რაფიელ ერისთავს შესჩივის, რაფიელი ბარბარე ჯორჯაძის ძმა იყო... ივანე კერესელიძის წახდენის სურ-

ვილზე რა მოგახსენოთ, ასეთი ვიწრო ინტერესი ილია ჭავჭავაძეს არ ჰქონია. მაგრამ მისი ჟურნალი ილიას და სხვა „თერგდალეულებს“ რომ არ მოსწონდათ, ეს არასოდეს დაუმალავთ. მათ ჯერ კიდევ პეტერბურგში განიზრახეს საკუთარი პერიოდული ორგანოს გამოცემა, რომელიც ტრიბუნად უნდა ქცეულიყო. ხელსაყრელი დროც შეარჩიეს. 1862 წელს კავკასიის მეფისნაცვალი ბარიატიანსკი გადადგა. სხვათა შორის, ამ ამბავს საინტერესო მიზეზი ჰქონდა. ბარიატინსკი საზღვარგარეთ იყო წასული სამკურნალოდ. მას თან ახლდა თავისი ადიუტანტი მეუღლითურთ. ადიუტანტის, დავიდოვის მეუღლე ელისაბედ დიმიტრის ასული ორბელიანი მეფისნაცვალს შეჰყვარებია. მათი სიყვარულის ამბავი გახმაურდა. ბარიატინსკისა და მის ადიუტანტს შორის დუელი შედგა. დუელს უვნებლად გადარჩენილ მეფისნაცვალს ცოლად შეურთავს თავისი ადიუტანტის მეუღლე. ამ რომანტიულ-ფათერაკიანი თავგადასავლის შემდეგ იგი კავკასიაში სამუშაოდ ვეღარ დაბრუნდა (ეს ამბავი ნახსენები აქვს ალექსანდრე ორბელიანს თავის მოგონებებში, ასევე გრაფ ვიტტეს მემუარებში. ვიტტეს ადიუტანტი ნათესავად ეკუთვნოდა). ბარიატინსკის ნაცვლად 1863 წლის მარტში თბილისში ჩამოვიდა ალექსანდრე მეორის ძმა მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც 1882 წლამდე მართავდა კავკასიას. ბარიატინსკი, ვიდრე გადადგებოდა, არც მანამდე იყო თბილისს მიჯაჭვული. მის სახელთან, როგორც ვიცით, დაკავშირებულია კავკასიის ბრძოლების ყველაზე თვალსაჩინო მონაკვეთი. გარდა ამისა, უკვე ვთქვით, რომ იგი იმპერატორის ბავშვობის მეგობარი იყო. ამით, როგორც ჩანს, მეფისნაცვალი სარგებლობდა და ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ. ეს ფაქტი პირდაპირ კავშირშია ილია ჭავჭავაძის მიერ ახალი ჟურნალის გამოცემის საქმესთან. აი, რატომ: მეფისნაცვლის კავკასიაში ხშირი არ ყოფნის დროს მის მოვალეობას გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა. ასე რომ, დროის გარკვეულ შუალედებში გრიგოლი მისი დიდი პაპის, ერეკლე მეფის სამფლობელოზე უფრო ვრცელი ტერიტორიის – მთელი კავკასიის მმართველად ითვლებოდა. ილიამ ამით ისარგებლა. თხოვნა დაწერა და პოეტ-გენერალს ესტუმრა. გრიგოლ ორბელიანი ახალგაზრდა მწერალს მხარში ამოუდგა, თავისი გავლენა და შესაძლებლობა გამოიყენა და აი, 1863 წლის თებერვალში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოიცა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. კახეთში დაყრილი ხმები, ჭავჭავაძემ ისეთი ჟურნალი უნდა გამოსცეს,

როგორიც ჯერ არ უნახავს ქვეყანასო, გამართლდა. ილიას ჟურნალმა სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. „ცისკრელები" „საქართველოს მოამბის" გამოცემამ სასაცილოდ დააბნია და შეაშფოთა. ფიქრობდნენ, რომ აუცილებელი გაკოტრება ელოდათ. ახალი ჟურნალის ახალგაზრდა რედაქტორი მათ გასაგონად წერდა: „დაე, რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულმა და გონებაგამოცლილმა „ცისკარმა", ჩვენ კი იმას ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰგავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაცა ძმის დაბადება იმიტომ სწყინს და გულს უხეთქავს, რომ შიშობს, ვაი თუ საცხოვრებელი შუაზე გამიყოსო... ტყუილად შიშობს „ცისკარი". ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს არავის საცხოვრებლის შუა-გაყოფა და არც არავის მტრობა. ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია".

შესაბამის პერიოდში, ევროპის თითოეულ ქვეყანაში ურიცხვი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა. მაგალითად, პარიზის ქუჩებში დილიდან საღამომდე ჰყიდდნენ ახალ გაზეთებს: იქ გაზეთები გამოდიოდა დილას, შეადღისას და საღამოს. ერთხელ პარიზში პარლამენტის სხდომას თბილისიდან ჩასული ერთი ქართველი მოღვაწე დასწრებია. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „სხდომაზე პალატაში დიდი სკანდალი მოხდა. ერთმა დეპუტატმა (გვარი არ მახსოვს), მონარქისტმა, სილა გაარტყა სამხედრო მინისტრს ანდრეს. ამ ამბავმა თავის დროზე დიდი სენსაცია გამოიწვია მთელ ევროპაში. გამაკვირვა შემდეგმა გარემოებამ: სხდომა რომ გათავდა და ქუჩაში გამოვედით, გაზეთის დამტარებლები არა თუ ჰყიდდნენ ამ ახალ ამბავს, უკვე ცალკე ფურცლებად დაბეჭდილს, არამედ მეტად ხელოვნურად გაკეთებულ ორ ფიგურას, ჩამოსწევდი თუ არა ძაფს, ერთი მათგანი სილას უთავაზებდა მეორეს". ამ დროს ილია იძულებულია თანამოძმეთ უმტკიცებდეს: ჟურნალების სიმრავლე არამც თუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისთვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება. ჟურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ სძინავს. ფიქრობს, სჯისო. ვიღაცისთვის კი სხვადასხვა აზრის არსებობა, კამათი, პოლემიკა, ლამის ქვეყნის დაღუპვის წინაპირობა იყო, აკი ხშირად იმეორებდნენ „შინ გაზრდილი თეორეტიკოსები", უთანხმოებამ დაღუპა რომიო. ძნელად გასაგები აღმოჩნდა მათთვის, რომ მთელს დუნიაზე ახალი ცხოვრება დაიწყო და საქართველოსაც ამ სიახლისათვის ფეხი

უნდა აეწყო. მორიგი ჟურნალის გამოცემა დრომ მოითხოვა: „ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენიცა, არ არის ერთი კაცის სურვილის ნაყოფი; მოუვიდა ჟინი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს... ყოველი საჭიროება ცხოვრებისგან წარმოსდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიმყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გაძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ", – წერდა „საქართველოს მოამბის" რედაქტორი. ამ ჟურნალში დაიბეჭდა პირველად ილიას „კაცია ადამიანი?!", რომელშიც ახალგაზრდა კაცმა, უკვე ფუნქციადაკარგული, „თავის ჯამს ჩამცქერი" ქართველთა უქნარობა, უგერგილობა და მცონარობა ამხილა. ამით კიდევ ერთხელ აიჯანყა და გადაიმტერა თანადროული საზოგადოების ნაწილი. თითქოს წინასწარ გრძნობდა მოსალოდნელ შედეგსო, „საქართველოს მოამბის" საპროგრამო წერილში წერდა: „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ, საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მქონი, თუ ინგლისელი, სულ ერთია ჩვენთვის. ორივე წყალში გადასაყრელნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო". ილია იქვე დასძენს: „ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი, რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება, ნაკლულოვნება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გამოსწორებისა". ილიას საქმე თანამებრძოლებმა აიტაცეს. მეგობრები მხარში ამოუდგნენ.

გიორგი წერეთელი: „პეტერბურგის სტუდენტები აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ ჟურნალს".

გიორგი თუმანიშვილი: „ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს გატაცებით ჰკითხულობდა მთელი მაშინდელი საზოგადოება. ახალგაზრდობა აღმერთებდა მას".

ნიკო ნიკოლაძე: „ძველ საზოგადოებრივ წყობას „საქართველოს მოამბის" სახით გაუჩნდა...ახალი საშიში მტერი, რომელიც ახალი ცხოვრების საჭიროებას ჰქადაგებდა...და რომელიც იყო მომავლის ძალა და იმედი".

ყოველივე ამის გამო ისინი, ვინც ძველ საზოგადოებრივ წყობას იცავდნენ, ცხადია, აღფრთოვანებული ვერ იქნებოდნენ. ერთი ასეთი პიროვნებათაგანი გახლდათ ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანსკი.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი გახლავთ: „საქართველოს მოამბის" რედაქცია, რომელსაც დემოკრატიული იდეების გამო ათვალწუნებით უყურებდნენ მემამულეები, სწორედ ყველაზე დიდი ფეოდალის, ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანსკის სახლში გახლდათ მოთავსებული. ჟურნალის დემოკრატიულ იდეებთან დაკავშირებით მკითხველს ერთ ანეკდოტურ ფაქტს გავახსენებ. იონა მეუნარგია გადმოგვცემს: „საქართველოს მოამბე" რომ გამოვიდა, ბატონიშვილს ერეკლეს წაეკითხა ჟურნალი და ეთქვა თავისიანებში: დემოკრატიული ჟურნალი არისო. სასახლის კაცს გიგო სუმბათაშვილს, ამისათვის ყური მოეკრა, დაეხსომებინა, და როცა შემთხვევამ ნება მისცა, ეთქვა ილიასთვის:

– ილიავ, წავიკითხე შენი ჟურნალი და უნდა გითხრა, დემოკრატიჩესკი არის.

– როგორ თუ დემოკრატიჩესკი?

– ისე დემოკრატიჩესკი!

– მაშ რა გინდა იყოს?

– არისტოკრატიჩესკი.

– ეს თუნდა ბატონიშვილს ერეკლეს ეთქმის, მაგრამ შენ რაო ჩემო?

– ვითომ და რათაო?

– აბა რა გაქვს შენ არისტოკრატიჩესკი, აი, თუ გინდა თავი (დიდი შნოს პატრონი არ იყო).

– თავი კი განზე იყოს, მაგრამ შენი ჟურნალი კი მაინც დემოკრატიჩესკი არის". ეს ისე შეწუხებულს უთქვამს გიგო სუმბათაშვილს, თითქოსდა ჟურნალის „დემოკრატიჩესკობა" დიდი რამ უბედურება ყოფილიყო. ერთი სიტყვით, ილიას დემოკრატიული ჟურნალის

რედაქცია იმ კაცის ბინაში გახლდათ მოთავსებული, ყველაზე დიდი მტერი რომ იყო ყოველგვარი „დემოკრატიჩესკობისა".

ალექსანდრე კალანდაძის წიგნში „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია" (ტ.III) ვკითხულობთ: „საქართველოს მოამბის" რედაქცია მოთავსებული იყო ყოფილი გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე, 26, ივანე მუხრანსკის სახლში, სადაც ამჟამად აგებულია კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობა. ივლისიდან რედაქცია გადავიდა ოლღა გურამიშვილის მამიდის სიდონია ზაქარიას ასულ სევარსამიძის სახლში, ყოფილ კომენდანტის ქუჩაზე (ამჟამად გრიბოედოვის ქ. 37)." აქამდე არაფერი გვითქვამს ოლღა გურამიშვილზე. ილიას საზოგადოებრივი ცხოვრების გზას მივყვებოდით და არ აღგვინიშნავს, რომ 1863 წლის აპრილში ილია დაოჯახდა. მან ჯვარი დაიწერა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილზე. ილიას ოლღას სახით არა მარტო ერთგული და მასზე უსაზღვროდ შეყვარებული მეუღლე, არამედ ყველაზე დიდი მეგობარი და მოკავშირე ამოუდგა გვერდში. ოლღას მამა მდიდარი მემამულე იყო და მას ღარიბ თავადიშვილთან, და ესეც არ იყოს, ისეთ ახალგაზრდასთან დამოყვრება, მთელი ქვეყანა რომ „ააბუნტა" და გადაიმტერა, არ სურდა. თავისი მდგომარეობა არც ილიას დაუმალავს საცოლისთვის. „მე თვითონ განვიკუთვნე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის. მართალია, არც ერთი, არც მეორე მე არ მაშინებს, მაგრამ იქნებ მათი თქვენ შეგეშინდეთ?" – სწერდა ილია ოლღას. სხვა წერილებში ვკითხულობთ: „იცოდე, სიღარიბე ბრძოლაა, სიმდიდრე განცხრომაა, – განცხრომა კი, ჩემის მოხევისა არ იყოს, საფლავშიაც გვეყოფა"... „საჭიროა რწმენა, რომ სიმდიდრის გარეშეც შესაძლებელია ბედნიერება"...

1863 წლის დასაწყისში, ჯვარის დაწერამდე ილია საცოლეს მისწერს: „იცოდეთ, მომავალში სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ, მართალია, ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერი, მეცა მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ გჯერათ ასევე?"

წერილობით რა უპასუხა ამ ბარათზე თადეოზის ასულმა ახალგაზრდა მწერალს, ვერაფერს გეტყვით, ერთი კია, ოლღამ სიხარულით მიიღო ილიასაგან შეთავაზებული ყველაზე ძვირფასი საჩუქარი – სიყვარული. თადეოზი კი შვილს ვერ გაწირავდა და ბუზღუნ-ბუზღუნში იძულებული გახდა ამ „მცირე ქონების" მფლობელ სასიძოს შეჰგუებოდა...

ილიას ცხოვრებას კი ჭორი იმთავითვე აადევნეს – მდიდარი მემამულის ქალი ანგარებით შეირთოო. ქორწინებამდე ილია ოლღას სიახლოვეს, გიმნაზიის დროინდელ მეგობართან, ივანე პოლტორაცკისთან ერთად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. ოლღასა და ილიას სიყვარულის ამბავი, მათ გასაოცარ სამიჯნურო ბარათებს რომ თავი დავანებოთ, ვინ იცოდა უკეთ, თუ არა პოლტორაცკიმ? ის კი მათ წრფელ სიყვარულს თითქმის იდეალად გვიხატავს. ან რა ანგარებაზეა ლაპარაკი. თადეოზს მეორე ცოლიდან ქალ-ვაჟი ჰყავდა და ოლღას სამზითვოდ მამულის მე-14-დი ეკუთვნოდა, რომელიც მხოლოდ თადეოზის სიკვდილის შემდეგ მიიღო.

თვით ოლღა და მისი დაი ეკატერინე მამასთან არ ცხოვრობდნენ, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. თადეოზს თითქოს მამულები აკლდა, სიხარბემ წასძლია და პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ, შეირთო ზემო ქართლის მდიდარი მემამულის, დავით დიასამიძის შინაბერა და უშნო შვილი -მარიამი. ეს მარიამი დედით ერისთავი იყო.დედის მხრივ უშუალო წინაპრები იდიოტები ჰყოლია. გენმა იმძლავრა და თადეოზის ორივე შვილი მეორე ცოლიდან იდიოტები დაიბადნენ. ისინი ავჭალის მამულში ცხოვრობდნენ, თადეოზი საგურამოში. ოლღა და ეკატერინე ბებიამ, დედის დედამ, არ გააჩერა ამ გიჟებთან და თბილისში, თავის ბინაში ზრდიდა ქალიშვილებს. ასე რომ, ზემოთ მოხმობილ ალ. კალანდაძის ციტატში შეცდომაა. სავარსამიძის ქალი, რომელიც ფრიად განათლებული და შეძლებული ადამიანი იყო, ოლღას მამიდა კი არა, ბებია გახლდათ. ამას ვწერ ეკ. გაბაშვილის მოგონებაზე დაყრდნობით...

აი, ამ ქალის ბინიდან გაეპარა თადეოზს ერთი ქალიშვილიცა და მეორეც.

რაც შეეხება თადეოზის შეურაცხადი შვილების ბედს. ოლღას ნახევარძმას, ზალიკოს, როგორც შეურაცხადს, მთავრობამ ცოლის შერთვა აუკრძალა, შეურაცხად ნახევარდას კი გათხოვების ნება მისცეს. შეირთო იგი ავადმყოფმა და უპოვარმა ვინმე ლევან ციციშვილმა, ცხადია, ანგარებით. 10 წელიწადში მთელი ქონება გაფლანგა და თავადაც გარდაიცვალა. ამ საცოდავი ქალის ამარა დატოვა 5 თუ 6 შვილი. საუბედუროდ, ისინიც გონებასუსტები დაიბადნენ.

1864

ივ. მუხრანსკის ბოდიში. ბრძოლა ბატონყმობის გადავარდნისას თავადებს შორის. ივ. წინამძღვრიშვილი და სხვა მეგობრები ილიას მცველებად. „საქართველოს მოამბის" დახურვა.

ოლღა გურამიშვილი

„რაც შეგვეძლოს, ისა ვქმნათ, ღმერიც ჩვენგან ამას თხოულობს და კაციცა"...

ილია

გახსოვს, მკითხველო, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში გამართული ერთ-ერთი წვეულების აღწერისას ვწერდით: „ეკატერინემ უარი უთხრა გენიოს პოეტს და ტახტის ერთგული ლაქიის მუხრანსკის შესახებ ფიქრობდა. ხანდახან ფაქტები, რომელთაც, ერთი შეხედვით, შეხების არავითარი წერტილი არა აქვთ, აუხსნელი კანონზომიერებით გადაეჯაჭვებიან ხოლმე ერთურთს. გაივლის წლები, ეკატერინე ჭავჭავაძე და ილია, რომელიც აქ აღწერილი დროისათვის ორი წლის ჩვილია, ერთმანეთს შეხვდებიან. ეს შეხვედრა ბარათაშვილის პოეზიის მეორედ დაბადების საწინდარი გახდება. გაივლის წლები და ერთმანეთს შეხვდებიან ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანსკი და ილია ჭავჭავაძე, ეს შეხვედრა ბარათაშვილის რაყიფისათვის არცთუ სასიამოვნოდ დამთავრდება"... „აღწერილი დროიდან" 1864 წლამდე მეოთხედი საუკუნე ჩაიმარცვლა ჟამთასვლის კრიალოსანზე. მუხრანსკი გენერალი გახდა, მისი სიმდიდრე კიდევ უფრო გაიზარდა. სხვა მამულებთან ერთად მის მფლობელობაში იყო ის მიწებიც, სადაც ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსია აღმართული, რაღა თქმა უნდა, უფრო ვრცელი შემოგარენით. ერთი სიტყვით, გენერალი ივანე მუხრანსკი იმ თითო-ოროლა ქართველის რიცხვში ითვლებოდა, რომელთაც გაღარიბებულ საქართველოში ძველებური შეძლება მოსდგამდათ, რომელნიც კვლავ დიდ ფეოდალებად რჩებოდნენ და თავად ივანეც გვარიანი მშრომელი აღმოჩნდა. და აი, 1864 წელს ერთმანეთს შეეჯახებიან „საქართველოს მოამბის" ღარიბი რედაქტორი, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე და მდიდარი მემამულე, გენერალი ივანე მუხრანსკი. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე, სადაც გლეხების გათავისუფლების პროექტს იხილავდნენ, ილიას სიტყვა უთქვამს. ამ კრების შესახებ ცნობას

გვაწვდის ქრისტეფორე მამაცაშვილი. „ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა აღაშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო" მე გომბორში ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა ტფილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდა ილიას გარშემოვერტყათ და ბატონყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ან. ფურცელაძე და წერილის ავტორიც მუდმივ შორიახლოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი. მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენ. ლეიტ. ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავადაზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად კი, მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ხელი სტაცა ორატორს, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?" მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შეცდა და „რამდენიმე კაცუნას" მაგივრად უნდა ეთქვა „რამდენიმე კაცი".

აქ აღწერილი ამბიდან ორი რამაა საგულისხმო: ერთი ის, რომ ილიას გლეხების მხარდაჭერისათვის მოკვლით ემუქრებიან და მეორე, ილია მზად არის, როცა ამას ვითარება მოითხოვს, თავი დაიცვას არა მხოლოდ სიტყვით. მომავალში ასეთი ეპიზოდები კვლავ განმეორდება. გმირი მამის, გრიგოლ ჭავჭავაძის ძეს არაერთხელ ვიხილავთ დუელიანტის ბარიერთან (ილიას 8-9 დუელი ჰქონდა სხვადასხვა დროს). რაც შეეხება იმ ხანჯალმომარჯვებული, განრისხებული თავადისაგან ილიას მოკვლის მცდელობას, ესეც მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდი გახლდათ ილიას ცხოვრებაში და არა ერთადერთი. მისი ფიზიკურად მოსპობის მცდელობა რამდენიმეგზის განმეორდება ... სხვათა შორის აკაკის მოღვაწეობის დასაწყისშიც მოხდა მსგავსი რამ: „გლეხის აღსარებასთან" დაკავშირებით აკაკი წერდა: „ამ ლექსმა, რომელიც ბატონყმობის გადავარდნამდეა დაწერილი, ძალიან უსიამოვნება გამოიწვია თავადებში და ბევრი მტერიც შემძინა. ერთმა მათგანმა, თავადმა მიქელაძემ, სასიკვდილოდ შემომიტია და ალალბედზე გადამარჩინეს"-ო. ქართველ მემამულეებს იმპერატორამდე არც ხელი მიუწვდებოდათ და არც

სურვილი ჰქონდათ ხელმწიფისათვის გულის გადაშლისა, წინააღმდეგობას ხომ ვერა და ვერ გაუბედავდნენ. ამიტომ მთელს რისხვას ამ „ახალი თაობის კაცებს" ატეხდნენ თავს, ისინი მიაჩნდათ ყოველგვარი უბედურების მოთავედ. ერთი ბიბლიური სიუჟეტის არ იყოს, ქარიშხლისაგან გაბოროტებულმა მენავემ ტალღებს რომ დაუწყო ჯოხით ცემა, ისე იყო მემამულეთა საქმე. ბატონყმობის გადავარდნის აუცილებლობა ახალმა დრომ მოიტანა. დრო უხილავია. ჟამის მსვლელობას ვერავინ შეაჩერებდა, ახალი დროის მოციქულნი კი ხორციელნი და ხილულნი იყვნენ. პატრიარქალური ცხოვრების წესების მომხრეთაც რა ექნათ: ვისაც თვალით ხედავდნენ, ვინც მათ სიახლოვეს იყო, მათ ებრძოდნენ და, როგორც ითქვა, ებრძოდნენ გააფთრებით, გაბოროტებით.

კაცმა რომ თქვას, ეს ილიაც რომ ცეცხლზე ნავთს ასხამდა?

საქმე ის გახლდათ, რომ თავად ბატონყმობის გაუქმების ფაქტს თავადობა ნებით თუ იძულებით შეგუებული იყო. რეფორმა ზემოდან მოდიოდა, ქვემოდან ბუნტს ხომ არ ასტეხდნენ. მაგრამ როგორ უნდა გაუქმებულიყო ბატონყმობა? ამასთან დაკავშირებით კომისიები იქმნებოდა, რაპორტები, მოხსენებები იწერებოდა, მაგალითად, წინა, 1863 წლის აპრილში თავად-აზნაურთა ყრილობა ჩატარდა ამ საკითხზე. 240 კაცი ესწრებოდა. ორი პროექტი იქნა შემუშავებული ბატონ-ყმობის გაუქმების შესახებ. 1) უმრავლესობის (ხელს აწერდა 226 კაცი) და 2) უმცირესობის პროექტი (ხელს აწერდა გრ. ორბელიანი და რამოდენიმე კაცი).

უმრავლესობის პროექტის არსი – გლეხი გათავისუფლდეს უმიწოდ და ბატონს უხადოს გადასახადები (პროექტის ხელმძღვანელი იყო დ. ყიფიანი).

უმცირესობის პროექტი – გლეხი გათავისუფლდეს უმიწოდ, მაგრამ საკუთრებაში გადაეცეს თავისი უძრავი და მოძრავი ქონება. (სახლი მიწის გარეშე, საქონელი, შრომის იარაღები და სხვ.)

იყო ცალკე აზრი ივანე მუხრანსკისა – გლეხი გათავისუფლდეს უმიწოდ და ფულიც რომ იშოვოს, არც გამოსყიდვის უფლება უნდა ჰქონდეს მიწისა და ქონებისა. მიწა საკუთრებაში სამუდამოდ მხოლოდ მებატონეს ეკუთვნისო.

იმ 240 კაციდან 2-ის გარდა (კონსტანტინე მამაცაშვილი და ილია ჭავჭავაძე) თითქმის ყველა ერთ ჭკუაზეა – გლეხი უმიწოდ! ამ დროს გამოდის ეს „თავხედი ახალგაზრდა" ილია ჭავჭავაძე და მოითხოვს თუ სიტყვით, თუ წერილობით – თუ გინდათ, სამომავ-

ლოდ შიდა ომი აიცილოთ, თუ გინდათ გლეხმა სამშობლოში იგრძნოს თავი, თუ არ გინდათ ბატონყმობის გაუქმების საკითხი კიდევ ერთხელ დადგეს, გლეხისა და მემამულის ინტერესი საბოლოოდ უნდა გაითიშოს. ყველაფერი, რასაც გლეხი ფლობს ან არ ფლობს და ამუშავებს, მის საკუთრებაში უნდა გადავიდეს. გლეხი ბატონზე დამოკიდებული არაფრით აღარ უნდა იყოსო. მუხრანსკის ჭკუის ფეოდალი, აბა, არ გადაირეოდა? გადაირია კიდეც!

1864 წლის 22 მაისს ილია მეუღლეს სწერდა: „იქნებ გინდოდეს აქაური ამბების შეტყობა, მაგრამ ამ ხანად მე ვერაფერს მოგწერ, ამის გარდა, რომ თვითონ ქვეყანა ძალიან კარგად შეწყობილი მეჩვენა და ხალხისა კი ვერას ვიტყვი, იმიტომ, რომ ჯერ ვერავის ვიცნობ... ამას კი მოგწერ, რომ ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკებათ, „აი ესენი არიან ჩვენი დამღუპველებიო, ჩვენი ყმების წამრთმევებიო." ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან, რადგანაც მე აქაური არა ვარ და, იმათი ფიქრით, სხვა ქვეყნიდან ვარ მოსული. მაგრამ არა უშავს რა. იქნებ მოვრიგდეთ როგორმე". ამ წერილიდან, გარდა იმისა, რომ ის ფაქტი ჩანს, თუ როგორ უბღვერენ ახალგაცნობილ ილიას და მის თანამოაზრეთ („აი ესენი არიან ჩვენი დამღუპველები"), ერთი სამწუხარო დასკვნაც გამომდინარეობს: მოშლილია ეროვნული ცნობიერება. „მე აქაური არა ვარ და, იმათი ფიქრით, სხვა ქვეყნიდან ვარ მოსული..." იმათი ფიქრითო, ხაზს უსვამს ილია. არა და არ იქნა ეროვნული მთლიანობის აუცილებლობის ხალხის შეგნებაში შეტანა.

ზემოთ ნახსენები წერილი ილიამ ქუთაისიდან მოსწერა ოლღას, მაგრამ არ გვითქვამს, თუ რის გამო იყო „საქართველოს მოამბის" რედაქტორი ჩასული ქუთაისს. საქმე ის გახლავთ, რომ ილია უკვე აღარ არის „საქართველოს მოამბის" რედაქტორი, მისმა ჟურნალმა მხოლოდ ერთ წელიწადს იარსება და სულ თორმეტი ნომერი გამოვიდა. ილიას სიმამრმა თადეოზმა ოლღას მზითევი კი მისცა, მაგრამ რაც ევალებოდა, იმის მეტი აღარა გაუკეთებია რა. ასე რომ, ჟურნალისტურ საქმიანობაში მატერიალურად დამხმარე არავინ აღმოაჩნდა ახალგაზრდა რედაქტორს. მის მეგობრებს თავად სჭირდებოდათ დახმარება. მამიდა მაკრინეს არაფერი შეეძლო, თადეოზ გურამიშვილი კი ხელს არ უწვდიდა, სიძისაგან უფრო სერიოზული საქმის კეთებას მოითხოვდა. დაოჯახებული ილია ცხოვრების სახსარის საძიებლად იძულებული გახდა მართლა მოეკიდა ხელი „უფრო სერიოზული" საქმისათვის. ამ ნაბიჯის გადად-

გმა ადვილი არ იყო, შელეოდა „საქართველოს მოამბეს“, მაგრამ მატერიალური გაჭირვების გარდა ცენზურამაც არ მისცა გასაქანი. ყოველი ახალი ნომრის გამოსვლა ნერვების ფასად უჯდებოდა. ილია ერთგან ირონიულად წერს ცენზურის გამო: „დაუჟინიათ და ჰყვირიან „იდეა იმისთანა რამ არისო, რომ ვერც ხმალი მოერევა, ვერც თოფი“. სტყუიან, თქვენმა მზემ! ერთი უბრალო მაკრატელი და მისი ჯანი!“ ილია ჭავჭავაძის, როგორც რედაქტორის პრინციპულობა იმაშიც იყო გამოხატული, რომ სადაც თავისას ვერ გაიტანდა, სრულიად დადუმებას არჩევდა, ნაწილობრივ უკანდახევას. არჩევდა, არაფერი ეთქვა, ვიდრე ეთქვა ნახევარი და დამახინჯებული სიმართლე, არაფერი დაებეჭდა, ვიდრე შერყვნილი და გადასხვაფერებული აზრი გამოექვეყნებინა. „საქართველოს მოამბეს“ მტრული თვალით უყურებდნენ სადაც ჯერ არს, ზღუდავდნენ და რედაქტორის საქმიანობაში ერეოდნენ. „ასეთ პირობებში სიცოცხლეს „საქართველოს მოამბემ“ სიკვდილი არჩია,“ – წერდა ილიას ერთი ბიოგრაფი. ასრულდა რედაქტორის წინასწარმეტყველებაო, დასძენს იგი: „ჩვენ დავჩუმებულვართ და სვინდისისათვის კი არ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი სჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა, ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და კვლავაც ისე მოვიქცევით, თუნდ რომ ამით ჩვენ ჟურნალს ბოლო მოეღოს. „საქართველოს მოამბის“ ყდაზე წარწერილია სახარებისეული სიტყვები: „ხოლო ლეღვისაგან ისწავლეთ იგავი ესე: რა ჟამს იგი რტონი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული“. ეს სიტყვები მართლაც რომ ახალგაზრდა ილიას რწმენას გამოხატავდა, თორემ ჟურნალის დახურვის ფაქტითაც ნათელი გახდა, რომ ზაფხული ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო. და აი, ჟურნალის რედაქტორი, რომელმაც მთელი საქართველოს ყურადღება მიიპყრო ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, 1864 წლის 10 აპრილს ჩინოვნიკად იქცა. 1863 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან სწავლის მოწმობა მიიღო. ამ მოწმობის წარდგენის შემდეგ იგი დანიშნეს იმერეთ-ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ. კაცმა რომ თქვას, ურიგო საქმე არ ჰქონდა დავალებული: უნდა გამოერკვია მებატონეთა და გლეხთა შორის ურთიერთობა. ამით მას, როგორც უკვე ოფიციალურ პირს, თავისი წვლილი შეჰქონდა ბატონყმობისათვის პროექტის შედგენის საქმეში. შემოდგომაზე ილია უკვე თბილისშია. 1864 წლის 28 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოში ბა-

ტონყმობა გაუქმდა (1865 წელს ბატონყმობა გაუქმდა დასავლეთ საქართველოშიც). ილია 1864 წლის შემოდგომაზე, ნოემბრის თვიდან თბილისში ბრუნდება. იგი დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში. მის მოვალეობაში შედიოდა პრაქტიკული ღონისძიებების გატარება ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ჩარეულიყო და მოეგვარებინა დავები ნაბატონარსა და ნაყმევს შორის, მოეხდინა მიწების აზომვები გლეხებისათვის. გარეკახეთის უბანი, თბილისის მაზრა, დუშეთის მაზრიდან მცხეთის უბანი – ეს ტერიტორიები შედიოდა მის სამუშაო განმგებლობაში.

1864 წლის 8 ნოემბერს საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა ბატონყმობის გაუქმება. საზეიმო ცერემონია ჩატარდა იქ, სადაც ახლა პარლამენტის შენობა დგას. მაშინ ამ ადგილს ერქვა გუნიბის მოედანი. აი ამ გუნიბის მოედანზე გამართულ ცერემონიას მოწაფეობისას შესწრებია იაკობ მანსვეტაშვილი. იგი იგონებს: დანიშნულ დღეს მოედანზე მართლაც ხალხის ტევა არ იყო. ყველა ღელავდა დიდი ამბის მოლოდინში. მოედნის შუაგულში ამართული იყო მაღალი ფიცრული ესტრადა და ზედ იდგა კათედრა. ესტრადაზე თავი ჰქონდათ მოყრილი ღენერლობას, წარჩინებულ და დიდ მოხელეებს. დიდი ზარით და ზეიმით წაკითხულ იქნა მანიფესტი. გათავდა, ხალხი გრგვინავდა. სიხარულის ცრემლებით ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. საზღვარი არ ჰქონდა სიხარულს, ბედნიერებას, მეტადრე მათ შორის, ვინც მართლა თავს აცლიდა იმ მძიმე და ადამიანის ღირსების დამამცირებელ უღელს, რომელსაც სახელად ბატონყმობა ეწოდებოდა." იმავე 8 ნოემბერს ილია დაინიშნა ხსენებულ თანამდებობაზე და საცხოვრებლად დუშეთს გაემგზავრა. აღმოჩნდა, რომ ბატონყმობის გაუქმება მხოლოდ ქაღალდზე იყო დაწერილი. რუსეთის ჟურნალ-გაზეთები ტყუილად ღაღადებდნენ იმპერატორის გულმოწყალებაზე, რადგან გლეხი კვლავ კაბალურ მდგომარეობაში დარჩა. მიწა მისთვის უსასყიდლოდ არ მიუციათ. მთელი ცხოვრება მას ფული უნდა ეხადა ბატონისათვის, თუ რაღა თქმა უნდა, ერთი კაცის ცხოვრება ეყოფოდა მიწის გამოსასყიდ უსაშველოდ დიდი თანხის გადახდას. აკი, არც ეყო ერთი ცხოვრება და სანადელო მიწების გამოსყიდვა XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა. როგორ მოიქცა „კაცია ადამიანის?!", „კაკო ყაჩაღის", „გლახის ნაამბობის", „გუთნის დედას" ავტორი? ილია ჭავჭავაძე პირველი იყო იმ ერთეულ თავადთა შო-

რის, რომელთაც ყოველგვარი სასყიდელის გარეშე გაათავისუფ-ლეს გლეხები. ილიას წოდება შერჩა მხოლოდ, სხვა მხრივ კი მან თავისუფალ მოქალაქედ იცხოვრა. არც ყმა ჰყოლია და არც ყმა ყოფილა არავისი: „არც მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყ-მევი, არც ერთი ხიზანი არა გვყავს, არამცთუ საგურამოს, არამედ მთელს დედამიწის ზურგზე. მართალია, მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კა-რის მიდამო, მათი ხვედრი ვენახები, უსასყიდლოდ დავუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოვე-ლივე ბატონ-ყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის... ჩემ-მა მეუღლემაც გაყოფის დროს ისე გამოიწილადა მონაწილეთაგან მამული, რომ არც ერთი ხიზანი, არც ერთი ნაყმევი არ ირგუნა“...

ამ მხრივ ილია თანამემამულეთათვის ყოველთვის ზნეობრივი მაგალითის მიმცემი იყო. X საუკუნეში დაიწერა სიტყვები: „მონა-გებთა დატევებაი სისხლთა დათხევასა ემსგავსების“. თუ ეს ასეა, პირველი დიდი ზნეობრივი მაგალითი ილიასაგან გლეხთა უსას-ყიდლოდ გათავისუფლების ფაქტი გახლდათ.

1865

ბუნტი თბილისში. რა პასუხი მიიღო მუშა ბოქულაძემ. ილია დუშეთში მომრიგებელ შუამავლად.

ახლადშეუღლებული აკაკი და ნატალია ბაზილევსკაია

„არა, ქართველთა გზა არ არის ასე იოლი."

მ. ქვლივიძე

ნაყოფის გასინჯვისას არავინ კითხულობს, იოლად მიიღო მებაღემ იგი თუ მის მოვლაში მთელი ჯაფა ჩააქცია. ასეა მწერლობაც, როცა, ერთის მხრივ, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას ნაწარმოებებს კითხულობ და, მეორეს მხრივ, იმავე საუკუნის ფრანგი ჰიუგოს, ჟორჟ სანდის, ფლობერის, გერმანელი ჰოფმანის, ფონტანეს, კელერის, ინგლისელი ბაირონის, შელის, სკოტის ან ამერიკელი ფენიმორ კუპერის, ედგარ პოს, უიტმენის შემოქმედებას ეცნობი, თავში არ მოგივა, რის ფასად შექმნა ქართველმა მწერალმა ის ლექსი თუ ის პროზაული თხზულება, რომელიც ტოლს არ უდებს მსოფლიოში აღიარებული კორიფეების ნაწარმოებებს.

პირდაპირ შეგშურდება, რას წერენ ფლობერის ბიოგრაფები. იმ დროს, როცა ეს ჩვენი ილია გაცოფებულ ბატონსა და გლეხს შუაში უდგას, რათა ერთმანეთი არ დახოცონ იმაზე, მამულის გამყოფი სამანი ერთი მეტრით მარჯვნივ უნდა ჩაარჭონ თუ მარცხნივ, ფლობერთან უკვდავნი იკრიბებიან ხელოვნებაზე სამსჯელოდ. კრუასეშიო, სადაც ფლობერი ცხოვრობდა, ლიტერატურულ შეხვედრებს მართავდნენ ზოლა, ძმები გონკურები, თეოფილ გოტიე, მოპასანი. ხშირად სტუმრობდაო ტურგენევიც.

მოდი და ნუ შეგშურდება. ფლობერს კართაგენზე რომ რომანი დაეწერა, მასალების შესაკრებად ორჯერ იმოგზაურა ალჟირში, ილია კი დუშეთიდან თბილისში ვერ ჩამოდის თვეობით.

აქაც 1865 წელია და იქაც, ევროპაშიც. იქ, ლონდონში ერი და ბერი დიდი ზეიმისთვის ემზადება. მთელი ქვეყანა ცდილობს, ღირსეულად აღნიშნოს შექსპირის დაბადებიდან სამასი წლისთავი. იქმნება საიუბილეო კომიტეტი. ამ კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ ირჩევენ ვიქტორ ჰიუგოს. შექსპირის საიუბილეო კომიტეტი საფრანგეთშიც იქმნება. კომიტეტის წევრთა შორის არიან ლიტერატურისა და ხელოვნების ან უკვე მთელი მსოფლიოსათვის

ცნობილი მოღვაწენი: ბარბიე, ბერლიოზი, დიუმა, თეოფილ გოტიე, პროსპერ მერიმე, ჟორჟ სანდი. ჩვენში კი სხვა ქვეყნის მწერლის კი არა, ჯერჯერობით არც ერთი ქართველი მოღვაწის იუბილე არ აღუნიშნავთ. არათუ იუბილესთვის, მწერლები მწერლობისთვისაც ძნელად იცლიან. მაგალითისთვის ერთი ცუდი ამბის მოგონება მოგვიწევს, რომელშიც მწერალიც არის გარეული, მერე როგორი მწერალი, თვით გრიგოლ ორბელიანი.

ის რაც 1865 წლის ზაფხულში მოხდა თბილისში, რუსეთისა და მთელი ევროპის გაზეთების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მოხდა კი, აი, რა.

ქალაქში დიდი სიძვირე ჩამოვარდა. შემოსატან საქონელს დიდი ბაჟი დაადეს, ამას გადასახადების გაზრდაც ზედ დაერთო და ხალხი აღელდა, დუქნები დაკეტეს, ქუჩებში გამოვიდნენ. მეთაურებიც გამოჩნდნენ, ერთ-ერთი მათგანი ვინმე მოსე კოლოტაშვილი ყოფილა.

ხალხი ბრალს სდებდა ქალაქის თავს ბაჟბეუქ-მელიქოვს, ფქვილი დამალა და პურიც ამიტომ გაძვირდაო. ბრბო მიადგა ამ მელიქოვს სამსახურში. იქ არ აღმოჩნდა. ბრბო მისი სახლისკენ გაემართა (კუკიაზე ცხოვრობდა), იქაც უთხრეს, – შინ არ არისო. აღელვებული ბრბო შინ შეიჭრა, ყველაფერი გადააქოთეს და ეს ბაჟბეუქ-მელიქოვი მართლაც იქ იპოვეს, შეშინებული სახურავის ქვეშ მიმალულიყო. დიდი მრისხანების დროს ჭკუას და გონებას ფუნქცია ეკარგება. გაავებულმა ხალხმა მეორე სართულიდან გადმოაგდო და იმ საწყალმა სულიც იქვე განუტევა. ბრბომ სახლკარი მილეწ-მოლეწა, ოჯახი დააწიოკეს.

ავლაბარიც ფეხზე დამდგარა. ხიდი გადაკეტეს და მთავრობის ჯარმა შესვლა ვერ გაბედა. მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე საქართველოში არ იმყოფებოდა. მის მოვალეობას გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა. მოინდომა მშვიდობიანად ხალხის დაშოშმინება. მოსალაპარაკებლად ქართველი შეარჩია, ვისაც ხალხი მეტად ენდობოდა. ასეთი იყო ერეკლე, ბატონიშვილ ალექსანდრეს ძე, მუდამ ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი. (მას მთავრობამ სიჩუმისა და ლოიალობისთვის აბანო აჩუქა, დღესაც ერეკლეს აბანოებს ეძახის ხალხი). ჰოდა, როცა ეს ერეკლე დაინახა ხალხმა, დამშვიდდა კი არა, ერთხმად შეჰყვირეს – აი, ჩვენი მეფე, გაუმარჯოს ირაკლისო! ირაკლი შეშინდა, ემანდ, რუსმა ამ ხალხს მეც ზედ არ მიმაყოლოსო და უკანვე გამობრუნდა. მაშინ თავად გრიგოლი

ეახლა აღელვებულ ბრბოს, ტკბილი სიტყვით ბევრს ეცადა, მაგრამ იქიდან სულ სტვენა-სტვენით გამოაბუნძულეს. შეურაცხყოფა ეგრე არ უნდაო, მიუსია ჯარი, რამდენიმე კაცი ორივე მხრიდან დაიჭირა კიდეც. მოთავენი დააპატიმრეს. ასე გააჩუმა ატირებული მუშა ბოქულაძე მისივე ავტორმა. ერთი სიტყვით, ძველი თაობის შემოქმედთა ნაწილი იარაღის ჟღარუნს ვერ შელევია, მეორე ნაწილი კვლავ ახალგაზრდულად დარდიმანდობს, მამულებს აგირავებს და მუზას ბატონკაცურად ემსახურება. ახალგაზრდა თაობა კი სარჩო-საბადებლის, ლუკმა-პურის მოპოვებისათვის ჭაპან-წყვეტითაა დაკავებული და მათი ბაირახტარი ილია ჭავჭავაძე ამავე მიზეზის გამო იძულებულია დიდი ხნით გადასახლდეს დედაქალაქიდან: „ახალგაზრდა, ენერგიით, ოცნებით, მოღვაწეობის სურვილით სავსე კაცი ეთხოვება გუბერნიის ცენტრს და მიყრუებულ სოფელში მიემგზავრება. ჯერ მაშინდელი თბილისის კულტურული და გონებრივი ცხოვრება რა იყო და დუშეთისა რაღა იქნებოდა? საქართველოს ევროპეიზაციაზე მეოცნებე კაცი დუშეთის ორლობეში უნდა ჩაკეტილიყო და ღმერთმა უწყის, რა ხნით უნდა გამომშვიდობებოდა (დროებით მაინც) იმ საზოგადოებრივ საქმიანობას, რომელიც მან თავად და მისმა მეგობრებმა წამოიწყეს“.

ოლღა დუშეთს ვერ წაიყვანა. თავის რჩენა თვითონაც უჭირდა. სტუდენტივით ხან სად ცხოვრობდა, ხან სად...

თუმცა მედალს მეორე მხარეც ხომ აქვს, ილიას, დუშეთში ჩასვლით, როგორც ერთი ბიოგრაფი წერს, შემთხვევა მიეცა „შეესწავლა ყოფა გლეხ-კაცობისა, მათი ზნე-ჩვეულება, ენა-საუბარი“. ხშირად ებაასება ახლა თავის „ჭკვიან პეტრეს'', კეთილ გაბროს, გამოყეყეჩებულ გლახა ჭრიაშვილს, თავის ნაცნობ მოხევეს, რადგან ხევ-გუდამაყარიც მის რაიონში იყო. იმ მოხევეს, რომელმაც ისე ჩააფიქრა, ისე დაანაღვლიანა თავის ლაპარაკით მაშინ, როცა პირველად შეხვდა დარიალის ხეობაში, რუსეთიდან ახლად დაბრუნებული. ჩააფიქრა და დაანაღვლიანა ისე, რომ გულის სიღრმიდან დიდის კვნესით აღმოხდა შესანიშნავი, ყოველი ქართველის გულში ღრმად ჩასაბეჭდი სიტყვები“. აქვე უნდა დავძინოთ, საქართველო მთლად ასეთი მოხევეებით არ იყო დასახლებული. ის „ჭკვიანი პეტრეები“, „კეთილი გაბროები“ და „ლელთ ღუნიები“ არსად ჩანდნენ. ილიას გვერდით ჩვეულებრივი მოკვდავნი ცხოვრობდნენ. გლეხი თავადს უჩიოდა, თავადი – გლეხს და ორივე ერთად, გაჭირვების გამო აღრენილნი, არავის ზოგავდნენ. „მე ძალიან ტანჯვაში

და უსიამოვნებაში ვარ ამდენ სულელი ხალხის გადამკიდე, მაგრამ რა ვუყო, რაც არის, არის," – წერს 1865 წელს ილია ოლღას.

1865 წელი ილიას დუშეთში მოღვაწეობის დასაწყისია. იგი ჯერ ახალგაზრდა კაცია. რწმენას არ კარგავს. მისი საქმიანობა ამტკიცებს, რომ ახალგაზრდობა მოღვაწისათვის ნაკლი კი არა, ღირსებაა. ხან ცხენზე ამხედრებული, ხან ფეხდაფეხ უვლის მთის საქართველოს სოფლებს.

„ჩემო ოლიკო! – წერს მეუღლეს, – მე მთებში ვარ და წარმოიდგინე, აქ საშინელი სიცივეებია; ეს კიდევ არაფერი, ცუდი ის არის, გლეხურ ქოხში ვზივარ და შენ გამო კი არა, იმიტომ ვტირი, რომ კვამლი თვალებს მიწვავს". ასე, ხანდახან, თვითირონიით ჩივის ილია. თბილისი კი ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს. ბუნტი ჩამცხრალია. კავკასია მთლიანად დამორჩილებული. სწორედ ამ წელს, 1965 წელს დაიწყება კავკასიის სრული დამორჩილების აღსანიშნავად და რუსთა გამარჯვების სიმბოლოდ დიდი სამხედრო ტაძრის მშენებლობა. ტაძარი აიგება მეფისნაცვლის სასახლის (ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი) გვერდით, გუნიბის მოედანზე. ეს სამხედრო ტაძარი საქართველოს გასაბჭოებამდე იდგა, შემდეგ ბოლშევიკებმა ტაძარი, ვითარცა სიმბოლო თვითმპყრობელობისა, მიწასთან გაასწორეს და იქ ააშენეს მთავრობის სახლი. ის შენობა, სადაც ახლა საქართველოს პარლამენტია.

კვლავ პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ. თბილისი სიცოცხლით სავსე ცხოვრებით ცხოვრობს. თავადიშვილები საღამოობით ოპერისკენ ეშურებიან, ან ტივებით მტკვარსა სჭრიან მეტეხის პირას და ღვინოს შეექცევიან, ან ყოფილ სამეფო ბაღში (ახლანდელი ბოტანიკური ბაღი) „გედებთან" ერთად დუქნებში გამოკეტილან. ილია კი მხოლოდ იმის უფლებას აძლევს თავს, რასაც მოვალეობა ჰკარნახობს, მოვალეობა კი მოყვასის სამსახურს სთხოვს. ილიაც დადის სოფლიდან სოფელში. არადა, რა იცოდნენ გლეხკაცებმა, რომ ამ „ახალგაზრდა ჩინოვნიკის" სახით მათ სიახლოვეს ღმერთკაცი დააბიჯებდა.

1866

მომრიგებელი შუამავლის ფუნქციები. ილიას დაჯილდოება. გაზეთ „დროების“ გამოცემა.



სახლი დუშეთში სადაც ცხოვრობდა ილია

„საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია."

ილია

1866 წლის 26 ივლისს ილია ჭავჭავაძეს მინდობილობა მიუცია მეზობელი თავადისათვის:

„მოწყალეო ხელმწიფეე, საყვარელო ძმაო, თავადო ზაალ ნოშრევანის ძევ! არა მაქვს არავითარი შესაძლებლობა პირადად მივიღო მონაწილეობა ჩემი ორი მამულის – ტიფლისის გუბერნიის თელავის მაზრის სოფ. ყვარელისა და თიანეთის მხარის სფ. ახმეტის თაობაზე დებულების ოქმების შედგენაში, გთხოვთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფეე, იტვირთოთ ეს შრომა. ამასთანავე განიჭებთ უფლებამოსილებას დროებით ვალდებულ გლეხებთან მოახდინოთ ყოველგვარი კეთილნებობით მორიგება დებულების ოქმების მიხედვით, აგრეთვე დროებით ვალდებულ გლეხების მხრიდან დავისა და სარჩელის თაობაზე. ხოლო რასაც გადასწყვეტთ, მას ვენდობი უსიტყვოდ და უკამათოდ. თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე."

მინდობილობის გადაცემას ესწრებოდნენ მოწმენი: **კოლეგიის მრჩეველი გიორგი წინამძღვრიშვილი. პოლკოვნიკი, თავადი მიხეილ ლუარსაბის ძე სუმბათაშვილი. 1866 წლის 29 ივლისი. ქ. ტფილისი. მინდობილობა ეკუთვნის სოფ. ყვარლის მებატონეს თავად ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძეს.**

ილიას ყმების გათავისუფლების შემდეგ რამდენიმე გლეხი დარჩა, რომელთაც დროებით ვალდებული დამოკიდებულება ჰქონდათ თავის „მებატონესთან". ეს მინდობილობა სწორედ ამ გლეხებთან დაკავშირებით იწერებოდა. დუშეთის მაზრის მომრიგებელი შუამავალი, როგორც ვხედავთ, იმდენად დაკავებულია სამსახურებრივ საქმეთა გამო, რომ იძულებულია პირად საქმეთა განმგებლობა ზაალ ჭავჭავაძეს მიანდოს. სამსახურმა ილია, მართალია, დროებით სხვა ყველაფერს ჩამოაცილა, მაგრამ ის საქმე, რაც მას ჰქონდა მინდობილი, ჯანი გავარდეს, არცთუ უინტერესო გახლდათ. უინტერე-

სო კი არა, თუ მაინცდამაინც პროვინციაში უნდა ემუშავა, უკეთეს ასპარეზს ვერც ინატრებდა სამართლიანობის მოყვარული, ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა კაცი. მით უფრო, მწერალი, რომელსაც ხალხის გულისთქმის, მისი ჭირ-ვარამის გაცნობა ეწადა. ილიას ბიოგრაფი იონა მეუნარგია ამბობს, – ამაზე უკეთეს ადგილს ილიასათვის კაცი ვერც კი წარმოიდგენდაო – და იქვე დასძენს: „მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის აზრით, გლეხკაცის მამაა, მისი მფარველი ანგელოზი", როგორც ამბობდნენ იმ ხანებში, როცა ეს თანამდებობა არსებობდა. კანონი მას ავალებს, იაროს სოფელ-სოფელ და გაარჩიოს ნაბატონევთა და გლეხთა შორის მომხდარი ცილობა. ის არის ობლის პატრონი, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურე, მასწავლებელი და გამგები გლეხკაცობისა. ილიაც სწორედ საამისოდ იყო მოწოდებული"...

მომრიგებელი შუამავლის უფლებამოსილების შესახებ ვალერიან მეტრეველის წიგნში „ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ" ვკითხულობთ:

„მომრიგებელ შუამავალს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოეწესრიგებინა ურთიერთობა ყმობიდან გამოსულ გლეხობასა და მემამულეებს შორის, კერძოდ, სიგელების შედგენა, მიწის ნაკვეთის სიდიდისა და მისთვის გადასახადის ოდენობის განსაზღვრა, სავარგული მიწის ნაკვეთის გამოყოფა, მიწების გაცვლა, მემამულეთა და გლეხთა ნებაყოფლობით მორიგების გაფორმება და დამოწმება. გარდა ამისა, მომრიგებელი შუამავლის კომპეტენციაში შედიოდა გლეხობასა და მემამულეთა შორის წარმოშობილი დავებისა და მიწის ნაკვეთის ყიდვის თუ ვალდებულებითი დამოკიდებულების შეწყვეტის თაობაზე საჩივრებისა და სარჩელის განხილვა. მომრიგებელი შუამავლის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე იმ საჩივრების განხილვა, რომლებიც დაკავშირებული იყო საგლეხო მმართველობის წესების დარღვევასთან. მას შეეძლო არ დალოდებოდა საჩივრებს სასოფლო მმართველობის წესების დარღვევის შესახებ და თვითონვე ჩარეულიყო ამ საქმეში აქტიურად. მომრიგებელ შუამავალს უფლება ეძლეოდა შეეფარდებინა გარკვეული სასჯელი (შენიშვნა, საყვედური, ჯარიმა 5 მანეთამდე ან 7 დღით პატიმრობა) სასოფლო მმართველობის თანამდებობის პირებისათვის, ასევე შეეძლო თანამდებობიდან მათი განთავისუფლება და სასამართლოსთვის მათი საქმის გადაცემა".

როგორ იყენებდა ილია ჭავჭავაძე ამ უფლებებსა თუ მოვალეობებს, როგორ იყენებდა იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში შე-

ძენილ თეორიულ ცოდნას და როგორ წონიდა თემიდას სასწორზე ყოველ საჩივარს, ამაზე კონკრეტული მაგალითებით ვისაუბრებთ. ახლა კი ერთ ფაქტს აღვნიშნავთ: 1866 წლის 8 ნოემბერს ილიას კეთილსინდისიერი შრომისთვის ჯილდოს სახით 2000 მანეთი მიეცა. ჯიბეცარიელ ახალგაზრდა მწერალს ერთბაშად დიდი თანხა უბოძეს. უკანასკნელ მანეთს გიგზავნიო, წერდა მანამდე ერთ-ერთ წერილში ილია ოლღას. ასეთი გაჭირვების ჟამს ცოლ-ქმარისათვის ეს ფული მცირე სიხარულის მომტანი როდი იყო, თუმცა, თანხასაც და მათ სიხარულსაც მოვალეთა რიცხვი ანახევრებდა. დასაფიქრებელი კია, რატომ დაეხმარნენ ასე გულუხვად მთავრობისათვის არასაიმედო პიროვნებას? რისთვის გაისარჯა ასე ის ხალხი, ვინც ადრე შეშფოთებული იყო ილიას მოღვაწეობით? ნუთუ ახალგაზრდა ჩინოვნიკს მართლა შრომა და გარჯა დაუფასეს? ობიექტურად ასე ჩანდა. თუმცა კონკრეტულად ილიას საქმიანობა იმ ხანებში არავის გახსენებია. ის, ვინც ამ ჯილდოებს არიგებდა, დუშეთში გახიზნული მწერლის მდგომარეობაზე არ ფიქრობდა და არც შეიძლებოდა დაფიქრებულიყო... მიზეზის ახსნას ცოტა შორიდან დავიწყებ. უკვე ითქვა, რომ 1864 წლის 28 ოქტომბერს ბატონყმობა გაუქმდა. ეს ამბავი განსაკუთრებით საზეიმო ვითარებაში იქნა გამოცხადებული 10 დღის შემდეგ, 8 ნოემბერს. ცხადია, მთავრობის ამ ღონისძიებას თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი ფარისევლურად შეხვედრია, რადგან ხელმწიფე იმპერატორს წინააღმდეგობას აშკარად ვერავინ შებედავდა. ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და გლეხთა გათავისუფლების საქმეში თავადაც მიიღეს მონაწილეობა. ვისაც როგორ უჭრიდა ჭკუა, ისეთივე პროექტი წარადგინა. თავად-აზნაურები ამდაგვარი მორჩილებისათვის და, მართალია, იძულებითი, მაგრამ მაინც თანადგომისათვის, უმაღლეს ხელისუფალთაგან ჯილდოს ელოდნენ, თუმცა იმედი გაუცრუვდათ.

– რა იყო, რომ საგლეხო კომიტეტის წევრები ჯილდოებით გაავსეს, ხოლო თავად-აზნაურთაგანს კი, ვინც ეს საქმე შეამზადა და შეიმუშავა, არაფერი აღირსეს? – შესჩიოდნენ თავის წინამძღოლს დიმიტრი ყიფიანს.

– კომიტეტის წევრები მოხელეები არიან. საერთოდ, ისინი ჯილდოსათვის მუშაობენ, ჩვენ კი ვმუშაობდით იმიტომ, რომ თვით საქმე არის წმინდა და, რა თქმა უნდა, არავინ ჩვენთაგანი არც ფიქრობდა რამე ჯილდოზე, – პასუხობდა გულდაწყვეტილ თავად-აზნაურებს დიმიტრი ყიფიანი.

„ამგვარი პასუხები ყველას ამშვიდებდა, – იგონებდა შემდეგში იგი, – მაგრამ ერთი წლის შემდეგ კი ამ პასუხებმა უკვე ყოველი აზრი დაჰკარგა. გატარდა რეფორმა იმერეთშიც (ქუთაისის გუბერნიაში), იმისთვის რომ იქაურმა თავადაზნაურობამ ქართველ თავადაზნაურობის ბრწყინვალე მაგალითს მიჰბაძა, იქ კომიტეტის წევრთა დაჯილდოების შემდეგ ძალიან მალე უხვად მიაყენეს ჯილდოები ყველა წინამძღოლთა და სხვა პირთ, – ვის ორდენი, ვის ჩინი, ვის გვარდიაში გადაყვანა. ახლა კი ოთხივ კუთხით შემომეხვივნენ კითხვებით: როგორ, რაო რატომ? გადავსწყვიტე მიმემართა ბარონისთვის (იგულისხმება ბარონი ნიკოლაი – ნ.გ.).

– ერთი რამ მოხდა გაუგებარი, ბარონ, რომელიც ყველას ძალიან აწუხებს: ხომ არაფერი უკმაყოფილება დაატყდა თავს ქართველ თავადაზნაურობას მთავრობისგან? თუ ასეა, ნუ მოგვისპობთ საშუალებას ან თავი ვიმართლოთ, ან გავსწორდეთ, რადგან არავინ ჩვენთაგანმა არ ვიცით არც თუ მცირე მიზეზი ამისთვის.

– სწორე მოგახსენოთ, მე ვერ ვხედავ ვერაფერს, თუ საიდან უნდა დაბადებულიყო მაგისთანა აზრი?

– იმ ფაქტიდან, ბარონ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობა ჯილდოებით აავსეს იმისათვის, რომ იმან აქაური თავად-აზნაურობის მაგალითს მიჰბაძა. ხოლო აქაურმა რომ მაგალითი მისცა, ამისათვის თავის დაქნევის ღირსიც კი არავინ არ გამხდარა.

– მერე ეგ რა მიზეზია? მთავრობას ხელს ვინ შეუკრავს თავისი შეხედულებებით აძლიოს ჯილდოები!

– მაპატიეთ, ბარონ, მაგრამ მაგისთანა პასუხი რომ მივსცე, ვაი თუ მომიგონ, რომ მთავრობას მე ვწამებ არათანამიმდევრობას თუ არა, უსამართლობას მაინც? ერთსა და იმავე საქმისათვის გუშინ ერთნი მუშაობდნენ, დღეს მეორენი. დღევანდელებს მთელი ყურადღება, გუშინდელებს – არავითარი! ეს შეუძლებელია! ალბათ გუშინდელებმა მართლა დააშავეს რამე! რა დააშავეს ეს გვითხარით. მე თქვენ არ გიმალავთ, რომ არ მეშვებიან ამ კითხვებით და არ ვიცი რა ვუპასუხო“.

მოხდა ისე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა არც თუ უსამართლო პრეტენზიები გაითვალისწინეს და ბატონყმობის მოსპობის საზეიმოდ გამოცხადებიდან ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1866 წლის 8 ნოემბერს, იმავე დიმიტრი ყიფიანის სიტყვებით თუ ვიტყვით, „მიაყარეს ჯილდოები ტფილისის თავად-აზნაურობასაც.“ აი, ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ 1866 წლის 8 ნოემბერს დუშეთის

მაზრაში მოღვაწე ახალგაზრდა ჩინოვნიკს ილია ჭავჭავაძესაც ფულადი ჯილდო მისცეს.

რა ხდება ამ დროისათვის ერის ცხოვრებაში? სოხუმში მმართველთა წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა, რასაც შედეგად მოჰყვა ქალაქის დიდი ნაწილის გადაწვა და დამსჯელი ექსპედიციები. დაწყებულია ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა. თბილისისა და ბაქოს გუბერნიებში გაჩნდა კალია, მძვინვარებს შავი ჭირი. ილია დუშეთშია გამოკეტილი. მამას მომდურებული უმუშევარი აკაკი ქუთაისის სასტუმროებში ცხოვრობს სამადლოდ. ნიკო ნიკოლაძე საზღვარგარეთ არის წასული, კირილე ლორთქიფანიძე პეტერბურგში იმყოფება. „ცისკრის" რედაქცია და მისი ძველი თანამშრომლები ძველებურად შეხმატკბილებულან. გრიგოლ ორბელიანი ხელმწიფე ბატონის ბრძანებით კასპიის ზღვის სანაპიროსთან სპარსეთის შაჰს ხვდება. თუმცა კულტურული ცხოვრების ასპარეზზე ერთი სიახლე ხდება: დედაქალაქში თერგდალეულთა მცირე ჯგუფი 1866 წელს აარსებს გაზეთ „დროებას". გაზეთი დააარსეს ნიკოლოზ და ბესარიონ ღოლობერიძეებმა, ვახტანგ თულაშვილმა და დიმიტრი ბაქრაძემ. გაზეთის გამომცემელი იყო სტეფანე მელიქიშვილი, რედაქტორად მიიწვიეს გიორგი წერეთელი. გაივლის ათი წელი და დროების საზეიმო სხდომაზე გაზეთის გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი იტყვის: „პირველი აზრი იმ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავართ ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს"... ასე რომ, ამ საქმის მოთავეც ილია ჭავჭავაძე ყოფილა.

1867

ილიას „პოსრედნიკობა“. „ამოაგდებ და შენც ამოვარდები“. სამეგრელოს სამთავროს გაუქმება.

„შენც არ მამიკვდე, მე ახალი ოქმი არ ვინდომო, აბა, რაÿ
მეფე ერეკლეს ოქმი იქით მიაგდეო და ახალი დაწერეო"...

ილიას პიესიდან

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, თუ რას სწერდა 1864 წელს ქუთაისიდან ილია ჭავჭავაძე მეუღლეს: „ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ, „აი, ესენი არიან ჩვენი დამღუპველებიო. ჩვენი ყმების წამრთმევებიო". ნამეტნავად ჩემზე თურმე ტლინკებს ჰყრიან." არც დუშეთის მაზრის თავადაზნაურობასთან ჰქონდა მას მაინცდამაინც შეხმატკბილებული ურთიერთობა. მომრიგებელ შუამავალს გლეხკაცის დაცვა და მფარველობა ევალებოდაო, – ვწერდით წინა წერილში. გლეხის მფარველობას კი ან თავადთან მოსდევდა ჩხუბი და დავიდარაბა, ან აზნაურთან, ან მოხელესთან და ან სულაც სამივესთან ერთად. პატრიარქალური ადათ-წესებით მცხოვრები თავადაზნაურობა ადვილად ვერ ურიგდებოდა იმ ფაქტს, რომ მამა-პაპათა ანდერძით დატოვებულ მიწებს თანდათანობით ხელიდან აცლიდნენ. ახალი კანონებით იმედმიცემულ ყმათა თუ ნაყმევთა თავგასულობაც აუტანელი ხდებოდა მათთვის. ეს ახალგაზრდა „ჩინოვნიკი" კი, მათი სისხლი და ხორცი, მათივე წრიდან გამოსული კაცი, ცეცხლზე ნავთს ასხამდა. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი წრის ინტერესები დაიცვას, გლეხის „თავგასულობა" ალაგმოს და ბატონთან თუ ნაბატონართან კამათი აუკრძალოს, პირი აუკრას, ამდგარა ეს დალოცვილიშვილი და იქით აბუნტებს ხალხს. რაც ხელმწიფემ გიბოძათ, ნებით თუ არ მოგცემენ ბატონები, ძალით წავართვათო. ამიტომაც დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა დიდი ნაწილი ილია ჭავჭავაძის „შუამავლობას" და „მომრიგებლობას" ალმაცერად უყურებდა. ამ ფაქტის დამადასტურებელმა ამბებმა ილიას თანამედროვეთა მოგონებების წყალობით დღემდე მოაღწია. ილიას მიწისმზომელად ჰყოლია ერთი გლეხი, ვინმე დათა პაპიაშვილი. ამ გლეხმა საუკუნეზე მეტი იცოცხლა. მოხუცის ნაამბობი ილიას გვერდით გატარებული დღეების შესახებ მის შთამომავალს, ტიტე პაპიაშვილს ჩაუწერია. ამ ჩანაწერში ვკითხულობთ: „როდესაც ილია ბატონყმობიდან განთავი-

სუფლებულ გლეხებს მებატონეებიდან სანედელო მიწებს ურიგებდა, მაშინ ათსაჟენიანი თოკი გვეჭირა ხელში და ილია გლეხებს მხარდამხარ მოგვდევდა. ჩვენთან ერთად იყვნენ თავადები, აზნაურები, მათი ქალბატონები და მღვდლებიც კი. თავადაზნაურობა ყოველ ნაბიჯზე ილიას აყალმაყალს უტეხდა. კბილების ღრჭენით მოგვიბრუნდებოდნენ და გვეტყოდნენ: ო-ი, დ-და-და-და, თქვე ბუგრიანებო, რა დღეს ვეღირსეთ, რომ თქვენ ჩვენს მიწებს იზომავთო!.. მახსოვს, ერთხელ ილიამ სიცილით უთხრა ხვლეპუზა შაბურიშვილს, „დადგება დრო, რომ გლეხკაცებს დარჩებათ თქვენი ველებიც და ტყეებიცო“. აყაყანდნენ მებატონეები. ილია თვალს ჩაგვიკრავდა და გვანიშნებდა, გასწით ბიჭებო თოკსაო, თავს მაღლა აიღებდა და ჩუმად ჩაიცინებდა, გადახტითო... ასე, რომ ილიამ იცოდა, რომ დღიურს ორი კაბდო ემატებოდა და საზღვარიც იქ ჩავარდებოდა. მიწის მეპატრონე თავადი ხშირად ხვდებოდა, რომ ილია სასნორს გლეხებისაკენ ხრიდა და გაცეცხლებული ყვიროდა: თავადიშვილო! რაშია საქმე, რომ ის, რაც კანონიერი ზომაა, იმაზე მეტი მოგიზომავს და დაგიკორღნია კიდეცო? აბა, მე გიცხადებ, აი მივდივარ და ერთი კარგადაც გაგიწკეპავ იმ ძაღლის ლეკვებს და კორღნებსაც თავიანთი ბარებით ამოვაგდებინებო!

გაიცინა ილიამ და უთხრა:

– ამოაგდებ და შენც ამოვარდები შენი სახლკარიდანო!“

ასეთ მუქარას არც თავადი დატოვებდა უპასუხოდ. თავის მხრივ, ის და მისი მსგავსნიც მართალნი იყვნენ. მათი წარმოდგენით, ღვთით გაჩენილი კანონი ირღვეოდა. ძველი სამართალი და საუკუნეებში გამოტარებული ცხოვრების წესი მათ უჭერდა მხარს. ამიტომ იყო ბატონყმობის გაუქმების წინა ხანებში შეშფოთებულნი რომ წერდნენ: „რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან, ჩვენ კარითი კარათ უნდა ვეთრიოთ და მოწყალება ვითხოვოთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის შემმუშავებელი, აღარც საქონლისათვის მწყემსი და აღარც შვილების გამზრდელი ძიძა. ახალი წესით ცხოვრება არ შეგვიძლიან უფულოდ. ვალი გვმართებს მრავალი და ამ ვალის მიზეზი არის სადავო საქმეების წარმოება... ენა რომ არ გვესმოდა და ახალი კანონები რომ არ ვიცოდით და ამასთან ჩვეულებითი წესი რომ მოგვეშალა, რომლითაც სადაო საქმე სახალხო და სიტყვიერად განიხილებოდა ხოლმე, – ქაღალდებისა და არზების წერას უნდებოდა სამასი მანეთიდან ათას მანეთამდე... დრო არ გვქონია, რომ სასოფლო მომჭირნეობა სამჯობინარად გავრცელებულიყო, ყოველ წლივ შევიჭურვე-

ბოდით და რუსეთის მხედრობასთან საზოგადო მტერს ვებრძოდით; ამისთვის ვაჭრებისაგან ვალს ვიღებდით და საშინელ სარგებელს ვიხდიდით; – განსვენებულს კნიაზ ვორონცოვს რომ არ ეშუამდგომლა და პრიკაზისათვის ბანკის თვისება არ დაესაკუთრებინა ჩვენს დაღუპვას საშუელი აღარ ექნებოდა, რა რო ამითი სული მოვიბრუნეთ ახლა ეს საქმე გაგვიჩნდა და უნდა ყოველივე საცხოვრებელი მოგვისპოს, თუ კანონით დაწესებული ფული არ მოგვეცა, – როგორც, მაგალითებიც იყო, რომ ყმებისათვის მებატონეთ სულზედ ფული მიეცა და მამული მათვე დარჩათ" ამ სიტყვებით ჩანს, რა დღეში იმყოფებოდა ჩვენი თავადაზნაურობა: მაგრამ ისინი ბედს შეეგუენ, კანონმდებელთა წინააღმდეგ პრაქტიკულად არაფერი მოუმოქმედებიათ, თუმცა ვიღაცაზე მაინც უნდა ამოეყარათ ჯავრი, ის ვიღაცა კი გლეხობა იყო, გლეხობა და მათი მფარველი „პოსრედნიკი". ასე რომ, მეტისმეტად დაძაბული და ნერვიული ცხოვრება უხდება ილიას დუშეთში. ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. აწმყოთი უკმაყოფილო თავადაზნაურობა წარსულ წლებს მისტირის. იხსენებენ ვორონცოვის დროს, როცა ბატონს ბატონი ერქვა და არა ნაბატონარი, ყმას – ყმა და არა ნაყმევი.

1867 წელს თბილისში ცალკე ამონაბეჭდად და უთავფურცლოდ გამოიცა ილია ჭავჭავაძის თხზულება „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები", რომელიც იმავე წელს გაზეთ „დროების" 33-ე ნომერში დაიბეჭდა და რომელშიც მხატვრული ასახვა ჰპოვა ავტორის დუშეთურმა გამოცდილებამ.

1867 წელს სამუდამოდ გაუქმდა უკვე ფორმალურად, მაგრამ მაინც არსებული სამეგრელოს სამთავრო. უკანასკნელ მთავარს ნიკოლოზ დადიანს რუსეთის მთავრობამ ერთი მილიონი მანეთი მისცა, მან უარი თქვა მემკვიდრეობაზე და ამის შემდეგ მისი „სამფლობელოც" იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიას შეუერთდა. ამ ფაქტს გაზეთ „დროებაში" გამოეხმაურა აკაკი წერეთელი, რომელიც სიხარულით აღიარებდა, რომ სამეგრელოს სამთავროს გაუქმებით დასრულდა ერის გაერთიანებისთვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. თუმცა საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება ჯერ კიდევ არ გულისხმობდა ეროვნული ორგანიზმის სიმტკიცესა და სიძლიერეს. საჭირო იყო ერის სულიერი ერთობა, ერთი იდეით, ერთი მრწამსით, ერთი რწმენით კონსოლიდაცია. ხოლო ის, ვისაც ეს მისია უნდა განეხორციელებინა, ჯერჯერობით დუშეთის მაზრაში იმყოფებოდა „პოსრედნიკის" თანამდებობაზე.

1868

ილია-მომრიგებელი მოსამართლე. მისი ფუნქციები. როგორ წამოაყენა მოსამართლემ მკვდრები საფლავიდან.

ილია დუშეთის საზოგადოებაში

„ქმნა მართლისა სამართლისა"...

რუსთაველი

1868 წლის 1 თებერვალს ილია ჭავჭავაძე მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა. „მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი" დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა მე-14 საუკუნის ბოლოს და ფართო გავრცელება ჰპოვა. რუსეთში მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი 1864 წლის სასამართლო რეფორმით იქნა შემოღებული. კავკასიაში (საქართველოში) მომრიგებელ მოსამართლეობის ინსტიტუტს ზოგიერთი დემოკრატიული პრინციპი ჩამოაშორეს მხარის ეგრეთ წოდებულ „თავისებურებათა" გათვალისწინების მოტივით. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მომრიგებელი მოსამართლეები კი არ ირჩეოდნენ, არამედ ინიშნებოდნენ. ასევე, თუ რუსეთისათვის მომრიგებელი მოსამართლე ადგილობრივი მცხოვრები პირი უნდა ყოფილიყო, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა ადგილობრივი თავისებურებები, ზნე-ჩვეულებები, ადგილობრივი მოსახლეობის ენა, საქართველოსათვის ეს მოთხოვნა უგულებელყოფილ იქნა და ხშირად მომრიგებელ მოსამართლეებად ინიშნებოდნენ სხვა ერის წარმომადგენლები, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ არათუ ადგილობრივი ვითარებისა, არამედ არ იცოდნენ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელი იარაღი – ადგილობრივი მოსახლეობის ენაც" (ვ. მეტრეველი).

მართალია, ამ თანამდებობაზე ქართველთაგან ერთადერთი არ იყო ილია (სხვათა შორის, ამავე 1868 წელს ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნულ იქნა რაფიელ ერისთავი), მაგრამ ერთეული ფაქტები მაინც გამონაკლისებად აღიქმება. მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობის შესახებ თვით ილია აღნიშნავდა: „საჭიროა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ მოსამართლეს. ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნაც არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნები-

სა, ხალხის ზნისა, ჩვეულებისა, ერთი სიტყვით ყოველივე იმისა, რითაც გარემოცულია ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ, და ამასთანავე საჭიროა კაცსა ჰქონდეს გამჭრიახი გონება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფაცხოვრება". მომრიგებელი მოსამართლის ილიასეულ დახასიათებაში მისივე პორტრეტი უნდა წარმოვიდგინოთ. დუშეთის მცხოვრებნი კარგა ხანია ენდობოდნენ მას, ამ ნდობის მოსაპოვებლად კი ილიას დიდი დრო არ დასჭირვებია. ადგილობრივთა ცხოვრება მასზე უკეთ ვინ უწყოდა, ან ვინ შეედრებოდა გამჭრიახი გონებით, პატიოსანი ხასიათით თუ უჩირქო ყოფა-ცხოვრებით. დუშეთში მოღვაწეობის წლებში, ილიას, როგორც მომრიგებელ მოსამართლეს, სამი ათასზე მეტი საქმე განუხილავს და გაურჩევია. ვნახოთ, ზემოთმოყვანილი ილიასეული დახასიათება რამდენად დასტურდება მისი პრაქტიკული მოღვაწეობით. ყველა ფაქტი არც ცნობილია და, ცხადია, ვერც მოვიხმობთ. მაგრამ მკითხველისათვის, ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება რამდენიმე დეტალის გახსენება.

„თვითონ ილიამ გვიამბო, – იგონებდა იონა მეუნარგია, – მოსამართლედ რომ ვიყავი, ერთი გლეხი მიწას ედავებოდა ყაზბეგს. – ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროსა მაქვს ნაყიდი, მოწმეცა მყავს და ახლა ყაზბეგი მართმევს, მიშველე, დამითმეო, – შემომჩივლა გლეხმა.

მე დავიბარე გლეხისაგან ნახსენები მოწმე.

– შენ მოწმე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლეხსა აქვს ნაყიდი თეიმურაზ მეფის დროს?

– დიახ, შენი ჭირიმე, მოწმე ვარ, თუნდა დამაფიცეთ, ფრჩხილის საკვეთი ამილია.

თურმე ძველი ჩვეულება ყოფილა, როცა მიწას იყიდდა ვინმე, დამსწრე მოწმეს ფრჩხილს მოსჭრიდნენ – ამისთვის გასამრჯელოს აძლევდნენ იმას – და ეს მოწმე ვალდებული იყო უფროსი შვილისათვის ეამბნა ამ ნასყიდობის ამბავი. შვილი შვილიშვილს გადასცემდა და ამგვარად ნასყიდობის ისტორია გადადიოდა მოდგმიდან მოდგმაზე. თუ ვისმეს შვილი არ ეყოლებოდა, იმათთვის უნდა ეამბნა, ვინც გვარში უფროსი იქნებოდა.

ილიას ეს ჩვეულება მეტად არ გაეგონა, ძლიერ მოეწონა და მოწმის ჩვენების თანახმად სადაო მიწა გლეხს მიუსაჯა. ყაზბეგმა აპელაცია გადაიტანა, საცა წერდა: მომრიგებელმა მოსამართლემ მკვდრები ააყენა და ჩვენება ჩამოართვაო, Мертвых допрашивает-о.

ამაზე ილია იტყოდა: ბაბილონში აგურზე იპოვეს წარწერა, ესა და ეს მამული ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ესა და ეს, რომლის ფრჩხილი ამ აგურში არისო. გატეხეს აგური და შიგ ფრჩხილი ნახესო".

ეს ამბავი ილიას მოგვიანებით საქართველოში ჩამოსული გერმანელი მეცნიერის, ასიროლოგისა და ურარტულოგის პროფესორ კარლ ლემან-ჰაუპტისათვის უამბნია, რომელმაც, თავის მხრივ, მთელს ევროპას აცნობა. ამბავი თავისთავად საინტერესო კი გახლავთ, მაგრამ ალბათ არანაკლებ საინტერესო და განსაცვიფრებელი იქნებოდა მემამულე ყაზბეგის მდგომარეობა, როცა პროფესიონალი იურისტი ეტყოდა, მიწა შენს მოდავეს ეკუთვნის, რადგან მას ნასყიდობის „მოწმე" ნამდვილად ჰყოლიაო. აკი შეცბუნებული ჩიოდა ყაზბეგი, „მოსამართლემ მკვდრები ააყენა და ჩვენება ჩამოართვაო". დაზარალებული, კაცმა რომ თქვას, მართალიც იყო. ის გადაწყვეტილება, ილიამ რომ მიიღო, რუსეთის იმპერიაში მოქმედი სამართლისა თუ კანონთა კრებულის არც ერთი მუხლიდან არ გამომდინარეობდა, მაგრამ, აკი ვთქვით, ილიას რწმენით, „ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნების, ხალხის ზნის, ჩვეულებისა, ერთი სიტყვით, ყოველივე იმისა, რითაც გარემოცულია ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ". ასე რომ, ილიას სამართალი არცთუ იშვიათად შინაგან რწმენას, დაუწერელ კანონებს ემყარებოდა, რადგან ისეთი ყოვლისმომცველი კანონი, რომელიც ყველა კონკრეტულ შემთხვევას გაითვალისწინებს, არ დაწერილა და ვერც დაიწერება.

1869

ილიას სამართალი. გაოგნებული აზნაური. ჟურნალ „მნათობის“ გამოცემა. პეტერბურგში იბეჭდება „კაცია ადამიანი?!“

კირილე ლორთქიფანიძე

რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ ცეცხლად?"

ილია

ილიას ცხოვრებაში ყოველდღიური რუტინა გრძელდება. ერთ დღეს მასთან გამოცხადდნენ გამოძახებულნი: მომჩივანი – აზნაური იოსებ კლიმიევი, ბრალდებული – მჭადიჯვრელი გლეხი გიო წულიაშვილი და ოთხი მოწმე. გლეხ წულიაშვილს ბრალად ედებოდა აზნაურ კლიმიევის სიტყვიერი შეურაცხყოფა. ბრალდებულმა განაცხადა, რომ მართლაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა კლიმიევს, მაგრამ ამისკენ უბიძგა თავად მომჩივანმა, რომელმაც მანამდე თავში გუდა ჩაარტყა. მოწმეებმა ბრალდებულის ნათქვამი დაადასტურეს. მხარეთა ახსნა-განმარტებისა და მოწმეთა ჩვენების მოსმენის შემდეგ მომრიგებელმა მოსამართლემ კანონსა და შინაგან რწმენაზე დაყრდნობით გამოიტანა დასკვნა: მომჩივანმა თვითონ უფრო მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა ბრალდებულს, რითაც მას უბიძგა სიტყვიერი შეურაცხყოფისაკენ, ამიტომ გიო წულიაშვილი უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი სასჯელისაგან, სასამართლოს ხარჯები კი დაეკისროს მომჩივანს, როგორც არაკეთილსინდისიერად ბრალმდებელს. ამ ძალზე მოკლედ გადმოცემულ ამბავში, ერთი შეხედვით, თითქოსდა ყველაფერი ნათელი და გასაგებია. აზნაური კლიმიევი (კლიმიაშვილი) არაკეთილსინდისიერად მოიქცა. ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოს ახლოს არ გაკარებოდა და გლეხს იქით შევედრებოდა სამართალში ნუ მიმცემო, თვითონ გარბის ილიასთან, როგორც დაზარალებული და გლეხკაცისაგან შეურაცხყოფილი. დღევანდელი მკითხველი იფიქრებს, რომ ეს ნაბიჯი აზნაურმა სასჯელისაგან თავის დაძვრენის მიზნით გადადგა და შეგნებულად არჩია მოსამართლის წინაშე დაზარალებულის როლის გათამაშებაო. სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა, აბა რომელი ჭკუათმყოფელი მიადგება სასამართლოს ასეთი მო-

ტივით, კაცი ვცემე, იმან კი ენა შემომიბრუნა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა, არიქა, მიშველეთ, სამართალი გასჭერითო. მოსამართლეც ადგა და როგორც სასამართლო ოქმი გვაუწყებს, ბრალმდებელი ბრალდებულად აქცია. ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბავზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ თავისი არსით მნიშვნელოვანი მგონია. მნიშვნელოვანი იმით, რომ აღნიშნული ფაქტით ცოცხლდება თავად-აზნაურთა დამოკიდებულება ნაყმევთა მიმართ.

აზნაურ კლიმიაშვილს, როდესაც ილია ჭავჭავაძეს შესჩივლა, გლეხკაცმა შეურაცხყოფა მომაყენაო, არავითარი ეშმაკური განზრახვა არ ჰქონია. იგი სრული სერიოზულობით ფიქრობდა, რომ დაზარალებული თვითონ იყო და არა მისგან ნაგვემი გლეხი. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ სიტუაცია, თავს უფლებას მივცემ და მკითხველს ჩეხოვის ერთ მოთხრობას გავახსენებ. მოთხრობის სათაურია „უხერხემლო ინტელიგენტი". მემამულე არხიპ პომოევმა მომრიგებელი მოსამართლისაგან უწყება მიიღო. პომოევს სასამართლოში იბარებდნენ, როგორც ბრალდებულს, გლეხ გრიგორი ვლასოვის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო. მოსამართლე არხიპ პომოევის მეგობარი იყო და ამიტომ არხიპი დიდად გახარებული დარჩა მეგობრის „მიწვევით". უწყებაში რომ წაიკითხა, გიბარებთ როგორც ბრალდებულსო, ბევრი იხითხითა პომოევმა. მოსამართლის „ოხუნჯობამ" ერთობ გაამხიარულა. როცა აუხსნეს, სტუმრად კი არ გპატიჟებს, სასამართლოში გიბარებს, რათა გაგასამართლოსო, არხიპი უფრო გამხიარულდა:

– მე? ჰო-ჰო... არ აუდგა გვერდები, მაგან მე არ გამასამართლოს... ხუმრობს ალბათ...

– ხუმრობსო? აბა წაიკითხე რა წერია: ფიზიკური შეურაცხყოფის თაობაზეო... ხომ სცემე გრიშკა? ახლა წადი და პასუხი აგე, – ამუნათებს ცოლისძმა პომოევს.

– რა ახირებული ვინმე ხარ, ღმერთმანი! გაგიგონია, მეგობარი გაასამართლოს?! აბა, როგორ უნდა გამასამართლოს, როცა ბანქო ერთად გვითამაშია, ერთად გვიქეიფია და ეშმაკმა იცის, კიდევ რა გვიქნია?

დანიშნულ დღეს მემამულე არხიპ პომოევი სასამართლოში მეგობარ მოსამართლეს ეწვია, იმ მოსაზრებით, რომ სამუშაოს დამთავრების შემდეგ მეგობარი ბინაზე გადაიპატიჟებდა. მოსამართლემ კი იგი მოულოდნელად ბრალდებულის სკამზე დასვა.

ბატონო პომოევ! – დაიწყო მოსამართლემ და თვალები დახარა, – თქვენ ბრალად გედებათ, რომ... მოქმედებით შეურაცხყავით თქვენი მსახური... აი, ეს გრიგოლ ვლასოვი. სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

მემამულეს კვლავ ხუმრობა ჰგონია, რაც მის თავს ხდება და ჭკუამხიარულობს.

– აბა კი! დიდი ხანია ეგრე დადინჯდი? ჰე-ჰე...

– არა სცნობთ? – გააწყვეტინა მოსამართლემ და დაზარალებულს მიმართა.

– მოჰყევით, ვლასოვ, როგორც იყო საქმე!

მსახურმა სასამართლოს მოუთხრო, თუ რა უსამართლოდ დაუსახიჩრა სახე მისმა ბატონმა.

– რით გაიმართლებთ თავს? -შეხედა მოსამართლემ პომოევს.

პომოევი ჯერ მოსამართლეს მიაჩერდა გაკვირვებით, მერე გრიშკას, მერე ისევ მოსამართლეზე გადაიტანა მზერა და წამოპილპილდა.

– ეს რად ჩავთვალო, მასხრად აგდებად?

– არავინაც არ გიგდებთ მასხრად. მე გულწრფელად ვამბობ, ხელები უნდა დაიმოკლოთ, – თქვა გრიშკამ.

– ენა ჩაიგდე, რეგვენო და ვიგინდარავ! – დაჰკრა პომოევმა იატაკს ჯოხი.

საქმე გართულდა. მოსამართლემ მემამულე განზე გაიყვანა და საყვედურებით აავსო. ბრალდებული კი იქით იყო აღშფოთებული. ეს რა კომედია მომიწყვე, ჩასვი ეგ გრიშკა ციხეში და გაათავე საქმე. აბა, მე ხომ არ ჩამსვამო. მოსამართლემ აუხსნა, რომ ახლა სხვა დროა, კაცი შენ სცემე და ამისათვის ციხეში ვერ მოვათავსებო.

– ჩემს სიცოცხლეში არც სამართალში მქონია საქმე და არც მოსამართლედ ვყოფილვარ, – საყვედურობს პომოევი, – მაგრამ იმას კი ვიტყვი, გრიშკა რომ ჩემთან მოსულიყო და შენზე ეჩივლა, ისე დავაგორებდი კიბეზე, მაგას კი არა, მაგის შვილიშვილებსაც ვერ გაებედათ ჩივილი.

როცა მოსამართლე დარწმუნდა, რომ მისი მეგობრის შეგნებამდე შეუძლებელი იყო ელემენტარული აზრის მიტანა, იძულებული გახდა მსახურთან თავად მოეგვარებინა საქმე. მას ათი მანეთი მისცა და დავიდარაბაც ამით დასრულდა. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მოთხრობის ფინალი. მეგობრები – მოსამართლე

და მემამულე, სასამართლოს შემდეგ ერთად ქეიფობენ. მესამე ჭიქის შემდეგ პომოევი ეკითხება მოსამართლეს:

„ვთქვათ, გრიშკას თუმანი მიუსაჯე, ციხეში კი რამდენი ხნით ჩასვი?"

„უხერხემლო ინტელიგენტში", ცხადია, ჩეხოვისათვის დამახასიათებელი ხერხით, მძაფრი ირონიითაა გადმოცემული ამბავი, მაგრამ მოთხრობის ფაბულა უტყუარ ამბავზეა აგებული. მემამულემ მსახურს სცემა, შემდეგ კი სრულიად გულწრფელად მსახურისავე დაჭერა მოითხოვა, რადგან ამ უკანასკნელმა ჩივილი გაბედა.

ასე მოიქცა აზნაური კლიმიაშვილიც. მან გლეხი წულიაშვილი დაჩაგრა. გლეხმა სიტყვის შებრუნება გაუბედა. მოსამართლე თავადი იყო, აბა რას იფიქრებდა აზნაური კაცი, რომ თავადი გლეხს „თავხედობას" აპატიებდა. არადა, აპატია კი არა, საპატიებლად თვითონვე გაუხადა საქმე. გლეხი გაამართლა და აზნაურს ჯარიმა დააკისრა... ადრე ვწერდით, თუ როგორი გაოცებული დარჩა მემამულე ყაზბეგი ილიასეული სამართალწარმოებით, როგორ აფრინა თბილისში საჩივარი, ჩვენმა მოსამართლემ მონმეებად მკვდრები გამოიხმოო. არანაკლებ გაოცებული მიდიოდა სასამართლოდან აზნაური კლიმიაშვილი. მიდიოდა და, ვინ იცის, ჩეხოვის გმირივით ფიქრობდა:

– რაც არ უნდა თქვა, ილია მოსამართლედ არ ვარგა! კეთილი, განათლებული კაცია, მოსამართლედ არ ვარგა! საქმის გარჩევა არ შეუძლია. აფსუსი კია, მაგრამ შემდგომ სამწლიან არჩევნებზე უნდა გავაშავოთ! კი, უნდა გავაშავოთ!

თუმცა, როგორც იტყვიან, გაგვექცა კალამი, კენჭისყრასა და „გაშავებაზე" აზნაური კლიმიევი ვერ იფიქრებდა, რადგან რუსეთისაგან განსხვავებით, ჩვენში, როგორც ითქვა, მომრიგებელ მოსამართლეს კი არ ირჩევდნენ, ნიშნავდნენ...

„8-9 წლის ბიჭი ვიქნებოდი, – იგონებდა ვინმე მაისურაძე, – როცა საწყალი მამაჩემი მოკვდა. მამაჩემს ვალი ჰქონდა აღებული ერთი დუშელი სომხისაგან. მამაჩემი სანამდის ცოცხალი იყო, მანამდინაც ღარიბები ვიყავით, და როცა ის მოკვდა, მაშინ ხო უფრო გავლატაკდით. დუშელ ჩარჩს მამაჩემმა ვერ გადაუხადა ვალი და მისი სიკვდილის უკან ჩვენ დაგვაწვა. რო ვეღარ შევძელით ვალის მიცემა, ჩარჩმა გვიჩივლა დუშეთში მოსამართლესთან, მაშინ სოფელ უბნისში ვცხოვრობდით. როცა დაიბარა მოსამართლემ,

დედაჩემმა მე, ორი ჩემი ძმაი და ერთი დაი წაგვიყვანა დუშეთში. მივედით თუ არა, შეგვიყვანა მოსამართლის ოთახში. დედაჩემმა ტირილი დაიწყო და ისე ელაპარაკებოდა, როგორ გადავიხადო ვალიო, ბავშვები შიმშილით მეხოცებიანო. თან მოგვკიდა ხელი დედაჩემმა და მოსამართლის ახლოს დაგვაყენა. მოსამართლე ხან ერთს შემოგვხედავდა, ხან მეორეს. როცა მოსამართლე ჩვენ გვიყურებდა და თავისთვინ რაღაცაზე წერდა, მაშინ ვათვალიერებდი. მოსამართლე იყო ჯმუხი, მარილიანი სახე ჰქონდა. მერე მოსამართლემ ილაპარაკა და გადაწყვიტა, რომ სანამ ყმაწვილიო, – ჩემზე იძახდა, – ოცი წლისა არ გახდებაო, მანამ ერთი კაპიკიც არ გადაიხადოთო. ჩარჩს ეწყინა და დედაჩემი კი ძალიან გახარებული იყო. მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ იმ დღიდან სარგებელი არ უნდა გადაგვეხადა, ხოლო როცა მე ოცი წლისა გავხდებოდი, მაშინ მარტო თავნი უნდა მიგვეცა. როცა მოსამართლის ოთახიდან გამოვედით, გარეთ ბიძაჩემი დიმიტრი დაგვხვდა, მამაჩემის ძმა და იმან გვითხრა, ეგ მოსამართლე ილია ჭავჭავაძეს რომ უძახიან, ის არისო!"

ვინ იცის, როცა ეს განაჩენი გამოჰქონდა, იქნებ თავისი ბავშვობაც ახსენდებოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ისიც ხომ 3000 მანეთით დავალიანებული დარჩა?

ცხოვრობდა ასე ილია დუშეთში. არჩევდა საქმეებს, იბარებდა მოწმეებს. ზოგი ლოცავდა, ზოგი იმუქრებოდა, ახალგაზრდები თბილისშიც არ ივიწყებენ თავიანთ განზე გამდგარ ბელადს. გარდა „ცისკრისა", იმ დროისათვის ჩვენში სალიტერატურო ჟურნალი არ არსებობდა. გაზეთი „დროება" ჟურნალის ფუნქციას ვერ შეასრულებდა, ხოლო „გუთნის დედა" და 1868 წელს გიორგი წერეთლის მიერ დაარსებული „სასოფლო გაზეთი" სამეურნეო საკითხებს განიხილავდა. და აი, 1869 წელს ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, გამოეცა ახალი სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი". ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1869 წლის 2 მაისს.

საქართველოს მოამბის" მოსპობის შემდეგ ჩვენ თითქმის აღარა გვქონია რიგიანი ლიტერატურული ბაასი, – აღნიშნავენ ჟურნალის გამომცემელნი და მიზნად ისახავენ ილიას მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებას. „მნათობს" დევიზად სწორედ ილიას სიტყვები წარუმძღვარეს: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს"...

იმავე 1869 წელს პეტერბურგში ცალკე წიგნად გამოიცა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია ადამიანი?!" წიგნს გამომცემლად რატომღაც მ. ბეთანიშვილი აწერია, სინამდვილეში „კაცია ადამიანის?!" გამოცემის ინიციატორი და განმახორციელებელი იყო არა მიხეილ ბეთანიშვილი, არამედ კირილე ლორთქიფანიძე. წიგნის დაბეჭდვისათვის ფულადი ხარჯები გაუღია მიხეილ ზაქარიას ძე ჭავჭავაძეს. „კაცია ადამიანის?!" გამოცემა მნიშვნელოვანი ფაქტი იყო არა მარტო ილია ჭავჭავაძის, არამედ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაშიც, რადგან ქართველი საზოგადოება ძირითადად მიჩვეული იყო ისეთი წიგნების გამოცემებს, როგორიცაა „ბეჟანიანი", „ბარამიანი", „როსტომიანი", „სიზმრების ახსნა" და სხვა.

„კაცია ადამიანის?!" გამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მიუნხენში მოთხრობაზე წერილი იწერება, თბილისში მისი გასცენიურებისათვის ემზადებიან. ავტორი, ილია ჭავჭავაძე კი დუშეთის სასამართლოში მორიგ საქმეს განიხილავს...

1870

„კაცია ადამიანის“ პროფესიული შეფასება. „იანიჩარი“. ილია ქრისტეს ასაკში.

ქართველი „კონვოები“ პეტერბურგი

„არ არის, მაგრამ იქნება“.

ვ. ჰიუგო

ცალკე წიგნად გამოცემული ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ ალექსანდრე ცაგარელს ჩავარდნია ხელთ, რომელიც იმჟამად მიუნხენში სწავლობდა. 1869 წლის 16 სექტემბერს ცაგარელი მიუნხენიდან სწერს კირილე ლორთქიფანიძეს:

„კაცია ადამიანი“ კარგათ არის გამოცემული. მინდოდა ამის თაობაზედ ჩვენ ახალ ლიტერატურაზედ მეთქო რამე „დროებაში“, მაგრამ არ ვიცი, მოვიყვან სრულებაში ამ სურვილს თუ არა. კიდეც დავწერე, მაგრამ ახლა გადაწერა და გადასწორება მიჭირს, ძალიან ცოტა დრო მაქვს თავისუფალი...“

საბედნიეროდ, წერილის ავტორს ეს სურვილი სისრულეში მოუყვანია და 1870 წელს გაზეთ „დროების“ რამდენიმე ნომერში სათაურით „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“ ეს სტატია გამოქვეყნდა კიდეც. საბედნიეროდო, ვწერ, რადგან ეს წერილი უბრალო, სასხვათაშორისოდ დაწერილი რეცენზია არ იყო. იგი გახლდათ პირველი მეცნიერული ხასიათის ნაშრომი, რომელშიც ფართოდაა წარმოდგენილი და თითქმის დეტალურადაა გაანალიზებული ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. იმ დროს, როდესაც მომრიგებელი მოსამართლე დუშეთში „სუდის“ პატარა, ბუხრის კვამლით გაბოლილ ოთახში საქმეს არჩევს შესახებ იმისა, გლეხმა პაპაშვილმა ნატბევთან მდგარ მუხასთან ნამდვილად მისცა თუ არა ფული რომელიღაც სომეხ ვაჭარს, გაზეთ „დროებაში“ ამ მომრიგებელი მოსამართლის მოთხრობაზე იბეჭდება სიტყვები: **„გამოიცა ის წიგნი, რომელშიაც ქართველი თავით ფეხამდინა სჩანს როგორც სარკეში; საუკუნეები რომ გავიდეს და ვისმე სურდეს ქართველი და იმის ცხოვრება წარმოიდგინოს, – მარტო წაიკითხავს ამ წიგნსა და საკმაოა“.**

მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა. „კაცია ადამიანი?!“ კი მართლაც უბერებელ ნაწარმოებად დარჩა. როგორც ვხედავთ,

ალექსანდრე ცაგარელმა ჯერ კიდევ 1870 წელს აღნიშნა, ამ წიგნში „ქართველი თავით ფეხამდინ სჩანსო". ეს აზრი კი დიდი ხნის განმავლობაში კლასობრივ მოსაზრებათა გამო დავიწყებას მიეცა და ლუარსაბ თათქარიძეში, აკაკი ბაქრაძის წერილამდე, მხოლოდ ბატონის სახეს ხედავდნენ.

ალექსანდრე ცაგარელი განაგრძობს: „ილ. ჭავჭავაძე რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ, საკმაოდ ლანძღეს კიდეც და აქეს კიდეცა, მაგრამ არც მომხრეებმა და არც მოწინააღმდეგეებმა არ იცოდნენ რიგიანათ ან რისთვის ფლავდნენ ტალახში და ან რათა სცემდნენ თაყვანსა და გუნდრუკს რათ უკმევდნენ; გაუგებრად ნახირს მისდევდნენ და რასაც ერთი დაიბღავლებდა, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე, სხვანიც ბანს მისცემდნენ; თვითონაც არ გაეგებოდათ რა უნდა ეთქვათ ამით. ეხლა სისხლმა დაიდუღა. სიცხე გამოუნელდათ და გაუგებარი ქებაც და ძაგებაც მოსწყინდათ; იყაყანეს, იყაყანეს და დასდუმდნენ, როგორც ქართველების რიგია. თვითონ ჭავჭავაძეც კი ჩრდილს შეეფარა. ამის მიმყოლი გუნდი კი დარჩა პირდაღებული, ასე ორ წყალშუა; მარტო წინამძღოლის წარმოთქმულს სიტყვებს კიდევ იმეორებენ, აფორიზმებათ მოჰყავთ საღმთო წერილის სიტყვებსავით".

ამ არცთუ რევერანსებით დაწერილ სტატიაში ერთი რამ შესავალშივე ნათლადაა დაფიქსირებული: ილია 60-იანი წლებიდან მოყოლებული უკვე ბელადად, წინამძღოლად, ახალი თაობის მოძღვრად არის აღიარებული. ცაგარელი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ დაასკვნის:

„ეხლა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ილია ჭავჭავაძეს მართლა ტოლი უღლის გამწევი არა ჰყავს ჩვენ ლიტერატურაში"

„მართალია ბეჯითობით და ცდით კაცი ბევრს შეიძენს, მაგრამ ილია ჭავჭავაძეები მარტო იბადებიან".

„ილ. ჭავჭავაძის ნიჭი არ არის მარტო ერთგვარი, ერთმხრივი, არამედ დაჰყურებს საგანს ყოველ მხრივ და მრავალ სხვადასხვა ფერ და გვარ საგანსა".

„მოუცილებელი თვისება და უდიდესი ღირსება იმის პოეზიისა არის სიტყვაგამოთქმათ საშინელი და შეუმაგრებელი ძალა. გულწრფელობა და გულღიაობა. აქედან წარმოსდგება იმის პოეზიის ღრმა გრძნობა და ყოვლის შემძვრელი ზედ მოქმედება".

უშუალოდ „კაცია ადამიანის?!" შესახებ ალექსანდრე ცაგარელი წერს: „ჩემის აზრით, ყველაზე დიდი და შესანიშნავი, რაც კი ილ.

ჭავჭავაძეს დაუწერია, არის „კაცია ადამიანი?!". ამ პატარა თხზულებით პოეტმა შიგ ქართვლის ცხოვრების გულში ჩაიხედა და გამოხატა ისე ცხადად ის ფუღურო, ფუყი და დამპალი გულ-მუცელი, რომელსაც თუ ცხოველი იმედი სასოების და მხნეობის უკვდავი ცვარივით არ ეპკურა, სხვა საკურნებელი წამალი აღარა აქვს-რა და უკანასკნელ გაწირულებაშია, თუმცა თვითონ პოეტი სასოწარკვეთილებას და იმედმიხდილობას არასოდეს არ ეძლევა".

ალექსანდრე ცაგარელი ილიას შემოქმედების საერთო დონის მაღალ შეფასებას იძლევა, შემდეგ კი უფრო ვრცლად საუბრობს იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რომელთაც, მისი აზრით, თავი იჩინეს მწერლის მხატვრულ ნააზრევში. ჩვენთვის სწორედ რეცენზენტის შენიშვნებია საინტერესო, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც თანამედროვე მკითხველისათვის დიდი ილიას შემოქმედების ქება არ ახალია. საყურადღებო სწორედ ის გახლავთ, თუ რა დაუწუნა ახალგაზრდა მწერალს თანადროულმა კრიტიკამ. ეს ინტერესი უფრო ცხოველი გახდება და გამძაფრდება მას შემდეგ, თუ აღვნიშნავთ, რომ ილიას სწორედ, იმას უთვლიან ნაკლად, უფრო სწორედ იმას ვერ ამჩნევენ, რაც მის თხზულებებს მოჭარბებულადაც კი ახასიათებს. ცაგარელი წერს: „უდიდესი ნაკლულოვანება ილ. ჭავჭავაძის პოეზიისა არის ნაციონალური, ნამდვილ ქართული ხალხის ფერისა და კილოს უქონლობა ანუ ცოტას ქონა, როგორც ლექსებში, აგრეთვე პროზაში. მართალია, ნამდვილი, ჭეშმარიტ ნაციონალური კილო ყველა ჩვენს პოეტებსა და საზოგადოთ ლიტერატურას აკლია, მაგრამ რაც ადრინდელებს ეპატიებათ, ის ჩვენი დროების პოეტს არ შეენდობა. ეხლა ყველამ ვიცით, რომ ნამდვილი ლიტერატურა ნაციონალური უნდა იყოს. უამისოდ ლიტერატურა ლიტერატურა არ არის", როგორც ვხედავთ, ილიას შემოქმედებას ნაციონალური კილოს, ანუ ეროვნული პათოსის, თვითმყოფადობის უქონლობას უკიჟინებენ, არადა მწერლის ყოველი ლექსი, ყოველი მოთხრობა, ყოველი სტრიქონი სწორედ „ნაციონალური კილოთია" გაშინაარსებული. სხვათა შორის, აკაკი წერეთელი იყო პირველი, რომელმაც ეს ფაქტი აღნიშნა. 1864 წელს პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძემ გამოსცა კრებული „ჩონგური". ამ კრებულში სხვა ავტორების გვერდით დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ლექსებიც. აკაკის ამ კრებულზე რეცენზია დაუწერია, რომელშიც ილიას ასეთ შეფასებას აძლევს: **„ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორედ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსნი არიან"**. შემდეგ კი დასძენს: „ჭავჭავაძე არის ბა-

რათაშვილის მოკანანახე, (ბანის მიმცემი, მიმდევარი – ნ.გ.) და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას". ასე რომ, აკაკიმ პირველმა შეამჩნია, თუ რა მძაფრად იგრძნობა ილიას ყოველ ლექსში „ქართველების ტანჯვა და გოდება", ის „ნაციონალური კილო" თუ ეროვნული პათოსი, რომლის იგნორირებასაც ალექსანდრე ცაგარელი უჩიოდა ილიას.

ალექსანდრე ცაგარელის მიერ გამოთქმული სხვა შენიშვნებიდან კიდევ ერთი იქცევს ჩვენს ყურადღებას: რეცენზენტი წერს, რომ ილიას „თხზულებაში ნახმარები სიტყვები, და ხან მთელი წინადადება, არ უდგება ქართულ ენასა და ეტყობა მწერალსა იმათი მნიშვნელობა კარგათ არ ეყურება. მაგ. მოვიყვან აქ რაც მომაგონდება, – ყველა იტყვის, რომ ამის უცოდინარობა არამთუ პოეტებს, რომლებიც „ღმერთთან ბაასობენ", უბრალო გიმნაზიის შაგირდებსაც, რომლებსაც ნეტარად ხსენებული ზახარ სტეპანიჩთან ულაპარაკნიათ, არ უნდა ეპატიოს. ილ. ჭავჭავაძე სწერს „პოეტში":

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

რასა ჰქვიან „გარეგანი" ფრინველი? ამას ქართველი კაცი არ იტყვის და არც სხვა ენაზედ არის გასაგები; ამისათვის, რომ ეს ზედნადები (გარეგანი) ხატავს ერთსა და იმავე საგნის გარეგან მხარესა, ნაწილსა, და იმ ჰაზრით, როგორიც ილ. ჭავჭავაძე ხმარობს, სულიერ არსებაზედ თავის დღეში არ იხმარება; – მაშ რა უნდა ეთქვა? – ცხადია, რომ „გარეული" „მოუშინაურებელი", „ტყისა" და სხვა. ყველა ამბობს „შინაური ფრინველი, გარეული ფრინველი" და არა „გარეგანი და შინაგანი ფრინველი".

ერთი სიტყვით, რეცენზენტის აზრით, „გარეგანი ფრინველი" არაბუნებრივი, ქართული ენისათვის შეუფერებელი, ხელოვნურია. მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, „შეკავშირება წინადადებისა მოყვანილ ლექსში „პოეტი" უკანონოა, „ენის წინააღმდეგია". კაცმა რომ თქვას, ცამდე მართალი იყო ილიას ნიჭის დამფასებელი და ამასთანავე მკაცრი ოპონენტი ალექსანდრე ცაგარელი. მართლაცდა, „პოეტის" დაწერამდე არც ერთ ქართველ მწერალთაგანს არ დაუწერია, არც ლექსიკონში ასახულა და, ვგონებ არც არავის

უთქვამს სულიერის მიმართ სიტყვა „გარეგანი“, მით უფრო – „გარეგანი ფრინველი“. ვიმეორებ, ილიამდე ეს ფრაზა არავის დაუწერია, მაგრამ ასე იყო მანამდე, სანამ ამ სიტყვას გენიოსი გამოიყენებდა. იონა მეუნარგიას ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ერთხელ ვიქტორ ჰიუგოსათვის უთქვამთ: ეს სიტყვა ფრანგული არ არისო. არ არის, მაგრამ იქნებაო, – თავმოწონებით უპასუხა საფრანგეთის დიდმა მგოსანმა. იგივე ითქმის ილიასა და ქართულ ენაზე. სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდნენ უფალი კერესელიძე, უფალი მესხი, ეს უფალი ან იყო ამოღებული სამღვთო წერილიდან, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდან „Господин“. ილიამ თქვა, „უფალი მესხის“-ს თქმას „ბატონი მესხის“-ს თქმა არა სჯობიაო? და ეს სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ მას ვერ განდევნის ახლა ჩვენი ენიდან ვერც „ამხანაგი“ და ვერც „მეგობარი“.

ილიამდე ქართული ენის ლექსიკონში არ არსებობდა სიტყვები „სულთა-სნრაფვა“, „თვალთახედვის ისარი“. ილიამ აკურთხა ეს და სხვა სიტყვები, როგორც დიდმა სჯულმდებელმა. ჰიუგოსავით ილიასაც უკიჟინეს, „ვით ფრინველმა გარეგანმა“ ქართული არ არის, „გარეგანი“ სულიერ არსებაზე არ ითქმისო. ილიამ კი თქვა და ამის შემდეგ დაკანონდა კიდეც. დღეს აღარავის ეხამუშება ფრაზა „ვით ფრინველმა გარეგანმა“, უფრო მეტიც – „გარეგანმა“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც დაიმკვიდრა ადგილი, როგორც „გარეულის“ სინონიმმა და რაც მთავარია, ხალხშიც გადავიდა. ტარიელ ჭანტურიას მისთვის დამახასიათებელი გონებამახვილობით გარეგანი და რეიგანი ერთად „შეუკმაზავს“ და ერთი პოლიტიკური მოღვაწის დასახასიათებლად დაუწერია – დიდი გარეიგანი კაციაო.

ახლა კი კვლავ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ. ილია, რომლის ნაწერებზეც ამდენს მსჯელობენ, კვლავ დუშეთშია და მორიგ საჩივარს განიხილავს. ნოემბერში თბილისიდან წერილი მიიღო. იმხანად, 1870 წლის შემოდგომაზე, თბილისში ახალგაზრდების ჯგუფმა, რომელთა მიზანი იყო ქართული თეატრის განახლება, შექმნეს ეგრეთ წოდებული „არტისტული წრე“. 23 ნოემბერს ჩითახოვის სახლებში ამ წრის წევრებმა წარმოადგინეს გიორგი ერისთავის კომედია „ძუნწი“, რაფიელ ერისთავის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ილია ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების პირველდროებ·ს

სცენები". აი, სწორედ ამ საღამოზე იყო მიწვეული ილია. საზოგადოება აღფრთოვანებული დარჩენილა, განსაკუთრებით როგორც აღნიშნავს გაზეთი „დროება", ილიას „სცენები" მოსწონებიათ. რეცენზენტი წერდა: „ყოველი სიტყვა მოქმედი პირებისა და ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა თვით ნამდვილი ცხოვრებიდან გამჭრიახე თვალით არის შენიშნული და ხელოვნური კალმით დაწერილი, აი, ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ სცენები ასე მოეწონა საზოგადოებას." ასე რომ, დუშეთში ნანახი და განცდილი ილიამ თბილისელ მაყურებელს „სცენების" საშუალებით გააცნო. ამის შემდეგ გადის რამდენიმე დღე და გიორგი წერეთლის სახლში ილია ჭავჭავაძე კითხულობს „კაცია ადამიანს?!". ეკატერინე გაბაშვილის მოგონება იმ საღამოს შესახებ: „1869 თუ 70 წელს, – წერდა ეკატერინე გაბაშვილი, – საშობაოთ ქალაქში ჩამოველ და უდიდესი სადღესასწაულო საჩუქარი მივიღე. განსვენებული გიორგი წერეთელი თავის სახლში იწვევდა თბილისის მცხოვრებ შეგნებულ ქართველობას: ილია ჭავჭავაძე წაიკითხავს თავის „კაცია ადამიანსო", ინერებოდა მოსაწვევ ბარათში. მეც, თვრამეტი წლის ქალი, ერთი-ორი სტრიქონის დამჯღაბნი, ქართველ შეგნებულ წრეში მოვექციე, ჩემს აღტაცებას, სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ მისრულდებოდა უდიდესი ნატვრა: „მგზავრის წერილების" ავტორის ნახვა („მგზავრის წერილები" 1870 წელს გამოქვეყნებული არ იყო, ამდენად მოგონების ავტორს ან გადავიწყებია ეს ფაქტი, ან შესაძლოა ხელნაწერში ჰქონდა იგი წაკითხული, რაც ნაკლებად არის სავარაუდო, – ნ. გ.), ჩემი გონების გამოღვიძების და იდეალების ჩამსახველის გაცნობის სურვილი. „ვინც ლუარსაბის და დარეჯანის სახეში თავის თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დაიწყებს და გიჟიას დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კი კარგად იცოდნენ ყველამ, რომ ჩვენ პიროვნებასთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ. სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო". სადა ხარ ეხლა ამ გონიერი სიტყვების მთქმელო? ვიცი სადაც ხარ! ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ, ისიც ვიცი, რაც გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან; ისიც ვიცი რა თვისებისაც ხარ, შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, „ვისაც სხვისთვის" გული სტკივა, მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვანივე" თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გუ-

ლის ტკივილს. რა უყოთ? ზოგი გულის ტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდს უქებს და ზოგი იმითი, რომ ცუდს უწუნებს, ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის ტკივილი და სიყვარული აქვს, ეს თვითონ მკითხველმა გამოიცნოს". ასე დაიწყო წინასიტყვაობა ბრწყინვალე, მშვენიერმა, ყოვლის ადამიანის ღირსებით შემკულმა და ღვთისაგან მირონცხებულმა ვაჟკაცმა და მსმენელები მოხიბლა, მე, მე კი ისედაც ეკსტაზამდინ მისული მისი თაყვანისმცემელი, ფანატიკოს თაყვანისმცემელ მონად გადამაქცია."

1870 წელს ქრისტეშობის წინ, 23 დეკემბერს კიდევ ერთი შინაური საღამო-წარმოდგენა ჩატარდა. სცენიდან კითხულობდნენ ილიას ლექსს „იანიჩარი". ილია ნაღვლიანად ისმენდა საკუთარ სტრიქონებს:

ვსთქვი თუ ვისთვის შენ კისკასობ
ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ
შენს დამღუპველ ოსმალეთსა?

დარბაზში თითქმის ყველამ იცოდა, რა ოსმალეთი, რა იანიჩარი, ეს ხომ ცენზურას შეაპარა, თორემ ლექსი იმპერატორის მსახურ „კონვოებზე" დაიწერა და შენს დამღუპველ ჩრდილოეთსაო, ხელნაწერში ასე მთავრდებოდა. რამდენი „იანიჩარი", რამდენი მამლუქი და „კანვოი" აკლდა საქართველოს. აკლდა კი არა, მშობელ დედას დედინაცვლის ბრძანებით აქეთ უტტევდნენ, აქეთ იკლებდნენ და აქედან გაჰქონდათ, რისი გატანაც კი შეიძლებოდა. რა იცოდა მაშინ ილიამ, რომ მცირე ხნის შემდეგ, საქართველოში იმპერატორის ჩამობრძანებისას, ჩვენი ბედოვლათი საზოგადოება მის უბრწყინვალესობას თხოვნას მიართმევდა სამხედრო სასწავლებლის გახსნის შესახებ. სასწავლებლისა, რომელიც ახალი დროის „იანიჩარებს" გამოუზრდიდა ქვეყანას.

იმ წელიწადს ილიას 33 წელი შეუსრულდა.

სწორედ იმ წელიწადს დაიბადა მისი მთავარი მკვლელი...

1871

სამზადისი იმპერატორის ჩამოსვლისთვის. დიმიტრი ყიფიანის უარი კენჭისყრაზე. იმპერატორისთვის მისართმევი ადრესი. ღალატი. ილიას პასუხი ამ ღალატის გამო. თაობათა ბრძოლა.

ალექსანდრე II

„შვილნი „ამკობენ“ მამასა“.

დავით ლევანის ძე დადიანი

დავით დადიანი,.ეკატერინე ჭავჭავაძის მეუღლე, ლექსებსაც წერდა, მისი ძმის, გრიგოლის („კოლხიდელი“) დარს ვერა, მაგრამ ლიტერატურაზე დიდად შეყვარებული კი გახლდათ. ამ დროს, 1871 წელს დავითი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ეს ლექსიც, ცხადია, სულ სხვა ვითარებაში და სხვა აქცენტით დაინერა, –

„შვილნი ამკობენ მამასა,
კოშკნი დიდროვან ქალაქთა“

ანუ „ამკობენ“ ბრჭყალებში ჩვენ ჩავსვით. ასე კი ეს ეპიგრაფი ზუსტად გამოხატავს იმ ვითარებას, რომელზედაც უნდა ვისაუბროთ. ამად გავიხსენე ამ დიდებული ადამიანის სახელი.

სწორედაც, 1871 წელი ის თარიღია, როცა უკვე თაობათა შორის ატყდა საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული ომი.

წინა, 1861-63 წლის ლიტერატურული გაწევ-გამოწევა, უფრო ახალი იდეების მქადაგებელ „თერგდალეულთა“ და „შინგაზრდილ თეორეტიკოსთა“ ბრძოლა იყო, ვიდრე ომი მამათა და შვილთა შორის, გამომდინარე მათი ასაკის გათვალისწინებით. შესახებ ამისა უკვე ვწერდი.

ყველაფერი მაშინ ილიას წერილით დაიწყო. „ორიოდე სიტყვა“-ო. ორიოდე კი არა, ამ მწვავე და მწარე სტატიამ ლამის ყველას ააღებინა ხელში კალამი. ახლაც ასე მოხდა, ეს ლიტერატურული ბრძოლაც ილია ჭავჭავაძემ წამოიწყო და როგორც მაშინ, ახლაც დიდხანს არ ჩაცხრება. ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველოს იმპერატორი ალექსანდრე მეორე ეწვია.

ეს არ არის ჩემი ფრაზა. პერიფრაზს ვაკეთებ ჩვენთა ძველთა გამონათქვამებიდან. ადრე მიღებული იყო, როცა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდებოდა, სულ სხვა ამბავზე საუბრისას იტყოდნენ, ეს მოხდა მაშინ, როცა...

ზემოთ დავით დადიანი ვახსენე და ბარემ მაგალითსაც მისი დროიდან მოვიყვან. 1841 წელს, ეკატერინეს გათხოვებიდან ორი წლის თავზე, სამეგრელოში შვილსა და სიძეს ალექსანდრე ჭავჭავაძე ეწვია. ისეთი დაუვიწყარი სტუმარ-მასპინძლობა შემდგარა, იმდროინდელ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ეს მოხდა მაშინ, როცა დადიანს ჭავჭავაძე ესტუმრა"-ო.

ჰოდა, ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველოს იმპერატორი ეწვია. რა მოხდა? მოხდა ის, რომ ილია ჭავჭავაძემ მამათა თაობის თითქმის ყველა ცნობილ წარმომადგენელს ქვა-ქვაზე არ დაუტოვა, ქვეყნის სამასხარაოდ გახადა. მერედა როგორი წარმომადგენლები. ზოგთა თურქებთან, სპარსებთან, ლეკებთან ლამის ნახევარი საუკუნე ხმალი უქნევიათ, ზოგნი უმაღლეს მმართველობაში ყოფილან და იყვნენ, ზოგნი კი ერთნიც ყოფილან და მეორენიც, ანუ, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საქმეში უმაღლესი პატივი არ დაჰკლებიათ. აი, ამ უმაღლესად პატივსაცემ გვამებს, როგორც დუქნის ბიჭებს, ისე წაუბილიკა დუშეთის ერთმა უდიპლომო და ურანგო მოსამართლემ.

უდიპლომო იმიტომ, რომ ილია ამორიცხულია სტუდენტთა სიიდან 1861 წლის ოქტომბერში, როცა არეულობის გამო რექტორი მოხსნეს და ბევრი სტუდენტი გარიცხეს. ნებით წამოსვლის მიუხედავად, ამ გარიცხულებს მიაყოლეს ილიაც. ასე რომ, დიპლომის ნაცვლად, მხოლოდ ცნობა აქვს. ესეც არ იყოს, დიპლომს მაინც არავინ მისცემდა, რადგან გიმნაზიის დამთავრების ატესტატიც არ ჰქონდა.

ურანგო იმიტომ, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, თავად-აზნაურთათვის ჯინჯილების ჩამორიგებისას, მას ის რანგი მისცეს, რაც იმპერიაში ჩინოვნიკის უკანასკნელ საფეხურს გულისხმობდა. (სხვათა შორის, ამ სტატუსით იმოღვაწა ილიამ სახელმწიფო საბჭოში არჩევის შემდეგაც).

ერთი სიტყვით, ამ რანგით უჩინო ახალგაზრდის თავხედობას საშველი არ დაადგა. „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს"-ო, ამ ლოზუნგით დამოკლეს მახვილივით დაადგა თავს ისედაც სვეგამწარებულ თავად-აზნაურებს.

ჯერ იყო და მხატვრულ სიუჟეტში ყაჩაღ კაკო ბღაჭიაშვილს საკუთარი ბატონი მოაკვლევინა, ამ საქციელში თანაგრძნობა გამოუცხადა, თანაგრძნობა კი არა, ლამის გმირად შერაცხა. მერე იყო „კაცია ადამიანი?!" მთელ დუნიაზე მათ თავი მოჭრა. კახეთის თავად-აზნაურობა კბილებს ილესდა, მოსაკლავად უნდოდათ მისი გამეტება. ერ-

თმანეთს უთითებდნენ, ლუარსაბში არა შენ ყავხარ გამოყვანილი და არა შენო. ძლივს ყველაფერი ჩაწყნარდა, კარგა ხანია მისი ხმა აღარც სმენიათ, გლეხსა და ბატონს შორის სოფელ-სოფელ სიარულისას თუ გლეხის მხარეს დაიჭერდა, ბოლო-ბოლო, კერძო საკითხი იყო, მაგრამ ახლა რა ქნა? ისევ სამზეოზე გამოიყვანა, ისევ სახალხოდ დაერია თავადებს, მერედა, როგორ გამოჩინებულებსა...

ყველას რომ ეგონა, ლუკმა პურის ძებნაში საზოგადო საქმეზე ხელი აიღო და გაირინდაო, არსად არ გაუჩინარებულა.

წინა წელს, ევროპიდან ახლად დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძე რამდენიმე პირთან ერთად (მათ შორის გიორგი წერეთელი, აკაკი) რამდენჯერმე ასულა დუშეთს ილიასთან თხოვნით – თბილისში დაბრუნდი, ამ წყეულ სახელმწიფო სამსახურს თავი დაანებე და გვიწინამძღვრეო. ვერ დაიყოლიეს. ვერ ჩამოიყვანეს, მაგრამ რად გინდა მწერლის ფიზიკურად აქ ყოფნა. ეტყობა, ამ ვიზიტებით ნასიამოვნებმა და შეგულიანებულმა, 1871 წელს 5 ისეთი ლექსი გამოგზავნა იმავე წელს დაარსებულ ჟურნალ „კრებულში" (რედაქტორი გიორგი წერეთელი), რომ ერთბაშად ყველა აახმაურა. მომხრენი სიხარულით, მოწინააღმდეგენი კი გაბოროტებით. ეს ლექსები იყო: 1) „1871 წელი 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)" 2) „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა" 3) „ბედნიერი ერი" 4) „გამოცანები" 5) „კიდევ გამოცანები". 1863 წლის შემდეგ ილიას ლექსი აღარ დაებეჭდა. თითქოს საღათას ძილიდან გამოვიდა მისი პოეტური შთაგონება და ამას ჰქონდა თავისი მიზეზი.

პოეზია სისუსტის, უძლურების გამო შობილ ტკივილთა კომპენსაციაც არის. პოეზია არა მხოლოდ სიყვარულის, მიტევების, არამედ მრისხანების ასპარეზიც არის.

ილიას მუზის გაღვიძება იმჟამად სისუსტის, უძლურების, ვერშემძლეობის ტკივილმა და ამ განცდებით ნაკვებმა მრისხანების გრძნობამ გამოიწვია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ლექსის შინაარსი ამაზე მეტყველებს.

თუ შორეულმა ამბავმა – პარიზის კომუნის დაცემამ, მაისის თვეში გულისტკივილით სავსე ლექსი დააწერინა, დანარჩენ ოთხ ლექსს წერს 1871 წლის ივნისის შემდეგ და წერს უკვე არა მხოლოდ გულისტკივილით, წერს გამწარებული პოეტი.

მე აქ თარიღებს შემთხვევით არ ვახსენებ. დიახ, დანარჩენი ოთხი ლექსი „რა ვაკეთეთ"..., „ბედნიერი ერი", „გამოცანები" და „კიდევ გამოცანები" დაიწერა ივნისის შემდეგ და ასეთი მწარე

ლექსები ილიას არც დაუწერია საზოგადო საქმის გამო. ამ ლექსებს წერს ერთი მოვლენის შედეგად გამშრალი კაცი. დანა რომ დაგერტყათ, სისხლი არ გამოუვიდოდა, ისე იყო შეძრული საქვეყნო ღალატით. ეს ამბავი კი, როგორც ზემოთ ვთქვი, მოხდა მაშინ, როცა იმპერატორი ეწვია საქართველოს. უფრო სწორედ, იმპერატორის ჩამოსვლამდე აღშფოთებულია იმ თხოვნით, რაც თავადაზნაურობას სურს იმპერატორს წარუდგინოს. ეს აღშფოთება იცნობა ლექსებში „ბედნიერი ერი" და „რა ვაკეთეთ", ხოლო შემდგარი ღალატის შემდეგ დაიწერება „გამოცანები" და „კიდევ გამოცანები".

ალექსანდრე მეორის ჩამოსვლა ხუმრობა საქმე არ იყო. მზადება თავად-აზნაურობამ ერთი წლით ადრე დაიწყო. სამზადისს კი დიმიტრი ყიფიანის თანამდებობა შეეწირა.

დიმიტრი ყიფიანი, როგორც ამ წერილების დასაწყისიდან გახსოვთ, 1864 წელს თბილისის გუბერნიის მარშლად აირჩიეს. ეს ის არჩევნებია ივანე მუხრანსკიმ და გრიგოლ ორბელიანმა ობსტრუქცია რომ მოაწყვეს, აზნაური მარშლად როგორ დავისვათო. დიმიტრი ყველას ძალიან უყვარდა, მისი სანიმუშო პატიოსნებისა, ნიჭისა და შრომისმოყვარეობის გამო, ამიტომ უმრავლესობამ მაინც აირჩია. გრიგოლი ლოგინადაც კი ჩავარდა შეურაცხყოფილი, მაგრამ უნდა ითქვას, გრიგოლსაც უყვარდა ყიფიანი, დიდადაც მეგობრობდნენ. ოლონდ ეგ იყო, პირადად მას კი არ ერჩოდა (თორემ შემდგომში წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ დიმიტრის კანდიდატურას არ წამოაყენებდა), ორბელიანის ფეოდალურ სულს მამა-პაპათა ღალატი ეგონა, აზნაური რომ ერისთავების უფროსად დაესვა.

ასე იყო თუ ისე, 1870 წლამდე, ორგზის არჩევის შედეგად, თავადაზნაურთა საკრებულოს ყიფიანი განაგებდა. როცა გაიგეს იმპერატორი უნდა ჩამოვიდესო, ისევ ატყდა ვაი-უშველებელი, – ხელმწიფეს ჩვენს თავკაცად აზნაური რომ დავახვედროთ, უხერხულიაო.

დიმიტრი ყიფიანი 1860 წლის მაისში და 1866 წლის ნოემბერში, ორჯერ იყო აუდიენციაზე ალექსანდრე მეორესთან. ამის მიუხედავად, უხერხულიაო, გაიძახოდნენ. აქ ყიფიანსაც უმტყუნა ნერვებმა. 1870 წელს, უმრავლესობის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, მარშლის თანამდებობაზე მესამე ვადით კენჭი აღარ იყარა და ნებაყოფლობით გადგა განზე. ამ ნაბიჯმა კი ქვეყანას კარგი არა მოუტანა რა, ძლიერაც ავნო და იმ ბრძოლას, რომელიც ერთი წლის შემდეგ მამათა და შვილთა შორის დაიწყება, აქედან დაედო

სათავე. მოგვიანებით ყიფიანი გულწრფელად ახსნის თავის განზე გადგომის მიზეზს. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ხელმწიფე იმპერატორი მოწყალებას რასმე უბოძებს საქართველოსაო, და თუ ვინიცობაა, ეს იმედი არ გამართლდა, საზოგადოება მე დამასახელებს – შენ რომ არ ყოფილიყავი მარშლად, იქნებ ასე არ დაგვმართნოდაო. ან, ვინ იცის, იქნებ მართლა ჩემი მარშლობა შეიქმნას მიზეზი იმისა, თუ ვინიცობაა, ხელმწიფემ არავითარი მოწყალების მოცემა არ ისურვა და გამოვალ დამნაშავე საზოგადოების წინაშეო („თემი", 1912, №78) (იხ.„საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი" თ.ჯოლოგუას გამოცემითა და კომენტარებით).

აზნაური რომ არ დაეხვედრებინათ იმპერატორისთვის, ამიტომაც მარშლად თავადი აირჩიეს – გენერალ-ადიუტანტი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი. 1864-შიც მისი არჩევა უნდოდათ ორბელიანების და მუხრანსკების სახლობას, მაგრამ თავად კანდიდატი პარიზში იყო წასული და ძმის პირით უარი შემოთვალა. ნეტავი ახლაც უარი ეთქვა და ის სირცხვილი არ ეჭამა რაც ერთი წლის შემდეგ მის თავს დატრიალდა.

იმპერატორი მოდისო, მერედა როგორი იმპერატორი, რეფორმის გამტარებელი, ბატონყმობის გადამგდები, გერმანული წესების მოტრფიალე. თავად ხომ რუსეთის უზარმაზარ იმპერიას განაგებდა, ბიძამისი, დედის ძმა ვილჰელმ I 1871 წელს საფრანგეთთან გამარჯვებული პრუსიის იმპერატორი გახდა. ახალგაზრდობაში, როცა ალექსანდრე ჯერ კიდევ მემკვიდრე იყო, თბილისში ორჯერ ჩამოსულა. ხელმწიფობის ჟამსაც იყო საქართველოში. პეტერბურგის სტუდენტთა გაფიცვის დროს.

იმართება შეკრებები, არის მისვლა-მოსვლა, რა სთხოვონ იმპერატორს. მისი უდიდებულესობა ალბათ დიდი წყალობით აღნიშნავს თავის სტუმრობას საქართველოში. ძველ თაობას, სამხედრო სასწავლებლის გახსნა ვთხოვოთო,– დაუჟინია, სხვა წინადადებებიც იყო. ახლები კი უნივერსიტეტის გახსნას მოითხოვენ. უნივერსიტეტი ოცნებაა. შვილებს აღარ მოუწევთ პეტერბურგში სიარული. საქართველოს თვითგამორკვევის ერთი კერა გაუჩნდება. უმაღლესი სასწავლებლების საჭიროებაზე ჯერ კიდევ გიორგი მე-12-ის დროს იოანე ბაგრატიონის პროექტი არსებობდა. თელავში, გორსა და თბილისში უმაღლესი სასწავლებლები უნდა გახსნილიყო. მეფის მოწონებული პროექტი, რუსებმა შემოსვლისთანავე უარყვეს. ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, კვლავ გაჩნდა იმედი

უმაღლესი სასწავლებლის გახსნისა. თუ შეკრებებზე, თუ პრესით დაიწყეს მიზანმიმართული მოქმედება თბილისში უნივერსიტეტის გასახსნელად საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის. თავისთავად სურვილი სურვილად, მაგრამ ჰქონდა კი შესაძლებლობა საქართველოს იმჟამად ჰქონოდა უმაღლესი სასწავლებელი? იყო პედაგოგთა რესურსი, იყო მომავალ სტუდენტთა საკმარისი რაოდენობა? გაზეთი „დროება 1871 წელს (№25) აქვეყნებს პუბლიკაციას. სვამენ კითხვას „შესაძლებელია ჩვენში უნივერსიტეტის გახსნა თუ არა? თუ კიევში, ყაზანში, ოდესაში შესაძლებელი იყო თბილისში რატომ არ შეიძლებოდა?"

იქნებ ზოგიერთებმა თქვან – განაგრძობს გაზეთი, – რომ სხვა უნივერსიტეტშიაც ნაკლებად არიან პროფესორები, თორემ ჩვენსაში ვინღა მოვაო? იქნებ ისიც თქვან, რომ მოსწავლეები ნაკლებათ იქნებიანო? ამ მოსაზრების წინააღმდეგ სტატია მიუთითებს საქართველოს ბუნებრივ პირობებზე და დაასკვნის, რომ საქართველო თავისი ხელუხლებელი (ე.ი. მეცნიერულად შეუსწავლელი) ბუნებრივი სიმდიდრით (მადნეულობა, მცენარეულობა და სხვ.) და მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებით ყოველთვის მიიზიდავს აქ სამუშაოდ პროფესორ-მეცნიერებს: ლინგვისტებს, ბუნების მეტყველებსა და მათემატიკოსებსაც კი.

მოსწავლეთა კონტიგენტის მხრივ სტატია მიუთითებს თბილისისა და ქუთაისის კურსდამთავრებულებზე, აღნიშნავს, რომ საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის არ არსებობის გამო მხოლოდ ქუთაისიდან ამ წელს (1871) 25 ახალგაზრდა აპირებს გამგზავრებას რუსეთისა და უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. გაზეთს გამოყავს საერთო რიცხვი, რომელიც შეიძლება ყოველწლიურად იქნას მიღებული უმაღლეს სასწავლებელში, თუ ასეთი თბილისში გაიხსნება. მისი გამოანგარიშებით, თბილისის უნივერსიტეტს ყოველწლიურად შეეძლო მიეღო ასიდან ასორმოცდაათამდის უმაღლესი განათლების მსურველი". (იხ. აპ. მახარაძე „ლიტერატურული შეკრება საღამოები საქართველოში", თბ. 1939წ. გვ.50). როცა აქ წარმოდგენილ ციფრებს დღევანდელს ადარებენ მრავალ დასკვნათა შორის ერთიც შეიძლება გამოიტანოს კაცმა. რაოდენობრიობა ყოველთვის როდი გადადის თვისობრიობაში. ერთი სიტყვით, მთავარ საკითხად უნივერსიტეტის თხოვნა უნდა ქცეულიყო. თხოვნის შესაბამისად 2 ოთხკაციანი ჯგუფი შეიქმნა ძველებისა და ახლებისა. აქეთ ილია, ნიკოლაძე, თარხნიშვი-

ლი, ბესარიონ ღოღობერიძე, იქით გრ.ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი. ძველმა თაობამ დიდსულოვნად დაუთმო ახლებს და გადაწყდა, იმპერატორისთვის მიერთმიათ ქართველ თავად-აზნაურთა თხოვნა თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ.

ალექსანდრე მეორე 1871 წლის სექტემბერში უკვე თბილისშია. შეთანხმებისამებრ, ქართველ თავად-აზნაურთა თხოვნაც მიართვეს. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ამ პეტიციით უნივერსიტეტის კი არა, სამხედრო სასწავლებლის გახსნას ითხოვდნენ...

შედგა ღალატი. რევაზ ანდრონიკაშვილმა რამდენიმე ფეოდალისა (ისევ ივ. მუხრანსკი და მისთანანი, რომელთაც ილია თავის „გამოცანებში" და „კიდევ გამოცანებში" ტყავს გააძრობს), განათლების მზრუნველ ბარონ ნიკოლაისა და მეფისნაცვლის თხოვნით, ჩუმად შეცვალა ადრესის შინაარსი.

აი, ეს იყო მიზეზი, როცა უძლურებისგან მხრებჩამოყრილი, აღშფოთებული ილია ცეცხლივით დაატეხს რისხვას მამათა თაობას. შინაურის ღალატი იყო გულისამრევი, თორემ იმპერატორი, ცხადია, უნივერსიტეტს არ გვაჩუქებდა. ის კი არა, მისთვის მისაღები თხოვნაც კი, სამხედრო სასწავლებლის გახსნისა, არ შეიწყნარა. სიტყვით კი თქვა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება დააყოვნა. ტაშ-ფანდური შეირგო და ერთადერთი, რაც გაიმეტა – იმერეთის თავად-აზნაურობას კავკასიის ომებში გამოჩენილი სიმამაცისა და ერთგულებისათვის დროშა გადასცა. ასევე ჯერ კიდევ ჩამოსვლამდე დიდად დააფასა გრიგოლ ორბელიანი, რომლის სამხედრო მოღვაწეობის 50 წლისთავი აღნიშნეს ივნისში. პირადი წერილი მოსწერა და შემდეგ, ჩამოსვლისას პირადად გადასცა გაწეული ღვაწლისთვის იმპერიის უმაღლესი ჯილდო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი. ამით ამოიწურა ამ დიდი გვამის ჩამობრძანებისადმი ერთწლიანი მოლოდინი.

იმპერატორის ივნისში გამოგზავნილი წერილი გრიგოლისადმი გულისამაჩუყებელიც კია. ჰოი, რა საქმეები აკეთეთ თქვენ და თქვენმა თაობამ ტახტისა და სამშობლოს ერთგულებისათვისო – მოყოლებული 1822 წლიდან ამ ნახევარი საუკუნის მანძილზეო – დნებოდა თვითმპყრობელი.

საქმეები ეგრე არ უნდაო და გავეშებული ილია სულ მალე აქვეყნებს „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მე-19 საუკუნისა"-ს. ეს ლექსი თითქოს იმის პასუხია, რაზე-

დაც იმპერატორი ასე აღფრთოვანებული წერდა. ამ ლექსმა ერთი ხელის მოსმით წყალში გადაუყარა ყველაფერი ძველ თაობას, რითაც იგი თავს იწონებდა. პირველ ყოვლისა, ეს იყო 1832 წლის შეთქმულება. ილიას მსჯავრი:

„მერე როცა ეს ჩურჩული
შეგვიტყვეს თუ შეგვამჩნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყვდიეს, –
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
– ფერმიხდილნი ბეზღობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.“

ამ ლექსის ყოველი ფრაზა, ყოველი სტრიქონი არის მამათა თაობის მწარე განაჩენი, მაგრამ მაინც ზოგადად თაობაზე დაწერილი და არა კონკრეტულ პირთა შესახებ. ამას მოჰყვა კიდევ უფრო მწარე, მწვავე ლექსი – „ბედნიერი ერი“, რომელშიც პოეტი აღარც არავის ინდობს:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!“

„ყველა უნჯი, ყველა მუნჯი,“ „ყველა ყრუი, „ყველა ცრუი“ და ასე, დაუსრულებლად თვითგვემა შემაძრწუნებელი. თუმცა, არც ამაზე ამოუღია ხმა არავის, რაკი ყველას გვლანძღავს, სხვამ უპასუხოს, რაღა მაინცდამაინც მე უნდა გავეხვიო შარშიო, ასე ფიქრობდნენ ცალ-ცალკე, ალბათ, მაგრამ ილია არ ცხრებოდა. ბოლოს ადგა და სათითაოდ ამოიღო მიზანში ყველა მათგანი, ვინც რუსის იმპერატორს გული გაუხარა და ქართველს ჩასწყვიტა. პირადად შეგვეხოო, ახლა კი ატყდა ომი და დავიდარაბა.

თითოეული ადრესატის დახასიათებას მწარე სტრიქონი ამთავრებს – **ქვეყანა და ქვეყნის საქმე იმას ფეხზედ ჰკიდია.**

ვინ არიან ესენი – **„ხელთა მლოკი“, „ქონდრის კაცი“, „ღობემძვრალა“, „ლაზღანდარა და მასხარა“, „გაქნილი“, „გულმურტალი“, „ფლიდი“, „ყბედი“, „ადვილად მოსასყიდი“, „მელაძუა“** და ა.შ. და ა.შ.

თუ ვინ არიან, იმ საზოგადოებისთვის ძნელი გამოსაცნობი არ იყო, ვინაიდან თითოეულის საზოგადო დახასიათებას ისეთი პიროვნული აღწერილობა უძღვის წინ, რომ კარგი ნატურალისტის დახატულ პორტრეტს ჰგავს. იცნეს, როგორ არ იცნეს თავისი გმი-

რები. მკითხველნი ხითხითებენ. ხელნაწერები ხელიდან ხელში გადადის. ადრესატებს უგზავნიან, ზოგნი ნიშნისმოგებით, ზოგნი მათი გულშემატკივარნი. აი, მაგალითად, ლორის მელიქოვისთვის კავკავში გაუგზავნიათ, ილიამ შენზე ასე დაწერაო:

„ოინბაზი ლაქათაა
გრძლად გალეული მელია,
ბაზრის ბიჭად გაჩენილა,
ეხლა ქვეყნის მმართველია;
ცულლუტია, ხერხიანი,
ენაცქვიტი, ყურმახვილი;
დროთა ბრუნვის შესაფერი,
კარგად იცის მოძახილი.
მარჯვედ მოდის კოჭის ყრაში,
სურს ალუჩა, სურს თაფია;
ბევრჯერ გაძვრა და გამოძვრა,
მაგრამ ვერ გახდა გრაფია.
გრაფობისთვის ერი დაკლა,
ცოდვა დაიდვა დიდია,
მაგრამ ერიც და ქვეყანაც
იმას ფეხებზედ ჰკიდია.“

ლორის მელიქოვი, თერგის მმართველი, ჯერ განრისხებულა, მაგრამ მალე ჯავრი გულს გადაყრია და სიცილით უთქვამს, მაინც გავხდები გრაფია. გრაფი კი არა, მთლად რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. და მაინც, ვინ არიან ამ „გამოცანებში“ და „კიდევ გამოცანებში“ ნაგულისხმევი ხალხი, რომელთაც ბოლოს ასე მიმართავს ილია:

„ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა
თქვენი ფეხებზე მკიდია“.

„გამოცანებში“ არიან:

1) **რევაზ ანდრონიკაშვილი** – მეთაური თავად-აზნაურობისა, რომელმაც ის სამარცხვინო საქმე ჩაიდინა, რაზედაც ზემოთ გიამბეთ.

2) **გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრან ბატონი,** სენატორი, რომელიც ამ „გამოცანების“ გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვეში დაბეჭდავს წიგნს, სადაც ამტკიცებს, რომ თუ ქართველთა ასიმილაცია მოხდება რუსების მიერ, ეს ჩვენთვის ბედნიერება იქნე-

ბაო. ასეთი კაცი უნივერსიტეტის თბილისში გახსნას რატომ მოითხოვდა?

3) **ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან ბატონი,** გენერალი, დიდი მემამულე. ეს ის ივანეა, ბატონყმობის საკითხზე ილიასთან ლამის დუელამდე რომ მიუვიდა საქმე და უკან დაიხია.

4) **პლატონ იოსელიანი,** – კაცი სწავლული, მაგრამ რომის პაპზე მეტი კათოლიკე, ანუ რუსეთის მონარქებზე მეტად რუსზე შეყვარებული.

5) **დიმიტრი ჯორჯაძე** – კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი.

6) **იასე ჭავჭავაძე** – გუბერნიის სამმართველოს წევრი.

7) **ბესარიონ ღოლობერიძე** – ილიას თაობის კაცი, რომელიც ახლების კომისიაში იყო და გავრცელებული ხმებით, ძველებს მიემხრო, ამიტომ ძველებსა და ახლებს შორის ხიდის ჩამტეხს ეძახის პოეტი.

8) ...

„კიდევ გამოცანებში" ნაგულისხმევნი არიან:

1) **მიხეილ ტარიელის ძე ლორის მელიქოვი** – მაშინ იყო თერგის ოლქის უფროსი. რამდენიმე წლის შემდეგ იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი, იმპერიის კანცლერი.

2) **ლევან მელიქიშვილი** – გენერალი, დაღესტნის ოლქის უფროსი.

3) **იოსებ თარხნიშვილი** – გენერალ-ადიუტანტი.

4) **მიხეილ თუმანიშვილი** – ლიტერატორი, ჩინოვნიკი.

5)...

„აღწერილთა ჯურის ხალხი
სხვანიც მრავალნი ჰყვავიან,
მაგრამ მე იმათ არ ავსწერ,
რადგან თვის ქერქში არიან"...

ისინი კი, ვინც აღწერა, „თვის ქერქიდან" რომ მართლა გამოსულიყვნენ, ილია შეიძლება დიდი ხნით ადრე მოეკლათ. მათი უმრავლესობა ხომ ნამდვილი გენერლები იყვნენ, რომელთაც ეს ჩინი ბრძოლის ველზე ხმლის ტრიალით ჰქონდათ მიღებული, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ესეც უნდა ითქვას, იმ ხალხმა პოლიტიკური ორიენტაცია დაკარგა, თორემ მამაკაცური ღირსებები როდი ჰქონდათ წამხდარი. ისინი არ ჰგავდნენ იმ მოწინააღმდეგეებს, რომელთაც ილიას გაჩუმება მარტივად, მისი ფიზიკური განადგურებით მოახერხეს. ღირსება იმ ხანად ჯერ კიდევ არსებობდა.

ეს არის ეპოქა, როცა მეფისნაცვალს დუელში იწვევს მისივე ადიუტანტი და მეფისნაცვალი დუელში გადის (გაიხსენეთ ქალის გამო დუელი ბარიატინსკის და მისი ადიუტანტისა). აბა, წარმოიდგინეთ, საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, დიდი მოხელე დუელში გაეწვია მისგან შეურაცხყოფილ რომელიმე პატარა მოხელეს. მათ ხომ ზოგჯერ სწორედ იმიტომ ხვრეტდნენ, რომ დიდ ჩინოვნიკს პატარა ჩინოვნიკის ცოლი მოეწონა... დუელში კი არა, დიდი პატარას ისეთ დღეში ჩააგდებდა, რომ პატარა იქით შეეხვეწებოდა, ცოლი ხომ წამართვი, ახლა ნება მიბოძე მზითევიც გაგატანოო...

ჩვენს თემას მოვუბრუნდეთ. „გამოცანებში" და „კიდევ გამოცანებში" ორად-ორი ადამიანია, რომელთაც ილია დიდი სიმპათიით და პატივისცემით ახსენებს და კეისარს კეისრისას მიაგებს, აქებს და ოდნავ, მსუბუქადაც ნაჰკენწლავს, ესენია დიმიტრი ყიფიანი (იხ. „კიდევ გამოცანებიდან" მე-5 გამოცანა) და გრიგოლ ორბელიანი (იხ. „გამოცანებიდან" მე-8 გამოცანა). „მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია"-ო.

გრიგოლს უთქვამს, მამას არ უნდა ეწყინოს შვილისგან გაკენწვლა, ოღონდ ზემოთ შეიტყობენ ჩვენს გულისნადებს და საშიში ეს არისო...

1871 წელი მთავრდება. დეკემბერი იყო, როცა ეს ეპიგრამები დაინერა. ყველაფერი თითქოს მშვიდობიანად დამთავრდა, ისე ჩანდა, რომ გამგებმა გაიგო და მიმღებმა მიიღო ,რაც ეკუთვნოდა, მაგრამ...

ეს ბრძოლა კიდევ 2 წელიწადს გასტანს.

●

1871-ში სხვა ამბებიდან აღსანიშნავია ფოთის რკინიგზის დამთავრება. 1866 წელს დაწყებული მშენებლობა დასრულდა და რკინიგზით ამ წელიწადს დაუკავშირდა ფოთი თბილისს.

1871 წელს თბილისში ციურიხიდან ჩამოდის ივ. თარხნიშვილი, რომელიც ექსპერიმენტულ ფიზიოლოგიაზე აქ ისეთ ლექციებს წაიკითხავს, რომ ახალგაზრდებს სურვილი უჩნდებათ უკვე არა პეტერბურგში, არამედ ციურიხში წავიდნენ და იქ ორ-სამ წელიწადში სტუდენტთა მართლაც შთამბეჭდავი კოლონია იქმნება. ამ ფაქტს იმის გამო ვიხსენებ, რომ სამი წლის შემდეგ, სწორედ ციურიხში, ორმოცამდე სტუდენტი შეიკრიბა, რომელნიც პირველად წამოაყენებენ კავკასიის რუსეთიდან გამოყოფის საკითხს.

1872

ილიას „გამოცანების“ საიდუმლოდ გავრცელება, გრიგოლ ორბელიანის „პასუხი უღირსთა შვილთა“ და ამ პასუხის ვარიანტები. აკაკის ჩაბმა პოლემიკაში. გიორგი მუხრანსკის გამაოგნებელი ბროშურა. მუხრანსკისა და ბარბარე ჯორჯაძის დიალოგი. მამიდის გარდაცვალება.

ბარბარე ჯორჯაძისა

„ვაი, საბრალოს,
ჩვენს საქართველოს,
თქვენ დაებადეთ მათ სადიდებლად".

გრ.ორბელიანი

„ვაი, თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს".

ილია

„და მოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი ორ-ბელიანი".

აკაკი

ილია მშვიდად არის. მისი სასტიკი ეპიგრამები ხელიდან ხელში გადადის. ხელნაწერები მრავლდება და იგზავნება ადრესატებთან, ანუ მკითხველებთან. იგზავნება დასავლეთ საქართველოში, იგზავნება დაღესტანში, იგზავნება თერგის ოლქში.

ავტორმა გულიც მოიოხა და ჰგონია, რომ არც მისი ვინაობა გამჟღავნებულა. ამაზე ხომ წინასწარ იზრუნა. ეპიგრამები 1871 წლის 7 დეკემბერს დაიწერა. 11 დეკემბერს დუშეთიდან თბილისში გაუგზავნა დავით ერისთავს („სამშობლოს" ავტორი), თან წერილიც მიაყოლა: „დათიკო! გიგზავნი გამოცანებს. რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე, ვინ არიან აწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ – არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა – არ უნდა იცოდეს, ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, – ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ, ჩვენდა სამტროდ, „ისინი" ყოველსფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება.

გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი, როგორც უპატრონებ".

როგორც ჩანს, ილია არ ენდო მხოლოდ კალმით აღწერას გამოცანებში ნაგულისხმევი პირებისა და ან დავით ერისთავს ან სხვა ვისმე ლექსში აღწერილი პორტრეტების თანმიმდევრობით მიანოდა სახელები და გვარები ადრესატებისა. ეს ჩანს იქიდან, რომ ერთი ხელნაწერი არსებობს (ვისი, არ ვიცით), რომლის არშიაზე მიწერილია ის სია, რომელიც ზემოთ გვქონდა წარმოდგენილი.

ერთადერთი სხვაობით, ხელნაწერში „გამოცანების" მე-6 გამოცანის ადრესატად დასახელებულია იასე ანდრონიკაშვილი, სინამდვილეში იგი გახლდათ იასე ჭავჭავაძე.

თავის დროზე ეს გადაჭრით დაუდასტურებია იმ ამბების ცენტრში მყოფ ნიკო ნიკოლაძეს. საინტერესოა ისიც, რომ ამ ხელნაწერს სათაურად აქვს – „პროექტის შემდეგ გამოცანები". რაც პირდაპირ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ილიას სწორედ იმპერატორისადმი მისართმევი ადრესის შეცვლამ აუვსო მოთმინების ფიალა და დააწერინა ხსენებული ეპიგრამები. იასე ჭავჭავაძე ხომ სწორედ მამათა ოთხკაციანი კომისიის წევრი იყო. ცხადია, მე-6 გამოცანის ადრესატიც სწორედ ის არის.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ილიას შეუსრულა თუ არა თხოვნა დავით ერისთავმა „გამოცანების" ავტორის საიდუმლოდ შენახვის შესახებ?

„სამშობლოს" ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საიდუმლო მას დაუცავს. ამის დადასტურება შეიძლება. კერძოდ, 1872 წლის 13 თებერვალს ქუთაისში მყოფ აკაკი წერეთელს (იმჟამად აკაკი ძირითადად ქუთაისს „სტუმრობდა") მისი მეგობარი, გაზეთ „დროების" რედაქტორი სერგეი მესხი ატყობინებს თბილისში ხელნაწერებით გამართული ბრძოლის შესახებ. სერგეი მესხი იმასაც აღნიშნავს, – „გამოცანების" ავტორმა მოხუცებულსო, გრიგოლს გულისხმობდა, პასუხის პასუხიც მიაყოლაო. მშვენიერი რამ არის, მაგრამ კაცმა არ იცის, ვისიაო.

ილიას ახლობელმა და „დროების" რედაქტორმა რომ არ იცის, ვინაა ავტორი, ეს ნიშნავს, რომ დავით ერისთავს ილიას თხოვნა ნამდვილად შეუსრულებია. ამ საკითხს ერთი გარემოების გამო ვუსვამ ხაზს. არც გრიგოლმა იცოდა დანამდვილებით, თუ ვის აძლევდა პასუხს. გაურკვევლობამ კი მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი პასუხის შინაარსიცა და ფორმაც. ხარი რომ თავს დაღუნავს და ყველას რქენას დაიწყებს, ისე დაემართა გრიგოლ ორბელიანს. მისდგა და, იმ დროში ახალთაობიდან, თუ ვისმე კალამი ჰქონდა

ხელთ აღებული, ყველას დაერია. ამ სიბერეში კაი შარიც აიტეხა დარბაისელმა კაცმა. არადა, რა ექნა, ვისთვის ერქინა, სახელდებით და დაზუსტებით, რომ არ იცოდა? ეჭვით კი, ეჭვით შეუძლებელია არ ეგუმანა, ვინ იდგა ამ ეპიგრამების უკან. ჯერ ერთი, იმპერატორისადმი მისართმევი ადრესის შინაარსი რომ გამოცვალეს, ხომ არ შეიძლება ამას იმთავითვე ზეპირი შეხლა-შემოხლა არ მოჰყოლოდა. ახალი თაობიდან სულ ოთხი კაცი იყო იმ პროექტის ავტორი, რომელიც მეფისთვის უნდა მიერთმიათ. ამათგან ერთი გადაიბირეს – ღოლობერიძე (ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ფიქრობდნენ). ყველაზე მეტად ყალყზე შემდგარი ვინ იქნებოდა, ტექსტის იდუმალ შეცვლის გამო? ცხადია, დარჩენილი სამი ახალგაზრდა, რომელთაც ელდასავით ეცემოდათ ეს ვერაგობა. ერთ ტექსტზე შეთანხმდნენ და ფაქტის შემდეგ შეიტყეს, რომ სხვა ტექსტი გადაეცა მის უდიდებულესობას.

ამ სამი ახალთაობელიდან ერთი პუბლიცისტი იყო, ნიკო ნიკოლაძე, მეორე მეცნიერი – თარხნიშვილი. ლექსებს ვინ წერდა? ილია. ცხადია, გრიგოლს არ გაუჭირდებოდა ეგუმანა, რომ გამოცანები ილიას ნახელავი უნდა ყოფილიყო. ესეც არ იყოს, გრიგოლის სამხედრო კარიერის ზეიმით აღნიშვნის შემდეგ ვინ დაწერა ლექსი „რა ვაკეთეთ...“ სადაც პირდაპირ ასამარებდა მამათა თაობას? – ილიამ!

ასე რომ, გრიგოლისათვის დიდი გამოცანა არ უნდა ყოფილიყო, თუ ვინ იქნებოდა „გამოცანების“ ავტორი. იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ ილიას ნაკალმარი იცნო და იცოდა რა მისი ფასი, მას სრულიად გულმშვიდად უთქვამს: „მამას არ უნდა ეწყინოს შვილისგანო“... მით უფრო, იმ ფონზე, რაც ამ პასკვილებში სწერია. იქ ხომ სწორედ ორბელიანი და ყიფიანია დანდობილი. უფრო მეტი, მათ დიდ ავტორიტეტს შთამბეჭდავი დასტურით აღბეჭდავს პოეტი. მაშ, მერე რამ გადარია ეს დროული კაცი? მთელი მამათა თაობა, ეტყობა, გრიგოლს ამუნათებდა. თუ ჩვენამდე მოაღწია მისმა სიყტვებმა – „მამას არ უნდა ეწყინოსო“, რა, ისინი ვერ გაიგებდნენ? ვინ იყო ხმის ამომღები, პასუხის გამცემი? ერთხელ უკვე შემსწრენი, ამ ახალგაზრდებთან კამათი რასაც ნიშნავდა, თავად გაყუჩნდნენ, თავიანთ ბელადს კი უკიჟინეს, ვეჟო, ასე თავლაფდასხმულებმა როგორ უნდა ვიაროთ ამ ურცხვი ახალგაზრდების გადამკიდეო. ამ შეძახილ-შემოძახილებში ორბელიანისთვის უკვე ღირსების საკითხად იქცა იმათ მიმართ, რომელნიც წარსულს თოფს ესროდნენ, ზარბაზნები

დაექუხებინა. კიდევ კარგი ასე მოხდა და გაყუჩება ეპიგრამების გამო, არ გაგრძელდა, თორემ ქართულ საპოლემიკო პოეზიას ორი შედევრი არ ექნებოდა – გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“ და ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“.

გრიგოლმა დაწერა „გამოცანების პასუხი“, რასაც ილიას „პასუხის პასუხი“ მოჰყვა.

აბა, გაიხსენეთ, ილია დავით ერისთავს გასავრცელებლად გამოცანებს უგზავნის 11 დეკემბერს. გრიგოლს დეკემბრის თვეშივე პასუხი დაუწერია. სხვათა შორის, ყველა აკადემიურ გამოცემაში ამ ლექსის დაწერის თარიღად 1872 წელია მითითებული. ან ეს არ არის სწორი, ან ორბელიანს ლექსი 1872 წლის 1 იანვარს დაუწერია და გაუვრცელებია, თუ წინა წლის დეკემბერში არა. ამას მაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ არსებობს 1872 წლის 2 იანვრით დათარიღებული სერგეი მესხის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომელშიც იგი წერს – „თფილისში ჰყვავის ლიტერატურა. ორი ისეთი ხელნაწერი პამფლეტი გამოვიდა აქ, ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა. ერთი გამოცანები, რომელშიაც აწერილი არიან, ანუ უკეთ ვთქვათ, გალანძღული არიან კარგა ლაზათიანად გრ.ორბელიანი, გ.კ. მუხრანსკები...“

რაკი 2 იანვარს სერგი მესხმა ორბელიანის პასუხის შესახებ უკვე იცის, მანამდე უნდა დაწერილიყო ლექსი.

მაგრამ მთავარი, ცხდია, ეს არ არის. მთავარია, რას წერს და ვის პასუხობს ძველი თაობის მახვში.

იმავე სერგეი მესხს თუ დავუჯერებთ, გრიგოლს კინტოური სტილის ლექსი დაუწერიაო. არადა, პასუხი შვილთა კინტოური კი არა, ნამდვილი შედევრია. მაგრამ მესხიც რომ მართალია? საქმე ის გახლავთ, რომ გრიგოლის პასუხის პირველი ვარიანტი ანუ ის, რაც ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა, ძლიერ განსხვავებულია იმისაგან, რაც 3 წლის შემდეგ დაიბეჭდა და რასაც დღეს ვიცნობთ „პასუხი შვილთა“-ს სახით.

იმ რედაქციული ცვლილებებით, რაც „გამოცანების პასუხიდან“ ჯერ „პასუხი უღირსთა შვილთა“-მდე (დაიბეჭდა 1874წ.) და შემდეგ „პასუხი შვილთა“-მდე მივიღეთ, გაუგებრობით გამოწვეული მთელი ვნებათა ღელვა ჩანს და ღირს ამაზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

მაშ ასე, რაკი გრიგოლი გუმანით ხვდება, მაგრამ დანამდვილებით არ იცის, ვინ არის ძველი თაობის წარმომადგენელთა, ანუ მისი მეგობ-

რების აბუჩად ამგდები და მისი შემბედავი, ადგა და ყველა შესაძლო ადრესატს ერთად დაერია. ლექსის პირველ ვარიანტში, დიდი ფეოდალი რომ ყმა გლეხებს დაერევა მათრახით, ისეთი სურათი იხატება. გთავაზობთ რამდენიმე ციტატას:

„კოლო, ბუზებო,
ლიბერალებო,
ჭკუით გლახებო, პატრიოტებო,
გზა დაკარგულნო,
წყალ-წაღებულნო, კატის კნუტებო, სიდგანა კნავით?
.....
„ვირი წავიდა
ვირი მოვიდა,
კაცად ვერ იქცა თვით ქების მადლით“
.....
„გოგრა ცარიელ
ჯიბე ცარიელ“
.....
„ის ლიბერალი
ბურთივით მრგვალი,“
.....
„თქვე ჯაგლაგებო, ჟურნალისტებო!
არც რუს ფრანგები,
არც ინგლისლები,
არც ქართველები, მაშ ვინა ჰყრიხართ?“
.....
...„თქვე ქაჩუებო
ჭიანჭველებო“.

„კოლო ბუზები,
ლიბერალები,
ცრუ პოეტები, პატრიოტები,
აკაკიები,
ბაკაკიები,
რიონელები, გოგიტელები“.

ვფიქრობ, საკმარისია იმის დასტურად, რასაც თავად ამბობს ამავე ლექსში – „თქვენში ვლრიალებ“. ეს პასუხი, პოეტური თვალ-

საზრისით, მხოლოდ აჩრდილია იმ შედევრისა, რასაც „პასუხი შვილთა“ ჰქვია. იქ არც ერთი ზემოთ მოტანილი ციტატა აღარ გვხვდება. აღარ გვხვდება აღარც „ბურთივით მრგვალი“ და აღარც „აკაკიები–ბაკაკიები“, „პატრიოტები“ და „გოგიტელები“.

რა მოხდა? მოხდა ის, რომ, ჯერ ერთი, გაგულისებამ გადაუარა. მეორე, ილიას „პასუხის პასუხის“ შემდეგ, რაც იმავე წლის 28 იანვარს დაიწერა, მიხვდა, რომ ძალიან დიდ კაცთან და შემოქმედთან ჰქონდა საქმე და, მესამეც, დარწმუნდა, რომ ერთი აკაკის გადაკიდებას ისევ ლეკების მთელ რაზმთან მარტო შერკინება სჯობდა. ამიტომ ორბელიანი გაჩუმდა და მრავალრიცხოვანი თავდასხმებისთვის თუ წერილებით, თუ ლექსებით შემოტევისთვის მას პასუხი აღარ გაუცია. ვიღაცას კი დაუწერია ერთობ გრძელი ლექსი „პასუხის პასუხის პასუხი“ და გრ. ორბელიანი მიუწერია ავტორად, მაგრამ ის არც არავის დაუბეჭდავს და არც გრიგოლის კალამს ეკუთვნის.

ილიას „პასუხის პასუხი“ სკოლის მოსწავლეებმაც იციან, მასზე აქ აღარ შევჩერდები. ერთს კი აღვნიშნავ, გრიგოლისგან დაუმსახურებელი გამოლაშქრების მიუხედავად, მასთან მიმართებით ილია არც „პასუხის პასუხში“ ღალატობს ტაქტსა და სიდინჯეს.

მაგრამ აკაკი? აკაკის ყბაში ნებაყოფლობით ჩავარდებოდა ადამიანი? ან აკაკის წაქეზება სჭირდებოდა? არადა, ნახეთ, როგორ აქეზებს სერგეი მესხი. 1872 წლის 13 თებერვალს პოეტს სწერს: „რომ იცოდე, რა პამფლეტები გამოდის აქ, შენც გაგონილი და წაკითხული გექნება ის „გამოცანები“, რომელიც ამას წინათ გამოვიდა. ახლა გამოვიდა მოხუცებულის პასუხი ამ გამოცანებზე, სადაც შენც და სხვებიც, საზოგადოდ მწერლები და იმერლები ვართ საშინლათ კინტურათ გალანძღული. თითქმის იმავე დროს გამოვიდა ამ „პასუხის პასუხი“, მშვენიერი რამ არის, მაგრამ კაცმა არ იცის – ვისია. თუ არ არის მანდ, მომწერე, გადაგიწერ და გამოგიგზავნი. ამას ქუთაისშიც ექნება ინტერესი“. მესხის წაქეზება აკაკის აღარ სჭირდებოდა...

აქვე მინდა შევნიშნო, რომ ეს ჩვენი ძვირფასი სერგეი მესხი აკაკის კი აქეზებდა, შენ ხარ მოხსენიებულიო და თავისთავიც ირიბად გარია, იმერლები ვართ საზოგადოდო. ჩანს, თუ გრიგოლი მათ ლექსში ახსენებდა, თუნდაც ირონიულად, ახალგაზრდები იყვნენ და ერთგვარად მაინც უხაროდათ, ფასი ედებოდათ. ახალგაზრდას ყოველთვის უხარია სახელმოხვეჭილთან კამათი. თუ დავმარცხდი, ასეთ ცნობილ ადამიანთან დამარცხება სირცხვილი არ არისო

– ფიქრობს, არც არაფერს ვკარგავ, სახელი კი მეც გამივარდებაო. ასე მესხიც ეცადა, ამ პოლემიკას მიტმასნოდა. კაცმა რომ თქვას, მოახერხა კიდეც. ორბელიანის, ასე ვთქვათ, კანონიკურ ტექსტში, რომელიც დღეს არის ცნობილი, აღარ წერია, როგორც ითქვა, აკაკიები, ბაკაკიები, რიონელები, გოგიტელები. კი, ამ ჩამონათვალით მთავრდებოდა „გამოცანების პასუხი".

ვინ იყვნენ რიონელები? – ნიკო ნიკოლაძე (რიონელი მისი ფსევდონიმი იყო).

გოგიტელები? – გიორგი წერეთელი.

ბაკაკიებს გაშიფრვა არ სჭირდება.

როგორ მთავრდება „პასუხი შვილთა"? მათ ნაცვლად წერია:

„მესხი, მეველე, მელიქ-აღები".

მოკლედ, გრიგოლმა აკაკიც ამოიღო თავისი რისხვის ადრესატებიდან, ნიკო ნიკოლაძეც და გიორგი წერეთელიც. მათ ჩაანაცვლა მესხი, იგივე სერგეი მესხი, მეველე – იგივე დავით მიქელაძე და მელიქ–აღები, იგივე სტეფანე მელიქიშვილი. ანუ აქლემებმა იჩხუბეს და ბოლოს გაჭყლეტილი კოზაკები დარჩნენ. დღეს გრიგოლის ხელნაწერად გავრცელებული ტექსტი ცნობილი რომ არ იყოს, მისგან დაბეჭდილი „პასუხი შვილთა"-ს მიხედვით კაცი იფიქრებს, ამ უკანასკნელთ დარევიაო გრიგოლი. ისეა ეს საქმე, როგორც იუპიტერსა და ხარზე იტყვიან ხოლმე. პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ. აკაკიმ მესხის წერილი 12 თებერვალს მიიღო, წაქეზება აღარ სჭირდებოდა, 7 თებერვალს მას უკვე დაწერილი ჰქონია ლექსი „ხარაბუზა ღენერალს". მოგვიანებით აკაკი იგონებდა, ორბელიანს ახალი თაობა გაულანძღია, მე არაფერ შუაში ვიყავი და მეც გამლანძღა – „აკაკიები, ბაკაკიები" და მისთანებიო. მოკლედ, აკაკი ჯერ სახტად დარჩა, როგორც ჩანს, მე რას მერჩოდა ეს კაციო, მერე კი, შაირობა ეგრე არ უნდაო და ერთი კი არა, რამდენიმე პასკვილი უძღვნა გრიგოლს. ის კალამბურიც, დათვი ორ ბელიანიც იქიდან მოდის. „დათვი ორ ბელიანი", მოფერებაც კია იმასთან შედარებით, რაც ლექსში „ხარაბუზა ღენერალს" წერია.

მაგ.:

„სამასხარო მოედანზე
გამოსულხარ, დგეხარ განზე,
სქდები კანზე, მღერ საგანზე –
შენგან უცნობ ანა-ბანზე.

რომ არ არის ეგ შენი გზა?!
ვაი, ჩვენო ხარაბუზა,
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,
გაგფრენია შენი მუზა!"
.....
„ჩვენ არ მოგვწონს შენისთანა
ენა წმინდა გულ სატანა.
ორპირობამ გაგატუზა?
ვაი, ჩვენო ხარაბუზა.
სიტყვით სწორო, საქმით კუზა"
.....
„აქაცა ხარ, იქაც ხარო,
გულფუტურო და თავქარო".

„ვაუკაცობა არც შენ გიყვარს
ვერც აიღებ, ვგონებ, შენ ყარსს,
სიტყვით სამსონს, საქმით საპყარს
ამ ბოლო დროს სიტყვაც გიყარს".

და ასე დაუსრულებლად. კიდევ უარესი ამონარიდების მოტანა შეიძლება. ამ ლექსს რომ წაიკითხავ ახლა, აქედან შეგეცოდება ეს დარბაისელი, 70 წელს მიტანებული პოეტი–გენერალი, რომელმაც ისე იცხოვრა, ბუზი არ დაუსვამს თავზე, დაუმარცხებელი შამილი ფაქტიურად ამან დაამარცხა. ამის გამოჩენაზე თურქი იყო, სპარსი თუ ლეკი, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. გენერალი გენერლად, მაგრამ მთელ კავკასიასაც რომ მართავდა? ყველაფერს ჯანი გავარდეს, პოეტად რა, ვინმეს დაუწუნია? მის ლექსებს მთელი საქართველო მღერის. „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ". საღამო არ გავა ისე, რომ ორთაჭალის ბაღები ამ ჰანგებმა არ მოიაროს, და რა ხდება მის თავს? დიახ, მართლა შეგებრალება აკაკის ამ სიტყვების წაკითხვისას:

„აწ კი უნდა შემებრალო...
საცოდავო ხარაბუზა".

წარმოიდგინეთ, იმ დროში, იმ გარემოცვაში გრიგოლი, ეს ამაყი კაცი, ეს უკანასკნელი მოჰიკანი დიდი სარდლებისა, რა დღეში ჩავარდებოდა.

კი მიხვდა, რაც დამართეს მისი თაობის ბუჩქებში დამალულმა გენერლებმა, მაგრამ გვიანღა იყო. დარჩა გრიგოლი გულნატკენი,

მაგრამ დარჩა ამ პოლემიკიდან ორი ბრწყინვალე ლექსიც: „პასუხის პასუხი“ და „პასუხი შვილთა“.

ქართველებს შორის ამ „ჩხუბის“ მიზეზი, მოგეხსენებათ, რუსის იმპერატორის საქართველოში ჩამოსვლა იყო.

ახლა მეორე „ჩხუბი“ მინდა გავიხსენო, რომლის სათავეში ისევ ილია იდგა. ამჯერადაც რუსული იდეოლოგია გახდა მიზეზი ქართველების შეჯახებისა. რუსეთის იდეოლოგია განაპირა მხარეების ჩაყლაპვა, ასიმილაცია იყო ხომ? ამას რუსი ხან „დედინაცვლის“ ალერსით ცდილობდა. მაგ., ვორონცოვს სურდა დედინაცვალი შეეყვარებინა ქართველს მშობელ დედასავით, ხან კი ჯიქურად – ძალითა და ხუნდებით.

„გამოცანების“ გამო ამტყდარი დავიდარაბა ჩამცხრალი არ იყო (მაგ., დავით ერისთავი რუსულად იწყებს თარგმნას და რუსულენოვან მოსახლეობაში გავრცელებას), რომ ერთი ქართველი ისეთ ბროშურას აქვეყნებს, ყველაზე ნაფიც რუს რეაქციონერსაც რომ შეშურდებოდა.

1872 წელს გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანსკი რუსულ ენაზე აქვეყნებს წიგნს „О существе крупных национальных единиц“. ეს მუხრანსკი ჩვენ უკვე ვახსენეთ – ძმა ივანე მუხრანსკისა, მეფის მოადგილის საბჭოს წევრი, სენატორი. ერთი სიტყვით, დიდი ბობოლა იყო, მაგრამ რაც მან გაბედა და დაწერა, მანამდე არც ერთ ქართველს არ გაუბედავს (შემდგომში კი პრეცენდენტი განმეორდება).

მუხრანსკის მონარქიული სულისკვეთება კი იცოდნენ, მაგრამ თუ მთლად ასე აიღებდა თავზე ხელს, ვერავინ წარმოიდგენდა. არც მეტი, არც ნაკლები, დაახლოებით, ასეთი აზრი გაატარა თავის ბროშურაში – აუცილებლად მოხდებაო დიდი ერების მიერ მცირე ერების ასიმილაცია, ქართველები ამას უნდა შეეგუოთო და ლამის ნეტარებადაც გვისახავდა ამ გზას.

ბროშურის გამოსვლას ცენზურისაგან ბრძანებაც მოჰყვა. ყურადღებით იყავით, ეს წიგნაკი არავინ გააკრიტიკოსო, მაგრამ საყოველთაო აღშფოთება იოლადაც ვერ ჩააცხრეს. სექტემბერში „დროება“ აქვეყნებს ილიას ლექსს, 29 აგვისტოს დაწერილს დუშეთში, – „რჩევა“. ცენზორმა, მართალია, ბოლო ოთხი სტრიქონი ამოიღო, სადაც მინიშნებაა, თუ ვის ურჩევს პოეტი, მაგრამ რაც დაიბეჭდა, საკმარისი იყო გამგებს გაეგო, ვის საწინააღმდეგოდაც დაიწერა ლექსი.

„თუ გინდა, ძმაო, იგემო
ამა ქვეყნისა შვებანი,
დიდთა საფეროდ მოჰმართე
შენი გულ-სიტყვის ებანი.
მერე გრძნობით შეიმოსე,
დიდთა უკმიე, სხვათ არა,
და იქადაგე: – წესია,
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა.“ და ა.შ.

ს. მესხმა და პ. უმიკაშვილმა აქვე მკაცრი წერილები უძღვნეს ამ ტახტის ლაქიას. მოგვიანებით იმავე თემაზე ქვეყნდება აკაკის ალეგორიული ლექსი „ენების გასამართლება“. მუხრანსკის ეს სტატია უფრო ადრე დაუწერია, ვიდრე გამოაქვეყნა, ამას ცოტა ქვემოთ თავის პირით იტყვის. ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრე ორბელიანის სიცოცხლეში (ეს დიდი მამულიშვილი 1869 წელს გარდაიცვალა) მას საუბარი ჰქონია ალექსანდრესთან. ნახეთ, რას გვიყვება აკაკი ამ ორი ანტიპოდი ქართველის შეხვედრის შესახებ. გადმოგვცემს ალექსანდრე ორბელიანის მონათხრობს. ალექსანდრე ვნახეო, მოწყენილიც იყო და მხიარულიცო. „როდესაც ამ უჩვეულო საკვირველების მიზეზი ვკითხე, აი, რა მითხრა: „იმ დალოცვილმა გიორგი მუხრანსკიმ მაწყენინა: საჯაროდ დაიწყო დამტკიცება, რომ პატარას ნება არა აქვს თავის-თავობისა და უნდა ცდილობდეს, რომ დიდში გადაიტანოს თავისი თავი და იმაში განხორციელდესო." მაშინ ერთმა ვინმემ უპასუხა „თქვენ, ბატონო, პატარა ტანისა ბრძანდებით, კახელი მოჭიდავე ოდრუგელა კი ზორბა ტანისაა, ერთი ორად, ერთი სამად თქვენზე მეტიო და არა გნებავთ, რომ გაოდრუგელდეთო? გიორგიმ გაიცინა და უთხრა: „მე კერძო პირებზედ, თითო ოროლაზედ კი არ მოგახსენებთ, საერთოდ, საზოგადოდ ვამბობო". კიდევ უპასუხეს: „არც ეგ არის სიმართლეო, აქლემები უფრო დიდები არიან კაცებზედ. მაშ ჩვენც გააქლემება უნდა ვისურვოთო?" მაშინ თითქმის დაბჭობილმა გიორგიმ სხვა რომ ვეღარა მოახერხა-რა, წამოიძახა: „მე მოგახსენებთ პოეტებზედ და მწერლობაზედ. პატარა ხალხს რომ დიდი პოეტი ჰყვანდეს და დიდი მწერალი, შეუძლებელიაო; დიდს ხალხებშიც ნიჭი დიდიაო." ამის პასუხად ისევ იმან ეს მოახსენა: „მაგისი რა მოგახსენოთ, ეგ თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ, მეცნიერი და ნასწავლი კაცი ბრძანდებითო, მაგრამ ეს კი შემინიშნავს, რომ პატარა ბულბული მშვენივრად გალობს და დიდი მამალი ყიყლიყოს მეტს ვერა ახერხებსო." ასე მოუჭრა სიტყვა და გაათავაო, და იცით, მო-

პასუხე ვინ იყო? მკითხა ალექსანდრემ, ჩვენებურად შინ გაზრდილი ქალი კნ. ბარბარე ჯორჯაძისაო. ახლა ხომ ხედავ, რად ვარ ერთსა და იმავე დროს მოწყენილიც და მხიარულიცაო; ვერ მომინელებია განათლებულის კაცის აზრი და აღტაცებაში მოვყავარ შინ გაზრდილი ქალის გრძნობა-გონებასო." (აკ.წერეთელი ტ.XIII,გვ.53,1961). პირდაპირ სოკრატეს დიალოგები გაგახსენდება, ისე მიაყენა ეს მედიდური მუხრანსკი ბარბარე ჯორჯაძემ კუთხეში თავისი ნაპარავი თეორიიანად. ყველაზე საინტერესო კი ერთი სახასიათო დიალოგი შემოგვრჩა, რომელიც ირაკლი ბატონიშვილსა და ამ მუხრანსკის შორის გამართულა ხსენებულ საკითხზე. ირაკლი ბატონიშვილი გახსოვთ, ერთხელ მისი ხსენება „საქართველოს მოამბესთან" დაკავშირებით მოგვიწია, „დემოკრატიჩესკი არის"-ო, – მსახური რომ გაანათლა, მეორედ მაშინ, აჯანყებულ ამქრებთან მოსალაპარაკებლად რომ გაგზავნეს.

დიალოგი, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, უფრო ღრმა მნიშვნელობას იძენს, თუ გვეცოდინება, ვინ არის ირაკლი ბატონიშვილი. იგი შვილია რუსთა წინააღმდეგ ათწლეულების მანძილზე ხმალჩაუგებელი მებრძოლის, ეროვნული გმირის ალექსანდრე ბატონიშვილისა.

ალექსანდრე ბატონიშვილი და შემდეგ შამილი. ეს ორი უმამაცესი სარდალი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მოსვენებას არ აძლევენ რუსეთს. ხმები ნამდვილად დადიოდა და იწერებოდა კიდეც იმის შესახებ, შამილი ალექსანდრეს უკანონო შვილიაო. ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცით. მტერი ზუსტად ერთნაირად მოექცა მათ შვილებს. ალექსანდრეს ძე ერეკლე ბავშვობაში რუსეთში ნაიყვანეს და იქ აღზარდეს, იქვე შამილის შვილს რუსული განათლება მიაღებინეს. შემდეგ ერთიც დააბრუნეს და მეორეც. შამილის პირველი დამარცხება მაშინ მოხდა, როცა შვილი დაუბრუნეს, რადგან აღმოჩნდა, რომ დაღესტნის იმამის წინ გადარუსებული, უცხო ახალგაზრდა იდგა... ერეკლე ასე ვერ გააფუჭეს, მაგრამ მამის დიდების აჩრდილიღა იყო. აი, ეს ირაკლი ბატონიშვილი ხვდება გიორგი მუხრანსკის ამ საშინელი ბროშურის გამოსვლის შემდეგ. აკაკი გადმოგვცემს: „ვინ რას იტყოდა? ერთმა მხოლოდ ირაკლი გრუზინსკიმ ჰკითხა: რამ დაგაწერინა ამისთანა საუკუღმართო რამ? ან რამ გაფიქრებინაო? – მე დიდი ხანია მოფიქრებულიც მქონდა და დაწერილიცო, – მიუგო მუხრან ბატონმა, – მაგრამ დაბეჭდვით არ ვბეჭდავდი, რადგანაც შენ გიცდიდიო, და როცა შენც

შენი ვინაობა აბანოზე გაცვალე, მაშინ კი დავბეჭდეო!.. ეს მე გადმომცა სიცილით გიორგიმ, და თანვე დამეკითხა: შენ რაღას იტყვი, პოეტოო? – რაღაი კი საქმე გაბან-გარეცხაზე მივარდება, ერთი აბანო საკმაო არ არის ირაკლისთვისაც, მაგრამ თქვენს წიგნაკსაც კი ბევრი მოუნდება-მეთქი – მოვახსენე."

მუხრანსკისაგან ჩაქილიკება – შენ გიცდიდიო, იმას მოყვა, რუსებმა რომ ბატონიშვილს აბანო აჩუქეს ლოიალობის სანაცვლოდ.

არადა, რა არ შესთავაზეს რუსთა ერეკლეს სულკურთხეულ მამას, ოღონდ ბრძოლა შეწყვიტე და სხვებივით პეტერბურგში წამოდიო.

„ცხოვრება ესე ჩემი არა არის ცხოვრებად წოდებად, არამედ განგრძელებული ტანჯვა მამულისა ჩემისათვის".

ეს ალექსანდრეს პასუხი იყო.

მართლაცდა, რა შუაშია ძველი და ახალი თაობისადმი წლოვანებითი კუთვნილება? უფრო ძველი არ იყო ალექსანდრე ბატონიშვილი? წამოდგომა რომ შესძლებოდა, ილიას დაადებდა მხარზე ხელს, ეს არის ჩემი სულიერი შვილიო... ამ ღვთისპირიდან გადავარდნილ ავ „წინასწარმეტყველ მუხრანსკის", 1877 წელს, საფრანგეთში ყოფნისას, მეორე ბროშურის გამოცემაც სდომია ფრანგულად. არ დასცალდა, იმავე წელს საფრანგეთში მოკვდა. ჩამოასვენეს და როგორც ბაგრატიონ-მუხრანსკი წინაპართა საძვალეში, სვეტიცხოველში დამარხეს. ესეც მიუვიდა რა მამა-პაპათა ამოლებულის ხანჯრითა...

●

1872 წლის 19 დეკემბერს ილიას გამზრდელი მამიდა, მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისა გარდაიცვალა.

„გიჟსავით დავდივარ ოთახიდამ ოთახში, – წერდა ილია ოლღას, – ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ ესე პირშავად დავრჩით მამიდის წინაშე".

ილიასთვის მაშინღა შეუტყობინებიათ ეს სამწუხარო ამბავი, როცა ცხედარი უკვე მიწას იყო მიბარებული...

1873

უკანასკნელი თვეები დუშეთში. ცხოვრებისა. პეტერბურგში. ილია ბანკის პრაქტიკანტი. ტყვიის სროლით დამთავრებული ლიტ. პოლემიკა. ნიკოლაძისგან სამშობლოს მიტოვება.



პარიზი XIX ს.

„მე ეხლა მაქვს ხუთმეტი თუმანი, ამ მარტის ჯამაგირს ავიღებ – გახდება ოცდათხუთმეტი“...

ილიას წერილიდან ოლღასადმი

მემუარები მას არ დაუწერია, მაგრამ ილიას ცხოვრების აღმწერს ხელთ აქვს პოეტის პირადი წერილები. მაშინ კომუნიკაციის დღევანდელი საშუალებები არ იყო, თუმცა ზოგი ჭირი მარგებელია. დაგვრჩა მდიდარი ეპისტოლარული ჟანრი. ურთიერთ დაშორებული ადამიანები ერთმანეთს ხომ წერილებით ედიალოგებოდნენ.

რამდენი რამ არ გვეცოდინებოდა დღეს ილიას კერძო ცხოვრების შესახებ, მისი პირადი წერილები რომ არ შემოგვრჩენოდა.

ამ მხრივ, ერთი ყველაზე ხვავრიელი წელიწადი 1873 წელი იყო. ილიას პირადი წერილებით, ყოველდღიური თუ არა, მისი ცხოვრების ყოველთვიური ყოფის მეტ-ნაკლებად აღდგენა შესაძლებელია. ყველასი არა, მაგრამ ზოგიერთი წლისა კი შეიძლება. მაგალითად, რას აკეთებდა, როგორ ცხოვრობდა ილია იმ 1873-ში, ამის წარმოდგენას სხვადასხვა ადრესატებისადმი მიწერილი წერილების თანმიმდევრულად გადაჯგუფება სჭირდება. ეს გაიოლდა პავლე ინგოროყვასა და ნიკო ნიკოლაძის შემდეგ, რომელთაც კოლოსალური შრომა გასწიეს ილიასთან დაკავშირებული ზღვა მასალის მოსაძიებლად და დასათარიღებლად. 1873 წელი საკმაოდ ბევრ წერილს აწერია, ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. 1873-ში ილიამ საბოლოოდ გადაწყვიტა სულისშემხუთავი სახელმწიფო სამსახურისათვის თავი მიენებებინა და თბილისს გადმოსულიყო. ეს ოცნება სულ ჰქონდა, მაგრამ გასაქცევი გზა არ ჩანდა. ეს გზაც გამოჩნდა. ბანკის შექმნის იდეამ უშველა. საქმე ისაა, რომ ვერავინ მოაბა თავი საქართველოში ბანკის დაარსების საქმეს. 1865 წლიდან მოყოლებული, როცა ეს იდეა დიმიტრი ყიფიანს გაუჩნდა, მისი განხორციელება პრაქტიკულად ვერავინ შეძლო. არადა, დიმიტრიმ მშვენიერი რამ მოიფიქრა – ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ კომპენსაციის სახით მოცემული ფულიდან ნაწილი არ

ავიღოთ, ბანკი დავაარსოთ და თავადაზნაურობა ამ ფულიდან მეტ ხეირს ვნახავთო.

ყველა თანახმა იყო. მაგრამ ერთია იდეა, მეორე – საქმე. საქმის გაკეთება ვერავინ შეძლო. ახალთაობამ 1872 წელს გადაწყვიტა, ილია დუშეთიდან ჩამოეყვანათ და ბანკის შექმნა მიენდოთ. ძველებმა იბუზღუნეს, არ უნდოდათ, მაგრამ დასთანხმდნენ... ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. მწერლებთან გზავნილების გარდა ამ საკითხზეც უწევს 1873 წლის მანძილზე ილიას სხვადასხვა პირებთან მიმოწერა.

მეორე მიზეზი პირადი წერილების სიუხვისა.

ილია მთელი ზამთარი და გაზაფხული დუშეთშია, ოლღა ბაქოში ეწვია სტუმრად დას და სიძეს. მისი სიძე, სტაროსელსკი, იმჟამად ბაქოს გუბერნატორი იყო. ზაფხულიდან მოყოლებული ილია რუსეთშია ბანკის საკითხებზე მივლინებული, ოლღა აქეთ არის. თითქმის ყოველ კვირას ცოლ-ქმარი ერთმანეთს წერილობით ედიალოგება. ოჯახისთვის რა გითხრათ, მაგრამ ძალიანაც კარგი მემატიანისთვის. ამ მიმოწერის მეოხებით თითქმის მთელი წელი ილიას ცხოვრებისა ხელისგულზე უდევს აღმწერელს ჟამთა.

15 იანვარი, 1873 წ. ილია ოლღას. ჩემი მშრალი კომენტარებითა და მკითხველის ცოცხალი ფანტაზიის იმედით.

„ჩემო კარგო ოლიკო! რაც შენ წახვედი (ოლღა გაემგზავრა ბაქოში), ასეთ გუნებაზედა ვარ, რომ მოწყენილობისა გამო ძაღლისავითა დილიდამ საღამომდე ვღრინავ, რაკი სუდიდამ გამოვალ მე, შენი ბურთივით მრგვალი ქმარი (ილია ხშირად თავად ხალისობდა გრ. ორბელიანის დახასიათებაზე (ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალიო), დავგორავ ჩვენს დიდ ზალაში (აქაც ირონიაა, ვიწრო ზალა ჰქონდა) უაზროდ, უსაგნოდა და ყოვლად სულელურად. მარტოობა ძნელი ყოფილა. შენ კიდევ რა გიჭირს? შენ დასთანა, სიძესთან და დისწულებთანა ხარ (ოლღამ ბაქოში ჩააკითხა დას, ეკატერინეს (კატო), სიძეს დიმიტრი სტაროსელსკის და დისწულებს თამარს და ნიკოლოზს (კოლა). მე ვარ საცოდავი ამ უკაცურ კაცებს შორის (ილიას ამ დროს ებრძვიან მოშურნენი, რათა ბანკის სათავეში არ გავიდეს, განსაკუთრებით – მისი ახლობელი ნიკო ჭავჭავაძე). ეს არის კარგი, რომ ჩემს დამბადებელს ყოვლისფრის ატანის შეძლება მოუცია ჩემთვის“...

„დღეს კარპენკას მოველი, ჩემთან ჩამოხდება. ვერაფერი სტუმარ-მასპინძლობა გვექნება, მაგრამ ამასაც ავიტან და უკანასკნელ უსიამოვნებას ჩემის სამსახურის უკანასკნელის დღეებისას

ამით გადავიხდი". (ეს კარპენკა არის ვინმე მიხეილ ნიკოლოზოვიჩი, სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი, რომელიც რევიზიაზე ჩასულა დუშეთში და დაბინავებულა ილიასთან).

„მე რვასა შინ მოვედი და გლახის ნაამბობი თითქმის შევასრულე. მგონია, ურიგო არ გამოვა". (ილიამ „გლახის ნაამბობს" დეკემბერ-იანვარში დაამატა თავები და საბოლოო ტექსტის ბეჭდვა დაიწყო იმავე წლის „კრებულის" პირველ ნომერში). „ეს კია, რომ კარპენკას მოსვლა ვერაფრად მოუხდება ჩემს გლახის ნაამბობსა („გლახის ნაამბობის" წერაში გართული ილია, რომელსაც „კრებულიდან" აჩქარებენ ნაწარმოების დამთავრებას. ილია, რომელთან წერის დროს ფეხაკრეფით შესვლასაც ვერავინ ბედავდა და ამ დროს გვერდზე უზის რევიზორი კარპენკა)... კატოს უთხარი, რომ ამ ჩემს ნაამბობში არავისა ვლანძღამ-თქო". (ამ ერთ ფრაზაში კი მთელი ის „იდილიაა" წარმოსადგენი, რასაც ილია არისტოკრატ ნათესავებს „ჩუქნიდა" თავისი კალმის გადამკიდე. XIX საუკუნიდან რომელ თავადსაც კი აქ ვიხსენიებთ, ყველა თითქმის ერთმანეთის ახლო თუ შორეული ნათესავია. ესეც არ იყოს, ილიას ცოლისდა კატო დიდი ჩინოვნიკის მეუღლე გახლდათ, ამიტომ ილიასგან დიდკაცების ლანძღვა არც თადეოზს, ილიას სიმამრს უხაროდა და არც ქვისლის ოჯახს. ამიტომ ჩაუხველებს ოლღას ილია, შენს დას უთხარი „გლახის ნაამბობში" არავის ვლანძღავო).

18 იანვარი. წერილს წერს ნიკო ნიკოლაძეს. ვგებულობთ, რომ ისევ „გლახის ნაამბობზე" მუშაობს, ეს კარპენკა ისევ არ მოსდის თვალში. აქვეა ერთი დამატებითი ინფორმაციაც. აპირებს გაგზავნოს გადამუშავებული „აჩრდილი", თუმცა ნიკოს წინასწარ აფრთხილებს, „ვიცი, რომ XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის. ისევ ისა სჯობია, ჩვენ წინადვე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს".

ეტყობა ნიკოლაძემ არ დაუჯერა. წინასწარ არ წაშალა, მაგრამ ცენზორის ფხიზელ თვალს არაფერი გამოჰპარვია, ილიას მიერ ნავარაუდევი ოთხი სტრიქონიდან „კრებულის" მე-2 ნომერში დაბეჭდილ ტექსტში სამი წაშლილია. ეს სტრიქონები იყო:

„გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან (დარჩა)
მთავრის ღიმილზედ – პატიოსნებას,
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას".

მთავარში, რომელსაც ცენზორი გაუფრთხილდა, იგულისხმებოდა მეფისნაცვალი ან მეფისნაცვალნი. განსაკუთრებით ბარია-

ტინსკი ყოფილა მუსუსი. ეს მიხეილ ნიკოლოზის ძეც ერთგულად იცავდა ბარიატინსკის დანერგილ ტრადიციებს. ბარიატინსკიმ ხომ ულამაზესი ქალი წაართვა თავის ადიუტანტს, დიმიტრი ორბელიანის ქალიშვილი ელისაბედი (ლიზა). მიხეილ ნიკოლოზის ძეს კი ერთხელ, იმავ დიმიტრი ორბელიანის ძმისთვის, ვახტანგისთვის უთხოვია, შენი მშვენიერი ასული მარიამი პეტერბურგში დედოფალთან გავგზავნოთო. ფრეილინობაზე იმ დროს მთელი რუსეთის დიდგვაროვანი ასულები ოცნებობდნენ. მეფისნაცვალმა იფიქრა, ამ წინადადებით ორბელიანს გავახარებო. სახტად კი დარჩა... უარი მიიღო. პირში ვერ უთხრა, მაგრამ ვახტანგი იქიდან სულ ფურთხება-ფურთხებით წამოსულა, თქვენც შეგარცხვინეთ და თქვენი გათახსირებული დედოფლების გარყვნილი ბუნაგიცო...

ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილი წერილი კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაციით მთავრდება. „ბარათაშვილის ოთხი წიგნის მეტი ჩემს დას და სიძეს არ ჰქონდათ და ოთხივე მანდ გამოგიგზავნეთ". როგორც გახსოვთ, ბარათაშვილის ლექსები ილიამ დაუბრუნა ხელახლა თავის სამშობლოს. ეკატერინე ჭავჭავაძემ გადასცა პეტერბურგში. ახლა კი დას და სიძეს მისთვის ნიკოლოზის ოთხი წიგნი, ანუ ოთხი წერილი გადაუციათ, რომელსაც ილია დასაბეჭდად გზავნის. იგულისხმება ბარათაშვილის პირადი წერილები. საიდან მოხვდა ილიას დის ოჯახში ბარათაშვილის წერილები? შევახსენებ მკითხველს, რომ ილია არა მარტო სულიერი ნათესავი იყო ტატოსი, ოჯახურადაც დაუნათესავდა ბარათაშვილებს. ილიას სიძე, უმცროსი დის ელისაბედის ქმარი, ალექსანდრე საგინაშვილი (გენერალი) იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი. ასე რომ, ტატოს მამიდაშვილის ოჯახში ინახებოდა ეს წერილები.

23 იანვარი. ილია კირილე ლორთქიფანიძეს უგზავნის „გლახის ნაამბობის" კორექტურას, ჰპირდება, ხუთშაბათს, 25 იანვარს, ლექსებს გამოგიგზავნი, ერთს – ბარათაშვილის ლექსსაცო.

29 იანვარი. კირილე ლორთქიფანიძეს უგზავნის ნაწილს იმ ხალხური საუნჯიდან, რასაც ჰკრებდა და იწერდა ილია დუშეთში მოღვაწეობის პერიოდში.

აქვე ატყობინებს კირილეს, რომ ბანკის თაობაზე კიდევ ერთხელ უმტრო ნიკო ჭავჭავაძემ. „ცუდკაცობა იმას შერჩება და მე ისევ ის ვიქნები, რაც ვარ"-ო.

29 იანვარი. იმავ დღეს ილია დას ლიზას თხოვს, მისმა მეუღლემ შეუაროს გრიგოლ ორბელიანს. იქ ერთი დიდი საქმე იხილებაო.

1 თებერვალი. ილია წერს დუშეთიდან სერგეი მესხს წერილს და ამთავრებს ასე – „ბიჭო, ერთი მეწვივენით დუშეთს". შეპირდნენ, პირობა არ შეასრულეს, მეც, თქვენმა მონა-მორჩილმა, მკითხველო, უნდა დავარღვიო პირობა. ილიას წერილთა ქრონოლოგიას ველარ გავყვები. იმდენი რამ გახდება მოსაყოლი, ერთი წიგნი 1873 წელს დასჭირდება, ამიტომ იძულებული ვარ, ამაზე ხელი ავიღო და მოკლედ ვთქვა, ილია დუშეთს რჩება 1873 წლის მაისის ბოლომდე. იქ ორ საბუთს ელოდება. 1) მოიწონებს თუ არა თბილისი მის პროექტს ბანკის წესდების შესახებ; 2) გამოუგზავნიან თუ არა პასუხს თხოვნაზე სახელმწიფო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

პირველი ცნობაც მიიღო და მეორეც. ამ მეორეს საშველი არ ადგებოდა. ნიკო ჭავჭავაძე, მისი ბანკში გადაყვანა რომ ჩაეშალა, ასეთი უცნაური საჩივრით ჩიოდა – „ატსტავკაში" არ გაუშვათო. თუ თვითნებურად წავიდოდა, იმ 20 თუმანს დაუქვითავდნენ, ეპიგრაფში რომ იყო ნახსენები... ერთი სიტყვით, ნაოცნებარი „ატსტავკა" უბოძეს.

კარპენკამაც უსაყვედურო დაამთავრა თავის რევიზია. დუშეთში მთელი მაისი სუფრა-სუფრას მისდევდა. იყო გადაპატიჟება და გადმოპატიჟება, დუშელები სიყვარულით და სინანულით ეთხოვებოდნენ თავის დაუვიწყარ მოსამართლეს.

„დუშეთში პირველი მაისიდამ სულ სადილებს გვიმართავენ, – წერდა ილია ოლღას, – საზანდარებიც დაიბარეს ქალაქიდამ და ვიდრე მე წამოვალ, იმ დრომდე საზანდარები აქ ეყოლებათ... ჩემს მაგიერ სავანელი დანიშნეს, სავანელის მაგიერ თულაევი და თულაევის მაგიერ ფურცელაძე". ღმერთმა კეთილსახსოვარი ჰყონ ერთიც, მეორეცა და მესამეც, მაგრამ როგორია ილიას მაგიერ რომ დაგნიშნავენ? როგორია და ამ სავანელმაც და იმ სხვებმაც უკვდავებას გამოჰკრეს ხელი, აგერ ლამის ას ორმოცდაათი წლის შემდეგ ვახსენებთ... (ეს სავანელი ჟურნალისტობდა კიდეც)

გამოსამშვიდობებელი სუფრებიდან კიდევ ერთი ვიღაც ბერძენი შემოგვრჩა უკვდავყოფილი. იმდენად კომიკური სურათია, მინდა მკითხველიც გახალისდეს. სუფრაზე ამ ბერძენისათვის რაღაც გასახარელი ამბავი უცნობებიათ (თუმც, რაღა რაღაც, ილიას პროტექციით სტაროსელსკიმ სამსახურებრივი საკითხი მოუგვარა). ილია აღუწერს ოლღას: „საწყალი გრეკი სიხარულისგან სრულად გაშრა და არ იცოდა რა ექნა და ბოლოს მოვიდა ჩემ-

თან. მეც მეგონა ჩემი კოცნა უნდოდა მეთქი და მეც კოცნისათვის მოვემზადე. მომეხვია სანყალი და ისე აირია, რომ პირის მაგივრად მუცელზედ მაკოცა. სიცილით დავიხოცენით. მართალია ჩემი მუცელი, როგორც მოგეხსენება, პატივსაცემად გაბერილია, მაგრამ მაინც და მაინც კოცნისათვის დანიშნული არ არის".

ილია თბილისს ჩამოდის. მოწონებულ წესდებას ჩააბარებენ. თავადაზნაურობის მარშალი – რევაზ ანდრონიკაშვილი, ეს ის რევაზია, „გამოცანებში" რომ აბურთავა ილიამ – 80 თუმანსაც ჩაუთვლის და რუსეთს აგზავნიან სამი თვით. ახლა იქ, ცენტრში უნდა დამტკიცდეს წესდება, რათა ბანკის გახსნა შეძლონ. ილიას თან მიჰყვება გიმნაზიისა და სტუდენტობისდროინდელი მეგობარი დიმიტრი ყაზბეგი, რომელიც დუშეთშიც ილიასთან ერთად მუშაობდა.

ივლისიდან ისინი მოსკოვში, შემდეგ პეტერბურგში არიან, მაგრამ რომელი სამი თვე, იქ ისეთი ბიუროკრატიული, ყრუ კედელი დახვდებათ, მხოლოდ მომავალ, 1874 წლის გაზაფხულზე შეძლებს ილია უკან დაბრუნებას.

ოთარაანთ ქვრივივით რკინის ქალამანი ჩაიცვა. დადის უწყებიდან უწყებაში, სამინისტროდან სახელმწიფო საბჭოში. არც ჰო, არც არა. შეიტყო, რომ ასეთი საქმეები რუსეთში მხოლოდ ქრთამით კეთდება. ქრთამი კი არა, სულის გატანა უჭირს, 3 თვისათვის გამოტანებული თანხა მთელ წელიწადს როგორ ეყოფა, ისევ ოლღას სთხოვს, ცოტა კიდევ გამომიგზავნე, დაუმთავრდება და ისევ ოლღა, ეს გაყიდე, ის გაყიდეო, – სწერს.

აქ მარშალი ანდრონიკაშვილი იფშვნეტს ხელებს, არ დავიწყებია წელიწად-ნახევრის წინ მთელ დუნიაზე რომ მოსჭრა თავი ილიამ. იფშვნეტს ხელებს და გაიძახის, რაც გავატანე თანხა, ისიც არ უნდა მიმეცა, დროის სატარებლად წავიდა ეგ უსაქმურიო. ხომ ვიძახდი, ეგენი არაფრის გამკეთებლები არ არიან, მარტო სიტყვების რახა-რუხი ეხერხებათო. ეს ხმები ილიამდეც მიაღწევს. ისე გამწარდება, იმისგან დამატებითი სამივლინებო ფულის გამოგზავნაზე უარს იტყვის. ილია წერს ოლღას: „რევაზმა ოცდაათი თუმანი კიდევ შემომაძლია, მაგრამ სხვადასხვა საძაგლობის გამო, რომელიც ზედ დაეტანებინა, მე ფულზედ უარი უთხარი და ლაზათიანადაც გამოგილანძღე რევაზიცა და სხვა მისი დამქაშებიცა... ქართველებთან საქმის დაჭერა ძნელი რამ ყოფილა, მაგრამ კაცთა უმადურობის სიბილწე არა ერთხელ გამომიცდია... ავ კაცობა ავ კაცსა შერჩეს, თორემ მე რა? ამ ბანკის საქმეს ყველაფერი შევნი-

რე: შენი მშვიდობა, ჩემი მშვიდობა, ჩვენი უზრუნველი ცხოვრება, ჩემი სახელი, ჩემი კარიერა. ვისაც თვალი აქვს, დაინახოს, ვისაც გული აქვს, იგრძნოს, ვისაც ჭკუა აქვს, აწონოს, და ვისაც არა აქვს რა, იმან პატარა გოშიასავით უკანიდამ ყეფა დამიწყოს".

პირადი ინტერესისათვის რომ იბრძოდეს, ამ უმადური ხალხის გადამკიდე და იქით გონებადახშული რუსი ბიუროკრატებით გასავათებული, სულ წამოვიდოდა პეტერბურგიდან, მაგრამ „ვაი ჩვენს თავადაზნაურობასა". უბანკოდ თავად-აზნაურთა იმედები ხომ იმსხვრეოდა? რაც მთავარია, ილიას პროექტი ამ ბანკს ფაქტიურად ქართული კულტურის გადარჩენის ფუნქციასაც აკისრებდა ხომ? ბანკის მოგებით უნდა დაფინანსებულიყო ყველა ეროვნული მნიშვნელობის წამოწყება. ამას როგორ დაანებებდა თავს. ის კი არა, იმდენი იწვალა, სადღაც ბანკში, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, პრაქტიკანტადაც კი მოეწყო (დახმარებია ქვისლის, სტაროსელსკის მეგობარი), რათა საბანკო საქმე თავად შეესწავლა ზედმიწევნით კარგად.

ეს პრაქტიკანტობაც წესდების დამტკიცებაზე მეტად იოლი არ აღმოჩნდა. სად არ იარა, რომ ბანკში შეეშვათ. ყოფილი მეფისნაცვლ ბარიატინსკის ძმა სცნობია ვასილ მაჩაბელს, ილიას მეგობარს, რომელიც იმხანად პეტერბურგს იმყოფებოდა. ვასილს სთხოვს ბარიატინსკის ძმის მეოხებით მომიგვარე ბანკში შეშვების საქმეო. გაჭიანურდა, ვერ უპოვიათ ის კაცი. ილია ამდგარა და, – „მე აღარავის მოვუცადე, ავიღე თავი და პირდაპირ მოსკოვის ბანკის უპრავლიაიუშთან (ვიღაც ვოლკოვი გდია) შევეხეტე. ვუამბე ყოველივე ჩემი ნაღველი შესაფერის წინასიტყვაობითა, ვეცადე, რომ მისი კაცობრიული გული ამეძრა ჩვენდა საკეთილდღეოდ, მაგრამ ცერცვი კედელს. ვერაფრით ვერ მოვიბირე, ისეთი ბრიყვი რამ ყოფილა. გადაწყვეტილად უარი მითხრა, ვერასგზით ნებას არ მოგცემთ, რომ ჩვენი წესი შეისწავლოო"... იუმორის გრძნობა გაბრაზების ჟამსაც არ ტოვებს ამ ცივ ქვეყანაში მოხეტიალე დამწყებ ბანკირს... ის კი არა, პოლტავაშიც კი ჩასულა. საინტერესო რამეს იწერება ოლღასთან: „პოლტავაში დამიბარეს ბანკირთან მოსალაპარაკებლად და იქ ექვსი დღე ვიყავი, ვერა გავარიგე რა. პოლტავის გუბერნიაში ბევრი ქართველები არიან, უწინდელი გადმოსახლებული და ძალიან მდიდრები, ბარათოვებიც არიან, ორბელიანებიც, მესხელოვებიც და თითქმის ყველა გვარის კაცი, ჭავჭავაძიანთ გარდა. როგორ ეტყობათ, რომ

ჭავჭავაძიანთ უწინაც თვისი ქვეყანა ჰყვარებიათ, რომ თავი არ დაუნებებიათ"-ო.

არაფერი ამ უმზეო ქვეყანაში ილიას არ მოსწონს: „ყველა დიდი ქალაქი საზოგადოდ და მოსკოვი განსაკუთრებით ფრიად მეჯავრება".

„ქალი თუ კაცი სულ უნამუსობას უჩვენებენ პუბლიკას... დასწყევლათ ღმერთმა! დაილოცა კიდევ ჩვენი ნამუსიანი ტფილისი". ასეთი განწყობით დადის ხან მოსკოვის, ხან პეტერბურგის ქუჩებში ამ ბანკის საქმეების დევნაში. წესდებას არ უმტკიცებენ, მაგრამ იმ წელიწადს პეტერბურგში ყოფნამ ერთი დიდი საქმე მაინც გააკეთებინა. ვასო მაჩაბელმა გააცნო თავისი ძმა, სტუდენტი ივანე მაჩაბელი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურს და იმდენად ნიჭიერი ყოფილა, ილიას შეუთავაზებია ერთად ეთარგმნათ შექსპირის „მეფე ლირი". თავის ქება ნამდვილად არ უყვარდა, მაგრამ ასეთი თარგმანი რუსებს არა აქვთ, „აქაური ყმაწვილკაცობა მაგ თარგმანისათვის გაგიჟებულია და აღტაცებაში მოსული" – თარგმანის გასრულების შემდეგ სიამაყით დაწერს ილია.

დრო და დრო ნაცნობები ეპატიჟებიან. მოგეხსენებათ, ბანქოს თამაში უყვარდა. „წუხელ ლაზარევთან დაპატიჟებული ვიყავ, ჩამსვეს დაწყევლილ ბეზიკში და ცამეტი მანეთი მომიგეს. წარმოიდგინე ამ სიკოტრეში რა გუნებაზედ წამოვიდოდი შინ, – ამ წერილსაც ოლღას წერს, თან აგრძელებს ასე, – იქ ვიღაც სტეფანოვი, თელაველი სომეხი ვნახე თავისი ცოლით. „უჩასტკის უპრავლენიეს პისარი" იყო ყვარელში ამ ოცის წლის წინად და ხუთი მანეთი ჰქონდა, იმისი ცოლი ნახევარზედ მშიერ–მწყურვალი ეგდო. ეხლა ეგ სტეფანოვი მილიონერია".

ამ სტეფანოვისა ილიას როგორ შეშურდებოდა, მაგრამ გაკვირვებული კია, მაინც როგორ ხდება, უფალო, ხშირად ვისაც თავი ტვინით აქვს სავსე, ჯიბე აუცილებლად ცარიელი უნდა ჰქონდეს, ვისაც ჯიბე აქვს სავსე, იმას თავი ცარიელი...

ივანე მაჩაბლის წყალობით ილია მ̣თელი პეტერბურგის სტუდენტობამ პირადად გაიცნო. აღფრთოვანებულნი არიან მისი გაცნობით, ერთხმად აღიარებენ ქართველი ინტელიგენციის წინამძღოლად და აი, გაზეთ „დროების" მეშვეობით პეტერბურგში ამბავი ჩადის, მეორე მათთვის სათაყვანებელი ნიკო ნიკოლაძე, ჭორებით, ცილისწამებით, საჩივრებით, ყოველგვარი უმსგავსობით ლიტერატურულ შულერთაგან შეწუხებული პროტეს-

ტის ნიშნად 1873 წლის ბოლოს ტოვებს საქართველოს და მიდის საზღვარგარეთ. ილია უაღრესად შეწუხებული 6 დეკემბერს სწერს პეტერბურგიდან: „ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, – წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დასწერე ის რასაც შენი სახელი აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათს ბზუილზე გაფრთხი? მე იმოდენად შენ პატივს გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყვოს. მე მგონია, რომ ეგ ფელეტონი წუთიერის მღელვარების შედეგია და არა დამჯდარის გონების დასკვნა. წუთიერის მღელვარებით ამით თუ გავამართლებ შენს ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა აქვს რა.

ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ სად?“

შეუძლებელია ამ წერილის მშვიდად ჩაკითხვა ბოლომდე, ეს კერძო წერილი არის ღაღადისი სხვისი ნიჭით აღფრთოვანებული კაცის სულისა, რაც ასე აკლია ადამიანებს.

და მაინც, დაუნდობელი ლიტერატურული ბრძოლების გარდა, რომელიც ხშირად ნიკოს მიმართ დაუმსახურებელ, უმსგავსო ცილისწამებაში გადადიოდა, რამ აიძულა ნიკოლაძე, დაეწერა ასეთი გამოსათხოვარი? – „როგორც მკვდრისთვის, ჩემთვისაც დადგება ჯერ მოსვენებული და პირუთვნელი სჯის, და შემდეგ მალე – ძლიერ მალე სრული მივიწყების დრო. დაღალული, დაქანცული, ილაჯგაწყვეტილი ვტოვებ მე ჩვენი მწერლობის ასპარეზს და ჩვენი სამშობლოს ჰაერს, სრული ბედნიერებით ვეთხოვები ყველას ვისაც ვძულვარ ან ვუყვარვარ, ვესალმები ყველას, ვინც მებრალება ან მიყვარს, და მტერ–მეგობარს ნეტარებით ვეუბნები – „მშვიდობით!“

ამ გამოსათხოვარ წერილს წინ უსწრებდა დაძაბულობა აკაკისთან. ნოემბერში იმის გამო, რომ აკაკის ერთ წერილს კაცხის სამონასტრო მიწების გამო არ დაეთანხმა დროების რედაქცია – კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე (რედაქტორი ს. მესხი საზღვარგარეთ იმყოფებოდა) აკაკი ძალიან განაწყენდა. უმნიშვნელო ამბავზე, მაგრამ იმ ხანებში ისედაც ნერვები ჰქონდა დაგლეჯილი. თბილისში თავისმა რუსმა მეუღლემ ჩამოაკითხა. აკაკიმ 7 ოთახი დაუქირავა თავისი ავეჯით ორბელიანთუბანში. ის ქალი აქ 4 თვე იყო. აკაკი ქირას ვერ იხდიდა. ავეჯის პატრონი ავეჯის გატანით ემუქრებოდა. ამ ქალმა წასვლა მოინდომა. აკაკის იმის გა-

სამგზავრებელი ფული არ აქვს. აქეთ ეცა, იქით ეცა. ფული არავინ ასესხა. ბოლოს სასულიერო პირმა გრიგოლ დადიანმა მისცა 150 მანეთი. აკაკიმ ეს თანხა მთლიანად მეუღლეს გადასცა და მეორე დღესვე რკინიგზით მოსკოვს გაამგზავრა. თავად ერთი ოთახი იქირავა, ავად იყო. ზაქარია ჭიჭინაძე უვლიდა. ამ ამბების შემდეგ, თავის მეგობრებმაც გაანაწყენეს ერთი წერილის გამო. ადგა და აკაკიმ ნიკოლაძის გამოსათხოვარ წერილს პაროდია მიაყოლა, რომელიც ასე იწყება: „მშვიდობით!.. მშვიდობით!.. მშ...ვი... დო... ბით!"

„...ნასადილევს რომ თქვას გამაძღარმა და მადა-დაკარგულმა კაცმა, დღეის იქით პურს აღარ ვსჭამო, განა დასაჯერებელი საქმე იქნება? ასეა მწერლის საქმეც, განა მწერალი კალამს მოიშორებს?"

ასე მტერ-მოყვრულად ჩაუკრა აკაკიმ თავის მეგობარ ნიკოლაძეს, მაგრამ ანტონ ფურცელაძე კი მართლა ნამდვილ მტერსავით მოექცა ნიკოს და ბოლო წვეთიც ემოციური ნიკოლაძის წასვლის გადაწყვეტილებისა, გამოსამშვიდობებელი წერილის გარდა, ალბათ ეს იყო. მართალია, ნიკომ „მნათობი", რომლის ღირსებასაც ანტონ ფურცელაძე იცავდა, როგორც მისი თანამშრომელი, ასე გამოიტირა: „თავდება „მნათობის" გამოცემა. ღმერთმა საუკუნო განსვენება მიანიჭოს იმას და შეუნდოს შეცოდებანი მისნი, ნებსითი და უნებლიეთი... როგორც შეეფერება დავსებულ სანათს „მნათობმა" სიკვდილის დროს, შეჰკრიბა რაც ღონე ჰქონდა, გაიელვა, აპრიალდა და ისე ჩაჰქრა, მაგრამ ამ გაჭირვებულ აპრიალებას და აუცილებელ გაქრობას ისეთი კვამლისა და ხრაკის სუნი ამოჰყვა, რომ ხანგრძლივი იქნება მისი მოგონება და ზიზღი"-ო. სხვაც ბევრი მწარე სიტყვები აკადრა ნიკოლაძემ მნათობსაცა და ფურცელაძესაც, მაგრამ რაც ფურცელაძემ ჩაიდინა, ამის გამართლება შეუძლებელია. მივიდა სტამბაში, ნახა ნიკოლაძე, მიაბჯინა გულზე რევოლვერი და ფეხი გამოუშალა. ნიკოლაძემ იმარჯვა, სწრაფი მოძრაობით ლულა განზე გასწია და ტყვიამ მხოლოდ ხელი გაუკაწრა. „როცა ბატონ ნიკოლაძემ სიცილით ჰკითხა მოწინააღმდეგეს, „ხომ არ გაგიჟებულხარო", „ჭკვიანმა ლიტერატორმა" ჩახმახი ისევ ფეხზე შეაყენა". გაიმართა ორთაბრძოლა, ტყვია მეორედ გავარდა, მაგრამ ნიკომ მოახერხა რევოლვერი წაერთმია (იხ. ა. ბაქრაძის წიგნში „თხზულებანი" ტ.I,გვ.492). ნიკოლაძის გამოსალმება ამ ინციდენტამდე დაიწერა, რადგან ი. მეუნარგიას

თავის სემინარიელის დღიურში, 21 დეკემბერს ჩაუწერია: ფურცელაძემ თავისი სიბეცე გუშინწინ დაამტკიცა, ნიკოს რომ ესროლა, იმან კი თავისი კარგი კაცობით არც უჩივლაო. (ნიკოლაძის გამოსალმება ხომ 18 დეკემბრამდეა დაწერილი). შორიდან, პეტერბურგიდან კი ილია არა მხოლოდ თვითონ სთხოვს ნიკოს დარჩეს საქართველოში, დარჩეს როგორც ფალავანი უკეთესი საქართველოსთვის ბრძოლაში, არამედ მის გარშემო შემოკრებილ სტუდენტობასაც მსგავსი შინაარსის წერილს გამოაგზავნინებს ნიკოს მისამართით.

ამაოდ. ნიკო ისე იყო გულშეძრული უნამუსოდ დაგებული ხაფანგებით, რომ გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია, საქართველოდან წავიდა...

სხვათა შორის, საინტერესოა იმ სტუდენტების ვინაობა, რომელნიც „ჩვენ უჩინონის" სიმდაბლით ნიკოლაძეს სთხოვენ და ამუნათებენ არ დატოვოს სამშობლო და არ განუდგეს მამულიშვილურ საქმიანობას. უჩინონი კი არა, ამ წერილის ხელმომწერთაგან თითქმის ყველა ჩინებულ მამულიშვილად მოგვევლინა. მათ დევნა, ციხეები, კატორღა იწვნიეს საქართველოსათვის. მაგ. ეგნატე იოსელიანი, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ანთიმოზ გამყრელიძე, მიხეილ (მიშო) ეაიხოსროს ძე ყიფიანი, ისიდორე ქიქოძე, რომან ფავლენიშვილი, ლევან ჩერქეზიშვილი, ისიდორე წეროძე, იოსებ ქიქოძე, კონსტანტინე ნაცვლიშვილი, ქაიხოსრო ფურცელაძე, დავით ფურცელაძე, ნიკო ხუდადოვი, დიმიტრი ნაზარაშვილი და სხვები. წერილს ბოლოს ხელს აწერს მორიგი „უჩინო" ივანე მაჩაბელი.

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ თითოეული მათგანი საინტერესო ბიოგრაფიის კაცია. დიდი ნაწილი მათი დაღუპულია სრულიად ახალგაზრდა, დევნასა და ციხეებში.

აქ უნდა დამესვა წერტილი 1873 წლის ამბებისათვის, მაგრამ მოდით ერთიც აღვნიშნოთ. ყვარელში იმ წელიწადს ვენახი სრულიად გაფუჭებულა, პურის მოსავალიც ვერ მიუღიათ. ილიას სახლი გაუძარცვავთ და ორი წითელი ცხენი მოუპარავთ და ერთი წვრილმანიც – მოსკოვში ოლღას დისწულს, სტაროსელსკის შვილს, მეორე კლასელ ლიცეუმელ სანოს თავისი თანაკლასელი იანოვსკი გაულახავს გვარიანად. კი, იმ წყეული იანოვსკის შვილი.

1874

ილია პეტერბურგში. ბანკის საქმეების გაჭიანურება. ილიას ძმისწული სენო. მისი გარდაცვალების ამბავი. კირილე ლორთქიფანიძის ორიგინალური ავტორეცენზია.



ცარსკოე სელო

„თუ რუსეთს დალუპავს რამე, სწორედ ეს მსუნაგი, ნამუსახდილი, მტაცებელი, ბრიყვი ჩინოვნიკობა დალუპავს".

ილია

საძაგელ გუნებაზე შეხვდა დამდეგ 1874 წელს. უქმე დღეები ისედაც არ უყვარდა. ტყუილად კი არ ამბობდა ჭაბუკობისას, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის ძალისა და ღონის მიმცემიო. ამ იძულებით შესვენებებს, გამოცარიელებულ დაწესებულებებს, სავალდებულო უქმობას ცუდი განწყობით ხვდებოდა. ბანკის გამო თითქმის იმედიც გადაეწურა. 3 თვით წამოსული კაცი, ნახევარი წელი შესრულდა და ისევ რუსეთშია. ამათი ჩინოვნიკების გადამკიდე ახალ წელს სრული უიმედობით ხვდება. 2 იანვარს ამ განწყობით წერს ოლღას წერილს, არაფერი გულგასახარი ამ უიმედობის დასაძლევად. ნაახალწლევს თითქმის სასონარკვეთილი იწერება: „აი მოვიდა 15 იანვარიც და ჩემს ღრუბლიანს ცაზედ მაინც არ გამოვიდა მზე. დასწყევლოს ღმერთმა აქაურობა თავის სამინისტროებითა და უნუგეშოებითა. არ იქნა არა და ჩვენი უსტავი ვერ გადავიდა „გოსუდარსტვენნი სოვეტში". არ ვიცი, ღმერთმა იცის, რა ვქნა, რაც ღონისძიება ხელთა მაქვს ყოველისფერსა ვხმარობ, მაგრამ რას უზამ იმისთანა ხალხს, რომლებისთვისაც ღმერთს არც მოტვლეპილს კეფაში ტვინი ჩაუდვია და არც მყრალს გულში გრძნობა. მატყუებენ, მატყუებენ და მაგ მოტყუებას ბოლო არა აქვს. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი ამათ ბრჭყალებიან ხელში ჩავარდნისაგან. ვერ წარმოიდგენ, რა ხალხია. ღმეჭია, ღრეჭია, ფლიდი და მურტალი, ერთი ერთმანეთს ასხედან და რუსეთის იმპერიის საქმეს აწარმოებენ. საშინელი მდგომარეობაა ჩემი: სირცხვილით ვერ წამოვსულვარ და მწუხარებით ვერც აქ დავმდგარვარ. არ ვიცი რა ვქნა, წამოვიდე, ყბად ამილებენ, არც წამოვიდე კიდე – შენი მაგრე ყოფნა (ოლღას მიმართავს, ნ.გ.) და ჩემი უშენოდ გდება გულს მიწამლავს". ერთი კვირის შემდეგ 23 იანვარს – „დავიღალე და ძალიანაც დავიღალე, მომწყინდა აქაურობა, უფერო, უმზეო, უსითბო, უგრძნო, უჭკუო, უღვთო"... მოკლედ, ყველა სიტყ-

ვიდან ჩანს, როგორ ძალიან „უყვარს“ ილიას ჩრდილოეთის ეს დათვი ქვეყანა, მაგრამ არ უყვარს დამარცხება, არ უყვარს ფარ-ხმალის დაყრა. არ შეიძლება მისი ხელცარიელი დაბრუნება. ეს მისი კი არა, საერთო საქმის და მთელი თაობის მარცხი იქნება. როცა თავადაზნაურობამ 1872-ში ილიას მიანდო ბანკის დაარსებაზე ზრუნვა, ეს ხომ დიდი ბრძოლის შედეგად მოხდა. ძველებს თავის ფალავნად დიმიტრი ყიფიანი ჰყავდათ. დიმიტრის 1865 წლიდან მოყოლებული, მეროჭიკე ბერივით საქართველოს თავად-აზნაურთა თითოეული ოჯახი ჰქონდა მოვლილი. დადიოდა და სათითაოდ არწმუნებდა ყველას ბანკისათვის თანხა გაეღოთ, ასე იშოვა 80 ათასი მანეთი, მთავრობამაც 160 000 მანეთი გამოყო და 240 000 მზად იყო ბანკისთვის. ამ ვითარებაში ილიას ცეცხლოვანმა გამოსვლამ თავად-აზნაურთა კრებაზე ყველაფერი გადაწყვიტა. დიმიტრის, ამდენი წვალების მიუხედავად, ახალგაზრდა ილია ამჯობინეს და მას მიანდვეს საქმის დაგვირგვინება, მაგრამ მოწინააღმდეგენიც ხომ ჰყავდა? რა დღეში ჩააგდებდნენ უკან, ხელცარიელად დაბრუნებულს არა მხოლოდ მას, ყველა მის მხარდამჭერსაც. ასე რომ პეტერბურგში მარტო ბანკისთვის კი არ მიდიოდა ბრძოლა, არამედ იმის დასამტკიცებლადაც, რომ „სიტყვა-სიტყვაა“, და „საქმე კი სხვაა“ კი არა, მათთვის სიტყვა და საქმე ერთია. სხვაგვარად რა გაუძლებდა მუხრანსკების, ანდრონიკაშვილის, ლორის მელიქოვის და სხვათა ქირქილს. გრიგოლის ლექსი კი არსად დაკარგულა, პირიქით, თუ ადრე ხელნაწერით ვრცელდებოდა, სწორედ ამ 1874 წელს დაიბეჭდა. „პასუხი უღირსთა შვილთა“-ო. აკი ამუნათებდა გრიგოლი და სწორედ ილიას გულისხმობდა:

„აჰა დიდების
და სახელ-ქების
ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!...
რაღასა ელით?
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსა, ვინცა გყავთ ღირსი?...
რომ ბრძოლის ცეცხლი
ასტყდეს ფიცხელი,
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით
იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი!
რომ მისმა ხმამა,

ქუხილის მსგავსმა,
შესძრას ქვეყანა მის აღსადგენად!...
ვაი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს,
თქვენ დაებადეთ მის სადიდებლად!...“

ყარსის აღება კი არა, რამდენიმე რუსი ჩინოვნიკის კარი ვერ აუღია, მოდი და ასე უშედეგოდ დაბრუნებულმა გაუძელი იმ თავდასხმას, რასაც უკვე სავსებით მყარი პოზიციებიდან განახორციელებენ მასზე. ამიტომ უკან დასახევი გზა არ არის. უნდა თავისი გაიტანოს ამ „უფერო, უმზეო, უსითბო, უგრძნო, უჭკუო, უღვთო“ ქვეყანაში...

იცის, პროტექციის გარეშე ამ ბიუროკრატიაში არაფერი გამოვა. ცდილობს დიდკაცებში იტრიალოს და ყვავს კაკალი გააგდებინოს. იმპერატორმა ქალი გაათხოვა. ავსტრიის იმპერატორი ჩამოსულა, ის ხომ დედის ძმა იყო ალექსანდრე მეორისა, „ჩირაღდნები, ბაირაღები, ჯარების თამაში“, მოკლედ პეტერბურგში ერთი ყოფა და ამბავია. ილიაც მიდის იმ ბაღში, სადაც იმპერატორი და სხვა ხელმწიფენი ზეიმს მართავენ. მთელი ევროპის ზეპური საზოგადოება იქ არის. იქნებ ვინმეს გადაეყაროს. ამას თავისი ფიქრი აქვს. ერთი პატარა ბანკი რა გახდა? ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. 29 იანვარს მინისტრი ნახა. თებერვლიდან საქმე დაიძრა.

ზემოთ ვნერდი, ილიას ყვარელში ორი წითელი ცხენი მოპარესმეთქი. ერთი ცხენი (მიშკას ეძახდა ილია), ისე ჰყვარებია, სევდიან გუნებაზე იწერება წერილს თუ უკვე დაიმედებული, მიშკა-ცხენი რომ არ მოიხსენიოს, არ იქნება, ეგებ, როგორმე იპოვოთო, იხვეწება, პლატონ იოსელიანზე უფრო ჭკვიანი იყოო, – ხუმრობს.

ყვარელში ახალი სახლის აშენებისთვის მასალების მიტანას ითხოვს და კიდევ ამ მიშკას პოვნას... ხუმრობა იქით იყოს, 1874 წლის 18 თებერვლის ოლღასადმი მოწერილი წერილიდან ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ირკვევა. ილიას ბიოგრაფებზე დაყრდნობით ადრე ვნერდით, ილიას ძმა კონსტანტინე 1854 წლის 3 ივლისსს ლეკებთან დევნისას რომ დაიღუპა, რუსი ცოლი და ჩვილი დარჩა. ის ქალი, ქმრის დაღუპვის შემდეგ, მოსკოვში დაბრუნდა, მალე გარდაცვლილა და ილიას ძმისშვილიც ციებით ადრევე დაღუპულაო. ილიას და ელისაბედი თავის მცირე მოცულობის მოგონებაში წერს: „ჩემი უფროსი ძმისა კონსტანტინეს ოჯახი, ქვრივი და შვილი სვიმონი გარდაიცვალნენ რუსეთში“. ამ ოჯახის შესახებ ეს ჩანაწერი გვაქვს და კიდევ ერთი გრიგოლ ყიფშიძისა: კონსტანტინეს „დარჩა ცოლი რუ-

სის ქალი, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა და ვაჟიშვილი, ჭლექით გარდაცვლილი რუსეთშივე. ილია განგებ წავიდა რუსეთში და ინახულა ძმისწული, როცა მისი ავადმყოფობის ამბავი მოუვიდა".

ელისაბედი დაა ილიასი, გრიგოლ ყიფშიძე კი მისი თანამშრომელი იყო. მათი ყოველი სიტყვა სანდოა, ამიტომ ილიას ყველა ბიოგრაფი მათ დაეყრდნო, თუმცა გრიგოლ ყიფშიძეს, როგორც ჩანს, უნებლიეთ შეცდომა მოსვლია, რომელიც დიდხანს არავინ გადაამოწმა. (მოგვიანებით ვნახე, რომ ამისათვის ყურადღება მიუქცევია გ. შარაძესაც)

ილიას ძმისშვილი ჭლექით არ გარდაცვლილა. არც ბავშვობაში დაღუპულა. ილიას ძმისწულს ერქვა სვიმონი, მაგრამ ამ სახელს როგორც ჩანს ამოკლებდნენ ასე – სენო. ეს იქიდან ჩანს, რომ ილია თავის მიმოწერით სამ ახლობელს მოიხსენიებს სახელით სენო. სენო ჰქვია მისი ცოლის დიშვილს, რომელიც იმ წელიწადს, 1873 წელს როცა ილია მოსკოვს ჩავიდა, მშობლებს დიმიტრი სტაროსელსკისა და ეკატერინე (კატო) გურამიშვილს მოსკოვის ერთ-ერთ ლიცეუმში გაუგზავნიათ სასწავლებლად. მას ხშირად ნახულობს ილია და ოლღას თუ თავის ქვისლს ხშირად სწერს სენოს სწავლისა და იქაური ყოფის შესახებ.

ასევე ილიას ძმისწულს მოფერებით ჰქვია სენო. სხვათა შორის, ეს ორივე სენო 1874 წლის 18 თებერვლით დათარიღებულ ილიას ოლღასადმი მოწერილ წერილში ერთადაც არის მოხსენიებული. ჯერ ძმისწულზე უამბობს ილია ოლღას – „გუშინ **ჩემი ძმისწული სენო** აქ პეტერბურგში მოვიდა და მე მნახა. ხვალ ისევ მიდის. დიდი სამდურავი ვუთხარი, რომ დაგვივიწყა. ბევრი ბოდიში მოიხადა, მაგრამ ეს კი უნდა გითხრა, ჩვენზედ სრულიად გულაყრილია. ღმერთმა მშვიდობა მისცეს. **სამხედრო სამსახურში იუნკრად აპირებს შესვლას;** მე თუმცა ვუთხარ, რომ ეგ სულელობაა-მეთქი, მაგრამ ისე მიიღო, როგორც კედელმა ცერცვი. თავის პორტრეტის მოცემას დამპირდა, მგონი მომატყუებს, მაინც ღმერთმა მშვიდობა მისცეს.

დიდ ხვეწნას იწერები, რომ **შენი დისწული სენო** მოსკოვში უნახავი არ დავაგდო. მაგას რაღა ხვეწნა უნდა."

ეს მეორე სენო, ოლღას დისწული, არის ლიცეუმის მე-2 კლასელი ბავშვი, ილიას ძმისწული სენო კი, ამ დროისათვის, 1874 წლისათვის 20 წლის ახალგაზრდაა. ილიას უფროსი ძმა კონსტანტინე ხომ 1852 წელს წავიდა სასწავლებლად მოსკოვს, მამის გარდაცვალების გამო იმავე წელს უკან დაბრუნდა და იქიდან ცოლიც ჩამოიყვანა. 1854

წლის 3 ივლისს კონსტანტინეც მოკლეს ლეკებმა და მას შვილი დარჩა, მაშასადამე სვიმონი(სენო) ან 1853 წელს არის დაბადებული ან 1854 წელს თუმცა გ. შარაძემ, ახალ მასალას მიაკვლია და ამბობს, რომ ილიას რძალი ქმრის გარდაცვალების შემდეგ ფეხმძიმედ დარჩენილა, რომ სვიმონი (სენო) 1855 წლის დასაწყისში დაბადებულა. აქედან გამომდინარე 1874 წ. 20 წლის ძმისწული ილიას ცოცხალი ჰყავს, ის ცხოვრობს მოსკოვში და აპირებს სამხედრო სამსახურში შესვლას, რასაც ბიძა, ცხადია, მოწონებით არ შეხვდა. ილიას ერთი ფრაზაც საყურადღებოა, „დიდი სამდურავი ვუთხარ, რომ დაგვივიწყა". დამივიწყა კი არა, დაგვივიწყაო. ჩანს სვიმონს თავისიანებთან ურთიერთობა ილიას მოსკოვში ჩასვლამდეც ჰქონია, თორემ დაგვივიწყაო, არ წერენ პირზე, ვისთანაც ურთიერთობა ადრე არ ჰქონიათ.

ილიას ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, რაც დღემდეა ცნობილი, მისი ძმისწული სენო, იხსენიება კიდევ ორ წერილში, სამწუხაროდ, ორივე წერილი დაუთარიღებელია. ერთი წერილის მიხედვით ირკვევა, რომ ილიას ყურამდე რაღაც სამწუხარო ცნობაა მისული ძმისშვილთან დაკავშირებით. ილია წერს ოლღას: „ოლიკოჯან, გიგზავნი პრიდოროჟნის" და გეხვეწები ჩემი ძმისწულის საქმე დანვრილებით შეიტყო ნიკოსაგან."

კიდევ ერთ, დაუთარიღებელ წერილში ვკითხულობთ: „ოლიკო, საწყალი სენა სწორედ მოუკლავთ, კოხტას ძმის წიგნი მოუვიდა და ისა სწერს, რომ ჩემთან იდგაო და იქავ ტყვია მოხვდა და დაეცაო მკვდარი, საწყალი ასეთი ვარ, რომ მე თვითონ მკვდარი ვარ. ერთი მაგისი იმედიღა მქონდა და ეგეც ხელიდამ წამივიდა საუკუნოდ.

დღეს სატირლად მე საგინოვთან ვერ მოვალ. თვალში ცრემლი მერევა და მეშინია ლიზომ არ შემატყოს. შინ უბრძანე სადილი, შენ კი წადი, თორემ ლიზო ეჭვს აიღებს. აი, საწყლის წიგნებს გიგზავნი."

ამ პატარა ბარათიდან ცოცხლდება მთელი სურათი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ილიას ძმისწულმა განზრახვა აისრულა და სამხედრო სამსახურში შევიდა. კოხტას ძმის წიგნი მოუვიდაო, კოხტა აფხაზის გარდა, ამ სახელით სხვა ვინმე ილიასთან და ყვარელთან დაახლოებული პირი არ ვიცით. როდის უნდა მოეკლათ სვიმონ(სენო) ჭავჭავაძე?

არის წერილში დეტალები, რითაც ამ წერილის დაწერის დაახლოებითი თარიღი შეიძლება ვივარაუდოთ. ჩანს, რომ საგინაშვილი, ილიას სიძე, ცოცხალია – „დღეს სადილად მე საგინოვთან ვერ მოვალ." ეს წერილი ვერ დაიწერებოდა 1887 წლის შემდეგ, როცა ილიას

სიძე გარდაიცვალა. დაზე არ იტყოდა საგინოვთან ვერ მოვალო. ეს. რომც შესაძლებელი იყოს, არის მეორე დეტალი. წერილი დაწერილია მაშინ, როცა ილია მეუღლითურთ ჯერ კიდევ არ არის გადასული საცხოვრებლად დასთან და სიძესთან და თავისი „შინ" აქვს. წერილიდან ჩანს, რომ იქ ოლღა სტუმრად იმყოფება. ილიას არ უნდა დას გააგებინოს ეს უბედურება. „დღეს სადილად მე საგინოვთან ვერ მოვალ, თვალში ცრემლი მერევა და მეშინია ლიზომ არ შემატყოს. შინ უბრძანე სადილი, შენ კი წადი, თორემ ლიზო ეჭვს აიღებს."

ჩანს წერილის დაწერის დროისათვის ილია არ არის გადასული სიძის, ალექსანდრე საგინაშვილის სახლში საცხოვრებლად და ოლღასთან ერთად ჯერ კიდევ ცალკე ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, ეს წრილი ვერ დაიწერებოდა 1889 წელზე გვიან, რადგან ამ დროისათვის გადადის ილია დის სახლში საცხოვრებლად.

ეს წერილი ვერც 1875 წელზე ადრე დაიწერებოდა, რადგან ილია, მართალია, რუსეთიდან 1874 წლის გაზაფხულზე წამოვიდა, მაგრამ შემოდგომის ბოლოს ისევ მოსკოვსა და პეტერბურგში დაბრუნდა. ნოემბრის თარიღით იქიდან წერილიც აქვს გამოგზავნილი და სენოს არც ახსენებს, როგორც ჩანს, ის უკვე სამხედრო სამსახურში იყო და ბიძა აღარ უნახავს.

სრული დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ ზემორე წერილის დაწერის ქვედა თარიღი უნდა იყოს 1875 წ. ხოლო ზედა ..... რაც შეეხება ფრაზას – „ჩემთან იდგა და ტყვია მოხვდაო," ეს ფრაზა უფრო იმას გულისხმობს, რომ ეს ორი ქართველი ნიკო აფხაზის ძმა და ილიას ძმისწული სადღაც ომში არიან ერთად. შეიძლება ეს მოხდა 1877-79 წლებს შორის, როცა რუსეთ-თურქეთის ომი იყო.

ასეა თუ არა, შემდგომი კვლევა ისტორიკოსებისათვის მიმინდვია. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ილიას წერილების წყალობით ილიას მივინყებული ძმისშვილის სახელიც მოექცევა შემდგომ მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ახლა უკვე ნათელია, რომ სვიმონს მინიმუმ 20-23 წლამდე უცხოვრია. ვინ იცის, იქნებ შთამომავლობაც დარჩა, ვინ იცის, იქნებ იუნკერთა რომელიმე პოლკის იმდროინდელ ჩანაწერებში ვინმემ ილია ჭავჭავაძის ძმისშვილის მონაცემებსაც მიაგნოს.

პავლე ინგოროყვას ილიას წერილების კომენტარებში მითითებული აქვს ის წერილი, რომელშიც ილიას ძმისშვილი იხსენიება. მაგრამ რამ გამოიწვია გრ. ყიფშიძის შეცდომა, ილიას ძმისშვილი ჭლექით გარდაიცვალაო?

საქმე ის გახლდათ, რომ ილიას ნათესავთა შორის ძმისშვილ სენოსა და ცოლის დისშვილ სენო სტაროსელსკისთან ერთად, იყო კიდევ ერთი უახლოესი ნათესავი სენო. ეს მესამე სენო არის ილიას დისწული. ნიკოლოზ აფხაზისა და ნინოს შვილი სვიმონ(სენო) აფხაზი.

„ჩემის დისწულის სენოს წიგნი მომივიდა იმის კარტოჩკით, ძალიან კარგად სწავლობს. იმის ოსტატები იწერებიან, რომ სენო კლასში პირველია, მაგრამ კი ცელქობსო. მეც წიგნი მივწერე და ხუთი მანეთი გავუგზავნე. (11-ს მაისი 1873წ.) დუშეთი.

ოთხმოციანი წლების ერთი უთარიღო ბარათით ვგებულობთ: „ჩემო კარგო ოლიკო! მე კარგადა ვარ, მაგრამ როგორც ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართზე მოეწევაო, სწორედ მე მომივიდა. გიგზავნი ჩემი დისწულის სენოს დეპეშას, საწყალი ძალიან ავად არის და მწერს, რასაკვირველია, იმისთვის, რომ წავიდე სანახავად. ნეტავი უკანასკნელ დღეში არ იყოს, თორემ ჩემს წასვლას კიდევ როგორც იქნება მოვახერხებდი...წაუსვლელობა შეუძლებელია." ავადმყოფობით გარდაცვლილი ჩანს ეს სენო, დისწული ილიასი.

გრიგოლ ყიფშიძე ძალიან დაახლოებული პირი იყო ილიასთან, როგორც ჩანს, ილიასგან ძმისშვილის ამბავიც მოსმენილი ჰქონდა და დისშვილისაც და ვინაიდან ორივეს ერთი და იგივე სახელი ერქვა, ყიფშიძეს ამ ორი ახალგაზრდის ბედი, ეტყობა, წლების შემდეგ ერთმანეთში აერია. ამიტომ წერდა, ილიას ძმისწული ციებით გარდაიცვალაო.

წინ გავუსწარი მოვლენებს, პეტერბურგში მარტის ბოლომდე ილიამ ბანკის საქმე დააგვირგვინა. წესდება სახელმწიფო საბჭოში გადავიდა და მისი დამტკიცება მხოლოდ ტექნიკური საკითხი იყო, ამიტომ დამტკიცებას აღარ დაელოდა, რაკი თავი ქუდში ჰქონდა, დაჰკრა ფეხი და წამოვიდა. ასე დამთავრდა მისი 10 თვიანი იძულებითი ჩარჩენა რუსეთში და ნებაყოფლობითი ტანჯვა საადგილმამულო ბანკის გახსნისათვის.

კირილე ლორთქიფანიძე ადრევე სთხოვდა ილიას მისი ნაწარმოებების დადგმა განეხორციელებინათ, თბილისში მართლაც დაიდგა ილიას „სცენები მირავოი პოსრედნიკთან."

კირილე ილიას უახლოესი მეგობარი იყო მთელი ცხოვრების მანძილზე, მოყოლებული სტუდენტობის წლებიდან. საოცარი კეთილ–სინდისიერი და სამართლიანი. კირილეს მიერ განხორციელებული ამ დადგმის შესახებ სერგო გერსამიას ისეთი მოგონება აქვს, რომელიც ძალიან ფართო პუბლიკამ უნდა იცოდეს. მოგონება ლაღი იუმორით სავსე. ილიას სცენებშიო „თვით კირილე ას-

რულებდა მირავოი პოსრედნიკის, ე.ი. მომრიგებელ შუამავლის როლს. წარმოდგენა დამთავრდა, მესამე დღეს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა რეცენზია. ავტორი ყველა მოთამაშეს ქებით იხსენიებდა. ხოლო მომრიგებელ შუამავლის როლის განმასახიერებელ კ. ლორთქიფანიძეზე კი წერდა: **კირილე ლორთქიფანიძე ასრულებდა მიროვოი პოსრედნიკის როლს და ამ როლის შემსრულებლის მაგიერ მუთაქა რომ გამოეტანათ სცენაზე და დაედვათ, უკეთესი იქნებოდა, უფრო მეტ შთაბეჭდილებას დატოვებდაო.**

ახლა არ იკითხავთ ვინ იყო ამ რეცენზიის ავტორი?! **ავტორი თვით კ. ლორთქიფანიძე გახლდათ... და ეს დაბეჭდა იმ გაზეთში, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა, რადგან გაზეთის მუდმივი რედაქტორი სერგეი მესხი საზღვარგარეთ იყო გამგზავრებული, ხოლო კირილეს გაზეთი დროებით ჰქონდა ჩაბარებული."**

ილია თავადაც გამოდიოდა სცენაზე და ივანე მაჩაბელთან ერთად გადმოთარგმნილ მეფე ლირსაც კითხულობდა. იმ წელინადს „კრებულში" დააბეჭდინა კიდეც. ყველას ძალიან მოსწონსო–სწერდა ვასოს, ივანე მაჩაბლის ძმას, აკაკი წერეთლის გარდაო...

2 სექტემბერს ილია ბანკის საბჭოს თავჯდომარედ აირჩიეს. სანდრო ერისთავი და სანდრო ჩოლოყაშვილი დირექტორებად. რატომ არა დიმიტრი ყაზბეგი, რომელთან ერთადაც რუსეთს წავიდა ბანკის საქმეზე, ახლა ძნელია ამაზე მსჯელობა. ის კი ვიცით, რომ ამ მიზეზით თუ სხვა გარემოებით, ილია და დიმიტრი ყაზბეგი, ეს ორი მონაფეობისა და სტუდენტობის დროიდან მოყოლებული მეგობარი, ცოტას წაიჩხუბნენ კიდეც, მაგრამ მალევე შეარიგეს და გამტყუნებით კი მე გამამტყუნესო–წერდა ილია.

1874 წლის 7 ნოემბერს კვლავ ბანკის საქმეზედ, კვლავ მოსკოვშია. 1875 წლის ახალ წელს ისევ ამ უმზეო ქვეყანაში შეხვდა...

ილია რუსეთშია, ჟენევაში კი 40 კაცი იკრიბება. კრების მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ სჯა-ბაასი. გრ. ურატაძე იგონებს: „თათბირს დაესწრნენ ნაროდნიკებიც ივ. ჯაბადარის მეთაურობით, რომელიც თავის მოგონებებში ამ კრების შესახებ გადმოგცემს შემდეგს: ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ არავითარ ფედერაციულ რესპუბლიკაზე ლაპარაკი არ შეიძლება. იქ ამიერ-კავკასიაში, სადაც ცალკე ერები არ არსებობს, არც ურთიერთისადმი სიმპატია, ნაანდერძევი წარსული ისტორიული ცხოვრების მიერ, არც საერთო ინტერესები, არც კულტურული ერთიანობა, ეროვნებათა განურჩევლობის მიხედვით, რომელნიც შეადგენდნენ რუსეთის სახელმწიფოს,

უნდა ვანარმოოთ ძმური მუშაობა რუსეთის მოსახლე ყველა ხალხთა გასანთავისუფლებლათ დესპოტიზმისაგან და კაპიტალის მონობისაგან. მისწრაფება კავკასიის გაერთიანებისა ფედერაციულ ფორმებში – უდიდეს სოციალისტურ და რევოლუციურ ბრძოლას დაიყვანს ვიწრო ნაციონალურ ამოცანამდე, რომელიც გამოიწვევს საშიშ ანტაგონიზმს ერთის მხრივ რუსეთის ხალხისა და მეორეს მხრით, კავკასიის ხალხებთა შორისაც. რომელნიც არათანაბარ ერებს წარმოადგენენ. ასეთ გაუფრთხილებელ პოლიტიკურ ნაბიჯს კავკასიის ერთა და თვით რუსეთის ხალხის პოლიტიკურად განვითარების პირობებში შეუძლია მოგვიყვანოს ისეთი სამწუხარო მოვლენები, რომლის მსგავს თეატრს სულ ახლო ხანში წარმოადგენდა პოლონეთი."

ამ ჯაბადარს ჩვენ კიდევ შევხვდებით თავისი საშიში წინასწარმეტყველებით და კიდევ უფრო საშიში სურვილებით. აქ კი დავსძენ, რომ არა მხოლოდ კრებები, პარიზში ნიკოლაძე არალეგალურ გაზეთსაც სცემს სათაურით „დროშა". ამ გაზეთის 10 ნომერი გამოვიდა. ნიკოლაძის მსოფლხედვა იმჟამად ასეთია – ნაციონალური წინააღმდეგობის დაძლევა ერობის გზით, რომელსაც შემდეგში მიეცემა პოლიტიკური ფუნქციებიც. ურატაძის მოგონებამ შემოგვინახა ნიკოლაძის თანამშრომლის დავით მიქელაძის სიტყვები **„მშვიდობიანი პროგრესი, ერთობა და სხვა ასეთები ვერ გვიხსნის. საჭიროა როცა რუსეთი გარეშე მტერს შეებმის-ყველა იარაღით გამოვიდეთ და შევსძახოთ: თავისუფლება ან სიკვდილი"...**

●

ახლა დავტოვოთ პარიზიც, ჟენევაც, პეტერბურგიც, ქალაქები რომელნიც ბრწყინავენ გასაოცარი არქიტექტურული ნაგებობებით. ჩვენს თბილისს დავუბრუნდეთ. არქიტექტურული ნაგებობანი შემთხვევით არ მიხსენებია. 1874 წლამდე თბილისსაც ჰქონდა ერთი იმდაგვარი ქარვასლა, აშენებული 1850 წელს, რომელიც ტოლს არ უდებდა არც ერთ ევროპულ არქიტექტურულ მშვენიერებას. ამ ქარვასლაში განთავსებული იყო სასტუმრო, მაღაზიები, თეატრი. თეატრი, რომლის ნახვისას ალექსანდრე დიუმას(მამა) უთქვამს, მსოფლიოს ბევრი თეატრი მინახავს, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება სილამაზით თბილისის თეატრსო. ფასადი გადმოჰყურებდა ერივანსკის, დღევანდელი თავისუფლების მოედანს. აი, ეს თეატრი, სამწუხაროდ, 1874 წელს დაიწვა.

1875

თადეოზ გურამიშვილის გარდაცვალება. უცნაური წესი მამულის არ გაყოფისათვის. ილია ბანკის თავმჯდომარე. ნიკოლაძის დაბრუნება. სვანეთის აჯანყება.

გიორგი XII

„პოეზია და ანგარიში, ქნარი და „ჩოთქი"
როგორღაც ერთმანეთთან ვერ მოდიან.
გარნა არ უნდა დავივიწყოთ,
...ილიას ბანკის მოგებით უდგია სული თბილისის ყველა თავადაზნაურთა საზოგადო დაწესებულებათ".

იონა მეუნარგია

როცა ილია საქართველოში დაბრუნდა, აქ სამწუხარო ამბავი დახვდა. მისი სიმამრი, ხანდაზმული თადეოზ გურამიშვილი გარდაცვლილიყო. ილია თბილისში იანვრის მე-2 ნახევარში ჩამოვიდა. ჩანს, თადეოზი 1875 წლის იანვრის დასაწყისში გარდაიცვალა. ტიპური ძველი მებატონე ყოფილა, გულით კეთილი, მაგრამ ბატონის სრული განსახიერება მედიდურობის თვალსაზრისით.

გურამიშვილები ფლობდნენ უზარმაზარ მიწებს საგურამოს თემიდან მოყოლებული თითქმის დიდუბემდე. თადეოზს სამი ძმა ჰყოლია, უცნაური წესი ჰქონიათ. მიწა რომ არ დაქუცმაცებულიყო, ცოლი მხოლოდ ერთს უნდა მოეყვანა და სამემკვიდრეო მამულებიც იმ ერთს უნდა დარჩენოდა. მანსვეტაშვილის გადმოცემით, ასე მოქცეულან ძმებიც. პირველად ქალი უმცროსს, თადეოზს შეურთავს, ამიტომ მისი ორი ძმა აღარ დაცოლშვილებულან. საგურამოში ცხოვრობდნენ და დროს ატარებდნენ ბატონკაცურად. თადეოზი სახელმწიფო სამსახურში განწესებულა. როცა უფროსი ძმები დაიხოცნენ, მერეღა დაბრუნდა თავის მამულში და სიბერის წლები იქ გაატარა. ოთხი შვილი ჰყავდა ორი ცოლისაგან. პირველი ქორწინებიდან – ოლღა და ეკატერინე.

მეორე ცოლი, რომელიც შვილებითურთ ავჭალაში დაუსახლებია, სიბერემდე კი შემორჩა და კარგი ადამიანიც იყო, მაგრამ, როგორც ზემოთ გიამბეთ, მისგან ორი ჭკუასუსტი შვილი დაებადა. ვაჟი ზალიკო, რომელმაც ლეკური ცეკვის გარდა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი ისწავლა, ანბანიც კი. ჭკუასუსტობასთან ერთად, უბედური, ენაბლუც ყოფილა. ასევე საცოდავი

გოგო, რომელიც მუდმივად მდუმარედ მჯდარი თავშლის ბოლოს ღეჭავდა...

ამის შემხედვრე თადეოზი ღმერთს შესჩიოდა, რა ცოდვა მაქვს, უფალო, ასე მწარედ რომ დამსაჯეო. მთავარი ტკივილი თადეოზისთვის ერთადერთი ვაჟის · ჭკუასუსტობა იქნებოდა, რომელსაც სასამარლომ ქორწინების უფლებაც აუკრძალა. არადა, როგორ გაიხარებდა გურამიშვილთა სახელოვანი გვარის წარმომადგენელი თედეოზ გურამიშვილი ვაჟის შეძენის გამო. ზაალი დაარქვა, თავისი მამის სახელი. მამამისი ზაალი გიორგი XII-ის ახლო მეგობარი იყო. მეფემ ორი ზაფხული სწორედ მასთან გაატარა თავისი ოჯახით ქვემო ავჭალაში, როცა თბილისში ჭირიანობა სუფევდა. ის ზაალ გურამიშვილი 1804 წელს გარდაიცვალა, მისი მეუღლე, თადეოზის დედა ნინო ანდრონიკაშვილი კი, როცა ილიამ ოლღა შეირთო ჯერ კიდევ ცოცხალი გახლდათ. პლატონ იოსელიანი იხსენებს: ძველი ამბების მოსათხრობად ნინას შევხვდიო, რომელიც 104 წლისა ყოფილა და ოლღა ჭავჭავაძე მეხმარებოდა, ყურში ჩაჰყვიროდა ჩემს შეკითხვებს თავის ბებიასო.

ერთი სიტყვით დიდი ზაალ გურამიშვილის შემდეგ ხელთ იდიოტი ზალიკო შეგვრჩა, თითქოს სიმბოლური იყო ეს დაღმასვლა. თადეოზი ცოდვათა შორის არ იხსენიბდა იმას თუ სად იდგნენ მამულის გამწარების ჟამს, ასევე ცოდვათა შორის არ კი იხსენიებდა „კანონიერ“ ცოდვებს. სამივე ძმა ხშირად სარგებლობდა პირველი ღამის უფლებით. ამ ცოდვის მთელი საშინელება ხომ მისმა სიძემ გამოიტანა სააშკარაოზე „გლახის ნაამბობით“. რაკი სიძე ვახსენეთ, ისიც უნდა გავიმეოროთ, თადეოზი არც პირველი ქორწინებიდან შეძენილი შვილებით, ოლღათი და ეკატერინეთი ყოფილა მაინცდამაინც კმაყოფილი და არც სიძეებით. ქალიშვილებს, ეს პატრიარქალური ბუნების კაცი, იმას ვერ პატიობდა, ჩემდა დაუკითხავად როგორ გათხოვდნენო, ხოლო სიძეებიდან ერთი – სტაროსელსკი არ მოსწონდა, იმიტომ, რომ რუსიაო, მეორე, ილია კი – იმიტომ, რომ ღარიბიაო.

ასე იყო თუ ისე, თვით სიძეებს მოხუცი სიმამარისადმი საყვედური არ ეთქმოდათ. ვალი მას არ დაუტოვებია და სხვა თავადებივით არც მამულები შეუმცირებია. ქალიშვილებიც (პირველი ცოლისგან) ნამდვილ ქართველ ქალებად აღზარდა, საუკეთესო ქართული ტრადიციებით. განა რა სჭირდა სიძეების დასამდური?

როგორც მისი მომსწრე გლეხები იხსენებენ, გულკეთილი ბატონის სახელი დაუტოვებია, ამიტომ ჩვენ რა ხელი გვაქვს იმის ცოდვებთან?...

●

ილიამ 1875 წელს, იანვრის ბოლოდან, ტანჯვით შექმნილი ბანკის თავმჯდომარედ დაიწყო მუშაობა. 28 იანვრიდან 3 თებერვლამდე იმართება ბანკის დამფუძნებელთა კრებები. იხილება ბანკის წესდების სხვადასხვა საკითხები, ირჩევა შემფასებელი კომისია, ბანკის საქმეში დიდი ღვაწლისათვის მადლობას უხდიან დიმიტრი ყიფიანს. ილია კითხულობს საბანკო საქმიანობის საპროგრამო პრინციპებს და იწყებს პრაქტიკულ მუშაობას, რომელიც გაგრძელდება 30 წლის მანძილზე, 1875 წლიდან ვიდრე 1905 წლამდე. ვგონებ, დღემდეა ორი აზრი – კარგი იყო თუ ცუდი ილიას წასვლა ბანკში თვით ილიასთვის?

ყოველ შემთხვევაში, მისი ერთი ყველაზე თვალსაჩინო ბიოგრაფი და მისი უმცროსი მეგობარი, იაკობ მანსვეტაშვილი, რომელსაც ძნელად თუ ვინმე შეეცილებოდა ილიას სიყვარულში, აი, რას წერს: „1875 წელი შავბედით წლად უნდა ჩაითვალოს ილიას ცხოვრებაში. ოჰ, რა დიდი სიამოვნებით ამოვგლეჯდი ილიას ცხოვრების ისტორიიდან იმ ფურცელს, სადაც ეს წელი ჩაწერილია! ეს ის წელი იყო, როდესაც ილიამ პირველად ფეხი შესდგა ახლად დაარსებულ ქართულ საადგილ-მამულო ბანკში. ოჰ! ნეტავი მე მაშინ უფლება მქონოდა, რომ მეთქვა ილიასთვის:

„ილია, შესდექ, ნუ ადგები მაგ მოლიპულ გზას, საშიშარია, ფეხს ვერ მოიკიდებ, დაგისხლტება, ძირს ჩაგიტანს აი იმ ხევში, სადაც მოჩანს დახავსებული, აშმორებული ჭაობი. იქ თავს ვეღარ შეიმაგრებ, ჩაგიტანს, ჩაგითრევს, ჩაილეკები. რა გინდა მაგ ჯურღმულში. იქ ქვენა ვნებათა, დავრდომილ ზნეობათა სამეფოა. შენს ნიჭს, შენს დიდ ბუნებას არ შეეშვენის იქ ყოფნა. მიაფურთხე, მიაგდე ქვა, მინამ გვიან არ არის. დაუბრუნდი შენს ზენა სამეფოს, შენს მყინვარს, შენებრ ამაყს, შენსავით ქედმოუდრეკელს.

იქ, ძირს, მოგელის წვრილმანი საქმე, ანგარიშები, ანგარება, გაუტანლობა, შუღლ-მტრობა. აქ, ზემოდ, დამკვიდრებული გაქვს უკვე სიყვარული, პატივი, თაყვანისცემა. იქ ქვესკნელია, აქ ზესკნელი. ქვესკნელს უნდა ეძებო სიტყვა, რომ მსმენელ-

თა ყურს მიაღწიოს რომ მსმენელის გულისკენ გზა გაიკვლიოს. მერე ვინ იქნება შენი მსმენელი? გაიგებენ ისინი შენს სიტყვას? თუნდ გაიგონ, დაგიჯერებენ? იმათთვის ხომ ის ილია არა ხარ, რაც ქართველებისათვის? შენ ქართველებისათვის ბატონი ხარ, დაუგვირგვინებელი მბრძანებელი, შენი სიტყვა ქართველისათვის კანონია. შენ იმის სისხლი და ხორცი ხარ. ერთმანეთის გულის წადილს ადვილად მიუხვდებით. აქ გული გულს ეუბნება და სული სულს აძლევს პასუხს."

„იმათ თავიანთი ანგარიში აქვსთ,... შენ იმათ თვალში ნოქარი ხარ, ან უკეთეს შემთხვევაში მოურავი, მოაწონებ თავს, კეთილი, არადა, გეტყვიან, მიბრძანდი სხვას ვიშოვითო!"

„არა სჯობია დროზე გაჰნშორდე იმ სახიფათო გზას და დაუბრუნდე შენს „აჩრდილს", შენს „განდეგილს", შენს „კაკოს", რომელიც ასე გიყვარდა შენ და ჩვენც შეგვაყვარე, მაგრამ ვინ მოისმენდა ჩემს სიტყვას."

დამეთანხმებით ალბათ, უაღრესად ღრმა სიყვარულით, გულისშემძვრელი ემოციით არის ეს სიტყვები დაწერილი. ეს არ იყო მხოლოდ მანსვეტაშვილის აზრი. ასე ბევრი ფიქრობდა მაშინ და იქნებ დღესაც.

დიდი ნიჭის დამფასებელ კეთილშობილ სულს ის მოტივი ამოძრავებს – რატომ უნდა მოცდეს ეს დიდი ნიჭი წვრილმანშიო. კეთილშობილი კაცისათვის დიდი ნიჭის მქონე შემოქმედის მიერ წვრილმან საქმეებში დახარჯული დრო გაფლანგული დროა, დაკარგული განძია. დაკარგული ლექსია, არშექმნილი მოთხრობაა. ამ სულის ღაღადისია აქ. მოგონების ავტორს ილია უყვარს და ეცოდება წვრილმანებისათვის. მაგრამ „მოყვარე-მტრებიც" არსებობენ. იმათ პატარა, გაიძვერული მიზანი აქვთ, როცა დიდი ნიჭის კაცს პრაქტიკული საქმისაგან ჩამოცილებას ურჩევენ, ე, მანდ, შენს ნიჭიერებას ამაო საქმეში როგორ ხარჯავო. შენს დასაწერს, შენს შესაქმნელს ვერავინ შექმნის, რასაც აკეთებ ამას ხომ სხვაც ბევრი შეძლებდაო. ვირეშმაკულად ამბობენ, მართლა მოცდენილ ნიჭზე კი არ შესტკივათ გული, არა, შური ალაპარაკებთ, ან იმის შეგრძნება – ეს რომ არ იყოს, ამ საქმეს სწორედ მე ჩამაბარებდნენო.

ილიას არც იაკობ მანსვეტიშვილისთანა მოყვარულნი აკლდა და არც ძალადმაცხონე ვირეშმაკები, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარია, მართლა შეეძლო თუ არა ილიას ვაიმარელი ბრძენივით (თუმცა სამსახური იმას ჰქონდა თუ ჰქონდა) საგურა-

მოში დამჯდარიყო განმარტოებით და ეწერა ბრწყინვალე ლექსები და მოთხრობები. ნუთუ მართლა არ ესმოდა, რომ „ჩოთქი" და მუზა ერთმანეთთან ვერ მეგობრობენ. აკი დუშეთიდან გამოქცევა იმიტომ სურდა, რომ შეჭამა სახელმწიფო სამსახურმა, რომ მოსვენება სჭიროდა, რათა მუზების ღმერთისთვის ეხადა ხარკი. რა გამოვიდა? სახელმწიფო სამსახურს კი გამოექცა, მაგრამ უარეს უღელში გაჰყო თავი. ახლა უფრო მძიმე უღელი არ დაიდგა? აგერ არ არის მაგალითი? აკაკი ხომ მერცხალივით ცხოვრობს. ხან დასავლეთ საქართველოში გადაფრინდება, ხან თბილისშია. სამსახურს ახლოს არ გაკარებია.

მაგრამ სხვა სხვის ომში ბრძენიაო. არ უნდა იყოს მართალი ილიას ბიოგრაფი ამ თავის მონოლოგში. ყველა ხასიათი ინდივიდუალურია და თავისებურ ამოხსნას ითხოვს.

ჯერ ერთი, არა მგონია, ილიას გონებისა და სულის პატრონი თანამდებობებსა და დიდკაცობას მოეხიბლა. ბატონობა როგორ მოსწონდა, ცნობილია, გლეხს მარტო მიწა კი არ უნდა მიეცეს, უფლებრივადაც ზღვარი უნდა წაიშალოსო, ამას ქადაგებდა და მაგალითიც თვითონ მისცა ყველას. პიროვნულადაც ძალიან უბრალო კაცი ყოფილა. ასე ახასიათებენ თანამედროვენი. მოსამსახურეს ხმას არ აუწევდაო, ეს ფრაზაც ნიშნავს ალბათ, რომ დიდკაცობის ხიბლში არასოდეს ყოფილა ჩავარდნილი. ერთი სიტყვით, ილია რომ კარიერისტი ყოფილიყო, ახალგაზრდობაში ატესტატსა და დიპლომს გროშის ფასს რატომ დაადებდა?

საქმე ისაა, რომ იმ დროში მუზების მსახურებით, ჰონორარებით თავის შენახვა (ვაგლახ რომ ამ დროშიც ასეა) სრულიად შეუძლებელი იყო. კაცია და გუნება, ილიას ბუნების პატრონს კი სხვისი დახმარებით ცხოვრება არ შეეძლო. ამისთვის მეტისმეტად ამაყი იყო. გაიხსენეთ ოთარაანთ ქვრივი, მას ხომ კაბაგადაცმულ ილიას ეძახდნენ. სულ სახსარის ძიებაშია, მაგრამ არც თადეოზის მამულებისკენ გაქცევია თვალი და არც სტაროსელსკის მდგომარეობა (ის ხომ ჯერ ბაქოს გუბერნატორი, შემდეგ მთელი კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილე გახდა) გამოუყენებია პირადი საქმისთვის. რა ექნა, ასეთ კაცს სწორედაც ჯამაგირისთვისაც უნდა ემუშავა და რაკი უნდა ემსახურა, ისეთ საქმეს ჩაუდგა სათავეში, რაც ქვეყნის საქმეც იყო. კიდევ ერთი. ჩვენს საზოგადოებაში არავის აეჭვებს და სანიმუშო ადამიანადაც თვლიან, თუ კაცი თავისი ოჯახის კეთილდღეობისათვის ძალიან აქტიურად ზრუნავს. მაგრამ ჩვენს საზოგა-

დოებაში თუ კაცი საქვეყნო საქმისათვის ზრუნავს ძალზე აქტიურად, რატომღაც ეჭვის ობიექტი ხდება. რატომ? ამას აქვს თავისი მიზეზი: ერთი ერი მეორისაგან მარგინალურს ადვილად ითვისებს. გაიხსენეთ გოგოლის გმირი. კაცი მკვდარი სულებით ვაჭრობს. აქ რომ ვაჭრობა სირცხვილად ითვლებოდა, იქ ჩიჩიკოვები მკვდარი სულებით ვაჭრობენ. გაიხსენეთ რუსული ბიუროკრატიის თვისებები, უქრთამოდ ძმა ძმას არ გაუკეთებდა საქმეს და ა, ბატონო, აქაც გამოჩნდა დავით თათქარიძე, ლუარსაბი რომ 5 თუმნად არა, მაგრამ ცოტა მეტად კი დაუნანებლად გაყიდა. ერთი სიტყვით, საქვეყნო საქმის სამსახური ამ ქვეყანაშიც ხელის მოთბობის საშუალებად იქცა. მით უფრო, ეს ქვეყანა მისი აღარ იყო. ქვეყანაც უცხოსავით ექცეოდა და ესეც გაუცხოებულიყო. ეს ფსიქოლოგია არ აქვს იმ ერთ მუჭა მამულიშვილებს, რომელნიც, ჯერ ერთი, ზნეობას ვერ ღალატობენ ვერც ერთ დროში, ზნეობას, რომლის ერთი პოსტულატი „არა იპარო"-ც არის და მეორე, კაცს, რომელსაც მართლა უყვარს სამშობლო, ის ისევე არ გაძარცვავს მას, როგორც საკუთარ ოჯახს არ ძარცვავს ნორმალური ადამიანი. არადა, ადამიანთა დიდ ნაწილს არ სურს დაიჯეროს, რომ ვილაცას თავის სამშობლო ოჯახზე მეტად უყვარს. სწორედ ამ სიყვარულის გამო ცდილობს ყველგან იყოს, იქაც სადაც საქმე ფუჭდება, რათა ამის საშუალება არ მისცეს მავანთ და იქაც, სადაც უკეთ გააკეთებინებს საქმეს. ილია ასეთი კაცი იყო. მას სამშობლო ოჯახზე მეტად უყვარდა. მისი სიტყვებია – ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა, მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ აღარ სჩანანო. ამიტომ იყო, ილია ყველგან, ან თუ „ჩოთქით" ხელში, ან თუ ხელში კალმითა.

●

1875 წლის მარტის ერთი კერძო წერილიდან ორ ამბავს შევიტყობთ. ერთი, ილიას ქვისლს (რომლის ოჯახსაც ბაქოში სტუმრობს ილიას მეუღლე) მეოთხე შვილი – ვაჟი შესძენია და მეორე, ილიას მორიგი შეტაკება მოსვლია ივანე მუხრანსკისთან.

1875 წლის აპრილში ორი საქველმოქმედო საღამო გაიმართა თბილისში ქართველ მწერალთა მონაწილეობით. ორივე საღამოს ილიაც ესწრებოდა, მაშინდელი გაზეთი „დროება" ხაზს უსვამს, წარმოდგენაზე ყველაზე დიდებულები ი. ჭ. და ა. წ. იყვნენო. ისინი ამ კორესპონდენციის ავტორისთვის ჯერ კიდევ არ არიან ილია

და აკაკი. თუმცა სულ მალე მოხდება თითქმის ყველასთვის უგვირგვინო მეფედ აღიარება ერთისაც და მეორისაც. ამასთან დაკავშირებით, ცოტა გავუსწრებ დროს და ვიტყვი, ვაჟა ფშაველა ამ მხრივ დაჩაგრა თანადროულმა საზოგადოებამ. 1903 წელს, როცა მას თავისი თითქმის ყველა უკვდავი ქმნილება დაწერილი ჰქონდა, არათუ ვაჟად იხსენიებდნენ, ერთ საგაზეთო ქრონიკაში მოკლედ დაწერენ: მეტყევის ცემისათვის დააპატიმრეს ლ. რაზიკაშვილიო... მეტი არაფერი. ვაჟა დაიჭირეს და მხოლოდ მშრალი ქრონიკა...

1875 წელს პარიზიდან ბრუნდება ნიკო ნიკოლაძე. სხვათა შორის, როგორი ემოციური წერილითაც 2 წლის წინ ის საქართველოს დაემშვიდობა, არანაკლებ ემოციური წერილით შეხვდა თავის მკითხველებს.

1875 წელს იმავე ნიკოლაძეს ქუთაისის თვითმმართველობაში აირჩევენ, ხოლო თბილისში, თბილისის თავად 1875 წელს პირველი ქართველი იქნა არჩეული – დიმიტრი ყიფიანი. ეტყობა გასჭრა აკაკის მწარე წერილებმა გაზეთ „დროებაში“, სწორედ ამ წელს აკაკიმ ჩამოჰკრა განგაშის ზარი, რა არის რომ თბილისის მმართველობას ქართველებს არ აკარებთო. ისეთი ზარი ჩამოჰკრა, სომეხთა თბილისელი წინამძღოლი არწრუნი თავის მეგობარ აკაკის დამდურებია...

1875 წელს ილია ნელ-ნელა იწყებს თავისი მიზნების განხორციელებას. სერგეი მესხთან ერთად ქმნის ქართული წიგნების გამომცემელთა ამხანაგობას. პირველივე გამოცემად განუზრახავს ბარათაშვილის კრებულის დაბეჭდვა.

1875 წელს 7 000 მანეთს ჰპირდება სერგეი მესხს, რათა სტამბა გამართონ და სტამბის შემოსავლებით უფასოდ ბეჭდონ გაზეთი „დროება“.

1875 წელს სვანეთში რუსების წინააღმდეგ ხალხის აჯანყება იწყება, ეს აჯანყება ერთი წლის შემდეგ დამთავრდა. სვანების გაბრძოლებამ იმპერიის წინააღმდეგ, საოცარმა გმირობამ, შედეგი ვერ მოიტანა, მაგრამ ასე უცნაურად არის მოვლენები ურთიერთ დაკავშირებული – შედეგი მოიტანა ბალკანეთის სლავების აჯანყებამ თურქეთის წინააღმდეგ. შედეგი კი ასეთი იყო. თურქებმა განიზრახეს სადღაც, ბალკანეთის ომში აჭარლების წაყვანა, ამას მოჰყვა აჭარელთა პროტესტი და ჯანყი. როგორც იქნა საერთაშორისო არენაზე ბორბალი საქართველოს სასიკეთოდ ტრიალდება. თუმცა ამაზე სულ მალე ილია იტყვის უკვდავ სიტყვას.

1876

პოლემიკის დაწყება ილიასა და ნიკო ნიკოლაძეს შორის. ილიას ხელმეორედ არჩევა ბანკის თავმჯდომარედ. აკაკის პოზიცია. „ივერიის“ გამოცემისათვის მზადება.



ეკატერინე გაბაშვილი

„ხან-და-ხან მართალიც მავნებელია, თუ უდროოთ, თუ უადგილოთ გამოითქვა“.

აკაკი

„ბანკში მუშაობის დაწყება „შავბედით წლად უნდა ჩაითვალოს ილიას ცხოვრებაში“-ო, როცა მანსვეტაშვილი ამას წერდა, მთელ იმ უსიამოვნებათა, თავდასხმათა და დაუნდობელ ბრძოლათა კასკადი ედგა თვალწინ, რაც ილიას ბანკირობის გამო თავს გადახდა. დაიწყო! ეს ბრძოლები უკვე 1876 წლის გაზაფხულიდანვე დაიწყო.

თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. ახალი თაობის ყველა გამორჩეული კაცი ერთადაა. ერთად მონაწილეობენ 29 იანვარს კავკასიის მუსიკალური საზოგადოების დარბაზში გამართულ ლიტერატურულ საღამოში.

აკაკი ილიას სთხოვს გვერდში დაუდგეს, მას განზრახული აქვს გამოსცეს ახალი გაზეთი. ილიასაგან თანხმობას იღებს და თებერვლის 18-ში საგანგებოდაც კი აღნიშნავს გაზეთი „დროება“ – აკაკი წერეთელს განზრახული აქვს 1 მაისისთვის გამოსცეს ახალი გაზეთი „გზა“, რომლის მუდმივი თანამშრომელი იქნებაო ილია ჭავჭავაძე.

1 მარტს ერთად იკრიბებიან ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი. ღირსეულად უნდა აღნიშნონ „დროების“ დაარსებიდან 10 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით გააძლიერონ გაზეთი როგორც მატერიალური, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით. „დროების“ მესვეურნი იქნებიან მესხის გარდა, ილია, აკაკი და ნიკო ნიკოლაძე. ფაქტიურად სამი ყველაზე დიდი ავტორიტეტი იდებს თავს ერთობლივად გამოსცენ გაზეთი.

ილია ბანკიდან თანამშრომლებს დაიხმარს და ორგანიზაციას უკეთებს „დროების“ ათი წლისთავის აღნიშვნას.

4 მარტს დიდი წვეულება იმართება. აქ ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა ილია ჭავჭავაძემ. რამდენიმე დღეში აკაკი შენიშვნას მაინც აქვეყნებს, ყველაფერი კარგი, მაგრამ იუბილეზე არც ერთი

ქალი არ იყოო. „მე არ მიმაჩნია ის გაზაფხული გაზაფხულად, როდესაც სიცივის გამო მერცხალი არ მოფრენილა. არ მწამს საზოგადოების გამოღვიძება მაშინ, როდესაც ქალებს კი სძინავთ“.

საერთო ზეიმში ამ პატარა შენიშვნას და არც უსაფუძვლოს დისონანსი არ შეუტანია. ეს ფაქტი უფრო ეპოქის სურათის წარმოსაჩენად მოვიყვანე.

იმავე დღეებში ილია 100 მანეთს უგზავნის ალექსანდრე ცაგარელს პეტერბურგში ღარიბ ქართველ სტუდენტთა დასახმარებლად.

რაღაც ეშმაკად ის ჩაერთო ქუთაისის ბანკის მმართველის ბესარიონ ღოღობერიძის (მმართველად აირჩიეს 1876 წელს) და ნიკო ნიკოლაძის კამათში. ბესარიონ ღოღობერიძე გახსოვთ, 5 წლის წინ ახალ თაობის ღალატში რომ დასდეს ბრალი იმპერატორისათვის ადრესის წარდგენის დროს. მაშინ ილიას გამოცანებში სათანადო „პატივიც“ დაიმსახურა – „ძველისა და ახლის შუა, ის ჩამტეხავი ხიდია“-ო. მაშინ კი წერდა ილია, მაგრამ მერე შერიგდნენ. სტუდენტობის მეგობრები იყვნენ. ბესარიონი ცოტა უფროსი იყო ილიაზე და პეტერბურგში მოჯანყე სტუდენტების ბელადად ის ითვლებოდა. მას პირდაპირი კავშირი ჰქონდა რუს რევოლუციონერ ბელადებთან ჩერნიშევსკისთან, დობროლიუბოვთან, პანტელეევთან. დაპატიმრებულიც იყო სტუდენტობისას კრონშტადტის ციხეში. არადა, ბესარიონს იმთავითვე ამრეზით უყურებდა ნიკო ნიკოლაძე, ახლაც კარგა ხნის დაწყებული აქვს მასთან პოლემიკა, 1872 წლიდან მოყოლებული. აკაკისაც პოლემიკა ჰქონდა ქუთაისის ბანკის მესვეურებთან. „დროებას“ და სერგეი მესხს რაც შეეხება. ღოღობერიძე თავიდან სწორედ მათი წამოყენებული კანდიდატურა იყო. სხვა მასზედ უკეთესად ვერავინ გაუძღვება ქუთაისის საბანკო საქმესო, „დროებიდან“ მოძღვრავდნენ ქუთათურებს, მაგრამ, როგორც კი ნიკოლაძის და ილიას აზრები გაიყო ამ საკითხში, მესხი ნიკოლაძეს მიემხრო. ახლა ღოღობერიძის წინააღმდეგ გაილაშქრა. რა იყო არსებითი, რატომ ჩაერია ილია ამ დავაში? მიზეზს ნიკოლაძე კარგად ხსნის თავის წერილში „მრუდე გამოსარჩლება“ (პასუხი უფ. ილია ჭავჭავაძეს). ნიკოლაძე პირდაპირ მიუთითებს, რომ ილია ღოღობერიძის დაცვით საკუთარ თავს იცავს, ვინაიდან ისიც ბანკის მმართველია და მასაც იმავე პრინციპზე აქვს აწყობილი თავისი ბანკის წესდება, როგორც ქუთაისის ბანკის მმართველსო.

ილია ამას არც უარყოფდა. იგი სწორედაც იმ გარემოებას აღნიშნავდა, რომ ნიკოლაძის პოზიციას თუ გავიზიარებთ ბანკის წესდებაზე, „ამას საქმის წახდენა შეუძლია არამცთუ ქუთაისის, არამედ ტფილისის გუბერნიაშიც?"-ო.

ილიას ამ პასუხზე ნიკოლაძე ქირქილებს, – „რადგან საერთო უბედურება მტრებსაც ერთმანეთს აახლოებს, გასაკვირველი არაა, რომ ჩვენ ერთსა და იმავე ბანაკში ვხედავთ უფ. ჭავჭავაძეს და უფ. ღოღობერიძეს"-ო.

ეს დეტალი იმასაც ხსნის, რომ ილია სრულიად მართალია, როცა ამ კონკრეტულ საკითხში იმ კაცს უჭერს მხარს, რომელიც „გამოცანებში" გაამასხარავა. ეს არ უნდა სწყენოდა ნიკოლაძეს, ვინაიდან ილია იცავს პოზიციას, რომელიც მას სამართლიანად მიაჩნია და აი რაში გამოიხატებოდა ეს პოზიცია.

ჯერ კიდევ დიმიტრი ყიფიანს ჰქონდა კეთილშობილური მიზანი – ბანკი შევქმნათ, სესხი გავცეთ, მაგრამ სესხში დაგირავებულ მამულს დამგირავებელს ნუ გავუყიდითო. ამაზე, უფრო პრაქტიკული ხალხი იცინოდა, კეთილშობილი კაცი კია დიმიტრი, მაგრამ იმას აღარ ფიქრობს, ეს ჩვენი ბედოვლათი თავადი ბანკიდან ფულს რომ გაიტანს, თუ იცის, არავინ ქონებას არ გაუყიდის ფულის არ დაბრუნების შემთხვევაში, იმ ფულის დამბრუნებელი ბევრი გეგულებათო? ბანკი ხომ იმთავითვე გაკოტრდებაო. ნიკოლაძესაც, არ ვიცი ყიფიანის, არ ვიცი ჩერნიშევსკის წაბაძვით, დაახლოებით ეს პოზიცია ჰქონდა. დაგირავებული მამული კი არ უნდა გაიყიდოს, სახელმწიფომ უნდა შეისყიდოს და მინა გლეხებს გადასცესო. კარგია, იცოცხლე, მაგრამ უნიადაგო ოცნება რომ არის?

ილია იმ პრინციპის მომხრეა, რაზედაც დღეს დგას განვითარებული სამყარო. თავისუფალი კონკურენცია, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი, ეკონომიკური და პირადი თავისუფლება. სხვაგვარად ბანკი ვერ იარსებებს, ისევე როგორც განვითარება არ უწერია არავითარ აღებ-მიცემობას და საქმიანობასო.

ეს იყო პოზიციების შეჯახება, ილია ამ დავაში საპირადოს ვერაფერს ხედავდა და არც ნიკოლაძეს შეხებია პიროვნულად, მაგრამ მისი ოპონენტი, ცოტა არ იყოს, დაუნდობლად იქნევს კალამს. ამაზე ცოტა ქვემოთ.

გაზეთ „დროებაში" დაწყებული კამათი გადადის გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში". ამ რუსული გაზეთიდან კამათი გადადის სამედიატორო სასამართლოში.

ღოღობერიძე სულ დაავიწყდა. ახლა ილიას მისდგა გაფიცხებული ნიკოლაძე. ჭავჭავაძე ხელებს შლის – რისთვის, რატომ? ამ სათაურით წერილსაც ბეჭდავს „ტიფლისკი ვესტნიკში“ – „к чему и зачем“. მთელი აპრილი და მაისი ილია ნიკოს თავდასხმების ობიექტია. ჯერ შედარებით მორიდებით დაიწყო ნიკოლაძემ, შემდეგ პოლემიკის ეშხში შესულმა ძალიან გაამწვავა კამათი. მე ცუდად შედგენილ წესდებაზე გელაპარაკები, შენ კი ბანკი რომ სასარგებლოა, იმას ამტკიცებ; ეს იმას ჰგავს, კაცს გზის მოკირწყვლა დაუწუნო, ის კი გიმტკიცებდეს, გზა კარგია, შამბნარს ჯობიაო, – არ ცხრება ნიკოლაძე. აქდან მესხი ცეცხლს უნთებს. აკაკიმაც ირიბად ჩაუხველა. მაისის 16-19 რიცხვებში სათავადაზნაურო ბანკის კრება გაიმართა. ილია დიდი უმრავლესობით ისევ თავმჯდომარედ აირჩიეს. აკაკიმ თავისებური ირონიით გამოაქვეყნა „მცირე შენიშვნები“. „საზოგადოთ კრებები არ უნდა ინიშნებოდეს ზაფხულობით, როცა სიცხე აჭერს, თორემ უიმისოდაც ზანტი ხალხი სულ იქანცება და განძრევა ეზარება“-ო. აკაკი ხუმრობს, ვითომ სიცხეს აბრალებს და ამ ხუმრობა-ხუმრობაში გვარიან ბრალდებას შეფუთვნის: „აი სწორედ ამის ბრალი იყო, რომ კენჭისყრას ერიდებოდნენ და სხვა-და-სხვა ფოკუსებით ათავებდნენ საქმეს. მაგალითად: „ვისაც გსურთ ესა და ეს საქმე რომ ასე გადასწყდეს, წამოდექით და ვისაც არა, ისხედითო!“ იტყოდა ხოლმე თავმჯდომარე. წამოდგებოდნენ ხოლმე რამოდენიმე და რადგანაც ამდგრები მჯდომარეებს დაჰფარვიდნენ, უმეტესობა ყოველთვის წამომდგრები ეგონათ და ასე ათავებდნენ საქმეს. ანდა ხელის აღებით სწყვეტდნენ საქმეს. ერთმა მეკენჭემ ცალის ხელის მაგიერ, ორივ აიშვირა მაღლა, მისმა მოპირდაპირემაც მისის გამოჯავრებით ორივე ხელი მაღლა აიღო...“

აკაკი მისთვის ჩვეული გულწრფელობით არც იმას მალავს, სინამდვილეში რა მიზეზით დასცინის იმ კრებას, სადაც ილია აირჩიეს. „ჩვენი შეხედულებით სულ უდიდესი უკანონობა ის იყო, რომ ზოგიერთებს, რომელთაც ფული დროზე ვერ შემოუტანიათ და ახლა აპირობდნენ შემოტანას, ხმა წაართვეს“-ო. სავარაუდოა, აკაკის ფული ჰქონდა გატანილი და სარწმუნოა, არ ჰქონოდა უკან დაბრუნებული...

თავმჯდომარემო, ილიაზე წერს, კი ითხოვა ხმის უფლება მათაც მივცეთო, მაგრამ ეს მხოლოდ დიპლომატია იყო, თორემ გულით რომ მოენდომებინა, დაუჯერებდნენო...

ილიას გარდა „დიპლომატიური სიტყვა“ სხვამაც თქვა. „თუმცა მეტად პატივისმცემელი ვარ იმ პირისა, ზოგიერთი საქმეების

გამო, მაგრამ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ მისი სიტყვები აქ; – დეე დაინახოს თვითონ ლამაზად უთქომს თუ არა. და თუ არ დაუჯდეს, მეორეთ ფრთხილად იყოს: „...რადგანაცა რომა...ტაკ კაკ... ეს პირველი სროკი არ იქნება მაგათთვის, ნე ადინ რაზ მიგვიცია კიდეცა, ნო მაგათ თავის უსლოვია აქამდე ვერ შეუსრულებია... ეჰ, დღესაც პოპრობუემ, ერთი კიდევ ვუყოთ სნისხოუდენია! პირველი ჟერტვა არ იქნება ეს ჩვენგან და... მიუშვით!“

მშვენივრად კი ოხუნჯობს დიდი მგოსანი, მაგრამ დაწყებული სიცხის დამღუპველი გავლენით კენჭისყრაზე და დამთავრებული ამ მოჩიქორთულე ამომრჩევლის გაშარჟებით, ყველაფერი იმაზედ მეტყველებს, რომ ილიას ხელმეორე არჩევით დიდად გახარებულიც არ ჩანს.

ნიკოლაძის წერილებმა, აკაკის ამ ვითომ მცირე შენიშვნებმა ილია გააბრაზა. თუ არ გინდივართ, კეთილად მეყოლეთო. სერგეი მესხს შეუთვალა „დროების“ ჯგუფში დავრჩები, თუ აკაკისა და ნიკოლაძეს გაიყვან და მათ ნაცვლად ბესარიონ ჯორბენაძესა და დავით ჩხოტუას შემოიერთებო. მესხმა უარიც თქვა და ეს ამბავი გაზეთშიც გამოაცხადა. ნიკოლაძე და აკაკი სულ გადაირივნენ, ჯორბენაძე და ჩხოტუა როგორ არჩია ჩვენს თავსო...

ილიამაც ზურგი აქცია „დროებას“ და ასე დალია ჩაილურის წყალი სამი თვის შემდეგ სერგეი მესხის განცხადებამ:

„ეს დღე შესანიშნავი იქნება ჩვენი გაზეთისათვის მითაც, რომ ამ ოთხის მარტიდამ 1876 წ. „დროებაში“ მიიღებენ განსაკუთრებითს მონაწილეობას ქვემო – ხსენებულნი პირნი, რომელნიც კისრულობენ როგორც ლიტერატურულს, ასევე მატერიალურს წარმატებას გაზეთისას:

ნიკო ნიკოლაძე (ნ. სკანდელი)
აკაკი წერეთელი
და ილია ჭავჭავაძე

ამათ გარდა ჩვენი გაზეთისათვის იშრომებენ ეხლანდელ თანამშრომელნიცა“. ეს შეპირება ფუჭი აღმოჩნდა, მაგრამ ილიაზე თავდასხმებმა ერთი სასიკეთო შედეგი გამოიღო. ილიამ გადაწყვიტა, თავად გამოეცა ახალი გაზეთი სახელწოდებით „ივერია“, რომელიც იქნებოდა დროშა ქართული მწერლობისა და ქართველი ხალხისა. აუწყა კიდეც საზოგადოებას ამის შესახებ. არც სერგეი მესხს გახარებია ეს ცნობა და არც ნიკო ნიკოლაძეს. დროების გვერდით დგო-

მა ილიას არ დაუფასეს, მისმა განზე გადგომამ კი დააფრთხო ისინი. ჯერ დაუბადებელ გაზეთს წინასწარ გამოუტანეს განაჩენი – ცალმხრივი იქნება და ბანკირების ინტერესების გამტარებელიო.

ახლა კი ამოიღო აკაკიმ ხმა და მედიატორად ჩადგომა მოინდომა. ილიას და ნიკოლაძეს მიმართავდა წერილით „უდროვო ბრძოლა". „აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გამოსჭყლიტესო" – ისე იქნება თქვენი ბრძოლის საქმე. „მართალია ჩვენ არც ერთი და არც მეორე აქლემივით დიდად არ მიგვაჩნია" – მაგრამო, განაგრძობს აკაკი, საერთო საქმე დაზარალდება შინაურების ბრძოლით და გარეული გაიხარებსო. მაგრამ მედიატორობა გვიანღა იყო. ნიკო ნიკოლაძე აღარ ინდობს ილიას, გადადის პიროვნულ შეურაცხყოფაზეც კი:

„დროშას – მწერლობისთვის იყოს, გინდ სხვაგვარი მოქმედებისა – მარტო ის პირები აწევენ და მაგრა გააჩერებენ მაღლა, ვინც შეჩვეული არიან ერთსა და იმავე დროშის ქვეშ დგომას. დროშას ხელში ვერ შეიკავებს, ვერც მაღლა და ვერც დაბლა, ის პირი, ვინც დღეს ლიბერალობს და ხვალ ლიბერალობას ჯამაგირში სცვლის, მაზეგ ჯამაგირის რაოდენობისათვის ბატონს იცვლის, ზეგ ისევ ლიბერალობას უბრუნდება, როცა ჰხედავს, რომ ლიბერალობა ჯამაგირს ერთიორათ უმატებს". ბევრი შეიძლება ნიკოლაძის წერილიდან მსგავსი ამონარიდებს მოტანა, მაგრამ საკმარისია კიდევ ერთი წინადადება, რაც მისი წერილის ერთგვარი დედააზრია: „მე სავნებლათ ვთვლი, ახალი გაზეთის დაარსებას კი არა, გაზეთის დაარსებას კენჭისყრის გასამრუდებლად".

ეს ის ნიკოლაძე არ არის, დუშეთში რომ ადი-ჩამოდიოდა, ილიავ, წამოდი, ჩაგვიდექ სათავეში და გვინინამძღვრეო?

ეს ის ნიკოლაძე არ არის, ილია რომ სთხოვდა, ეხვეწებოდა, ამუნათებდა, სად მიდიხარ, აქ დარჩი, წინ წაუძეხ კვლავინდებურად შენებრ მამულიშვილთა გუნდსო? შინაურისგან გეტკინება თორემ, ილიას თავდასხმების მეტი რა ჰქონია. უცნაურია მართლაც ეს ცხოვრება. რისთვის და რატომ, ფიქრობს გაოგნებული და შეურაცხყოფილი ილია. ესენი არ სთხოვდნენ, ბანკი ჩაიბარეო? – ახლა ამ ბანკირობას ისე წამოსძახებენ, თითქოს ბაზრის ბიჭს ქურდობაზე წაასწრეს. ვინ უნდა ყოფილიყო, რომ ილიას ეს თავდასხმები აეტანა. ვინ უნდა ყოფილიყო, რომ ბუმერანგივით უკან არ მიეღო ბასრი კრიტიკა, მაგრამ ნიკოლაძის დიდ ნიჭს პატივს სცემდა, იმ ფონზე, რა ქარიშხალიც ნიკომ დაატრიალა, ილია სიმშვიდის გან-

სახიერება ჩანს, აშკარად არ სურს გარეშეებს სეირი აყურებინოს. ნიკო კი აკაკისაც არ შეარჩენს მშვიდობისაკენ მოწოდებას. შინაურების ჩხუბი მაშინ არის მიუღებელი, როცა ნამდვილ ბრძოლის ველზე არიან, თორემ ბრძოლის ატეხვამდე განა შინაურებიც არ დაობენ, რა სტრატეგია სჯობს მტერთან საბრძოლველადო? ესეც არ იყოს, თუნდაც ომის დროს განა უდისციპლინოს არ სჯიანო?

ილია კითხულობდა ამ შეგონებებს, მოითმინა, პასუხი აღარ გაუცია, მაგრამ როგორც ვნახავთ, ანთებული მუგუზალი ეგრე ადვილად არ ჩაქრება.

ილია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საკუთარი ტრიბუნა უნდა ჰქონოდა. მთელი შემოდგომა ახალი გაზეთის გამოცემისთვის ემზადება. იწვევს ნიჭიერ თანამშრომლებს თუ თბილისში, თუ საზღვარგარეთიდან.

17 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობა ნებას რთავს ილია ჭავჭავაძეს, 1877 წლის 1 იანვრიდან გამოსცეს გაზეთი „ივერია"

იმავე წლის შემოდგომაზე მარი ბროსე ფრანგულად თარგმნის „კაცია ადამიანს". ზუსტად იმ წელს, როცა ჩვენმა კმაყოფილმა ლუარსაბმა პარიზის ქუჩებში უნდა აიდგას ფეხი, ქართველი თავადები მეფისნაცვალს სწერენ: „ბატონყმობამდი ჩვენ მუქთი მშრომელნი გვყავდნენ ჩვენდა სარჩენად და იოლად გამოვდიოდით, გაჭირვებაში არ ვიყავითო. მაგრამ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ, ჩვენი მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ჩამოგვართვეს ყმები, მოგვესპო მუქთი მშრომელი, მუშები გაძვირდნენ, დაგვედვა ვალები და რადგან იმდენი ღონისძიება აღარ გვაქვს, რომ თავის დროზე გადახდა შეგვძლებოდა, ამ ვალში გვეყიდება მამულები, ჩვენ კი ვიღუპებით, ვღატაკდებით, უმინაწყლოდ ვრჩებით". ან კიდევ: „შეიძლება ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას გაერთოს კაცი, მაგრამ ჩვენი შთამომავლობითი და საისტორიო მიზეზებით შეკეთებული ხასიათი შეუპოვრად ეწინააღმდეგება აქამომდე აღებ-მიცემობასა და უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენში ჯერ არც ნიჭიერება სჩანს ამ გვარის მოსაქმეობისათვის." არ შეიძლება ამ პატრიარქალური ნოსტალგიის ღაღადმა არ შეგაწუხოს, მაგრამ თუ ახალ დროს, ამ უსისხლო მსაჯულს ახალი შეგნებით არ დახვდებოდი, ერი სამუზეუმო ექსპონატად გადაიქცეოდა. ამიტომ იყო, ილია ამ უსისხლო მსაჯულის კარნახს რომ უფრო აყურადებდა, ვიდრე თუნდაც ახლობელთა თხოვნას, დამუნათებას თუ მუქარას.

1877

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება. ილიას წინასწარ, საიდუმლოდ აცნობეს მოსალოდნელი ომის შესახებ. წერილი „ოსმალოს საქართველო“. გაზეთ „ივერიის“ გამოსვლა და მისი შეფასება. გ. წერეთლის იმედები.



„ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა?

ილია

ეს პირველი შემთხვევა იყო. ილია რუსის ჯარის წარმატებაზე ოცნებობდა. ორი წელია ამ დღეს ელოდა. ცხადია, გრძნობდა, 2 წლის წინ, როცა ბულგარეთი აჯანყდა თურქეთის წინააღმდეგ, როცა აჭარა აბუნტდა ოსმალეთის წინააღმდეგ, ეს მთლად უბრალო დამთხვევა არ იქნებოდა. რუსი რაღაცას აპირებდა. და ეს რაღაც მოხდა.

1877 წლის 12 აპრილს რუსეთის იმპერიამ ომი დაიწყო თურქეთის იმპერიასთან. ილიას იქით – ოსმალეთში საქართველო ეგულება, ოსმალოს საქართველო. ერთი სიკეთე, რაც შეიძლება რუსმა ქნას მთელი 80 წლის მანძილზე, ეს საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნებაა, ამიტომ ილია და მთელი საქართველო ამ ომს სიხარულით შეხვდა. გაზეთი „ივერიაც" (თითქოს საგანგებოდ ამ მოვლენისთვის დაუმთხვევია), 3 მარტს უკვე გამოვიდა. ამ თავის საკუთარ გაზეთში იდეოლოგიას, როგორც უნდა ისე წაიყვანს. ოსმალოს საქართველოსთან დაკავშირებით არც ცენზურა შეუშლის ხელს. პირველი შემთხვევაა, როცა რუსის ოფიციოზის ინტერესი ქართველების ინტერესს ემთხვევა. წერილი „ოსმალოს საქართველო" უკვე მზად აქვს, ომის დაწყებამდე დაწერილი, 12-ში ომი დაიწყო და 28-ში უკვე „ივერიაში" დაბეჭდა. შესაბამის მასალებს ჯერ კიდევ მარტიდან აგროვებდა. მაგალითად, პეტერბურგში ვასო წერეთელს მისწერა, შენს ძმას ახარე, „მეფე ლირი" წიგნად გამოვეციო. ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდაა და „ივერიაში" ითანამშრომლოსო. ჩემს მაგივრად სთხოვე და შეეხვეწე, მაგას მადლიანი კალამი აქვს და მასალები გამომიგზავნოსო. ასევე სთხოვს „ივერიაში" ითანამშრომლონ ცაგარელმა და ჩუბინაშვილმაო და ვითომ სასხვათაშორისოდ დასძენს, ჩუბინაშვილს რომ გამოკვლევა აქვს ლაზეთზე, აუცილებლად გამომიგზავნოს, მე თავად ვთარგმნი და დავბეჭდავო.

იცოდა, ლაზეთი მალე ძალიან აქტუალური რომ გახდებოდა. ჯერ ერთი, გრძნობდა ბულგართა აჯანყების გამო. აკი წინა წელს მონაწილეობაც მიიღო ბულგარეთის მწარდასაჭერ სალიტერატურო ღონისძიებაში. მეორე და მთავარი. ილიას წინასწარ, საიდუმლოდ აცნობეს მომავალი ომის შესახებ. წერილი, რომელსაც აქ გავეცნობით, არის დასტური იმისა, თუ რაოდენ დიდ ავტორიტეტად მიაჩნიათ უკვე ამ დროისათვის ილია იმპერიის მაღალ ჩინოვნიკებს და მეორე, არის დასტური იმისა, რომ სამშობლოს დავიწყება ეგრე ადვილიც არ არის უცხოთა სამსახურში აღზევებული პირისთვისაც. წერილი ილიამ მარტის დასაწყისში მიიღო. წერილს სტამბოლიდან სწერდა რუსეთის ვიცე კონსული თურქეთში ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთელი. წერეთლის შეტყობინება თბილისში საიდუმლოდ ჩამოიტანა და ილიას პირადად გადასცა წერეთლის მეუღლემ მარინა უსპენსკაიამ.

„დიდად პატივცემულო ბატონო, თავადო ილია!

ყოვლისშემძლე ღმერთს შეევედრები თქვენს ჯანმრთელობას და ბედნიერად ყოფნას. ნუ გაგიკვირდებათ ჩემი, შორეულ სტამბოლში მყოფი ქართველის წერილი. მისი დაწერა გამოწვეულია მეტად მნიშვნელოვანი საქმით.

აქ, სტამბოლში შევიტყვე, რომ გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა დიდი საქმე გააკეთა, როცა კავკასია ტელეფონით პეტერბურგს დაუკავშირა. ეს კავშირი მალე დაგვჭირდება, თუ წინააღმდეგ იმ ქვეყნისა, სადაც ახლა ვიცე კონსულად ვარ, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა სამხედრო ჩარევაზე ნავა. ამ ჩარევაში ჩვენ ბათუმი, ყარსი და არზრუმი უნდა გავჭვრიტოთ. აბა, დანარჩენი თქვენ იცით. ველარავის ვენდევი და ბარათის თბილისში ჩამოტანა ჩემს მეუღლეს დავავლე. ვიცი დარიალით გადმოსვლა გაუჭირდება, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვე.

ფრიად საიდუმლოდ, თქვენი სიკეთის მავედრებელი თავადი ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთელი (იხ.დ. ნაცვალაძე „ბრძენკაცის საზრუნავი"; ი.გორგაძე, ნ. გურგენიძე „ილია ჭავჭავაძე ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე" თბ.1987წ.)

წარმოიდგინეთ, რა განცდა ექნებოდა ილიას ამ საიდუმლო ბარათის კითხვისას. რამდენჯერმე წაიკითხავდა და რომელი პოემა წაიღებდა ისეთ ღრმა ფიქრებში, როგორც ეს მშრალი, მაგრამ მრავლისმეტყველი, დაკარგული განძივით აღმოჩენილი ეს საყვარელი სიტყვები დიდი იმედისა – ბათუმი, ყარსი, არზრუმი.

ამის შემდეგ იწერება „ოსმალოს საქართველო“. ეს სათავსასთუმლე წერილი იმათთვისაც და ამათთვისაც, იქაური გურჯ-ლაზებისთვის და აქაური ქართველებისთვის. ერთი სისხლის, ერთი მოდგმის, ერთი ჯიშის, ერთი ხსენის, ერთი ენის, ერთი ისტორიის და ან ორი სარწმუნოების მქონე ძმებისთვის.

წერილის თითოეული ფრაზა ეკუთვნის მხატვარს, პოლიტიკოსს, სტრატეგს. თითქოს ამ წერილმა უნდა მოგვიტანოს გამარჯვება, თითქოს მაგიურ სიტყვებს, როგორც მოციქულებს აგზავნის იქითაც და აქეთაც, რომ ყველას ერთად შეუძრას გულები, ვაი თუ ურთიერთგაციებული, ვაი თუ, თვალი შორს და გული შორსო, ურთიერთგაუცხოებული.

ამ პატარა წერილს დააკისრა ყველა მისია ერთად, რაც შეიძლება სიტყვამ იტვირთოს. წარსულიც, აწმყოც, მომავალიც. გახსენება, შეერთება, სიყვარული. ანთება, გამხნევება, ბრძოლა.

ჯერ ეჭვი გააქარწყლა ჩვენი ერთობის რაიმე მიზეზით ხელისშეშლისა – „არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა.“

იცის, ისტორიის ერთობას ვერსად გაექცევიან, პირჯვარს თუ არ იწერენ, ენაც თუ გადავიწყებიათ, საერთო ისტორიის ხსოვნას სად გაექცევიან. თამარი ხომ ახსოვთ, რუსთაველი ხომ ახსოვთ, საკუთარი წინაპრები ხომ ახსოვთ, თუ რისთვის იქნევდნენ ხმალს.

ამით აქეთა ქართველებსაც ირიბად შეახსენებს, არავინ ცხვირი არ აუბზიკოთ, ენას თქვენც იტეხთ ბევრი, არც მუხლები გაქვთ ლოცვით გადატყაული, მაგრამ ქართველებში ხომ წერიხართო.

მერე საერთო ისტორიას გაიხსენებს, გაიხსენებს რომ წმინდა ნინოს გამოჩენამდე ქრისტიანობა თქვენი კუთხიდან იდგამს ფეხს საქართველოშიო. საქართველოს გაერთიანებასაც ამ კუთხიდან იწყებენ ბაგრატიონებიო. რუსთაველს იხსენებს, განა თქვენ არ ურწიეთ აკვანიო? განა ძალით არ მოგწყვიტეს დედას და სიკვდილის მუქარით არ გამოგაცვლევინეს სჯულიო?

განა თქვენი კუთხიდან სიკვდილს გამოქცეული თქვენივ ძმები არ ცხოვრობენ აქეთ საქართველოშიო?

ერთი სიტყვით, წერილი კი არა, ბრძოლის ველზე დასარიგებელი მხატვრული პროკლამაციაა.

ისე, არც უამისობა იყო. ომამდე იქ ჩავიდა ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი წერეთელი. ცხადია, გულისგადასაყო-

ლებელი მოგზაურობა არ წამოუწყიათ... იქითაც ჰყავდათ ილიას სულის ნატეხი – ხიმშიაშვილი. ისიც მოუთმენლად ელოდა, როდის ჩაეხუტებოდა ძმა ძმას.

ილია კი ასე ამთავრებს თავისი გულის ძახილს: „ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი. და თუ ამისთვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელინადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...“

მაისში ჩუბინაშვილის წერილმაც ჩამოუსწრო. თარგმნა და 2 ივნისს „ივერიაში“ დაბეჭდა: „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.“

„ივერიაც“ და „დროებაც“ გაფაციცებულნი ადევნებენ თვალს ფრონტის ამბებს. ქართული სამხედრო ელიტა ომშია წასული. ომში მიდიან ჟურნალისტები, მწერლები. მოხალისეები მილიციის რაზმებს ქმნიან და გურიის ან ახალციხის მიმართულებით მიეშურებიან. გურიის სოფელ ლიხაურიდან 16 გლეხი მიდის ერთ დღეს და უთანასწორო ბრძოლაში თექვსმეტივე ერთ დღეს იხოცება.

ლორის მელიქოვს აქ რომ სასაცილოდ იგდებდნენ, ახლა მის წარმატებაზე ოცნებობენ. მელიქოვი სარდალია ჯარისა (თუმც ერთი წლის შემდეგ აკაკის მაინც გამოსტყუებს პამფლეტს – „ჩვენი მიხაკა“). თურქებმა ერთი ხანობა წინ წამოიწიეს. აფხაზეთი აიღეს, მაგრამ მალევე უკუაქციეს და ბრძოლა ისევ თურქეთის საზღვრებს იქით გაგრძელდება. რუსის გენერლები ეტყობა ინსტრუქციას ასრულებენ. აჭარლები არ გაანაწყენოთ, ეს საქართველოს მიწებია, აქ ქართველთა მამა-პაპის ძვლებიაო, აფრთხილებენ რუს ჯარისკაცებს, მაგრამ...

მაგრამ ბოლოს რა ჰქმნეს, ქვემოთ მოგვიწევს ამაზე საუბარი...აქ კი, თბილისში სამოქალაქო ცხოვრება გრძელდება. დიმიტრი ყიფიანის მიერ იწერება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება“. ილიაც ჩართულია,ჩართული კი არა, მოთავეთაგანია, ერთი შეკრება მის ბინაშიც ჩატარდება.

ილია ვინმე ნათიევს წაჰკრავს თავის მახვილ კალამს, რომელსაც გორის საოსტატო სემინარიაში ქართულის სწავლების რაღაც დამახინჯებული მეთოდი შეურჩევია.

ილიას იწვევენ ყველგან. ირჩევენ საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტად.

ირჩევენ ახლად დაარსებულ ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წევრად და კინაღამ დამავიწყდა...

ილია არ ავიწყდება ან უკვე თანმდევ ოპონენტად ქცეულ ნიკო ნიკოლაძეს. გამომრჩა აღნიშვნა იმისა, რომ გამოვიდა თუ არა „ივერია", სამ დღეში „დროებაში" დაიბეჭდა ნიკოლაძის წერილი – „ივერიის" პირველი ნომერი". არც სტილი მოსწონდა გაზეთის ნიკოს, არც შინაარსი. პირველივე ნომერი დაუწუნა. ერთი კი დიდსულოვნად აღნიშნა, „ივერიაში" დაბეჭდილი „ცხოვრება და კანონი" ძალიან კარგიაო. ეს სტატია ილიასი იყო, მაგრამ მისი სახელი და გვარი არ ეწერა. ნიკო ის კაცი არ იყო, ილიას წერილი ვერ ეცნო.

აი, დასკვნა „ივერიის" პირველ ნომერზე ნიკო ნიკოლაძისა: „ნებას ვაძლევ ჩემს თავს ერთი რჩევა მივცე უფ. ჭავჭავაძეს. რასაკვირველია, მას უფლება აქვს მიიღოს ან უკუაგდოს ეს რჩევა. მისი პირველი ნომრის გასინჯვა მარწმუნებს, რომ თითქმის მთელი ეს ნომერი, ორი სუსტი სტატიის გარდა, მისი დაწერილია თავიდან ბოლომდე. კარგად დარწმუნდეს, რომ „ივერიის" რედაქციაში ლიტერატურული ძალა არ მოიძებნა გარდა ილ. ჭავჭავაძის ძალისა, და იმედი იქონიოს მარტო თავის თავისა". აქ რომ დაესრულებინა, რა უჭირდა, მაგრამ ნიკომ გააგრძელა – „ნუ დააძალებს თავის ნიჭს, ნუ მოსთხოვს იმას იმისთანა რამეს, რისიც მოცემა მის ნიჭს არ შეუძლია.

მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია, მაღალი ფრენა: ამაებრი უხეირო ფრაზების მეტს მისი ნიჭი ვერას მოგვცემს. მიუბრუნდეს ისევ მოთხრობებს, ბელეტრისტიკას, – ამ მხრით მისმა ნიჭმა დიდი დავალება დაადვა ჩვენს მწერლობას, და იქნება კიდევ შეძლოს ახალ დავალების დადება. მიუბრუნდეს საკუთარ დაკვირვებას, მოგონებას, და თუ მოთხრობების წერა ეძნელება, გვიწეროს იმისთანა სტატიები საკუთარ მსაჯულის პრაქტიკიდამ, როგორც სტატია „ცხოვრება და კანონი", ამით „ივერიას" მნიშვნელობაც შეეძინება და მკითხველებიც. და მაშინ ეს გაზეთი მნიშვნელობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას და ხალხს. ნუ ერიდება მუშტი–კრივს, (ილია ამ ნომერში წერდა, ლანძღვა და პიროვნების შეხება არ შეიძლებაო. ნ.გ). ნუ მიაქცევს ყურადღებას გარეგან შეხედულებას, და ნუ დაივიწყებს, რომ ხანგრძლივია მარტო შინაგანი ძალა, მარტო დედააზრი. დაიჯეროს ეს ჩემი გულწრფელი რჩევა: დარწმუნებული ვარ ჩვენი მწერლობის მომავალი მემეტიანე იტყვის შემდეგში, რომ ეს რჩევა გონიერი და

გულწრფელი ყოფილაო". შარო, საიდან მოდიხარო, ამაზე ითქმის. ჯერ ბანკირობა დაუწუნა, ახლა კი ლიტერატურულ თემებსაც განუსაზღვრავს, რა წეროს და რა არა. ახლა ეპიგრაფს არ იკითხავთ, რითაც იწყება ეს რეცენზია? – „მოკვდა იგი მებუკეცა, რომელიცა ბუკსა სცემდა". (ხალხური) ასე ჩადო მიწაში ახლადდაბადებული გაზეთის პირველივე ნომერი ოპონენტმა. „გულისწყრომამან კაცისამან სიმართლე ღვთისა არა ყვის" – ასეთები ვართ გაბრაზებული ქართველები. მერე რა რომ დიდია, ნიკო, რა, ქართველი არ იყო?..

●

ომი და მშვიდობა კი სულ ახლოსაა ერთმანეთთან. ქობულეთში ომი მძვინვარებს. იქ სამხედრო კორესპონდენტად იმყოფება გიორგი წერეთელი. თუ მისი ცოლის ძმა, ნიკო ნიკოლაძე პოლიტიკურ საკითხებში ძალიან ღრმად ჩადიოდა და შორი გზიდან შინ მშვიდობით მისვლას არჩევდა, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის თვალსაზრისით, გიორგი წერეთელი ზუსტად იმ გზას აირჩევს, დავით მიქელაძემ რომ დასახა 1874 წელს. როგორც კი რუსი დიდ მტერთან დაიწყებს ბრძოლას, ავისხათ ყველამ იარაღი და ან სიკვდილი ან სიცოცხლეო. გიორგი წერეთელს რუსეთ–თურქეთის ამ ომით არათუ თურქთაგან ტერიტორიების დაბრუნების, მთლად რუსების გაყრის და საქართველოს დამოუკიდებლობის იმედიც კი ჩაესახა. ამონარიდი გიორგი ლასხიშვილის მოგონებებიდან: „რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელი ომის დროსაო, სთქვა აკაკიმ, გიორგი წერეთელი სამხედრო კორესპონდენტად იყო ფრონტზე, ქობულეთში მოქმედ არმიასთან. დიდი იმედებით იყო აღფრთოვანებული, ომში ინგლისი ჩაერევაო, გვარწმუნებდა ყველას. გამოგზავნის ძლიერ ფლოტს შავ ზღვაზე და საქართველოს განათავისუფლებსო. ისე იყო ამაში დარწმუნებული გიორგი, რომ უშიშრად რაღაც მოლაპარაკებასაც აწარმოებდა ქობულეთის წარჩინებულ მაჰმადიან ქართველებთან. თან ჩვენ ინტელიგენციას და საზოგადოებასაც ელაპარაკებოდა იმაზე, – მართავდა კრებებს თბილისსა და ქუთაისში. ერთ ამისთანა კრებაზე ქუთაისში ამტკიცებდა – მალე ინგლისელები შემოვლენ ჩვენს ქვეყანაშიო. კრებაზე, სხვათა შორის, გურიაში ცნობილი მემამულე სიო ბერიძეც იყო. გაიგონა თუ არა ინგლისელების საქართვე-

ლოში მოსვლის ამბავი, სიო ბერიძემ მაშინვე სიტყვა გააწყვეტინა გიორგის და უთხრა:

– თუ ღმერთი გწამს, გიორგი, თავი დაგვანებე, ძლივსძლივობით ორი ღერი რუსული ვისწავლე, ახლა ინგლისურს რა მასწავლის... არ გვინდა, ბატონო, არაო...

– მერე როგორ დაასრულა გიორგი წერეთელმა თავისი პოლიტიკური მუშაობა? შევეკითხე აკაკის.

– ცოტა დააკლდა, კინაღამ ჩამოაღრჩესო."

მინდოდა ეს მოგონება დღევენდელ დღესაც გამეხსენებინა, როგორ მეორდება ყველაფერი, როგორ და როდემდე?

1878

სამხრეთ საქართველოს შემოერთება დედა საქართველოსთან. მუსლიმან აჭარელთა დევნა რუსთაგან. გამოჩენილ აჭარელთა სტუმრობა თბილისში. ქართველების რუსი სიძეები. „ობზორის“ გამოცემა.

ნიკო ნიკოლაძე

„საქართველოს შვილნი განაწილებულ საქართველოს შეერთებას ვდღესასწაულობდით".

„დროება" 1878 წ. N239

„დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!..."

აკაკი

„აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა–პაპათა ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო".

ილია

„ამ ჩარევაში ჩვენ ბათუმი, ყარსი და არზრუმი უნდა გავჭვრიტოთ". ისე აგიხდეთ ყოველივე კეთილი ჩანაფიქრი. ალექსი წერეთლის ეს პატარა ბარათი მოწერილი ილიასადმი ბედნიერების უვერტიურად იქცა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ (ეს ბარათი ხომ 1877 წლის მარტის დასაწყისში მიილო ილიამ), 1878 წლის მარტში გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც დამოუკიდებლობა უნდა მიეღო ბულგარეთს, ჩერნოგორიას, რუმინეთს. ღმერთმა სიკეთე მისცეთ, მაგრამ ამ ხელშეკრულებაში ჩვენთვის გასახარელი ის ეწერა, რომ სამხრეთ საქართველო დედა საქართველოს უბრუნდებოდა.

რუსეთის იმპერიის გაძლიერება ევროპას არ სურდა. პროცესები გართულდა. გამარჯვებულ რუსეთს უკვე კონსტანტინოპოლზე ეჭირა თვალი, ამიტომ დროულად ამოსდეს ლაგამი და შეაჩერეს, მაგრამ, საბედნიეროდ, 1878 წლის 13 ივლისს ხელმოწერილი ბერლინის ტრაქტატის ძალითაც აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა არტაანი და ოლთისი ჩვენ დაგვრჩა.

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა რუსეთის იმპერიამ საქართველოს კარგი გაუკეთა, მაგრამ ხანმოკლე დროით. 1918 წელს, ისევ ბერლინის ზავით I მსოფლიო ომში დამარცხებული რუსეთის ახალი, სოციალისტური იმპერია ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ამ ტერიტორიების უდიდეს ნაწილს ისევ თურქეთს დაუბრუნებს.

მაგრამ ეს ორმოცი წლის შემდეგ მოხდება. ახლა კი 1878 წელია და ქართველების სიხარულს საზღვარი არ აქვს, თუმცა ამ სიხარულს ანელებს ის ცნობები, რომელიც აჭარიდან მოდის. გამოჩნდა, რომ რუსი ისევ ვერაგობს. მათ ტერიტორიის გაფართოება აინტერესებდათ და არა ქართველთა ინტერესების დაკმაყოფილება. თუ აქამდე რუსის გენერლები თავის ჯარისკაცებს მოძღვრავდენენ – ეს ქართველთა მიწა-წყალია, აქ ჩვენი მოკავშირე ქართველების მამა-პაპათა ძვლები მარხია, ამიტომ აჭარლებს არაფერი აწყენინოთ და ფრთხილად მოექეცითო, მას შემდეგ რაც ომი დამთავრდა, სხვარიგად გამოაჩინეს კბილები. ამათ საქართველო ქართველების გარეშე უნდოდათ. ჯერ პასკევიჩმა რა ქნა, 1827-28-29 წლებში. ქართველების დახმარებით ჯერ ერევანი აიღო, სომხები დაამარცხა და შემდეგ დამარცხებულთა გულის მოგების მიზნით, წამოდით, ჩვენი ერთგული ქვეშევრდომები იყავითო და სომხები ავლაბარში ჩამოასახლა. თბილისი ერთი ხელის მოსმით ქართველთათვის უცხო ქალაქად აქცია. აქედან მოყოლებული ლამის ერთი საუკუნე თბილისის თვითმმართველობაში ძირითადად მუდმივად სომხები იყვნენ. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, როცა გლეხს წასვლა-ნამოსვლის საშუალება მიეცა ლუკმა-პურის საშოვნელად, თბილისის თვითმმართველობა ჯარიმას დააწესებს, ვინც სოფლიდან ჩამოვა საცხოვრებლად ჩვენს ქალაქში, ჯარიმა გადაიხადოსო. აი, ეს ქნეს რუსებმა. ჩვენმა ბედოვლათმა ელიტამ კი დღევანდელ თავისუფლების მოედანს, ერევნის ამღების პასკევიჩის უკვდავსაყოფად ერივანსკის მოედანი უწოდა... თუმცა ვინ ჰკითხავდა იმათ...

აჭარაში კიდევ უარესი ჩაიფიქრეს რუსებმა. ზღვისპირეთი რუსთა კოლონიის დასაარსებლად მოეწონათ. ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობისაგან აჭარის გაწმენდა მოინდომეს. თუ ომის დროს ამბობდნენ, აჭარლები ჩვენი მოკავშირე ქართველების ძმები არიანო, ახლა გაიძახოდნენ, – ესენი მუსულმანები და ქრისტიანობის მტრები ყოფილანო. დაიწყეს რელიგიური შუღლის გაღვივება. ამით თურქეთის მსტოვრები სარგებლობდნენ, აჭარლებს

ღრმა თურქეთში გადასახლებისაკენ მოუწოდებდნენ. რუსები მათ ხელს არ უშლიდნენ და პირიქით, აჭარლებს დასძახოდნენ, ან გაქრისტიანდით ან აქედან აიბარგეთო. ასე შევიერთეთ აჭარა რუსების წყალობით და რუსთა წყალობითვე დავკარგეთ ათი ათასობით ჩვენი სისხლი და ხორცი, რომელნიც ღრმა თურქეთში გადაასახლეს, დღესაც რომ შეხვდებით თურქეთის სხვადასხვა ტერიტორიებზე გაბნეულთ.

რაღაც უნდა გვეღონა. აქაც დიმიტრი ყიფიანი აღმოჩნდა ინიციატორი. გრიგოლ ორბელიანს, ილიას, აკაკის დაუკავშირდა და განიზრახეს, ნდობის აღდგენის მიზნით, აჭარის საუკეთესო შვილები თბილისს მოეწვიათ და მათთან სადღესასწაულო შეხვედრა მოეწყოთ. „დროება" წერდა: „დიდის სიამოვნებითა და სიხარულით მიიღეს ტფილისს ყველა ქართველებმა ეს ამბავი... ამ მიზნით გამართული იყო სადილი მუხრანსკის (იგულისხმება ივანე, ნ.გ) სასახლეში, კლუბის დიდს ზალაში". სტუმართა შორის იყვნენ შერიფ–ბეგ ხიმშიაშვილი, ჰუსსეინ–ბეგ ბეჟან–ოღლი, ჰუსეინ–ბეგ აბაშიძე, მუფთი–ეფენდი სურმანიძე და სხვა.

მასპინძელთაგან ნადიმზე იყო თითქმის ყველა ცნობილი პიროვნება, მათ შორის გრ. ორბელიანი, აკ. წერეთელი, დიმ. ყიფიანი, კ. მამაცაშვილი, გ. წერეთელი, ივ. კერესელიძე, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი, დ. ჯორჯაძე. ილიას რამდენიმე ბიოგრაფი, მათ შორის მისი ერთი ყოფილი თანამშრომელიც წერს, რომ აქ იყო და სიტყვა წარმოსთქვა ილიამაცო (ეტყობა შეცდომა თანამშრომლისგან იღებს სათავეს), მაგრამ, სამწუხაროდ, ილია ამ დროს თბილისში არ ყოფილა. ის ჩამონათვალი, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, ეკუთვნის გაზეთ „დროებას". ცხადია, გაზეთი არ გამოტოვებდა ილიას იქ ყოფნის ფაქტს. ილია ცალკე დაწერს იმ ცნობილ მოწოდებას, რომლის ნაწყვეტიც ეპიგრაფად გავიტანეთ. იმ საღამოს კი ბრწყინვალე სიტყვა უთქვამს აკაკი წერეთელს. „დროებამ" ამ სიტყვის ტექსტიც დაბეჭდა. აჭარის შემოერთების ნადიმზე ერთად ვხედავთ ყველას, ძველსა და ახალ თაობას, რაღა დროს თაობა და შინა ბღვერა იყო ამ დიდი სიხარულის ჟამს.

ახლა კი სხვა მოვლენები გავიხსენოთ. გრძელდება წერა-კითხვის საზოგადოების შექმნისთვის ზრუნვა. 20 ივნისს დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე და ბესარიონ ღოლობერიძე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროექტს წარუდგენენ დიმიტრი სტაროსელსკის (ილიას ქვისლს) დამტკიცების მიზნით იქ წარ-

სადგენად, სადაც ჯერ არს. სტაროსელსკის ამ დროისთვის ბაქოს გუბერნატორზე მეტი პოსტი აქვს. კავკასიის მეფისნაცვლის მმართველობის უფროსია. გენერალ-ლეიტენანტიც, რაღა თქმა უნდა. ამ კაცმა კეთილი როლი ითამაშა ამ წესდების დამტკიცებაში. რომ არა ილიას ქვისლი, ძნელი წარმოსადგენია რა მოხდებოდა, ვინაიდან 1878 წლიდან კავკასიის განათლების მზრუნველი არის კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, რომლის ამოცანაც აქ მუშაობის 23 წლის მანძილზე სწორედ ის იყო, რომ ქართველებისთვის ქართული წერა-კითხვა დაევიწყებინა. არადა, მისი მოვლინების პირველსავე წელს ეს ქართველები ახალი ეროვნული საზოგადოების წესდებას წარადგენენ... სტაროსელსკი ილიას გულს არ დასწყვეტს, ამ წესდების საქმეს კეთილად დააგვირგვინებს და ერთი წლის შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც არსებითად იმ დროს განათლებისა და კულტურის სამინისტროს როლს შეასრულებს, დაფუძნდება. ერთი სიტყვით, ქართველებს რუსი მაღალჩინოსანი სიძეებიდან ერთი ეს სტაროსელსკი გამოგვადგა. სხვათა შორის, არა მხოლოდ ამ საქმეში. ბევრი წამოწყება იქნა მისი საშუალებით საბოლოოდ მხარდაჭერილი.

ბედის ირონიაა სწორედ, თადეოზ გურამიშვილი, ეს პატრიარქალური თავადი და ყოფილი მდივანბეგი, რომელსაც არაფერ დიდ ეროვნულ საქმეში თავი არ გამოუჩენია, რომელიც თავის მდივანბეგობით ძალიან კმაყოფილი იყო, რუსობის გამო სიძეს სწუნობდა. 1832 წლის შეთქმულებმა კი სიამოვნებით მიათხოვეს თავიანთი ქალიშვილები იმ რუსებს, რომელნიც დამპყრობელთა მთლად პირველი პირები იყვნენ...

მაგალითად, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ალექსანდრე ჭავჭავაძე. უფროსი ქალიშვილი, ლამის სილამაზის სიმბოლოდ ქცეული ნინო მიათხოვა ალ. გრიბოედოვს.

უმცროსი ქალიშვილი, მშვენიერი სოფიო, ცოლად ჰყავდა ბარონ ნიკოლაის.

დიმიტრი ორბელიანი (ძმა ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანებისა, სამივე ძმა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეა).

დიმიტრის შვილი ელისაბედი ცოლად ჰყავდა ბარიატინსკის. ელისაბედის დედა, მასაც ელისაბედი ერქვა, იმდენად ლამაზი იყო, რომ ალექსანდრე დიუმამ, რომელიც ამდენს მოგზაურობდა, დაწერა, მისი მსგავსი სილამაზე არასოდეს არსად შემხვედრიაო. ასეთივე ლამაზი ჰყოლია შვილიც. ეს ის ელისაბედია, რომლის გამო

ბარიატინსკი თავის ადიუტანტთან დუელში გავიდა და ეს ქალი წაართვა. ისე ის ქმარიც რუსი იყო – დავიდოვი. სხვათა შორის ელისაბედის ბიძა, ალექსანდრე ორბელიანი განიცდიდა, რომ ძმისშვილი ჩვენი ხალხის მტერმა დაიტოვა ცოლად...

დავით ორბელიანი – 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

დავით და მანანა ორბელიანების (მანანა მირმანოზის ასული ერისთავი) ქალიშვილი ცოლად ჰყავდა გაგარინს.

კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

ვინ იყო გრიბოედოვი? შესანიშნავი პოეტი, მაგრამ იმპერიის ბურჯი. დესპანი სპარსეთში, სადაც აგენტობის გამო სპარსელებმა აკუწეს.

საქართველოს ცხოვრებაში კი ის დამსახურება აქვს, რომ მისი გეგმით „ქალაქის ახლად განაშენიანების მიზნით", ზარბაზნები მიაყენეს და დაანგრიეს კედელი, რომელიც თბილისს გარს უვლიდა. კი მაგრამ, ის კედელი რომ დარჩენილიყო, ეს ქალაქი უფრო ლამაზი არ იქნებოდა? მაგრამ ეს ეროვნული სიძველეების წასაშლელი ღონისძიება გახლდათ.

ვინ იყო ბარონი ნიკოლაი? ეს ის კაცია, მომაკვდავი ბარათაშვილი რომ არც კი ნახა განჯაში და ერთი სიტყვითაც არ უხსენებია განჯის დღიურებშიც კი; მაშინ, როცა ერთადერთი იყო ვინც თბილისიდან იქ იმყოფებოდა იმ დროს. იგი იყო განათლების მზრუნველი, მაგრამ ამ ჩვენს სიძეს ვერავინ უხსენებს ერთი ბეწო სიკეთესაც კი ქართული განათლებისათვის გაღებულს.

ვინ იყო ბარიატინსკი? მეფისნაცვალი, რომლის სახელს უკავშირდება შამილის დატყვევება. იმ შამილისა, რომელთანაც მიმოწერა ჰქონდა ბარიატინსკის ცოლის ბიძას ალექსანდრე ორბელიანს იმისთვის, როგორმე ეს ბარიატინსკები გაეყარა კავკასიიდან. სხვათა შორის, არც ქმრად ივარგა ამ ბარიატინსკიმ. ულამაზესი ცოლი ოქროს გალიაში ჰყავდა, თავად სხვისი ცოლების დევნას არ ეშვებოდა, ელისაბედი ძალზედ ტრაგიკული ბედის აღმოჩნდა. მოხუცებულობაში ჭკუიდან შეიშალა და ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე უცხოეთში.

ვინ იყო გაგარინი? ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი იყო ქუთაისის გენერალ გუბერნატორი, რომელიც ხანჯლით მოკლა სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი მოტყუებით დაიბარა ქუთაისში და უნდოდა იქიდანვე იძულებით გაემგზავრებინა ჯერ თბილისს, შემდეგ რუსეთში...

ამიტომაც ვთქვი, ერთი სტაროსელსკი გამოგვადგა-მეთქი. რკინიგზის საქმეშიც მისი იმედი ჰქონდათ.

ილია, თავადაზნაურთა სხვა წარმომადგენლებთან ერთად, იწყებს ზრუნვას ბაქო თბილისის რკინიგზის კახეთში გაყვანასთან დაკავშირებით. თავად–აზნაურთა კრება ილიას ირჩევს კომისიაში. ამ კომისიას ევალება საბუთების მომზადება მთავრობაში წარსადგენად.

სტაროსელსკი კი მთავრობის ლაბირინთებში გზის გასაგნებად სჭირდებათ. სხვაგვარად რუსეთის ბიუროკრატიის აღება შეუძლებელი იყო. ამ ბიუროკრატიასთან დაკავშირებით, ერთ კომიკურ ამბავსაც ჰყვებოდნენ, რომელიც სხვათა შორის, რკინიგზასთან იყო დაკავშირებული. თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობამდე ჩამოსულან უცხოელი მილიონერები, შეუკრებიათ თბილისში აქაური მდიდრები და უთქვამთ: აი, ჩვენ დიდ ფულს ვდებთ, რომ თბილისიდან ბაქომდე გზა გაკეთდეს, თქვენც შემოდით წილში და მომავალში დიდ მოგებას ნახავთო. ესენი გულუბრყვილოდ ეკითხებიან. ჯერ ის გაგვაგებინეთ, რკინიგზა რა არის და რაში უნდა მოვიხმაროთო. უცხოელებმა აუხსნეს, რაც იყო რკინიგზა და უთხრეს: ახლა რომ ბაქოში ჩასვლას 1 კვირას უნდებით, რკინიგზის საშუალებით სამ საათ ნახევარში ჩახვალთო. ქართველ თავადებს წაუყვანიათ ეს უცხოელები შენობასთან, რომლის პირველ სართულზე სასამართლო პალატა იყო, მეორეზე კი სააპელაციო პალატა და უთქვამთ: – თუ ჩვენი სიკეთე გინდათ, მაშინ ეგ რკინიგზაა თუ რაცხა, ამ შენობის პირველი სართულიდან მეორემდე გაიყვანეთო...

ერთი სიტყვით: ამ უაზრო ფორმალობის მმართველობაში, ილიას სწორედ ეიმედებოდა თავისი ქვისლი.

ქვისლ ბატონს ერთ განცხადებასაც აახლებს, ნება მომეცით მომავალი წლიდან ყოველკვირეული გაზეთი „ივერია" ყოველთვიურ ჟურნალ „ივერიად" გადავაკეთოო. ეს ამბავი არ ეწყინებათ, სადაც ჯერ არს. ყოველკვირეულად ამის ზარების რეკვას, ისევ ყოველთვიურად სჯობს. მისცემენ ნებას...

ამ წელს კი გეორგ ებერსის ისტორიულ-რელიგიური რომანის ბეჭდვას იწყებს – „რამეთუ კაცი ვარ". რამდენი რამ დაიბეჭდა იმ წელს „ივერიაში", მაგრამ ამ ფაქტს გამოვყოფ ერთი გარემოების გამო. გეორგ ებერსი დაახლოებით იმ როლს თამაშობს დანიისათვის, რა როლიც აქ ილიას აქვს და მეორე – ეს რელიგიური რომანი,

ჩემის ფიქრით, ერთგვარი სტიმულიც გახდება „განდეგილის“ დასაწერად.

1878 წლის პირველ იანვარს გამოვიდა ყოველდღიური რუსულენოვანი გაზეთი „ობზორი“. ნიკო ნიკოლაძის გამოცემითა და რედაქტორობით. იმედია არ იკითხავ, მკითხველო, მერედა, ილია რა შუაშიაო?

თებერვლის 19-ში ნიკოლაძე ბეჭდავს ფელეტონს. აგრძელებს ილიასთან 1876 წელს დაწყებულ კამათს.

14 აპრილს ისევ აქვეყნებს სტატიას, რომელშიც კვლავ ილიას და ბესარიონ ღოღობერიძის საბანკო პოლიტიკას აკრიტიკებს.

1879

მუჰაჯირობა აჭარაში. ილია ასეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ბესარიონ ღოღობერიძის გარდაცვალება. ილიას მობოდიშება. წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება.



ქუთაისი XIX ს.

„რუსთ ქვეშევრდომნი მხედრობა მამაცობისა მქნელია, თავი შესწირონ მამულსა, ყოველი ამის მცდელია".

გრ. შაბურიშვილი

ეს გრიგოლ შაბურიშვილი ყოფილა მეგრელთა რაზმის ექიმი 1853-56 წლების რუსეთ თურქეთის ომის დროს. მაშინდელი სამთავრობო გაზეთის „კავკაზის" წყალობით მისი ორი ლექსი შემოგვრჩა, რომელშიც ექიმი-პოეტი აქებს რუს მხედრობასთან ერთად მეგრელების, იმერლების, ქართლელების, კახელების გმირობას. „კავკაზში", მიუხედავად იმისა, რომ რუსულენოვანი გაზეთი იყო, ეს ლექსები ქართულად, ქართული შრიფტით დაუბეჭდავთ. ეს ამბავი ამოვიკითხე ერთი მეცნიერის წერილში – „რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის ასახვა საქართველოს პრესაში", რომელიც დაბეჭდილია კრებულში „ლიტერატურული ურთიერთობანი" II, თბ. 1969 წ.

პატივცემული მეცნიერი, რომელიც, როგორც ჩანს, საგანგებოდ დაეძებდა XIX საუკუნეში რუსი და ქართველი მხედრობის საბრძოლო თანამეგობრობის მაგალითებს, არაფერს ამბობს 1877-78 წ.წ. ომის შესახებ. ვერც იტყოდა. ამ ომში ღვაწლი ქართველობისა მთლიანად მიითვისა რუსეთის მხედრობამ. საქართველომ ამ ომში უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი საკუთარი სისხლის ფასად შემოიერთა. რუსული ოფიციალური გამოცემები ამას უკვე საგანგებოდ ჩქმალავენ. უფრო მეტი, იწყება დიდი მოჰაჯირობა. აი, ამ გარემოების გამო აღშფოთებული ილია 1879 წლის იანვარში დასტამბულ „შინაურ მიმოხილვაში" აღნიშნავს: „ჩვენი ძმები, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა", ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელი განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა.... წარსულმა ომმა ბევრი სისხლი დანთქა ქართველობისა, ბევრმა ვაჟკაცმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი, ბევრმა ჩვენმა აფიცრობამ თავისი ყმაწვილკაცობის დღენი დალია ამ ომში, ბევრი დაიხრცა სახელოვანის სიკვდილით და

მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა... თქვენ, საცა საჭირო იყო, პირველნი იყავით, და საცა ლხინი იყო, უკანასკნელნი...სახელი და დიდება თქვენც, რომელნიც ბედმა სიკვდილისაგან გიხსნათ, რომელ: თაც აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაჟკაცობა ქართველობის უქმი სიტყვა არ არის... თქვენც თქვენთანა თავდადებულ ძმათაებრ ჭირში პირველნი იყავით და ლხინში უკანასკნელნი ხართ.... თქვენი სახელი და დიდება სხვამ გაისაკუთრა, სხვამ დაინარჩუნა. იმით მაინც ინუგეშეთ, რომ ამ ომმა, საცა ამოდენა მსხვერპლი მოიტანა ქართველობამ, ამოდენა ძალ–გული და ვაჟკაცობა გამოიჩინა, ამ ომმა ამდენის ხანის დაშორებული ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა... ამ დიდს საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა. მიიღო კიდეც ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა, ჩვენი სისხლის შესაწირავი!..“

რუსებისთვის ომი დამთავრდა. ილიასთვის არა. აჭარა ახლაა სწორედ მისახედი და ილია აღწერს სრულ სურათს ნაომარი კუთხისა, რათა ქართველობას მოუწოდოს, გვერდში დაუდგნენ აჭარას:

„ყოველი მხრიდან ისმის, რომ ჩვენი მოძმენი – აჭარლები და ქობულეთლები ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ-აქამომდე არსაიდამ მოელიან, წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზედ მომეტებულად დაისაჯა. ამას ეჭვი არ უნდა: აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახადა ბედმა. აქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი. ჯარების დგომა ნამეტნავად ერთი-ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულისა, რასაკვირველია, კეთილს არ დააყრიდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედიც წინათვე არვინ იცოდა, ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალო: არც რუსი მოიქცეოდა გულმტკივნეულად და არც თათარი. დროების N32-ში კარგა ცხოვლად არის აწერილი გ. წერეთლისაგან ის საცოდაობა, რასაც წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს და ომის მერმეთაც... აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გარდახვენა ზარდაცემულთა მცხოვრებთა“. ილია კიდევ უფრო ემოციურს ხდის სურათს: „...იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძუძუგამშრალ დედას, როგორ ტყის ნადირივით დაძრწის დამშეული მამა, იმედ–დანთქმული, რომ რითიმე მიეშველოს სიმშილისაგან სულთმობრძავ ოჯახსა,

გარბის ამ ოჯახიდამ შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თვისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა. არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველეთ, ვიხოცებით“, საცოდავი კნავილი ბავშვისა: „მამავ, პური, მამავ პური“...

ამ სურათის აღწერის შემდეგ ახლა დედა საქართველოს მიმართავს ილია: „აბა ახლა წარმოიდგინეთ ეს ჯოჯოხეთი რამდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდით ხედავს თავის ძმას, რომელსაც შველა ცოტად თუ ბევრად შეუძლიან და არ შველის. ქართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის. ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად–შემძლებია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ურთიერთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველებისათვის! აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის.და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც...ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!.. ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ“...

იმავ 1979 წელს სხვადასხვა ღონისძიებები იმართება აჭარელ და ქობულეთელ თანამოძმეთა დასახმარებლად. ილია ასეთ ღონისძიებათა ან ინიციატორი, ან მხარდამჭერი ან მონაწილეა. გმირობის მიჩქმალვას ვინღა ჩიოდა რუსებმა ადგილობრივთა აყრა და თურქეთში გადასახლება, „მოჰაჯირობა“ დაიწყეს. „ნუთუ უსისხლოდ ჩვენი ბედი არას გვითმობს“ – შეწუხებული კითხულობს ილია და მაშინდელი ცენზურის პირობებში კარგა წყევლა–კრულვასაც მიაყოლებს სახელმწიფოს მესვეურთა: „სახელმწიფო ფულუროა, ფუყეა, ლაზათიანი ქარის შემობერვა და იმისი დამსხვრევა ერთია...“

„მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედ მისევაა, თავზარია ხალხისთვის“...

ერთი სიტყვით, ოსმალოს საქართველოს ნაწილის შემოერთებით საქართველოსთვის დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ რუსს ეს ისე არ გაუკეთებია, თაფლში მწარე ნაღველიც არ გაერია...

●

მარტის დასაწყისში ილია შეიტყობს სტუდენტობისდროინდელი ამხანაგის ბესარიონ ღოღობერიძის გარდაცვალების ამბავს. ძალიან მძიმედ განიცადა. დიდ ჯიხაიშში ჩავიდა მეგობრის დაკრძალვაზე და გააცილა უკანასკნელ გზაზე. მძიმედ განიცადა იმის გამოც, რომ ამ კაცთან დაკავშირებით სინდისი ქენჯნიდა. ბესარიონი ხუთი წლით უფროსი იყო ილიაზე. სტუდენტობამ შედარებით უფროს ასაკში მოუწია. პეტერბურგში წასასვლელი ფული არ ჰქონდა, ამიტომ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლად იმუშავა, მცირე თანხა დააგროვა და მერეღა გაემგზავრა პეტერბურგს. სწავლობდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იყო სტუდენტების ლიდერი, ძალიან აქტიური. ანტისამთავრობო გამოსვლების დროს დაპატიმრებული. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პედაგოგიურ ასპარეზზე მუშაობდა, შემდეგ ქუთაისის ბანკის მმართველად აირჩიეს. პატიოსანი მოღვაწე იყო. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ილიას „გამოცანებმა" კი მას მძიმე დარტყმა მიაყენა, შემდეგ შერიგდნენ, ბანკის საკითხებში ერთმანეთს მხარს უჭერდნენ, მაგრამ ვისაც ღოღობერიძესთან კამათი მოსდიოდა, იმავე წუთს ილიას გამოცანას გაუხსენებდა. განსაკუთრებით ნიკო ნიკოლაძე იყო ლამის დანა-სისხლად გადაკიდებული.

მოკლედ, ბესარიონ ღოღობერიძე ერთი იმათთაგანი აღმოჩნდა, ვისზეც აკაკის სიტყვები შეიძლება გავიმეოროთ – „სიცოცხლეში ვატირებთ, მოკვდება და მივსტირით"...

ჟურნალ „ივერიიდან" ასე გამოიტირა ილიამ ბესარიონი: „...რჩეული კაცი იყავ და გულში გიღვიოდა ნაკვერჩხალი ქვეყნის გულ–შემატკივრობისა... ყველას არ ჩაახედებდი შენს გულში... მე ჩამახედე, ძმაო, ამ უკანასკნელს დროს შენს გულში და ჩემი უტყუარი განკითხველი იქ ვიპოვე, ბევრი დაგვიშავებია შენს წინაშე, დაგვიშავებია არ ცოდნით, მაშასადამე არ ცოდვით. შეგვინდე და მოგვიტევე".

გავა დრო და გრიგოლ ყიფშიძე გააკეთებს კომენტარს: „ასე მოჰხადა ილიამ ბოდიში თავის თავს „გამოცანებში" ბესარიონის სასაცილოდ აგდებისათვის და ნ. ნიკოლაძესაც, რომელიც აგრეთვე ცხარედ ებრძოდა განსვენებულს საბანკო საქმეების გამო". რას ნიშნავდა ილიას სიტყვები ჩემი უტყუარი გამკითხავი შენს გულში ვპოვეო, არ ცოდნა არ ცოდვა არისო. როგორც ჩანს, ბესარიონს იმ 1871-ში ახალთაობის ღალატი არ ჩაუდენია. როგორც ჩანს, ან ჭორი აუგორეს, ან დამახინჯებულად გაავ-

რცელეს მისგან ნათქვამი რაიმე სიტყვა. ილიაც შეცდომაში შეიყვანეს და მაშინდელი საზოგადოებაც, რაც ძალიან ხშირად ხდება საქართველოში. სადღაც ჩრდილში, ბუჩქებში მიმალული უსახო არსება ისე მოუწამლავს ღირსეულ ადამიანს ცხოვრებას, ღმერთის მეტმა არავინ იცის, კაცმაცუნას რამდენი ადამიანი გაუმწარებია.

●

31 მარტს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება მთავრობამ დაამტკიცა. იწყება სამზადისი საზოგადოების დამფუძნებელი კრების მოსაწვევად. დამფუძნებელი კრების თარიღად დაინიშნა 15 მაისი.

მანამდე ილიას კიდევ ერთხელ ირჩევენ საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ. იმავე კრებაზე იხილება სათავადაზნაურო სკოლისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის დახმარების განევის საკითხი.

სათავადაზნაურო სკოლა იყო პირველი მერცხალი, საქართველოში ქართული სკოლების აღმოცენების მაუწყებელი. სწავლა–განათლება იყო რუსულ ენაზე. ამის გარდა არსებობდა ცენზი. გლეხი შვილს სახელმწიფო სკოლებში ვერ შეიყვანდა.

დიდი გადასახადის გამო, ზოგს ვერც წოდება შველოდა. ერთი ყველაზე დიდი საქმე, რაც ილიამ წამოიწყო, ეს იყო ქართული კერძო სკოლების დაარსება. სწორედ ამ კრებაზე, 5 მაისს გადაწყდა, ბანკს წმიდა შემოსავლიდან სათავადაზნაურო სკოლისთვის მიეცა 13,500 მანეთი, „მაგრამ როდესაც იმაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ ამავე თავადაზნაურობას შეეწირა – 11000 მანეთი საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის... „მაშინ პატივცემულ დ.ი. ყიფიანს და ილია ჭავჭავაძეს უნდა წარმოეთქვათ მჭერმეტყველური, მაგარი, მგრძნობიარე სიტყვა. უნდა ბევრი ერჩიათ, ეხვეწნათ, ექადაგათ კრებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ დაითანხმეს თავადაზნაურობა, რომ ეს ფული შეეწირათ."

დაითანხმეს, მაგრამ ვაი ამისთანა დათანხმებას: მეორე დღესვე ჩვენი თავადაზნაურობა დიდ საყვედურს აცხადებდა დიმიტრი ყიფიანზე და ილია ჭავჭავაძეზე, იმათ ტკბილმა ლაპარაკმა „გამოგვტყუა ის ფულიო" – წერდა სერგეი მესხი. როგორც ჩანს, ეს ხმები ილიას ყურამდეც მივიდა. ისე იმადლებოდნენ თანხის გაღებას, რითაც სკოლები უნდა გახსნილიყო, თითქოს ილიას და დიმიტრის საკუთრივ თავისთ-

ვის სჭირდებოდათ ეს სასწავლებლები. ილია თითქოს მათ გასაგონად აღწერს ვითარებას სამხედრო გიმნაზიისა და სხვა სასწავლებლების: „მარიამობისთვის უკანასკნელ რიცხვებში განკითხვის დღე დაუდგათ ჩვენებურს მოზარდ ყმაწვილებსა. ამბობენ, ათას–ხუთასი მეტი ყმაწვილი იყოო აქაურ სასწავლებლების კარზედ მიყენებულიო და მარტო ორასიოდეს გაეღო კარიო, სხვანი კი, – რიცხვით ათას-სამასი, გულხელ–დაკრეფილმა მშობლებმა წყევა-კრულვით წაიყვანეს შინო, ვაკანსიების უქონლობის გამოო."

თუ თავად ქართველები არ გახსნიან სკოლებს, სწავლის მსურველი ბავშვი, ვაკანსიების უქონლობის გამო, სახლში უნდა იჯდეს. ამასთან, ილია ერთსაც შეახსენებს ამ თავადაზნაურობას. ხელმწიფე იმპერატორს რომ სთხოვეს სამხედრო სასწავლებელი გაგვიხსენიო, ჯერ ხომ საშველი არ დაადგა, მერე მართლაც გაიხსნა, მაგრამ რად გინდა, 1879-ში ქართველთაგან მარტო 4 ყმაწვილი მიულიათ. ამასთანავე, რუსეთის სამხედრო სასწავლებლებშიც აღარ იღებდნენ ჩვენს ახალგაზრდებს, აქაოდა, თბილისში თქვენი სასწავლებელი გაქვთო. ილიამ აქ კი ძველი ამბავი წამოაყვედრა მათ: „ჩვენ თვითონ მაგოდენადაც არ მიგვიწევს გული ერთობ სამხედრო გიმნაზიებზედ, და თუ ამჟამად სამდურავსაც რასმე ვამბობთ, მარტო იმისთვის, რომ განიშნოთ, ადამიანის ბედს ხანდისხან რა ხიფათი სდევს ხოლმე, ბევრის მდომელსა ცოტაც დაეკარგებაო, სწორედ ამისთანა ამბავზეა ნათქვამი."

15 მაისს ბანკის შენობაში გაიხსნა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დამფუძნებელი კრება. კრებამ ერთხმად აირჩია დიმიტრი ყიფიანი საზოგადოების თავმჯდომარედ. მოადგილედ ილია ჭავჭავაძე. გამგეობის წევრებად ირჩევენ იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ცხვედაძეს, ივანე მაჩაბელს, ალექსანდრე სარაჯიშვილს, რაფიელ ერისთავს. შემდეგ ეს საზოგადოება გაიზრდება, გაფართოვდება და, როგორც უწინ მოგახსენეთ, ფაქტობრივად კულტურის და განათლების სამინისტროს როლს შეასრულებს ქართული საზოგადოების ცხოვრებაში.

ამავე წელს დაფუძნდება ქართული თეატრალური საზოგადოება. ცხადია, აქაც ერთი ალამდართაგანი არის ილია ჭავჭავაძე.

ილია მეცენატი. სკოლების, თეატრის, სხვადასხვა გამოცემების დაფინანსება. აი, ბანკის ფუნქციონირების შედეგი.

ილია რეჟისორობასაც იდებს თავს. განუზრახავს „მეფე ლირის" წარმოდგენა. დიმიტრი ყიფიანს შესთავაზა მეფე ლირის რო-

ლი. „თუ მაინც და მაინც გნებავთ ლირი მე წარმოვადგინო, ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონ მე ვსთარგმნო, ჩემებურად, – მარტო ეს როლი. თქვენს ნათარგმნს ამით სრულებით არა ეზიანება რა...“ – წერდა ყიფიანი ილიას. მას ხომ ადრეც ჰქონდა შექსპირი თარგმნილი. ბუნებრივია, საკუთარი თარგმანით როლის შესრულება უფრო გაუადვილდებოდა, მაგრამ ეს ფაქტი სხვა რამის სათქმელად მომყავს. ეს ხალხი, რომელთაც შეუვალი ავტორიტეტი აქვთ, მართლაც დღიური მუშები არიან თავიანთი ქვეყნისა, არფერს თაკილობენ და მომდენო დროის ჩინოვნიკებისაგან განსხვავებით, ოლიმპის სიმაღლიდან არ დასცქერიან საკუთარ ხალხს.

1879 წლის შემოდგომაზე პატარა საგაზეთო წაკამათება მოუხდა აკაკის და ანტონ ფურცელაძეს. ამ პოლემიკას აქ იმად ვიხსენებ, რომ აკაკი ილიას ახსენებს და ამ პერიოდისთვის აი ასე აფასებს: „ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ თქვენ არ ბრძანდებოდით, რომ ილია ჭავჭავაძეს ღმერთ-კაცს ეძახდით და მეშვიდე ცაზედ აგყავდათ? მაშინდელი თქვენი თაყვანის-ცემა კერპ-მსახურებასა გვანდა...

მე კი მაშინ სხვა აზრისა ვიყავი ჭავჭავაძის შესახებ: მომწონდა, ვაფასებდი, სასარგებლო და ნიჭიერ კაცად მიმაჩნდა და მსურდა, ამისთანა სხვებიც გამოჩენილიყვნენ ჩვენში. ღმერთ კაცად და გენიოსად ვერა ვხედავდი და არც კერპსალოცავად გამიხდია ჩემთვის. ამ მხარეს მე არ ვფარავდი, ვაცხადებდი და მისთვის ბევრი უსიამოვნება გადამხდომია! დღეს, როდესაც ათმა-თხუთმეტმა წელიწადმა გაიარა, მე ილია ჭავჭავაძე თუ უფრო არა, ნაკლებად მაინც აღარ მიმაჩნია. ნიჭი არ მოჰკლებია, სწავლა და გამოცდილება მეტი აქვს და ნამსახურებიც მეტი მიუძღის, რომ უფრო დავაფასო და მივიჩნიო. თქვენ კი, არათუ აღარ სწყალობთ ადრინდულად, გინდათ ქვესკნელში ჩააძვრინოთ და ან დედამიწასთან გაასნოროთ. და რისი ბრალია ეს, თუ არ პირადობის ან ტვინ-თბილობის?"

არ იფიქროთ, ეს სულ ასე იყო. ფურცელაძე მომავალში დიდ მეგობრად იქცა ილიასი, მაგრამ ასეთია ცხოვრება, როგორც ჩანს, მაშინ ის რაღაცაზედ განაწყენებული იყო [illegible]ვკნში ხომ თავი და თავი ყველა უბედურებისა პირადი წყენა ხდება ხოლმე.

1879 წლის დასასრულს ილია და სერგეი მესხი მოილაპარაკებენ, მომავალი წლიდან ერთობლივად გამოსცენ „დროება“ და „ივერია“. ამ უწყინარ გადაწყვეტილებას ისეთი შედეგი მოჰყვა, კინაღამ ეროვნული ტრაგედია დატრიალდა საქართველოში. ცხადია, ილისა და ნიკო ნიკოლაძის დუელს ვგულისხმობ.

1880

აკაკის ორი ეპიგრამა ილიასა და ნიკო ნიკოლაძეზე. დუელი. მიზეზი და საბაბი ილიასა და ნიკოს დუელისა

მხატვარი დავით გურამიშვილი

„გულშია მეტად გულადი,
სიტყვით კი ცოტა ფრთხილია.“

აკაკი ილიაზე

„შინაურებს წიხლებს ესვრის,
გარეულებს ველარ სწვდება.“

აკაკი ნიკო ნიკოლაძეზე

ეს ორი კაცი, ილია და ნიკო ნიკოლაძე, 1880 წლის 1 მარტს ბარიერთან, დამბაჩებით ხელში, ერთმანეთის პირისპირ დგანან. რომ არა პოლონური წარმოშობის პოეტი სიმბორსკი, ამ ორ დიდ ქართველს შეიძლებოდა ერთმანეთი დაეხოცათ და ეს დღე საბედისწერო გამხდარიყო საქართველოს ისტორიისათვის.

ეს ორი უჭკვიანესი ქართველი, ეს ორი ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწე, ეს ორი მეთაური საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ეს ორი ურთიერთდამფასებელი და ერთმანეთის მოყვარული კაცი, მზად არიან ერთმანეთი სიცოცხლეს გამოასალმონ.

რა მოხდა?. ამას ვერ აგვიხსნის ის პოლემიკა, რაც მათ შორის 1880 წლის დასაწყისში გაიმართა. ამას უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა. ეს რომ გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ მათი პიროვნული თვისებები და მათი ურთიერთობის ისტორია.

1880 წლის „დროების“ პირველივე ნომერში აკაკი აქვეყნებს ლექსს „მესტვირული“. ამ საახალწლო ლექსში მან დაახასიათა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი. ახალი თაობის მესვეურთა დახასიათებას პოეტი ილიათი იწყებს. ცხადია, არ დავიწყნია არც ნიკო ნიკოლაძე. „მესტვირულში“ მოკლედ და მრავლისმეტყველად არის როგორც პირველი, ისე მეორე მოღვაწე დახასიათებული.

ილიაზე წერს:

„აწ ახლებზე გადავიდეთ,
ვახსენოთ ჩვენი ილია,

იმისი გემო ხომ ვნახეთ,
ცოტა მოძველო ხილია!
ქვეყნის ერთგული, გულწრფელი,
კარგი მამულისშვილია,
გულშია მეტად გულადი,
სიტყვით კი ცოტა ფრთხილია,
მე ვფიქრობ ეს მისგან არის,
რომ დარბაისლად ზრდილია!
ცოტა უდროოდ გასუქდა
და ბედით კმაყოფილია
და არას აწყენს ხანდახან
რომ მას გავუფრთხოთ ძილია."

ნიკო ნიკოლაძეზე წერს:

„სათვალავში რა თქმა უნდა,
რომ ნიკოც არ გავიწყდება,
მაგრამ რა ვქნა რომ იმაზედ
ამ ბოლო დროს გული გწყდება:
შინაურებს წიხლებს ესვრის,
გარეულებს ვეღარ სწვდება,
აქაც ფეხი აუსხლდება,
იქ ყინულზედ გაცურდება,
ცოტა გვიან კი მოუვა,
მაგრამ მაშინ გაოცდება!"

დავიწყოთ ილიათი. ილიას ხასიათით. ჯერ რამდენიმე საჩოთირო ფრაზა გავარჩიოთ. რას ნიშნავს „იმისი გემო ხომ ვნახეთ, ცოტა მოძველო ხილია". მოძველო ღვინო რომ ეთქვა, კი ბატონო, მაგრამ მოძველო-ხილი მთლად სახარბიელო შედარება არ უნდა იყოს. რას მიანიშნებს აკაკი?

გავიხსენოთ, როგორი ხმალამოღებულია ილია 60-იან წლებში. როგორი ბასრია მისი მახვილი 70-იანი წლების დასაწყისში, როცა „გამოცანებს" წერს. ახლა იმ ხალხის უმეტესობას, ვისაც მაშინ პასკვილებს უწერდა, მოსაწვევ ბარათებს უგზავნის – ბანკის სხდომაზე მობრძანდითო, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის წევრობაზე დაგვეთანხმეთო, თეატრალური დასის დაფუძნებაში მხარი დაგვიჭირეთო, სკოლების გახსნას შეეწიეთო და ა.შ.

ილიამ ზუსტად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია 1880 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ წერილში **„ვის ნათესსა ვმკით?"** (მიმოხილვა 1879 წლისა).

პირველი შემთხვევაა, როცა ის წინა, გავლილ წელს წინ წყალი უკან მენყერიო კი არ მისძახის, პირიქით, მადლიერებით აცილებს: „1879 წელი ღირსშესანიშნავი წელიწადი იყო ჩვენთვის და ქართველმა მემატიანემ რომ ამ წელიწადს მხარი აუქციოს, არ უნდა ეპატივოს. ამ წელიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, **აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკე მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთ ყოფნა მწვადსაც დასწვავს და შამფურსაცა, თითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც. იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა. იგრძნო, რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღლის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკე მოარული ღონე – ქონებითი თუ გონებითი – ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის."**

გაიხსენეთ სულ რაღაც 10-15 წლის წინ დიმიტრი ყიფიანის მოკალმასე ბერივით მოგზაურობა სოფლიდან-სოფელში, რათა თავად-აზნაურთათვის გროშები გამოერთმია მათივე სასიკეთოდ ბანკის შესაქმნელად. ახლა კი იმავე ხალხის ფულით იქმნება სკოლები, სადაც ქართულ ენაზე ასწავლიან, სადაც წოდებრივი და ქონებრივი ცენზი აღარ არის, იქმნება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრალური დასი, ეხმარებიან აჭარლებს და ა.შ. ილია აღფრთოვანებული წერს: მთავარი ის კი არ არის, რა გაკეთდა, უფრო მეტად მთავარია „გაკეთებული რამან შეჰქმნა, რამ გააკეთა და საიდამ წარმოსდგა". მთავარი ის არის, რომ ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით აშენდა და დამკვიდრდა".

მართალია, ქართველობა ახალმა თაობამ, „სამოციანელებმა" გამოაღვიძა, რასაც ხაზს უსვამს ილია ამ წერილში, მაგრამ წერილი ერთგვარი იდეოლოგიური ამინისტიაც არის მამათა თაობის მიმართ, რომელნიც ამ წამოწყებებში უკვე გულით მონაწილეობენ. აგერ ივანე მუხრანსკის სავაჭრო სახლი დაუარსებია, სომხებს უნდა კონკურენცია გაუწიოს, მთელი ქალაქი მაგათ წაგვართვესო. აგერ ლევან მელიქიშვილი 1880 წელს მეფისნაცვალის მოადგილე ხდება და ხმამაღლა ვერა, მაგრამ ჩუმ–ჩუმად მხარს უჭერს ყვე-

ლა ეროვნულ საქმეს. გრიგოლ ორბელიანი ხომ უკვე ლამის ახალი თაობის – „ცრუ პოეტების", „ბურთივით მრგვალი ლიბერალების", „აკაკიებისა და ბაკაკიების" სიაშია ჩაწერილი.

ილია ცდილობს ენერგია შინაურებთან კი არა, გარეშე მტერთან ბრძოლაში დახარჯოს. ეს არის მიზეზი ნიკო ნიკოლაძის წერილობითი შემოტევებისადმი ხანგრძლივი წაყრუებისა. ის აღარ არის ერთი თაობის ლიდერი, მას მთელი საზოგადოების წინამძღოლობის ამბიცია აქვს, განურჩევლად წოდებრივი და ასაკობრივი დაყოფისა.

გუშინდელი მტრების დღეს ერთად ჟღურტული მყისიერად გასაგები არ არის, აქედან წამოვიდა ის ფრაზა – „ცოტა მოძველო ხილია"... რაც შეეხება –

„გულშია მეტად გულადი,
სიტყვით კი ცოტა ფრთხილია"

ამ ფრაზას, მიუხედავად იმისა, რომ აკაკიმ თავადვე ახსნა:

„მე ვფიქრობ ეს მისგან არის,
რომ დარბაისლად ზრდილია".

ჩვენის მხრივ მინდა დავსძინო. ილიას მთავარი თვისება, ეს არის მძაფრი შეგრძნება პასუხისმგებლობისა. მან ბევრთაგან განსხვავებით კარგად იცის ერთი დაუწერელი კანონი – ადამიანი არის ის, რასაც წერს და როგორც წერს. მან იცის, რომ გულის გაუპატიურებაა (მისი ფრაზაა – „ასე მგონია, გული გავიუპატიურე-მეთქი"), როცა როყიოდ და სრულიად უპასუხისმგებლოდ ექცევი მეორე ადამიანს, რომ სხვისი ღირსების შეურაცხყოფა არის ღირსების უქონლობა! – ამიტომაც, ილიას დევიზი იყო არ შეხებოდა სხვის პირადობას, ებრძოლა აზრების და არა პიროვნებების წინააღმდეგ. ამ მხრივ საყმაწვილო სენი მას უკვე მოხდილი ჰქონდა, ამიტომაც თავად ყველა სიტყვას სწონიდა, მაგრამ მეხს ემსგავსებოდა, გულიდან ამოიგლეჯდა კაცს, თუ ის მის პირადობას შეეხებოდა. ილიას ხასიათის ამ თვისებამ დააყენა იგი 8-9-ჯერ დუელში ბარიერთან.

რაც შეეხება „უდროოდ გასუქებას", არც ახალგაზრდობაში იყო სუსტი. გახსოვთ, ალბათ, ვიღაც ბერძენზე რომ იცინოდა – ეს ჩემი პატივცემული ღიპი ღმერთს საკოცნავად არ გაუჩენიაო. ბედით კმაყოფილის კი რა მოგახსენოთ. სხვა ვინ ყოფილა ილიას სულისა და გონების კაცი ბედით კმაყოფილი, რომ ის ყოფილიყო...

„და არას აწყენს, ხანდახან
რომ მას დავუფრთხოთ ძილია."

რა იცოდა აკაკიმ, რომ ამ სიტყვების დაწერიდან 2 თვის თავზე ძილის კი არა, სიცოცხლის წასართმევად დაუძახებდნენ ილია ჭავჭავაძეს.

ზუსტი და წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ნიკოლაძის მიმართ აკაკის ლექსიო – ვთქვით. ზუსტი იყო ეს დახასიათება:

„შინაურებს წიხლებს ესვრის,
გარეულებს ვეღარ სწვდება".

უცნაური ბედი დაჰყვა ნიკო ნიკოლაძეს. „სამოციანელებიდან" მას დღემდე ახსენებენ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის შემდეგ. მაშინაც ასე იყო. ის კი არა, ერთი ხანობა ახსენებდნენ ბესარიონ ღოღობერიძის შემდეგაც. არადა, პირდაპირ უნდა ითქვას, ერთი შეხედვით პირველობას სწორედ მისი მონაცემების კაცი იმსახურებდა. დავიწყოთ იმით, 60-იან წლებში ილია და აკაკი რომ ფიქრობდნენ, ამ რუსების ბუნტს ჩვენ თავი რატომ უნდა შევაკლათ, აქ სასწავლებლად გამოგვგზავნეს და ჩვენი ცოდნით ჩვენს ქვეყანას გამოვადგეთ, ამათ კისერიც უტეხიათო, ნიკო ნიკოლაძე არათუ ჩართული იყო იმ ბუნტში, არამედ მთლად მაშინდელი ბელადის ჩერნიშევსკის ოჯახში შინაურ კაცად ითვლებოდა. ერთი სიტყვით, იქ რეჟიმთან მებრძოლი ძალები ნიკოს უფრო იცნობდნენ.

ილიამ ქართულისა და რუსულის მეტი სხვა ენა არ იცის. ნიკო ევროპის თითქმის ყველა წამყვან ენაზე ლაპარაკობს. ის კი არა, საფრანგეთში საგამომცემლო საქმესაც ეწეოდა. როცა აქ ილია დუშეთში, ფასანაურში, ბარისახოსა თუ ყაზბეგში გლეხებს დასდევს, ნიკო ბერლინის, ციურიხის, პარიზის წამყვან ლიტერატორებთან და პოლიტიკოსებთან, დეპუტატებთან, მინისტრებთან ურთიერთობს. ფრანგების შეკვეთით იქით უწერს ფრანგებს წიგნს, თუ რა პოლიტიკურ სიგნალებს უნდა მიაქციონ აღმოსავლეთში ყურადღება.

საქართველოში ჩამოდის და ისეთ პუბლიცისტურ წერილებს წერს, სემინარიელი იონა მეუნარგია თავის დღიურში დაწერს: ნიკო ნიკოლაძე პირველიაო და ამით მთელი მისი თაობის აღფრთოვანებას გამოხატავს ნიკოს მიმართ.

ნიკოს ნიჭის კაცს არ შეიძლებოდა, ილია და აკაკი დიდად არ დაეფასებინა, და ასეც იყო. აკაკისთან სტუდენტობიდანვე საუკეთესო, პირადი მეგობრობაც ჰქონდა, ილიასადმი კი – მორიდება და

მოკრძალება. მაგრამ ეს დანარჩენები თავისი ფამილარული მხარზე ხელის მოთათუნებით აგიჟებდნენ. მწარედ წერდა, მაგალითად, ბესარიონ ღოღობერიძეზე, როგორც ხელოვნურად შექმნილ ავტორიტეტზე, ხოლო როცა „მნათობი" დახურეს, ისეთი სასაცილო ბანაშვიდი გადაუხადა „მნათობის" რედაქციას, ისე გაამწარა თავისი მახვილი კალმით ისინი, რომ 1873 წლის დეკემბერში კინაღამ მოკლეს. ეს სწორედ ის დროა, ნიკო რომ გულდაწყვეტილი მკითხველს გამოემშვიდობა, აქ მოღვაწეობა შეუძლებელიაო და პარიზს მიემგზავრება. პეტერბურგიდან ილია და სტუდენტები ეხვეწებიან დარჩი, სამშობლოს შენისთანა კაცი სჭირდებაო. სწორედ ამ დროს სტამბაში მიეჭრება მას მისი კალმით შეურაცხყოფილი ანტონ ფურცელაძე და ნიკოს რომ არ ემარჯვა, მართლა დატოვებდა, ოღონდ სამუდამოდ და ოღონდ მიწის ქვეშ.

ჭიდაობასა და შეხლა-შემოხლაში ორჯერ გავარდა ფურცელაძის რევოლვერიდან ტყვია. საბედნიეროდ, ნიკო გადარჩა, რევოლვერი აართვა და გაუშვა, არც უჩივლია (ამაზე ჩვენ უკვე ვწერდით). სამაგიეროდ, 1879 წელს უკვე სხვა ფურცელაძემ, ცენზორმა დიმიტრი ფურცელაძემ უჩივლა. ნიკომ ის პროცესი მოიგო. ცენზორს ღამის 3 თუ 4 საათზეც მიჭრია სახლში გაზეთის შეყოვნების გამო, ოჯახი შემიშინა და მაგინაო, უჩიოდა შეშინებული კაცი. ნიკოს სხვაც ბევრი, უამრავი ფათერაკი გადახდა. მაგრამ მისი ეს იმპულსური ხასიათიც ილიასთან დატაკების საბაბი იყო და არა მიზეზი. მიზეზი, მე მგონი, არის ის, რამაც ნიკოლაძის მიმართ აკაკის ეს სიტყვები დააწერინა. ერთ კერძო ბარათში განაწყენებული აკაკი მიმართავს ნიკოს: „შენ გინდა მხოლოდ რომ გაჰკიოდე; „მე ვარ და ჩემი ნაბადიო", და სხვებიც გარს შემოხვეული შემოგჰკიოდნენ: „კი, ბატონო შენ ხარ და შენი ნაბადიო" და სხვა. აი ამ საქმისათვის კი გასწირავ შენ შენს თავს, – მწამს! ... განგიმეორებ, პირადობით არ ჩამომართვა ეს მანერა: დარწმუნდი, სანამ მე ჩვენი ქვეყანა მიყვარს, ე.ი. სანამ პირში სული მიდგას, ჩემს გულში შენგვარ კაცებს წმინდა ადგილი ექნება და დღესაც ის მიზეზია, რომ მე მსურს მოგაგონო შენი გული და ჩაგახედო შიგ. დეე, აღმართოს ამით აქ ჩემდამი პირადი მტერობა, ოღონდ კი შენს უფერო თავმოყვარეობას აუხილოს თვალი ... განგიმეორებ ... ცოტა ხნით მიდეგი კუთხეში თავმოყვარეობა, ჩაიხედე შენს გულში და ისე იმოქმედე"...

ახლა კიდევ ერთი ჩანაწერი აკაკისა, რომელიც ადასტურებს დახასიათებას, შენ გინდა მხოლოდ რომ გაჰკიოდე: „მე ვარ და ჩე-

მი ნაბადიო და სხვებიც გარს შემოხვეული შემოგჰკიოდნენ: „კი, ბატონო, შენ ხარ და შენი ნაბადიო“. აკაკი იგონებს „იმას (ნ. ნიკოლაძეს– ნ.გ) ყველაფერში პირველობა უნდოდა; რასაკვირველია, პოეზიაშიც, რადგანაც კრიტიკოსობას ჩემულობდა, პირველობა უნდოდა. მე დიდად მაფასებდა, მაგრამ ის კი უნდოდა, რომ მეც მის ნებაზე ვყოფილიყავი“.

აი, გასაღებიც ეს არის იმ ურთიერთობისა, რამაც ბარიერთან მიიყვანა ნიკო და ილია.

ნიკო დიდად აფასებდა ილიას, მაგრამ ის კი უნდოდა რომ ისიც მის ნებაზე ყოფილიყო. დუშეთიდან რომ ვერ ჩამოიყვანა, მრავალგზის ასვლის შემდეგ, აქ ერთ წერილს დაწერს, სადაც ილიას არ ახსენებს მაგრამ ... ზოგიერთი ახალი თაობის კაცია, მდიდარ სტუდენტს რომ მოძებნისო, სახელმწიფო სამსახურში რომ ჩადგებაო. იმავ წერილში შემდეგ ილიას უკვე სახელობით აქებს, მაგრამ გამოცანაც რომ არ იყო ძნელი ამოსახსნელი?

ბანკის საქმემ და ილიას მიერ ბესარიონ ღოღობერიძის მხარდაჭერამ კი ნიკოს წონასწორობა დაარღვია.

კიდევ უფრო აბრაზებდა ილიას ოლიმპიური სიმშვიდე. ახლა მისი თანდაყოლილი სიამაყე და პირველობის შეგრძნებაც ნუ დაგვავიწყდება. ის, რასაც სემინარიელი იონა მეუნარგია წერს, მას ხომ მთელი თაობა ზეპირადაც უმეორებს ნიკოლაძეს. აი, რას წერს სიტყვა–სიტყვით მეუნარგია თავის დღიურში: „ეხ, სად მიუდგებიან სკანდელს (ნიკოლაძის ფსევდონიმია, – ნ.გ)..... სკანდელივით წერაში დახელოვნებული, ჩემის ფიქრით, ახლა რუსეთშიაც არ არის ბევრი... ნეზნაკომეც (რუსი ჟურნალისტი, დრამატურგი – ს. სუვორინი,– ნ.გ) კი სჯობია მგონი, მაგრამ ბევრი არაფერი. სკანდელისთანა კაცი მე ძლიერ მომწონს. აი, კაცი, რომელიც მიყვარს. იმას მთელი ევროპა დავლილი აქვს. დიდი ნაკითხი კაცია, მეტადრე ლაბულესთან და ლლუი ბლანთან და სხვა მწერლებთანაც გაცნობილი, როგორც ამბობენ „სოვრემენნიკ“-ის თანამშრომელიც იყო. დიდი ხმა აქვს, მეტი არ უნდა კაცს... მას თან გავლენაც დიდი აქვს“.

მოკლედ, ნიკო კუმირია ახალგაზრდობისათვის. მაგრამ არც ლუი ბლანთან ნაცნობობა შველის საქმეს და არც ლაბულესთან, არც მარქსთან და არც ჩერნიშევსკისთან. დაწერს ილია სადად და უბრალოდ „ჩემო კარგო ქვეყანავ რაზედ მოგიწყენია“ და მთელი საქართველო ჰიმნივით მას იმეორებს.

მოკლედ, პირველობის გვირგვინი ცაში იჭედება, მიწაზე არა...

ამისათვის ნიკო როგორ იყო დუელში გამომწვეეი, მაგრამ ყველაფერი ერთად წაეწყო. რუსები ყველაზე მეტად მის ყოველდღიურ „ობზორს“ ებრძვიან. მას კი, დაფნის გვირგვინს თუ არ დაადგამენ, შინაურებმა არ უნდა ულალატონ მაინც. პირველად აკაკიმ გამოიყვანა ღოღობერიძესთან საომრად, იმას ილია მიუდგა, აქეთ კი აკაკი თანდათან ჩაყუჩდა, მიხვდა ილიასთან ბანკის საკითხზე ბრძოლა რისი მომტანი იყო.

თავიდან სერგეი მესხი აგულიანებდა, ახლა კი სერგეიც ილიას მხარეს გადავიდა. ერთობლივად აკეთებენ „დროებასაც“ და „ივერიასაც“. ამან სულ გაამწარა. ეს ხომ ის სერგეი მესხია, რომელიც კანცელარიიდან გამოიყვანა და თავის სიძესთან გიორგი წერეთელთან ერთად შექმნილი „დროება“ მისცა. აი, სწორედ ამ გაზეთში „დროებაში“ ისეთი რამ დაიბეჭდა, ნონოსაწორობიდან გამოსულმა ნიკომ სეკუნდანტები გაუგზავნა ილიას. მაინც რა ეწერა ისეთი ამ წყეულ ნომერში? „ბატონ ნიკოლაძის გაზეთის სიტყვას სწორედ იმდენი ძალა და მნიშვნელობა ჰქვს საზოგადოების თვალში, რამდენიც ფინია ძაღლის დაუდგრომელ და უვნებელ ყეფას და ქაქანს“-ო.

„აფსუსი არ არის, რომ იმისთანა კარგი სიტყვა როგორც ლიტერატურული პატიოსნებაა, ნიკოლაძის კალმის წვერიდან გადმოდიოდეს და ჭუჭყიანი „ობზორის“ თაბახზე იბეჭდებოდეს“-ო. და სხვა მისთანანი. სასიამოვნო არ არის, მაგრამ ამაზე უარესებიც დაწერილა მანამდე, თვით ნიკოს მიერაც, მაგრამ რატომღაც ილია ამოიჩემა. არ იყო ეს ილიას დაწერილი, მაგრამ გაზეთს ხომ ერთად სცემდნენ მესხი და ილია. ამიტომ პასუხისმგებლობა ილიას დააკისრა.

აკაკი ბაქრაძეს მოჰყავს 1914 წელს ნიკოს მიერ გულისტკივილით ნათქვამი: „დიდი, ყოველდღიური გაზეთის გამგებლობა, თითქმის უთანამშრომლებოდ, განსაკუთრებით უკორექტოროდ, მაიძულებდა მთელი ღამეები უძილოდ გამეტარებინა სტამბაში. დაძაბული დღიური მუშაობის შემდეგ მძიმედ დავსნეულდი. დავიწყე ნერვიულობა, დავკარგე თავშეკავებულობა და გავხდი უკმეხი. მინდოდა დამემტკიცებინა, რომ არც ვისმე მივეყიდე და არც ვისმეს ვუწევ ანგარიშს.“

ახლა ილიას მდგომარეობაც წარმოვიდგინოთ, მასთან რომ ნიკოლაძის მოციქულები გამოცხადდებოდნენ, ნიკო დუელში გიწვევსო. მისი ნიჭის ხათრით რამდენი გამოწვევა აპატია ამ კაცს, რუსის არმიის გენერლებს, მთელი ცხოვრება რომ ხმლის ქნევასა

და ტყვიების ზუზუნში გაატარეს, არ ეპუებოდა, პატარა შეურაცხყოფაზეც კი აქეთ ეპატიჟებოდა დუელში და ამის გაკილვა რამდენჯერ ჩაყლაპა უთქმელად. ახლა კი რისთვის და რატომ, კაცმა რომ არ იცის, ნიკო თვითონ უნიშნავს დუელს. ამას ბოლომდე ჩემი შეშინება და დაჩაგვრა მოუნდომებიაო, ახლა კი გადაირია ილია. „მხოლოდ ერთი რამ იყო ილიასათვის მიუღებელი – მისი პიროვნების შეურაცხყოფა! აქ თვითონაც კარგავდა ხოლმე წონასწორობას და მოპირდაპირესაც აღარ დაინდობდა," – ამას ყველა ბიოგრაფი აღნიშნავს. ასეც მოხდა. წონასწორობაც დაკარგა და აღარც თვითონ აპირებდა ნიკოს დანდობას. და აი, ორი ყოფილი მეგობარი დამბაჩებით ხელში ბარიერთან დგანან.

სეკუნდანტები ილია ჭავჭავაძის მხრიდან – ნიკოლოზ ერისთავი და იოსებ შალიკაშვილი. ნიკო ნიკოლაძის მხრიდან – ნიკოლოზ სიმბორსკი და დავით გურამიშვილი.

იმხანად დუელი კარგა ხნის აკრძალული იყო. ამ განდობილი პირების გარდა, არავის ეცოდინებოდა რა ხდებოდა ილიასა და ნიკოს შორის. არც ერთ ამათაგანს ამ თემაზე მოგონება არ დაუტოვებია. ძალიან თამამი უნდა იყო, საკუთარი ფანტაზიით რომ აღწერო, რა ხდებოდა ან ილიას, ან ნიკოლაძის სულში. ეს ხომ ის შემთხვევა იყო, როცა კაცმა არ იცის, გამარჯვება სჯობდა თუ დამარცხება. ბარიერიდან ცოცხალი წასვლა თუ ბარიერთან უსულოდ დარჩენა, რადგან... აბა, იცოცხლე ამის შემდეგ ილიას მკვლელის სახელით.. ანდა, იცოცხლე ნიკო ნიკოლაძის მკვლელის სახელით, როგორია?!

თუმცა, დიდი სითამამე არ სჭირდება იმის თქმას, რომ ამ ოთხ სეკუნდანტში სიმბორსკის გარდა, ყველა კარგი ბედოვლათი გამოდგა. იდგნენ და ყურმოჭრილი მონებივით ემორჩილებოდნენ დუელის კანონს. კანონსა და იმპერატორის ბრძანებას რომ დაემორჩილა გენერალი ნეი ვატერლოოს ბრძოლაში (თუ არ გამოგიძახებ, ფეხი არ მოიცვალოო), ამან დაღუპა ნაპოლეონიცა და საფრანგეთიც. ესენიც დგანან და რაღაც დაუწერელ კანონს ემორჩილებიან. მით უფრო, ეს ითქმის დავით გურამიშვილზე, რომელიც ისეთი აღნაგი იყო, ზიჩმა „ვეფხისტყაოსნის" დასურათებისას ტარიელის ნატურად სწორედ ის გამოიყენა. ცალკე ნიკოლაძის მეგობარია(მალე ნიკო მისი სიძეც გახდება), ცალკე ნათესავია ილიას ცოლისა. მაგრამ რად გინდა, დგანან და შეგუებულნი არიან ან ერთის სიკვდილს, ან მეორისას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ნიკოს გაზეთის თანამშრომელი, პოლონელი პოეტი ნიკოლოზ სიმბორსკი. ამ კაცს გამოუდვია თავი, რომ ვერაფერს გამხდარა, დამჯდარა და აქვითინებულა: – მე მომკლით, რას სჩადით, ქართველებოო.

ამ უცხო ერის კაცის ალალმა ცრემლმა შესძრა ერთის გულიც და მეორისაც (სხვათა შორის, სიმბორსკიმ, ამ დიდებულმა ადამიანმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე). საქმე შერიგებით დამთავრდა. იმ დღეებში, ვგონებ, უფრო პატივმოყვარეობის ბოლომდე დასაცლელად და საზოგადოების დასანახად, რომ დამფრთხალი არც ერთი არ იყო, ამ ორმა დუელიანტმა გაზეთებში კიდევ წაიკამათეს. „სისხლი" ცოტა გამოუშვეს და ისევ ისეთ პატივისმცემლებად დარჩნენ ერთმანეთისა, როგორც ეს ადრე იყო.

მაგრამ ნიკოს თავს კი იმავე წელს ახდა აკაკის წინასწარმეტყველება ერთის შენიშვნით.

„შინაურებს წიხლებს ესვრის,
გარეულებს ვეღარ სწვდება,
აქაც ფეხი აუსხლტება,
იქ ყინულზედ გაცურდება".

შენიშვნა ის არის, რომ ნიკო სწორედ გარეულს მისწვდა. 1880 წელს იმპერატორ ალექსანდრე II მეუღლე გარდაეცვალა. ნიკო ნიკოლაძემ მიღებული წესი დაარღვია და იმ დღეს (22 მაისს) „ობზორი" შავი არშიის გარეშე გამოსცა. კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, ეგრე არ უნდა ჩემი რძლის უპატივისმცემლობაო, ადგა და ნიკო ნიკოლაძე ხსენებული მიზეზით და სხვა საბაბით (პოლიცმაისტერი რატომ გამილანძღეო) სტავროპოლში გადაასახლა.

აბა ვინ არის გულთამხილავი, თორემ ნიკოს შეეძლო მეფისნაცვლისთვის ეთქვა, რძალზე ვერ მოვასწარი, მაგრამ თუ დამაცდი რედაქტორობას მალე ძმის, იმპერატორის სურათს ჩაგისვამ შავ არშიაშიო...

ეს „მალე" მალე დადგა...

1881

ცენზურის მარწუხები. ალექსანდრე II-ის მკვლელობა. ნიკოლაძის გადასახლებიდან დაბრუნება. მეცნიერთა ყრილობა თბილისში. ილიასა და აკაკის კომენტარები.

ალექსანდრე II

„ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის, ბედკრულნი კი მას სიხარულით მიეგებიან".

უილიამ შექსპირი

ცვლილებებს ელოდნენ, იმედებით იყვნენ აღსავსენი წინა წელს. ამ იმედს თავისებური ანგარიში ჰქონდა საფუძვლად. რუსეთში რეჟიმის მონინააღმდეგე ტერორისტები ჩიტებივით ხოცავდნენ მაღალჩინოსნებს – თუ გუბერნატორებს, თუ პოლიცმაისტერებს. არც თავს მალავდნენ ეს კიბალჩიჩები, ეს ზასულიჩები, ეს ჟელიაბოვები, პეროვსკაიები და მათი ამქრის წევრები. პროკლამაციას-პროკლამაციაზე აყრიდნენ თავს ზეპური საზოგადოების ყოველ შეკრებას – ან შეიცვლებით, ზნეს და ხასიათს გამოიცვლით, წესსა და კანონს გააკეთილშობილებთ, ან თქვენვე გამოგცვლით დედიან–ბუდიანადო და ასრულებდნენ კიდეც სიტყვას.

აქ იმედი ჩნდებოდა, იქნებ მართლა მოეშვან ჯიუტობას და რამე გამოიცვალოსო. მაგრამ ეს წელი ილიასთვის არანაირი იმედით არ დაწყებულა. გასულმა წელმა მაგალითი მისცა, არაფრის შეცვლასაც არ აპირებდნენ. „შინაური მიმოხილვაც" სწორედ ასე იწყება: „ეს – შარშან ახალი და წელს ძველი წელიწადიც – ჩაჰბარდა პატრონს. რა იმედებით ვიყავით აღსავსენი, როცა ამ ძველმა წელიწადმა შემოგვაჭყიტა თვალები თავის აკვნიდამა! მაშინ განათლების მოთავედ ახლად დანიშნული იყო ბატონი იანოვსკი და სამღვდელოების წინამძღვრად ბატონი იოანნიკე. რა სიხარულით, რა იმედებით მოვეგებენით ამ დანიშვნასა."

თქვენს მტერს, იმათ რომ იმედი გაამართლეს. ჩამოსვლისთანავე თუ იანოვსკი ილიამ დაანამუსა, აბა თქვენ იცით და თქვენმა კეთილშობილებამ, თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი, გვიმსახურე, ერთად წავწიოთ წინ ქართული განათლების საქმეო, ცოტა ხანში ნახა, რომ ეს იანოვსკი სწორედ ქართული ენისა და განათლების წასახდენად იყო მოვლენილი. ახლა კი იმისი თავიდან ბოროტი აზრების გამო-

საყრელად მოუწია ხმლის ქნევა. უკეთესი არც ეს უსამღვდელოესი იოანნიკე გამოდგა.

ამიტომ ამათგან არაფრის იმედი აღარ აქვს და ამდენი უიმედობით გაჯერებული, სიტყვა ლოდინსაც დასცინის. მომლოდინე და სულელი სულ ერთიაო – დასწერს. საიდან სადაო, თუ იკითხავთ, გეტყვითო, მომლოდინე ხომ ის არის, ვინც სულ ელისო...

ილიას კალამბურისა არ იყოს, აკაკიც ორიგინალური ხუმრობით ხვდება ამ 1881 წელს. იანვრის „ცხელ-ცხელი ამბები" ასე იწყება: „წაღმა-უკუღმართს რომ იტყვიან, სწორედ ეს 1881 წელია: გინდ წინიდან წაიკითხეთ, გინდ უკნიდან, მაინც ერთი და იგივე რიცხვი გამოდის; გინდა ორი თავი აქვს, გინდა ორი ბოლო, გინდა წინა აქვს თავი გინდა უკან, მაგრამ ერთსა და იმავე დროს კი უთავბოლოა!.. და თუ ის მართალია, რომ ახალ წელიწადმა დაკვებება იცისო, თქვენი მტერია, მთელის წლის განმავლობაში ჩვენ უთავბოლობა დაგვჩემდეს!.." მტერს აუხდეს ყველაფერი ისე, როგორი უთავბოლოც ეს წელი იყო მართლაც.

ერთი მუჭა მამულიშვილები კი იბრძვიან, ძალ–ღონეს არ ზოგავენ, მაგრამ ქვეყანა, საზოგადოდ, დიდ აბსურდის თეატრს ჰგავს. მაგალითად, სიტყვა იმისთვის არსებობს, რომ ადამიანმა აზრი გამოიტანოს. მაგრამ აქ, ილიას თქმით, „ადამიანს სიტყვა აზრისთვის არ აქვს მინიჭებული, არამედ იმისთვის, რომ დიდმა თქვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო", და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა".

უფრო მეტი, „შეიძლება თურმე დიდმა უთხრას პატარას: „მე შენ გიბრძანებ, მუხას ვაშლი ასხია მეთქი" და პატარას ნება აქვს მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დღეს ჩვენმა მუხამ ვაშლი მოისხა, ბრძანებისამებრ თქვენისა. და ამბობენ, რომ ამის თქმას არავინ დაუშლისო".

„ღმერთი, რჯული ტყუილად ვემდურებით ცენზურასა"... – აგრძელებს ირონიულად ილია. რაც გინდა და რამდენიც გინდა წერე, მაგალითად ყირიმში გაჩენილ ფილოქსერაზე. ოღონდ, იდეებს ნუ შეეხები. საერთოდ, ეს ოხერი იდეებიც რა საჭიროა. განა ცხოველები ვერ ცხოვრობენ იდეების გარეშე?

ეს ცენზურის ბაღში ნასროლი ქვაა. ცენზურა ხომ სულს უმწარებს. ლევან მელიქიშვილმა, რომელიც იმ დროს კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილე იყო, ცენზორად დასვა თანაკლასელი ლუკა

ისარლიშვილი. ეს ლუკა სისხლს გაუშრობს ილიასაც და იმ წელიწადს განსაკუთრებით აკაკის. რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. ილია და აკაკი იანვარში ქართული დრამატული ამხანაგობის პირველ სხდომაზე თავმჯდომარედ და თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს. აკაკის თავმჯდომარის ამხანაგობამ, ანუ თანამდებობამ არ უშველა... გორში მისი წარმოდგენა მოხსნეს სცენიდან. მიზეზს არ იკითხავთ? ერთ ადგილობრივ მაღალჩინოსანს რომელიღაც პერსონაჟში თავისი ნათესავი ამოუცვნია და განაწყენებულს სპექტაკლიც მოუხსნევინებია. კაცოო, გაოცებული შლიდა ხელებს წერეთელი, ეგ დადგმა ქუთაისშიც განხორციელდა, როგორ, იქ მაღალჩინოსნებს ნათესავები არ ჰყავთო? ეგეც არ იყოს, ჩემს პიესაში 200 წლის წინანდელი ამბებია გადმოცემული და მაგ შეჩვენებულის ნათესავი რავა, მათუსალა არისო? თელავში იქაურმა უფროსობამ „ღამურას" სცენიდან კითხვა აკრძალა – ბევრი თელაველი თავის თავზედ მიიღებსო.

თებერვლის თვეში ილიას ბანკის შენობაში რამდენიმე სხდომა იმართება „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიისა.

სხდომას მორიგეობით თავჯდომარეობენ ხან გრიგოლ ორბელიანი, ხან ივანე მაჩაბელი, სხვანი და სხვანი. ილია ხმამაღლა სტრიქონ-სტრიქონ კითხულობს „ვეფხისტყაოსანს", მაგრამ რად გინდა ქართველთათვის თავმოსაწონებელი ტექსტის დადგენა და გამოცემა, თუ წამკითხველი აღარ ეყოლება? 1881 წელს ქართული ენა საერთოდ გააძევეს სკოლებიდან. ილია რამდენიმე წერილს უძღვნის იანოვსკის, რომლის სახელიც შავი ასოებით დააგვირისტა ჩვენს ისტორიაში. ამ დროს ილიას აქეთ ედიდგულებიან, არ ვიცი, რა ჭკუის, რა სურვილების შინაურები. გაზეთ „შრომაში" კარიკატურა გამოუქვეყნეს – ილია ბანკირს პასუხს სთხოვს ილია რედაქტორი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისია ბანკის შენობაში რატომ არ შეუშვიო.

როგორ არ შეუშვა. თავად არ დაუთმო ბანკის დარბაზი კომისიას სამუშაოდ? თავად არ არის ამ კომისიის სულის ჩამდგმელი? ილია იძულებულია მისწეროს ამ ჩიტირეკიებს. ბანკის თანამშრომლები წინასწარ თუ არ გააფრთხილეს, რატომ შეუშვებდნენ სხვა მოქალაქეებს, „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობის საბაბით იქ რომ ჯიბგირები შევიდნენ და ბანკი დაამუშაონ, პასუხს თქვენ აგებთო? მაგრამ ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც იმ წლის პირველ მარტს მოხდა და რის გამოც მხოლოდ მკვლელებმა კი არა, მთელმა იმპერიამ, კერძოდ, საქართველომაც პასუხი აგო. I მარტს იმპერატორი ალექსანდრე II მოკლეს.

იქ, პეტერბურგში, იმ დროს იაკობ მანსვეტაშვილი იმყოფებოდა. მანსვეტაშვილის მონათხრობი წავიკითხოთ: „ხელმწიფის მოკვლის საქმე მინდობილი ჰქონდა ტერორისტების ერთ ჯგუფს. სათავეში მათ უდგნენ ჟელიაბოვი, პეროვსკაია, კიბალჩიჩი და სხვანი. ამათ ჰქონდათ საიდუმლო სტამბა, ჰქონდათ აგრეთვე ქიმიური ლაბორატორია, სადაც ამზადებდნენ ასაფეთქებელ ყუმბარებს.

დაუწყეს ხელმწიფეს დევნა და ისეთი წესით, გეგონებოდათ საომარი ალყა აქვთ შემორტყმულიო, რომ მტერი არსად გაეპაროთო. ჯერ კიდევ ყირიმში დაუპირეს მოკვლა. რა წამს გაიგეს ეს, ხელმწიფემ მაშინვე მიანება თავი ყირიმს და პეტერბურგს გამოეშურა. მაგრამ გზაშიაც ხაფანგი ჰქონდა დაგებული ორ ალაგას. ალექსანდროვსკში, ეკატერინოსლავის გუბერნიაში, რკინის გზის ხიდი იყო მომზადებული ასაფეთქებლად, აგრეთვე მოსკოვში რკინის გზის ლიანდაგებს ნაღმი ჰქონდა ჩადებული. და ხელმწიფე ორსავ ადგილას მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა ხიფათს. მერე იყო და ხალტურინმა სასახლე აუფეთქა სადილობის დროს, და ხელმწიფე მთელი ოჯახით ვერ გადაურჩებოდა დაღუპვას, რომ უბრალო შემთხვევის გამო სადილი არ დაგვიანებულიყო...

...ახლა აქ, პეტერბურგში შეუდგნენ დევნას, ამ გამუდმებული დევნით ისე იყო ხელმწიფე ნერვებ აშლილი, დაშინებული, რომ სასახლეში, ღამეობით ვეღარ რჩებოდა და ხან მემკვიდრესთან ათევდა ღამეს, ხან სხვა თავის ნათესავებთან. ას ორმოცდაათი მილიონი ხალხის მბრძანებელს ბინა არ ჰქონდა, რომ ღამე უშიშრად, მშვიდობიანად გაეტარებინა!

ერთი ჩვეულება ჰქონდა ხელმწიფეს აჩემებული და ვერც დევნამ, ვერც შიშმა ხელი ვერ ააღებინა. მართალი უთქვამთ ჩვენს ძველებს: ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო. ყოველ კვირას დღისით მანეჟში დაიარებოდა, სადაც ცხენოსან გვარდიის აფიცრების ვარჯიშობა იყო ხოლმე. რევოლუციონერებმა თვეობით თვალყური ადევნეს და შენიშნეს შემდეგი: პირველი, რომ სულ ერთი და იმავე გზით დაიარებოდა ხელმწიფე, მეორე კიდევ, რომ მანეჟიდან ან სახლში დაბრუნდებოდა პირდაპირ, ან მემკვიდრესთან შეივლიდა სტუმრად“.

შეთქმულებმა მანეჟიდან უკან წამოსასვლელი ორივე გზა (იმპერატორის სასახლისკენ და მემკვიდრის სასახლისკენ) ხაფანგად აქციეს. ამასობაში დააპატიმრეს ჟელიაბოვი – მოთავე, რამაც ჟან-

დარმებს ყურადღება მოუდუნა. აღმოჩნდა, რომ მისმა შემცვლელმა მანდილოსანმა პეროვსკაიამ საქმე ბოლომდე მიიყვანა. თავთავის ადგილას იყვნენ დაყენებული გამოწვრთნილი დარაჯები, რომელთაც ნიშნებით უნდა ეჩვენებინათ ხელმწიფის მსვლელობა, ხოლო ეკატერინეს არხზე, როგორც უფრო ჩუმ და მიყუჩებულ ადგილას, დაყენებული იყო ორი შემსრულებელი სასჯელისა, ყუმბარებით შეიარაღებულნი: ესენი შემდეგ აღმოჩნდნენ რისაკოვი და გრინევიცკი.

– ...„ესენი ქუჩის შემოსახვევიდან ცოტა დაშორებით იდგნენ ისე, რო ვერ შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ ხელწიფის მსვლელობისათვის, რომ დროზე მომზადებულიყვნენ. აი სწორედ ამიტომ მიაშურა პეროვსკაიამ არხის მეორე მხარეს და დადგა ისეთ ადგილას, საიდანაც იტალიანური ქუჩა კარგად ჩანდა. ხელმწიფე რომ არხს მიუახლოვდა, პეროვსკაიამ თეთრი ხელსახოცის აქნევით, აცნობა ეს რისაკოვს და გრინევეცკის, რომელნიც არხის მოაჯირს მიყუდებულნი იდგნენ. პირველად ყუმბარა რისაკოვმა ესროლა ხელმწიფის ეტლს. ეტლის უკანა ნაწილი ჩაიმტვრა და ცხენები შედგნენ. ხელმწიფე იძულებული იყო ჩამომხტარიყო. პოლიცმაისტერი, რომელიც წინ მიუძღოდა მარხილით, მიუახლოვდა ხელმწიფეს და დიდის მუდარით ეხვეწებოდა თურმე ჩამჯდარიყო მის ეტლში და გაჩქარებულიყო სასახლისკენ. მისი დაგეშილი ალღო თითქოს გრძნობდა, რომ აქ რაღაც ხაფანგი უნდა იყოს დაგებული და ამით არ გადავრჩებითო. მართალიც გამოდგა. ხელმწიფემ თავისი ერთგულის ვედრება არ ისმინა. ეტყობა ან ბედისწერამ აიტანა, ან მამაცობა უნდა ეჩვენებინა და გათამამებული იმით, რომ ასე ბედნიერად გადაურჩა ხიფათს, გასწია რისაკოვისაკენ, რომელიც ხელმწიფის თანამოახლე ყაზახებს უკვე შებოჭილი ეჭირათ.

– ვინ ხარ? – ჰკითხა ხელმწიფემ.

– სტუდენტი რისაკოვი, – იყო პასუხი.

– Хорош! – თქვა ხელმწიფემ და გაბრუნდა.

არ გაუვლია რა სულ რამდენიმე ნაბიჯი, რომ აქამდე არხეინად მოაჯირზე მიყუდებული გრინეუეცკი გაიმართა წელში, შეუმჩნევლად გამოიღო უბიდან ყუმბარა და სულ რაღაც ერთი არშინის მანძილზე შიგ ფეხებში სთხლიშა.

ხელმწიფე და გრინევეცკი ორივენი იქვე უსულოდ დაეცნენ. მერე აღმოჩნდა რომ ხელმწიფეს მთელი შიგნეულობა ჩასწყვეტოდა, ფეხის ძვლები ჩონჩხებად ქცეულიყო და მხოლოდ გარეკანის ნაგლეჯებზე ეკიდა.

ეს მოხდა ნაშუადღევის პირველ თუ ორ საათზე. ეს ამბავი ელვასავით მოედო მალე პეტერბურგს, ასე რომ 4 საათზე ჩვენ საქმე უკვე დანვრილებით ვიცოდით."

იმპერატორი ადგილზე არ მომკვდარა. სასახლეში გადაასვენეს და აფეთქებიდან საათი და ორმოცდაათი წუთის შემდეგ დალია სული.

დაპატიმრებულმა რისაკოვმა (ის სულ 19 წლის ყმაწვილი იყო) ყველანი გასცა. ლორის მელიქოვმა, ამ ჩვენმა თბილისელმა მელიქოვმა, ილიას „გამოცანებიდან" რომ გახსოვთ, ახლა უკვე მოიქეცა კეფა. ის მაშინ იმპერიის შინაურ საქმეთა მინისტრი იყო. აკაკიმ მის გამინისტრებას მწვავე პამფლეტი უძღვნა.

„რუსეთი დროით ამშვიდა,
მერე სთქვა ნურას ელითო,
ტყვილი იმედი ნუ გაქვსთო,
რომ გამოვიდეთ ბნელითო.
რაც რომ მინდოდა, ის მომცეს,
გრაფობა გამოვსტყუეო,
მთელი რუსეთი, ევროპა
მე, კინტომ მოვატყუეო."

რევოლუციონერებზე ზედამხედველობა ამ „კინტოს" ევალებოდა, ჟანდარმერია მის ხელში გახლდათ, იმპერატორი კი ვერ დაიცვა...

იქნებ პოსტი გადავირჩინოო, I მარტის შემდეგ საშინელი რეპრესიები დაიწყეს. ტერაქტის საქმის ყველა მონაწილე მალევე აიყვანეს და აპრილში სემიონოვის მოედანზე ხუთივე ჩამოახრჩვეს. გამცემიცა და გაცემულებიც... უკანასკნელ გზაზე მათ მიაცილებდა უბრალო პეტერბურგელთა რისხვაც. რომ ეგონათ, ამ ხალხისთვის ვწირავთ თავსო, მოედანზე შეკრებილი ბრბო სულ წყევლა-კრულვას უთვლიდა და, ღმერთო, ალექსანდრე მესამე დაიფარეო, – ლოცულობდნენ. ერთ მკვლელთაგანს გვარად კიბალჩიჩს საფრენი აპარატი ჰქონია გამოგონებული. საქმის ბოლომდე მისაყვანად დეტალები დამრჩა და ჩამოხრჩობა გადამივადეთო, – უთხოვია. ვინ გადაუვადებდა. მას კი არა, ლევ ტოლსტოის არ უპასუხა ალექსანდრე მესამემ. ტოლსტოიმ გენიალური წერილი მისწერა მემკვიდრეს მკვლელთა შეწყალების შესახებ. ოფიციალურად არ უპასუხა, თქმით კი სადღაც უთქვამს – მე რომ შემხებოდნენ და შემძლებოდა,

შევიწყალებდი. მამის მკვლელების შეწყალების უფლება კი არ მაქვსო. ვერ იტყვი, რომ უჭკუო კაცის პასუხია. ერთ ქალს შეთქმულთაგან ფეხმძიმობის გამო გადაუვადეს ჩამოხჩობა, მაგრამ მანამდე ციხეში მომკვდარა.

იმპერატორის მკვლელობის ამბავი მთელს იმპერიაში ელვასავით გავრცელდა. პირველ მარტს თბილისში ორი რამ მოხდა ჩვენთვის საყურადღებო. ერთი ის, რომ ნიკო ნიკოლაძე სტავროპოლიდან თბილისში დაბრუნდა. ქართველი საზოგადოების თხოვნა (ლორის მელიქოვიც ჩაერია) ყურად იღო მისმა გამსახლებელმა მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ და ნება დართო, ჩამოსულიყო. სულზე კი მოუსწრო ნიკოს ამ ნებართვამ, თორემ ძმის მკვლელობის შემდეგ, არა მგონია, ნიკოლაძე მას შეეწყალებინა. მეორე ის, რომ აკაკიმ დაწერა თავისი ცნობილი ლექსი „გაზაფხული". ეს ლექსი 3 მარტს „დროებამ" დაბეჭდა. ცუდად დაემთხვა ამ რევოლუციური ლექსის გამოქვეყნება იმპერატორის მკვლელობას. ატყდა მითქმა-მოთქმა, აკაკიმ ამ ლექსით იმპერატორის სიკვდილით აღძრული სიხარული გამოხატაო. მითქმა-მოთქმა კი არა, დღემდე სამეცნიერო ლიტერატურა თუ სასკოლო სახელმძღვანელოები ამტკიცებენ, აკაკიმ ეს ლექსი ალექსანდრე მეორის მკვლელობას მიუძღვნაო.

მაშინ კინაღამ გააციმბირეს. არადა, არ უნდა იყოს ეს ამბავი მართალი. „გაზაფხული" მკვლელობის გამო არ უნდა იყოს დაწერილი. აბა თვით აკაკის მოვუსმინოთ: „1-ს მარტს რომ ხელმწიფე იმპერატორი მოკლეს, 3-ს ჩემი ლექსი გამოვიდა „დღეს მერცხალი შემოფრინდა..., მომდეს ხრიკი: ეს გიხაროდენიაო და კინაღამ ციმბირში ამომაყოფინეს თავი, რომ სტაროსელსკი, მაშინდელი ნამესტნიკის კანცელარიის უფროსი, არ გამომსარჩლებოდა." („საქართველო", 1908 №-3 გვ.10)

აკაკის თხუთმეტტომეულის გამომცემლებს ციტატა მოჰყავთ იმის დასტურად, რომ „გაზაფხული" ალექსანდრე მეორის სიკვდილის გამო დაიწერა, თუმცა ციტატიდან ამოღებულია სიტყვები „მომდეს ხრიკი ეს გიხაროდენიაო". პოეტი თავად ამბობს, ხრიკი მომდეს ანუ მახეს მიგებდნენო, მაბრალებდნენო. თან ეს იმ დროში დაიბეჭდა, როცა კაცი აღარ ედავებოდა და თუ მართლა იმპერატორის მკვლელობის გამო დაიწერა „გაზაფხული", რატომ უარყოფს ამას აკაკი მაშინ, როცა აღარც არავინ სთხოვს პასუხს? სხვათა შორის, ილიაც არ შეხვედრია ამ ტერაქტს სიამოვნებით. მან იგრძნო,

რომ ამ ხელოვნური ცვლილებით ქვეყანაშიც ცვლილება მოხდებოდა, მაგრამ ბედნიერთათვის სასიხარულო, უბედურთათვის კი საუბედურო. ალექსანდრე მეორე უფრო პროგრესული იყო, ვიდრე მისი მემკვიდრე ალექსანდრე მესამე. მისი სიკვდილით ხალხს არაფერი მოუგია, პირიქით, როგორც ვთქვით, ტერორი დაიწყო და ეროვნული უმცირესობისთვის რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრდა. ცენზურას მეტი უფლებები მიეცა. თუ კავკასიის განათლების მზრუნველი იანოვსკი აქამდე ცდილობდა ბავშვებს პირველი კლასიდანვე ესწავლა? ქართულ ენასთან ერთად რუსული ფრაზეოლოგია და ილია ამაზე ედავებოდა, ჯერ მშობლიური ენა უნა ისწავლოს ყმაწვილმა და შემდეგ უცხო ენაო, ახლა ქართული ენა საერთოდ განდევნეს სკოლებიდან.

ალექსანდრე მეორეს, პარადოქსია, მაგრამ თავიდან გერცენი გამათავისუფლებელს ეძახდა, მერე კი საკუთარ ტყავზე იწვნია, რა გამათავისუფლებელიც იყო, მაგრამ, საერთოდ, უნდა აღინიშნოს, მას მისი მკვლელობის სულისჩამდგმელი ფიგნერიც კი დიდად აფასებდა როგორც მიწის, სასამართლო და საერობო რეფორმის გამტარებელს. ფრთხილად ახასიათებს ილიაც: „ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზე თუ არა, სულ სხვა ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს. ... რასაკვირველია, ეს უცებ არ მომხდარა და არც ერთი კაცის ნებით; ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე". ერთი სიტყვით, იმპერიაში დიდი ცვლილება მოხდა, მაგრამ ცვლილება იმ აზრით, რომ აწმყო წარსულად იქცა და წარსული აწმყოდ, ანუ დაბრუნდა ნიკოლოზ I დროინდელი რეჟიმი.

მარტის მოვლენებს ერთი ანეკდოტური ამბავიც მოჰყვა. განსვენებული იმპერატორის სახელზე პოლონელების დეპუტაციას იმპერიის კარზე უთხოვია: ჩვენს ქვეყანაშიც შემოიღეთ ის ცვლილებები, რაც ალექსანდრე მეორის მეფობის დროს რუსეთში გატარდა. პოლონური ენის უფლებებიც აღგვიდგინეთო და სხვა. ამ ფონზე ქუთაისის დეპუტატებს, იქაურ ქართველ კონვოელთა გულის მოსაგებად უთხოვიათ, განსვენებული იმპერატორის სახელზე ჩვენს კონვოელებს ვენზელები დაურიგეთო.

ამაზე აქ ერთი ამბავი ატყდა, თავი მოგვჭრა ჩვენმა დეპუტაციამ. ილიაც გამოეხმაურა და დასძინა, სანამ დეპუტატები ერთმანეთს აირჩევენ, სანამ ოთხი თუ ხუთი პირი ერთად შეიკრიბება და იტყვის, შენ იქნები დეპუტატი, მანამ ყოველთვის ასე მოხდებაო.

დეპუტატმა რომ ხალხის სურვილი გააცხადოს სადაც ჯერ არს, ხალხის მიერ უნდა იყოს ამორჩეულიო...

ზაფხულში ილია მღვდელმსახურების ანეკდოტური კრების წინააღმდეგ ილაშქრებს. საბაბიც ჰქონდა. თბილისში სასულიერო პირები მოუწვევიათ, რომელთაც არც ის იცოდნენ, რაზე პატიჟებდნენ და არც ის, სად იწვევდნენ. „ამოდენა ქალაქში სად უნდა მოეყარათ თავი. საწყლები ჩამოვიდნენ, ხან სად მიაწყდნენ და ბოლოს ძლივს იშოვეს ერთი ოთახი და როგორც იყო კრება გამართეს".

სემინარიაში დედა-ენას თუ არ ასწავლით, ეკლესიებში თუ უღირს მღვდლებს დანიშნავთ, მოძღვრის საქმე იქამდე მივა, „რომ ჩვენი ერი იძულებული შეიქმნება „პერევოჩიკის" შემწეობით გაენდოს ხოლმე თავის მოძღვარსა"-ო.

სექტემბრის დასაწყისში ქართული საზოგადოება დიდ სამზადისშია. პირველად თბილისში იმართება არქეოლოგთა ყრილობა, „ეს პირველი მაგალითია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენი დედაქალაქი ტფილისი ღირსი გახდა მეცნიერთა კრებისა. განსაკუთრებით შესანიშნავი ის არის, რომ არც ერთს სხვა ქალაქში რუსეთში, საცა კი ამგვარი კრება ყოფილა, ამოდენა ხალხი არ შეყრილა კრებაზედ, როგორც აქ ტფილისში შეიყარა. 700 კაცზე მეტი დაესწრო. მაშინ როცა ამისთანა კრებაზევე ყაზანში და კიევში ორასზედ მეტი არ დასწრებულა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ყაზანსა და კიევში უნივერსიტეტებია, და, მაშასადამე, უფრო დიდძალი ხალხი უნდა დასწრებოდა," – სიამოვნებით აღნიშნავს ილია. ევროპიდან, იმპერიის ცენტრიდან და სხვა და სხვა ქალაქებიდან მოწვეულ მეცნიერთა თავყრილობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულა. პირველი კრება 8-ში გამართულა.

პირველ საათზე ამალითურთ მოვიდა ლევან მელიქიშვილი, მეფისნაცვლის მოადგილე, კრება გახსნა და მეფისნაცვლის, რომელიც პეტერბურგში იმყოფებოდა, კეთილი სურვილები გადასცა მეცნიერებს. შემდეგ დაიწყო მოხსენებები. იქ ზის ილიაც, აკაკიც. ან ერთის მახვილ თვალს, ან მეორისას რა გამოეპარებოდა, ორივემ ისტორიას ამ კრებიდან თითო კურიოზი დაუფიქსირა. ილია: „ბოლოს ავიდა კათედრაზე მოსკოვის მეცნიერი ისტორიკოსი ილოვაისკი და წარმოსთქვა გრძელი და ფრიად უგემური სიტყვა. საგანი მისი სიტყვისა უფრო ის იყო, თუ როგორი დაახლოება ჰქონია უწინდელს დროში რუსეთთან კავკასიას საერთოდ და საქართველოს საკუთრივ. ამის შესახებ ახალი არა უთქვამს-რა და

რაც სთქვა, ისიც ისეთი რამ იყო, რომ ყველა ანბანში ადვილად საპოვნელია. ერთმა ადგილმა ბატონ ილოვაისკის სიტყვაში მიიქცია ჩვენი ყურადღება, მერე ისე, რომ კინაღამ სიცილი არ წაგვცდა. ბატონმა ილოვაისკიმ უადგილო ადგილას წარმოსთქვა სხვათაშორის: „გთხოვთ, მშვენიერო კავკასო, გადაგვიხსნა შენი გული და გვიჩვენო აუარებელი სიმდიდრე, რომელიც შიგა და გარეთ ეგრე უხვად მოფენილი გაქვსო."

ბატონო და თუ ცარიელი თხოვნა მაგის შემძლებელი ყოფილიყო, ქართველებს თხოვნის მიცემას, თუნდ ღერბიან ქაღალდზედ, ვინ დაასწრებდა? „ხვეწნას და ღრეჭას თავი დაანებეთ და მეცნიერების ფარ-ხმლით შემოსეთ აქაურობა, თორემ მოსულხართ და დედამიწას დასძახით: გთხოვთო, გთხოვთ, რა პასუხია! ბატონ ილოვაისკის სიტყვაში, რა საკვირველია, ხშირად იყო ხმარებული დიდებული რუსეთი და მართმადიდებელი რუსეთი. საცა კი რუსეთი ახსენა, ან ერთი ზედშესრული მიაკერა, ან მეორე."

ახლა მეორე კურიოზის შესახებ. პროფესორ ხვოლსონს თუ რვა სექტემბერს არა, 21 სექტემბერს მაინც უნდა სცოდნოდა, ამდენი ხანი სად იმყოფებოდა. არა და 21 სექტემბერს სტუმრების საპატივსაცემოდ გამართულ სადილზე თავი სომხეთში უგრძვნია, თბილისი სომხეთი ჰგონებია.

აკაკი: „გამოჩენილმა ორიენტალისტმა, რომელმაც ისიც კი იცის, თუ სად და რომელ კუთხეზედ აზიისა რომელი ქვა რად გდია და რა გვარის წარწერით... რომელმაც ამ დღეებში დაგვიმტკიცა, რომ მეშვიდე საუკუნეში ერთს მცხეთას დამარხულ ურიას გურკი ერქვა და არა ბურკი... ამ მეცნიერმა არ იცის – რა არის, ან სად არის საქართველო და სომხეთის ძველ–დიდების ნაშთს თბილისში ეძებს."

არქეოლოგთა მე-5 ყრილობაზე მოწვეულ იყვნენ ქართველი მეცნიერები პეტერბურგიდან დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი. მოსკოვიდან ილია ოქრომჭედლიშვილი. მათ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ქართულ კულტურას. ამიტომ ილია მათი გამასპინძლებით არის დაკავებული. მასპინძლობს თბილისშიც, საგურამოშიც. მთელი ეს ძვირფასი საზოგადოება 21 სექტემბერს მიდის I გიმნაზიის 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ქართველ მასპინძელთაგან უმრავლესობა ამ სასწავლებლის მოწაფე იყო. გიმნაზიის დირექტორი მარკოვი ძალიან აქტიურობს. აქ არიან ილია, ვრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, კონსტანტინე მამა-

ცაშვილი, ცაგარელი, ჩუბინაშვილი, ოქრომჭედლიშვილი, ლევან მელიქიშვილი, ეგზარქოსი პავლე, იანოვსკი, ლუკა ისარლიშვილი – ცენზორი. სხვანი და სხვანი. ვახტანგ ორბელიანი მშვენიერ ლექსს კითხულობს, ლევ მარკოვი იანოვსკის აქებს და ეპირფერება. შემდეგ სადილია. სუფრა 100 კაცზე იყო გაშლილი. პირველი გრიგოლ ორბელიანი წამოდგა და... ვერ გადაეჩვია ეს კაცი, პირველად ხელმწიფე-იმპერატორის სადღეგრძელო დალია, მერე იანოვსკიმ, – დიდ მთავარს, ჩვენს მეფისნაცვალს – მიხეილ ნიკოლოზის ძეს გაუმარჯოსო. აქეთ ბარონი ნიკოლაის, განათლების მინისტრის მოლოცვა წაიკითხეს. ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა კონსტანტინე მამაცაშვილმა. (ეს სიტყვა გამოქვეყნებულია თქვენი მონა–მორჩილის წიგნში „ხე ცნობადისა" თბ. 1987წ. გვ.76- 84).

„დანარჩენი სიტყვები კი ღმერთმა შეინახოს, – წერდა დრრეება, – ერთმა დალია გიმნაზიის სადღეგრძელო, რომელმაც კარგი მოსამსახურეები გამოუზარდა სახელმწიფოს. მეორემ აღტაცებით მოიხსენია, რომ ამ გიმნაზიის წყალობით, მადლობა ღმერთს, ჩვენ გავრუსდითო; მესამემ ერევნის გიმნაზიის სომხებისა და თათრების სადღეგრძელო გადაყლურჭა და სხვა."

იმ დროისთვის გიმნაზიას 742 მოწაფე ჰყავდა, აქედან ქართველი 143. არა მგონია ილიას ყოფილ სასწავლებელში ბედნიერად ეგრძნო თავი. არც არაფერი უთქვამს. მისი აზრი ასეთი იყო: „სკოლა, სასწავლებელი ორ პირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლიან და დიდის სიკეთისაც." სწორედ იმ დღეებში წერს ის წერილს, რომელშიც ამბობს: სასწავლებელი, რომელიც ქართველს ქართველად არ გაზრდის, სულ რომ არ ყოფილიყო, ის გვერჩივნაო. იმ დღეებში გორის საქალებო სასწავლებელი გაიხსნა. ილია ასე გამოეხმაურა: „ნურავინ ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი. ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი და თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია."

ადვილი წარმოსადგენია, ამ სტრიქონების ავტორი რა გუნებაზე დადგებოდა, როცა იმ ტუტუცის სიტყვას მოისმენდა – „ამ გიმნაზიის წყალობით, მადლობა ღმერთს, ჩვენ გავრუსდითო!.."

დამთავრდა ყრილობა, დამთავრდა სუფრები, სადილები, მაგრამ შემოდგომაზე ქალაქი ახალმა ხმებმა ააფორიაქა. მეფისნაცვალი იცვლებაო. ახალი წლიდან მიხეილ ნიკოლოზის ძის ნაცვლად, რომელიც ახალმა იმპერატორმა, – ძმისშვილმა, სახელმწიფო საბ-

ჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანა, ინიშნება დონდუკოვ-კორსაკოვი. ეს კორსაკოვი ვორონცოვის კაციაო, გახარებული იმეორებდნენ ქართველები. ზოგს ისიც ახსოვდა, ძველ დროში ეს კორსაკოვი თბილისის გიმნაზიის სცენაზე ფრანგულ სპექტაკლში – „მიხეილ და ქრისტინე“ რომ თამაობდა... „თუ ვორონცოვი კარგი იყო ჩვენთვის, ეგეც კარგი იქნებაო.“ ილიას კომენტარი ასეთი იყო: „ამისთანა ერთიანს სიხარულს ერთიანი მიზეზი უნდა ჰქონდეს, და ეს ერთიანი მიზეზი ის არის, რომ ცვლილება მოხდა. არც მეტი არც ნაკლები.

ჩვენ რომ ჩვენს თავს ბედნიერად ვგრძნობდეთ, ცვლილება შეგვაწუხებდა, დაგვაღონებდა, ვაი თუ რაცა გვაქვს, ისიც დავკარგოთო, ვიტყოდით, მაგრამ... ოჰ რა კარგი რამ არის შექსპირი. გულთამხილავს რომ იტყვიან, სწორედ ის არის...

„ცვლილება არი სამწუხარო ბედნიერთათვის,
ბედკრულნი კი მას სიხარულით მიეგებიან.“

1882

„სამშობლოს“ წარმოდგენა თბილისსა და ქუთაისში. კატკოვის დაცინვა. ილიას პასუხი კატკოვისადმი. ერეკლე ბატონიშვილის გარდაცვალება.

სერგეი მესხი

„ოხვრა არის შვება უბედურისა“.

ნ. ბარათაშვილი.

„რომელ ქართველ კაცსაც კი მოეპოვება ცალთვალა მანათი, ანუ ექვსი შაური კენტათა და არ წავა თეატრში „სამშობლოს“ სანახვად, იმ ქართველ კაცზედ მე შემიძლიან ვსთქვა, რომ მას არ გამოუცდია ქვეყანაში უდიდესი სიამოვნება“. ეს მონოდება სპექტაკლის რეცეზენტის სტეფანე ჭრელაშვილისა ზედმეტი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის. ცალთვალა მანეთს კი არა, აღარც ოქროს მანათს, არც დროს, არც აპლოდისმენტებს აღარავინ ზოგავდა. 1882 წლის 20 იანვარს თბილისში პირველად დაიდგა „სამშობლო“, რომელმაც ერთბაშად თითქოს საღათას ძილიდან გამოაღვიძა ქართველი მაყურებელი. ტაშსა და ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა, ავტორიც ხელში აიტაცეს და ისე ატარებდნენ. ილია ამ სპექტაკლს ესწრება. ის მქუხარე ტაში, ის გუგუნი და უეცარი აღტკინება, ის ერთდროული გულისცემა, რაც პატრიოტიზმს გამოუწვევია, ის მადლიერება, რაც ავტორისადმია მიმართული, თითქოს ილიაზეც ნაწილდება. ისიც ამ დღის გმირია, ამ გამოღვიძებაში ხომ ყველაზე დიდი წვლილი მისია, სხვა თუ არაფერი, სცენიდან დღესაც მისი სტრიქონები ისმოდა. პიესის დედა-აზრი სწორედ ილიას „აჩრდილის“ სტროფებით არის გადმოცემული.

სპექტაკლმა კიდევ უფრო მეტი აღფრთოვანება ქუთაისში გამოიწვია. იქ ევსტათე მჭედლიძე (ფსევდონიმი ბოსლეველი) დაწერს: „სამშობლო წარმოადგინეს სამჯერ, ქუთაისის სცენას ამისთანა თავის დღეში არაფერი უნახავს; ხარაზოვის თეატრს ამდენი ხალხი ჯერ სიზმარშიაც არ მოლანდებია; აქაური საზოგადოება ისე ერთგვარად გრძნობა აშლილი და სულიერად დაკმაყოფილებული პირველად ბრუნდება შინ წარმოდგენიდან. ახლაც თვალ-წინ მიდგია რამდენიმე ასი ადამიანი, – ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ჩინიანი და უჩინო, ბატონი და მოსამსახურე, – სმენად გადაქცეული, სულგანაბული და თითქო სისხლ–შეყენებული.

მაგრამ აჰა იგრიალა მთლად საზოგადოებამ და ერთბაშად თითქო რაღაც მანქანების ძალით შეიქმნა ტაშის კვრა და ბარაქალას ძახილი. ყველას ერთი რაღაც გრძნობა იტაცებდა, ყველას გული ერთი რამისათვის სცემს. დიახ, „სამშობლომ" ქართველის გულს რამდენსამე საათს მაინც დააწყებინა ქართველურად ცემა!"

„სამშობლო" დავით ერისთავმა, შთამომავლობით პოეტმა, როგორც სიყვარულით თანამედროვენი ეძახდნენ (იგი 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, დრამატურგ გიორგი ერისთავის ვაჟია) ფრანგულიდან თარგმნა. პიესის ავტორია სარდუ. მაგრამ ეს არ არის პირდაპირი თარგმანი. ეს უფრო სარდუს მიბაძვით შექმნილი პიესაა, რომელიც ქართველების ბრძოლას ეხება შახის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად. მთავარი გმირი სიმონ ლეონიძე არის სახე-სიმბოლო სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი რაინდისა. პიესას, როგორც მხატრული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, ბევრი ნაკლი ჰქონია. აკაკიმ პროფესიონალის თვალით გაარჩია ეს პიესა და ბევრი შენიშვნაც მისცა ავტორს. შენიშვნები ჰქონდათ სხვა რეცენზენტებსაც. ის კი არა, ვახტანგ ორბელიანი სახლში გაგულისებულიც კი დაბრუნებულა. ლეონიძის ცოლი ღვთისნიერი ქალი იყო. ავტორმა ის საზიზღარ მოღალატედ გამოიყვანაო (უბრალოდ ავტორს ისტორიული პერსონაჟებისა და რეალიების სიზუსტის დაცვა არ ჰქონდა განზრახული). მაგრამ ეს დეტალები არ იყო მთავარი. მთავარი გახლდათ ის, რომ პირველად ქართულმა საზოგადოებამ სცენიდან მოისმინა (სპექტაკლის ემოციურ ფონზე) გაცხადებული მიზანი, ილიას „აჩრდილში" თქმული:

„ღმერთო მაღალო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა!
სამღვთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს ულვრია,
ჩაგრულთ სასოო! ნუ არიდებ მონყალე თვალსა!"

...

„ღმერთო ძლიერო! შენთვის ბრძოდნენ ქართვლისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა.
იკმარე სამღვთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, შეისყიდეს ტანჯვით შენდობა!"

...

„სახელოვანი განუახლე ტანჯულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა!

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვით ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა, კვლავ აღდგომისა!..“

ამას დაუმატეთ სცენის ანტურაჟი, ძველი გოდოლები, მოლაშქრენი, მტერთან კვეთება, ზარების რეკვა და, რაც მთავარია, სცენაზე ძველი ქართული სახელმწიფოს, ბაგრატიონთა დროშების გამოფრიალება. ეს ყველაფერი 80 წლის მანძილზე ქართველის თვალს აღარ ენახა. ამიტომ, თბილისსა და ქუთაისში „სამშობლოს“ დადგმები ეროვნული სულის ზეობად იქცა, მაგრამ ეს რომ მხოლოდ წარსულის დაბრუნება და გმირი წინაპრებით თავმოწონება არ იყო, აბა, ამას რა გამოცნობა სჭირდებოდა: – „მოეცი ძალა დავრდომილსა, კვლავ აღდგომისა“. აი, ეს კვლავ აღდგომის სურვილი იყო, რუსებს რომ აცოფებდათ. კი ბატონო, არავინ გიშლიდა, რამდენიც გინდოდა გედიდებინა შენი წარსული, ოღონდ ახლა ჩინებულად უნდა გეგრძნო თავი რუსეთის „მფარველობისა“ ქვეშე. თუ იმ წარსულში ოსმალებსა და სპარსელებს გაიხსენებდი, როგორც ისტორიულ მტრებს, ეს ხომ ნებადართული კი არა, წახალისებულიც კი იყო. გეძახა, რამდენიც გინდოდა: „მიხარის, გიმზერ, ვწუხვარ და გიმზერ, და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე“. ისიც გეთქვა, არ გამოვფხიზლდეო. ასემც გიქნია, მთელი ცხოვრება ნირვანაში ყოფილიყავი, მაგრამ, – **„არ გამოვფხიზლდე, რომ აღარ ვგრძნობდე, ჩემი სამშობლოს სულით დაცემას“**, აი, ეს კი აღარ უნდა გეთქვა...

აღდგენის სურვილი პირდაპირ მომაკვდინებელი ცოდვა იყო. მაბეზღართა გასაგონად აკაკი კი შეეცდება, გულუბრყვილოს როლი გაითამაშოს. ჩვენ სპარსელებისგან ქართველთა შევიწროება და მაშინდელ დროში ჩვენი ტანჯვა აღვწერეთ და ეს რუსის იდეოლოგებს რატომ უნდა სწყენოდათო, მაგრამ რატომ დაუჯერებდნენ. აქ რას აკეთებენ იმპერიის დაგეშილი მსტოვრები? ქართული დროშების სცენაზე გამოტანა და ზარების დარისხება კი არა, პანაშვიდზე ვინ რას ამბობდა, ამასაც კი დაწვრილებით წერდნენ შინაგან საქმეთა მინისტრს. ეს არ არის გადაჭარბებული, შემდგომში გიამბობთ სწორედ პანაშვიდთან დაკავშირებულ ფრიად ტრაგიკომიკურ ამბავს. ერთი სიტყვით, საქმე გაუჩნდათ მოენეებს ძაღლის ერთგულების დასამტკიცებლად.

თავდაპირველად დეპეშები აფრინეს, სადაც ჯერ არს. ასე და ასე ხდებაო. მერე კატკოვს, გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორს, კორესპონდენცია მიაწოდა ვიღაც პედაგოგმა, სტე-

ფანე რიუოვმა. მხოლოდ ინიციალები კი დააწერა, მაგრამ მალევე გაიშიფრა.

კატკოვს მეტი რა უნდოდა. ეს იყო კაცი, რომელიც რუსის გარდა სხვას ადამიანად არ თელიდა. ობერპროკურორი იმპერიისა იყო პობედონოსცევი, ალექსანდრე მესამისა და ნიკოლოზ მეორის გამზრდელი, სასტიკი ადამიანი და პირწავარდნილი შოვინისტი. ასეთივე გახლდათ ტოლსტოი, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ''ჩვენი" მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი შეცვალა.

მოკლედ, კატკოვი, პობედონოსცევი და ტოლსტოი, ვითარცა ერთგვამ და ერთსულ, იყვნენ სასტიკნი მტერნი ყოველგვარი ლოიალობისა არარუსი ხალხების მიმართ. საქართველოს კი განსაკუთრებით მტრობდნენ, რადგან რუსეთის იდეოლოგიურ რუკაზე კავკასიიდან მხოლოდ საქართველო იყო მოაზრებული, როგორც არასანდო ქვეყანა. თუ ადრე მორიგეობით გვაჩვენებდნენ ოქროს კბილსა და შეკრულ წარბს, ხან ცბიერ ღიმილს და ხან ხიშტის ძალას, ახლა, 80-იანი წლებიდან დიპლომატიაზე უარს ამბობენ და ღიად გადადიან მთელი ერის წყეულა-კრულვაზე. მთელ ერს საჯაროდ პირველი შეურაცხყოფა კატკოვის გაზეთმა მიაყენა. იმ აღტკინების შემდეგ, რაც იანვრის ოციდან საქართველოში სუფევდა, უცებ ციცი წყალი გადაასხეს ყველას ერთად. 13 თებერვალს „მოსკოვსკიე ვედომოსტი" გამოაქვეყნებს: – **„თავი დაანებეთ ქართველებმა ბოდვას რაღაც წარსულზე, ხოლო თქვენი დროშა გირჩევთ გოდფრუას ცირკს მიპყიდოთ, იქ ტაკიმასხარები უკეთ გამოიყენებენ თქვენ დროშას, ვიდრე თეატრშიო."**

ამ შეურაცხყოფამ, ამ დაცინვამ, ერის აბუჩად აგდებამ ყველას გულზე გადაიარა, არა ერთმა და ორმა, დაწყებული აკაკით და დამთავრებული თავადაზნაურთა მარშლით, საკადრისი პასუხები გასცეს თუ ქართულ, თუ რუსულ პრესაში. ის კი არა, რუსი კალმოსნებიც ალშფოთებულან კატკოვის ამ სიბილწის გამო. მაგრამ მოთავე აქაც ილია იყო. 24 თებერვალს „დროებაში" ქვეყნდება ილიას წერილი „კატკოვის პასუხად", რომელიც მალე რუსულმა პრესამ გადაბეჭდა. („მოსკოვსკი ტელეგრაფი", 9 მარტი. (თარიღებს ყველგან ძველი სტილით მიეუთითებ. ნ.გ.)). ილიამ, – კ. გამსახურდიას პერიფრაზს მოვიშველიებ – ისეთი სილა სტკიცა ამ შოვინისტ კატკოვს, რომ ლაწანის ხმა მთელმა რუსეთმა გაიგო.

ყოველ შემთხვევაში, ამას ადასტურებს მრავალრიცხოვანი გამოხმაურებანი იმდროინდელ პრესაში, მათ შორის გამოხმაურებები რუსეთშიც. ამის შესახებ ილიას სიამაყით სწერს მოსკოვიდან მისი მეგობარი ილია ოქრომჭედლიშვილი: – „აქაო, – იწერება მოსკოვში მოღვაწე მეცნიერი, – არათუ სომხები, ერთი რუსი არ შემხვედრია, რომელსაც არ გამოეთქვას აღტაცებული კმაყოფილება შენ წერილზე"-ო.

ეს არ იყო ბრძოლა რიგით რედაქტორთან. კატკოვი სულისჩამდგმელი იყო „მაშინდელი სულთამხუთავი მინისტრებისა", მაგრამ გარეშე მტრებთან, მეტადრე თუ ისინი შეეხებოდნენ მის წმიდათაწმიდა ქართვლის ბედს, ილიამ შებრალება არ იცოდა, სასტიკი იყო, მკაცრი; მაშინ მისი სიტყვა ღვთის რისხვა იყო" (ი. მეუნარგია).

●

„სამშობლოს" დადგმით და კატკოვის გამოხდომით აფოფრილი ქართველობა არ ჩამცხრალიყო, როცა ქართულ ეროვნულ ნერვს კიდევ ერთი ცნობა შეარხევს. 1882 წლის 27 აპრილს გარდაიცვალა ირაკლი ბატონიშვილი, მეფე ერეკლეს შვილიშვილი, ძე საქართველოს თავისუფლების სიმბოლოდ ქცეული ალექსანდრე ბატონიშვილისა.

ირაკლი ბატონიშვილი თბილისის ქუჩებში მუდამ ჩოხაში გამოწყობილი დააბიჯებდა და ყველა ქართველისთვის ძველი საქართველოს სიმბოლოდ აღიქმებოდა.

1801 წლიდან მოყოლებული, რუსების წინააღმდეგ ბრძოლებში მის მამას, ალექსანდრეს ხმალი არ ჩაუგია. ბატონიშვილები ან დახოცეს, ან რუსეთში ჰყავდათ გადასახლებული. ალექსანდრე უცოლო იყო. ტახტი, რომც დაებრუნებინა, ქვეყანას, ფაქტობრივად, მემკვიდრე აღარ რჩებოდა. ალექსანდრემ, ჯერ ივანე აბაშიძეს სთხოვა ძმისშვილი, მაგრამ რუსები დაემუქრნენ ივანეს, ოჯახიანად ამოგაგდებთ, თუ ჩვენს მტერს ქალს მიათხოვებო.

რუსები ცდილობდნენ, საქართველოში მემკვიდრე არ დარჩენილიყო. ამიტომ გაასახლეს ერეკლეს მრავალრიცხოვანი ოჯახიდან ყველა. ერთადერთი მოუხელთებელი ალექსანდრე აღმოჩნდა, რომელიც ვერც ტკბილი ენით შეირიგეს და ვერც ხელში ჩაიგდეს, მიუხედავად იმისა, რომ მთის ტომებს, სადაც სხვადასხვა დროს ალექსანდრე თავს აფარებდა, უხვად ჰპირდებოდნენ ოქრო-

ვერცხლს. ალექსანდრე ბატონიშვილი არავინ გაყიდა. არ გაჭრა, მაგალითად, მთავარმართებელ ერმოლოვისგან არც მოსყიდვის მცდელობამ, და შემდგომ, არც ასეთმა მუქარამ ანწუხის თემისადმი: „თუ სამ კვირაში არ ჩამაბარებთ ბატონიშვილს, თქვენს მთავარ კაცებს, ჩემთან რომ წარმოგზავნეთ, ყველას თავებს დავაყრევინებ; მაგრამ ეს არ კმარა! მე ჭარ–ბელაქნელებს, რომლებიც თქვენი მტრებია, ვაპატიებ მათ ძველს დანაშაულს ჩვენს წინააღმდეგ. ძველად ისინი ალექსანდრე ბატონიშვილს რომ აქეზებდნენ, ახლა მათ რუსის ჯარებს შევუერთებ და ყველა ამათ ერთად თქვენ მოგისევთ, რომ ერთთავად ამოგიჟლიტონ თქვენ ცოლები, შვილები და გაგიცამტვერონ თქვენი სამყო-საბადებელი“.

დიდი რუსეთის ღენერალს პატარა ანწუხის თემი დარბაისელის და ღირსეულის პასუხით დახვდა: „ვფიცავთ დიდს ალაჰს, რომ ჩვენის მხრით არასოდეს მოხდება ღალატი და გაცემა ემირ ალექსანდრე ხანისა. შენ შენს წერილში ითხოვ, რომ ალექსანდრე წარმოგიგზავნოთ; უფალსა ვფიცავთ – ჩვენ მას ვერ ვუღალატებთ და ვერ ჩავიდენთ მისდამი მუხანათობას, თუნდ სულ დახოცო ჩვენი ხალხი და ჩვენი ცოლშვილიც...

ასეთ საქმეს ჩვენგან შენ ნუ მოელი, ალექსანდრე ჩვენი სტუმარია“-ო. (იხ. თამარ პაპავა, „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, თბილისი, 1990, გვ. 90).

ეს ხდება 1818 წელს. ალექსანდრეს დიდი ფასი აქვს, როგორც სულთნის, ისე აბას მირზას თვალში. რუსებს ისე არავისი ეშინიათ, როგორც ალექსანდრეს გამოჩენისა. ამ კაცმა ნახევარი საუკუნე სისხლი გაუშრო ამხელა იმპერიას. აბას მირზამ ერევანსა და ნახჭევანს შორის ალექსანდრეს პროვინცია უბოძა. ისტორიკოს პოტტოს ცნობით აქ იგი 1820 წლის 20 მაისს ირთავს სომეხ მელიქ ისააკის ულამაზეს ასულს, მარიამს. ამ ქალმა ყველაფერი განირა ალექსანდრეს სიყვარულისთვის. პასკევიჩმა 1827 წელს ერევანი აიღო, ქართველმა ერისთავმა თავრიზი, სადაც ალექსანდრეს ცოლი აფარებდა თავს. გაბოროტდა პასკევიჩი, თავრიზის აღება ქართველმა როგორ დამასწროო. ერისთავმა გული იმით მოულბო, რომ მიულოცა თავრიზის აღება და შეჰპირდა, კრინტსაც არ დაძრავდა, სინამდვილეში მან რომ აიღო ეს მხარე. უფრო მეტი ერთგულება ამ ერისთავმა იმითაც გამოიჩინა, რომ ალექსანდრეს ცოლისა და პატარა ერეკლეს სამყოფელიც შეიტყო და ისინიც, დატყვევებულნი, პასკევიჩს გადაულოცა.

შეადარეთ ახლა ანნუხის ტომელთა საქციელი ამ ერისთავის მოქმედებას... ვიკვლიე, ვინ იყო ეს ერისთავი. იგი აღმოჩნდა გიორგი იესეს ძე ერითავი. სიძე გიორგი XII-ისა. ცოლად პყავდა მეფის და გაიანე. ეს გიორგი ერისთავი იმდენად დიდი სარდალი და ერთგული მსახური იყო რუსებისა, რომ აღარ დარჩა ორდენი რომელიც მას არ ჰქონდა მიღებული. ყირგიზეთში აჯანყება რომ ვერ ჩაახშეს, პენსიაში გასასვლელად გამზადებული გ. ერითავი გააგზავნეს და ეს აჯანყებაც მან აღკვეთა, უბოძეს მანამდე არარსებული ორდენი – «Атаман казаческих войск» თბილისში ხმა გავრცელდა იმპერატორი მეფინაცვლობასაც უპირებსო, მაგრამ ერისთავის ყოფილი ადიუტანტი დანიშნეს. მოკვდა ერისთავი 1863 წელს, 103 წლისა.

მარიამი, როგორც ისტორიკოსი პოტტო ამბობს, ზლაპრული სიტურფით იყო შემოსილი. (პოტტოს და თ. პაპავას მიერ მითითებული თარიღები დასაზუსტებელია. ვფიქრობ, უფრო სანდო უნდა იყოს ილიას მიერ დაწერილ ერეკლე ბატონიშვილის ნეკროლოგში მითითებული თარიღები. კერძოდ, ერეკლეს დაბადების წლად მითითებულია 1818წ. თუ ასეა, ზემოთდასახელებული ქორწინების თარიღიც ალექსანდრესი არ არის სწორი). დამარცხებული ალექსანდრე კვლავ დეენილობაშია. მარიამი გასაოცარ გმირობას სჩადის – იმპერატორის მოთხოვნაზე, მეფე ერეკლეს სახლეულის სხვა წევრების მსგავსად, ისა და მისი შვილიც პეტერბურგში გაეგზავნათ – მარიამი პასუხობს, რომ ხანჯლით განგმირავს საკუთარ შვილს, თუ მათ შეეხებიან. ხანჯლის ხსენებაზე რუსებს გიორგი მე-12-ის ცოლი, მარიამ დედოფალი და განგმირული გენერალი ლაზარევი გაახსენდათ... დროებით თავი დაანებეს (მარიამმა ხომ თავად აიღო თავზე ლაზარევის მკვლელობა, თუმც გენერალი დედოფლის შეურაცყოფისთვის ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა მოკლა). ალექსანდრეს ახალგაზრდა ცოლმა, გამუდმებული მუქარის მიუხედავად, მოახერხა ჯერ ერევანში, მამასთან, შემდეგ თბილისში დარჩენა. ერთი სუსტი ახალგაზრდა ქალი ამხელა იმპერიის ნებას წინ მუდმივად ვერ აღუდგებოდა. ემუქრებოდნენ, რომ შვილს წაართმევდნენ და მხოლოდ პატარას გაგზავნიდნენ პეტერბურგს. 1834 წელს დედა-შვილი იძულებით წაიყვანეს რუსეთში. იქ ერეკლე სამხედრო სასწავლებელში შეიყვანეს, შემდეგ სასახლის პაჟებში ჩარიცხეს, ორდენებით დახუნძლეს. უკან ბრუნდება ვორონცოვის დროში. ერეკლე ვერ გაარუ-

სეს, ფაქტია. მისი რუსეთში გამოზრდა, შამილის შვილივით, მამის მორალური განადგურებისთვის სჭირდებოდათ. არ გამოვიდა ასე. მართალია, ის თბილისის ნაცვლად ტიფლისში დაბრუნდა, ბაგრატიონის ნაცვლად გრუზინსკად უხმობდნენ, არც ომი გამოუცხადებია რუსთათვის კალმით ან სიტყვით მაინც, მაგრამ იმ თავისი პროტესტის გამომხატველი თეთრი ჩოხა-ახალუხით, თუნდაც თავისი დუმილით და, რაც მთავარია, თავისი გარეგნობით, ზედმიწევნით რომ ჰგავდა თავის პაპას, მეფე ერეკლეს, ქართველებში მაინც მოწიწებასა და აღტაცებას ჰბადებდა (სხვათა შორის, პაპას ძალ-ღონითაც დაემსგავსა. „ვერცხლის მანეთს ხელში მოპკეცდა და რკინის ჯოხს გრეხდაო" – წერს ილია).

ორი სკოლაც დაუარსებია, რომელსაც დიდხანს ერეკლეს სკოლას ეძახდნენ... (აბანოებს აქ ნულარ გავიხსენებთ). და აი, ამ კაცის ცხედარს სვეტიცხოველის ტაძარში მიასვენებენ. მაისის პირველია. დაიკეტა ყველა სავაჭრო დახლი და საქულბაქო. აურაცხელი ხალხი მისდევს კუბოს. სასახლეს ოთხივ მხრიდან საქართველოს მეფეთა ღერბი ამკობს. სპეციალურმა მატარებელმა მცხეთაში ჩაიყვანა სამი ათას კაცზე მეტი. ხალხი საქართველოს ყველა კუთხიდან დაიძრა.

გაჭრილ საფლავთან დგანან ილია, გრიგოლ ორბელიანი, დავით ჭავჭავაძე – შვილი ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ერეკლე ბატონიშვილი ხომ დავითის სიძე იყო, მისი შვილის, თამარის მეუღლე. აქ არიან დადიანები, მუხრანსკები, სხვანი და სხვანი. საქართველომ ის დამარხა, როგორც ტახტის მემკვიდრე. გვერდით დაუსვენა პაპას, ერეკლე მეფეს და ბიძას, გიორგი მეთორმეტეს. ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალია მისი გმირი დედა, მოხუცებული, მგლოვიარე მარიამი. ერეკლე ბატონიშვილს დარჩა ორი პატარა ქალიშვილი. „მამრობითი სქესი ალექსანდრე ბატონიშვილისა მოისპო. სხვა ბატონიშვილები ერეკლეს გარდა არავინა სცხოვრობს ამჟამად თბილისში, ისინი მოსკოესა და პეტერბურგში სახლობენ" (ილია).

●

ცხოვრება კი თავისი პროზით მიდის. უკან დაბრუნებული ილია სამსახურში შებრუნდება. იმავე 1 მაისს სათავადაზნაურო ბანკის კრებაა დანიშნული. ილიას თავმჯდომარეობის ვადა გაუვიდა. ახალი უნდა აირჩიონ. ამას ვადა გასელიაო და ამ დროს იცის ხოლმე წერილ-

ფეხობამ თავის ნამოყოფა. ვილაც ტატიშვილმა უჩივლა, ბიუროკრატობაში დასდო ბრალი. კატკოვს უნდა ეომო, თუ ამ ვილაც ინტრიგანს? დღეც როგორი იყო...

ერეკლე მეფის (რომელიც ისე უყვარდა ილიას, კაბინეტიდან მისი სურათი არ მოუცილებია არასოდეს) შვილიშვილი უნდა დაიტიროს, თუ ამ მომჩივანთან იმართლოს თავი. ეს მშვიდი ილიაც გაგულისდა და მთელი არსენალი დააყარა ამ საწყალს კრებაზე: – „ბ. ჭავჭავაძემ დაარღვია საბუთებით ყოველგვარი ცილის წამება, რომელსაც იმას უგონებდნენ... ბოლოს საქმე იქამდინ მიიყვანა, რომ საზოგადოებამ საერთო ტაშის ცემით ერთხმად აღიარა ის მომავალი წლებისათვის ბანკის მმართველად". არჩევაც არის და არჩევაც, უკენჭოდ აირჩიეს, ყველა ერთხმად ორივე ხელს სნევდა, სხვა თავმჯდომარე არ გვინდაო. რამდენიმე დღეში მის არჩევას მოინდომებენ გუბერნიის მარშლის თანამდებობაზე, მაგრამ ილია უარს იტყვის, ერთი მიზეზი ეგებ ისიც იყო, რომ გუბერნიის მარშლად მსახურობდა მისი სტუდენტობისდროინდელი მეგობარი და ღირსეული პიროვნება. იგი გახლდათ ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი, რომელთანაც ილიას მტკიცე მეგობრობა არ გაუწყვეტია სტუდენტობის შემდეგაც. მაღალაშვილმა კარგი პასუხი გასცა კატკოვს. სხვათა შორის, სწორედ ამ ლ. მაღალაშვილს ეძღვნება ილიას სტუდენტობისდროინდელი ლექსი „მტკვრის პირას". ერთი სიტყვით, ახლო მეგობრის კონკურენტობა ილიამ არ ინდომა.

სამაგიეროდ, ცოტა ხანში, 15 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში თავმჯდომარედ ირჩევენ კაცს, რომელიც არ არის მისი მეგობარი. ირჩევენ ივანე მუხრანსკის... მაგრამ ჯანი გავარდეს, მდიდარი ხომ არის და იქნებ საზოგადო საქმეს შეეწიოსო, და აირჩიეს. მით უფრო, ივანეს ისეთი მეცენატი მეუღლე ჰყავს, ცალკე იმას ვერ გაექცევა, ცალკე ილიას, რომელიც ამხანაგად (მოადგილედ) უზის ამ საზოგადოებაში. ივანეს მეუღლე დადიანის ქალი იყო. გახსოვთ, ალბათ, ადრე ვწერდი, ივანე მუხრანსკის ეკატერინე ჭავჭავაძე ჰყავდა დანიშნული, მაგრამ ასე კი მოხდა, ეკატერინე დავით დადიანს გაჰყვა ცოლად. დავით დადიანის და კი – ივანე მუხრანსკის. ასე რომ, ყოფილი რაყიფნი, სიძე-ცოლისძმა გახდნენ...

ივნისში ილიამ თავისი „ივერია" გამოუშვა ტრადიციული „შინაური მიმოხილვით", ივლისში კი სასამართლოში დაიბარეს. სასამართლოს უწყებაში ასე ეწერა: „ივლისის 6 – თბილისი, სასამარ-

თლო პალატაში განსახილველად დანიშნულია „დროების“ რედაქტორის ს. მესხის, ყოფილი რედაქტორის ი. ჭავჭავაძის (იგულისხმება „დროების“ თანარედაქტორობის პერიოდი) და კორესპონდენციის ავტორის, ივ. ქ. აბაშიძის საქმე ბ. სერჟპუტოვსკის საჩივრის გამო“. საქმის განხილვა ამჯერადაც გადაიდო. ამჯერადაცო, იმის გამო ვამბობ, რომ ეს შეჩვენებული ვიღაც სერჟპუტოვსკი მთელი წელია გადაკიდებული იყო თავისი საჩივრებით. იანვარში ჯერ კიდევ სერგეი მესხი სწერს აკაკი წერეთელს, დამეხმარე ეს მომჩივანი მოვიშორო თავიდან, მაგის გამამტყუნებელი საბუთები მომაძებნინეო.

ილიაც არის ჩემთან სამართალში მიცემული და თუ ადვოკატად დაგვიდგები, მთლად უკეთესი იქნებაო. როგორც ჩანს, აკაკი იცნობდა ამ სერჟპუტოვსკის. ბედი არ გინდა? იჩივლა კაცმა და ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს. 28 ოქტომბერს სასამართლო შემდგარა. თბილისის სასამართლო პალატამ, საჩივრის გამო, რედაქტორი ს. მესხი 10 მანეთით დააჯარიმა. ილია – 25 მანეთით, კორესპონდენციის ავტორს, ი. აბაშიძეს ერთი თვით პატიმრობა გადაუწყვიტა. და რაც მთავარია, ამ საჩივრის წყალობით, ეს შეჩვენებული, რომლის გვარს, მკითხველო, ალბათ ვერასოდეს გაიგონებდით, ისტორიას გამოეკერა...

ამ წელს აკაკი თავის სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავს ზეიმობს. ამიტომ კუთხიდან–კუთხეში დადის, ლექციებს კითხულობს ხან „ვეფხისტყაოსანზე“, ხან ქართველ ქალზე. მერე კი დიდხანს იქიდან აღარ უშვებენ პოეტს... კახეთშიც ჩავიდა, ილიას მშობლიურ სოფელ ყვარელშიც დაპატიჟეს. იქ მასპინძელს, იგორ ჭავჭავაძეს, ისე გამოუდვია თავი, ისე გადაყოლია აკაკის, რომ მისი წასვლის შემდეგ 10 დესეტინა მიწა გაუყიდია ხარჯების დასაფარად.

თელაველებმა გრანდიოზული შეხვედრა მოუწყეს. და აქ აკაკი ილიას მშობელ კუთხეში, ილიას სადღეგრძელოში იტყვის: კახეთმა ყველაზე გამორჩეული შვილი მისცა საქართველოს, ჩვენი თავკაცი და წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე არისო. არც ილიას პასუხი დააყოვნებს, „შინაურ მიმოხილვაში“ მთელ თავს მიუძღვნის აკაკის მოგზაურობას, მისი მოღვაწეობის 25 წლისთავს და პირველად თავის წერილს სადღეგრძელოთი დაასრულებს: „გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც (ეს აკაკის სადღეგრძელოს შეხმიანებაა, – ნ.გ.), რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუ-

დამო სახსოვრად და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურსა და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისთვის".

●

ეს წელი კატკოვის ხსენებით დაიწყო და მარქსის ხსენებით დამთავრდა. დიახ, დეკემბრის „შინაურ მიმოხილვაში" ილია პირველად ახსენებს კარლ მარქსს. აბა, მაშინ რას იფიქრებდა, რომ ამ მარქსის სახელით თვითონაც ცხოვრებას მოუწამლავდნენ და მის სალოცავ სამშობლოსაც...

1883

„განდეგილის" გამოქვეყნება და კეზელის კრიტიკა. თაობათა განსაზღვრება. პირველი უკმაყოფილება ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის. გრიგოლ ორბელიანის, სერგეი მესხის, ილიას დის-ნინოს გარდაცვალება. ნიკო ნიკოლაძის მეორე ქორწინება.

გრიგოლ ორბელიანი

„მამობა და შვილობა თავად გასარჩევი საქმეა"...

ილია

საკუთარ ნაწარმოებთა ავსა და კარგს ყველაზე უკეთ ავტორი გრძნობს. მასზე კარგად ვინ იცის, სად გაიხარჯა ბოლომდე და სად აჩქარდა. ტყუილია, დედამ შვილის ნაკლი არ იცისო. მასზე უკეთ, აბა, ვის ეცოდინება, მაგრამ სხვა საკითხია, დიდი სიყვარული წვრილმან ნაკლს რომ ფარავს.

ავტორი, თუ ის ჭეშმარიტი შემოქმედია, გამახვილებული ყნოსვით გრძნობს ვნებათა ფორიაქი რამდენად შესაბამისად, ან ჰაიჰარად გადაიტანა თეთრ ფურცელზე.

ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო, წინ ბიჯი ვერ წავდგიო, -აი, ასე წერდა ილია, ტანჯვით და პასუხისმგებლობით. უნიჭო ძნელად თუ შეფერხდება, მიდის და მიერეკება...

ილიას განდეგილთა ცხოვრება ბავშვობიდან აფორიაქებდა. ყმაწვილობაში ბერად შედგომაც კი განუზრახავს. მერე ამ თემაზე გეორგ ებერსის რომანიც თარგმნა. ერთი სიტყვით, პოემა „განდეგილი" ორ თვეში (1882 წლის დეკემბერი – 1883 წლის იანვარი) დაწერა, მაგრამ ორ თვეში ქაღალდზე გადაიტანა, თორემ მთელი ცხოვრება ფიქრობდა. „განდეგილი" გვირგვინია ილიას პოეზიისა, ეს ყველამ იმთავითვე იგრძნო. როგორც სჩვეოდა, ჯერ გემოვნებიანი ხალხი შეკრიბა, პოემა წაუკითხა, მათი აზრი მოისმინა და მერეღა გამოაქვეყნა.

თებერვლის დასაწყისში, დავით სარაჯიშვილის ბინაში, ოციოდე კაცს მოუყარა თავი. ილია მათ „განდეგილს" უკითხავს. კი, იყო წვრილმანი შენიშვნები, მაგრამ ყველამ იგრძნო, მათ თვალწინ ქართული ლიტერატურის ახალი, უკვდავი განძი დაიბადა. პუბლიკა აღფრთოვანებულია, ერთხმად ულოცავენ ავტორს ამ ბრწყინვალე პოემას. ბუნებრივია, ილია დიდად ნასიამოვნებია, მან ხომ ყველაზე უკეთ იცის ამ ახლადდაბადებული პოემის ფასი.

და აი, სულ მალე პრესითაც გამოჩნდა პირველი შეფასება. შეფასება კი ისეთი თავხედური იყო, შემფასებლისადმი გული რომ

აღარ მოუბრუნდებოდა კაცს. 13 მარტს სალიტერატურო საღამო გამართულა. ამ საღამოზე მსახიობ კოტე ყიფიანს, დიმიტრის ვაუს ნაუკითხავს „განდეგილი". ნინო ორბელიანსა და ნოდარ ჯორჯაძეს კი სცენა გაუთამაშებიათ „კაცია ადამიანიდან". იყო სხვა ნარმოდგენებიც, მათ შორის ალექსანდრე ყაზბეგის ცეცხლოვანი ლეკური ცეკვა (როგორც ცნობილია, ალ. ყაზბეგს ძალიან უყვარდა სცენა და მსახიობობა სურდა, მაგრამ ამ მხრივ მხოლოდ ლეკურის ცეკვაში ვარგოდა)...

აი, ამ სალიტერატურო საღამოს მიმოხილვა გააკეთა იმჟამად 28-29 წლის კორესპონდენტმა დავით კეზელმა და დაწერა. პირველი წინადადება კი სწორი იყო – „ილია ჭავჭავაძე, ყველამ იცით, ბურჯია, დედაბოძი ჩვენი ლიტერატურისა. ის, ესეც კარგად ვიცით, თავის მკითხველებს არ ანებივრებს და კარგადაც ამარხულებს; ამიტომაც იმის ერთი დამთქნარებაც ჩოჩქოლს აღძრავს ხოლმე საზოგადოებაში"

– მაგრამო... ეს დავით კეზელი, იგივე სოსლანი, იგივე ზოილი, იგივე არაგველი, აღარც ილიას ზოგავს და აღარც თავის თავს, მოკლედ მოჭრის და წირვას გამოუყვანს ახალ პოემას: – „განდეგილი", ჩემის აზრით, არის ყველაზე უსუსტესი, რაც კი ბატონ ჭავჭავაძის კალმიდან გამოსულა; უსუსტესია მეთქი, ვიმეორებ, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით".

– „განდეგილით" დაგვიმტკიცა, რომ იმას ჯერ კიდევ მაღალი დანიშნულება ვერ გაუკვლევია". და ა.შ. და ა.შ.

ილია, საზოგადოდ, კრიტიკას ღებულობდა ისე, როგორც კეთილშობილ და დიდი ნიჭის ხალხს სჩვევია. უბოროტოდ და იუმორით. გახსოვთ, ალბათ, წინა წერილებიდან, როგორ იცინოდა, როცა ორბელიანის ფრაზას იხსენებდა: – „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი"-ო.

„სიმართლე უნდა ითქვას, – იგონებს მისი თანამშრომელი ჟურული, – პირადი წყენა თვითონაც არ იცოდა, როდესაც მას აკრიტიკებდნენ. ხშირად გულწრფელად მოსწონებია მოპირდაპირის ენა და თვით მისი, ილიას სასაცილოდ აგდებაც; ეს ძალიან ყოჩაღად გადმომკრაო! არა ერთხელ უთქვამს ილიას მოწინააღმდეგის სიტყვის შესახებ". ერთხელ, ერთ საბანკო კრებაზე გამოსულა კახელი მემამულე კიკო ჩოლოყაშვილი, ნაციმბირლად წოდებული. ილიასთან კარგი პირადი ურთიერთობა ჰქონია, მაგრამ მუდამ ოპოზიციაში ედგა. ჩოლოყაშვილს ძალიან გაულაღებია, იუმო-

რით სავსე სიტყვა უთქვამს, ილია როგორც „დიდი ფინანსისტი", გვარიანად გაუკენწლავს და ბოლოს სიტყვა ასე დაუმთავრებია: – „წარსულ ხარჯებს ვინ სჩივის, მომავლისგან მაინც გვიხსნას ჩვენმა დიდმა ფინანსიტმა ილიამო. აბა, შეხედეთ ამ თეატრის ჭერსაო – სათეატრო დარბაზში გაჭედილმა ხალხმა და თვით ილიამაც თვალები ზევით აღაპყრეს – აგერ შუაში ხომ ხედავთ მთელ მსოფლიოში ცნობილი ხუთი გენიოსის სურათებს, ირგვლივ ჩამომწკრივებულთა. ამშენებლებს შუაში თავისუფლად დაუტოვებიათ ერთი ცარიელი ადგილი და იქ ჯერ არავინ მიუხატავთ. რას უნდა ნიშნავდეს ეს, ბატონებო, თუ არა იმას, რომ მალე იქ დახატავენ მეექვსე გენიოსის სურათს და ეს გენიოსი, რაღა თქმა უნდა, თავად ილია ჭავჭავაძე იქნება"-ო. ასტყდა ამ სიტყვაზე ზალაში ერთი ხალისიანი ხარხარ-სიცილი. ილია იცინოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისიც კვირვობდა ამ ამბავსა. ბოლოს სცენაზე გამოვიდა თეატრის მშენებელი და ახსნა, რომ მაგ ადგილას ელექტრონის ლუსტრა უნდა ჩამოვკიდოთო და ამით დაამშვიდა ჩოლოყაშვილი და სხვებიც".

კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება. გულღრძოდ არავის ილია არ მოეკიდებოდა, არც მის კრიტიკოსებს, მაგრამ ფშუტე თავთავის ყელყელაობა და ძმაბიჭურად მხარზე ხელის ჩამორტყმა კი ძალიან აბრაზებდა. აბა, ახლა ეს ახალგაზრდა დავით „სოსლანი" დავით სოსლანივით კი არა, გიორგი რუსივით უნამუსოდ არ იქცევა? პოემა არ მოეწონა, თითქოს ის იყოს პოეზიის მეტრი, ჭკუასაც არიგებს... „უსუსტესი" ნაწარმოების ავტორს. ორთაჭალის რესტორანში ილია მეგობრებთან ერთად სავახშმოდ იჯდა. მხიარულად ოხუნჯობენ. სიმღერა არ იცოდა, მაგრამ არც იშლიდა, მრავალჟამიერის დროს ამაოდ ცდილობდა თავის ხმაც შეეწყო მომღერლებისთვის. მეორე ოთახში გაჭენებული ქეიფი იყო. თანამეინახეთ რა გაიგეს ილიას იქ ყოფნა, დეპუტაცია შემოგზავნეს და ილიას სადღეგრძელო შესვეს. როგორც წესია, ახლა აქედან იქით გადაიპატიჟეს რამდენიმე წარმომადგენელი. უკან რომ დაბრუნდნენ, ილიას გადასცეს იმათი თხოვნა, ორივე კომპანია შეერთებულიყო. ილიამ რომ გაიგო დავით სოსლანის იმ ოთახში ყოფნა, კატეგორიულად განაცხადა, რომ მასთან პურს არ გატეხდა და კატეგორიულად უარი თქვა ამ სუფრების გაერთიანებაზე...

კეზელი ანუ სოსლანი მეტწილად რუსულ და სომხურ გაზეთებში თანამშრომლობდა და იქიდან ქართულ საზოგადო საქმიანობას და ქართველ მოღვაწეთ ზემოდან დაჰყურებდა, დასცინოდა. მა-

გასთან პურს არ გავტეხო – ილიამ. მე რა შუაში ვარ, ჩემს პრინციპულობას არ მპატიობენ, რა ჩემი ბრალია, მაგან უსუსტესი პოემა დაწერაო – თავის მხრივ ამფსონებს არწმუნებდა კეზელი.

ეჰ, ვინ იცის, რამდენი ღირსეული ადამიანის სახელს ატმასნებია და რამდენი გაუმწარებია ასეთ „პრინციპულ" წვრილფეხობას.

●

მარტის თვეში გაზეთ „დროების" რედაქტორი სერგეი მესხი ძლიერ ავად შეიქნა და „დროებიდან" გაცილება მოუწყეს. სერგეი მესხი ყველას უყვარდა. გრიგოლ ორბელიანი კი ამბობდა: – „ვერ ისწავლა მესხიმ წერა, ვერა, ვერა"-ო. მაგრამ ეს მაშინ იყო, როცა მამები და შვილები დაერივნენ ერთმანეთს და „მაღალი შტილის" მიმდევრებს ამათი „დაბალი შტილი" არ მოსწონდათ. სერგეი მესხს „დროება" 1869 წელს ჩააბარეს გიორგი წერეთელმა (გაზეთის პირველმა რედაქტორმა) და ნიკო ნიკოლაძემ. მას შემდეგ მთელი 14 წელიწადი სტამბიდან არ გამოსულა. მით უფრო, გაზეთის ყოველდღიურ გამოცემად გადაკეთების შემდეგ. ვისაც გუტენბერგის გამოგონებულ მანქანასთან უმუშავია, მან იცის, რა არის სტამბის სუნი და მტვერი. ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა მე-19 საუკუნეში. ეს ვერცხლისწყალივით მოძრავი, ხალისიანი ბუნების, ნიჭიერი კაცი და ჭეშმარიტი მამულიშვილი მძიმედ დაავადდა. გაზეთსაც ვალი აქვს, 400 თუმანი და ავადმყოფი რედაქტორიც შესანახი და მოსავლელია.

ერთი საქმეც ილიამ იკისრა და მეორეც. მაგრამ დღემდე გამოუცნობი შეცდომაც დაუშვა. ამ დროს ივერიის თანარედაქტორი ივანე მაჩაბელია. ბანკშიც ის მუშაობს. იქაც და აქაც დღე და ღამეს ასწორებს. საზღვარგარეთიდან დაბრუნებისთანავე ილიამ ის სკოლების ზედამხედველად დაანიშნინა. თავისი ძალით გაიტანა, ვინაიდან ამ თანამდებობაზე სხვებს პედაგოგი ჭიჭინაძე უნდოდათ, რომელიც პედაგოგიკაში სწორედაც გამოცდილი და ღირსეული კანდიდატურა იყო. ნიჭიერი და დიდი იმედის მომცემი ვანო, თავის დროზე თანაავტორი ილიასი, ძმა ილიას უახლოესი მეგობრის, ვასო მაჩაბლისა და, რაც მთავარია, გამორჩეული შემოქმედი, ზედმიწევნით მცოდნე რუსულის, ფრანგულის, ინგლისურის, გერმანულის, იტალიურის ენებისა ილიამ მფარველობის ქვეშ აიყვანა. სკოლე-

ბის ზედამხედველობის შემდეგ ივერიის თანარედაქტორი გახადა და ბანკშიც ვანოს მოლარის ადგილი ჰქონდა. ამ დროისათვის, 1883 წლისათვის ივანე მაჩაბელი უკვე დამოუკიდებელი ფიგურაა. მან თავისი შრომით ერთბაშად გააცნო და შეაყვარა ყველას თავი. უცხოელები, განსაკუთრებით ლაისტი და ოლივერ უორდროპი, რომლებიც სწორედ ამ პერიოდში ჩამოდიან საქართველოში, გასაგები მიზეზების გამო, ადვილად უახლოვდებიან მაჩაბელს. მაჩაბელი უკვე ყველგან ილიასთან ერთად მოიხსენიება. ილიაც, როგორც უფროსი მეგობარი, მასზე ზრუნავდა. ცხადია, დროების რედაქტორადაც ვანოს დანიშვნა გადაწყვიტა, მაგრამ რამდენიმე დღეში ის დღემდე გამოუცნობ ნაბიჯს გადადგამს – დროების გადაცემას მოინდომებს საყოველთაოდ ცნობილ მაჩაბლის ნაცვლად, საყოველთაოდ უცნობ თანამშრომელზე, ვინმე ნ. ქანანოვზე.

ყველანი ხელებს შლიან, ვინ არის ეს ქანანოვი, რატომ, რისთვის?

აქ მაჩაბელიც აღშფოთდა. უცებ სპონსორიც გაიჩინა, ქართველიშვილი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" უნიკალურ გამოცემას დააფინანსებს, „დროების" ვალებსაც გადაიხდის და მაჩაბელი „დროების" რედაქტორიც გახდება. ის კი არა, ილიას ნების წინაღმდეგ, ბანკის დირექტორადაც აირჩევენ.

ურთიერთუკმაყოფილების ამ ბზარს ნაპრალი მაშინ არ მოჰყოლია. ერთიც გრძნობს და მეორეც, სამართალმა პური ჭამა. აბა, ვინ იყო ეს ქანანოვი. წლების შემდეგ ბაქოში უნახავთ, სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველად, ქართულის აღარაფერი ეცხო, ქართულსაც ძლივს ლაპარაკობდაო.

რა უნდოდა მას მაჩაბლის მეტოქედ, მაგრამ ასეც ხდება. ცხოვრებამაც იცის სიურპრიზები და დიდკაცებმაც...

ფულიან კაცს მიზიდულობის ძალა აქვს. თუმც ილიას ამ კაცის ფული ისევ საზოგადო საქმისთვის სჭირდებოდა და არა საკუთრივ თავისთვის. სხვათა შორის ეს ქანანოვი აკაკისაც შეუამხანაგებია გაზეთის გამოსაცემად, მაგრამ მხოლოდ განცხადება შემოგვრჩა, გაზეთი კი ვერ გამოსცეს.

●

სერგეი მესხის გაცილება ვახსენეთ. სუფრაზე პეტრე უმიკაშვილს უთქვამს, მესხი ყველას გარშემო შემოკრებას ცდილობდაო. იგი გამაერთიანებელი ფიგურა იყო და, საერთოდ, დროა ძველი და

ახალი თაობის ცნება დავივიწყოთ, ეს ტერმინები ხელოვნურია და ასეთი ბრძოლა არც არსებულაო. ამ სიტყვას საინტერესო გაგრძელება მოჰყვა. ნიკო ხიზანიშვილმა (ურბნელი) არ დააყოვნა და მაისში გამოაქვეყნა პასუხი „ძველი და ახალი თაობა („დროება", 1883 წლის N94).

ამ წერილში გატარებულია აზრი, რომ ძველი და ახალი თაობა ნამდვილად არსებობს. რომ თითოეულ თაობას თავისი დროშა, თავისი იდეები აქვს. რომ მათი შეერთება და ერთად დგომა სასარგებლო კი არა, მავნებელია და ბაბილონის გოდოლის მსგავსი სურათის წინაპირობაა, რომ გაყოფა ვნებს მექანიკურ ძალებს. მწერლობა კი სწორედ დას-დასებად უნდა იყოს გაყოფილი და აზრის წინსვლას სწორედ ეს დაყოფა უწყობს ხელს დაბოლოს, „შესანიშნავია პ.უმიკაშვილის პოლიციური შეხედულება მწერლობაზე" – დაცინვით ამთავრებს წერილს ავტორი.

საქმე ის გახლავთ, რომ პეტრე უმიკაშვილიცა და ნიკო ხიზანიშვილიც ერთსა და იმავეს ამბობენ, ოღონდ, გაუგებრობას მათ შორის ქმნის იმ არსებითის ვერ დანახვა, რაც დღემდე უხერხულობაში აგდებს საზოგადოებას. მაგალითად, ვიღაცას დღეს შეუძლია საქვეყნოდ და ამაყად სთქვას, 40 წელს გადაცილებული ხეც კი მოსაჭრელიაო და მას ბრიყვულად ჰგონია, რომ ამით ახალი და პროგრესული დასის კაცად წარმოაჩინა თავი.

ეს საკითხი არ არის უბრალო რამ. მხოლოდ ლიტერატურულ ბრძოლებთან არ არის დაკავშირებული ძველი და ახალი თაობის ხსენება. საკითხი პირდაპირ უკავშირდება იმას, არის თუ არა ერი ცივილიზებული. ამიტომ მიუბრუნდა ამ თემას 80-იან წლებში ილია ჭავჭავაძე. ქვეშეცნეულად ამიტომ კამათობენ უმიკაშვილი და ხიზანიშვილიც. ოღონდ, როგორც ვთქვით, ერთსა და იმავეს ამბობენ, მხოლოდ ერთმანეთის არ ესმით, რადგან ვერ ხედავენ იმ არსებითს, რაც ილიამ აღწერა. უმიკაშვილი ამბობს, მესხი ცდილობდა, თაობის განურჩევლად ყველასათვის თავი მოეყარაო.

ხიზანიშვილი შენიშნავს: „ყველანი ერთ ტაფაში ვერ მოთავსდებიან და თუნდაც რომ მოთავსდნენ, საშინელი არეულ-დარეულობა მოხდება"-ო.

ახლა ილიას ნააზრევს გავეცნოთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

„მამობა და შვილობა" თავადაც გასარჩევი საქმეა. ამისთანა გარეგანად სანიშნავმა სახელწოდებამ ბევრს წყალ-წყალა ჭკუას გზა

და კვალი დაუბნია რუსეთში და რუსეთის ბაძით ჩვენშიაც. ერთის სიბრძნე და მეორის სიყმაწვილე სამყოფი იყო ზოგიერთა ცრუპენტელა კაცისათვის, რომ ერთი ერთს ბანაკში მოექცია და მეორე-მეორეში, იმისდა მიუხედავად, რა აზრების მატარებელნი არიან ერთნი და მეორენი". ერთი სიტყვით, ბიოლოგიური ტოლ-სწორობა ძველი და ახალი თაობის ცნებების საფუძვლად რომ არ გამოდგება, ამას ადრევე ვწერდით. მაშ, რა არის საფუძველი, რის გამოც თაობები ფორმირდება? საფუძველს ქმნის ცხოვრების ბუნებრივი წინსვლა. ის, რაც გუშინ ახალი იყო, დღეს ძველდება და ის, რაც დღეს ახალია, ძველი იოლად ვერ იღებს. ამ საფუძველზე გვევლინებიან ლიბერალები და კონსერვატორები, რომელნიც ერთმანეთთან სრულიად ჰარმონიულად თანაარსებობენ ცივილიზებულ ქვეყნებში. უფრო მეტიც, არის საერთო იდეები, რისთვისაც თავს სწირავს როგორც ლიბერალი, ისე კონსერვატორი. ეს მოვლენა რუსეთს არ ღირსებია. მე-19 საუკუნეში იქ ერთმანეთს ებრძოდნენ ვითომ ლიბერალები და რეტროგრადები. ეს ცრუ ლიბერალები იქამდე მივიდნენ, მთელ პუშკინს ერთი ჩექმა გვირჩევნიაო, წერდნენ. რეტროგრადებს კი ლამის ჩვილის ტირილიც არ მოსწონდათ, ახალი მოდისო...

ილია ჩვენში თაობათა შემაერთებლად და გამყოფადაც, ბრძოლის საგნად სულ სხვა რამეს აღიარებს და ეს სულ სხვა რამე, მისი სიტყვით, არის „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. ამისთვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და ამით თავი მოიტანოს".

„ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების (გულისხმობს „დაკარგული ვინაობის აღდგენას") მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში.

ნურავის ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე, ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი, სხვა ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე

საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მომავალში თავისით თუ სხვისით აღმოსნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შეეურჩიოთ, ქვეშ დავაყენოთ. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისგან უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ სადმე სხვად, – მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ. აი, ჭეშმარიტი ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში.

ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენს დღევანდელის დღის მღადადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდათ „მამა" დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი", აქ სახელწოდება არაფერ შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცით, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის".

ვგონებ, ნათელია, რას გულისხმობდა უმიკაშვილი, მესხს, რომელიც ილიას იდეებს მისდევს, ყველას შემოკრება სურდაო. ყველაში გულისხმობდა იმათ, ვისაც ჩვენი დაკარგული ვინაობის აღდგენა სურდა.

ვგონებ, ნათელია, რამ აღაშფოთა ხიზანიშვილი, ყველას შემოკრება როგორ შეიძლებაო. ყველაში ეს გულისხმობს იმათაც, ვინც ჩვენი დაკარგული ვინაობის აღდგენის მტერია. ანუ, სიტყვა ყველა, ყველა ჩვენიანის მნიშვნელობით უნდა გაეგო ხიზანიშვილს და პოლემიკაც არ შედგებოდა.

ილიას ვრცელი ამონაწერი ნათელს ჰფენს, თუ რატომ დაიტირეს იმ დღეებში ასე გულწრფელად ილიამ და სხვა ახალთაობელებმა მამათა თაობის ბელადი გრიგოლ ორბელიანი.

●

ვისაც ჩვენი დაკარგული ვინაობის აღდგენა უნდა, ყველა ჩვენიაო. როცა ეს ლოზუნგი დააწერა თავის დროშაზე, ილია ყველას ხელს უწვდის, ყველას, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ყოფილ მონინააღმდეგეს თუ ახლადგამოჩეკილ კრიტიკოსს. საერთო საქმისთვის, მამულის აღდგენისთვის ვის შესტკივა გული და ვის არა – ეს არის მიჯნა, რაც განსაზღვრავს ადამიანებთან ურთიერთობას.

მოგვიანებით ვნახავთ, ცხარე ბრძოლების შემდეგ, იგი კვლავ არ მალავს აღფრთოვანებას ივანე მაჩაბლის ბრწყინვალე თარგმანების გამო, რადგან ყველას, ვისაც საქართველო უყვარს, ილია, მინიმუმ, პატივს სცემს.

გრიგოლ ორბელიანიც, მისი დიდი ნიჭის გამო, ყოველთვის პატივისცემას აღძრავდა ილიაში, მაგრამ, სიბერის ჟამს ეს კაცი მთლად ამათ ბანაკში გადმოვიდა. ბანკის საქმე იყო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სიძველეთა მოძიება და დაცვა, ძველი წიგნების გამოცემა, ყველაფერში გრიგოლი ამათ გვერდით დგას. სხეულითაც და სულითაც ჯანსაღია. თეატრია, ლიტერატურული საღამო, ქორწილი თუ დაკრძალვა, ეს 80 წლის კაცი ყველგან არის თავისი მომხიბლავი ღიმილით და გაბადრული სახით. ყველას უყვარდა დიდიან-პატარიანად. მთავრობას ხათრი ჰქონდა მისი იმიტომ, რომ გარდა წარსული დიდებისა, ახლაც სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო. თავადაზნაურობას იმიტომ, რომ ყველას მისი თანადგომა დასჭირვებია და ისიც არავის ამადლიდა თავს. ბოლოს და ბოლოს ოთხჯერ კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა და რამდენ სათხოვარს გაუვლია მის ხელში. უბრალო ხალხს უყვარდა იმის გამო, რომ დიდკაცობის მიუხედავად, ხელიდან კალამი არ გაუგდია და ეს ინფანტერიის გენერალი თავისი სიმღერებად ქცეული ლექსებით მათ მარაქაში ერია, რასაც დიდკაცები ხშირად არ კადრულობდნენ ხოლმე. სამხედრო ელიტა კი მისით აღფრთოვანებული იყო, როგორც მხედარი ბელადის წინაშე, რომელმაც ორივე ძმა, ილიაც და ზაქარიაც, ბრძოლის ველზე დაკარგა, ხოლო თავად, 1819 წლიდან 1857 წლამდე, ხმალი არ გაუგდია ხელიდან.

აი, ეს კაცი ერთ თვეში ტიფმა დაადნო და გაათავა. 1883 წლის 26 მარტს უნდა მიაბარონ მიწას. დამკრძალავი კომისიის წევრი ილია ჭავჭავაძეც არის. მოხუცს კუმისში დაკრძალვა დაუბარებია. კომისიამ ქაშვეთის ეკლესია გადაწყვიტა. ასეთი დაკრძალვა მე-19 საუკუნეში მანამდე არც ერთ ქართველს არ ღირსებია. მთავრობა ცდილობს, თავი გამოიჩინოს: – გენერალი ხომ მათი მეგობარი იყო. დონდუკოვ-კორსაკოვი, ახლა კავკასიის მთავარმართებელი, გრიგოლს იმ დროიდან იცნობს, როცა თავად ვორონცოვის ახალგაზრდა ადიუტანტი იყო, ორბელიანი კი სახელგანთქმული გენერალი. აქტიურობს ლორის მელიქოვიც, რუსეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, ასევე, გრიგოლის მეგობარი და სხვანი – გენერლები ძველი, თუ ახალი ომებისა. ესეც არ იყოს, მთავრობას სურს ხალხს დაანახოს, რა პატივით აცილებს რუსეთის ერთგულ ქართველ გენერალს. თავის მხრივ, ილია ცდილობს, ეს დაკრძალვა კიდევ ერთხელ ქართული სულის გამოღვიძების დღედ აქციოს. გრიგოლმა ხომ სიბერეში, თითქოსდა იმ ორდენებით დახუნძლუ-

ლი შვიდი ბალიშის საპირწონედ, რომელიც ცხედრის წინ მიჰქონდათ, დაწერა:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით".

ერთი სიტყვით, ანჩისხატის ეკლესიიდან ქაშვეთის ეკლესიამდე ნემსი არ ჩავარდება. გამოყვანილია ჯარიც გენერლის საპატივსაცემოდ და გამოყვანილია მოწაფეებიც, პოეტის საპატივსაცემოდ.

ხალხი ურიცხვი, გვირგვინები უამრავი. პროცესიას წინ მიუძღვიან ერთად, გვირგვინით ხელში, ილია და ივანე მაჩაბელი...

საფლავზე დიდებულ სიტყვას ამბობს ილია. ქართველიო, „თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდეც, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები"...

აკაკის სიტყვიდან ერთ ფრაზას ამოვწერთ, რომელიც იმავე აზრს უსვამს ხაზს, რაც თაობათა ურთიერთობაზე მსჯელობისას ილიამ აზიდა ფარზე.

გრიგოლი თაობათა შორის შემაერთებელი ხიდიაო. ილიას ციტატის პერიფრაზირებას ახდენს აკაკი და დასძენს: „ხნოვანებით არ საზღვრავდა; ბევრს მოხუცებულობაში ჰხედავდა მონაღმართე ახალ-თაობის კაცს და აფასებდა. ზოგჯერ ახალგაზრდებშიც პოულობდა მოუკუღმართე, ძველ-თაობის კაცს და ეზიზღებოდა".

ორბელიანის დაკრძალვიდან დიდი დრო არ იყო გასული, მალე სერგეი მესხი 39 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის ავადმყოფობას ექიმებმა ვერაფერი უწამლეს. 25 ივლისს ზაფხულში აბასთუმანში დასრულდა ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე. მთელმა მესხეთმა გამოაცილა ეს დაუღალავი მოღვაწე. ქუთაისში გადაუხადეს პანაშვიდი და მშობლიურ სოფელ რიონში დაკრძალეს. ილია საგურამოში იყო. სამწუხაროდ, გვიან შეატყობინეს თანამებრძოლის გარდაცვალება და მხოლოდ დეპეშით მოახერხა ოჯახისთვის სამძიმრის გამოცხადება. მესხის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო ქვეყნისთვის და იმ გუნდისთვის, რომელიც დაკარგული ვინაობის აღსადგენად იღვწოდა. სერგეი მესხის მეგობარმა აკაკიმ, აკი, ასეც დაიტირა იგი:

„ჩვენს პატარა წრეს, უმისოდაც ამ მცირე რაზმსა, დააკლდა მუშა!... შეეწირა სამშობლოს მსხვერპლად".

ცხოვრება თავის გზით მიდის. დავით კეზელი ისევ „დიდკაცურ" წერილს დაწერს. ილია აღშფოთებული გამოეპასუხება და

წერილით, „მითამ და ახალი რაზმის კაცი“, ამ ძალად მაცხონე ჭკუის დამრიგებელს გვარიანად შეახურებს.

4 სექტემბერს ილია ქვისლთან, სტაროსელსკისთან ერთად ესწრება წინამძღვრიანთაკარის სამეურნეო სკოლის გახსნას.

პირველი სიტყვა ილია წინამძღვრიშვილმა წარმოსთქვა, რომელმაც თავის მოკლე და შესანიშნავ გამოსვლაში მადლობა შესწირა დიმიტრი სტაროსელსკის, რომელიც ამ სკოლის გახსნაში დიდად დახმარებია.

ილია ჭავჭავაძემ გლეხებს მიმართა: „ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები“-ო. მან ისეთი სიტყვა წარმოსთქვა, რომ დღემდე ცოდნისა და განათლების შესახებ ილიას აფორიზმებს ამ გამოსვლიდან ამოკრეფენ ხოლმე...

4 სექტემბერს, ამ სკოლის გახსნიდან ოთხი თვის შემდეგ ილია, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობასთან ერთად, რუსეთიდან ჩამოსულ გზათა მინისტრს ხვდება. მინისტრს თბილისი-კახეთის რკინიგზის პროექტის დამტკიცებას სთხოვენ.

მინისტრები, იმპერატორებივით, საქართველოში ძალზე იშვიათად ჩამოდიოდნენ. 1883 წლის ზაფხულში კი ორი მინისტრი ჩამობრძანდა: გზებისა და ქონების მინისტრი. რა ბზიკმა უკბინათ? საქმე ის არის, რომ ამ წლიდან იმპერიაში მმართველობის სისტემა შეიცვალა. თუ აქამდე ყველაფერს მეფისნაცვალი წყვეტდა, ახლა სათანადო საკითხების მოგვარება შესაბამისი მინისტრების ხელში გადავიდა. ამიტომ ჩამობრძანდა ორი ძვირფასი გვამი, რის გამოც ილია ირონიით იტყვის, აღარც კი ვიცოდით: – „მინისტრი ჩვეულებრივი სიკვდილისშვილი კაცია, თუ ზესთაქვეყნიური“.

ჩვეულებრივი კაცები გამოდგნენ. დიდად მოილხინა გზათა მინისტრმა. „წავიდა გზათა მინისტრი და მოვიდა სახელმწიფო ქონებათა“. ეს უკანასკნელი ღვიძლი ძმა ყოფილა დრამატურგ ა. ოსტროვსკისა, რომელიც მინისტრ ძმას ჩამოჰყვა საქართველოში. დრამატულმა საზოგადოებამ მას მხურვალე საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ამ ძმებს კიდევ უფრო მეტი პატივი სცეს და, ამით ქონების მინისტრიც კმაყოფილი გაისტუმრეს. თუმცა, მარტო სმა და ცეკვა-თამაში არ ყოფილა. ილია ირონიით წერდა: „ჩვენმა თავადაზნაურობამ, გულდაჯერებულმა (რა კაი გულისანი ვართ), რომ მინისტრები მართლა ქვეყნის ამბის შესატყობრად მოსულან, ხელთ იგდო დრო და მინისტრებს შეატყობინა ჩვენის ქვეყნის დარდი“...

●

1883 წელს, პეტერბურგში ილია ნიკოლაძეს მისივე თხოვნით უგზავნის თავის თხზულებებს რუსულად გამოსაქვეყნებლად. ნიკოლაძე პეტერბურგში იმიტომ არის, რომ თბილისში ცხოვრება ეკრძალება. სტავროპოლიდან, მართალია, დროზე ადრე გაათავისუფლეს (ნუ დავუკარგავთ, ამ საქმის მოგვარებას მაშინ იმან უშველა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ლორის მელიქოვი იყო), მაგრამ საქართველოში ცხოვრება სასჯელის მოხდამდე ეკრძალებოდა. თუმცა, ის მაისში მაინც თბილისშია, რადგან პირველ ცოლს, პოლონური წარმოშობის ქალს, ბაზილევსკაიას გაეყარა, ჯვარი დაიწერა ოლღა გურამიშვილზე და კვლავ პეტერბურგს გაემგზავრა. ეს ოლღა გურამიშვილი შორეული ნათესავი და ნათლული იყო ილიას მეუღლისა. ნიკომ ის, ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი ქალი, დასთან ერთად საზღვარგარეთ ნაიყვანა სასწავლებლად. ერთმანეთი გზაშივე მოსწონებიათ. ეს იყო ქორწინებამდე ათი წლით ადრე. როცა ნიკო სტავროპოლში გადაასახლეს, ოლღამ დაკრა ფეხი და იქ გაჰყვა. 1883 წლის მაისში მათი აკრძალული სიყვარული ქორწინებით დამთავრდა. ასე გახდა ილიას ცოლის ნათლული, ნათესავი, მოგვარე და მოსახელე, ილიას ყოფილი დუელიანტის ცოლი...

წყვილს ქორწილი ილიამ გადაუხადა საგურამოში...

•●

1883 წლის 28 ოქტომბერს, ილიას კიდევ ერთი დედმამიშვილი, მისი უფროსი დაი, ნინო ჭავჭავაძე აფხაზისა გარდაიცვალა. ეს ის ნინოა, ვისთანაც მან ბავშვობა გაატარა კარდანახში, ვინც მასზე ზრუნავდა, ვის სახლშიც დაწერა „ყვარლის მთებს", ვისაც სწერდა პეტერბურგიდან, „ცისკარში" შენ გინდოდა და ლექსი იმიტომ დავბეჭდე, თორემ „ცისკარი" ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო. ვისაც ხშირად შესჩიოდა პეტერბურგიდან თავისი ჯიბის კოტრობას. ეს ქალიც ახალგაზრდა გარდაიცვალა. გრიგოლ ჭავჭავაძის ექვსი შვილიდან ორნიღა დარჩნენ: ილია და ელისაბედ ჭავჭავაძესაგინაშვილისა.

1884

პეტერბურგში გამგზავრება. „ივერიის“ გამოცემის შეჩერება ცენზურისაგან. აკაკის ეპიგრამა ცენზორზე. ილიას ქვისლის, სტაროსელსკის გარდაცვალება. ილიაზე ჟანდარმერიის მეთვალყურეობის დაწესება. ლაისტის ჩამოსვლა საქართველოში.

ილია და ივანეს ძმა ვასო მაჩაბელი

„ილია ჭავჭავაძე ამჟამად ოჯახთან ერთად იმყოფება საგურამოში, რაც ეცნობა დუშეთის მაზრის უფროსს მასზე ფარული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ."

თბილისის პოლიცემაისტერის რაპორტიდან

რამდენი წელია რუსეთში აღარ ყოფილა. თითქმის 10 წელია გასული. ბანკირების ყრილობა გამართულა იმპერიის ცენტრში და 1884 წლის იანვარში ილია ამის გამო გამგზავრებულა რუსეთს. რაც შეცვლილა ბოლო წლებში, ეს არის დრო მგზავრობისა და ილიას სტატუსი.

10 იანვრის შემდეგ წასულა. 18 იანვარს უკვე პეტერბურგიდან იწერება წერილს, ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ შეადაროთ, როცა სტუდენტობის დროს გაემგზავრა, თვენახევარი დასჭირდა პეტერბურგამდე ჩასვლას.

სტატუსს რაც შეეხება, პირდაპირ გაგელიმება კაცს. 10 წლის წინ ბანკში პრაქტიკანტად რომ არ უშვებდნენ, ახლა დღის პირველი საათიდან ღამის 12 საათამდე სხდომებზე ზის და აქტიურად მონაწილეობს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, ბანკების მუშაობის ფუნდამენტურ პრინციპებს რომ ეხება. ილიას მოხსენება წიგნად გამოცემულ მოხსენებათა კრებულშიც იბეჭდება. 20 იანვრიდან 5 თებერვლამდე მთელი ნახევარი თვე ბოლომდე იხარჯება სხვადასხვა კომისიებში. მწერალი რომ არ იყოს, კაცი იფიქრებდა, მთელი ცხოვრება საფინანსო მეცნიერებების შესწავლაში გალიაო, იმდენად ღრმა და პროფესიულია მისი გამოსვლები.

სხვა მხრივ, არაფერი შეცვლილა. არც რუსეთი, არც ილია და, სხვათა შორის, არც ჯიბის კოტრობაზე ჩივილი.

იქურობას ისევ ისე ცივად და უსიყვარულოდ მოიხსენიებს, როგორც ეს 9-10 წლის წინ გამოგზავნილ წერილებში ხდებოდა, და რაც მთავარია, 9 წლის განმავლობაში ბანკის თავმჯდომარე, იოტისოდენა ფუფუნების უფლებას ვერ აძლევს თავს. ადრინდელი ვიზიტისგან განსხვავებით, ცოტა წინ კი ნაუწევია, – მაგალი-

თად, ოლღას სიხარულით აცნობებს, რომ იყიდა ჭურჭელი და მისთვის სამი საკაბე... მაგრამ არც ის ავიწყდება, რომ ოლღამ მაჩაბელს სთხოვოს ფულის შოვნა, შეიძლება მალე დამჭირდესო. აქ, პეტერბურგშიც ივანე მაჩაბლის ძმასთან, ვასოსთან არის დაბინავებული, რაც იმაზედ მეტყველებს, რომ წინა წელს მომხდარ მცირე უსიამოვნებას ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის მათ ურთიერთობაში დიდი ბზარი ვერ შეუტანია.

ილიას წერილიდან ჩანს, რომ სენო, ოლღას დისშვილი ვალებშია ჩავარდნილი. ეს ახალგაზრდა კაცი იქ ხელგაშლილ ცხოვრებას ეწევა.

პეტერბურგში შეიტყობს ილია, რომ მისი ახლახან გარდაცვლილი დის, ნინოს ქალიშვილი თხოვდება, მინდა მისი წერილიდან ერთი ამონარიდი გაგაცნოთ, ვინძლო წარმოვიდგინოთ ის მდუღარება გულისა, რომელსაც პირად გრძნობებეზე საუბრისას სიტყვაძვირი ილია მხოლოდ მეუღლეს თუ აღუწერს: „ამ სამი დღის წინად საგინოვის დეპეშა მომივიდა. ვიღაც პადპალკოვნიკი მაყაევი თხოულობს მაკოსაო. ძალიან მიამა, თუ, პირველი, მაკოს ჰსურს და, მეორე, თუ კაი კაცია, მე ჩემის მხრით ლოცვისა და კურთხევის მეტს ვერას შემოვუთვლი მაკოს. ღმერთმა აბედნიეროს.

საწყალი ჩემი და ნინო! ნეტავი ამას მოსწრებოდა. მაინც ვერ წარმოიდგენ, ოლიკოჯან, ჩემს ყოფას. დღე არ გავა, უბედური ჩემი ნინო არ მომაგონდეს და ტირილი არ დავიწყო. სულ თვალწინ მიდგა იმისი ჭკუიანი, მშვიდობიანი და მოსიყვარულე სახე. მინამ ცოცხალი იყო, არ ვიცოდი, რომ ასე ძლიერ მიყვარდა, როცა გარდაიცვალა მაშინ შევიტყე. ეხლა ვგრძნობ, რა დედაკაცი, რა საყვარელი დავკარგე. ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს, და რაც დღე იმას დააკლდა, ერთი ათასად შენ, ჩემო კარგო, ჩემს დას ლიზას, და უბედურს ნინოს შვილებს მიუმატოს. ცრემლი თვალებში მომიგუბდა და ველარ ვწერ.

გუშინ დავიწყე ეს წიგნი და ცრემლის გამო ველარ გავათავე."

ამ „უმზეო ქვეყანაში" ილია მცირე ხნით ავად გამხდარა. ჩივის, ავადმყოფობის გამო ერთი „ზასედანია" გამიცდა, სადაც სიტყვა უნდა მეთქვაო. „რაც უნდა მეთქვა მერე დავწერე და დაიბეჭდა კიდეც ამ ორ დღეში სიეზდის ჟურნალში"-ო.

იწერება, შემიტყვეთ, რა კაცია მაკოს საქმროო. ნიშნობის შემდეგ ილიას დისწული მალევე გათხოვილა. ეტყობა, ილიას აცნო-

ბეს, რა კაციც იყო სიძე და 19 თებერვალს სიამოვნებით იწერება: „ძალიან მიამა მაკოს გათხოვება და კაი კაცთან შეერთება. ღმერთმა აბედნიეროთ".

ახლა ერთ დეტალზეც მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო. დიდი ადამიანები ჩვენს მეხსიერებაში ქანდაკებებივით არიან აღბეჭდილნი. ყოფითი წვრილმანები, შური, ნათესავების წაკინკლავება თითქოს მხოლოდ მოკვდავთა ხვედრია და დიდ ადამიანთა ყოფით წვრილმანებს თითქოს დიდი ფარდა აქვს ხოლმე ჩამოფარებული, არადა, მათი ცხოვრების დეტალები ამ მხრივადაც ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ითხოვს. ასე მაგალითად, არა მგონია უინტერესო იყოს ილიას კერძო წერილიდან ეს ამონაწერი – „მაჩაბელმა მოსწერა შენს დას ყველაფერი სენოს შესახებ, – წერს ილია ოლღას, – და პასუხიც მოუვიდა. ძალინ კარგად იფიქრე, რომ შენ მოერიდე მაგ საქმესა. მე სრულიად თანახმა ვარ შენის აზრისა ამის შესახებ. ჩემი ოლიკო ჩემზედ უფრო შორს დამნახავი ყოფილა, და უფრო რიგიანად გამგები და დამწყობი საქმისა. ძალიან კარგად მოახდინე, რომ ჩემს წიგნს არ დაუჯერე (სენოს ფუქსავატობაზე რომ იწერებოდა, ნ.გ.) და არ უთხარი შენს დას, რაც მოგწერე. ვინ იცის, რას იფიქრებდა. ხომ ეჭვიანები არიან, და მას შემდეგ, რაც ერთმანეთს გაუგრილდით, რწმენა არაფრისა ექნებათ ჩვენდამი. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, როგორც სურდეთ, ისე მოაწყონ თავიანთი საქმეები, ოღონდ ჩვენზე ნუ აყაყანდებიან და ნუ შეგვეხებიან"...

ახლა სტაროსელსკი, ლიზო, მათი ვალებში ჩავარდნილი ბედოვლათი შვილი – სენო თავისთვის დავტოვოთ და ის ვიკითხოთ, რა ხდება ურედაქტოროდ დარჩენილ „ივერიაში"? კარგი არაფერი, 9 მარტს კავკასიის საცენზურო კომიტეტმა რედაქციას წერილით აცნობა, რედაქტორის თბილისში დაბრუნებამდე ჟურნალის მეორე ნომერი შეაჩერეთო.

გაგულისებული ილია 10 მარტს საცენზურო კომიტეტს აცნობებს, ყიფშიძეს დავავალე ჟურნალის გამოშვებაო (იგულისხმებოდა, თქვენ ვინ გკითხავთ, ჩემს ჟურნალს ვინ მოამზადებს და გამოუშვებსო).

თავის მხრივ საცენზურო კომიტეტში ცინიკურ რეზოლუციას დაადებენ ილიას დეპეშას: „დეპეშა არასაკმარისია ჟურნალის გამოცემად"-ო. მოკლედ, შენს ჩამოსვლამდე ჟურნალს ვაჩერებთო, თითქოს ძალიან განიცდიდნენ ილიას აქ არ ყოფნას.

საცენზურო კომიტეტმა დონდუკოვ-კორსაკოვის დროში სულ აიშვა თავი. ლუკა ისარლოვი, ცენზორი, მთლად გამწარებული იყო. დადგა თუ არა 1884 წელი, იანვრში აკაკიმ ისეთი ლექსი უძღვნა, ლუკა ყველაზე ჯავრს იყრიდა. სასაცილო ის არის, რომ ეს ლექსი ცენზორისავე ნებართვით დაიბეჭდა. აკაკიმ ლუკას სახელი შეცვალა და ეს პედანტური გონების კაციც თავიდან ვითომ ვერაფერს მიხვდა, მერე როცა უცებ გავრცელდა ხმა ქალაქში, ლექსში ისარლოვი იგულისხმებაო, ლუკა რაღას იზამდა, ეპიგრამა უკვე გამოქვეყნებული იყო.

ეს ლუკა ისარლოვი ცენზორად მუშაობდა 1881-1888 წლებში. იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის და ლევან მელიქიშვილის მეგობარი გიმნაზიიდან. მელიქიშვილმა დანიშნა ცენზორად, მაგრამ ისე იქცეოდა, მასაც აგინებდნენ და მის დამნიშნავსაც...

ისარლოვმა ამოყარა ილიას „აჩრდილიდან“ საუკეთესო ადგილები, აკრძალა ილიას ლექსები: „მუშა“, „გაზაფხული“, „ელეგია“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“. აკაკის კიდევ უფრო მეტად ამწარებდა, მარტო ლექსებს კი არა, მის გამოსვლებსაც კი კრძალავდა ხანდახან. ქართული პრესის ამ ჯალათზე ი. მანსვეტაშვილი წერდა: „ლუკა ნამდვილი ძველი დროის პოლიციელი იყო: გულით გაქვავებული, ჭკუით გამოფიტული, ვერც შენი წრფელი სიტყვა, ვერც შენი საღი სჯა, ვერც ხვეწნა და მუდარა, ვერ მიაღწევდა იმის გულსა და ტვინსა“. აკაკიც ადგა და გამწარებულმა დაუწერა:

„იყო ერთი მაიმუნი
ეძახოდნენ ლუკა–მელას;
(პირვანდელ ვარიანტში ეწერა – „დუკა-მელას“,– ნ.გ.)
ზურგს ეკიდა ქვეყნის წუნი
ულოკავდა ფეხებს ყველას.
კუდიანი, პაწაწინა,
სასაცილო რამე იყო.
ერთხელ საზრდო მოისუნა
და ქურდობას ხელი მიჰყო.
შეუტყეს და დაიჭირეს,
სულ კუდით ქვა ასროლიეს;
გაშოლტეს და აატირეს,
სული ხორცად დაულიეს,
დაუკეტეს ყველგან კარი,
აღარავინ მიიკარა;

შიმშილისგან კუჭგამხმარი
ტრიალებდა როგორც ჯარა.
აქეთ ეცა, იქით ეცა,
ვერას გახდა მაიმუნი;
მწუხარებამ გააბეცა,
დაემართა თურმე მუნი.
ერთს ყიზილბაშს შეეცოდა, *(იგულისხმება ლ. მელიქიშვილი)*
საპატრონოდ ხელი მიჰყო, –
მოსტყუვდა და არ იცოდა,
თუ რა საძაგელი იყო.
და რომ გაძლა მაიმუნი,
გამობრუნდა, მოისვენა,
შინაურებს დასდო წუნი,
ჩუმად იწყო მათი კბენა.
იკბინება ის პირმყრალი,
ის წუწკი და საძაგელი!
თურმე იმისი წამალი
სილაა და ზურგიელი.“

ზემოთ ვწერდით, ლუკა ვითომ ვერაფერს მიხვდაო, მაგრამ თავის ბიოგრაფიას როგორ ვერ ამოიკითხავდა, ძალიან კარგად იცოდა, ვის ეძღვნებოდა ეს ლექსი, თუმც ვერ აკრძალა. ხომ არ იტყოდა, ვკრძალავ იმიტომ, რომ მაიმუნში მე ვიგულისხმებიო. გამოქვეყნების შემდეგ კი გვიანღა იყო თითზე კბენაში.

აკაკის რას უზამდა, აკაკი არაფრის გამომცემელი მაშინ არ იყო, ლუკა სტეფანიჩმაც ილიაზე იყარა ჯავრი. სანამ თბილისში არ დაბრუნდება, „ივერია" შეაჩერეთო.

თავის მხრივ ილიაც იქიდან გამოქცევაზე იყო. მეუღლეს სწერდა: „ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მოიზიდება ჩემი გული შენსკენ და ჩემს ქვეყნისკენ, როგორც ბავშვი, ისე ვნატრობ იმ დღეს, რომ მანდ წამოვიდე და ამ უგემურს, უფერულს, ცივსა და გულდახურულს ქვეყანას მოვშორდე." ცოტა ხნის შემდეგ ისევ ხაზს უსვამს თავის „სიყვარულს" ამ ქვეყნისადმი: „ვერ წარმოიდგენ, რა რიგად შეწუხებული ვარ, რომ აქ ასე მიგვიანდება, ჩემი ხასიათი ხომ იცი; ისე მოღრუბლული ვარ, რომ ადამიანის დანახვაც კი მწყინს. სულ შინა ვგდივარ, როცა საქმეზედ არა ვარ. ვღრინავ და ვდრტვინავ, მაგრამ რას გავაწყობ? ვის რას გავაგონებ? საძაგელი ხალხია აქ და ეს ბანკის მოსაქმენი ხომ რაღა გითხრა, ცრუ ცრუზედ ზის და

ცრუობით იოლას მიდის. სულ ხელში შემოგვყურებენ, აცა წავგლიჯოთ რამეო."

ამინდი რომ ამინდია რუსეთში, იმის სიმბოლიზირებასაც კი ახდენს ილია: „აქ თითქმის გაზაფხული დადგა, თოვლი აღარა არის. მაგრამ ასეთი უგემური დღეებია, ასეთი წუმპეები დგას ქუჩაში, რომ ძაღლი გარეთ არ გაიგდება... ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო."

მარტის მეორე ნახევარში ილია საქართველოში წამოვიდა. 10 წლის წინ, როცა პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა, სიმამრი დახვდა გარდაცვლილი, ახლა ვეღარ ჩამოუსწრო ქვისლს. გარდაიცვალა დიმიტრი სტაროსელსკი, კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსი. ქართველებს უყვარდათ ეს კაცი, თავადაც შეყვარებული საქართველოზე. 15 მარტს მის დაკრძალვაზე ილია არ იყო აქ, მაგრამ ძალიან თბილი გამოსათხოვარი უთქვამს აკაკი წერეთელს. მეორე დღეს, 16 მარტს „დროებაში" ქვეყნდება კორესპონდენცია – „დიმიტრი სვიმონის ძე სტაროსელსკის დასაფლავება", რომელშიც ჩართულია აკაკის სიტყვა. რამდენადაც სძულდათ საქართველოს გასარუსებლად ჩამოსული „სტუმრები", იმდენადვე აფასებენ ჩვენი მოღვაწენი იმ თითო-ოროლა უცხოელ ჩინოვნიკს, ჩვენი ქვეყანა რომ შეიყვარეს. ახსოვდათ სტაროსელსკის თანადგომა თუ სკოლების გახსნის საქმეში, თუ რკინიგზის გაყვანაზე მხარდაჭერა, თუ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისას მისი დიდი თავგამოდება. აკაკის გამოსათხოვარი სიტყვიდან: „საქართველოს მიწას დღეს ჩვენ გულმტკივნეულად ვაბარებთ განსვენებულის დიმიტრი სვიმონის ძის სტაროსელსკის გვამს და თვალცრემლიანნი ვამბობთ: „საუკუნოდ იყოს ხსენება მისიო!" და ვამბობთ განა მარტო ჩვენ აქა-მყოფნი, – არა, ამასვე განიმეორებს გულმტკივნეულად შავის ზღვიდამ დაწყებული კასპიის ზღვამდე, გულ-წრფელი, ჭეშმარიტების მაძიებელი ქართველობა, შესანიშნავი ეს არის, რომ ენით სხვა და გვარ-ტომობით გარეშეს, ჩვენ ვიგლოვთ როგორც საკუთარ ძმასა და თვისსა... განსვენებული იცნობდა ქართველობას და სინდისიანად ჰქონდა შესწავლილი ჩვენი მხარე და ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ სამართლიანი და წმინდა ყოფილიყო ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა, ამას ვერ დაივიწყებს ვერასოდეს ქართველობა."

1911 წელს იაკობ გოგებაშვილი წერილში „როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება", სათანადო პატივს მიაგებს დიმიტრი სტაროსელსკის და დასძენს, რომ მას უყვარდა „საქართველო

როგორც თავისი მეორე სამშობლო, რომელმაც ოჯახობრივი ბედნიერება მიანიჭა."

ერთი სიტყვით, თავის ეროზე ოადეოზ გურამიშვილს თავისი უფროსი ქალიშვილი რუსისთვის ენანებოდა, მაგრამ სტაროსელსკი გამონაკლისი რუსის პინოვნიკი აღმოჩნდა, რომელმაც ისე შეიყვარა საქართველო, როგორც მეორე საშშობლო და ასახელო სიძეც გამოდგა.

●

ცენზურისაგან შეჩერებული „ივერიის" თებერვლის ნომერი 27 მარტს გამოვიდა. ჩანს ამ დროს ილია უკვე თბილისშია და ლუკა სტეპანიჩმაც ინება თანხმობა, რათა ჟურნალს დღის სინათლე ენახა.

თუმცა ერთ შარს მეორე მოჰყვა. ილია პეტერბურგში ყოფნის დროს ქართველ სტუდენტთა დეპუტაციას შეხვდა, არ ვიცით, რა ილაპარაკა იმ შეხვედრაზე სტუდენტებთან, ის კი ვიცით, რომ 15 აპრილს პოლიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ილია ჭავჭავაძეზე დაწესდა ფარული მეთვალყურეობა...

„რადგან პოლიციის დეპარტამენტს აქვს ცნობები... ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა და ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანის საეჭვო პოლიტიკური საიმედოენეობის შესახებ... გთხოვთ... დაანესოთ აღნიშნულ პირებზე ფარული მეთვალყურეობა და იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანი წაეა თქვენი მომ'ახურების რაიონიდან, მათ შესახებ აცნობოთ ადგილობრივ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს." ასეთი წერილი მიიღო თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა ზემდგომთაგან 1884 წლის 15 აპრილს.

ამ დღის შემდეგ გარდაცვალებამდე ილია, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, ფარული მეთვაყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მის ყოველ გადაადგილებას, თბილისიდან საგურამოშიც კი, ჟანდარმები დაწვრილებით აცნობებენ ერთმანეთს... ეს კი არა, როცა სახელმწიფო დუმის წევრი გახდება, იქ, პეტერბურგის სასტუმროშიც მიაკითხავს მსტოვარი ძალიან სასაცილო მისიით, თუმცა ეს მეოთხედი საუკუნის შემდეგ მოხდება და მერე გიამბობთ.

ახლა კი ილიას გერმანიიდან წერილებით გაცნობილი მწერალი ჩამოაკითხავს და მათი სახელები სამუდამოდ გადაეჯაჭვება ერთმანეთს.

●

არტურ ლაისტი თავის წიგნში „საქართველოს გული“, ილიას გაცნობის წლად 1885 წელს ასახელებს. „ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე და გავიცანი 1885 წელს, მაშინ პოეტი მხოლოდ 48 წლისა იყო“-ო. აქ ლაისტს უნებლიე შეცდომა მოსდის. სინამდვილეში 1884 წლის 31 მაისს ილია ზის და სადარბაზო ბარათებს უგზავნის საპატიო სტუმრებს – რაფიელ ერისთავს, აკაკი წერეთელს, გიორგი თუმანიშვილს, დავით ერისთავს, პეტრე უმიკაშვილს, ივანე მაჩაბელს, ეკატერინე გაბაშვილს, სხვა ქართველ მწერლებსა და მოღვაწეთ. ასე ხდებოდა ყოველთვის, ილია დიდ-დიდ ჩინოვნიკებს ძალიან იშვიათად ეპატიჟებოდა, მისი სტუმრები ლიტერატორები და მოღვაწენი იყვნენ ყოველთვის.

პარასკევსო, I ივნისს გეპატიჟებით „სადილად სამ საათზედ ჩემს სახლში მოწვეული მყავს: თქვენი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი. გთხოვთ თქვენც მობრძანდეთ“-ო.

(ლაისტს გერმანიაში უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა „მივიწყებული ქართული ლიტერატურა“. იცნობდა ილიას შემოქმედებას და განხილული ჰქონდა „კაცია ადამიანი?!“)

მეორე დღეს. I ივნისს ილია მეგობრებთან ერთად რკინიგზის სადგურზე დახვდა მისივე მოწვევით ჩამოსულ სტუმარს.

სადილზე ილია იტყვის: „დღეს ჩვენს შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი, უცხო და სტუმარი მარტო იმით, რომ სხვიდამ მოსულია, ხოლო სულითა და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თვისიანია, ამიტომაც ორ–ნაირად სასიხარულოა მისი ჩვენ შორის ყოფნა...

ბატონი არტურ ლეისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ, კისრად იდო შუა კაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის... პირუთვნელი სიტყვა ბ-ნის ლეისტისა მოჰფენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და ამ პატარა სამოთხეში ჰცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ღმერთმა აცოცხლოს ბ-ნი ლეისტი“ („დროება“, 1884წ.5 ივნისი). საღამო ხანს „ვაზის ბაღში“, მტკვრის ნაპირას გადაინაცვლებენ. ახლა იქ გაგრძელდა პურობა და ლხინი. ლაისტმა უთხრა ილიას, „როცა მე თქვენს ლექსს „მტკვრის პირზედ“ ნემეცურად ვთარგმნიდი, – მაშინ როგორ წარმოვიდგენდი, თუ იმავ მტკვრის პირზე მე თქვენთან ერთად ნადიმად ჯდომა მომიხდებოდაო.“

ილიას ოჯახში ლაისტის პირველად სტუმრობის სურათი შემოგვინახა ეკატერინე გაბაშვილმა.

ეკატერინე, რომელიც, როგორც ჩანს, დაიმედეს, სტუმართა შორის ქალებიც იქნებიანო, იგონებს: „პირზე სიხარულის ღიმილი გამეშალა, როცა დარაზმული კნეინების მაგივრად დავინახე გოგებაშვილი, ცხვედაძე, მიქელაძე, ჭყონია, სარაჯიშვილი, თაყაიშვილი და არც ერთი ქალი! დიახ, არც ერთი ქალის ჭაჭანება! ცოტა შევყოყმანდი, მაგრამ აკაკი შემოვიდა და თავის დემონური ღიმილით ამათვალ-ჩამათვალიერა... შემდეგ სუფრაზე დასხდომის ცერემონია დაიწყო: სუფრის თავს ოლღა, იმის მარჯვნივ სტუმარი ლეისტი, მარცხნივ მე და ჩემს გვერდით აკაკი, სუფრის ბოლოს ილია იჯდა წარბ-შეკრული."

ეს პატარა ჩანაწერი უნიჭიერესი მწერალი ქალისა სავსეა სწორედ ქალური ქვეტექსტებით...

გაიხსენეთ მისი პირველი შეხვედრა ჯერ კიდევ დუშეთის მოსამართლე ილიასთან, როგორი ფანატიკური სიყვარული აქვს გამოხატული ილიასადმი...გაიხსენეთ აკაკის ხასიათი, როგორ ეტრფის სილამაზეს და ფუტკარივით უყვარს ყვავილიდან ყვავილზე გადაფრენა... და ესეც სუფრაზე გათამაშებული ინტრიგის დასკვნა – „სუფრის ბოლოს ილია იჯდა წარბ-შეკრული..." პურობის შემდეგ ნაწყენი ილია ეკატერინეს შეგნებულად უარს ეტყვის სახლში გაცილებაზე....

არტურ ლაისტიც იგონებს ილიასთან პირევლ შეხვედრას ჯერ თბილისში, შემდეგ საგურამოში ასვლას.

იმთავითვე ილია და აკაკი გამოურჩევია. „მე მაშინ ჩვენი გაცნობის პირველ დღესვე, უკვე მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი განასახიერებდა მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას საქართველოსას."

საგურამოში პირველად ასული ლაისტის მოგონებიდან კი საინტერესო საგურამოს სახლ–კარის აღწერაა. „1885 წელს, როცა საგურამოში პირველად ჩავედი, (როგორც ითქვა, ეს თარიღი სწორი არ არის, ნ.გ.) ილიას ოთხოთახიანი პატარა სახლი ძველთაძველ ბინას მოგაგონებდათ." ასე რომ, ის სახლი, რომელიც დღეს დგას საგურამოში, ილიას ხანში შესვლამდე არ ჰქონია. მისი აშენება 1892 წელს დაიწყო და 1895 წელს დაამთავრა.

ლაისტი მხოლოდ ერთ თვეს დაჰყოფს საქართველოში, მაგრამ მომდევნო 1885 წელს კვლავ დაბრუნდება. სამუდამოდ აქ დარჩება და ილიას უახლოესი მეგობარი გახდება.

●

ილია თითქმის ყოველ შაბათ–კვირას საგურამოში ატარებს. ოლღა ძირითადად იქ ცხოვრობს. ეს რომ ლაისტს მასპინძლობს, 7 ივნისს „ნოვოე ობოზრენიეში" ვილაც ამატუნი პრეტენზიულად იგესლება ბანკში ქართველ–სომეხთა ურთიერთობის საკითხებზე. ილია პასუხს არ დაუგვიანებს და ეს ამატუნიც მალევე მორჩება თავის ამაო ტუტუნს. ილია ხელმძღვანელობს ქართველიშვილისეული, „ვეფხისტყაოსნის" გამოცემის კომისიას.

ჯერ იცის თუ არა, ვერ ვიტყვით, მაგრამ მის ყველა გადაადგილებას ერთი ჟანდარმი აცნობებს მეორე ჟანდარმს.

მე მგონი, ამ მხრივ ჟანდარმებს შრომა ცოტა შეუმსუბუქდათ. დეკემბერში საგურამოდან ოლღა ჩამოჰყავს და საცხოვრებლად გადადის ნიკოლოზის ქუჩაზე, თავისი დისა და სიძის, საგინაშვილის ახლად შეძენილ ბინაში.

ესეც ჩვენი დიდი ბანკირი და მემამულე. ცოლ–ქმარი სტუდენტებივით ილიას დას შეხიზვნია. „ილია და კნეინა ოლღა პირდაპირ საგურამოდან გადმოსახლდნენო," – დაწერს მოგონებაში ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა.

●

30 ნოემბერს ილია დაესწრო თბილისში მცხოვრებ ფრანგთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო საღამოს. აქ ბრძანდებოდა საფრანგეთის კონსული მეიერი. წარმოდგენის შემდეგ იგი მიიწვიეს იქვე „დროების" რედაქციაში, რომელიც დავით სარაჯიშვილის სახლში იყო განთავსებული. უმასპინძლეს ხილითა და ტკბილეულით. ფრანგ კონსულს მის მშობლიურ ენაზე მიმართავდნენ ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, დავით ერისთავი, იონა მეუნარგია, ბოლოს ილიას პატარა სიტყვაც უთარგმნეს კონსულს.

„ილიამ შეაქო საფრანგეთი, – იგონებს გრ. ყიფშიძე, – მისი ძლიერება, ჭკუა და ხელოვნება მისთა შვილთა, თავგამოდება მის სამშობლოსი ჩაგრულ ერთათვის და მერე ასე დააბოლოვა: ძლიერია და მტკიცე მუხა, ფართოდ ფოთოლ–გაშლილი, თავ–კარავიანი, რომ მის მახლობლად პატარა იაცა ჰყვაოდეს. ჩვენი ქვეყანა პატარაა, მაგრამ ტურფაა, როგორც ია, როგორც გაზაფხულის ყვავილი და ჩვენი ნატვრა მხოლოდ ის არის, რომ იცოცხლოს დი-

დის მუხის მახლობლად უვნებლად, თავისუფლადაო. მსმენელები აღტაცებაში მოვიდნენ. ზოგს, მეტადრე ქალებს, ცრემლები მოადგათ თვალებზედ.

ნიკოლაძემ უთარგმნა კონსულს და იმასაც ნელ–ნელა გაეხსნა ნაოჭად შეკრული შუბლი, ღიმილი შეუთამაშდა ტუჩებზედ და ბოლოს ისე გაუბრწყინდა სახე, რომ სულ ნათელი გადასდიოდა. კონსული დიდად მადლობელი და კმაყოფილი წავიდა ამ პატარა პოლიტიკური ბანკეტიდან."

მას შემდეგ 125 წელი გავიდა და, ვაგლახ, ისევ იგივეს გამეორება გვიწევს მადლობით და კმაყოფილებით წასულ კონსულებთან...

1885

ნიკო დადიანის ბიბლიოთეკის ჩამოტანა გორდიდან. ილია სამეგრელოში. წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ არჩევა. გაზეთ „დროების“ დახურვა. 31 დეკემბერი-ქეიფი „ივერიის“ რედაქციაში.

ნიკო დადიანი

„და კარგათა გაგე ზარდოს
ეს მამისერთა შვილია"...

დავით ერისთავი

1885 წლის 29 მარტს ილია სამეგრელოში მიემგზავრება. თან მთელი დელეგაცია მიჰყავს, – ვასილ მაჩაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, იონა მეუნარგია, დავით ერისთავი. ქუთაისში კიდევ სხვა გამყოლნი დახვდებიან.

ათი დღის წინ „დროებამ" სასიხარულო ინფორმაცია გამოაქვეყნა – სამეგრელოს მთავარი ნიკო დადიანი მთავრის საგვარეულო ბიბლიოთეკას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ჩუქნისო.

მანამდე მთავრის რწმუნებით აკაკის შეუდგენია ამ ბიბლიოთეკის კატალოგი. ამაზე დიდი საჩუქარი რა უნდა მიეღო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას? ლაპარაკია უძველეს X-XI საუკუნეების ხელნაწერებზე. ეს იყო შეუფასებელი განძი.

სანამ ილია მეგობრებთან ერთად სამეგრელოს მთავართა საზაფხულო რეზიდენციაში გორდს ჩავა, სადაც ეს ბიბლიოთეკა იყო განთავსებული, ჩვენ მცირე ექსკურსი გავაკეთოთ.

იმ წიგნების ერთი ნაწილი, რომელსაც თბილისს ჩამოიტანენ, 1789 წელს თბილისიდან არის წაღებული მთავრის სასახლეში.

იმერეთის სამეფო და სამეგრელოს სამთავრო სისხლისგან ცლიდნენ ერთმანეთს. ხან იმერთა მეფე სთხოვდა ერეკლეს დახმარებას და ხან სამეგრელოს მთავარი. ერეკლემ მათ შორის მშვიდობა დაამყარა. 1789 წელს თავისი შვილიშვილი, გიორგი XII-ის ასული ნინო სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს მიათხოვა, ხოლო გრიგოლის დაი მარიამ – სოლომონ მეფეს. ამ პოლიტიკურმა ქორწინებამ სამეგრელოსა და იმერეთს შორის მშვიდობა დაამყარა.

იოსებ გრიშაშვილს „ძველი თბილისის ბოჰემაში" გამოქვეყნებული აქვს იმ წიგნებისა და ხელნაწერების სია, რაც განძის გარდა, ერეკლეს შვილიშვილისათვის მზითვად გაუტანებია.

ძვირფას განძს რაც შეეხება, მხოლოდ ერთი კაბა 1260 მარგალიტით ყოფილა შემკული, მაგრამ კიდევ უფრო ძვირფასი წიგნები იყო, რომელთაგან გრიშაშვილი, სამწუხაროდ, სასულიერო წიგნებს არ ჩამოთვლის, მხოლოდ ზოგადად ახსენებს, საერო ხასიათის ხელნაწერთა ნუსხა კი ასეთი იყო:

ქართლის ცხოვრება,
სიტყვათა კონა,
ქილილა და დამანა,
ზეილხანიანი,
ვარდ–ბულბულიანი,
შამი ფარვანიანი,
გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასება,
ანბანთქება,
ღრამატიკა,
მაჯამა,
დიალექტიკა,
კატეღორია,
სიბრძნე სიცრუისა,
ვისრამიანი,
ჩარლავრიშიანი,
მირიანიანი,
დაფნის ქალაქი,
ყარამანიანი.

ზემოთ ვთქვი, სანამ ერეკლე ცოცხალი იყო, იმერეთ–სამეგრელოს შორის მშვიდობა დამყარდა-მეთქი, მაგრამ რუსების შემოსვლის შემდეგ ყველაფერი ისევ აირია. ჯერ სოლომონ მეორეს სთხოვენ, შევიდეს იმერეთი იმპერიის შემადგენლობაში და სამეგრელოსა და აფხაზეთს მას დაუმორჩილებენ!.. სოლომონმა, ერეკლეს შვილებისა და შვილიშვილების ბედის შემხედვარემ, კარგად იცოდა, რაც იყო რუსთა მფარველობა, ამიტომ ანკესზე არ წამოეგო და თავისუფლებისათვის ბრძოლა განაგრძო.

ახლა სამეგრელოსა და გურიის მთავრებზე დაიწყეს მუშაობა. თუ სოლომონის წინააღმდეგ რუსეთს დაეხმარებოდნენ, სამუდამო ხელშეუხებლობას და სამთავროების გაფართოებას ჰპირდებოდნენ.

დედოფალი ნინო ამ ანკესს წამოეგო, მაგრამ როცა მთავარმმართებელთა ცრუ ფიცში ბოლომდე დარწმუნდა და პეტერბურგ-

შიჩასულს, იმპერატორმაც ცივი წყალი გადაასხა, მაშინღა მიხვდა შეცდომას. თავისი 20 წლის ვაჟკაცი გიორგი 1819-1820 წლების აჯანყებულთა დასახმარებლად იმერეთს გამოგზავნა. სურდა, სამეგრელო აჯანყებული იმერეთის გვერდზე დაეყენებინა, მაგრამ მეორე შვილი ლევან დადიანი, სამეგრელოს მთავარი, შეშინდა.

რუსებს შეეტყოთ, ლევან დადიანი იმერეთის აბაშიძეებთან ერთად ალექსანდრე ბატონიშვილთან აბამდა კავშირებს. ლევან დადიანმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და რუსებისათვის ერთგულების დასამტკიცებლად იმერლებთან ერთად საკუთარ ძმას, გიორგის დაუწყო ბრძოლა და დევნა.

ეს გიორგი ბოლოს ჩაბარდა და რუსეთში გადაასახლეს, იქ რიგით ჯარისკაცად გაამწესეს.

სოლომონ მეფე ტრაპიზონის მიწამ მიიბარა, მისი ცოლი და დაი რუსეთს გადაასახლეს. დედოფალი ნინოც აღარ დააბრუნეს საქართველოში და განდედოფლებული, მწარე სინანულში მყოფი მიიცვალა 1847 წელს.

აი, ამ ტრაგიკული ბედის ქალის ნამზითვი ხელნაწერებიც ერია იმ წიგნებში, რომელიც ახლა ნინოს შვილთაშვილს, დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილს, ნიკოს ეჩუქებინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის.

3 აპრილს ილია და მისი მეგობრები ჩადიან სოფელ გორდს და იბარებენ ქართულ ხელნაწერებს.

ჩაიბარეს 169 წიგნი – ხელნაწერი და 10 დაბეჭდილი წიგნი. ამის შემდეგ გახარებულ ილია იწყებს მოგზაურობას სამეგრელოში. მიდის ბანძაში იურისტ მექი ფაღავასთან, ცაიშში იონა მეუნარგიასთან, ზუგდიდში მთავრის სასახლეში, სადაც იბარებს დადიანისეული ბიბლიოთეკის ნაწილს და საღამოს ისევ ცაიშში ბრუნდება.

ამ ფაქტს მეუნარგია, სამწუხაროდ, სულ ერთი წინადადებით იგონებს: „როცა ილია წამოვიდა სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად, ილია ისე გამხიარულდა, რომ ბანძას, მექი ფაღავასას და ჩემთან ცაიშში სულ „ფარინა-ფარინა“ იმღერა და ფერხულით გული შეიჯერა“-ო.

ღიმილის მომგვრელი კია, როცა ეს ჩვენი ბურთივით მრგვალი ლიბერალი ფერხულს ცეკვავს და ფარინა-ფარინას მღერის, სწორედ იმ დღეს თბილისის პოლიცმაისტერი ძალიან სერიოზულ წერილს სწერს თბილისის გუბერნატორს ილიას მოზაურობის გრაფიკის შესახებ...

იმათი მიმოწერა ილიას ნაკლებად აინტერესებს. ის ბედნიერია ძვირფასი წიგნების წერა-კითხვის საზოგადოებისათვის გადმოცემით და ბედნიერია სამეგრელოს გულუხვი მასპინძლობით. სწორედ ამ მოგზაურობისას იტყვის ბანძაში, სადაც სტუმრად მყოფ მეგობარს, შალვა დადიანის მამას, ნიკო დადიანს შეუარა – სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახეო.

●

აპრილის ბოლოს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრება იმართება, სადაც ისმენენ ბანკის მუშაობის 10 წლის ანგარიშს. 1 მაისს კი ბანკი ერთხმად (კენჭისყრის გარეშე) ირჩევს ილიას ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა კონკურენციას უბედავდნენ, როცა ილიას მხარდასაჭერად კახეთიდან მოდიოდა ამომრჩეველი, გასაშავებლად გორიდან. 10 წელი გასულა მას შემდეგ, ქართლიდან ტივებით წამოსული ამომრჩეველი (იმჟამად, ვგონებ, დავით ერისთავის მხარდასაჭერად) ბანკის ნაცვლად ლამის კასპიის ზღვაში მოხვედრილა, რადგან მტკვარი ისე ადიდებულა, ტივები ველარ გამოურიყავთ ნაპირზე...

10 წლის მუშაობის შემდეგ, ილიას ბანკის საქმე ისე მიჰყავს, არა თუ შავ კენჭს უგდებს ვინმე, საერთოდ უარს ამბობენ კენჭისყრაზეც კი და ორივე ხელის აწევით ადასტურებენ მის შეუვალ ავტორიტეტს. ამ არჩევნებს მეორე მოჰყვა. 15 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედაც მას ირჩევენ.

ამ საზოგადოების დაარსებასა და ფუნქციონირებაშიც მას ლომის წილი აქვს შეტანილი, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ერთი ავადსახსენებელი, ბროშურით მწარედ გააკრიტიკებენ.

ბროშურის შინაარსი ერთი ფრაზით რომ გადმოვცეთ, ასეთია: „სადაც არ გიხნავს, ძმობილო, იქ მკა რა საკადრისია“-ო. ტყუილი იყო ეს. უფრო მეტად ვის დაეჯერებოდა, თუ არა იაკობ გოგებაშვილს. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სათავესთან სწორედ იაკობ გოგებაშვილი და რამდენიმე პირი იდგა. იაკობი 1911 წელს დაწერს, ამ საზოგადოების წესდებას არავინ დაგვიმტკიცებდაო. ერთ მუხლში, თუ არ ვცდები, მე-3 მუხლია, ალექსანდრე მეორის ერთი ფრაზა ჩაუდვია – ყველას უფლება აქვს, მისთვის გასაგებ ენაზე ისწავლოსო...

ერთი ეშმაკობაც უხმარიათ. ილიას ურჩევია, წესდების საბოლოო ვარიანტზე ისეთ კაცს მოაწერინეთ ხელი, მთავრობა რომ კარგი თვალით უყურებსო, ამიტომ დიმიტრი ყიფიანს სთხოვეს წესდების საბოლოო ვარიანტის შექმნა.

ახლა გაგიკვირდებათ და მთავრობისთვის წარსადგენ თხოვნაზე, ხელისმომწერლების პოვნაც ჭირდა, იმდენად არარეალურად მიაჩნდათ ეროვნული დაწესებულებისათვის ოფიციალური ნებართვის მიღება. აქაც ჭკუა უხმარიათ, მდიდარ სომხებს და გავლენიან ქართველებს მოაწერინეს ხელი, მერე იკადრეს და სხვებმაც უშიშრად დასვეს თავიანთი ხელმოწერები. შემდეგ ილიამ სტაროსელსკი აამუშავა და საქმეც კეთილად დაგვირგვინდა.

საზოგადოებას შექმნისთანავე 11 ათასი მანეთი გადაურიცხა ბანკიდან. ასე რომ, ილიამ ამ პოსტზე დამსახურებულად შეცვალა ივანე მუხრანსკი. ილია სიკვდილამდე ამ თანამდებობიდან არ გადაურჩევიათ...

ამ საზოგადოების წყალობით ახორციელებდა ერთად აღებულ კულტურისა და განათლების სამინისტროების ფუნქციებს...

მთელი თავისი ქონებაც, მამულები, სახლები ყვარლის, თბილისისა თუ საგურამოსი, ამ საზოგადოებას დაუტოვა ანდერძით...

●

5 მაისს ქართულმა საზოგადოებამ კონსტანტინე მამაცაშვილის საპატივსაცემოდ ნადიმი მოაწყო. ილია და აკაკი ამ ძველ გენერალსა და მრავლისმნახველ კაცს დიდ პატივს სცემენ. ერთი იმის გამო, რომ ზნეობრივი კაცი გახლდათ. გაიხსენეთ, როგორ მოიქცა ბატონყმობის გადავარდნის დროს და მეორე, მასთან საუბარს არაფერი სჯობდა. კონსტანტინე მამაცაშვილი ხომ ორი გენიოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მიხეილ ლერმონტოვის უახლოესი მეგობარი იყო. ბარათაშვილი გიმნაზიიდან, ლერმონტოვი კი ბრძოლის ველზე დაიმეგობრა.

1837 წელს, პუშკინი რომ მოკლა დუელში დანტესმა, 23 წლის ლერმონტოვმა ამ მკვლელობაზე ისეთი ლექსი დაწერა, ყველასათვის უცნობი, დამწყები სამხედრო ჩინის ჭაბუკი, ერთბაშად მთელი რუსეთისათვის ცნობილ პოეტად იქცა. აღფრთოვანებულმა ბელინსკიმ კი დაწერა, ეს ბიჭი პუშკინზე წინ წავაო, მაგრამ გაბრაზებულმა ნიკოლოზ პირველმა ის მართლაც შორს გაგზავნა, ამ

სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დასაჯა – დააქვეითა და კავკასიაში გამოუშვა.

1837 წელს, როცა ნიკოლოზ პირველი მემკვიდრესთან ერთად თბილისს ჩამობრძანდა, ამაზე ჩვენ უკვე ვწერდით, მადათოვზე გაწყობილ ჯარისკაცთა შორის ლერმონტოვიც იდგა. იქ ხელმწიფეს აღლუმი მოეწონა, ყველა დააჯილდოვა და მათ შორის ლერმონტოვიც – სასჯელი მოუხსნა. ლერმონტოვი სამშობლოში დაბრუნდა.

1840 წელს მეორედ დასაჯეს. დუელის გამო, რომელიც უნდა შემდგარიყო საფრანგეთის დესპანის ვიკონტ დე–ბარანტის შვილთან. დუელი შერიგებით დამთავრდა, მაგრამ გახმაურდა და ლერმონტოვი ამჯერად შამილის დასაჭერად გამოუშვეს. აი, სწორედ აქ ერთ რაზმში იბრძოდნენ ასაკით თანატოლები კონსტანტინე მამაცაშვილი და მიხეილ ლერმონტოვი, რომელთაც არაერთხელ სიკვდილისაგან იხსნეს ერთმანეთი, როგორც აღწერს ისტორიკოსი პოტტო.

მათი მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1841 წელს პიატიგორსკში ლერმონტოვი დუელში მოკლა მარტინოვმა. სხვათა შორის, კამათი ქართველის, ჭილაშვილის სახლში მოსვლიათ. ამ ამბავს ლერმონტოვის მოსამსახურე, ასევე ქართველი გლეხი ქაიხოსრო სანიკიძე შესწრებია. ამ სანიკიძეს არ ახსოვს სუფრაზე რა მოხდა, მაგრამ ახსოვს, ქეიფიდან ახალგაზრდები სადღაც გაიკრიფნენ. ისიც თან გაჰყოლია თავის ბატონს და საკუთარი თვალით უნახავს, რაც მაშუყის მთასთან ხდებოდა. ბარიერთან დამბაჩებით ხელში იდგნენ ლერმონტოვი და მარტინოვი.

ლერმონტოვს დაცინვით უთქვამს:

– ცოტა ახლოს მოიწიე, რომ მიზანს არ ააცდინოო..

მარტინოვმა უპასუხა თურმე:

– ნუ სწუხხართ... დრაგუნს ხელი არასოდეს არ აუკანკალდება...

არც აუკანკალდა. მარტინოვის პირველივე გასროლა სასიკვდილო აღმოჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ეტლში ლერმონტოვმა სანიკიძის მუხლებზე დალია სული. (ეს ამბავი გამოქვეყნებული აქვს ი. გრიშაშვილს).

ასე დაკარგა მამაცაშვილმა ბრძოლებში შეძენილი მეგობარი, 4 წლის შემდეგ კი კიდევ უფრო ახლობელი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ბუნებრივია, ასეთი კაცისაგან წარსული ამბების მოსმენა ინტერესმოკლებული არავისთვის იქნებოდა.

მწერლებმა კონსტანტინეს თბილი შეხვედრა მოუწყეს. აკაკის სიტყვა დაბეჭდილიც გახლავთ.

●

„ივნისის 15 – თბილისის პოლიცმაისტერი უპატაკებს თბილისის გუბერნატორს ილიას თბილისიდან საგურამოში გამგზავრების შესახებ".

„ივლისის 5 – ილია საგურამოდან ჩამოდის თბილისში".

ამის შესახებ პატაკს წერს პოლიცმაისტერი.

ბიბლიოგრაფიიდან ეს ამონაწერი შეგნებულად მოვიტანე. აი, ასე დასდევენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ამიტომ მსგავს ამონაწერს აღარ მოვიხმობ, იგულისხმეთ, რომ თუკი ილია გადაადგილდება, პოლიცმაისტერის რაპორტიც მზად არის. ერთი სიკეთე კი ჰქმნეს იმ შეჩვენებულებმა. მგოსნის ყოველი ნაბიჯი შთამომავლობას აღუნუსხეს.

●

ილია აგვისტოში მასპინძლობს გერმანიიდან ჩამოსულ არტურ ლაისტს, რომელიც უკვე აქ დაფუძნდება, შეუდგება ქართულის საფუძვლიან შესწავლას და სიცოცხლის ბოლომდე ილიას აღარ მოშორდება.

იმერეთში დიმიტრი ყიფიანს აკაკის ინიციატივითა და მესვეურობით ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლად ირჩევენ. ილია გულწრფელ მილოცვას უგზავნის თავის უფროს მეგობარს ამ არჩევასთან დაკავშირებით. ასეთივე თბილ წერილს იღებს ყიფიანისგან. თბილისში გაზეთ „დროების" თავზე შავი ღრუბლები გროვდება.

„დროება" ყოველდღიური გაზეთი იყო და აქედან გამომდინარე მისი რედაქტორი ივანე მაჩაბელი ყოველდღიურად ნერვებს აწყვეტდა ლუკა სტეფანიჩსა თუ მთელ საცენზურო კომიტეტს. გამოსავალი მოძებნეს, ადგნენ და ეს ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზეთი სამუდამოდ დახურეს. მაჩაბელი ამ დროს კახეთში იყო წასული. რომ გააგებინეს, რაც ხდებოდა, გაცეცხლებული ჩამოიჭრა. მაინც თავისი გაიტანა მაგ ნაგავმაო, ყვიროდა რედაქციაში ლუკა სტეფანიჩის მისამართით.

ყვირილი საქმეს ვერ უშველიდა. ამიტომ ქართველიშვილი – „დროების" გამომცემელი, ვანოსაც მოელაპარაკა და ილიასაც. მოდით, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინოთ, იქნებ გაზეთი დახურვას გადავარჩინოთო და საცენზურო კომიტეტს მისწერა – ნება მოგვეცით მაჩაბლის ნაცვლად „დროების" რედაქტორობა ილია ჭავჭავაძეს მივანდოთო.

აბა, სტეფანიჩი რა კაცი იქნებოდა, ეგრე იოლად რომ გაცუცურაკებულიყო.

ჭავჭავაძე მაჩაბელზე უარესიაო – დაასკვნეს იქ და „დროება" სამუდამოდ აკრძალეს.

საზოგადოება გაოგნდა, ჟურნალისტები გააფთრდნენ, მაგრამ რა ჩარა იყო. სამაგიერო იმითღა გადაუხადეს, რომ ამობეჭდეს აკაკის აკრძალული ლექსი „ხანჯალს", ქვეშ ლუკა ისარლიშვილი მიუწერეს და გაავრცელეს განსაკუთრებით იქ, სადაც ჯერ არს...

ისარლოვი ძალიანაც მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. სულაც არ სჭირდებოდა მტკიცება, არ ვარ მე ის კაციო. ისედაც ვინ დაიჯერებდა, ვინ იფიქრებდა, ისედაც ყველამ იცოდა, ეს იმისი დამწერი რომ არ იყო...

„დროებას" ვალი დარჩა. ილიამ გამოაცხადა, ეს არ არის მაჩაბლის ვალი, ეს საზოგადოების ვალია, რომელსაც გაზეთი ემსახურებოდაო. წაქცეულ კაცს ვინღა უწვდის ხელს? – ქუთაისის თავადაზნაურობამ მოიწერა, ჩვენ მაგ ვალის გადამხდელები არ ვართო...

●

სექტემბრის ბოლოს ორმოცდაათამდე კაცი იკრიბება იოსებ მელიქიშვილის სახლში. ყველა ერთად ასკვნის, რომ უსამართლოდ დაჩაგრული მაჩაბლის მხარში დგომა ისიც იქნება, თუ „დროების" ვალებს საზოგადოება გაისტუმრებს. ეგ საზოგადოების ვალიაო. ილიას მეთაურობით შედგა კომიტეტი, რომელმაც ვალის გასტუმრება უნდა შესძლოს.

ამავე კრებაზე დაადგინეს, უგაზეთოდ რომ არ დავრჩეთ, ყოველთვიური ჟურნალი „ივერია" გადაკეთდეს ყოველდღიურ გაზეთადო.

მაჩაბელმა იფიქრა, ყოველდღიური გაზეთის კეთებას ილია არ იტვირთებსო, იფიქრა კი არა, პირში უთხრა, ხომ იცი, ყოველდღი-

ურად თქვენ არ იმუშავებთო. ილიამ იწყინა. ვიმუშავებ და გამოვცემ კიდეცო. რასაც აიჩემებდა, – გამკეთებელი იყო.

შეადგინა გუნდი. დაუგზავნა ყველას წერილები თანამშრომლობის თხოვნით. მეუნარგია პეტერბურგში იყო. იქ მისწერა წერილი, მასალები არ დამიძვიროო. ფსევდონიმიც თავად შეურჩია, – თუ გინდა აბედი დაირქვი, ცეცხლს იძლევაო, მაგრამ თან ეხუმრება, ცოტა საშიში კია, აკაკი წერეთელი რუსულ ობედად მოგნათლავს, შენს ჭამა–სმაზე ეგ ხომ სულ იცინისო. თვით აკაკი განსაკუთრებული, გამორჩეულად მოკრძალებული წერილით მიიწვია სათანამშრომლოდ. ჟურნალში არ მეკარებოდი, ახლა თუ მიმართულებას არ მიწუნებ, ნუ მეტყვი თანამშრომლობაზე უარსო. ამ მიმართვამ გასჭრა. აკაკი მუდმივ თანამშრომლად იქცა.

დადგა 31 დეკემბერი. ილიამ რედაქციაში მოიწვია ყველა, ვისი დაპატიჟებაც გულით ეწადა, აკაკი პირველ რიგში, მაგრამ ქალაქში არ აღმოჩნდა. აქ არიან: ვანო მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, გიგა ყიფშიძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ლოლობერიძე, ქუთაისის ქალაქის თავი ასათიანი, პეტრე უმიკაშვილი, არტურ ლაისტი და სხვა, 40-მდე კაცი.

შეიქნა ღვინის სმა, აგუგუნდა მრავალჟამიერი. ჩამოჰკრა ახალი 1886 წლის დადგომის მაუწყებელმა ზარმა და ამ ზარს შემოჰყვა ყოველდღიური „ივერიის“ პირველი, გუტენბერგის მანქანიდან ახლად გადმოღებული, სტამბის სუნით გაჟღენთილი ნომერი.

„გავიგონე ის ტაშის კვრა, ის სიხარულის კიჟინა, რომელმაც თითქო აიტანა ზევით ერთი სახლი ახალბებუთოვის ქუჩაზე. უხუცესმა და „უტოლუმბაშესმა“ ჩვენმა პოეტმა, რაფიელ ერისთავმა კისრად აიღო ახალშობილის მონათვლა, ასხურა მას „მილით მოსაყვანი“ ყვარელის ღვინო, მოაყარა ზედ მარილი და დალოცა ექსპრომტით ნათქვამი ლექსებით. ამგვარი ლექსები ამ სამახსოვრო საღამოს ბუზებსავით დაჰფრინავდნენ სუფრაზედ“. (ილ. ხონელი „ივერია“ 1886 წ. №3).

იმ ღამით ნათქვამი ერთი ექსპრომტი დავით ერისთავისა „ივერიამ“ შემოგვინახა. აი ისიც:

„ღმერთმა ინებოს, ილია,
არ მოგერიოს ძილია
და კარგათა გაგეზარდოს
ეს მამისერთა შვილია!“

1886

ლუკა სტეფანიჩი. ილიაზე აღშფოთებული ალ.ყაზბეგი. სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მკვლელობა. დიმიტრი ყიფიანის წერილი ეგზარქოს პავლესადმი. ყიფიანის გადასახლება. ჩაიკოვსკის ჩამოსვლა. ვაჟას ფათერაკები. ფრანგო, შენ გითხარი და ქართველო, შენ გაიგონეო. ნიკო დადიანი ბულგარეთის ტახტის პრეტენდენტი.



„ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი."

ილია

„ღმერთმა ინებოს, ილია, არ მოგერიოს ძილია", – დავით ერისთავმა ეს ექსპრომტი შემთხვევით არ უთხრა, ისიც მაჩაბელივით სიზარმაცეში ამუნათებდა. ილიამ კი, რაც მაჩაბელს ნაწყენმა მიუგო, – ვიმუშავებ კიდეც და ყოველდღიურ გაზეთს გამოვცემ კიდეცო, – ბეჯითი მოწაფესავით შეასრულა.

ვგონებ, იმდენი არასოდეს უმუშავია, რაც 1886 წელს. ყოველდღიური გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება მისი მოწინავე წერილი. ეს წერილები ერთ უზარმაზარ ტომს შეადგენს. ძილი, მგონია, საერთოდ აღარ მიჰკარებია. თუ ბანკი, თუ წერაკითხვის საზოგადოება, თუ დრამატული დასი. ამას დაამატეთ ყოველდღიური გაზეთი და მუდმივ სხვა საზოგადო საქმეების ცენტრში ყოფნაც, ამას დაამატეთ ცენზურასთან ყოველდღიური ომი...

თუ ადრე თვეში ერთხელ უწევდა ლუკა სტეფანიჩთან ურთიერთობის „სიამოვნება", ახლა ყოველღამ სტეფანიჩის განაჩენს ელოდება მთელი რედაქცია. ყოველდღიური გაზეთი ჯერ დაბადებულიც არ იყო, 2 იანვარს საცენზურო კომიტეტმა უკვე იჩივლა – გაზეთის პროგრამა არ შეგვითანხმესო.

ლუკასთან გასაგზავნად გიგა ყიფშიძე მუდამ მზად ჰყავთ, მაგრამ ლუკას არავის დანახვა არ სიამოვნებს, რასაც წითელი ფანქრით გადახაზავს, იმას მამა–ზეციერიც ვერ აღადგენს...

ერთხელ მანსვეტაშვილი გამოეცხადა. თავისი დაჩეხილი წერილის აღდგენა სურდა. ილიამ დააბარა, თუ ვერაფერს შეასმენ, ლუკა ისარლიჩობით მიმართე, ეს ძალიან ამწარებს და ეგრე ამოიყარე ჯავრიო.

მივიდა მანსვეტაშვილი. ევედრა, ემუდარა.

შეაყარე კედელს ცერცვი.

ამ ღვთისპირიდან გადავარდნილ ისარლიშვილს იუმორის ნიჭი კი ჰქონია. უთქვამს, – დაანებე, კაცო, თავი ამ კატკოვებს, იანოვ-

სკებს, აგერ იმერეთში ჭიპაძე ცხოვრობს, გლეხებს ჩაგრავს და ჭიპაძეზე წერეო.

მერე ახითხითდა და დასძინა: მოდი, ჭიპაძე ფსევდონიმად აიღე, აბა რას ჰგავს თქვენს გაზეთში ვიღაცა დონ–იაგოს უცნაური ფსევდონიმით რომ წერსო.

ეშმაკობდა მამაძაღლი. ზუსტად იცოდა, ეს მანსვეტაშვილის ფსევდონიმი რომ იყო. თხოვნა ბანზე აუგდო და აქეთ დასცინოდა...

ამისგან არაფერი გამოდნებაო, იფიქრა მანსვეტაშვილმა, გავამწარებ მაინცო და დაემშვიდობა – კარგად ბრძანდებოდე, ლუკა ისარლიჩო...

დატოვა სახტად სტეფანიჩი და წამოვიდა თავადაც გაწიწმატებული.

იქნებ ცენზურის „დამსახურებაც" იყო. ამ წელს ილია მოწინავეებს ან ბულგარეთზე წერს, ან ირლანდიაზე და პარნელზე, გერმანიაზე და ბისმარკზე, საფრანგეთზე, ძირითადად უცხოეთზე, მაგრამ ყველა წერილში ჩვენს ტკივილებს ამოიკითხავთ.

მაგალითად, ბულგარეთზე წერისას აუცილებლად ხაზს გაუსვამს, – როგორ გამწარებულია რუსეთი ბოლგარიაზე. თურქეთისგან ჩვენ ვიხსენით და რამდენიმე წელიწადში როგორ გვღალატობენ, ჩვენს თავს ისევ თურქეთს არჩევენო...

ლუკამ რა ჰქნას? ბოლგარიაზე წერას ხომ ვერ აუკრძალავს იმ მოტივით, გინდა თუ არა საქართველოს ბედსაც გულისხმობო, ხომ ვერ იტყვის, ირლანდია რომ თავისუფლებისათვის ინგლისის იმპერიას ებრძვის, ამის დაწერა არ შეიძლებაო...

ერთი სიტყვით, როცა იმ დროის პრესას კითხულობ, უნდა ამოხვიდე ეპოქის ქერქიდან. უნდა იცოდე რა დოზით რისი დაწერა იყო დასაშვები და შესაძლებელი. 80 წლის მანძილზე ასეთი სიმკაცრე არასოდეს ყოფილა. კორსაკოვს მსტოვრები, შურტები ჰყავს სკოლებში, დაწესებულებებში, ოჯახებში. საყოველთაო შიშს თესავს... იმასაც კი მოახსენებენ, ამან იმპერატორის სადღეგრძელო დალია, იმან უარი განაცხადა და გვერდით მჯდომს ყურში იმპერატორზე უწმაწური სიტყვები ჩასჩურჩულაო... მერე ეს ამბები ოფიციალურ პროტოკოლებში აისახება.

იანოვსკი 1885 წლიდან ქართულ ენას სულ აკრძალავს. ქართველ მასწავლებლებს გარეთ ყრის. რუსებმა ქართული არ იციან, ქართველმა ბავშვებმა რუსული, აბა, როგორ უნდა ისწავლონ?

მარტივად. მოიგონა სწავლების მუნჯური მეთოდი. თუ მასწავლებელს უნდოდა ეთქვა, რომ ძაღლი ყეფს ან ხტის, ეს მიმიკებით, ყეფით, ხტუნაობით უნდა გამოეხატა. არ ვხუმრობ, ესეც იმ მუნჯურ წესებში სწერია...

ცენზურა კი... მაგალითად, ცენზორმა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარიდან" სიტყვები საქართველოს ბუნება ასე შეცვალა – თბილისის გუბერნიის ბუნება, ქუთაისის გუბერნიის ბუნება...

ყველაფერი ზემოდან მოდიოდა. იმპერატორის გამზრდელ პობედონოსცევიდან, შინაგან საქმეთა მინისტრ ტოლსტოიდან და მათ იდეოლოგ კატკოვიდან. ალექსანდრე მესამე ამათი კაპრიზების ბეჭდის დამსმელი იყო.

საქართველოს კიდევ რა უჭირდა. საქართველოსი არა, მაგრამ ცალ-ცალკე აღმოსავლეთ საქართველოს ან დასავლეთ საქართველოს ხსენება შეიძლებოდა, პოლონეთს კი სახელი სულ წაართვეს. პოლონეთის ნაცვლად ვისლისპირეთი დაარქვეს...

ამიტომ ვთქვი, იმ დროის ნაწერებს რომ კითხულობ, ეპოქის ქერქიდან უნდა ამოხვიდე-მეთქი.

მაგალითად, „ივერიის" ერთი პუბლიკაციის გამო დიდად იყო აღშფოთებული ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც რედაქციის, ისე რედაქტორის მიმართ. არადა, თუ „ეპოქის ქერქიდან" ამოვალთ, ყველაფერი გასაგები ხდება. ის პუბლიკაცია არათუ აღმაშფოთებელი, პოლიტიკური მახვილგონიერების ნიმუშიც კი იყო. საუბარია იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურა „ივერია" შემაძრწუნებელ საქციელს, რომელიც ეგზარქოსმა პავლემ ჩაიდინა. თუმცა თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენებს.

თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი იყო პავლე ჩუდეცკი, რომელიც თუ მოწაფეს კლასგარეშე ლიტერატურას აღმოუჩენდა, ან, უბრალოდ, ქართულ ლაპარაკს გაიგონებდა, პიროვნულად რჩებოდა შეურაცხყოფილი.

ეს ჩუდეცკი სასტიკად სცემა სემინარიის მოსწავლემ სილიბისტრო ჯიბლაძემ (შემდეგში მენშევიკების ერთ-ერთი ბელადი), რომელიც დასაჯეს და დისციპლინარულ ბატალიონში განამწესეს.

1886 წლის 24 მაისს კი ჩუდეცკი ხანჯლით მოკლა სემინარიიდან გამორიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა. დაუყოვნებლივ გაასამართლეს, მაგრამ არასრულწლოვანების გამო, 20 წლის იყო (ნუ გაიკვირვებთ, სრულწლოვან ასაკად მაშინ 21 წელი ითვლებოდა), ჩამოხრჩობა ვერ მიუსაჯეს და 20 წლით კატორღაში გაუშვეს. კა-

ტორლიდან (სახალინიდან) გაქცეულა იაპონიაში, იქიდან გადავიდა ამერიკაში და იქ ცხოვრობდა თომას კოკის სახელით. მუშაობდა ოფიციანტად. გარდაიცვალა 1913 წელს.

პავლე ჩუდეცკის მკვლელობის გამო ეგზარქოსმა პავლემ წონასწორობა დაკარგა. ის აღაშფოთა არა მხოლოდ თავისთავად ტრაგიკულმა ფაქტმა, არამედ მკვლელობამ თავისი თანამოაზრისა და თავისი საყვარლის საყვარელი ქმრისა. უკანასკნელი ფრაზა, ცხადია, გაუგებარი დარჩება, თუ არ განვმარტავთ. პავლე ეგზარქოსი იყო, ერთი მხრივ, ანაფორაში გადაცმული იდეოლოგიური სატრაპი და, მეორე მხრივ, უზნეო აშიყი. გარდა იმისა, რომ ქვეყნის „სულიერ მამას" სძულდა ქართველობა, ის სხვა მხრივაც ამჟღავნებდა თავისებურ „მორალს".

ეგზარქოს პავლესა და რექტორ პავლე ჩუდეცკის, სახელის გარდა, ბევრი საერთო ჰქონდათ. მათ ურთიერთობაზე ზედგამოჭრილია ბერანჟეს ლექსი „სენატორი". მაგალითად, ჰყავდათ საერთო ტურფა... უფრო სწორად, პავლე ჩუდეცკის ცოლი გახლდათ ეგზარქოსის საყვარელი, რომელსაც საღამოობით ელოდა ეგზარქოსის გაგზავნილი ეტლი. ამ ეტლში სიამოვნებით ააბრძანებდა ხოლმე ქმარი ცოლს „უწმინდესობასთან" მთელი ღამით მისავლინებლად. ის კი არა, ცოლს მოკაზმვაშიც ეხმარებოდა, ემანდ, დიდი პავლე უკმაყოფილო არ დარჩესო...

აი, ასეთი პავლე მოუკლეს მთავარ პავლეს... თუმცა ირონია იქით იყოს, ეგზარქოსი საყვარლის ქმრის სიკვდილის გამო ასე არ გადაირეოდა, იქნებ გახარებოდა კიდეც. ის სხვა გარემოებამ აღაშფოთა. მიხა ცხაკაიას გადმოცემით ლაღიაშვილს თურმე სწადდა ეგზარქოსის მოკვლა. იგი არ დაუხვდა ოთახში, შემდეგ შევიდა ჩუდეცკისთან და იგი მოჰკლა (იხ. ქ. ირემაძის „დღიურები"(ლიტ. მატიანე,1985წ.გვ.171)).

ეგზარქოსმა, იოსებ ლაღიაშვილის გამო, 26 მაისს, სიონის ტაძარში, მრევლთან გამოსვლისას დაწყევლა მთელი ქართველი ერი.

პავლე ჩუდეცკის ცხედართან ეგზარქოსს უთქვამს: **„დაიწყევლოს სამუდამოთ შენი მკვლელიცა და ის ოჯახიც, რომელმაც შობა იგიო, დაიწყევლოს ის ნრე და ის ერიო, რომელმაც დაბადა და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა შენი მკვლელიო".**

ჯალალედინის შემდეგ სიონის ტაძარს ბევრი შეურაცხყოფა ახსოვდა ამ მე-19 საუკუნეშიც. აქ გამოცხადდა ალექსანდრე I მა-

ნიფესტი, ქართლ-კახეთის სამეფოს რომ აუქმებდა. მაშინ ქართველებმა ვერც ვერაფერი გაიგეს, რა ეწერა იმ ტექსტში, მაგრამ იმპერატორის ტიტულების ჩამოთვლისას, ი პროჩაია, ი პროჩაიაო, რომ მოესმათ, ამაზედ იკრეს ხანჯალზე ხელი, ეს რა შეურაცხმყოფელი სიტყვები გვესმის წმიდა ტაძარშიო...

მერე იმ წმინდა ტაძარში რუსთაგან საქართველოს პირველი ამაოხრებლის, თავმოჭრილი პავლე ციციანოვისა და მარიამ დედოფლისაგან განგმირული ლაზარევის გვამები დაგვისაფლავეს.

მაგრამ ასეთი გამოწვევა, თანაც ვისგან, ქვეყნის სულიერი მამისგან ამ კედლებს არ სმენოდა. ელვასავით გავრცელდა ეგზარქოსის სიტყვები. მთელი ქვეყანა დრტვინვამ მოიცვა. ერთადერთი გაზეთი იყო „კავკაზი", რომელსაც ნება დართეს პავლეს სიტყვების პუბლიკაციისა, ცხადია, შერბილებული, ოდნავ შეფერილი სახით.

1886 წლის პრესაში ამ საშინელი წყევლისა და შემდგომი რეაქციის აღწერას ვერ ნახავთ. ცხადია, ცენზურა არც ერთ პუბლიკაციას არ დაუშვებდა.

ზეპირმა ინფორმაციებმა უფრო დაზაფრა ხალხი. მთავრობა იძულებული გახდა, ეგზარქოსისთვის შეიარაღებული დაცვა დაენიშნა...

ამ ვითარებაში ილიას „ივერიაში" მახვილივით ორლესული ცნობა დაიბეჭდა. ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი ქართველი კი არა, ეროვნებით ოსი აღმოჩნდაო. მანსვეტაშვილი იგონებს: „შემოვარდა ჩემთან წერა-კითხვის საზოგადოებაში გააფთრებული სანდრო და გაჯავრებულმა მითხრა: „გადაეცი თქვენს ილიას, რომ მაგისთანა სისულელის დაწერა მეორედ აღარ გაბედოს. რად უარყოფთ ლაღიაშვილის ქართველობას, პირიქით, თავი უნდა მოგვქონდეს, რომ ჩვენგან გამოვიდა გამბედავი ახალგაზრდა, რომელმაც კისერი მოუგრიხა იმას, ვინც ჩვენ ეროვნულ ღირსებას ფეხქვეშ სთელავდა და აფურთხებდა".

ილიას ალექსანდრე ყაზბეგთან არ ჰქონდა ახლო ურთიერთობა, ისე როგორც სანდროს ბიძაშვილის, ადრე გარდაცვლილი დიმიტრი ყაზბეგის სხვა მეგობრებს. ამას ჰქონდა თავისი მიზეზი, რასაც პეტრე უმიკაშვილი არც მალავდა, მაგრამ ამაზე საუბარი აქ შევწყვიტოთ. მთავარი აქ სხვაა. სანდრო გულწრფელად აღაშფოთა იმან, რაც „ივერიაში" წაიკითხა, მაგრამ იმჟამად ის უკვე ფსიქიკურადაც იმ მდგომარეობაში იყო, ღრმად ველარც ჩაუკვირდებოდა, სინამდვილეში რა გააკეთა ილიამ.

ეგზარქოსი პავლე ქართველ ერს არ ახსენებს. პავლე წყევლის იმ ხალხს და იმ ქვეყანას, რომელმაც გამოზარდაო მკვლელი.

იმჟამად რუსეთს ორი საიმედო და დასაყრდენი ხალხი ჰყავდა კავკასიაში – ოსები და სომხები. რუსი მრავალგვარი ღონისძიებით ცდილობდა, ერთიც ქართველისთვის წაეკიდებინა და მეორეც.

ილიაც ადგა და დაბეჭდა, ეს ლაღიაშვილი ოსი ყოფილაო. რა გამოდის? ეგზარქოსს ქვეყანასთან ერთად ოსი ხალხიც დაუწყევლია, ანუ ქართველების დრტვინვას ოსების დრტვინვაც უნდა შეერთებოდა. მაშ რა ენაზე უნდა ელაპარაკო ცხვრის ტყავში გახვეულ მტერს, რომელიც იმ ტყავსაც იხსნის და საჯაროდ იწყევლება?

რაკი საგაზეთო პუბლიკაციები შეუძლებელი იყო, დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა 6 ივნისს პირადი წერილი მოსწერა ეგზარქოსს. წერილი, რომელიც მყისვე გახმაურდა, ხელიდანხელში გადადიოდა და მთელ საქართველოს გული მოფხანა. თუ ეს ყოველივე მართალიაო, იწერებოდა დიმიტრი ყიფიანი, **„შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილი ქვეყნიდან-ო“.** საგულისხმოა, რომ დიმიტრიმ ეს წერილი თავადაზნაურთა წინამძღოლის ბლანკიან ქაღალდზე დაწერა, რითაც ხაზი გაუსვა, – ეს ჩემი ხალხის მოთხოვნაც არისო.

ამ წერილს ისეთი ამბები მოჰყვა, აღარც მოკლული ჩუდეცკი ახსოვდა ვინმეს და აღარც დაპატიმრებული ლაღიაშვილი.

ეგზარქოსმა სასწრაფოდ აფრინა ყიფიანის წერილი ყველგან, სადაც ჯერ არს. იმჟამად პიატიგორსკში რუსეთის ობერ-პროკურორი, ფაქტიური მმართველი პობედონოსცევი ისვენებდა. იქ არის სამხედრო მინისტრი ვანევსკი, მთავარმართებელი დონდუკოვ–კორსაკოვი. აი, ამ სამ უმაღლეს გვამთან მიცუხცუხდა ეგზარქოსი პავლეც ყიფიანზე საჩივრით. კორსაკოვს ყიფიანის საწინააღმდეგო არგუმენტების მოსმენა არც სჭირდებოდა. 40 წლის ნაცნობობის მიუხედავად (ყიფიანიცა და კორსაკოვიც ხომ ერთად მუშაობდნენ ვორონცოვთან), ახლა მას დიმიტრი დასაღუპად ემეტებოდა. ვერ მოენელებინა, რომ წინა წელს საქართველოში ჩამოსულ მიხეილ ნიკოლოზის ძეს ყიფიანი ჯერ ბათუმში, შემდეგ ბორჯომში ეწვია და მთელი უბედურება, რაც კორსაკოვის დროში საქართველოს დაატყდა, დაწვრილებით მოახსენა, ესეც არ იკმარა და საუბრის შინაარსი საჯარო გახადა. მაშინ ვერაფერი მოუხერხა

საყვედურის გარდა მთავარმართებელმა ყიფიანს, ახლა კი სამაგიეროს გადახდის დრო დამდგარიყო...

რუსეთის წმინდა სინოდის ობერ-პროკურორმა პობედონოსცევმა ეგზარქოსსა და მთავარმართებელს იმედი არ გაუცრუა. 20 ივნისს იმპერატორს ასეთი წერილი მისწერა: „აქ კისლოვოდსკში ყოველდღე ვხვდები პ.ს. ვანევსკისა და თ.დ. დონდუკოვს. უკანასკნელთან ხშირად ვსაუბრობ ამ მხარეში შექმნილ მდგომარეობაზე, რომელიც ვერ ტოვებს სანუგეშო შთაბეჭდილებას. აქაც ის მწარე გაკვეთილი მეორდება, რუსეთს არაერთხელ რომ უწვნევია იმ უცხოტომელთაგან, რომლებიც გადაგვირჩენია კიდეც და სხვა ათასი სიკეთეც გვიყვია. როცა ქართველებს სპარსელებისგან საფრთხე ემუქრებოდათ, ლამის ჩვენზე ლოცულობდნენ. მაგრამ შემდეგ, – ჯერ კიდევ ერმოლოვის დროს, – როგორც კი საშიშროება მინელდა, განდგომილების პირველმა ნიშნებმაც იჩინა თავი. მერე შამილი გამოჩნდა და ქართველები ისევ დაშოშმინდნენ. ამ საფრთხემაც გაიარა და ისინი კვლავ მძვინვარებამ შეიპყრო. და ეს მაშინ, როცა ჩვენ მათ არხეინად ვანებივრებდით და სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე გულუხვ წყალობასაც ვაჩვევდით. უცხოტომელთა მოვლა-პატრონობის ასეთმა წესმა მიიყვანა სნორედ რუსეთი დღევანდელ მდგომარეობამდე. მათს ცხოვრებაში წესრიგის შეტანის ნებისმიერი ცდა, როგორც წესი, მათი მხრიდან უაზრო ვნებათა-ღელვასა და პრეტენზიებს იწვევს. სემინარიის რექტორის შემაძრწუნებელ მკვლელობას აქაური უცხოტომელები აღშფოთებით კი არ შეხვდნენ, არამედ ნიშნის მოგებით. რექტორის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეგზარქოსმა გამოხატა უღრმესი მწუხარება, – და ამასთანავე, გულისწყრომაც, – ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო. ეს სიტყვა მკვლელის ჭკუას გადაცდენილმა მომხრეებმა საწყენად მიიღეს. და აი, ქუთაისის თავად–აზნაურობის წინამძღოლი ეგზარქოსს მიმართავს სულელური და უტიფარი წერილით და მუქარის კილოთი ურჩევს, დატოვოს კავკასია. გაახლებთ ასლს ამ წერილისას და მასზე ეგზარქოსის პასუხს. მაღალი თანამდებობის წარმომადგენლობითი პირის ამგვარი საქციელით სამართლიანად აღშფოთებულმა თ.დმა დონდუკოვმა წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვა ყიფიანის ამ მხარიდან გადასახლების ნებართვა, რათა ეს თავხედობა არ დარჩეს დაუსჯელი და სხვებისთვისაც არ გახდეს მაგალითის მიმცემი.

ის იყო, ამ დოკუმენტების წაკითხვა ძლივს მოვასწარი და შემომიტანეს ქართველების მორიგი გამოხტომის მაუწყებელი დეპე-

შა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლიდან ცუდი ყოფაქცევისათვის გარიცხული 18 წლის არამზადა თავს დასხმია ამავე სასწავლებლის ზედამხედველს და მისთვის კეტით თავ-პირი დაუსისხლიანებია... ეს შემთხვევები ცხადად გვიმტკიცებს, რომ ამ მხარეში წესრიგის აღდგენისა და ხელისუფლების მიმართ პატივისცემის დანერგვის მიზნით აუცილებელია მკაცრ ღონისძიებათა ფართო პროგრამის განხორციელება". (იხ. „საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი" თ. ჯოლოგუას კომენტარებით. თბ. 1997წ).

ალექსანდრე მესამემ თანხმობის ბეჭედი დაჰკრა და ანტიქართულ ღონისძიებათა ფართო პროგრამის განხორციელება დაიწყო იმით, რომ დიმიტრი ყიფიანს წინამძღოლის უფლებები აჰყარეს და ანაფორიანი სატანისთვის მიწერილი ბარათის გამო 73 წლის მოხუცი სამუდამოდ სტავროპოლში გადაასახლეს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ დიმიტრი ყიფიანი დაბადებულია არა 1814 წელს, არამედ 1811 წელს, ანუ ამ დროისათვის ის თითქოს 75 წლის იყო, მაგრამ მისმა მეუღლემ ალბათ უკეთ იცოდა ქმრის ასაკი. სწორედ მეუღლე წერს, ჭილაშვილის ქალი, 73 წლის მოხუცი გადამისახლესო...

დიმიტრის ვერ უშველა ვერანაირმა წარსულმა დამსახურებამ. რაკი დაასკვნეს, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მათ ჩინოვნიკად მყოფი ყიფიანი გულით დიდ ქართველ პატრიოტად დარჩენილიყო, ხელმეორედ გაუყენეს გადასახლების გზას. ილია, აკაკი, ვახტანგ ორბელიანი, მთელი გუნდი დიმიტრის უმცროსი მეგობრებისა თუ თანატოლებისა გულს ასკდებოდნენ უძლურებისა გამო. თვით დიმიტრი კი დიდად არ ჯავრობდა. სამშობლოსათვის პატიმრობით დავიწყე ჩემი ცხოვრება და მამულისათვის პატიმრობითვე ვამთავრებო, უკეთეს სიბერეს ვერც ვინატრებდიო.

●

ამ მძიმე ამბის შემდეგ იქნებ ცოტა სიმსუბუქე შემოიტანოს იმის გახსენებამ, რომ 1886 წელს თბილისის ოპერაში დაიდგა „მაზეპა". არათუ დასავლეთ საქართველოდან, ბაქოდანაც კი ჩამოვიდა დელეგაცია. მაგრამ ილია და ოპერა რა კავშირშია? იკითხავს მკითხველი და სამართლიანადაც. თუ რამე არ უყვარდა ილიას, ოპერა იყო. სმენა არ ჰქონდა, მაგრამ სიმღერის ტრფიალი იყო. ხელს უშლიდა მომღერლებს, მაგრამ, ცოტა შეზარხოშებული, თავს ვერ შეიკავებდა, სიმღერას სიხარულით

აჰყვებოდა. აი, ოპერა კი არა და არ უყვარდა. ის კი არა, ერთხელ ერთ ოხუნჯობით ცნობილ ახალგაზრდას ოპერაში ასეთი პირობით გაჰყვა, როცა ყველაზე დაბალ ხმაზე აყღერდება მუსიკის ჰანგები, ბარაბანს დაჰკარ ველურადო. ამ კაცმაც დავალება ფრიადზე შეასრულა და როცა რეჟისორი გამოუდგა ნასიამოვნები ჩაუყვა გოლოვინის პროსპექტს, რომ მასზედ დიდხანს ილაპარაკებდნენ... ამ ხულიგნობის გამო ილიაც მეტად კმაყოფილი დარჩენილა...

„მაზეპაზე" კი საკუთარი სურვილით წავიდოდა. „მაზეპა" რა შუაშია? საქმე ის გახლავთ, რომ თბილისში მისი ავტორი ჩამოვიდა – პეტრე ჩაიკოვსკი, რომელსაც უკვე მსოფლიო აღიარება ჰქონდა მოპოვებული. ილიასთვის კი მასთან შეხვედრა სტუდენტობის წლებისა და იმ სიყვარულის გახსენება იყო, რომელმაც ბრწყინვალე სატრფიალო ლექსები დააწერინა. ეს ცნობილი კომპოზიტორი ხომ ილიას იმ პეტერბურგელი შეყვარებულის ძმა იყო, რომელთანაც ღრმა და სათუთი გრძნობა აკავშირებდა სტუდენტ ილიას. ამათ ოჯახში ხომ ერთ დროს ილია შვილივით იყო მიღებული...

●

1886 წლიდან ილიას კიდევ ერთი შეხვედრა უნდა გავიხსენოთ, განგების ნებით მომხდარი შეხვედრა აღიარებული წინამძღოლის და დამწყები გენიოსისა. დიახ, ეს სიტყვა – გენიოსი ვაჟას მისამართით პირველად ილიამ თქვა. მათი გაცნობა სწორედ 1886 წელს მოხდა „ივერიის" რედაქციაში. რუსთაველი რომ ამბობს, „ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდა მოცახედების"-ო, ასეა ყოველი კაცის საქმე. რაც არ უნდა სცადო, თუ ცოტა ბედმა და ღმერთმაც არ გიშველა, შეიძლება დიდმა ნიჭმაც კი მეტეორივით ჩაიქროლოს...

ვაჟას ყველა რომ „ნობათის" რედაქტორის ანდრია ღულაძესავით შეხვედროდა, ვინ იცის, იქნებ ხელიც ჩაექნია იმ უმადურ საქმეზე, რასაც მწერლობა ჰქვია. 1883 წელს ორი თხზულება, ერთი პროზაული და მეორე ლექსი, ერთი „შვლის ნუკრის ნაამბობი" და მეორე „მოხუცის ნათქვამი", „ნობათში" მიეტანა. ორივე გენიოსის ნახელავია, მაგრამ ამის გაგებას ნიჭი უნდა, ვერ გაიგეს. პროზა განახევრებული დაუბეჭდეს, ლექსი კი 3 წელიწადს უქმად ეგდოთ უჯრაში. ვაჟა ილიამდე „დროების" რედაქციასაც ეწვია, მაგრამ მესხმა ის უფრო დიდ მოჩხუბარად გაიცნო, ვიდრე პოეტად... ამ ამბავს

აკაკიც შესწრებია და მოგვიანებით, 1911 წელს გაიხსენებს, რომ 80-იანი წლების დასაწყისში თბილიში ვინმე აშინოვი ჩამოსულა. ვინმე ჩვენთვის იყო თორემ, ეს აშინოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე, პეტერბურგში გმირის შარავანდედით ჰყავდათ მოსილი. ციმბირის დამპყრობ ახალ ერმაკად ასაღებდა თავს. თავი მოჰქონდა თავისუფალი კაზაკების ატამანად. აბისინია რუსეთის კოლონიად უნდა ვაქციოო, ტრაბახობდა. თავის მხრივ, ამ ავანტიურისტს ტაშს უკრავდა კატკოვი და აქეზებდა თვით პობედონოსცევი. არადა, ამ მაღალი გვამების პროტეჟეს თბილისში ჩამოსვლის ფაქტი „დროების" რედაქციამ ირონიით აღნიშნა (ილიამ მწარე წერილი უძღვნა ამ ყალთაბანდს).

მეორე დღეს რედაქციის ხის კიბეზე ადის კაზაკთა ატამანი და კარის შეღებისთანავე დაიღრიალებს, ვინ არის აქ რედაქტორიო. აქ რედაქციაა, ბატონო, რა გაყვირებთო, ჯერ კი დალაგებულად უთხრა მესხმა, მაგრამ, როცა სტუმარმა აუხსნა, ვინ იყო და კიდევ უღრიალა – თუ საქვეყნოდ ბოდიშს არ მომიხდი, ყელს გამოგჭრიო და ხანჯლის ამოწევა დაიწყო, გვარიანად დამფრთხალან სერგეი მესხიცა და მასთან სტუმრად მყოფი აკაკი წერეთელიც. ოთახში მესამე, ახალგაზრდა ვაჟა იყო. მაგ ხანჯლის ამოღება არ გაბედო, თორემ ზედ წამოგაგებო, შესძახა ამ ატამან კაცს, სტაცა ქეჩოში ხელი და იმავე ხის კიბეზე, საიდანაც ამობრაგუნდა, ბურთივით ჩააგორა.

იმ წუთიდან ეს „აბისინიის დამპყრობი" „მაკედონელი" თბილისიდან უჩუმრად აორთქლდა...

სხვათა შორის, „ივერიაშიც" ჩხუბის წყალობით მოხვდა ვაჟა, მაგრამ მანამდე, პირად გაცნობამდე, ილიამ მისი ფასი უკვე იცოდა. იაკობ მანსვეტაშვილს „შვლის ნუკრის ნაამბობზე" „ივერიაში" რეცენზია დაუბეჭდავს. დიდად აქებდა ვინმე ლუკა რაზიკაშვილს, იმავე ვაჟა ფშაველას. ილიამ რომ წაიკითხა, შუბლი შეიკრა. გადაჭარბებული ქება გადაჭარბებულ ლანძღვაზედაც კი უარესიაო, – ეს ხომ ილიას სიტყვებია. ვერ დაიჯერა, რომ დამწყებ მწერალს გადაჭარბებულად არ აფასებდა მისი თანამშრომელი. დაუძახა იაკობს და უთხრა, აბა ერთი წამიკითხე ეგ მოთხრობაო.

იაკობი კითხულობს, ილიას შუბლი ნელ-ნელა ეხსნება. პირს ღიმილი ეფინება, სახეზე ნათელი ადგება და „შვლის ნუკრის ნაამბობის" ჩამთავრების შემდეგ, წამოიძახებს: კოჭებში ეტყობა, რა ვაჟიც დადგება მაგ ვაჟასგანო. აღფრთოვანებულია, სიამოვნებისგან გაბადრული.

გადის ცოტა დრო და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში საჩივარი მოდის. თონეთში, სოფლის მასწავლებლმა ლუკა რაზიკაშვილმა, სამი რუსის ოფიცერი გალახაო.

მანსვეტაშვილი შემოწმებისთვის ჩადის. იქ ვაჟა უამბობს, რაც მომხდარა. დუქანში ცალკე სამი ოფიცერი ქეიფობდა. ქართველები შეურაცხმყოფელი სიტყვებით უხსენებიათ. იქვე მჯდარ ვაჟას ეს ვერ აუტანია, ამდგარა და სამივეს დარევია. თავადაც კარგად მოხვედრია, მაგრამ სამ კაცს ვალში არ დარჩენია.

სამხედროები ამ საქმეს ასე არ დატოვებდნენ, რაც უნდა იყოს, ოფიცრები იყვნენ, მასწავლებელმა კაცმა კი ცხვირ–პირი დაულეწა. ამიტომ „რევიზორმა" ურჩია, წერა-კითხვის საზოგადოება შარში რომ არ გახვეულიყო, იქნებ „ივერიაში" გადმოსულიყო სამუშაოდ. ვაჟამაც თქვა, აქ გდება მეც მომწყინდაო და ასე მოადგნენ ილიას.

ახლა გიგა ყიფშიძე კითხულობს ვაჟას ლექსებს მედავითნეს-ავით და ილია უსმენს. ვაჟას ლექსებმა ილია ბავშვივით აიტაცა. იმ დღეს თქვა ისტორიული ფრაზა: – ახლა ჩვენ ძველებმა კალამი უნდა დავდოთ, ვაჟას შემდეგ ლექსის წერა აღარ შეიძლებაო.

მხოლოდ დიდ ნიჭს შეუძლია მეორე დიდი ნიჭისადმი ნებაყოფლობითი მონება. ეს ორი დიდი ქართველი, აღიარებული ილია ჭავჭავაძე და დამწყები ვაჟა-ფშაველა, იმ დღიდან ერთმანეთის მაღმერთებელნი იყვნენ. ვაჟამ სამი დღე იმუშავა რედაქციაში. მერე თქვა, ეს არ არის ჩემი საქმეო. ილიამაც დაუდასტურა, რაც შენი საქმეა, ის აკეთეო; უთხრა, ყოველთვიურად მოგვაწოდე, რასაც დასწერო. ხელფასი დაუნიშნა და მთაში გაუშვა.

●

1886 წლის 19 ივლისს ილია „ივერიაში" ბეჭდავს წერილს „ომის საფრთხის წინ". მინდა მკითხველს შევთავაზო ვრცელი ციტატა ამ წერილიდან, თუ რატომ, ამას კომენტარი არ სჭირდება.

„საფრანგეთი დღეს აქამომდე გასტირის მშვენიერს ელზას-ლოტარინგიას, რომელიც წაართვა მას გამარჯვებულმა მტერმა. თვითონ ელზას – ლოტარინგიაც შემოჰბღავის და შემოსტირის თავის ადრინდელს მამულს – საფრანგეთსა, რომელსაც იგი ძალმომრეობით მოაშორეს და რომლისთვისაც ელზას-ლოტარინგიას ბევრი ჭირი და ლხინი გაუზიარებია და თავისი უკეთესნი შვილნი

შეუწირავს საფრანგეთის დიდებულ დღეებისათვის. არა ერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელია საფრანგეთის ისტორიისა შემკული და შარავანდედით მოსილი ელზას-ლოტარინგიის შვილთა სახელითა, ღვაწლითა და თავგანწირულობითა. ამიტომაც მას აქეთ, რაც საფრანგეთი დამარცხდა პრუსიისაგან, არ არის ერთი ფრანსიელიც, რომ სამაგიეროს გადახდას, ჯავრის ამოყრას არა ჰფიქრობდეს. რომ საქმე ამაზედ მიდგეს, დიდი და პატარა თოფქვეშ დადგება საფრანგეთში, ყოვლისფერს გაიმეტებს, არ დაჰზოგავს არც ქონებას, არც სიცოცხლეს, ოღონდ–კი დიდი ხნის ჯავრი როგორმე ამოიყაროს, დიდი ხნის წყლული როგორმე გაიმრთელოს. მას აქეთ ეს 16 წელინადია და საფრანგეთს ერთი დღეც ისე არ გაუტარებია, რომ ამ ჯავრის ამოყრისათვის არ ეზრუნოს და შურისძიების დღისთვის მზადებაში არა ყოფილიყოს. აუარებელი ფული შეალია ამ საქმეს, აუარებელი ხარჯი მოახმარა და საფრანგეთში, რომელიც ერთმანეთის მოწინააღმდეგე დასებით დაბზარულია, – ერთსაც ხმა არ ამოუღია, ერთსაც არ წაუყვედრებია მთავრობისათვის, ამას რისთვის იქმთო, რადა ჰღუპავთ ამდენს სიმდიდრესა, ერის ოფლით და გარჯით მონაგარსაო?.."

აი, ამაზედ ითქმის, ფრანგო, შენ გითხარი და, ქართველო, შენ გაიგონეო...

●

1886 წელს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალს (1885-1891წლებში), ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ივანე მუხრანსკის გარდაეცვალა მეუღლე, ნინო დადიანი-მუხრანსკისა. დაი დავით დადიანისა. გაიხსენეთ, წიგნის დასაწყისში რომ ვნერდით, მუხრანსკი ეკატერინე ჭავჭავაძეზე იყო დანიშნული, პეტებურგს ჩავიდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ქორწილის ნებართვისათვის, მაგრამ უარი მიიღო. ეკატერინე ცოლად დავით დადიანმა შეირთო, მუხრანსკი კი დავითის დაზე დაქორწინდა-მეთქი. საოცარი ქალი გამოდგა ივანე მუხრანსკის მეუღლე. დიდი სიმდიდრის პატრონი, დღენიადაგ შრომაში იყო, გაჭირვებულის შემბრალე და დამხმარე, ცხოვრების დიდი ნაწილი სოფლად მუხრანში გაატარა და დაუღალავად შრომობდა. ილია მას დიდი სიყვარულით გააცილებს უკანასკნელ გზაზე და 4 ნოემბერს წერილს მოათავსებს „ივერიის" ფურცლებზე ამ ქალის ღვაწლის შესახებ. 1886 წლის მიწურულს,

დეკემბერში კი დადიანების ოჯახის კიდევ ერთი წევრი მიიქცევს მკითხველის ყურადღებას. ეს არის ნიკოლოზ დადიანი (მინგრელსკი), ძმისშვილი ნინო დადიანი–მუხრანსკისა.

არა, ამჯერად ნიკო დადიანის მიერ წერა-კითხვის საზოგადოებისთვის გადმოცემულ ბიბლიოთეკაზე არ წერს რედაქტორი. ეს დიდი ქველმოქმედი და გულმხურვალე ქართველი პატრიოტი ნიკო დადიანი ბულგარეთის ტახტის მემკვიდრედ წამოუყენებია რუსეთს, ოსმალეთსა და გერმანიას.

ილიას მოწინავეც, „სამეგრელოს მთავრის კანდიდატობა ბულგარეთში", ამ თემას ეძღვნება.

მთელი ევროპის გაზეთები იმ პერიოდისთვის სამეგრელოს მთავარზე წერენ. ქვეყნდება ნიკოს ბიოგრაფია სხვადასხვა ქვეყნის გაზეთებში. ხაზს უსვამენ, რომ მან განათლება მიიღო საფრანგეთში, რომ იცის ბრწყინვალედ რუსული, ფრანგული, ინგლისური და ბოლოს შეისწავლა გერმანულიც.

გარეგნობით თუ შინაგანი ბუნებით ნიკო დადიანი აღფრთოვანებას იწვევს ევროპელებში. ამას ემატება მისი წარმომავლობაც – გარდა იმისა, რომ სამეგრელოს მთავარია (მართალია გაუქმებული სამთავროსი, მაგრამ მაინც...), ის უძველესი დინასტიის – ბაგრატიონთა შთამომავალიც არის. გიორგი მეთორმეტის შვილი ნინო ბაგრატიონ-დადიანისა ხომ მისი დიდი ბებია იყო, ეს ის სამეგრელოს დედოფალი ნინოა, რომლის მზითვად გატანებულ წიგნებზეც გვქონდა ზემოთ საუბარი.

ბულგარეთში ერთმანეთს ებრძვის რუსეთისა და ინგლისის ინტერესები. ინგლისი მხარს უჭერს პრინც კობურგს.

ილია ვერ მალავს სიხარულს იმის გამო, რომ პრინც კობურგს ტახტის პრეტენდენტობისთვის დიდი ნაკლი ჰქონია – კათოლიკე ყოფილა, ხოლო ბულგარეთის 1879 წლის ტირნოვოს კონსტიტუციით არამართმადიდებლის წინამძღოლობა აკრძალული ყოფილა. მთავარი სამეგრელოსი კი მართლმადიდებელიაო, – დასძენს ილია.

ყველაზე გახარებული მაინც კირილე ლორთქიფანიძე ჩანს. კირილე ხომ ეკატერინე ჭავჭავაძის შვილების ქართულის მასწავლებელი იყო და ძალიან ბედნიერიც, რომ ეკატერინეს სამივე შვილმა ნიკომ, ანდრიამ და სალომემ, დიდხანს რუსეთსა და საფრანგეთში ცხოვრების მიუხედავად, ბრწყინვალედ იცოდნენ ქართული. „გულსა და სულსაც ჩემსას უხარის, რაც მესმის, რომ მთელი ევროპა ლა-

პარაკობს იმ პატარა მთავრის შვილზედ, რომელსაც პირველად ავაღებინე წიგნი და კალამი ხელში...“ – სწერდა კირილე ბულგარეთის ტახტის მაძიებელს.

თუმცა თვით ნიკო დადიანი საქართველოში თავის ახლობელს ასეთი შინაარსის წერილს გამოუგზავნის: „ეხლა ხომ მთელს ქვეყანაზედ ეს საქმე აქვთ სალაპარაკოდ. და რომ კიდეც ასრულდეს ეს საქმე, მაინც და მაინც მე დიდად არ მსურს ვიკისრო ესრეთი დიდი მოვალეობა; მაგრამ მთლიანად ჩემს სურვილზეც არ არის დამოკიდებული“. სხვათა შორის, ერთი (გნებავთ თავმდაბლური, გნებავთ ისტორიული დაარქვით) ფრაზაც არის ამ წერილში: „მე დარწმუნებული ვარ ჩვენში ხალხი მამასახლისადაც არ ამომირჩევდა, რუსეთს კი სხვა აზრი ჰქონია ჩემზე...“

ა, ბატონო, თითქოს ამ სიტყვების დასტურად, კაცზე, რომელზედაც მთელი ევროპის გაზეთები მოწიწებით წერენ, აქაოდა შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, ჩვენი ალექსანდრე ყაზბეგი ასე დაწერს:

„ჩვენი ნიკო დადიანი
კი ყოფილა მადიანი,
თუმცა გული ადგილ-ადგილ
მას ჰქონია ზადიანი.
გაძრომას და გამოძრომას
ყველგან სცადის კუდიანი,
ბულგარებთან მთავრად მიდის,
ფიქრობს: „ვივლი ქუდიანი“.

ინგლისმა რუსეთს აჯობა და ჩვენი პრინციც ისევ ჩვენს პრინცად დარჩა...

1887

აშორდიას მიერ ილიას დაბეზღება. აკაკი დაკითხვაზე. ილიასაგან გამოქომაგება. იოსებ დავითაშვილის გარდაცვალება. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა. ილია გრანდიოზული მანიფესტაციის რეჟისორი.

დიმიტრი ყიფიანი

„არა, თავადო! მე როლს კი არ ვთამაშობ. მე ნამდვილი ქართველი პატრიოტი ვარ. მხოლოდ იმისთანა არა, როგორიც თქვენ გგონივართ".

დ. ყიფიანის წერილიდან
მთავარმართებლისადმი

ილიამ ამ დაბეზღების შესახებ არაფერი იცოდა, რადგან არავის დაკითხვებით არ შეუწუხებია. საქმე ეხება ერთ წერილს, რომელიც სოფელ ცაიშის სკოლის მასწავლებელმა თადა აშორდიამ საიდუმლოდ გამოუგზავნა იანოვსკის. ეს აშორდია იყო ერთი წამხდარი კაცი, რომელიც ზედმიწევნით ასრულებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის ინსტრუქციებს. ამ ინსტრუქციების დედა-აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ ქართველი ქართველი არ იყო. რომ აჭარელი იყო თურქი, მეგრელი იყო მეგრელი, იმერელი – იმერელი, სვანი – სვანი, ხევსური – ხევსური და ა.შ. ოღონდ არც ერთი მათგანი არ იყო ქართველი. აქედან გამომდინარე, იანოვსკი ხელს უწყობდა აჭარაში თურქულად ესწავლათ. სამეგრელოში მეგრული ანბანი შემოეღოთ. სვანეთში – სვანური.

ეს აშორდია სამეგრელოში ახორციელებდა ამ იდეას, რის გამოც იქ არაერთხელ კარგად ცემეს, მათ შორის აკაკი წერეთელი მოკვლითაც დაემუქრა, მაგრამ იმას არაფერი ეშველა. ეს იმ აშორდიას ძმაა, ყალბ საბუთებს რომ ამზადებდა და ხალხს წოდებებს ურიგებდა.

აი, ეს კაცი აგზავნის საიდუმლო წერილს – „სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელში იკრიბებიან თითქმის ყოველთვიურად: დიმიტრი ყიფიანი, რომელიც უკვე გადაასახლეს, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები და წყვეტენ საკითხს, როგორ ააჯანყონ ხალხი 1884 წლის 11 იანვრის ცირკულარული წერილის წინააღმდეგ"-ო. ეშმაკობდა დამსმენი. წინა წელს სენაკში რომ ილია ჩავიდა, ეს იცოდა, ამიტომ „შეთქმულება" გამოიგონა, აქაოდა ეპოლეტებსაც მომცემენო. ვინ ეტყოდა აშორდიას, რომ ილიას საიდუმლო მეთვალყურეობა უკვე დაწყებული იყო და მის ყოველ ნაბიჯს სკრუ-

პულოზური სიზუსტით აღნუსხავდა ჟანდარმერია. ამ დაბეზღებამ ამაოდ ჩაიარა. ილია ამჯერად არავის შეუწუხებია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ იანოვსკიმ „ივერიის" საეჭვო წერილების რუსულად თარგმნა მოითხოვა... მაგრამ სამაგიეროდ, მანამდე, 1887 წლის დასაწყისშივე აკაკი დაიბარეს თბილისის მე-2 უბნის საბოქაულოში და დაკითხეს. მან სიტყვასიტყვით რუსულად უნდა თარგმნოს ის ლექსები, რომლებიც რაც წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საღამოზე წაუკითხავს და უპასუხოს, თუ რას გულისხმობდა, მაგალითად, ლექსში „ახლანდელ ქალებს", როცა ამბობდა:

„დრო და ჟამის ნარნარი ხარ ქმნილება,
პოეტლუსტაც მიტომ გეადვილება,
არ შეგშვენის მშობლიური არა რა,
გიხარია ეს სკვითური ცვლილება."

ან რას ნიშნავს ლექსში „სხვაგვარი ტრფობა" ასეთი გამოხტომა:

„უცხო ხალხთაგან დამონებული
ვართ, შვილო! არ გვაქვს ჩვენში ჩვენ ბინა,
და შენ აივსე მათ შურით გული,-
ეს არის, შვილო, ჩემი ნანინა!"

ჩვენ ამ დაკითხვის ოქმი არ შემოგვრჩენია, მაგრამ თბილისის გუბერნატორ გროსმანისა და საცენზურო კომიტეტის მიმოწერაში დასახელებული რამდენიმე ლექსის სათაურიდან ვიცით, რომელი ლექსები წაუკითხავს აკაკის. ამ ლექსებს რომ ჩახედავთ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომელი ადგილები მიიქცევდა მსტოვრის ყურადღებას, როცა ეს ყველაფერი სადაც ჯერ არს, იქ აცნობა.

დაკითხვა ეგრე არ უნდაო, თითქოს გამოსარჩლების მიზნით იყო, ილია დიდ ქებას შეასხამს აკაკის პიესას „თამარ ცბიერს". საზოგადოებას იმასაც აუწყებს, დიდ პოეტს სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავი უსრულდებაო. საზოგადოება აკაკის დაფნის გვირგვინს, ოქროს კალამსა და მისი უარის მიუხედავად, 400 მანეთსაც მიართმევს.

თუმცა იმ დაკითხვას ცუდი კვალიც გამოჰყვა.

გუბერნატორის კითხვაზე, ცენზურამ მისცა თუ არა უფლება აკაკი წერეთელს ამ და ამ ლექსების წაკითხვისაო, ცენზორი პასუხობს – ასეთი ნებართვა ჩვენთვის არავის უთხოვიაო. ახალი ინიციატივაც მყისვე დაიბადა. ანი მხოლოდ დასაბეჭდ ტექსტებს კი არა, ზეპირ გამოსვლებსაც ცენზურის ნებართვა სჭირდებაო. ამიტომ არ

უნდა გვიკვირდეს, რომ იმ დღეებში აკაკიმ „ვეფხისტყაოსანზე“ წასაკითხი ზეპირი ლექციების ნებართვა ცენზურისაგან აიღო.

ამ ლექციებს ილიას გამოხმაურება მოჰყვა. ამჯერად კრიტიკული, მაგრამ ილიასა და აკაკის პოლემიკა „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო საბოლოოდ დაგვრჩა როგორც ბრწყინვალე ნიმუში კამათის კულტურისა.

●

22 მარტს „ივერიაში“ ქვეყნდება ილიას წერილი „იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო“. დაბალი ფენიდან გამოსულ პოეტ დავითაშვილს ილია დიდ პატივს სცემდა და ეს დამოკიდებულება ასახა წერილში.

აპრილში ილიას გარდაეცვალა სიძე ალექსანდრე საგინაშვილი. ილიას სიძე, ელისაბედ ჭავჭავაძის მეუღლე, როგორც ვწერდით, იყო ალალი მამიდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, მელიტონის დის შვილი. იგი ბევრად უფროსი იყო ელისაბედზე. გენერალ საგინაშვილს ადრე სხვა ცოლი ჰყოლია. ორბელიანების სიძე გახლდათ. თავის მხრივ ელისაბედ ჭავჭავაძეც პირველად ნიკოლოზ ორბელიანზე იყო გათხოვილი, მაგრამ ქმარი ადრე, 1868 წელს გარდაეცვალა და 2 წლის შემდეგ მეორედ იქორწინა საგინაშვილზე. შვილი არც პირველ და არც მეორე ქმართან არ ჰყოლია, ამიტომაც ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ თავისი წილი გამოიტანა და 1889 წელს ორსართულიანი სახლი იყიდა, სადაც 10-11 წელი ილიაც იცხოვრებს და „ივერიის“ რედაქციასაც დის სახლში განათავსებს. (სხვათა შორის, ელისაბედის ორივე ქმარი სოფ. კუმისშია დაკრძალული). თუ რამე მომხდარა 1887 წელს ილიას ცხოვრებაში თუ ჩვენი ქვეყნის ყოფაში, ყველაფერი გადაფარა იმ ტრაგედიამ, რაც 25 ოქტომბრის ღამით დატრიალდა.

●

კვირას, 25 ოქტომბერს „ივერია“ აქვეყნებს მთელი საქართველოსთვის თავზარდამცემ ცნობას: „დღეს, დილაზე, დიმიტრი ყიფიანი მოკლული ნახეს თავის სადგურში. გამოძიება წარმოებს.“

კვირას საღამოზე მოვიდა მეორე დეპეშა:

„გამოძიებით ჩნდება, რომ ყიფიანის გაძარცვა სდომებიათ და ამ განზრახვით მოუკლავთ“ („ივერია“ 1887, №223).

ეს ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა. თავზარდაცემულ ხალხს არ სჯეროდა, რომ დიმიტრი ძარცვის მიზნით მოკლეს. ყველას გაახსენდა ის საშინელი წყევლა, რაც ეგზარქოსმა პავლემ წარმოთქვა სიონის ტაძარში. იმან დაგვწყევლა, იმან დანაშაული ჩაიდინა, სტავროპოლში კი, რატომ აღშფოთდიო, ყიფიანი გაასახლეს. ახლა, მკვლელობის შემდეგ მთელი სისრულით წარმოსდგა ის ბოროტება, ის ჯანღი, რაც საქართველოს დასწოლოდა. ხალხი ბოლმით გუგუნებდა. ეს იყო მსხვერპლი, რომელმაც საქართველო მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე პირველად შეკრა ერთიანი მრისხანებით.

ქუთაისში ყიფიანის მკვლელობის ცნობა იმ დროს ჩასულა, როცა იქ წარმოდგენა მიდიოდა. სპექტაკლი შეწყდა. ხალხი გარეთ გამოეფინა. აქ ილია ცეცხლზე ნავთს ასხამს. 25 ოქტომბრიდან მოყოლებული 8 ნოემბრამდე, ანუ ცხედრის დაკრძალვამდე და შემდეგაც ნომერი ისე არ გამოვა, რომ დიმიტრი ყიფიანთან დაკავშირებით მასალები არ გამოქვეყნდეს.

მოდის და მოდის სამძიმრის დეპეშები. საქართველოს ქალაქების ჩამოთვლას აზრი არ აქვს. ყველა ქალაქმა გამოგზავნა სამგლოვიარო განცხადება. განცხადებები მოდის სტავროპოლიდან, მოსკოვიდან, ოდესიდან, პეტერბურგიდან, სტამბოლიდან, პარიზიდან და ა.შ.

ითარგმნება და „ივერიაში" იბეჭდება სტავროპოლის ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები. სტავროპოლელ ჟურნალისტებსაც კი ეჭვი ეპარებათ, რომ მოხუცის მკვლელობა ძარცვის მიზნით მოხდა.

თვით ილია დაკრძალვამდე 4 მეთაურ წერილს დაწერს, მიძღვნილს დიმიტრი ყიფიანისადმი.

წერა-კითხვის საზოგადოება იკრიბება და იღებენ გადაწყვეტილებებს დაკრძალვის ცერემონიალის შესახებ. გადადებენ ამისთვის საჭირო თანხას. ეს არ იქნება მხოლოდ გლოვა. ეს იქნება პირველი დიდი ეროვნული მუხტით ანთებული დემონსტრაცია თბილისში.

●

რა მოხდა იქ, სტავროპოლში? ზუსტად ერთი წელი გასულიყო ყიფიანის გადასახლებიდან. საქართველო მან დატოვა წინა წლის

27 ოქტომბერს. ყიფიანი ცხოვრობდა ქალაქის ცენტრში, მეაფთიაქის ბინაში, სადაც ათიოდე სხვა მდგმურიც ჰყავდა სახლის მეპატრონეს. სახლი დაცული იყო მაღალი გალავნით და ჰყავდა მცველიც. ეზოს დარაჯობდა უზარმაზარი ქოფაკი. დიმიტრის ორი ოთახი ეკავა. წინ, მისაღებში ღამით მუდამ ეძინა მის მომვლელ მოსამსახურე გოგოს.

დიმიტრიმ თავისი მახვილი ჭკუით და ტკბილი საუბრებით იქაურ საზოგადოებას თავი შეაყვარა. მოხუც გენერალს ყველა დიდ პატივს სცემდა. იმავ ბინაში მდგმურად იყო ერთი ქართველი მასწავლებელი. სტავროპოლში მუშაობდა ქართველი ექიმი, ასევე ქართველი გამომძიებელი – ტარსაიძე, რომელსაც შემდეგ მის საქმეს გადასცემენ გამოსაძიებლად. იყვნენ სხვებიც, რომელთა საზოგადოებაშიც ტრიალებდა ყიფიანი, ან წერდა თავის ბინაში. მას ბინაზე აკითხავდნენ გაჭირვებულებიც და ეს ამაყი და კეთილი ქართველი თავისი მდგომარეობის მიუხედავად, უარს არავის ეუბნებოდა. იმ ასი მანეთიდან, რომელიც ყოველთვიურად პენსიიდან ეგზავნებოდა, ეხმარებოდა ყველა გაჭირვებულს. მეაფთიაქის სახლში მოახლედ მუშაობდა ახალგაზრდა ქალი ვინმე პრასკოვია. ამ პრასკოვიას მამა და ძმები ჰყავდა ლოთები და ქურდები. დედამისი იყო ფეხმსუბუქი გოგოებით მოვაჭრე და ფსკერზე ამოზრდილი პრასკოვია თავადაც ყოველგვარი უკეთურების ჩამდენი იყო. მივიდოდა ეს ქალი მოსამსახურედ ოჯახში, მცირე ხანს იმუშავებდა, შემდეგ გაქრებოდა და ის ოჯახი იძარცვებოდა. მისი მორიგი მსხვერპლი მოხუცი ყიფიანი აღმოჩნდა. რაკი დიმიტრი ყველას ხელს უმართავდა და ოქროს საათი ეკეთა, გენერლის ფორმა ეცვა, ამ წუმპის ბინადარმა რუსის ქალმა იფიქრა, ბევრი ფული ექნებაო და ეს ამბავი ქურდობისთვის ციხეში მყოფ ძმას შეატყობინა.

ჩვენდა საუბედუროდ, მისი ძმა შულგინი სტავროპოლის ციხიდან ვაათავისუფლეს 1887 წლის ოქტომბერში. შულგინმა შეიამხანაგა მასსავით ლოთი და ქურდი ჯარისკაცი ვინმე სტრეპეტოვი. 25 ოქტომბერს ღამით ეს შულიგინი და სტრეპეტოვი ყიფიანის ბინაში შედიან. წინასწარ იზრუნეს, ძაღლი იმ ეზოში აღარ არის. კარს მიაწვნენ და მორჩილად გაიღო. მოახლე გოგოც, წინკარში რომ ეძინა, ღამით იქ არ აღმოჩნდა...დერეფანში პირი-სახე პირსახოცებით აიხვიეს.

შედიან მძინარე დიმიტრისთან. სანთელს ანთებენ. ხმაურზე მოხუცი გაიღვიძებს, შემკრთალი კითხულობს, „ვინ არის, რა არისო?“

სტრეპეტოვის ჩვენებიდან: „ამის პასუხად შულგინმა უბრძანა, ხმა გაწყვიტეო და შემდეგ შევუკარით ხელები და ფეხები ყიფიანს და ფული მოვსთხოვეთ. ყიფიანმა გვითხრა, რომ ფული საწერ სტოლის ერთს უჯრაშიაო. შულგინი შევიდა სასტუმრო ოთახში ფულის ამოსაღებად და მე კი თავს ვადექი ლოგინში შეკრულს მოხუცს." შემზარავია ამ ჩვენების კითხვა. ამიტომ მკითხველის ნერვებს დავზოგავ და მოკლედ ვიტყვი. მკვლელებმა აიღეს 124 მანეთი. პაწია ოქროს საათი და გამწარებულებმა იმით, რომ სხვა ვერაფერი სიმდიდრე ნახეს, რომ ეს მოხუცი მდიდარი არ აღმოჩნდა, ხელფეხშეკრულ კაცს შულგინმა რკინის ბერკეტი დაჰკრა თავში. მერე ეს სტრეპეტოვიც მიბრუნდა, რაკი მოხუცი ჯერ კიდევ ხრიალებდა, მეორეჯერაც დაურტყამს თავში რკინა. მოჰკლეს, გადააფარეს დასისხლიანებულ თავზე საბანი და წამოვიდნენ.

შულგინს ხანჯალი და რევოლვერი ჰქონდა თან. ერთი ტყვია იქ დავარდნია.

დილით ნახეს მოხუცის ცხედარი. სახლის მცველს ბოქაულთან წასვლა ეზარება – სად ვნახავ ახლა იმასო!..

ყიფიანის მოსამსახურე გოგო: მეო, მეეტლესთან ვიყავი მთელი ღამეო. მეეტლე მისი საყვარელი იყო. თუმცა მერე გაირკვა, რომ ის ამასთან არ ყოფილა, სადღაც ულოთია მთელი ღამე.

პრასკოვია კი როგორც წესი იმ დღიდან სულ აორთქლდა. შულგინი და მისი ამფსონი ჯარისკაცი ამ ნაპარავი ფულით დღედაღამ ლოთობდნენ.

ეჭვი შეეპარათ, ამ „ბროდიაგებს" ფული საიდან გაუჩნდათო. შულგინი დაიჭირეს, მიუხედავად იმისა, რომ სამხილი – ტყვია ოთახში დაგდებული ნაპოვნი ჰქონდათ, გამოუშვეს, ქალაქიდან არ გახვიდეო. მალე შულგინს ვიღაცა მოჰკლავს, მისი დაც აღარც მკვდარი გამოჩენილა, აღარც ცოცხალი.

ყიფიანი გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ბინაში შეჭრის მცდელობა სამჯერ ჰქონდათ მანამდე ამ ბანდიტებს და სანამ ძაღლი არ მოაშორეს ეზოს, ვერ შევიდნენ.

მკვლელობის წინა დღეს ეს სტრეპეტოვი ფულის სათხოვნელად გამოცხადებია, ეტყობა დაოვალიერება სურდა მსხვერპლის გარემოსი. მეთვალყურე პოლიციას კი ეს ყველაფერი ვერ შეუმჩნევია...

მთავარი, ვინც საქმე მისცა ამ ბანდიტებს, პრასკოვია, სასამართლოზეც არავის ახსენდება...

ასე გამოასალმეს წუთისოფელს ამ ნაძირალებმა ადამიანი, რომელიც ჩვენს ისტორიში მეორე დიმიტრი თავდადებულის სახელით შევა.

არადა, იმ შემოდგომას უკვე თბილისში წამოსვლის ნებართვას ელოდა. მისმა მეუღლემ ნინო ჭილაშვილმა არ მოასვენა არავინ, მათ შორის დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და თვით იმპერატორი ალექსანდრე მესამე.

დიდი მთავარი თავს უხერხულად გრძნობდა. დიმიტრის პირადად ახლოს იცნობდა, ბოლოს და ბოლოს, მამულები ბორჯომში ჰქონდა და ამ ხალხში უნდა ეცხოვრა. ამიტომ კორსაკოვი ბორჯომში დაიბარა და მოსთხოვა – ყიფიანის გათავისუფლების თხოვნა მიეწერა იმპერატორისათვის.

კორსაკოვსა და ყოფილ მეფისნაცვალს ერთმანეთი არ უყვარდათ. პირველი სამეფო სახლის წევრი იყო, ზევიდან დაჰყურებდა მის შემცვლელს. ამასაც ჰყავდა პატრონი, პობედონოსცევი. ესეც არ შეეპუა. უარი უთხრა.

ეს შეხვედრა დიმიტრის მკვლელობამდე სამი კვირით ადრე შედგა. სახელმწიფო პოლიციური იყო. კორსაკოვი და პობედონოსცევი უფრო ჭირდებოდა იმპერატორს, ვიდრე თავისი მემამულე ბიძა, მერე რა, რომ ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეც იყო. თუმცა, როგორც ჩანს, იმპერატორთან ბიძამ მაინც თავისი გაიტანა. კორსაკოვი იძულებულია დათანხმდეს ყიფიანის ჩამოსვლას, მაგრამ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იცხოვროს და ქვიშხეთიდან მთელი ცხოვრება ფეხი არ გადგასო...

ვინ იცის, კორსაკოვის სწორედ ამ მარცხმაც თუ დააჩქარა ყიფიანის მკვლელობა...

●

თბილისში ეს ყველაფერი ჯერ დაწვრილებით არ იციან, მაგრამ იციან დიმიტრის ფასი, გუმანით ხვდებიან, რა გააკეთა მტერმა. „მტერს არ სძინავს არასოდეს, მაგრამ ახლა არც მე მძინავს“-ო, გალაკტიონის არ იყოს, ახლა უკვე აღარც ქართველობას სძინავს.

საქართველოს სამხედრო გზით სტავროპოლიდან მოაქვთ ნაწამები მოხუცის ცხედარი და დაგორებული გუნდასავით მოსდევს ადგილ-ადგილ აზვავებული ქართველობა. სტეფანწმინდიდან, დუშეთიდან, მთიულნი და მოხევენი. მცხეთაში სვეტიცხოველში

რამდენიმე დღეს დაასვენებენ. აქედან თბილისში აპირებენ გადმოსვენებას და პანაშვიდებს მთავარ ეკლესიებში, მათ შორის I გიმნაზიის ეკლესიაში. გიმნაზიისა, სადაც სწავლობდა დიმიტრი, სადაც ასწავლიდა და სადაც შემდეგ მზრუნველადაც იმყოფებოდა. ამაზე მთავრობამ სასტიკი უარი თქვა. მთაწმინდაზე დაკრძალვის ნება რომ დართეს, უკვე ამასაც ნანობენ, მაგრამ რა ექნათ, ყიფიანს ორი შვილი იქ ჰყავდა დამარხული. ყიფიანების საძვალეა მამა დავითის ტაძარიო, ასე მომწერეს ოჯახის წევრებმა და არგუმენტი არ მქონდა, უარი მეთქვაო, თავს იმართლებდა დაკრძალვის დღეს კორსაკოვი...

დიმიტრის შვილმა კოტე ყიფიანმა სვეტიცხოვლიდან გამოტანილი ცხედარი უკანვე შეაბრუნა. ხალხს უთხრა, მთავრობა დაკრძალვის დღემდე თბილისში არ გვიშვებსო და ამით სულ გადარია ერიც და ბერიც.

ეპისკოპოსი ალექსანდრე, იმჟამად მოვალეობის შემსრულებელი ეგზარქოსისა, ისე იყო მთავრობაზე გაღიზიანებული, რომ პოლიცმეისტერის მოთხოვნაზე – გოლოვინის გავლით კი არა, ჭავჭავაძის ქუჩით აიყვანეთ ცხედარი სასაფლაოზეო, – ჯიქურ უპასუხა: მე აქ მღვდელმსახურებას ვეწევი და საორგანიზაციო საკითხებს არ ვაგვარებო.

8 ნოემბერს, კვირას, ქალაქგარეთ, ახლანდელ საბურთალოზე შეჩერდა პროცესია. აქ დახვდათ საერო ხელისუფლება. თავად-აზნაურთა მარშლები, მაზრის უფროსები, ქალაქის თავი თბილისისა, ქუთაისის ქალაქის თავის მოადგილე – ნიჟარაძე. ამ ნიჟარაძემ წუთიერად გაყუჩებული ხალხი ერთხმად აატირა. წაიშინა თავში ხელი ცხედართან მისვლისას და იტირა სვანური ზარით.

ვერის დაღმართზე, იქ სადაც ნიკოლოზ პირველის გადარჩენის ნიშნად ჯვარი იყო აღმართული, პროცესიას შეხვდა სამღვდელოება, ხოლო ზემოთ, ახლანდელი ფილარმონიის ადგილზე კიდევ ერთხელ შეჩერდნენ. გამოჩნდნენ შავლენტიან ჩოხებში ჩაცმული ახალგაზრდები. ლურჯ მონასტერთან ეპისკოპოსი ალექსანდრე ჩაუდგა პროცესიას სათავეში და დაიწყო გოლოვინის პროსპექტზე მსვლელობა. უფრო წინ ორი ცხენოსანი – ანდრია ღულაძე და ვალერიან გუნია წესრიგს ამყარებენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩასთან, იგივ ოპერასთან რომ მივიდნენ, მთავარმართებელ კორსაკოვის ბრძანებით წინ პოლიცია დახვდათ. მარჯვნივ, ჭავჭავაძის ქუჩით ადით, მთაწმინდა ასე უფ-

რო ახლოს არისო. დიმიტრის ძმისშვილი დავით ყიფიანი და სიძე ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობენ მთელს ამ პროცესიას.

იქით პოლიცია კრავს გოლოვინის გამზირს, რათა როგორმე ამ ზღვა ხალხმა სასახლის წინ არ გაიაროს. აქეთ ორგანიზატორები იმუქრებიან, – ჩვენს მიცვალებულს მივაბრუნებთ და უკანვე წავიყვანთ, თუ წინ არ გაგვიშვებთო. პოლიცმაისტერი ქალაქის თავს მატინოვს და თბილისის გუბერნიის მარშალს ივანე მუხრანსკის, სხვათა და სხვათა, სთხოვს, ჩამოშორდნენ ამ პროცესიას, არ წავიდნენ წინ.

პირველიც და მეორეც სამარცხვინოდ ჩაღუნავენ თავს და არ გაჰყვებიან პროცესიას. ხალხმა კი იხუვლა, გაყარა პოლიცია და პროცესია გაუყვა გოლოვინის გამზირს და სასახლის ქუჩას.

ქალაქის საკრებულოსთან დაასვენეს მიცვალებული. ის ხომ არაერთგზის გუბერნიის მარშალიც იყო და ერთხელ ამ ქალაქის თავიც. აქაც ითქვა სიტყვები და შემოვლითი გზით აიყვანეს მთაწმინდაზე.

მთელი ამ მსვლელობის დროს პოლიცმაისტერი და კორსაკოვი ყოველ დეტალზე დეპეშით ეთათბირებიან ერთმანეთს. კორსაკოვი ამ დროს თბილისში არ არის. პოლიცმეისტერი უდეპეშებს: პოლიციაც ჩავაყენე, სასულიერო პირებიც გავაფრთხილე, მაგრამ არაფერი გამოვიდა, კარგად მხოლოდ ქალაქის თავი და გუბერნიის მარშალი მოიქცნენო.

დავით ყიფიანზე და ლორთქიფანიძეზე, მიცვალებულის ძმისშვილსა და სიძეზე, ნებართვას ითხოვს, ნება მომეცი დავიჭირო და ახლა ესენი გადავასახლოო. კიდევ კარგი კორსაკოვს ჭკუა ეყო და უარი უთხრა, ახლა მაგათ ნუ ვაქცევთ პოლიტიკოსებად, ჯარიმა გადავახდევინოთო. მოგვიანებით სასამართლომ ისინი არეულობის ორგანიზებისათვის მართლაც ფულადი სახდელით დააჯარიმა.

ყველაზე საინტერესო ის არის,რომ პოლიციას იმ პირების სიაც აღუნუსხავს და უცნობებია, სადაც ჯერ არს, ვინც მათ არ დაემორჩილა და პროცესიას გოლოვინის პროსპექტზე მიუძღოდა.

მატინოვს რა მოვკითხოთ, მაგრამ ნეტავ რა ერჩია, ვთქვათ, მუხრანსკის შვილს მამამისისთვის, კორსაკოვის მადლობა თუ ამ სიაში მოხვედრა. აი, ეს სიაც:

1. თავადი ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე

2. ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი

3. კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი

4. თავადი ვარდენ ნიკოლოზის ძე წერეთელი
5. თავადი ივანე მაჩაბელი
6. თავადი ჯავახოვი
7. თავადი დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე
8. თავადი შერვაშიძე
9. აზნაური ანტონ ფურცელაძე
10. აზნაური იოსებ ბაქრაძე
11. აზნაური გრიგოლ ჩარკვიანი
12. აზნაური ექვთიმე ხელაძე
13. აზნაური ვალიკო გუნია
14. შტაბის როტმისტრი ანტონ არჯევანიძე
15. თავადი წერეთელი (სიღნაღის ყოფილი მომრიგებელი მოსამართლე)
16. აზნაური ბერიძე
17. თავადი აკაკი წერეთელი (ქართველი პოეტი)
18. თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე (საადგილ-მამულო ბანკის დირექტორი)
19. აზნაური დიმიტრი ფავლენოვი (საადგილმამულო ბანკის წევრი)
20. აზნაური კონსტანტინე ფურცელაძე (ბანკის წევრი)
21. თავადი გრიგოლ ციციანოვი (ბანკის წევრი)
22. გენერალი, თავადი სუმბათოვი
23. მაზრის წინამძღოლი მაღალოვი.

ნოემბრის 8. 1887წ. პოლიციის მიერ შედგენილი სია. ვინც დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას არ ჩამოშორდა პროცესიას.

ეს სია უვიცი პოლიციელის შედგენილი კი ჩანს, რომელსაც ილია მხოლოდ დირექტორი ჰგონია და აკაკის მამის სახელი არ იცის, მაგრამ ღმერთმა აცხონოს, კარგი საქმე კი გაგვიკეთა ამ შურტამ სიის შედგენით...

ამათ დეპეშების გზავნაში პროცესია მთაწმინდაზე ავიდა და იქ უკანასკნელი სიტყვა დიმიტრი ყიფიანს აკაკი წერეთელმა უთხრა. ამ სიტყვასაც მსტოვარი იწერდა და იმავ დღეს გადაუგზავნეს კორსაკოვს, თავის მხრივ, კორსაკოვმა მთელი ეს პროცესია დაწვრილებით აღწერა და ნოემბრის 13-ს გაუგზავნა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს დიმიტრი ტოლსტოის, კარგი მხატვარი ვერ აღწერდა სურათს ისე სრულად, რაც ამ კორსაკოვმა დაგვიტოვა თავისი მოხსენებით. აი, ერთი ადგილი: „სამგლოვიარო კორტეჟი,

პოლიციის პროტესტის მიუხედავად, მუსიკითა და ნაციონალურ კოსტუმებში გამოწყობილი ახალგაზრდების თანხლებით, შემოვლითი გზით, ქალაქის მთავარი ქუჩებით, დაიძრა დაკრძალვის ადგილისკენ, **სადაც ქართველი პოეტისა და სასაფლაოების ნაფიცი ორატორის, წერეთლის** მოკლე სიტყვის შემდეგ დაასაფლავეს კიდეც მიცვალებული."

„სასაფლაოების ნაფიც ორატორს" მისცემდა, აკაკის რომ ეს რაპორტი მის სიცოცხლეში ენახა. კორსაკოვს აუცილებლად აქცევდა თავისი ბასრი კალმის არჩივად, თუმცა კორსაკოვის გამომგზავნებს კი ერთხელ კიდევ მოიხსენიებს დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილ ლექსში. „განთიადი" არ მაქვს მხედველობაში. მოხუცის მკვლელობის შემდეგ აკაკი დაწერს ლექსს „ქართველი უცხოეთში", გთავაზობთ ერთ ამონარიდს:

„ამ დროს გაილო კარები,
მის წინა წარსდგა სკვითელი
და მორონცხებულ მოხუცსა
მტრულად შეახო მან ხელი."

ილია კი, იმ შესანიშნავი წერილების გარდა, მთელი ამ პროცესიის რეჟისორი იყო. ცენზურა იმასაც კი მოსთხოვს, ამდენ დეპეშებს რომ ბეჭდავ, დედნები გვაჩვენე, მართლა მოგდის მთელი მსოფლიოდან, თუ შენ იგონებო... დემეტრეს შემდეგ დიმიტრიც თავდადებულის სახელით შევიდა ჩვენს ისტორიაში.

1888

წოდებათა თანასწორობის ქადაგება. იმპერატორ ალექსანდრე III ჩამოსვლა. ლუკა ისარლიჩის მოხსნა ცენზორობიდან. იმპერატორის მარცხიანი გამგზავრება. უარმყოფელობა ჩვენში და ილია ნიჰილისტთა წინააღმდეგ.

ალექსანდრე III

„Мусье, я к вашим услугам."

ილია

1888 წელს ილია იწყებს „ივერიაში" „ოთარაანთ ქვრივის" ბეჭდვას და ამავე წლის ბოლოს აქვეყნებს წერილს „წოდებათა თანასწორობა".

ამ მხატვრულსა და პუბლიცისტურ თხზულებას შემთხვევით არ ვასახელებ გვერდიგვერდ. კონცეფცია, რაც მხატრულ ნაწარმოებში – „ოთარაანთ ქვრივში" – მხატრული ოსტატობით წარმოგვიდგინა, პუბლიცისტის ენით დაასაბუთა წერილით – „წოდებათა თანასწორობა".

არსებითად, ილია ჭავჭავაძის სიცოცხლე ამ კონცეფციის ქადაგებას შეეწირება, ამიტომ უნდა გავაცნობიეროთ, რას გულისხმობდა ილიას ის იდეა, რომლიც გამოც ჯერ სიცოცხლეში აცვეს ჯვარს და მერმე სიკვდილის შემდეგაც ებრძოდნენ.

გარდა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეისა – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" – ილია შეეწირა წოდებათა თანასწორობის იდეის ქადაგებას. ეს ორი რამ კი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იყო.

„ოთარაანთ ქვრივში" ილია წამოსწევს ხიდჩატეხილობის, გაუცხოების პრობლემას წოდებათა შორის, ადამიანთა შორის.

ილიას აზრით ცოდნამ, განათლებამ უნდა შეუკრას პირი იმ უფსკრულს რაც, ერთი მხრივ, ბოგანობის კომპლექსით შეპყრობილ კლასს და, მეორე მხრივ, წოდებრივი უპირატესობის გრძნობით გაყინჩულ თავად-აზნაურობას ყოფს ერთმანეთისაგან. „ოთარაანთ ქვრივში" ილია უფრო შორს მიდის და არა მხოლოდ წოდებათა შორის, არამედ, ზოგადად, ადამიანთა შორის არსებულ ხიდჩატეხილობის პრობლემასაც ასახავს. ამ გაუცხოების მოხსნის უმოკლესი გზა არის ცოდნა, სინანული, შეგნება და გაცნობიერება იმისა, რომ მხოლოდ ამ წოდების ადამიანი კი არა, ყოველი ადამიანი არის თანასწორი და ქმნილი ხატად და მსგავსად ღვთისა.

წერილში „წოდებათა თანასწორობა“ ილია უკვე ყოველგვარი სიმბოლოების გარეშე, პირდაპირ ამბობს: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრვი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰსცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად და საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეს ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან.

ტყუილათ ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი პირველ ქარის დაბერვაზევე დაიფუშება.“

„ცალკე კაცია, თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს და მარტო ამისთვის უნდა ერჯოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარ თავსა, საკუთარ ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს.“ და კიდევ ერთი ამონარიდი: „ყველამ ერთად და თვითეულმა ცალ-ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არა გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდა იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს.“

ერი ერად ვერ დარჩება, სადაც სხვადასხვა წოდების ხალხი ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით კი არა, მხოლოდ თავისი სიკეთისთვის, თავისი ეჩოთი ითლის, ლხინი თავისკენ და ჭირი სხვისთვის ემეტებაო.

მაშინ კი არა, არც მერმე დაუჯერა ილიას არავინ. ჯერ ამ საერთო ნიადაგის თეორიას დასცხეს, მერმე მის ავტორს და შემდეგ ერთმანეთს...

ყოველივე ამას ილია ხომ მარტო სიტყვით არ ქადაგებდა. ის ხომ საქმით აკეთებდა ყველაფერს წოდებათა თანასწორობის იდეისთვის.

გაიხსენეთ, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხებისთვის უსასყიდლოდ დათმო ის ქონება, რაც ყველას სასყიდელით გადაეცა.

როცა სათავადაზნაურო ბანკი დაარსდა, უმრავლეობის სურვილის მიუხედავად, ბანკის ქონება მიწათმფლობელთა კლასს მოხმარებოდა, ილიამ თავისი გაიტანა, ეს სიკეთე მიწათმოქმედთა კლასსაც ეკუთვნისო.

როცა სათავადაზნაურო სკოლები დაარსდა, იქ გლეხთა შვილებსაც ჩვეულებრივ მიეცათ სწავლის უფლება.

თავადაზნაურებს გლეხებს როგორ გვიტოლებთო, ერთი ხანობა მოსაკლავად დასდევდნენ.

გლეხები – თავად-აზნაურობას იცავს, ამ მომაკვდავი კლასის გადარჩენა უნდაო, – გაასულელეს მარქსისტებმა და ისინიც მოსაკლავად გაიმეტებენ. მაგრამ ეს 19 წლის შემდეგ მოხდება. მარქსისტები ჯერ არ ჩანან ასპარეზზე, ამიტომ „წოდებათა თანასწორობის" გამოქვეყნება უმტკივნეულოდ ჩაივლის. ეს მერმე ატყდება ამბავი და არა მხოლოდ ილიას სიცოცხლეში. ილიას კონცეფციას, წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის" გამთლიანებას რომ გულისხმობდა, ზიზღით ახსენებენ უკვე გაქანებული სოციალიზმის ხანაშიც კი.

ფილიპე მახარაძის დავალებით მე-3 კურსელი ფრიდონ ნაროუშვილი დაწერს პოემას, რომლის პირველი სათაური იყო „მოხუცი სამხეცეში". ეს ეტყობა თვით კომუნისტებსაც უტაქტოდ მოეჩვენათ და პოემა ამ სათაურით დაიბეჭდა – „თავადი ილია ჭავჭავაძე". ნაროუშვილი ილიას პიროვნულ ლანძღვასთან ერთად, ხსნებულ კონცეფციასაც ეხება და წერს:

„მთაწმინდის ლოდქვეშ იხრწნება ლომი,
პოლემიკოსი და ენამჭევრი, –
მთავარსარდალი შავრაზმულ ომის,
„მესამე დასის" მოსისხლე მტერი.
მას რა ლომურად უღრიალია,
გადაულახავს წლების მანძილი,
მისი პოემა მწუხრიანია,
ვერ გაუფანტა „მამულს" მან ძილი

ვერ გახდა გლეხი თავადის სიძე,
ვერ ეძმობილა მშიერს გამძღარი,
ველარ ჩააქრო ნამუსის სიბრძნემ
ჩატეხილ ხიდის მზე და ხანძარი".

წარმოიდგინეთ, ფილიპე მახარაძე ამ უტვინო კალმოსან-ქილერის საშუალებით, ათეული წლების შემდეგაც რომ მიცვალებულის სულს არ ასვენებს, რა დღეში იქნებოდა ილიას სიცოცხლეში? მაგრამ ახლა, 1888 წელს ისინი ჯერ კიდევ არ ჩანან ასპარეზზე და ილიას ხსენებულ წერილს, როგორც ითქვა, მაშინ ხმაური არ მოჰყოლია, სამაგიეროდ, უმტკივნეულოდ არ ჩაიარა „ივერიის" პუბლიკაციებმა გაზეთ „კავკაზისა" და თბილისში გამომავალი კიდევ ერთი ფრანგული გაზეთის წინააღმდეგ.

●

1888 წელს საქართველოში იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ელოდნენ. განსხვავებით ალექსანდრე მეორის ჩამოსვლის დროს თავად-აზნაურთა მოლოდინისა, იქნებ რაიმე გვიბოძოს და ადრესი მოვამზადოთო, ჩვენს თავად-აზნაურობაში ახლა არანაირი მზადება არ ჩანს. ისეთი დროა, იმისგან არავინ არაფერს ელის. ხელმწიფეს რომ სიკეთედ მიეთვალა, ერთი დიმიტრი ყიფიანის გათავისუფლებაზე იყო ლაპარაკი და თავისუფლების ნაცვლად იქ, სტავროპოლში „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს, და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს" (აკაკი).

არაფერი აზრი არ ჰქონდა მამის მკვლელობის შემდეგ შიშით სასახლეში გამოკეტილ ამ ტირანთან ლაპარაკს.

სამაგიეროდ, ემზადებიან ჩვენი მოლა, ჩვენი ყადი და ჩვენი ახუნდი. ასე მათ აკაკი მონათლავს თავის ალეგორიულ ლექსში „ეხლანდელი პოლიტიკა". ეს ლექსი, ცხადია, იმ დროში ვერ დაიბეჭდებოდა, მაგრამ მღეროდნენ კი, არა მხოლოდ აქ, პოლონურად უთარგმნიათ და მღეროდნენ პოლონეთშიც.

საქართველოში გატარებული პოლიტიკა ამ სამი ემისრის მიერ (მათი იდეოლოგი კატკოვი წინა წელს მომკვდარიყო) ნათლად არის დახატული ხსენებულ ლექსში, ამიტომ სრულად მოვიტან მას.

ეხლანდელი პოლიტიკა

მოლამ, ყადმა და ახუნდმა
შეჰკრეს კავშირი ძლიერი,
რომ გადიყვანონ ყირაზე
საბრალო ქართველი ერი.
წვერებზე მოისვა ხელი
მოლამ, სთქვა, ბისმირ ჰალლაო!...
ამ ხალხის გასათათრებლად
უნდა ვიხმარო ძალაო...
„ავკრძალავ წირვა ლოცვის დროს
მათ ენას მამა-პაპურსო
და მივსცემ სამაგიეროდ
ჩვენს მეტყველებას დათვურსო“.
ყადმა მიუგო ღიმილით!
„ჰა, ქეშეშ, ბარაქალაო!
სიმართლეს ჯანი გავარდეს,
ხალხიც მას ენაცვალაო!
„თვითონ მე გავასამართლებ
ჩემგანვე გარყვნილ ერსაო!
გინდა სტყუოდეს, გინდ არა,
გავწირავ როგორც მტერსაო...
„ნელ–ნელა გადავასახლებ...
იმათ დაუდგეს თვალიო!
და მაშინ სულ ჩვენ დაგვრჩება
მათი მიწა და წყალიო!...“
„ახუნდმა უთხრა: „იახში!
მეც ვეთანხმები მაგათო!
და სკოლებს გადავაკეთებ
ხალხისთვის ვირის ბაგადო,
რომ სხვისი ვერრა ისწავლონ,
თავისიც დაავიწყდესთო
და მათი ტკბილი განზრახვა
უდროოდ დაუმიწდესთო!“
ერთხმად დასწერეს: „ილ ალლაჰ!“
ჩაყლაპვას გვემუქრებიან,
და ზოგნი თურმე ჩვენშიაც
იმათ ბანს ეუბნებიან“.

აი, ამ სამმა „რაინდმა" იმპერატორის ჩამოსვლის წინ, უფრო გულმოდგინე აღმასრულებლად რომ წარმოჩენილიყვნენ, დაინყეს მობილიზება ყველა ანტიქართველისა. გაზეთ „კავკაზიდან" და ერთიც თბილისში გამომავალი ფრანგულენოვნო გაზეთიდან ვიღაც მურიეს პირით გამოგვიცხადეს, რომ ქართველები ქართველები არ ვართ.

ამის დასტურად გაზეთ „კავკაზს", მაგალითად, მეცნიერული არგუმენტებიც კი მოჰყავს. იქ წერენ, რომ საქართველოშიო, სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ, ვთქვათ, იმერელი, ხევსური, აჭარელი რატომ არ არიან ქართველები? ისინიცო სხვადასხვა ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილნი დადიანო.

„კავკაზს" თავისი პასუხით ილია რა დღესაც დააწევდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, ამიტომ ციტირებას აღარ მოვახდენ. ზოგადად კი ვიტყვი, ილია რუსეთის ქალაქებს ახსენებს და შემდეგ სასაცილოდ იგდებს „კავკაზის" ჭკუის კოლოფებს, კი მაგრამ, იმ თქვენ რუსებს რომ სხვადასხვა ქუდები ახურავთ და სხვადასხვა ტულუპები აცვიათ, თქვენი ჭკუით, რუსები აღარ არიანო?

„კავკაზის" კალმოსნებიდან გამოყოლილი ბოლმა ჩამცხრალი არ ჰქონდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს „ივერიის" რედაქციაში აღშფოთებული ვიღაც ფრანგი მურიეც მიადგა, თქვენმა თანამშრომელმა თავისი პუბლიკაციით შეურაცხყოფა მომაყენაო. ეს მთელს ერს აყენებდა შეურაცხყოფას და „ივერიის" თანამშრომლის ახნაზაროვის პასუხი კი გულზე მოხვედროდა. ილიასა და ჟიულ მურიეს პირველი და ვგონებ უკანასკნელი შეხვედრის შესახებ გთავაზობთ თვით ახნაზაროვის, წერილის ავტორის მოგონებას. „სახელდახელოდ" (ახნაზაროვის წერილი მურიეს წინააღმდეგ, – ნ.გ) დაბეჭდვის მეორე დღეს ჭავჭავაძეს ეწვია თურმე ჟიულ მურიე და პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ დაწერილი წერილის გამო... ამის პასუხად ილიამ, რომელმაც ფრანგული არ იცოდა და მურიე კიდევ რუსულს ენის მტვრევით ლაპარაკობდა, განაცხადა თურმე: „რა გაეწყობა, რაკი შეურაცხყოფილად გიგრძვნიათ თქვენი თავი, პასუხი მომთხოვეთ და იძულებული ვიქნები თქვენი მოთხოვნა დავაკმაყოფილოო". ამ დროს თურმე შემთხვევით ილიას მაგიდაზე იდო ყუთი, რომელშიაც საიდუმლოდ დამბაჩები ეწყო. ილიამ თურმე გადახსნა ეს ყუთი, მურიეს დაანახვა და უთხრა: „Мусье, я к вашим услугам!" მურიე, რომელიც, როგორც ჩანს, არა მარტო ტანითა და აგებულე-

ბით იყო პატარა, არამედ სულიერადაც დაკნინებული, აკანკალდა და შესძახა: „არა, კნიაზო, მე მაგისთვის არ მოვსულვარ, მე ქართველების შეურაცხყოფა არ მინდოდა და თქვენი გაზეთის თანამშრომელს უდიერად არ უნდა მოვეხსენებინეო". ამით განშორდნენ თურმე ილია და მურიე ერთმანეთს.

მურიეს სახელის „უკვდავყოფას" აკაკიმ გვირგვინი დაადგა.

რამდენიმე დღეში ის ამ სკვითის მოსყიდულ ფრანგს დაუნერს:

„რას წუწკუნებს ის პატარა მურია?
ხომ არ შია და ან ხომ არ სწყურია?
ვისი არის და ან სადაურია?
ქუცი, ქუცი, კუდქიცინა მურია!
...
მაგის ხერხი ერთი ლუკმა პურია:
გადაუგდებ გაჩუმდება მურია." და ა.შ.

●

1888 წელს იმპერატორიც ჩამობრძანდა. ამ ამბავს რომ დიდი ალიაქოთი არ მოჰყოლია, ჩანს იქიდანაც, რომ მისი ჩამოსვლა მხოლოდ ორმა-სამმა მემუარისტმა აღწერა და ისიც გაკვრით. გიორგი ლასხიშვილი კი იგონებს, მაგრამ რას. მოგვხვიეს ხელი და საქართველოში რაც ყოფილი პატიმრები ვიყავით, ყველანი ფოთში ერთ ბარაკში შეგვყარესო. მშიშარა იმპერატორს თბილისი გაუწმინდეს შესაძლო საშიშ პირთაგან. ერთადერთი სიკეთე იმპერატორის სტუმრობას ის მოჰყოლია, რომ ილიამ ქართული პრესის ჯალათი ლუკა ისარლოვი მოახსნევინა. სწორედ ამასთან დაკავშირებით გაკვრით ერთი ფრაზით იხსენიებს იმპერატორს გიგო ყიფშიძე: „1888 წელს, ხელმწიფის მობრძანების ხანს, უკრიფა მიზეზი მაშინდელ ცენზორს, რომლის გადამეტებულს, ერთგულებას აბრალებდა ილია ასეთ სისასტიკეს და დაათხოვნინა სამსახურიდან. მასუკან ჩვენმა მწერლობამ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა."

ილია რომ იმპერატორს შეხვედროდა, ეს ან „ივერიაში" დაიბეჭდებოდა ან რომელიმე თანამედროვის მემუარებში აისახებოდა. მაგრამ როგორ მოახსნევინა ხელმწიფეს ეს გადარუსებული ქართველი და ასე ერთგული თვით ხელმწიფისა?

ხომ არ ეტყოდნენ, სადაც თქვენს წყევლას ნახავს, გულმოდგინედ შლის და ამიტომ მოგვიხსენიო?

გავიხსენოთ, რომ ლუკას ცენზორობამდე სამართალში ჰქონდა საქმე. როგორც ჩანს, იმპერატორს უთხრეს, ასეთ საპასუხისმგებლო სკამზე ძველი დამნაშავე ზისო. ახლა დარწმუნებით ვინ იტყვის, მაგრამ რაკი ილიას მოუხერხებია ეს საქმე, ჩემი ვარაუდით რომელიმე სანდო და ახლობელი ადამიანი უნდა გაეგზავნა ხელმწიფესთან. შემოგვრჩა ერთი მოგონება ფოსტის მუშაკის, ილიასთან დაახლოებული ოლღა აგლაძისა. (ამ ქალს მომავალში კიდევ შევხვდებით). აგლაძე წერს: „პრელესტ ბაბალეს სახელით თბილისში ცნობილი იყო ბაბალე ბარათაშვილი, ქალი მეტად დარბაისელი, ლამაზი, მომხიბლავი, მხიარული. ბაბალე ძალიან დაახლოებული იყო ილიას ოჯახთან და ხშირად იყო ხოლმე ილიას მეუღლე – ოლღასთან და ილიას დასთან ლიზასთან. ბაბალემ სადღაც გაღმა აიშენა სახლები – ყოფ. ვორონცოვის ხიდის მიდამოებში, მგონი ილიაც დაეხმარა ამ საქმეში.

ბაბალეს მეტი სახელი „პრელესტ ბაბალე" საქართველოში ალექსანდრე მესამის ჩამოსვლის შემდეგ შეერქვა. როცა მეფე ჩამოვიდა, ჯარის მანევრებისათვის გაემგზავრა თიანეთში. ბაბალე იმავე მაზრის მემამულე იყო. მეფის წვეულებაზე ისიც დაესწრო. მაგიდაზე ბაბალე ალექსანდრეს პირდაპირ მჯდარა. როდესაც საჭმელი მიურთმევიათ, ბაბალეს ჩვეულებრივად ჩაუმტვრევია პური და თითებით გემრიელად უჭამია. მეფეს შეუნიშნავს და ისე მოსწონებია, რომ აუღია ჭიქა და განსაკუთრებით უდღეგრძელებია ბაბალე. უთქვამს: Прелесть бабале. ваше здоровие!

აი, მას აქეთ ბაბალეს მტკიცედ შეერქვა ეს ზედმეტი სახელი."

სუფრაზე ალექსანდრეს წინ ბაბალე შემთხვევით ვერ მოხვდებოდა...

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ილიამ სწორედ ამ თავისი ახლობელი ქალის მეშვეობით შეძლო მოეშორებინა ცენზორი ლუკა სტეპანიჩი...

როცა ვსაუბრობ, მპერატორის ჩამოსვლისადმი დიდი ინტერესი არ იყო და მისგან სიკეთეს არავინ გამოელოდა-მეთქი, აქ ერის მოწინავე ნაწილს ვგულისხმობ, თორემ მთავარმართებელ კორსაკოვსა და მის დამქაშებს თუ წყალობაზე სულგაყიდულ ქართველებს ინტერესი როგორ არ ჰქონდათ.

კორსაკოვი, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ იმპერატორისათვის ესიამოვნებინა. მას შეუდგენია „თბილისის გუბერნიის ახალგაზრდობისაგან საპატიო ყარაული,

საუცხოო რამ სანახავი – როგორც დავით კლდიაშვილი გადმოგვცემს, – ამორჩეულნი იყვნენ უმშვენიერესი ყმაწვილები, საუცხოოდ გამოწყობილნი ქულაჯებში, საუცხოო ცხენებით და იარაღით. ეს საპატიო ყარაული მუდამ თან ახლდა მეფეს და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. წყალობის ნიშნად ყველას მიეცა პრაპორშჩიკობა, რამაც მეტისმეტი აღტაცება გამოიწვია არათუ გაბედნიერებულებში, არამედ მეფის ერთგულთა შორისაც. მეფის მეგზურობამ წინანდლისაკენ თავის უცხო სანახავებით მოლოდინს გადააჭარბა. საარაკო რამ იყო მეფის გართობა საბადურის მთაზე, ისეთი რამ უნახავი, რომ ჩრდილოეთის ყინულიც გალხვა და ერთი ბენო აკლდა, რომ ლეკური ეთამაშა, წინანდალში ხომ მოხერხებულად შედგენილ გასართობებს დასასრული არ ჰქონდა.

... მეფე ქუთაისსაც ეწვია. ქუთაისის თავადაზნაურობამ გამოყო საპატიო ყარაული; ამის გამოსაწყობად ერთი შეხეთქება იყო; მსურველებში მოხუცნიც კი მრავლად გამოჩნდა; ყველას იტაცებდა პრაპორშჩიკობის შეძენის სურვილი. უკანასკნელ ქონებას ყიდდნენ გამოსანყობად, თავს არ იზოგავდნენ ხარჯისათვის. მაგრამ ბოლოს ბევრი იმედგაცრუებული დარჩა, რადგან ზოგს მისცეს პრაპორშჩიკობა, ზოგს კი მხოლოდ იუნკრობა. დიდი აღელვება და შეცილება იყო მანდილოსანთა შორისაც. მოხუცი კნეინები ეცილებოდნენ ერთმანეთს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ დედოფლის წინაშე ლეკურის მოთამაშეთა რიცხვში მოხვედრილიყვნენ. საქართველოდან მეფე მეტად ნასიამოვნები წავიდა. დონდუკოვიც ძლიერ გახარებული იყო, რომ ყველაფერმა ზედმიწევნით ხელი შეუწყო მეფის სასურველად მიღებას და მის უხიფათოდ მოგზაურობას. რუსეთში გაბრუნებული მეფე რომ გემით გაისტუმრა ბათუმიდან დონდუკოვმა, მხიარულმა პირჯვარი გადისახა, მის მახლობლად მდგარ მღვდელს ხელი წაავლო და ხალისიანად მიმართა:

– აბა, მამაო, გადავიხადოთ პარაკლისი, რომ ასე მშვიდობიანად ამგზავრა ღმერთმა იმპერატორი და შეევევედროთ მას, რომ კვლავაც ასე კეთილად ამგზავროს! აბა წამობრძანდით ეკლესიაში! – გადმოგვძახა იქ მდგომთ. პარაკლისი კი გადავიხადეთ, ღმერთს ეთხოვა მეფისათვის მშვიდობიანი მგზავრობა მიეცა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ სადგურ ბორკაზე მეფის მატარებელი დაიმსხვრა და მეფე-დედოფალი ძლივს გადარჩნენ სიკვდილს“.

●

1888 წელს ევროპაში, – განსაკუთრებით ავსტრიასა და გერმანიაში, ანტისემიტური მოძრაობა დაიწყო. ილია წერილით „ებრაელთა საკითხზე" შეშფოთებულია იმის გამო, რომ ებრაელთა სიძულვილს თესენ გაზეთები და რომ ანტისემიტურ მოძრაობაში ჩაბმულნი არიან სტუდენტები. ასე რომ, ფაშიზმი არ აღმოცენებულა ცარიელ ნიადაგზე. ილია ამ შემთხვევაშიც ერთ–ერთი პირველი ჩამოჰკრავს ზარს ებრაელთა დასაცავად, თუმცა, კვლავ ჩვენს პრობლემებს დავუბრუნდეთ.

ქართველი თავად-აზნაურების უდიდესი ნაწილი ამ პერიოდისათვის კიდევ უფრო საშინელ მდგომარეობაშია, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა. სასურველსა და შესაძლებელს შორის კატასტროფული ზღვარია. მათი შესაძლებლობები ვერ სწვდება უკვე ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც კი.

მთელი მამულები აქვთ დაგირავებული. ვერ იხდიან გადასახადს და კარგავენ მამულებს.

ილიას წერილში „თავად-აზნაურობის უქმობით ჩვენი მიწა–წყლის დაკარგვა", სათაურშივე დასმულია დიაგნოზი ავადმყოფობისა.

ეს არის უქმობა, გაურჯელობა, ბედოვლათობა, უკუდო ამპარტავნობა. თავადი, რომელიც ბრძოლის ველზე სიცოცხლეს არ ზოგავს, სიკვდილად და სირცხვილად მიიჩნევს, ხელი მოჰკიდოს მამულის მოვლა-პატრონობის საქმეს. მანამდე ხრავს საკუთარ სიმდიდრეს და მანამდე გრძნობს თავს არხეინად, სანამ ბოლო კაპიკი არ ამოეწურება. „არავითარი სიმდიდრე დაუსრულებელი არ არის. ოქროს ზოდიც, რაც უნდა დიდი იყოს, თავის დროზეც ყინულსავით დაუდნება უქმს კაცსა და თუ თვითონ არა, მის შვილს, ან შვილისშვილს მაინც აგრძნობინებს აუცილებლობას შრომისას და გარჯისას და სიმწვავეს უქმობისას და გაურჯელობისას". ილია ბანკირი ყველაზე უკეთ გრძნობდა, ამ ბედოვლათობის გადამკიდე ვის ხელში გადადიოდა ჩვენი მიწა-წყალი, მაგრამ გამოსავალს ხედავდა – მიზეზი მცონარობის აღმოფხვრაში და არა ვალის მცირე ხნით გადადებაშია, რაც დაწყევლილ ნრეზე ტრიალს ნიშნავდა.

„შველით შეიძლება მამულის ხელიდან წასვლა ორის-სამის დღით, თუნდ ხუთის ექვსის წლით შეჰფერხდეს. მერე? მერე ხომ ისევ ის დღე დაგვადგა, თუ მამულს, როგორც სიმდიდრეს, იმის ეკონომიურ ბუნებისამებრ არ მოვექცევით." ამ წერილშიც ერთი

მარად აქტუალური გაკვეთილია ილიას მრავალრიცხოვან გაკვეთილთაგან.

დაბოლოს, დეკემბერში ილია აქვეყნებს წერილს – „უარმყოფელობა ჩვენში" 1988 წლის ზაფხულში თვე-ნახევარი რუსეთში იყო. ეტყობა იქ შეაშფოთა იმ უკიდურესმა რადიკალიზმმა, რაც იქ ახალ თაობაში ნორმად ქცეულიყო და ჩვენთან ჯერ კანტი-კუნტად ისმოდა. ეს არის წერილი იმ „ყოვლისმცოდნე" გვამების წინააღმდეგ, რომელნიც ყველა დროში გვევლინებიან დევიზით – ჩვენ ჩვენი ფასეულობები გვაქვს და ვინც ამ ფასეულობებს არ იზიარებს, კრეტინებად მიგვაჩნიაო, ან უფრო რბილად, ავტორიტეტული მწერალი კია, მაგრამ ჩვენ მწერლად არ ვცნობთო და ა.შ.

ყველაფრის უარყოფა მათ დიდი ლიბერალობა, განსწავლულობა და ახალი აზროვნება ჰგონიათ. ილიაც გვარიანად დასცინებს: გამოდის ჯეელი და იძახის: „შექსპირი რა კაცია აბა, რა მწერალია, რომ იმდენი რაღაცები დაუწერია და აბა თუ ერთგან ნახსენები ჰქონდეს рабочий вопрос-იო." გამოდის სხვა და იძახის: „ჩვენი მწერლები სულ მუხანათები და ქვეყნის მოღალატენი იყვნენო, რადგან ბატონ-ყმობის სიმწარეზედ ხმა არ ამოუღიათო." ეუბნები: კაცო, ეგ რა ადლი დაგიჭერია ხელში? არისტოტელე არა თუ სწუნობდა დღეს სამართლიანად გაკიცხულსა და მოსპობილს ბატონ-ყმობას, არამედ იგი უფრო უარესის მონობის მომხრეც იყო და აქედან განა ის გამოდის, რომ არისტოტელე სულელი იყო და ქვეყნის მუხანათი? ეგრე ხელაღებით უარყოფა გაგონილა! მაშ, ჰომეროსიც მჩვარში გადასახვევია, რომ ბატონ-ყმობა არ უხსენებია „ილიადაში?"

რა კომენტარი გავუკეთო ამ სიტყვებს? უპრიანია, ალბათ ასეთი: ჩვენი დროის უარმყოფელნი თუ ილიას ამ ციტატებს წაიკითხავენ, იქნებ ის მაინც იფიქრონ, მთლად ახლები, ახალი იდეების მქადაგებელნი არ ვყოფილვართ, ჩვენი ჭკუისანი ძალიან ადრეც ყოფილან, ნეტავ ვინ იყვნენ ან ასე უკვალოდ როგორ გაქრა მათი სახელებიო?..

1889

კრიტიკა ივ. ჯაბადარის ანტიქართული წერილისა. „რიგოლეტოს“ გაგდება რედაქციიდან. „პრესა და პირადობა“. ილიას გადასვლა დის ახალ სახლში. „ნამუსი, პატიოსნება და ყოველივე ადამიანური ღირსება, ისე ადვილად ხელშესახებელი არსად არის, როგორც ჩვენში.“

ილია

ილია ქართველ მოღვაწეთა შორის

ილიას გულისტკივილი იმ კაცის მიმართ, მტრის ლაშქარში რომ იქნევს ხმალს, „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ჩრდილოეთსა"-ო, ინტელიგენციაზე უნდა განზოგადდეს.

გახსოვთ ალბათ თავის „გამოცანებში" რა დღეში ჩააგდო გიორგი მუხრანსკი. ხმალი კი არა, იმან კალამიც მტრისთვის მოიქნია – ქართველები მცირენი ვართ და სულ გაქრობას სჯობია რუსებს შევერწყათო (რომ მიიცვალა, სვეტიცხოველში დამარხეს, როგორც ბაგრატიონთა შთამომავალი)... ილიამ მაშინ, როცა ეს „მარგალიტი" გამოქვეყნდა, არ დააყოვნა და ავტორს ასეთი „რჩევა" მისცა:

„თუ გინდა ძმაო იგემო
ამა ქვეყნის შვებანი,
დიდთა საფეროდ მოჰმართე
შენი გულ-სიტყვის ებანი".

გიორგი მუხრანსკის ეს რჩევა არც სჭირდებოდა, ისედაც კარგად ჰქონდა ნაგემი დიდთა წყალობაც და „ამა სოფლისა შვებანიც". უფრო საკვირველი ივანე ჯაბადარის საქციელია. თუ მუხრანსკი რუსის მთავრობის ერთგული გენერალი და სენატორი იყო, ეს კაცი, ჯაბადარი, მთელი ცხოვრება რუსის მთავრობას ებრძოდა, არადა, არსებითად, იმას წერდა, რასაც მუხრანსკი. უფრო სწორად, ერთსაც ჩაქნეული ჰქონდა ხელი ქართველთა მომავალზე და მეორესაც. ერთიც ნიჰილისტი იყო და მეორეც. ერთიც რუსის წისქვილზე ასხამდა წყალს და მეორეც.

1889 წლის დასაწყისში ჯაბადარი მივიდა ილიასთან და მიიტანა წერილი. თუმცა, ვიდრე მოგახსენებდეთ, რა წერილი მიიტანა და რა მოჰყვა ამას, პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ და გავცეთ პასუხი, – რატომ უნდა ყოფილიყო ერთ ჭკუაზე მეფის მსახური და მეფის მტერი? ივანე ჯაბადარი იყო ნაროდოვოლეცი, თანამოაზრე იმ ადამიანებისა, რომელთაც მოჰკლეს ალექსანდრე მეორე. ნანამები, ციმბირის გადასახლებაში ნამყოფი. მეუღლე, რუსის ქალი, ვგონებ მთლად ტერორისტი და მასზე კიდევ უფრო მეტი რა-

დიკალი გახლდათ. ჩამოვიდა ციმბირიდან ეს ჯაბადარი, დადიოდა „ივერიის“ რედაქციაში და ალბათ კარგი თვალითაც უყურებდნენ, როგორც თავისუფლებისათვის ნატანჯ კაცს, მაგრამ ვისი თავისუფლებისათვის? თურმე ეს ჩვენი ჯაბადარი თავს სწირავდა რუსეთის წეს-წყობილების შესაცვლელად, ეროვნება კი სულაც ფეხებზე ეკიდა.

დღევანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, ქართველი ნაროდნიკების ორი ჯგუფი არსებობდა. ორივე მთავრობისაგან ნაწამები, მაგრამ ერთნი დაბრუნდნენ, ილიას და ეროვნულ იდეას დაუდგნენ, მაგ. გიორგი ზდანოვიჩი(მაიაშვილი), სტ. ჭრელაშვილი, ნიკო ლომოური და სხვები, ხოლო მეორენი ეროვნული იდეის მტრად მოგვევლინენ, ანუ დიდი რუსეთის ინტერესებისათვის მზად იყვნენ საქართველო ქათამივით წაეკლათ, სწორედ ამათი მხრებიდან გადმოვლენ მესამე დასელები.

მეფის მთავრობა ეროვნულ საკითხში ამათზე უკეთეს მოკავშირეს ვის იპოვიდა? აი, ამ გარემოების გამო ერთნაირი იდეები იქადაგეს, ერთი მხრივ, მუხრანსკიმ და, მეორე მხრივ, მისმა ანტიპოდმა ჯაბადარმა.

აი, ეს ივანე ჯაბადარი მისდგომია „ივერიის“ რედაქციას, უთქვამს, წერილი მაქვს მომზადებული რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ჟურნალ „Северный Вестник“-ში ვაპირებ მის დაბეჭდვას, მაგრამ მანამდე თქვენთვის მინდოდა წამეკითხა და თქვენი აზრი გამეგოო.

არ მიეტანა სჯობდა. ახლა რედაქციის თანამშრომელ მანსვეტაშვილს მოვუსმინოთ. „არ იყო დაცული ისტორიული სინამდვილე, ვერ შეეგნო ავტორს რუსთაველის გმირების სულისკვეთება, გულის ძგერა, მათი საქციელი, ისტორიული ეპოქის შესაფერისად. ის უკიჟინებდა ნესტან–დარეჯანს, ტარიელს პასივობას, უძრავად, გულ–ხელდაკრეფით ჯდომას ერთ ალაგას, განუწყვეტლივ ჩივილს, წუწუნს და ცრემლების ღვრას.

ავტორს უსათუოდ უნდოდა, რომ რუსთაველის გმირები ისე მოქცეულიყვნენ, როგორც, მაგალითად, გმირები ჩერნიშევსკის რომანისა: „Что делать?“

ილია თავისებურად გაცხარდა და გაცეცხლებულმა უთხრა: არა, ბატონო ივანე, ჩვენ ეგრე ადვილად ვერ დაგითმობთ რუსთაველს. დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთახედვის ისრით ვერ გაიზომება „ვეფხის ტყაოსანი“. ამას მეტი დაფიქრება, მეტი

მოსაბრება უნდა. რუსული კრიტიკის ზენა-ქვერული ნავარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველის გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯის ცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისთქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბიჩევსკის კრიტიკა. და კიდევ ბევრი მწარე სიტყვები შესთავაზა ილიამ ჯაბადარს."

ეს ჯაბადარი თურმე თავჩაღუნული, სიტყვის შეუბრუნებლად ისმენდა მისთვის უსიამო განაჩენს. იქნებ მართალიც იყო ის ხმები, წერილში „ვეფხისტყაოსნის" შინაარსის გადმოცემა ეკუთვნის ჯაბადარს, დანარჩენი კი მისი რუსი ცოლის ლიუბატოვიჩის დაწერილიაო.

მისი იყო თუ ცოლისა, წაიღო ეს წერილი ივანემ და რუსულ გაზეთში მართლაც გამოაქვეყნა. ამას მოჰყვა ილიას ვრცელი წერილების სერია „აი ისტორია", სადაც ადრესატი შეგეცოდება, ისე გააძრო ტყავი. კი, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი" თუ ვერ გაიგო კაცმა და სისულელე დაწერა, ამაზე როგორ მოცდა ილია, ან ამდენ ლაპარაკად რად ღირსო, იკითხავს მკითხველი. ასე არ იყო. ჯერ ერთი, ჭავჭავაძე გააცეცხლა იმან, რომ მის წინ იჯდა სწორედ ის ტიპი უარმყოფლისა, რომელთა შესახებ სულ ცოტა ხნის წინ წერდა და მეორე, ეს ჯაბადარი იმეორებდა დრეპერის თეორიას – ყოველი ერი თავისი ბავშვობის, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდეგ ბერდება და კვდებაო. მართალია თუ არა, რომ ქართველი ერი მოხუცებულობას განიცდის და ღონე გამოელია? – სვამს კითხვას ჯაბადარი და პასუხობს. ქართველ ერს ინტენსიური ცხოვრება ჯერ არც კი აქვსო დაწყებული. კაცი იფიქრებს, დღეგრძელობა გვისურვა, რაკი ბებერ ერად არ გამოგვაცხადა, მაგრამ ნურას უკაცრავად.

თუ მუხრანსკი სიბერით სიკვდილს რუსებში ათქვეფას გვირჩევდა, ამან იგივე სურვილი ჩვენი უვარგისობით ახსნა. „ინტენსიური ცხოვრება" მაინც არ შეგვძლებია და სჯობდა სხვების ცხოვრებით გვეცხოვრა. აი, ამ „თეორიამ" გააცეცხლა ილია და დააწერინა წერილი, რომლის გამო მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი იტყვის: „ვინც მომავალში ქართველი ისტორიოგრაფიის თავგადასავალის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო

მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს."

ეს მერე ითქმება, დროის დისტანციიდან, მაშინ კი, როცა ილია საზოგადოებაში ტრიალებდა, ბევრი ავყია, მოენე და მლანძღველიც გამოუჩნდა. დიმიტრი ყიფიანზე რომ ამბობდა, ხასიათიანი კაცი იყოო, ასეთი გახლდათ თავადაც. სადაც ჰოს თქმა იყო საჭირო, არას ვერ ათქმევინებდით და სადაც არა უნდა ეთქვა, არასდიდებით ჰოს არ იტყოდა. ამის გამო თავისი ცხოვრების გზაზე იკრეფდა და იკრეფდა მტრებს. ეს ჯაბადარიც ერთი იმათგანი გახდა. გავიდა ივერიიდან და იმ დღის შემდეგ იმ რედაქციასთან კარგა ხანს ახლოს აღარ ჩაუვლია. თუმც 90-იან წლებში ისევ მიცუნცულდება უკან.

კაცს რომ საზოგადო საქმის გამო გაანაწყენებ, ჩვენში იმას კი არ ფიქრობენ, სამართლიანი იყავ თუ არა, მოსისხლედ გექცევა და როგორ გავნოს, ამაზე იჭყლეტს ტვინს. ბეზღი, ჭორი, ცილისწამება, აი, იარაღი რითაც განაწყენებული სამაგიეროს და თანაც საიდუმლოდ გიხდის. აი, ერთი მაგალითი ათასთაგან. „ივერიაში" ერთი ცნობილი მწერალი მუშაობდა. მოგონების ავტორი იოსებ იმედაშვილი არ ასახელებს ვინ იყო ეს ცნობილი მწერალი, მაგრამ მისი გაშიფვრა თუ ვინმეს დააინტერესებს, ძნელი არ არის. 90-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ ახალგაზრდა სცენაზეც გამოდიოდა ხოლმე. „მეფე ლირში" ლაერტის როლს თამაშობდა...

ეს კაცი ილიას თანამშრომელი იყო. ერთხელ „ივერიაში" „მეფე ლირის" წარმოდგენაზე ვრცელი რეცენზია დაბეჭდილა. ილიას წაუკითხავს და გაკვირვებით უთქვამს, შეხეთ რა ყოფილა ლაერტის როლის შემსრულებელი. ნეტა ვინ არის ეს რეცენზენტი, რომ მთელ პიესაზე იმდენი არაფერია ნათქვამი, რამდენიც ლაერტზე, ჰო, ვინ არის ეს რეცენზენტიო?

– თვითონ მაგ როლის აღმასრულებელი, – იყო პასუხი.

– რაო? – წარბი შეუკრავს ილიას და უთქვამს, დღესვე გააგდეთ ეს ბინძურიო და რედაქციიდან გაუძევებია.

წავიდა ის კაცი, გადავიდა ილიას მლანძველთა ჟურნალში სათანამშრომლოდ და მიიტანა პირველივე წერილი ლანძღვა-გინებით სავსე. ლანძღვას ხშირად იმეორებდა „რიგოლეტოს" ფსევდონიმით. შეადარეთ ახლა ორი კაცი ერთმანეთს, კირილე ლორთქიფანიძე და ეს „რიგოლეტო".

გახსოვთ ალბათ, კირილემ თავისივე რედაქტორობით დაბეჭდილ თავისივე რეცენზიაში, ფსევდონიმით რომ გამოაქვეყნა, რა დაწერა საკუთარ თავზე. სხვებმა სპექტაკლი კარგად ითამაშეს, მაგრამ კირილე ლორთქიფანიძე მუთაქასავით ეგდო სცენაზეო...

„რიგოლეტომ" კი ერთ უნამუსობას მეორე დაამატა. ხომ არ იტყოდა, რედაქციიდან გამომაგდეს და იმიტომ ვებრძვი ილიასო. ამბობდა, სიმართლის სიყვარული მაიძულებს ვამხილო ჭავჭავაძეო. ეს, ჩანდა მაინც ვინ იყო, მაგრამ უჩინარი ცილისმწამებლები რაღას არ კადრულობდნენ. ამ უხილავ მტრებზე იმავ 1889 წელს საოცარ წერილს დაწერს ჭავჭავაძე – „პრესა და პირადობა", დღემდე სანიმუშო გაკვეთილად რომ გამოდგება და, ვგონებ, დღეს განსაკუთრებით. ილია წერს: „ნამუსი, პატიოსნება და ყოველივე ადამიანური ღირსება, ისე ადვილად ხელშესახები არსად არის, როგორც ჩვენში, და ეგ ხელშეხება ისე დაუსჯელად, გაუკიცხავად არ ჩაუვლის ხოლმე ადამიანს, როგორც ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში".

„შორს ნუ ნავალთ და მივხედოთ მარტო ერთს სამაგალითო ამბავსა. აი ვსთქვათ, ჩვენ წინა ჰსდგას ერთი საწყალი, მიწასთან გასწორებული, ძონძებში და კონკებში ძლივ-ძლივ გახვეული ღატაკი კაცი, რომელსაც უსმელ-უჭმელობამ, შიშველ-ტიტველობამ ყოველივე ადამიანური ნიშან-წყალი ჩამოართვა, გაუბათილა. სდგას საცოდავი და ჰცახცახებს ცალკე შიმშილისა და ცალკე სიცივისაგან და ელის მართლმსაჯულების მსჯავრს წარბშეკრული და მიუდგომელ მსაჯულთაგან. მისი დანაშაული ის არის, რომ მშიერს ბაზარში ჩაუვლია, ფურნის დაზგაზედ პური დაუნახავს, უძლეველს შიშს შიმშილით სიკვდილისას დაუხშვია გრძნობა სირცხვილისა, დაუვლია საცოდავს ხელი და ერთი ორშაურიანი პური მოუტაცნია. „სასჯელი მაგას, სასჯელი! – ვიძახით დიდი და პატარა: „როგორ თუ მოიპარა! როგორ თუ იქურდა! პატიობა, ქურდობისა და მტაცებლობის წაქეზება და წახალისება იქნება!"

... რაში მდგომარეობს აქ დანაშაული....იმაში, რომ ხელშეხებულია, შერყეულია პატივი საკუთრებისა, რომელიც კაცთა ურთიერთობის დედაბოძად მიუჩნევიათ. თუ ესეა, რამდენად უფრო გამოსამეტებელი უნდა იყოს დასასჯელად ის, ვინც ადამიანს ჰპარავს იმას, რაც მის უძვირფასესს კუთვნილებას შეადგენს და ყოველგვარ ნივთიერ საკუთრებაზედ უფრო მეტად უღირს? განა ნამუსი და პატიოსნება ამისთანა დაუფასებელი საუნჯე არ არის! განა ადამიანი ნამუსითა და პატიოსნებით არ ადამიანობს და კაცური

კაცობა ამითი არა ჰკაცობს! განა მარტო ერთსა და ორს გაუწირავს თვით სიცოცხლეც–კი, ოღონდ ნამუსი და პატიოსნება შეირჩინოს და არავის არ გააჩირქიანებინოს!

თუ ესეა, მაშ რამდენად უფრო მძიმე შემცოდველი უნდა იყოს ორშაურიან პურის მპარავზე ის, ვინც ნამუსს, პატიოსნებას ჰპარავს კაცსა! ლოლიკას რომ ეხლანდელ დროში უკუღმა ტრიალი არ დაეწყო, სწორედ ამ გზით უნდა ევლო და ნამუსის მპარავი სამარცხვინო ბოძზედ უნდა გაეკრა. ეხლანდელი ლოლიკა ამას არ დასდევს, შიმშილისაგან ძალდატანებულს ღატაკს–კი სჯის ორ შაურიან პურის ქურდობისათვის და ნამუსის მპარავს კი ქების ტაშსაც შეაწევს ხოლმე, – დახე, რა ყოჩაღია, ამა და ამ კაცს საქვეყნოდ თავზე ლაფი დაასხაო!"

ეს იმ დროს დაიწერა, ახლანდელ დროს ნუ იგულისხმებ მკითხველო... აბა ეგეები სად ხდება ახლანდელ დროში...

ნურც ამ ამონარიდში იგულისხმებთ დღევანდელ საზოგადოებას – „ოღონდ ფლიდობა, ავკაცობა, ერთის სიტყვით, უღირსობა რამ–კი შესწამეთ კაცსა, ისე ადვილად და მალე დაიჯერებენ, თოთქო ბედნიერება კარზედ მიადგათ და ხელიდამ გაშვება ენანებათო.

ერთხელ და ორჯერელ არ შეგვხვედრია, რომ კაცი კაცს უსაბუთოდ ჰლანძღავს და ლაფში სვრის და როცა გამოსარჩლებია ვინმე, უკითხავთ: „შენი რა არისო?"...

„...ჩვენ მოწმედ ვყოფილვართ, რომ ამისთანა სინდისიერი მოსარჩელე გალანძღულისა და ცილისწამებელისა სასაცილოდ აეგდოთ, როგორც რეტროგრადი".

ერთი სიტყვით, ცილისწამებაზე მეტი უგვანობა ის არის, როცა ცილისწამებას და უსაბუთო ლანძღვას დიდი მაზანდა და ბაზარი აქვს საზოგადოებაში.

ილიასთვის გული რომ არ ეტკინათ, არც ამ თავისთავად სასიამოვნო მოვლენამ ჩაიარა, რასაც ახლა მოგითხრობთ.

●

1889 წელს აკაკის შესთავაზეს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი გამხდარიყო. კრებაზე, როცა მისი კანდიდატურა წამოაყენა თავადმა აბაშიძემ, როგორც „ივერიის" კორესპონდენტი გადმოგვცემს, აკაკის ხსენებაზე „იზრიალა საზოგადოებამ და ისეთი ხმა გავარდა ტაშის–ცემისა და ყვირილისა: „აკაკი იყოს დირექტორადაო!",

რომ თითქოს კლდის ხუილს დაემსგავსა. დიდხანს არ დაწყნარებულა ასეთი აღტაცება."

ფრიად ნასიამოვნებმა აკაკიმ დიდი მადლობები უხადა საზოგადოებას, ბრწყინვალე სიტყვაც წარმოსთქვა, მაგრამ აკაკი რის აკაკი იყო, ოქროს ბორკილზე, რომ თავისუფლება გაეცვალა და ამ თავის პოეტურ თავისუფლების აუცილებლობაზე ისე ლაღად ისაუბრა, ახლა ამ უარის გამო ატყდა ტაშის გრიალი. როცა აღტაცება ჩაცხრა, კრების მონაწილეთ, პირველად საქართველოში, მაგალითი მისცეს ყველას საყვარელი შემოქმედის დაფასებისა. იქვე გადაწყვიტეს, – აკაკის სიკვდილამდე ბანკიდან წლიურად 1500 მანეთი პენსია დავუნიშნოთო.

კირილე ლორთქიფანიძემ მოიბოდიშა კიდეც, ეს ჯილდო შესადარი არ არის იმ ღვაწლისა, რაც აკაკის მიუძღვის სამშობლოს წინაშე, მაგრამ ნიშნად საზოგადოების სიყვარულისა, მივმართავთ ამ ღონისძიებასო.

გაზეთ „ივერიამ" რამდენიმე ნომრიდან, რამდენიმე წერილი უძღვნა ამ მართლაცდა ღირსშესანიშნავ ფაქტს და მიულოცა აკაკის, მაგრამ ილია კი უნებლიედ გაილანძღა. „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდაო", – ასე მოხდა ილიას ერთი ძალადმაცხონე ქომაგის გამო.

აკაკის დაჯილდოებას გამოეხმაურა ნიკო ნიკოლაძე. „ყველა დიდიდან დაწყებული პატარამდე, კმაყოფილია იმისი, რომ მგოსანს დაუნიშნეს ეს, არსებითად რო ვთქვათ მეტისმეტად მცირე – 1500 მანეთის პენსია.

...ამ სასიამოვნო ფაქტმა გამოიწვია, თუ გააძლიერა ინტერესი მგოსნის მოღვაწეობისადმი... ამიტომ მე აუცილებელ საქმედ მიმაჩნია სრულიად სხვა მხარეს შევეხო: მე მინდა თ. აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ ჩემი თუნდაც გაკვრითი შეხედულება გამოვთქვა. დავიწყოთ იქიდან, რო თ. აკაკი წერეთელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ნამდვილი და ჭეშმარიტი პოეტია. ეს ცოტაა: ის ერთად-ერთი მგოსანია უკანასკნელი საუკუნის ნახევრის ქართველ მოლექსეთა შორის. ამას იმ მნიშვნელობით ვამბობ, რომ მათ შორის მხოლოდ აკაკი წერეთელს აქვს ბუნებიდან მომადლებული ის სპეციალური ნიჭი, რომელიც პოეტებს ქმნის...

თავ. აკაკი წერეთელს სალიტერატურო ნიჭის ძალა პირდაპირ საოცარია. შეიძლება სრულიათ გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ ის თავისი ბუნებრივი ნიჭით ყველა კავკასიის თანამედროვე მწე-

რალზე, პოეტსა და პროზაიკისზე მაღლა დგას, სრულიად გამოუკ-ლებლად...

მხოლოდ რუსულ ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს ამის მსგავსი რამ, სახელდობრ, პუშკინის ახალგაზრდა მუზის პირველი ნაბიჯებით გამოწვეული შთაბეჭდილება...

...ქართველმა მგოსანმა ვერ შესძლო რუსის პუშკინის მსგავსი გამხდარიყო და ძირიანად შეეცვალა თავისი სამშობლოს სალიტერა-ტურო ნაწარმოებთა არა მარტო ფორმა, არამედ შინაარსიც. ეს დიდი პატივი... ქართულ ლიტერატურაში წილად ხვდა არა თავ. აკაკი წერე-თელს, არამედ მეორე მწერალს, თავ. ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც, ამის გამო, სრული უფლებით პირველი ადგილი დაიჭირა თანამედ-როვე ქართული ლიტერატურის სათავეში... „მან (აკაკიმ, – ნ.გ.) მიწაში დაფლა ღვთის მიერ ბოძებული მძლე იარაღი – და მისი ხალხის ლიტე-რატურამ ვერ ისარგებლა მისი მოღვაწეობიდან ყველაფერი იმით, რი-სი მოცემაც შეეძლო ამ ბუმბერაზ ტალანტს, „თვისი თავის თვითონვე შემმუსვრელსა და მტერს", ტალანტს, რომელსაც საკმარისი იყო მხო-ლოდ ხელი გაენძრია, ეშრომა, რო გენიოსობამდი გაზრდილიყო. განა უღრმესად საწყენი არ არის ეს?" (იხ. ჟ.„განთიადი" №7, 1975წ. შდრ. ნ. გურგენიძე, ი. გორგაძე, დასახ. წიგნი).

ნიკო ნიკოლაძე უაღრესად გულწრფელი კაცი იყო, ყოველთ-ვის იმას წერდა, რასაც ფიქრობდა, არც მორიდება იცოდა და არც უსაგნო დითირამბები, მაგრამ ორი თანამედროვე გენიალური მწერლის დანომვრა უმადური საქმეა. მით უფრო ამ წერილს სხვე-ბი გამოეხმაურნენ. ვისაც როგორ უნდოდა, ისე გაიგო. ილიას უნი-ჭოს ეძახის და მაინც პირველია, ამბობსო, აკაკი პუშკინს არ ჩამო-უვარდება, მაგრამ რაღაცნაირი უსაგნო პუშკინიაო.

ნიკოს წერილმა ის ქნა, რომ ყველა უკმაყოფილო დატოვა, მათ შორის აკაკიც... ხალხსაც რომ სალაპარაკო გაუჩნდა. აბა ვინ მეტია და ვინ ნაკლებიო, იმდენი ქნეს აკაკისა თუ ილიას ძალადმაცხონე ქომაგებმა, ეს იყო მიზეზი თუ სხვა არ ვიცი, 1889 წლის დეკემბრის ბოლოს ჟურნალმა „თეატრმა" საზოგადოებას აუწყა აკაკის მიერ გაზეთ „ივერიაში" თანამშრომლობის შეწყვეტა...

●

იონა მეუნარგიას ცნობა ილიას ბინიდან-ბინაში გადასვლის შესახებ 1989 წელსაც ეხება. იონა წერს: „ილია ჯერ იდგა ახალ

ბებუთოვის ქუჩაზე, (დღევანდელი ვუკოლ ბერიძის ქ.– ნ.გ.) სტა-როსელსკის სახლის პირდაპირ, მერე, ოთხმოციან წლების მეორე ნახევარში, ის გადავიდა კუკიას, თავის დის ლიზა საგინოვას სახ-ლში, ბოლო დროს მან იყიდა საკუთარი სახლი ანდრეევის ქუჩა-ზე."

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრეს ძმისწულთან ლიზას განამაწია კი ჰქონია, მაგრამ, როგორც ითქვა, კანონით გათ-ვალისწინებული თავისი საქვრივო წილი 40 000 მანეთი მაინც მიი-ღო. ამ ფულით სახლი იყიდა კუკიაზე, ავჭალის ქუჩაზე. ეს არის ძვე-ლი ვორონცოვის მოედანი. ვორონცოვის ხიდიდან პირდაპირ ჩანდა ეს სახლი. იქ ილიამ, როგორც ჩანს, ერთი სახლის რეკონსტრუქცია მოახდინა, მეორე კი ახალი ააშენა. სახლის ერთი ფასადი ავჭალის ქუჩაზე გამოდიოდა, მეორე კი ნიკოლოზის ქუჩაზე. ამიტომ „ივე-რიის" მისამართს ხან ერთი ქუჩით მოიხსენიებენ ბიოგრაფები, ხან მეორე ქუჩით. არქიტექტორი მშენებლობისას ილიას ჰყავდა სვი-მონ კლდიაშვილი. ისე როგორც მოგვიანებით საგურამოს სახლის მშენებლობისას. ამ პერიოდისთვის საგურამოში ჯერ კიდევ ძველი ოთხოთახიანი ფიცრული სახლი დგას და არა ის, რომელიც დღე-ვანდელ მკითხველს უნახავს. სხვათა შორის, სვიმონ კლდიაშვილი იქნება არქიტექტორი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შე-ნობის, ანუ დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტისა.

ილია მეუღლითურთ 1889 წლიდან დის სახლში ცხოვრობს. იქ-ვეა „ივერიის" რედაქციაც. რამდენიმე ოთახი გაქირავებულიც აქვს ლიზას.

ეს დიდი ბანკირი, რომელმაც ბანკისგან საქართველოს იმდე-ნი მოგება დაუტოვა, რომ შემდეგ დამოუკიდებელი საქართველო ამ ფულით შექმნის თავის ბიუჯეტს, საკუთარ სახლს შეიძენს გარ-დაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე. შეიძენს ხსენებულ ანდ-რიას ქუჩაზე, ბოლშევიკები კი დასცინებენ და ამ ქუჩას, სერგო ორჯონიკიძის სახელს დაარქმევენ...

●

1889 წელს ერთი ნაკლებად ცნობილი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან უმნიშვნელოვანესი წერილი დაწერა ილიამ. ამ წე-რილს ჰქვია „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". ილიას წინასწარმეტყველური ნიჭი ამ წერილშიც არის გამჟღავნებული.

მკვლევართაგან მას ყურადღება მხოლოდ პროფესორმა გიორგი გაჩეჩილაძემ მიაქცია ამ რამდენიმე წლის წინ.

ილიამ ამ წერილით არსებითად საქართველოს მომავალი პოლიტიკური ორიენტაციის კონტური მოხაზა.

მაშინ, როცა, მსოფლიოს ლიდერობს ინგლისი. მაშინ, როცა, ევროპის დიდ სახელმწიფოებს 20 მილიონი ჯარისკაცი ჰყავთ და გამალებით იარაღდება ინგლისი, პრუსია, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი. მაშინ, როცა ამერიკის არსებობაც კი არ იცის რიგითმა ობივატელმა და ამერიკის ხსენებასაც კი იშვიათად შეხვდებით იმპერიის პრესაში, ილია დაწერს – **მომავალი მსოფლიოს ლიდერობა ამერიკის ხელთაა.** მოდი და ნუ აღიარებ მას, როგორც დიდ წინასწარმეტყველს.

1890

ილიას და აკაკის ხასიათები.დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალება. ერნესტო როსის ჩამოსვლა. ვახტანგ ორბელიანის, დავით ერისთავისა და დიმიტრი ყიფიანის შვილის გარდაცვალება.

აკაკი ნერეთელი

„რა საქართველო დანგრეული მომაგონდება"...

ვახტანგ ორბელიანი

1890 წლის იანვარში გამოდის ახალი ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი", რომელმაც 1922 წლამდე იარსება. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა, გიორგი წერეთლის მეორე ცოლი. „ჯეჯილის" პირველივე ნომერში დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა" და აკაკი წერეთლის „მერცხლისა და ჭივჭავის ომი".

ნებისმიერი გამომცემელი ინატრებდა, პირველივე ნომერში ორი ცოცხალი კლასიკოსის გვარი ენახა. რაკი ილია და აკაკი ვახსენეთ, ბარემ აქვე ვთქვათ, ზემოთ გამოქვეყნებული გაზეთ „თეატრის" ცნობა იმის შესახებ, რომ აკაკი წყვეტდა „ივერიაში" თანამშრომლობას, დღემოკლე აღმოჩნდა. ასეც იყო მოსალოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მითქმა-მოთქმა არ ჩამცხრალა, თითქოსდა ილიას და აკაკის არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა, მთლად ასეც არ იყო საქმე. პირიქით, იშვიათად ნახავთ ისეთ ფილოსოფიურ დამოკიდებულებას, როგორც მეუნარგია უსვამდა ხაზს, როგორიც ერთმანეთისადმი ამ ორ გამორჩეულ მესიტყვეს ჰქონდა.

ერთმა იცოდა მეორის ფასი და მეორემ პირველისა.

იცოდნენ, რა ტვირთსაც ეზიდებოდნენ.

ორივემ იცოდა, საქართველოს მტრების მთავარი სამიზნეები რომ იყვნენ. ამიტომ, ვერსად მათ ნაწერებში, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საგანზედ პოლემიკის მიუხედავად, ვერაფერს ამოიკითხავთ რაიმე ურთიერთშეურაცხმყოფელს.

არადა, მათი სხვებთან პოლემიკა ნახეთ. როგორც კატა თაგვს ისე რომ ათამაშებენ მოწინააღმდეგეთ. მართალია, ერთმანეთის განუყრელი მეგობრები არ ყოფილან. ასეთი რამ უფრო ხალხის სურვილია ხოლმე. თუ ორი გამორჩეული და თავისთვის საყვარელი პიროვნება ეგულება ერთ დროში ან მათი დიდი მეგობრობის მითი

უნდა შექმნან, ან თუ ამ მეგობრობას ვერ ხედავენ, მაშინ მათი სიძულვილის მითი იქმნება.

არავინ ფიქრობს იმაზე, რომ კერძო ცხოვრებაში კლასიკოსებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და უახლოეს მეგობრებს გული და ხასიათი ირჩევს. რა ილიას ბრალია ან აკაკიმ რა დააშავა, თუ ისინი ხასიათით სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან? პირველი დინჯია, მეორე მოუსვენარი.

ილიას მარტოობა შეუძლია, შეუძლია შინ ჩაიკეტოს და მთელი დღეები გარეთ არ გამოვიდეს.

აკაკი რომ დააბათ, სახლში ვერ გაჩერდება, ან კი სად ჰქონდა სახლი. ქუთაისშიც სასტუმროებში ან მეგობრების ოჯახებში ჩერდება და თბილისშიც.

ილია თავის ფიქრებით მთელ საქართველოს უვლის მყინვარწვერიდან „შავ ზღვამდისინ", მაგრამ პროვინციაში გასულს იშვიათად ნახავთ.

აკაკი სულ მოგზაურობს, სულ ხალხშია გასული.

ლხინი ერთსაც უყვარს და მეორესაც, მაგრამ ილიასთვის მასპინძლობა რიტუალად ქცეულა – თუ ხუთშაბათობები „ივერიის" რედაქციაში, თუ ილიაობა საგურამოში ყოველ 20 ივლისს, რომელიც ელიაობა იყო სინამდვილეში. ილიამ კი ისე დაამკვიდრა ეს დღე თავისი გულუხვი მასპინძლობით, მთელი საქართველოსთვის ილიაობად იქცა.

აკაკიც ხშირად არის სუფრაზე, მაგრამ ის ყოველთვის სტუმარია.

აკაკის მოფერება შეუძლია, ილიას ნაკლებად.

აკაკი სიბერეშიც დიდ ბავშვად დარჩა, ილიას კი ბავშვობაშივე შეეძლო აპოლინერის სიტყვებით ეთქვა: „სადა ხარ სიბერეევ, უშენოდ ვბერდები!" აკაკის შეუძლია აქვითინდეს, როცა პატარა ბავშვი მის „განთიადს" წაიკითხავს, მისი მეგობრის ბინაში.

ილიას ცრემლი, რაც მის თანამედროვეთა მოგონებებიდან ვიცით, სულ სამჯერ ნახეს. ერთხელ როცა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის ამბავი შეიტყო. ბანკიდან ფრეილინის ქუჩაზე, ახლანდელი სულხან-საბას ქუჩა, სადაც რედაქცია ჰქონდა, კაცი აფრინეს. ილია მივიდა. ყველაფერი უკვე იცოდა, რედაქციაში დეპეშა იყო მოსული. ილია დგას. ვანო მაჩაბელმა თავი ჩარგო ხელებში და ქვითინი აუტყდა. ილიას ორი მშრალი, მსხვილი კურცხალი ჩამოუგორდა თვალებიდან და დაეცა ლამაზ ულვაშებზე...

მეორედ მისი დიდი მეგობრის, ივანე პოლტარაცკის დაკრძალვაზე უნახავთ მის თვალზე ცრემლი, მესამედ ნიკო ხიზანიშვილის ცხედართან.

ასეთი იყო, დარდს გულში იკლავდა.

ილია დიდი მსმელი არ იყო, თრობამდე არ სვამდა, მაგრამ საჭირო შემთხვევაში უკან დახევა არ იცოდა. ერთი მოგონება: იმერლებს დაუპატიჟებიათ. ლანგრით რამდენიმე ჭიქა ჩამოატარეს და ერთბაშად დაცალეს. ილიას ვიღაცამ ეს რამდენიმე ჭიქა შეუმჩნევლად ააცილა. პურობა ისე გაგრძელდა, ვერავინ შეამჩნია ეს ამბავი. ილიამ გაიღიმა და ითხოვა, ბატონებო, რატომ მჩაგრავთ და ჩემს წილს არ დამალევინებთო. შეავსებინა ის ჭიქები და გამოსცალა.

აკაკი სმას ერიდებოდა, წერილიც კი დაწერა იმ ჩვეულებებზე, რომელთა გამოც, კაცმა არ იცის, რატომ უნდა დალიო იმდენი, რამდენსაც დაგისხამენ?...

ქალებს რაც შეეხებათ. ტრფიალი ერთმაც იცოდა და მეორემაც, მაგრამ ილია მაშინაც კი ფრთხილობს, როცა შეყვარებული ოლღას წერილსა სწერს, არავინ გაიგოს, არავის ჩაუვარდეს ეს წერილი ხელშიო. აკაკი კი, როგორ გეკადრებათ, ყველა სიყვარული სტამბური წესით აქვს ლექსებში აღბეჭდილი, თუნდაც გათხოვილ ქალს ეძღვნებოდეს ეს ლექსი...

კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას იმაზე, რაც განსხვავებული იყო მათ ხასიათში, რის გამოც ისინი არ იყვნენ ყოველღიურად ერთად ჩამსხდარი მეგობრები, მაგრამ მათ ერთი დიდი საერთო ჰქონდათ, რაც აკავშირებდათ, რის გამოც აფასებდნენ ერთმანეთს და რის გამოც ვერა ენამ, ვერა ჭორმა და გნებავთ, ვერა ოხრანკამ ვერასოდეს გადაჰკიდეს ერთმანეთს.

ამ საერთოს ისინიც გრძნობდნენ და გრძნობდა ერიც.

ეს იყო განცდა პატრონისა, ერთიც და მეორეც საქართველოს პატრონად გრძნობდა თავს, როგორც ორი კარგი შვილი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთნაირი გულისწყვეტით განიცდის დედის ავადმყოფობას, ისე ეს ორი მამულიშვილი ერთ სისხლ და ერთ ხორც იყვნენ თავიანთი მამულის წინაშე. და კიდევ ერთი, – ერთიცა და მეორეც სულიერი სისუფთავის ნიმუშნი იყვნენ. ილია, ასე პრაგმატული და მრავლისმნახველი, შინაგანად დარჩა თავისივე პერსონაჟად, იმ გიორგიდ, რომელიც ერთადერთს ითხოვს, ისე დამაფასეთ, როგორც თქვენი ნამუსი გაგწვდებათო.

აკაკი კი მთელი ცხოვრება საკუთარი მინით (მარგანეცის გამო ძვირადღირებულით) ვერ ისარგებლებს, მხოლოდ იმის გამო, რომ როსტომ წერეთელმა სიკვდილის ნინ ფიცი დაადებინა, სანამ ის ფრანგები არ გამოჩნდებიან, რომელთაც ამ მინის დამუშავებაზე პირობა მივეცით, საბადო არავის გადასცეო. თვითონაც ლაღობდა ამ ახირებული პირობის გამო, მაგრამ ფიცი მქონდა დადებული და ვერ გავტეხეო, ამბობს აკაკი.

ესეც არ იყოს, ერთმანეთის მოფრთხილებას ილიას და აკაკის პრაგმატული ინტერესიც ჰკარნახობდათ. ერთმაც იცოდა მეორის მჭრელი ენის შესახებ და მეორემაც პირველისა. იმ დროში მათ შესახებ მოსწრებულად ამბობდნენ კიდეც – ღმერთმა ილიას მტრობა გაცილოთ და აკაკის მოყვრობაო.

მტერი ჩავარდეს იმ დღეში, მაგალითად, აკაკიმ რომ გრიგოლ არწრუნი ჩააგდო. ეს არწრუნი სომხების დიდი პატრიოტი იყო. მამისგან დანატოვარი შთამბეჭდავი ქონება არ აღმოჩნდა საკმარისი, ქარვასლაც გაყიდა 1 მილიონად (სხვათა შორის, ილიას ბანკმა იყიდა) და მთელი ეს ფული სომხურ გაზეთ „მშაკს" და სომეხთა სხვა საჭიროებებს მოახმარა. 20 წელი რედაქტორობდა ამ გაზეთს. განსაკუთრებით ზრუნავდა თურქეთში მყოფ სომეხთა ბედზე და სომხეთის რუქაც შეუდგენია, მაგრამ ამ დალოცვილს რუქაზე ჩვენი სამხრეთი ნაწილი, მანგლისი და ქიზიყიც ზედ დაურთავს. ეს აკაკიმ იცოდა. ხვდებიან ერთმანეთს. არწრუნი აკაკის მოკითხვაზე დაიჩივლებს, – რაღა როგორ ვარ, მთელი სომხეთის ტვირთი ამ მხრებზე მკიდიაო და მხარზე დაირტყამს ხელს.

აკაკიც თანაგრძნობით დაუდასტურებს. კი, სომხეთი მხრებზე და არარატი კი ზურგზე გაწევსო.

ნუ იცი კაცო, ასეთი ლაპარაკი შენო და მოსცილდა ნაწყენი არწრუნი. ნაწყენი იმის გამო, რომ კუზიანი ყოფილა და ეს მიანიშნა მისი რუქით გაბრაზებულმა წერეთელმა.

ახლა ამ კომიკური წიაღსვლიდან, ისევ პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ. არათუ ერთმანეთს დამდურებიან, 1890 წლის თებერვალში ილია და აკაკი ერთად დგანან დიმიტრი ბაქრაძის ცხედართან.

დიმიტრი ბაქრაძე XIX საუკუნის საქართველოში პირველი ისტორიკოსი იყო, ვინც სერიოზულ, მეცნიერულ საფუძველზე დააყენა ჩვენი ისტორიის კვლევა. ის იყო „დროების" ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი 1866 წელს და, საზოგადოდ, მთელი ცხოვრება ემსახურა იმ საქმეს, რასაც მასზე უმცროსი 60-იანელები აკეთებდნენ.

ილიამ და „ივერიამ" სათანადო პატივი მიაგეს მის ხსოვნას. საფლავთან აკაკი ლექსს კითხულობს, დიმიტრი ბაქრაძისადმი მიძღვნილს. ილია გვერდით მდგომ ექვთიმე თაყაიშვილს ჩაულაპარაკებს – რა კარგი ლექსიაო და მეორე დღეს ამ ლექსს „ივერიაში" გამოაქვეყნებს.

●

მარტის თვეში ერთი უცნაური ქურდობა მოხდება. ვიღაცა შეიპარება „ივერიის" რედაქციაში და მოიპარავს ილიას ოქროს საათს და რამდენიმე ფუთ ძველ გაზეთებს. გაუგებარი ის არის, ამ ხელმრუდსა და გულმრუდ მპარავს თუ ოქროს საათი მიჰქონდა, ძველი გაზეთები რაღაში სჭირდებოდა, როცა იმ კაბინეტში სარფიანად გასაყიდი სხვა ნივთებიც იყო, ხოლო თუ გაზეთები უყვარდა, საათს რაღად იპარავდა. გასაგები მხოლოდ ერთი რამ არის, ეს ინფორმაცია რუსულ გაზეთში გამოქვეყნდა, თვით ილიას არაფერი დაუბეჭდავს. რატომ? რატომ და ვვარაუდობ, შერცხვა. შერცხვა იმისა, რომ გაძარცვეს, რომ მის სახლში შეიპარნენ, რომ შეუძლიათ ასე მოექცნენ. სინანული იმ დანაკარგზე ექნებოდა, რაც სულიერად განიცადა. თავისი დიდი პრაქტიკული ჭკუისა და საქმიანობის მიუხედავად ის ბოლომდე გამოუსწორებელი რომანტიკოსი იყო.

ის ძალიან ჰგავს თავის პეტრეს, რომელსაც ბოლომდე არ სჯერა, რომ დღისით, მზისით, ამოდენა მილეთი ხალხის წინ შეიძლება კატასავით ცოცხალი კაცი თოკზე ჩამოკიდონ. როგორიც არის პეტრე, ისეთად უყურებს ყველას. ეს საოცარი რწმენა ადამიანისადმი ილიას ჯიუტად შერჩება ბოლომდე, ეს რწმენა შეგნებულად არ გამოაჩენინებს სიფრთხილეს წიწამურისკენ მიმავალ უკანასკნელ გზაზე, მაგრამ ჩვენ ისევ შორს ნავედით, მოვბრუნდეთ უკან და შევხედოთ, რა ხდება, მაგალითად, თბილისის თეატრში მაინცდამაინც 27 მაისს.

●

უცხოელთა გასტროლებით იმ დროს თბილისი დიდად განებივრებული არ იყო. კი, ჩამოდიოდნენ ოპერის მომღერლები, მაგალითად, უკვე ითქვა, რომ პეტრე ჩაიკოვსკი ჩამობრძანდა. თან არა ერთხელ. 5 წელიწადში მიყოლებით 5-ჯერ ჩამოვიდა და ბორჯო-

მით გაგიუებული იქ მთლად შინაურ კაცადაც კი იქცა. ჩამოდიოდნენ ცირკის მსახიობებიც, დრამატული დასებიც, მაგრამ რჩეულნი მაინც იშვიათად. მსოფლიო სახელის მქონე მსახიობის ჩამოსვლა კი მოვლენად იქცა.

27 მაისს ბანკის თეატრში იტალიელი მსახიობი ერნესტო როსი იდგა მეფე ლირის როლში. როსი თავისი დასით იყო ჩამოსული და რამდენიმე სპექტაკლი ჩამოიტანა შექსპირისა.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მაყურებელს ასეთი აღფრთოვანება მანამდე არც ერთი უცხოელისადმი არ გამოუხატავს.

მაშინ რუსულ პრესას მეტი მკითხველი ჰყავდა, ვიდრე ქართულს. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძე 1887 წლიდან ისევ რუსულ გაზეთს გამოსცემდა ტირაჟისა და მკითხველთა უფრო დიდი რაოდენობის გამო. ადგილობრივი რუსული პრესის გარდა, მოდიოდა პეტერბურგისა და მოსკოვის, სხვა ქალაქების რუსული გაზეთებიც. ქართულს ივიწყებდნენ, თორემ რუსულის პრობლემა აღარ იყო... მაშინ ფრანგულ პრესასაც ბევრი მკითხველი ჰყავდა.

ასე რომ, ქართველი სცენისმოყვარულნი გაცნობიერებულნი იყვნენ, რა ხდებოდა მსოფლიოს დიდ ფიცარნაგებზე. მთავარი იყო უცხოელი მსახიობების გვარების ცოდნა და ამით კოკეტობა ახალგაზრდა გარუსებულ–გაფრანგებული ქართველი გოგონებისა და მამაკაცებისაც. უფრო ხშირად მომღერლები სტუმრობდნენ, ვიდრე თეატრები. აი, ამ მომღერლებით გადარეული გოგო–ბიჭების სურათი აქვს დახატული ერთ ექსპრომტში აკაკის. ეს ექსპრომტი უფრო მკაფიოდ წარმოგვიჩენს ცუდად გაევროპელებული ქალაქელი ახალგაზრდების სახეს. ექსპრომტს ჰქვია „წერილი ქალაქელ ქალისა სოფლელ მეგობარ ქალთან“ და სწორედ 1890 წელს არის დაწერილი:

„მომივიდა შენი წიგნი
მე ქართულად მონაწერი,
ვატრიალე აქეთ–იქით,
ვერ გავიგე ვერაფერი.
მოვაშურე ჩემს მეგობრებს
და სიცილი დამაყარეს
რომ ქართული არ იციან,
გულის წმინდით აღიარეს.
არ ვიცოდი რაღა მექნა,
აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი,

მაგრამ ბოლოს გამახსენდა
და გადიას გადავეცი.
იწერები, როგორა ვარ,
ან დროებას ვით ვატარებ,
მოკლედ გეტყვი არ მცალიან.
სრულ სიმართლეს აღვიარებ!
რა გავიდი ქალაქიდან
და მოგვშორდა დუშკა ლოდი,
შენმა გაზრდამ, მე სიხარულს
არ ვფიქრობდი, არ ველოდი.
სევდა გულზე შემომაწვა,
სისხლის მშრობი, ნაღვლის მწოვი,
მაგრამ ბედმა ულოდნელად
მოგვივლინა ტარტაკოვი.
არც ის შეგვრჩა დიდი ხნობით,
გვეგონა თუ დავრჩით მარტო,
მაგრამ ღმერთმა შეგვიბრალა,
გაგვიჩინა რუბირატო.
სადღაც კიდევ სხვაც დავურთო,
ჯერ არ ვიცი, რით შევამკო,
რადგან კარგად ვერც ვიცნობთ,
ახალია პერკუოკო.
ყველა ასე გავიძახით:
პერკუოკო, რუბირატო,
და კაცებიც ბანს გვაძლევენ...
პერ–კ–უ–ო–კ–ო, რ–უ–ბ–ი–რ–ა–ტ–ო!"

ეს ლოდი, ეს ტარტაკოვი, ეს რუბირატო, პერკუოკო იყვნენ მომღერლები...

ერთი სიტყვით, მარგინალური კულტურის ფონზე ერნესტო როსის გასტროლები თბილისში იყო სენსაცია. ასეც მიიღეს. თითქმის 20 დღე დარჩა თბილისში იტალიური დასი და სპექტაკლები მიდიოდა ანშლაგით. ჩვენი თეატრალები ბათუმში იყვნენ. გამოიძახეს და მათი წარმოდგენაც ნახეს იტალიელებმა. როსი ჩვენი მსახიობებით აღფრთოვანებულა. როსის და მის დასს რამდენჯერმე გაუმართეს ვახშამი მტკვრის პირას, ორთაჭალის ბაღებში, 100-ზე მეტი კაცი იყო მათ საპატივსაცემოდ მოწვეული. იმ დღეების პრესა წერს ამ წარმოდგენებზე, ამ ვახშმებზე. ილიას როსი მიჰყავს სა-

გურამოში და, რაც მთავარია, ყველა გამოსვლისას სუფრაზე, როსი ერთად სვამს საქართველოს ორი მთავარი ფიგურის სადღეგრძელოს – ილიასა და აკაკის სადღეგრძელოს.

თავის მხრივ ილია და აკაკი ისეთი სიტყვებით მიმართავენ (ეს სიტყვებიც გამოქვეყნებულია) დიდ მსახიობს, ისე ლაპარაკობენ შექსპირზე, რომ მსახიობი აღიარებს, არსად ისეთი ქვეყანა, ისეთი ხალხი არ მინახავს, როგორიც საქართველო და ქართველი ხალხია და არც შექსპირის მცოდნე და ასეთი დამფასებელიო. ჩვენთვის რომ ვთქვათ, ცოტა კიდეც მეცოდება ეს დიდი არტისტი. მსახიობს რომ ილია და აკაკი შექსპირზე დაუწყებდნენ ლაპარაკს, მსახიობ კაცს კი ექნებოდა ცოტა დისკომფორტი. იმან ბოლომდე ხომ არ იცოდა, ვინ ელაპარაკებოდა, ესენი ვინ იყვნენ, რომ ამათი დარი ორი კაცი იმ დროში, დასტურ ვამბობ, თვით იტალიასაც არ ჰყავდა...

სჯობდა წერტილი აქ დამესვა ამ 1890 წლისთვის, მაგრამ ცხოვრება არაფრად აგდებს, შენ რა გინდა. მიდის თავისი მკაცრი კანონებით და სიხარულთან ერთად ავსაც თესავს. ამ ორ კაცს, დიმიტრი ბაქრაძე რომ ერთად გააცილეს, 1890 წელს კიდევ სამ დაკრძალვაზე შევხვდებით, როგორც საერთო ჭირისუფალთ.

იქნებ მკითხველმა მისაყვედუროს, ილიაზე წერ და ყველგან აკაკის ხსენება რა საჭიროაო, მაგრამ რა ჩემი ბრალია, საზოგადო ჭირი იქნება თუ ლხინი, ისინი სულ ერთად არიან. ერნესტო როსის ათასობით კაცი შეხვდა, მაგრამ იმ დალოცვილმა ერთად მხოლოდ ორის სადღეგრძელო დალია – ილიასი და აკაკის, მემატიანე როგორ უნდა მოიქცეს?

დიახ, სამჯერ მოუწევთ კიდევ ღია სამარესთან დგომა. მათთვის რა იყო დიმიტრი ყიფიანი, მკითხველმა უკეთ იცის, მისი მკვლელის გასამართლება (ორიდან მხოლოდ ერთის) სულ რამდენიმე თვის დასრულებულია. საქართველოდან ალექსანდრე დონდუკოვ–კორსაკოვიცა და ეგზარქოსი პავლეც სწორედ ამ 1890 წელს გაინვიეს. ამათი გადაშენებით ცოტა გულს მაინც მოიფხანდა ოჯახი, მაგრამ არა, ახლა დიმიტრის ქალიშვილი, მშვენიერი მთარგმნელი და მოღვაწე ელენე ყიფიანი ლორთქიფანიძისა გარდაიცვალა 38 წლის ასაკში.

ოქტომბერში კი ჯერ ვახტანგ ორბელიანის ნეკროლოგს წაიკითხავთ ილიას დაწერილს „ივერიაში", შემდეგ, ნეკროლოგს დავით ერისთავზე.

წავიდა „სამშობლოს“ ავტორი, შთამომავლობით პოეტი, დავით გიორგის ძე ერისთავი. გარდა სამშობლოს წინაშე დამსახურებისა, ის ხომ ილიას ახლობელიც იყო. გახსოვთ, ალბათ, მის გამოცანებს რომ თარგმნიდა რუსულად და ბავშვივით უხაროდა ამ გამოცანების გავრცელებაში თავისი წვლილის შეტანა. დაკრძალეს კალოუბნის ეკლესიის ეზოში (კალოუბნის ეკლესიის ადგილზე ახლა რუსთაველის თეატრია. დავითის ნეშტი კი მთაწმინდაზე გადაასვენეს). ეპიტაფია მისი დაწერა აკაკიმ:

„ძღვნად და საკურთხად სამარადისოდ
საიმქვეყნიოდ და საამსოფლოდ,
ღირსმა ერის ძემ თვით ერისთავმა
სამშობლოსათვის დადგა სამშობლო“.

●

წავიდა ქართული რომანტიზმის უკანასკნელი მოჰიკანი ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი. ერეკლეს შვილიშვილთაგან ამ ერთმა მოატანა მხოლოდ მე-19 საუკუნის თითქმის დასასრულს. ერეკლეს ყველაზე საყვარელი ასულის თეკლას შვილმა ყველაზე დიდხანს უყურა საქართველოს დაჩოქების ხანგრძლივ ეპოქას. წავიდა თავის საოცარ დედასთან, თავის მართალ ძმებთან ალექსანდრე და დიმიტრი ორბელიანებთან.

ვახტანგ ორბელიანს ეთაყვანებოდა ილია. დიდი ახლობლობა ჰქონდა მასთან. სამართლიანად მიიჩნევდა ძველი თაობის ყველაზე გამორჩეულ კაცად და პოეტად. თავისი საუკეთესო ლიტერატურული ნერილიც უძღვნა მის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას.

ეს იყო კაცი, რომელიც ვერასოდეს შეეგუა თავისი საყვარელი მამულის იმ ყოფას, რომელსაც ამგვარად აღწერს: „დღეს კი უჭერო, უპატრონო, აოხრებული“. მისი ლექსები ერთი განუწყვეტელი კვნესაა საქართველოს ბედის გამო:

„რა ვქნა ცოდვილმა? გულსა და სულს ცეცხლი მედება,
რა საქართველო დანგრეული მომაგონდება.“

წავიდა კაცი, რომელიც იყო უკანასკნელი იმათთაგანი, ვისთვისაც ლექსები ბატონიშვილებისგან ჩამორთმეული ხმლების მოვალეობას ასრულებდნენ.

1891

ბრძოლის დაწყება ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის. მიზეზი და საბაბი. დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალება. ილია და აკაკი პეტერბურგის ექიმებთან. მაქსიმ გორკის(პეშკოვის) საქართველოში ჩამოსვლა და მისი უმადურობა.

დავით ჩუბინიშვილი

„იძულებული ვარ დავუპირისპირდე ადამიანს, რომელიც ძალიან მიყვარდა და რომელიც ქართული საზოგადოების დიდება და სიამაყეა."

ივ. მაჩაბელი

დაიწყო. დაიწყო და რა დაიწყო... მე-19 საუკუნეს მანამდე მსგავსი დისკუსიები არ ენახა. როგორ არა, ერთმანეთის ძირის თხრა სულ იყო, მაგალითად, რუსეთის დასის ქართველები ამწარებდნენ და აბეზღებდნენ პატრიოტებს.

იმდენი შურტა და მსტოვარი იყო ირგვლივ, ალექსანდრე ორბელიანს სიბნელეში დასჩემდა ლაპარაკი. ამის საჭიროებას შთამბეჭდავად ასაბუთებდა. ერთხელო, გორაკზე ორი ქართველი ერთმანეთს ხელების ქნევით, გაცხარებული ელაპარაკებოდაო. მეფე სოლომონისთვის მხლებელს უთქვამს, ეგენი შენ გლანძღავენ, მეფეო. მეფეს ორივე მოუხმია, დაუკითხავს და მხლებელი მართალი აღმოჩენილა. კი, მაგრამ ამ სიშორიდან როგორ შეატყე, ჩემზე რომ ლაპარაკობდნენო, ჰკითხა გაკვირვებულმა მეფემ მხლებელს. მაგათი მრისხანებითა და ხელების ქნევით მივხვდიო. ალექსანდრესაც ეს მაგალითი მოჰქონდა და რუსებს რომ არაფერი შეეტყოთ, სიბნელეში არჩევდა ლაპარაკს. სადამდეა ბეზღი და მტრობა, ურთიერთდასმენა მისული, ამითაც წარმოვიდგინოთ...

გრიგოლ ორბელიანი თუ სხვანი მაღალნი ჩინისანი კერძო მოკითხვის ბარათს ისე არ მისწერდნენ ერთმანეთს, შიგ რომ არ ჩაურთონ, რა კარგი მთავარმართებელი გვყავს, ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს და დიდხანს არ მოგვაშოროს კავკასიიდანო. რა უნდოდა კერძო მოკითხვის ბარათში ამათ ხსენებას, მაგრამ, რა ექნათ. გრძნობდნენ, – ყველა წერილი იხსნებოდა ადრესატთან მისვლამდე. ვინ რითი სუნთქავდა, ყველაფერი უნდა სცოდნოდათ და წერილის გამხსნელები თუ არა, თარჯიმნები ხომ ქართველები იყვნენ?

მაგრამ ეს მტრობა და ბეზღი მაინც პოლიტიკური ვითარების გამოვლინება იყო და ანგარიშში ამჯერად ნუ ჩავაგდებთ.

დისკუსია, პოლემიკა სხვა რამ გახლავთ. დისკუსია ერის ჯანსაღი სიცოცხლისათვის საჭირო და აუცილებელიც კი არის.

იყო პოლემიკა 60-იან წლებში, დაიწყო ილიას ცნობილი „კაზლოვითგან შეშლილის თარგმანის გამო".

იყო პოლემიკა 70-იან წლებში, დაიწყო ილიას ცნობილი „გამოცანების" გამო.

იყო პოლემიკა 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანის დასაწყისში საბანკო საქმის გამო, რაც ილიასა და ნიკოლაძეს შორის კინაღამ ტყვიის სროლით დამთავრდა.

იყო პოლემიკა რუსებთან – კატკოვთან და იანოვსკისთან.

იყო პოლემიკა გადარუსებულებთან – გიორგი მუხრანსკისთან და ივანე ჯაბადართან.

ყველა ამ დისკუსიას, ცალკეული შემთხვევების გარდა (მაგ., დამბაჩებამდე საქმის მიყვანა), დადებითი შედეგიც ჰქონდა. სხვა მხრივ რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ის რად ღირს, რომ პოლემიკის კულტურა, როგორც ცა და მიწა ისე განსხვავდება 60-იან და 80-იან წლებში. ახლა აღარავინ დაბეჭდავს ასეთ სისულელეს – ნეტავ რად ნატრულობს პოეტი გაზაფხულს და მამულის აყვავებას, ერთი შეხედოს, როგორ ყვავის ველ–მინდვრებიო.

კი, იყო ეს ეტაპები, მაგრამ რა დისკუსიებიც 1891 წელს დაიწყო ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის, მანამდე მსგავსი არაფერი მომხდარა. დავიწყოთ იმით, რომ ამ პოლემიკის ცენტრში დგას ორი ყოფილი თანამებრძოლი, წარსულშიც და დღესაც თანამშრომელნი. ერთი ბანკის თავმჯდომარეა, მეორე – ბანკის დირექტორი და, რაც მთავარია, ორი უნიჭიერესი კაცი.

ერთმანეთის პირისპირ დგება „საუკუნის ორი ფალავანი" (ვახტანგ კოტეტიშვილის გამოთქმაა).

დავიწყოთ იმით, რომ პირველს, ილია ჭავჭავაძეს, ემხრობა ნიკო ნიკოლაძე, ილიას ყოფილი ოპონენტი საბანკო საკითხებში, ხოლო მეორეს, ივანე მაჩაბელს, მხარს უჭერს (უფრო მორალურად) აკაკი წერეთელი.

დავიწყოთ იმით, რომ მთელი შეგნებული საზოგადოება იყოფა სამ ნაწილად: ჭავჭავაძისტებად, მაჩაბლისტებად და ნეიტრალებად, ანუ სეირის მაყურებლებად.

დავიწყოთ იმით, რომ პოლემიკა თბილისიდან გადის კახეთში, ქართლში, იმერეთში, აჭარაში და საქმეში ერთვება თვით იმპერიის ცენტრი – პეტერბურგი.

დავიწყოთ იმით, რომ ეს პოლემიკა, ბანკის კრებები 5 წელიწადს გაგრძელდება. ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, რომ ბანკის კრებებზე, გარდა ორატორთა ბრწყინვალე ან სულელური გამოსვლებისა, არის გაწევ-გამოწევა და აურზაურიც.

ჰოდა, სრულად წარმოგვიდგება პარლამენტი თავისი დემოკრატიით, თავისი კენჭისყრებით, თავისი უმრავლესობითა და უმცირესობით, თავისი ნეიტრალებით, რომელნიც ნადავლს ელიან და გამარჯვებულისკენ გადაიხრებიან, თავისი კულისებმიღმა ინტრიგებით, თავისი გაწევ–გამოწევებით და თავისი იზმებით.

ერთი სიტყვით, 1891 წელს ილიას ბანკში, ვინმეს მოსწონს ეს თუ არ მოსწონს, საქართველოს იმჟამინდელი „პარლამენტის" სხდომები იწყება...

დღის წესრიგი, ბანკის გამგეობის თავმჯდომარისაგან სრულიად მოულოდნელად, კრების დაწყების წინ ივანე მაჩაბელმა დაახვედრა შეკრებილ საზოგადოებას.

აი, ეს საკითხებიც:

1. რატომ არ ნახა ილიამ თბილისში ჩამოსული ფინანსთა მინისტრი ოსტროვსკი.

2. მფლობელობის მოწმობისა და მედიატორების გადაწყვეტილების უგულებელყოფა.

3. ბაქოში გამგეობის წევრთა გაგზავნის გაიშვიათება..

არც ერთი ეს საკითხი ბრძოლის დაწყებად არ ღირდა. მიზეზი სხვა იყო და ქვემოთ მოგახსენებთ, მაგრამ „დღის წესრიგს" ხომ პასუხის გაცემა სჭირდებოდა?

ჯერ ის ავხსნათ, ილიასა და ფინანსთა მინისტრს ამ კრებაზე რის გამო ახსენებენ. საქმე ის გახლავთ, რომ წინა წელს ბათუმელებმა ითხოვეს თბილისის საადგილმამულო ბანკში გირაოს სახით ბათუმის მიწების ჩადების უფლება მოგვეცითო. ფინანსთა მინისტრი, ჩვენთვის უკვე ცნობილი იმით, რომ დრამატურგ ოსტროვსკის ძმა იყო, ბათუმსა და თბილისს ჩამობრძანებულა. მასთან მისვლა ილიას დაავალეს. გარდა ბათუმის მიწების საკითხისა, უნდა ეთხოვა კრედიტის უფრო იაფად გაცემის ნებართვაც. ახლა მეუნარგიას მოვუსმინოთ: „ილია არ წავიდა მასთან, როცა ამის გამო საქმის გადაწყვეტა დაგვიანდა და ილიას უსაყვედურეს, რატომ მინისტრი არ ნახეო, მან პასუხად თქვა: ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც ჩემი მიუსვლელობა დააბრკოლებდაო".

შემთხვევითი არ არის, რომ ამ პასაჟის შემდეგ მეუნარგია იხსენებს ილიას ერთ ლირიკულ გადახვევას. – „ვაა... ვერ წარმოიდგენ – მითხრა ერთხელ იმან, – რაღაც შემთხვევის გამო, ბრაზილიის იმპერატორმა დონ–პიედრომ შეუთვალა ვიქტორ ჰიუგოს (აქ მგოსანი წამოდგა ზეზე და გამოიჭიმა მთელი მისი სიმაღლით) შენი ნახვა და გაცნობა მწადიანო. ამის პასუხად ჰიუგომ შეუთვალა მეფეს: მე სადარბაზოდ არავისთან არ დავდივარო. მაშინ იმპერატორმა და მისმა ტახტის მემკვიდრემ თვითონ ინახულეს დიდი მგოსანი. ვიზიტის დროს, როცა მასპინძელმა, სიტყვაზე, „თქვენო უდიდებულესობაო" უთხრა მეფეს, მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანს და უთხრა თავის მემკვიდრეს: – შვილო ჩემო, გახსოვდეს, აქ არ არის მეორე უდიდებულესობა, ვიქტორ ჰიუგოს გარდა"-ო.

ეს სიტყვები ილიამ დიდის ამბის–ყოფით წარმოსთქვა, ეტყობოდა სიხარულით, რომ ქვეყნის მბრძანებელი ასეთგვარად ემორჩილებოდა სიტყვისა და ლექსთა მეფეს, როგორიც იყო ჰიუგო". შემთხვევითი არ უნდა იყოს-მეთქი, რომ მეუნარგიამ ეს პასაჟი მაინცდამაინც იმ მომენტში გაიხსენა, როცა ილია ფინანსთა მინისტრთან არ მიდის...

კი ბატონო, ამა სოფლის ძლიერებთან გამოცხადებაზე მართლა წელი წყდებოდა. ახლა შერემეტიევია მთავარმართებელი, მაგასთან მისულია თუ არა, კაცმა არ იცის, რადგან ეს კაცი თვით „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" შესაბამისი პერიოდის, 90-იანი წლების ისტორიაშიც კი მხოლოდ ერთხელ იხსენიება – 1890 წელს დაინიშნა და შემდეგ გოლიცინმა შეცვალაო, ეს არის და ეს. აი, გოლიცინს რაც შეეხება, ის მეტისმეტად მედიდური კაცი ყოფილა, ამიტომ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ გოლიცინის სურვილის მიუხედავად, გაეცნო ილია, ამას ერთხელაც კი მის კაბინეტში ფეხი არ დაუდგამს.

ეს ყველაფერი რომ არ გვეთქვა, საკმარისია ისიც გავიხსენოთ, რომ ფინანსთა მინისტრ ოსტროვსკის ილია მანამდეც იყო შეხვედრილი, მერე რომ იცინოდა, თავად–აზნაურობამ ჩვენი დარდი უამბოო. მინისტრმა მოისმინა და წავიდაო. ამიტომ, მაჩაბლის პასუხად ახლაც იგივეს ამბობს, ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა პასუხს და ვერც მიუსვლელობაო...

და ერთიც, ბანკის კრედიტის გაიაფება, რის გამოც მინისტრს უნდა შეხვედროდა, თავად ილიას ჰქონდა განზრახული და ცოტა არ იყოს, ღია კარს უმტვრევდნენ. თუ წინა წელს „ივერიაში" გა-

მოქვეყნებულ მის წერილს „ბანკის საადგილ-მამულო კრედიტის გამო“ წაიკითხავს კაცი, ამაში თავად დარწმუნდება. იქ იგი წერს, ეს 15 წელიწადი კერძო კაცის ცხოვრებაში ცოტა არ არის, მაგრამ ახლადდაარსებული ბანკისათვის საჭირო დრო იყო, რომ თავად ფეხზე დამდგარიყო, ახლა კი „მომწიფდა დროცა, რომ ბანკი შეუდგეს კრედიტის გაიაფების თადარიგსა“-ო და თარიღებსაც ასახელებს: დამფუძნებელთათვის ეს მოხდება 1891 წლის 1 იანვრიდანო. რაც შეეხება ბრალდების მე-2 და მესამე საკითხებს. მფლობელის მოწმობას და მედიატორის გადაწყვეტილებას რატომ უგულებელყოფო (გაითვალისწინეთ, რომ დოკუმენტაციის ფალსიფიკაცია იმ დროშიც იყო, აშორდიას მაგალითი რად ღირს) ან ბაქოში ხშირი მივლინებები რატომ აღარ გვაქვსო, ეს ბრალდებები ილიამ სასაცილოდ აიგდო. ბოლოს კი დაასკვნა: „ოთხმა კაცმა ილაპარაკა თითომ ორ-ორი საათი და ორი მიმართულება გამოირკვა. ერთი თავ. ჭავჭავაძისა და იმის მომხრეთა, მეორე – მოწინააღმდეგეთა. ამ მოწინააღმდეგეთ ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ვერაფერი კი ვერ სთქვეს – რა... საერთო ბრალდებითგან მხოლოდ ისა სჩანს, რომ ბანკი მტკიცე საძირკველზედ სდგას. თ.ი. ჭავჭავაძის საფინანსო პოლიტიკის წყალობით. დარწმუნებული ვარ, რომ მ. მაჩაბელს სჯერა, რომ ბანკი იღუპებაო. თუმცა ეს განსაცდელი საქმით კი ჯერ ვერ დაუნახავს, მხოლოდ წარმოუდგენია“ (ნ. ხუდადოვი, „ივერია“ 1891, N107, შდრ. ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე დასახ. ნაშრომი).

ილია, როგორც გამოცდილი პოლემისტი, ჯერ თავს იცავს, სკრუპულოზურად წონის მოწინააღმდეგეთა ყოველ ბრალდებას, აჩვენებს ამ ბრალდებათა უსუსურობას, შემდეგ ირონიით შეტევაზე გადადის – ბანკის დაღუპვა ვერ დაუნახავს, მხოლოდ წარმოუდგენიაო. ბოლოს მიმართავს იმპროვიზებულ თავდაცვას, ვითომ თავს იცავს, არადა საბოლოოდ თავს ატყდება ოპონენტებს და სრულიად გაბიაბრუებულს სტოვებს. გამოსვლის ბოლოს ის იტყვის: „ეს ორი დღეა, ტუსაღის ფარაჯა ჩამაცვეს და ბრალდებულის ადგილას ამიჩინეს ბინა. ყველას სალაპარაკო მე გავხდენილვარ, ზოგი მაქებს, ზოგი მაძაგებს, ქებისათვის დიდათ გმადლობთ და ძაგებისათვის კი უფრო მეტად გმადლობთ, მაგრამ ჩემი მდგომარეობაც წარმოიდგინეთ. ისე გამიჭირდა საქმე, რომ გაპარვაც კი დავაპირე, მაგრამ დავრჩი კი, დავრჩი მხოლოდ იმიტომ, რომ მ. ვ. მაჩაბელის საფინანსო პოლიტიკის თავი და ბოლო გამეგო ... იქნებ

იმის საფინანსო პოლიტიკის თავი და ბოლო ის იყოს, რომ მე მწამებს ზარმაცი კაცი ხარ, გულგრილად ეკიდები საქმესაო".

ეს ივანე არ არის, ივანეს ჯერ კიდევ ინდობს ილია, ეს მიშო მაჩაბელია, ივანეს თავგამოდებული მომხრე, სიზარმაცეს რომ დაჰკიჟინებს, ეს კი აქედან ჩაუირონიებს, ჩემი სიზარმაცე ფაქტიც რომ იყოს, შენი გენიალური საბანკო-საფინანსო პოლიტიკის დასტური რატომ არისო?

პირველი ზედ-მისევა მაჩაბლისტებისა მათთვის პირწმინდად მარცხით დამთავრდა. მიშო მაჩაბელი გულუბრყვილოდ იტყვის: „ილია ყველაფერს ვეტოს ადებდა, თავისი ავტორიტეტითო". ილია უპასუხებს: „მე ხომ ძალით არ დამიდგამს ავტორიტეტის გვირგვინიო".

ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ მისთვის მოულოდნელი ბრძოლის დასაწყისში ილია „ხმალს" მსუბუქად იქნევს. მოყოლებული შექსპირის თარგმნიდან, როცა ვანო სტუდენტი იყო, დამთავრებული იტალიელ მსახიობ როსისთან პურობით, სადაც მაჩაბელი ილიასთან და აკაკისთან ერთად მთავარი მასპინძელი გახლდათ, მათი ურთიერთპატივისცემა არ განელებულა. „დროების" რედაქტორობასთან დაკავშირებით ილიამ რომ ვიღაც ქანანოვი არჩია ვანოს (თუმცა ჯერ მაჩაბლის კანდიდატურა წამოაყენა), კი იყო ვანო ცოტა ნაწყენი, მაგრამ ხვდებოდა, რაკი „დროებას" ვალები ჰქონდა, სწორედ ამ ვალების გასტუმრება ითავა მაშინ ამ ქანანოვმა. მიზეზი ეს იყო და არა ის, რომ ილია ამ ორს შორის განსხვავებას ვერ ხედავდა.... ერთი სიტყვით, ილიას ენანება წარსული ურთიერთობის გაფუჭება, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელს მაჩაბელმა გვარიანად აწყენინა. ეს ამბავი ასე იყო. წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარის არჩევისას სავალდებულო არ იყო სხვა კანდიდატის წინასწარ დასახელება. ილიას შეცვლა თავში მანამდე არავის მოსვლია. როცა თავმჯდომარე უნდა აერჩიათ, მაჩაბელმა მოულოდნელად კანდიდატად ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი დაასახელა, ისე, რომ ამ უკანასკნელთან შეთანხმებული არ ყოფილა. მაღალაშვილი ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშალია, თან ილიას სტუდენტობისდროინდელი მეგობარი და მისი თანამებრძოლი. წარმოიდგინეთ უხერხულობა როგორც მისი, ისე ილიასი. ცხადია, ილია გახდა თავმჯდომარე, მაგრამ ვანოს ეს საქციელი ალბათ არ გაუხარდებოდა. მიუხედავად ამისა, ხსენებული საბანკო დებატების შემდეგ, ბანკის თავმ-

ჯდომარის ასარჩევი კენჭისყრის წინ, მაჩაბლის ბრალდებას „ზარმაცი ხართ"-ო, ნახეთ, როგორ შინაურულ პასუხს აძლევს: „ზარმაცი ხართ, გახლავართ, მაგრამ ეგ ყველა ეხლა სათქმელი იყო? რაღა ეხლა მოგაგონდათ მაგის თქმა, როცა ბენვის ხიდია გადებული და ამ სიმძიმე კაცი ზედ უნდა გამატარონ, ესე იგი, როცა კენჭი უნდა მიყარონ?" – ასე თბილად გამეტებულ ოპონენტებს არ ელაპარაკებიან, თავის მხრივ, იმ დღეებში (1891 წლის მაისის თვეში ტარდებოდა კრებები). ივანე მაჩაბელიც ასე დაწერს „ნოვოე ობოზრენიეს" ფურცლებზე – იძულებული ვარ დავუპირისპირდე ადამიანს, რომელიც ძალიან მიყვარდა და რომელიც ქართული საზოგადოების დიდება და სიამაყეაო. (იხ. ლ. ფერაძე „შეწყვეტილი სიცოცხლე", თბ. 2004 წ. გვ 62)

ხანგრძლივი პოლემიკის შემდეგ, ყველაფერი კენჭისყრას უნდა გადაეწყვიტა. ილიას ბოლო სიტყვას დამსწრეთა ხანგრძლივი ტაში მოჰყვა.

სთხოვეს, როგორც აქამდე, – დღესაც არ გვინდა კენჭისყრა, უკენჭოდ დარჩით ისევ თავმჯდომარეთო. ილიამ აიჩემა, რაკი მოწინააღმდეგენი გამომიჩდნენ, კენჭი მიყარეთო. შედგა კენჭისყრა. ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ ისევ ილია აირჩიეს. მომხრე 321. წინააღმდეგი 58.

კრება ფეხზე დგას და ტაშს უკრავს.

მომდევნო დღეებში გაზეთში მოსდის მოლოცვის ბარათები. ილია ყველას ერთად პასუხობს, ერთიანი სამადლობელო წერილით.

მაჩაბელს სთხოვეს, მაგრამ არ გაჩერდა. მან ბანკის დირექტორობა დატოვა...

●

ახლა ორიოდე სიტყვით, რა იყო მიზეზი ბანკობიადის დაწყებისა? (და ეს მხოლოდ დასაწყისი გახლდათ).

ამაზე ბანკის სპეციალისტებს ალბათ ტომების დაწერა შეუძლიათ. თეზისურად მე, ამ საქმის დილეტანტს, შემიძლია ვთქვა შემდეგი:

1. თავიდან მიზეზი არ ყოფილა პიროვნული, კერძო.

2. მიზეზი იყო ორი განსხვავებული ეკონომიკური ხედვა.

ა) მაჩაბელს გული უკვდებოდა, რომ ხედავდა ვალის დაუფარაობის გამო, როგორ გადადიოდა ქართველ მემამულეთა მიწები ვაჭრების და განსაკუთრებით არაქართველების ხელში.

ბ) მაჩაბელი ცდილობდა ვალის დაფარვის გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო, სერიოზული შეღავათების შემოღებას მემემულეთათვის.

გ) მაჩაბელი ცდილობდა მამულების გაყიდვა გადადებულიყო ვალის დაფარვის ბოლო ვადის ამოწურვიდან 6 თვის გახანგრძლივებით მაინც.

დ) იყო სხვა საკითხებიც. ყველა ერთად თავს იყრის ერთ ფრაზაში, მაჩაბელი მომხრე იყო ლიბერალური საბანკო პოლიტიკისა.

თქვენს მონა-მორჩილს ამ საკითხზე მსჯელობა გაუჭირდებოდა, თავის თვალით რომ არ ენახა, რა დამართა საქართველოს ლიბერალურმა საბანკო პოლიტიკამ XX საუკუნის 90-იან წლებში.

ნუთუ შეიძლება თავად-აზნაურობა არ მიმხრობოდა მაჩაბელს, რომელსაც არც ორატორობა უჭირდა და, რომელიც სწორედ მათ სასარგებლო იდეებს ქადაგებდა. მაშ რა მოხდა? მოხდა ის, რომ მოწინააღმდეგე იყო ილია.

არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ილიას არ სტკენდა გულს ჩვენი მიწა-წყლის უცხოთა ხელში გადასვლა, რომ ილიას არ ეცოდებოდა ადამიანი და არ სურდა მისი დახმარება, თუნდაც ვალის გადავადება, შეღავათები და ა. შ.

მაშ, რატომ იცავდა ასე თავგამოდებით თავის მკაცრ საფინანსო პოლიტიკას? საქმე ის არის, რომ ილიამ ყველა დაარწმუნა, მაჩაბელსა და მაჩაბლისტებს შესაძლებელი და სასურველი ერთმანეთში ერეოდათ. რომ კეთილშობილური მიზანი, შესაძლოა უბედურების მიზეზად ქცეულიყო.

თუ გარანტირებული არ იქნებოდა ბანკისთვის ვალის დაბრუნება, გაკოტრდებოდა ბანკიც, ანუ მისი აქციონერებიც. მამულებიც კიდევ უფრო ჩალის ფასად გაიყიდებოდა ბანკის გარეშე. ჩაილურის წყალს დალევდა ყველა ის ეროვნული საქმე, რასაც ბანკის შემოსავალი ემსახურებოდა.

ილიას არაერთი წერილი აქვს მიძღვნილი ჩვენი ხალხის უდარდელობისადმი, თათქარიძეობისადმი, წერილი იმაზედ, რომ მამულების არ გაყიდვის წამალი აუქციონის გადადებაში კი არ არის, რაც დროებით კურნავს იარის პირს და თხრამლი კი ისევ შიგ რჩება, არამედ ბრძოლა თვით წყლულის მიზეზთან.

მთელი ეს ფილოსოფია, შესანიშნავად და უბრალო ენით აქვს გადმოცემული არტემ ახნაზაროვს. ის ჰყვება ასეთ ამბავს: „ამბობენ, რამდენადაც ივანე მაჩაბელი ლმობიერია და ყველას შეღა-

ვათს აძლევს ბანკის ვალის წლიური გადასახადის შეტანის დროს, იმდენად ილია ულმობელია და თუ ვისმე მამული საჯარო ვაჭრობის წესით გასაყიდად არის დანიშნული, ვაჭრობას არ გადასდებს, ვიდრე მსესხებელი წლიურ გადასახადს სრულად არ შეიტანსო. თვით ილიასაგან კი ასეთი ამბავი გამიგონია:

საჯარო ვაჭრობის წინა დღეს კახეთიდან ერთი შედარებით შეძლებული თავადიშვილი ჩამოვიდა ტფილისში, რომელსაც მამული ბანკში ჰქონდა დაგირავებული და წლიურ გადასახადის შეუტანლობის გამო მამული ეყიდებოდა. ოთხმოცი თუმანი ჰქონდა შემოსატანი. გამგეობაში შემოვიდა და მთხოვა:

წლეულს ცუდი მოსავალი იყო და გთხოვთ ამ ვალის გადახდა მერმისამდე მადროვოთო და მამული არ გამიყიდოთო.

– უარი მოვახსენე, კარებამდე წავიდა და ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა:

– მაშ კარგი, ნახევარს შემოვიტან, ნახევარი დამაცადეთ,

– კვლავ უარი მოვახსენე, გავიდა გამგეობის ოთახიდან, ათი წუთის შემდეგ უკან შემობრუნდა და გამომიცხადა:

– ორმოცდაათ თუმანს შემოვიტან და დანარჩენი მადროვეთო.

ისევ უარი მიილო. წავიდა და ორი საათის შემდეგ კვლავ დაბრუნდა და სთქვა:

– კარგი ილია, სამოც თუმანს შემოვიტან და ოცი თუმანი მაინც დამაცადეთო.

უარი ეთქვა, მეორე დღეს ის იყო საჯარო ვაჭრობა უნდა დაგვეწყო, რომ კვლავ მოვიდა და შემოგვევედრა:

– სამოცდაათ თუმანს გადავიხდი და ათი ჩემზედ დარჩესო.

– უარი გამოვუცხადე. ძალიან იწყინა. ამოალაგა ჯიბიდან ფული და დაგვიყარა.

– აჰა, თქვენი ოთხმოცი თუმანი, ესეც თქვენი და ჩემი ცოდოცაო.

– როდესაც ვუთხარი: „კაცო თუ ფული გქონდა, ამდენს ხანს ან ჩვენ რად გვაწვალებდი ან შენს თავს რაზედ იმცირებდიო, განა შენი მამულის ვალს არ იხდი, არ გერჩივნა მთლად გადაგეხადაო“....

გვიპასუხა:

– თქვე უღმერთოებო, მინდოდა ქალაქში ერთი მაინც წამექეიფა და მაგის ნებაც არ მომეცითო."

ახლა მკითხველმა განსაჯოს, იმ ორი ფილოსოფიიდან, რომლის გამოც ბანკობია ატყდა, რომელი გადაარჩენდა ამ თავადიშვილის მამულს გაყიდვისაგან?..

●

ბანკის დირექტორობიდან გადამდგარი მაჩაბელი „ივერიას“ სწერს, კრების ანგარიშებს სწორად არ აქვეყნებთ, ამიტომ ჩემი შესწორებები დაბეჭდეთ და გარანტიაც მომეცით, ვიდრე სადავო მექნება, ჩემი წერილები ყოველთვის დაიბეჭდებაო.

ამაზედ ილია პასუხობს, რაც გინდა და როგორც გინდა, ისე დაწერე, სიტყვის შეუცვლელად გამოგიქვეყნებთ, მაგრამ თუ საჭიროდ ჩავთვლი, – პასუხის უფლებას დავიტოვებ. მაინცდამაინც ბოლო სიტყვა თქვენ რატომ მოგცეთ, ამ გაზეთს ჯერჯერობით რედაქტორი ჰყავს და რედაქტორი წყვეტს, როდის დაამთავროს პოლემიკაო.

ახლა ამ ამბავს მაჩაბელი აკაკისთან დაიჩივლებს. აკაკი მოსკოვშია. სასტიკად ავად არის. იქ დავით ჩუბინაშვილი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი პროფესორი გარდაიცვალა. დავითს წინა წელს ილიას ინიციატივით მოღვაწეობის 50 წლისთავი გადაუხადეს. ავადმყოფობის გამო ჩუბინაშვილი ვერ ჩამოვიდა. იუბილედან 11 თვეში, 1891 წლის 7 ივნისს ილია სამძიმრის დეპეშას უგზავნის ეკატერინე ჩუბინაშვილისას თავისი მასწავლებლის გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე ცაგარელს კი სთხოვს – „ივერიის“ რედაქციის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და პირადად ილია ჭავჭავაძის სახელით, გვირგვინით შეამკოს განსვენებულის ცხედარი.

ერთი ცნობის მიხედვით, ილია ესწრება თავისი მასწავლებლის დაკრძალვას, მაგრამ საეჭვოა, რადგან იქ მყოფთა შორის სხვა წყაროებიდან არ ჩანს. აკაკი კი, როგორც გითხარით, იქ იყო და შესანიშნავი სიტყვითაც გამოსულა. ხაზგასმით ჩუბინაშვილის, როგორც დიდი პატრიოტის დახასიათებით. საინტერესო კი იყო, ეს სიტყვაც მიეწოდებინათ დონდუკოვ-კორსაკოვისათვის, რომელიცალბათ იტყოდა, ეს სასაფლაოების ნაფიცი ორატორი პეტერბურგშიც არ გვასვენებსო.

აკაკი სერიოზულად არის ავად. ექიმებმა გულის გადიდება დაუდგინეს. ურჩევენ ან საზღვარგარეთ, ბადენ-ბადენში წადი ან ჩრდილოკავკასიაშიო. გულით ავადმყოფ კაცს ქუთაისიდან გულისგამხეთქავი ინფორმაციაც ჩაუვიდა. ქუთაისის ბანკის დამფუძნებლები შეკრებილან და აკაკის თხოვნას განიხილავენ, მკურნალობის ხარჯებისათვის წლიური პენსია მომდევნო წლისა იქნებ

წინასწარ მომცეთო. აქ ვიღაც ავყიებს ამბავი აუტეხავთ, რაც ეგ პენსია დავუნიშნეთ, აღარაფერს წერსო და ვითომ აკაკის შემოქმედებისადმი ზრუნვას იჩენდნენ, წინადადება ნამოუყენებიათ, პენსია სულ მოვუხსნათო. მართალია, კირილე ლორთქიფანიძე და მისთანები ამას არ დაუშვებდნენ, მაგრამ აკაკი ამ ხმებმა ისე გაამწარა, თუ თავიდან წერდა, მგონია, დიდი დღე აღარ მიწერია და აქ არ დამტოვოთო, ივანე მაჩაბელს ახლა წერს: აქ მირჩევნია სიკვდილი მანდ ჩამოსვლასო. „ივერიაზეც" ნაწყენია, ცნობებს რომ აქვეყნებენ, ჩვენი საყვარელი მგოსანი ავად ყოფილაო, სიღნაღში ჩემი გამოჯანმრთელების პანაშვიდი გადაუხდიათო. პანაშვიდი და ფარისევლური „საყვარელი მგოსანი" უშველის ჩემს საქმესო? ხოლო ივანე მაჩაბელს, ყველაზე და ყველაფერზე გულდაწყვეტილი პოეტი ურჩევს – მტრის მასპინძლობა ვინ გაიგონა. წერილები „ივერიაში" კი არა, სხვაგან დაბეჭდე, ემანდ, რამე არ გიხიმანდრონო. ერთი სიტყვით, აკაკის ისეთ მწარე წერილებს, 1891 წელს პეტერბურგიდან რომ მოიწერა, თითქმის ვერ ნახავთ, მაგრამ გადაწყვეტით ეგონა, რომ ექიმებმა თავისი დიაგნოზით წირვა გამოუყვანეს და აღმოჩნდა ასეთი რეალობის წინაშე. ერის უგვირგვინო მგოსანს, გაჭირვების ჟამს პატრონი არ აღმოაჩნდა. მაშინ რა იცოდა აკაკიმ, რომ ილიასაც თავისი გაჭირვება ჰქონდა. რამდენიმე კვირაში ისიც პეტერბურგში ჩადის სამკურნალოდ და საწოლს მიეჯაჭვება. ამას ღვიძლის გადიდებასა და დიაბეტს დაუდგენენ.

ღვთის მადლით, ერთიც გამოჯანმრთელდა და მეორეც.

შემოდგომაზე ილია სამშობლოში დაბრუნდა.

გარდაცვლილი დავით ჩუბინაშვილის უნიკალური წიგნთსაცავი ჩუბინაშვილის ანდერძით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა.

●

1891 წლის ნოემბერში თბილისში ჩამოვიდა და აქვე დაიწყო მუშაობა მაშინ 22-23 წლის მაქსიმ პეშკოვმა (იგივე გორკი). ამ ამბავს მხოლოდ ერთი გარემოების გამო ვეხები. ნეტავ თუ დგას პეტერბურგში ილიას ან აკაკის ძეგლი. ისინი ხომ რუსეთში სწავლობდნენ, ჩადიოდნენ და აკაკი მთლად მათი სიძეც იყო. ჩვენთან კი გორკის ძეგლი კი არა, ძეგლები დგას. გასაგებია, რომ კომუნისტების დროს გორკი, მათი უზენაესი ლენინის მოციქულად ითვლებოდა

და ამიტომ, მაგრამ ის მაინც ვიკითხოთ, როგორ მოხდა ამ კაცის თბილისში ჩამოსვლა? ჯერ აღვნეროთ, როგორ ასახა თვით გორკიმ თავის მოთხრობაში „ჩემი თანამგზავრი" ამბავი. მოთხრობაში, რომელიც 1903 წლის „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნდა. თხზულების მიხედვით ოდესიდან მოდის გორკი, რომელსაც თან ახლავს ქართველი დეგენერატი თავადიშვილი შაქრო ფთაძე. ქართველი თავადიშვილი მოთხრობის მიხედვით შერეკილი და გადაგვარებული ქართველის ტიპია.

ცოტა ხნის შემდეგ „ცნობის ფურცლის" რედაქციაში მისულა ახალგაზრდა კაცი და უკითხავს, მაგ მოთხრობის ავტორი ალექსი პეშკოვი ხომ არ არისო? როცა დადებითი პასუხი მიიღო, აი, რა მონათხრობი გამოაქვეყნა მან.

მოთხრობაში აღწერილი ამბებით ვიცანი, რომ ოდესიდან ჩემი და ალექსი პეშკოვის მოგზაურობას ეხებოდა საქმეო. ეს თანამგზავრი თავადი კი არა, მე ვიყავი, ამჟამად რკინიგზის კონდუქტორიო, რომელიც 18 წლის ასაკში, გაძარცვული შეხვედრია ვინმე პეშკოვს, რომელიც ოდესაში ხარკოვიდან, ასევე გაძარცვული, ფეხით ჩამოსულიყო.

ორივენი მშივრები და უფულოები არიან.

პეშკოვმა გამოართვა „ტროსტი", გაყიდა და პური იყიდა.

პირველ ხანს ამით ვიკვებებოდითო. შემდეგ პეშკოვს მათხოვრობა დაუწყია. წასულან ნიკოლაევში. ქართველ ყმაწვილს ახლა ფრანგული ფული, – საათის ძეწკვის დასაკიდებელი მიუცია გასაყიდად. პეშკოვმა ისიც 30 კაპიკად გაყიდა. შემდეგ ხერსონში აღმოჩენილან. იქ პეშკოვს ახალგაზრდა ქართველის პალტო გაუყიდია 30 მან. და 50 კაპიკად. ბოლოს კავკასიაში წამოსულან ფეხით. გზის ნაწილი, ფეოდოსიამდე გემით გადმოლახეს. ფეოდოსიაში პეშკოვს თანამგზავრის „პოლცილინდრი" გადაუცვლია ძველ ქუდზე და მორჩენილი ფულით გამოკვებილან. საქართველოში ჩამოსვლამდე რა ტანჯვაც გადახდებოდათ, ადვილი წარმოსადგენია. თბილისში ეს პეშკოვი თანამგზავრმა თავის ნათესავთან მიიყვანა. ალქაჯებს ჰგავდნენ. ნათესავმა ძლივს მიცნოო. დააპურეს, დაბანეს, მოუარეს. მეორე დღეს პეშკოვს რკინიგზის გამგეობაში წაყვანა უთხოვია, იქ ჩემი ნაცნობი მუშაობსო. დამელოდე და აქ შეგხვდებიო, თვითონ კი წავიდა და წავიდა, მას შემდეგ აღარასოდეს უნახავს. თბილისშიც დარჩა, მუშაობაც დაიწყო, მერე მსოფლიო მასშტაბის მწერალიც გახდა, მაგრამ ეს ს-ძე, ანუ პეშკოვის

თანამგზავრი აღარასოდეს გახსენებია, გარდა იმისა, რომ პროტოტიპად აქცია სულელი ქართველისა.

ეს პეშკოვი არც მთლად შემთხვევით წამოსულა კავკასიისკენ. მან თბილისის ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში პატარა ბარათი მიიტანა. ნოვოროსიისკის ორგანიზაცია სთხოვდა თბილისის ორგანიზაციას, მიეღო პეშკოვი თავის რიგებში. ჩვენი რევოლუციონერები ხომ ძალიან გვაკლდა...

ცოტა ხანში ილიას საუბედუროდ, ყველანი აქ მოიყრიან თავს...

1892

ილია ქალაქის თვითმმართველობის წინააღმდეგ. ეპისკოპოსის უცნაური სიტყვა ლევან მელიქიშვილის ცხედართან. დიდი ფოთოლცვენის დაწყება. პუშკინის ძეგლის დადგმა. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების იდეა.

პეტრე უშიკიშვილი

„თუ გებრალება, შეუნდობ."

ილია

იქნებ გადაგღალე, ჩემო მკითხველო, მაგრამ უნდა მომყვე, მთავარი ბრძოლები წინ გველის შინაურთან თუ გარეულთან, ყოფილ თანამებრძოლებთან თუ ქვეყნის გამყიდველ იუდებთან, იმავე მესამედასელებთან, მენაგვეებთან თუ ხელმწიფე იმპერატორთან.

მენაგვეები რა შუაშიაო, იტყვით, დაგიდასტურებთ, სწორედ შუაში არიან, ბოლოში სხვა რამ რომ სთქვას, ამისთვის შუაში ისინიც გარია ილიამ. ასე რომ, მომყევ, მკითხველო, შევიხედოთ „ეპოქის ქერქში"...

1892 წლის იანვარში ილია რამდენიმე წერილს აქვეყნებს ქალაქის თვითმმართველობის საკითხებზე. 8 იანვარს პირველივე წერილს ბეჭდავს ფრიად შემაშფოთებელი შესავლით: „იმისთანა უმაგალითო და შემაძრწუნებელი უბედურება, რომელმაც სასიხარულო დღესასწაული ნათლისღებისა გლოვისა და ვაების დღედ გადაუქცია ჩვენი ქალაქის მკვიდრთა, ძალაუნებურად მილურსმავს ხოლმე ადამიანის გონებას ერთს საგანზე: ვინ და რა იყო მიზეზი ასეთის საშინელის ამბისაო, გლოვა და ტირილი ხომ ერთია და ამისი კითხვა და გამოკითხვა ათასი." ციტირება რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ გადმოვცემ, რა ტრაგედიაზე წერს ილია. თბილისში, ვანქის მოედანსა და მადათოვის კუნძულს შორის, ხიდი აუშენებიათ (ეს არის ის მიდამოები, სადაც ახლა მშრალი ხიდია). უხარისხობის გამო ხიდი ჩანგრეულა და თითქმის 200-მდე ადამიანი დაღუპულა ან დაშავებულა. ამ უბედურებაზე ქალაქის გამგეობას ხელი დაუბანია. ჩვენთვის არც პროექტი უჩვენებია ვინმეს და არც ხიდის აშენება შეუთანხმებიაო. ჩვენი ნებართვის გარეშე არ უნდა აეშენებინათო.

ილია მწარედ აკრიტიკებს ქალაქის გამგეობას: „უბრალო კედლის ამოყვანა რომ გაბედოს ვინმემ თავის სახლებში, გამგეობის ნებადაურთველად, ათასი მოხელე დაესხმის ხოლმე, ნუ აკეთებო,

და აქ ორი თუ სამი ათასის კაცის გასასვლელ ხიდსა სდებენ, ამოდენა ხალხი განსაცდელში სცვივა და გამგეობა ტფილისის ქალაქისა ყურსაც არ იბერტყავს.

საკვირველ არიან, გამგეობავ, საქმენი შენნი!"

18 იანვარს ისევ გამგეობას უძღვნის წერილს და ახლა იმაზედ ედავება მის ხელმძღვანელებს, რა უპრაგონოდ ფანტავენ ქალაქის ფულს. ჯერ კიდევ 1881 წლიდან ქალაქის გამგეობას ხელშეკრულება დაუდვია „უსახელო საზოგადოებასთან" (ასე რქმევია) ქალაქიდან ნაგვის გატანაზე. ამ საზოგადოებას აინუნშიც არ მოსვლია თავისი მოვალეობის შესრულება. ნაგავი წლების მანძილზე გაჰქონდა თვით გამგეობას ქალაქის ხარჯით, ხოლო იმ „უსახელო საზოგადოებისათვის" კი 800 000 მანეთი გადაურიცხავს.

კი არის, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, გვარიანი კორუფციული სქემა გაშიფრული, მაგრამ, როდის იყო „განდეგილის" ავტორი მთლად ასეთ ყოფით, საგამოძიებო ხასიათის თემებზე რომ წერდა? იშვიათად.

ძაღლის თავი, როგორც იტყვიან, სხვაგან არის დამარხული, ანუ გამგეობის წინააღმდეგ გალაშქრებას უფრო დიდი მიზეზი აქვს, ვიდრე ნაგვის კორუფცია იყო. მიზეზი თბილისსა და კიდევ რამდენიმე ქალაქში მთლიანად უცხოტომელთა გაბატონება არის. ხმლის გარეშე, თოფისა და ზარბაზნის გარაშე, სულაც ერთი დებულებით, თბილისი, გორი, ახალციხე სამართავად მთლიანად სომეხთა ხელში გადასულა. აქ ილიამ უნდა ამოიღოს ხმა და ამოიღო კიდეც. ცხადია, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, მასაც, აკაკისაც, ნიკო ნიკოლაძესაც სხვადასხვა დროს ბევრი დაუწერიათ ამ თემაზე, მაგრამ 80-იანი წლებიდან ბრძოლას თვითმმართველობისათვის კამპანიური ხასიათი მისცეს.

რა ხდება? იქნებ ეროვნულ შუღლია? არავითარ შემთხვევაში. XIX საუკუნემდე იშვიათი იყო ისეთი ძმობა, როგორიც ქართველ და სომეხ ხალხს ჰქონდა. ის რომ კრწანისის ომში გამცემი სომეხი აღმოჩნდა, ამ თვალსაზრისით არაფერს ცვლის. იქ მოღალატენი, მეფეს რომ ჯარი არ მიაშველეს, ქართველნი უფრო მეტი და მეტნი იყვნენ.

თვითონ ერეკლემ თავისი ერთი მსახური სასტიკად დასაჯა სომხების უდიერად მოხსენიების გამო. მეფე იყო და სჭვრეტდა, რომ ამ ჩვენსავით ტანჯულ და უძველეს ერთან მხოლოდ ძმობა უნდა გვქონოდა. თვით ილიას „ქვათა ღაღადი" სომეხ მტაცებელთა წინააღმდეგ

დაწერილი წერილია, თორემ სომეხ ერზე აი რას ამბობდა: „ჩვენში ჩვენგან მთელი სომხობა როგორც ერი, თავის დღეში არ გაკითხულა, არც გაკიცხულა და არც ავად ხსენებულაო. როდესაც სომეხ-ქართველობის ურთიერთბაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ილიასაგან გამიგონია: ძლიერი სომხეთი დიდი საიმედო საზღვარი ყოფილა ყოველთვის საქართველოსთვის. სომეხთა სახელმწიფოს დამხობით ერთი აგური გამოეცალა ჩვენ სამხრეთ კედელსაო." (იხ. გ. ჟურულის „ილიასთან შორი-ახლოს", გ. შარაძის წიგნში – „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე", თბ. 1986 წ. გვ. 172).

მაშ რა მოხდა? რა პრობლემას ვეხებით აქ?

როგორც ითქვა, მე-19 საუკუნემდე, თუ რელიგიურ ნიადაგზე ადრეული შუა საუკუნეების განხეთქილებას არ მივიღებთ მხედველობაში, სომეხთა და ქართველთა შორის ძმური ურთიერთობა სუფევდა. ეს ურთიერთობა გააფუჭეს რუსებმა. ჯერ იყო და საქართველო მათივე წყალობით აყრილი ხალხის სადგურად აქციეს, მერმე, მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, ისეთი კანონი აამოქმედეს საქალაქო თვითმმართველობისა, ხელოვნურად რომ შობდა სხვადასხვა ერთა წაკიდების პირობებს.

1870 წელს დაიწყო რეფორმა. პოლიციური მმართველობის ნაცვლად შემოიღეს თვითმმართველობა, მაგრამ ერთი უბედურება მეორე უბედურებით შეცვალეს. კერძოდ, თუ ევროპაში ქალაქის თვითმმართველობას იმ ქალაქის ყველა მოქალაქე ირჩევდა, რუსეთის იმპერიაში შემოღებულ იქნა საარჩევნო ცენზი.

ამომრჩეველი შეიძლება ყოფილიყო ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 4-5 პროცენტი. ისინიც სამ ნაწილად იყოფოდნენ – პირველი, მეორე და მესამე თანრიგის ამომრჩევლებად – მათივე ქონების შესაბამისად. თბილისში ყოველი თანრიგის ამომრჩეველი ირჩევდა 25 ხმოსანს, მაგრამ პირველი თანრიგის ამომრჩეველი იყო 45 კაცი, მეორისა 221 და მესამე თანრიგისა 4228 კაცი. ერთი სიტყვით, 45 კაცსაც 25 დეპუტატი უნდა ჰყოლოდა და 4228 კაცსაც. თან, როგორც ითქვა, მოსახლეობის 4-5 პროცენტის გარდა, ყველას ხმის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული.

მაშინ თბილისში ქონება ძირითადად ვაჭრებს ჰქონდათ, ამიტომ სამივე კატეგორიის ამომრჩეველებში უმრავლესობა იყვნენ სომხები. თავიდან პატივი დაგვდეს და საქმის ცოდნის გამო დიმიტრი ყიფიანი აირჩიეს ქალაქის თავად. მაგრამ 1879 წლის შემდეგ ქალაქის თავიც მატინოვი იყო და საბჭოსა და საკრებულოს

უმრავლესობაც, როგორც ადრე, სომხები. ასე რომ, ამ დებულების წყალობით, თუ რუსეთში თვითმმართველობაში მუდმივად მდიდარი რუსები ხვდებოდნენ და თავისი წრის ინტერესებს ითვალისწინებდნენ, ანუ რუსეთში იყო მხოლოდ სოციალური უთანასწორობა, საქართველოში – თბილისში, გორში და ახალციხეში მუდმივად სომხებს ირჩევდნენ და ისინი თავის ეროვნულ ინტერესებს ახორციელებდნენ. მაგალითად, ახალციხიდან ქართველები იწერებოდნენ, რომ ქალაქის გამგეობა ჩვენს ფარღალალა ქოხებს ორმაგად აფასებს, ვიდრე სომხების ორჯერ უკეთეს სახლებს, რათა გადასახადი ჩვენ მეტი გადავიხადოთო.

ერთი სიტყვით, საქართველოში კლასობრივ უთანასწორობას ეროვნულიც ემატებოდა. მკვიდრი ერი იყო ჩაგრული.

ქართულ ინტელიგენციას ქონება არ ჰქონდა. ვთქვათ, აკაკის ძალიანაც რომ სდომოდა, თბილისის თვითმმართველობაში ვერავინ აირჩევდა, ვიღაც დახლიდარს კი – სიამოვნებით. დახლიდარზე გამახსენდა. დებულებაში ერთი მუხლი ყოფილა, რომელიც ნოქრებს ხმოსნობის უფლებას აძლევდა. ამიტომ ქუთაისში ნოქრის ცნობა სასწრაფოდ უშოვიათ კ. ლორთქიფანიძეს, ივ. მესხს, დ. დადიანს, დ. ბაქრაძეს, ივ. ჯაიანს, ნ. კანდელაკს, პ. ლორთქიფანიძეს და სხვებს. „ნოქრის ცნობის წყალობით“, ქუთაისს ყველაზე მომზადებული საკრებულო ჰყავდა, მაგრამ ეს ოინი გაუგეს და 1888 წელს ეს ჩვენი „ნოქარი“ თავადები იქიდან გამოყარეს. (იხ. ამ საკითხზე „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, თბ. 1970 წ. გვ. 702)

ერთი სიტყვით, ერთი იმ უბედურების გამო, რომ ქართველად არც იმერელს წერდნენ, არც აჭარელს, არც მეგრელს და ქართლელის გარდა არც არავის, კათოლიკეზე ხომ ლაპარაკიც არ არის, სტატისტიკა ხელოვნურად იყო შეცვლილი მკვიდრი მოსახლეობის სანინააღმდეგოდ. მეორე, იმის გამო, რომ თბილისში მდიდარი ქართველი ცოტა იყო, ქალაქს ძირითადად სომხები მართავდნენ. ცხადია, ეს რუსებისგან შემოგდებული ნაღმი იყო. საბედნიეროდ ქართველი და იმავ სომეხი გონიერი ინტელიგენციის წყალობით, ამ ნაღმმა ბოლომდე არ იმუშავა, მაგრამ ის ბუნებრივი სურვილი, რომ თბილისის საკრებულოში ქართველი ინტელიგენციაც ეხილათ, იმდაგვარი წერილების წყალობით რაც ზემოთ ვახსენეთ, ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა ამჯერად მოახერხეს. ერთხანს ხმოსნებად იმ დროისათვის არჩეულ იქნენ დ. ბარათაშვილი, ივ. მაჩაბელი, ვ. მიქელაძე, ნ.ცხვედაძე და სხვები, რომელთაც შექმ-

ნეს ოპოზიცია. ვაჭრები ამათ ტრიბუნაზე როგორ გაუძლებდნენ. მატინოვმა (რომელიც კვლავ ქალაქის თავად იყო არჩეული) იფიქრა, ესენი საციხედ გამიხდიან საქმესო და გადადგა. ქალაქის თავად ნ. არღუთაშვილი-მხარგრძელი იქნა არჩეული. აი ამ პროცესების მხარდაჭერისთვის დაიწერა ილიას წერილები ძველი გამგეობის უვარგისობაზე.

ქალაქის თავის მოადგილეობისთვის ვინმე იზმაილოვი იბრძვის. მთელი 2 წლის განმავლობაში არაფერი გამოუვა. მაგრამ იმპერიის ცენტრში 1892 წელს ისეთი დებულება მიიღეს, ერთი წლის შემდეგ აამოქმედეთო, პირდაპირ იმ იზმაილოვის წისქვილზე დაასხამს წყალს. ამაზე მომავალ წერილში გიამბობთ, ახლა კი რა სახის დებულება იყო, იმას მოგახსენებთ. ამომრჩეველთა წრე კიდევ უფრო შეზღუდეს. ამომრჩეველი ხდებოდა მხოლოდ ის, ვინც ქალაქის ტერიტორიაზე ფლობდა არანაკლებ 1 000-1 500 მანეთის უძრავ ქონებას. აგრეთვე პირველი და მეორე გილდიის ვაჭრები.

●

თებერვლის ბოლოს გარდაიცვალა ჩვენ მიერ არაერთგზის ნახსენები ლევან მელიქიშვილი, ბარათაშვილის თანაკლასელი და 1881 წელს მეფისნაცვლის მოადგილედ ნამყოფი. ილია ესწრება დიდი თავადის დაკრძალვას, მაგრამ გაუგონარი სურათის შემსწრე კი ხდება: „დასაფლავების წესი, რასაკვირველია, დიდის ზარით და ზეიმით იყო გადახდილი. ქება-დიდებას უხვად უძღვნიდნენ, – იხსენებს ი. მანსვეტაშვილი, – საკმეველს უკმევდნენ მის დიდსულოვნებას, მის დიდ ჭკუას. გამოვიდა ბოლოს ეპისკოპოსი ალექსანდრე. კაცი მართალი, პირში მთქმელი, მოურიდებელი და ასეთი სიტყვით მიჰმართა მიცვალებულს, რასაკვირველია, ცოცხლების გასაგონად: დიდი გვარის კაცი იყავ, სამსახურშიაც დიდ წარჩინებას მიაღწიე, მდიდრულად ფუფუნებაში სცხოვრობდი, შენს ოჯახს არას აკლებდი, მხოლოდ რა მიგაქვს თან? რა სიკეთე დასთესე ამ ქვეყნად, რა შესძინე შენს სამშობლოს, საქართველოს? დიდი სიმდიდრე გქონდა შეძენილი და ფიქრადაც არ მოგივიდა, რომ ამ სიმდიდრისაგან წვლილი მაინც გამოგეღო შენს გაჭირვებულ, ღატაკ სამშობლოსათვის, ქველმოქმედების სახელი გამოგეჩინა."

ეს ის ალექსანდრე ეპისკოპოსი გახლავთ, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დღეს, დაუმორჩილებლობის გამო, ლამის მისი დას-

ჯაც რომ მოინდომა ქალაქის პოლიცმაისტერმა. ახლაც არად დაგიდევდათ იმას, მკვდარზე ან კარგს რომ ამბობენ, ან არაფერს. მიცვალებული რაღას გაიგებდა, მაგრამ სინამდვილეში ცოცხლებს ეუბნებოდა მოიარებით – ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო. როგორ გაბედა მაგ წვერცამეტა ბერმა და მკვდარი გაგვიუპატიურაო, ასტეხეს განგაში, ეს საგიუეთშია გასაგზავნიო.

ილიამ ყველაფერ ამის კომენტარი კი იმით გააკეთა, რომ „ივერიაში" ეპისკოპოსის სიტყვა მოწონებულ იქნა. ახლა „ივერიის" წინააღმდეგ ამხედრდნენ და ბეწვზე გადარჩა გაზეთი დახურვას. სხვათა შორის, არ იქნება ზედმეტი თუ ვიტყვი, რომ ილიას მეუღლე ლევან მელიქიშვილის ნათესავი იყო. მაგრამ აკი ვიცით ილიას პრინციპი – „ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა"...

დიდი ფოთოლცვენა დაწყებულია. 1892 წელს ილია სამ უახლოეს ადამიანს გააცილებს უკანასკნელ გზაზე.

სოფელ ქვიშხეთში დაკრძალავენ დავით ქაიხოსროს–ძე ყიფიანს. ეს ის დავით ყიფიანია, დიმიტრის ძმისშვილი, ბიძის დასაფლავებისას ყველაზე მეტად რომ აღაშფოთა ჩინოსანნი და პოლიციის წინააღმდეგობისთვის ოც-ოცი თუმნით რომ დააჯარიმეს ის და დიმიტრის სიძე. დავით ყიფიანი იყო ილიას თაობის კაცი. „საქართველოს მოამბის" ილიასთან ერთად გამომცემელი და მისი თანარედაქტორი. რამდენიმე ევროპული ენის კარგი მცოდნე, მთარგმნელი, პუბლიცისტი. ილიას ერთი უღალატო მეგობარი და თანამებრძოლთაგანი, ბოლოს მუშაობდა ილიას ბანკის დირექტორად. ავადმყოფობას მისას ზედ დაერთო სიღარიბე. მისი უზარმაზარი მამულები მოტყუებით ჩაუგდიათ ხელში მის მევალეებს და ამან სულ ერთიანად მოუღო ბოლოო, – წერია ნეკროლოგში.

ამავე წელს ილიას ხელიდან გამოეცალა მისი ერთი ყველაზე ახლობელი მეგობართაგანი – მისი თხზულებებისა და „ვეფხისტყაოსნის" რუსულად მთარგმნელი, მისი სკოლის მეგობარი ივანე პოლტორაცკი. ილია მას დაუნათესავდა კიდეც – შვილი მოუნათლა. შვილსაც ილია ერქვა. გარდაიცვალა პარიზში 1944 წელს.

პირველად ვნახე, ილიას ცრემლებიო, – იგონებდა ეკატერინე გაბაშვილი.

წლის ბოლოს, 26 დეკემბერს კი დაკრძალეს ივანე კერესელიძე, ყველასათვის საყვარელი ადამიანი, რომლის „ცისკარშიც" დაიბეჭდა ილია პირველად. იმ რვა გვირგვინიდან, რომელიც ცხედრის კუბოს ამკობდა, ორი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-

ებიდან და „ივერიიდან“ იყო... ესეც ვალებში გარდაიცვალა. ყველასაგან დავიწყებული. ვიღაც თაღლითი ქონებას ედავებოდა და ბერიკაცს სასამართლოში დაატარებდა. სასამართლომ დაადგინა, რაკი კერესელიძეს არაფერი აღმოაჩნდა, გარდა ქაღალდებისა, ეს „ქაღალდები“ გადაკიდებულ მომჩივანს გადაეცესო...

იმ წელიწადს სიკვდილი ბევრის კარს მიადგა. საქართველოში 1892 წელს ქოლერა მძვინვარებდა. ილიას მოთხოვნით ბანკმა დიდძალი თანხა გაიღო ავადმყოფების დასახმარებლად.

ცხრა ოქტომბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ღებულობს გადაწყვეტილებას ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების თაობაზე.

ამ გადაწყვეტილების მიღება ასე მომხდარა:

მწერალი დავით კასრაძე შემოგვინახავს პეტრე მირიანაშვილის მონათხრობს. მირიანაშვილს განჯაში უმუშავია მასწავლებლად. „გულს მიკლავდა ნიკო ბარათაშვილის ობლად მიგდებული საფლავი. თბილისში სამსახურებრივი დავალებანი მოვიმიზეზე და წერა-კითხვის საზოგადოებაში ვინახულე იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც გავუზიარე ჩემი გულის დარდი. ის მაშინვე დაფაცურდა: ეს რა კარგი აზრი მოგსვლია, ნიკო ბარათაშვილი უნდა გადმოვასვენოთო. მაგრამ იქვე ხაზი გაუსვა. თუ გვსურს, რომ გადმოსვენება უფრო სახელოვანი იყოს და დიდმნიშვნელოვანი, ეს უნდა იკისროს არა ნიკოს ნათესაობამ, ან კერძო პირებმა, არამედ საზოგადოებამო.

– რომელ საზოგადოებამ? – შევეკითხე და იქვე პასუხი მივიღე:

– რა თქმა უნდა, წერა-კითხვის საზოგადოებამ!

იაკობი მაშინვე გაექანა ილიასთან, როგორც საზოგადოების მთავარ ხელმძღვანელთან. ილია აღფრთოვანდა. დაუყოვნებლივ მოიწვია გამგეობა და 1892 წლის 9 ოქტომბერს ოქმში შეატანინა საზოგადოების დადგენილება, რომ „ეთხოვოს თ. გ. ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს (ბარათაშვილის ბიძაშვილი იყო. – ნ.გ.) ნებართვა მიიღოს გადმოსვენებისა“. ეს ოფიციალურად, რა თქმა უნდა, გადმოსვენების ინიციატივა კი ისევ წერა-კითხვის საზოგადოებისა იქნებოდა.

ნებართვის აღება გაძნელდა, მაგრამ გრიგოლმა (უნდა იყოს გიორგიმ. ნ.გ.) მაინც მოახერხა მისი აღება“ (იხ. ზ.ბოცვაძის წიგნი „იაკობ გოგებაშვილი“ თბ. 1911 წ. გვ. 75).

გარდაცვალებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს საქართველოში მისი პოეტური მოკანანახე (მიმდევარი) ილია ჭავჭავაძე დააბრუნებს.

●

ეს მომდევნო წელს მოხდება. ამ წელიწადს კი ილია კიდევ ერთ სულიერ ტრამვას მიიღებს. ხელმოუწერლად გამოვა ბროშურა, რომლის შესახებ „ივერია", მხოლოდ ინფორმაციას დაბეჭდავს: „გამოვიდა და ისყიდება პატარა ბროშურა, რომელსაც სახელად აქვს „თ. ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ უცნობის ავტორისაგან".

ამ ბროშურაში აცამტვერებდნენ ილიას პიროვნებასა და მოღვაწეობას. ყველას თვალი და ფიქრი ივანე მაჩაბლისკენ გაექცა. სხვა გაზეთებმა კი დაიცვეს ილია, მაგრამ „ივერიაში" თავდასაცავად რედაქორს სტრიქონიც კი არ დაუბეჭდავს. მეპატიოს ამ დოკუმენტურ თხზულებაში ლირიკული გადახვევა, მაგრამ ახლობლებისაგან უსამართლოდ შერისხულს, თავისივე ერთი დაუმთავრებელი მოთხრობის პერსონაჟის სიტყვები თუ გაახსენდებოდა: „რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდან გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი მადლია სიბრალულისა. მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ. თუ გებრალება, ნუგეშსა სცემ; თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ, თუ გებრალება, შეუნდობ!" ილიამ მაშინ შეუნდო...

●

გვერდს ვერ ავუვლით 1892 წლის 25 მაისს თბილისში პუშკინის ძეგლის დადგმის ფაქტს. „ივერია" დიდად აქტიურობდა პუშკინის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით. ილიასთვის ეს კულტურისა და ერის ტოლერანტობის გამოვლინებაც იყო და პოლიტიკური აქტიც. პოლიტიკური თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ როგორც კი დაიდგმება პუშკინის ძეგლი, მომდევნო წელს „ივერია" იწყებს საზოგადოების დამუნათებას, განა შეიძლება ჩვენი უპირველესი

პოეტის, რუსთაველის ძეგლი არ იდგეს დედაქალაქშიო? ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ კიდეც.

პუშკინის ძეგლის დადგმას კი „ივერია“ ასე აღწერს: „ორშაბათს, ამ თვის 25, ნაშუადღევს პირველ საათზედ, რუსთა პოეტის ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის ძეგლის კურთხევა იყო. ა. ს–ძე პუშკინს ძეგლი ერევნის მეიდნის პატარა ბაღში დაუდგეს (პუშკინის სკვერი თავისუფლების მოედანზე. – ნ.გ.) ნებაყოფლობით შეგროვილ ფულით. ტფილისი მე–5 ქალაქია, სადაც კი განსვენებულს პოეტს ძეგლს უდგამენ. პირველად დიდი ძეგლი დაუდგეს მოსკოვში, შემდეგ პეტერბურგში, კიშინიოვში, ოდესაში და ეხლა ტფილისში. ძეგლის კურთხევის დღეს პუშკინის ბაღს დილითგანვე დიდძალი ხალხი მიაწყდა. ახლო სახლების აივნები, ფანჯრები და სახლის ბანები სავსე იყო ხალხით. პუშკინის ბაღი შემკობილი იყო დროშებით. ძეგლის გვერდზედ, რომელიც სავანეში იყო გახვეული, გამართული იყო მშვენიერი სამფეროვანი კარავი. აქედან სჩანდა ის სახლი, რომელშიაც 1829 წელს სცხოვრობდა ა. ს–ძე პუშკინი ორის კვირის განმავლობაში. ეს სახლი სულ ხვეულის ყვავილებითა და დროშებით იყო შემკული. ამ აივნის მოაჯირზედ, სადაც განსვენებულს პოეტს უყვარდა ყოფნა, ყვავილებით დაწერილი იყო „1829“. შუადღისას ხალხმა ძალიან იმატა... ძეგლს სავანე მოაშორეს. ამ დროს ფოტოგრაფმა ერმაკოვმა რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი გადაიღო... ბაღში საღამომდე მუსიკა უკრავდა და ძეგლის სანახავად დიდძალი ხალხი მოდიოდა (იხ. „ივერია“ 1892 წ. N107). (შდრ. გ. შარაძე „ილია ჭავჭავაძე“, 1990წ. გვ. 112).

1893

„კვალის“ დაარსება. ილიასა და მაჩაბლის შერიგების უშედეგო ცდა. ფულის მითვისების ბრალდება მაჩაბელზე. ილიას არჩევა ქალაქის თვითმმართველობაში. შედეგების გაუქმება. უკმაყოფილება გ. წერეთელთან. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება. ალ. ყაზბეგის გარდაცვალება.

ალექსანდრე ყაზბეგი

„დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს“.

ჟანდარმერიის უფროსის
საიდუმლო მოხსენებიდან

როგორც ტროას ცხენი ტროელთათვის, ისეთივე საბედისწერო რამ აღმოჩნდა გაზეთი „კვალი“ ჩვენთვის, 1893 წლის 3 იანვარს გამოვიდა ახალი, სურათებიანი ყოველკვირეული გაზეთი (ფაქტიურად ჟურნალი) „კვალი“.

როგორც ტროას ცხენს ქალაქის მცხოვრებნი სიამოვნებით ათვალიერებდნენ და არ იცოდნენ, მის შიგნით მტერი რომ მოკალათებულიყო, რომელიც, როგორც კი დროს იხელთებდა, ქალაქის მცხოვრებთ დაერეოდა, ასე აღმოჩნდა ამ „კვალის“ საქმეც. აღმოჩნდა მერე, მოგვიანებით, თორემ ახლა ვინ წარმოიდგენს იმას, რომ ამ მშვენიერ გამოცემას ბოროტების მოტანა შეუძლია? მერედა, ვის გამოცემას? გაზეთის სათავეში დგანან აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, გიორგი წერეთელი. ასეთი საგმეული რომელ გამომცემლობას არ შეშურდებოდა.

რას იფიქრებდა მაშინ ან აკაკი, ან ივანე, ან თვით გიორგი წერეთელი, რომელმაც ეს გაზეთი წლების შემდეგ ახლებს გადაულოცა, რომ ის ახალი თაობა, ე.წ. „მესამე დასელები“, როგორც თვით გიორგიმ მონათლა, სწორედ ამ გაზეთს გამოიყენებდნენ ილიასა და თვით საქართველოს გასანადგურებლად. სწორედ ეს გაზეთი გახდებოდა წინააღმდეგი კერძო საკუთრებისა, სარწმუნოებისა, ენისა, მამულისა, საქართველოს დამოუკიდებლობისა.

არადა, ისტორიის პარადოქსია, ეს გაზეთი, მომავალი „მესამე დასელთა“ გაზეთი, სწორედ სამმა დიდმა ეროვნულმა მოღვაწემ დააარსა (დამფუძნებლებში მათივე ახლობლები ჩაწერეს, 5 ადამიანი, მათ შორის ერთი ბაგრატიონიც იყო).

აკაკისა და ივანე მაჩაბლის ღვაწლზე არაფერს ვიტყვი. განა გიორგი წერეთელი არ იყო, 60-იანი წლებიდან მოყოლებული ერთგულ

იდეურ თანამებრძოლად რომ ედგა ილიას? განა გიორგი არ იყო, მამის, ექვთიმეს გულისწყრომის მიუხედავად, ახალი თაობის ფერხულში რომ იდგა? განა გიორგი არ იყო, რუსეთ-თურქეთის ომის დროს აჭარის ბეგებს რომ ეთათბირებოდა, ამათი ომით ვისარგებლოთ, ინგლისელების დახმარებას დაველოდოთ და საქართველოს დამოუკიდებლობა აღვადგინოთო? გიორგი წერეთელი იყო, ბათუმში ჩამოსულ სომეხთა ეპისკოპოსს ხორენ ნარბეის საიდუმლოდ რომ შეხვდა. ქართველ-სომეხთა ძმობაზე და ერთობლივად რუსების გაყრაზე იმდენი ილაპარაკა, რუსის ხელმწიფის ხელში ჩავარდნილი ქართველი და სომეხი ხალხის საერთო ბედი ისე დაუსურათა, ისეთი გეგმები შესთავაზა, რომ შეშინებული ხორენი მეორე დღესვე აბარგებულა სასტუმრო „იმპერიალიდან" და გაპარულა, ე, მანდ, ჩვენი საუბრის შინაარსი არ გახმაურდესო...

გიორგი წერეთელი იყო, ეგნატე ნინოშვილს რომ, სწერდა: „რუსეთთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრჭყალებში ვყავართ გამოკლული და იმას ცდილობს, რომ ჩვენ წაგვართვას უხსოვარი დროიდან ჩვენი კუთვნილი მიწა–წყალი, თბილი ჰაერი და მშვენიერი ბუნება და თვითონ დაიჭიროს. აი, ამ გარემოების ძალით ჩვენ უნდა ვიყოთ შეურიგებელი მანამდე, სანამ ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორც ჩვენა ვართ, არ განთავისუფლდებიან სხვა ძლიერი ნაციების მონობისგან".

აი, ეს გიორგი წერეთელი 90-იან წლებში საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში თანდათანობით ქვეწარმავლებივით შემოსრიალებულ სამშობლოს ახალგაზრდა უარმყოფელებს მონათლავს ყველაზე პროგრესულ ძალად და დაარქმევს „მესამე დასელებს", ფართოდ გაუღებს „კვალის" კარს და ბოლოს სულაც ისინი დაეპატრონებიან ამ გაზეთს.

აკაკიმ გიორგი წერეთელს ორთავე დაარქვა, რაც იმას ნიშნავდა, აკაკიმ ეს სახელი მას ყველა სფეროში მიდებმოდების გამო უწოდა. ეს მშვენიერი პროზაიკოსი იჩემებდა პოეტობასაც, პუბლიცისტობასაც, კრიტიკოსობასაც, ისტორიკოსობასაც. თავის მხრივ, იაკობ გოგებაშვილი დაწერს მწარედ, – მთელი არსად არ არის, ყველაფერში ერთი მეექვსედიაო...

აკაკის ენამ უყივლა და სინამდვილეში გიორგის ორთავიანობა სწორედ ამ საქმეში გამოუვიდა – ერთი თავით საქართველოს დამოუკიდებლობას ემსახურა, მეორე თავით კი მესამე დასელებს მისცა მწვანე გზა. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ბოლომდე ვერ

ექნებოდა წარმოდგენილი, სადამდე მივიდოდა იმ ახალგაზრდების თახსირობა, რომელნიც მშრომელი ხალხის დაცვისა და გათავისუფლების ლოზუნგებით შემოიჭრნენ სამოღვაწეო ასპარეზზედ.

გიორგი ნერეთელი მაშინ ვერ წარმოიდგენდა, რომ ილიას ის ჯგუფი მოკლავდა, რომელიც თავის რედაქციაში იკრიბებოდა. ამ ჯგუფის წევრებს რაღაც ხიბლიც ჰქონდათ, ზოგი ნიჭიერი იყო, ზოგს იდეისათვის თავგანწირვის უნარი ჰქონდა. მხოლოდ გიორგის რომ არ ავკიდოთ ცოდვა, აკი თვით ილიაც მოტყუვდა ამ ხიბლის გამო და ასპარეზზე გამოჩენისთანავე, მაგალითად, ნოე ჟორდანია „ივერიის" რედაქტორადაც კი მიიწვია. ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა ისა ვთქვათ, რომ „კვალის" დაარსებაში, ეტყობა, ღვთის ხელი იმთავითვე არ ერია. ისტორია ასეთი იყო. უგაზეთოდ დარჩენილ ივანე მაჩაბელს საბანკო ბრძოლაში ისევ მისი ოპონენტის, ილიას გაზეთში უწევდა პასუხების გაგზავნა. მტრის მასპინძლობა ვინ გაიგონაო, გაიხსენეთ პეტერბურგიდან აკაკი რომ სწერდა. აკაკისაც დიდი ხნის ოცნებად ჰქონდა გაზეთის გამოცემა. ჯერ 70-იან წლებში სურდა ეს, სათაურიც მოფიქრებული ჰქონდა – „გზა", ილიამ თანამშრომლობაც აღუთქვა, ამაზე ვწერდით უკვე. შემდეგ ამ „გზის" გამოცემა 80-იან წლებშიც განიზრახა, მაგრამ ვერ შეძლო. ახლა კი ეს დრო დამდგარიყო. ვანოზე უკეთეს პარტნიორს სად იპოვიდა. თავის მხრივ, მაჩაბელს თავისი მიზანი ჰქონდა. სურდა, საკუთარი ტრიბუნა ჰქონოდა, განსაკუთრებით „ბანკობიადისათვის". ამიტომ ვამბობ, „კვალის" დაფუძნებაშივე ღვთის ხელი არ ერია-მეთქი. აღიარებდა თუ არა, ვანოს გაზეთი სწორედ ილიას წინააღმდეგ სჭირდებოდა... და, აი, გამოსცეს კიდეც. მაჩაბელმა და აკაკიმ იწვალეს და რედაქტორი კი გიორგი ნერეთელი აღმოჩნდა... პირობა გიორგიმ წამოაყენა და დაუთმეს. მერე რა მოხდება, აბა ვინ იცის, ახლა კი სამივე გახარებულია. აკაკი პირველსავე ნომერში ასე ილოცება: „შემოვდგი ფეხი – გწყალობდეს ღმერთი! ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისა!" ამ სიტყვებით ინყებოდა ჩვენში საახალწლო მილოცვა და ჩვენც ამ სიტყვებითვე მოვდივართ მოსამკვლევად და მამაპაპურის ხონჩით მოგიძღვნით „კვალს". არც ლექსით მილოცვას დაიშურებს:

„მოვდივართ მოსალოცავად,
მოგვაქვს სამკვლევი და „კვალი"
ღმერთმა მრავალ წელს დაგასწროსთ
და გაგითენოსთ ახალი!"

ნაგრამ უფრო საინტერესო პროზით მილოცვაა. „ცხელ–ცხელ" აე-ბებში თავისებურ ხუმრობასაც გამოურევს: „ერთი ჩვენი მეგობართა-განი გვწერს: „დიდათ გავიხარე, რომ გავიგე თქვენი გაზეთის გამოცემა, მაგრამ სახელი კი არ მომეწონა! აბა რა დასარქმევი იყო „კვალი"? პირ-ველი ასო რომ გამოაკლო, „კ"-ნი რომ მოაცილო, „ვალი დარჩებაო".

სწორედ მართალი შენიშვნა არის: „კვალს" რომ კანი გავაძროთ, „ვალი" დარჩება, მაგრამ მაგით, იმედია, „კვალს" არა დაუშავდება-რა!.. ზოგს ავნებს და ზოგს კიდეც არგებს კანის გაცვლა-გაძრობა. მაგალითად, ავიღოთ ყაჭის ჭია: ერთხელ კი არა, რამდენჯერმე იცვლის კანს და მით თან-და-თან სიკეთეში შედის"...

ამ ხუმრობის შემდეგ აკაკი სერიოზულად იმასაც დასძენს, რომ „კვალის" „ვალი" სესხს და ვალს კი არ ნიშნავს – საზოგადო მო-ვალეობასა და ვალდებულებასა"-ო, მაგრამ, სამწუხაროდ, წინას-წარმეტყველური უფრო მისი ხუმრობა აღმოჩნდა კანის შეცვლის შესახებ. ამ კანისა თუ ზნის შეცვლას კი პირველი თვით „კვალის" დამაარსებლები, ივანე მაჩაბელი და აკაკი წერეთელი იგრძნობენ. იგრძნობენ კი არა, 6 თვეში მიატოვებენ „კვალს"...

მოხდა ისე, რომ „კვალმა" სწორედ ილიას ქომაგებს დაუჭირა მხარი ერთ ისეთ საკითხში, მაჩაბლისთვის უაღრესად მნიშვნელო-ვანი რომ იყო. თავის დაფუძნებული გაზეთიდან სწორედ მაჩაბე-ლი გამოლანძღეს...

ნიჭის გარდა, თუ რამეთი გამოირჩეოდა მაჩაბელი, ეს პატიოსნება იყო. თუ გინდა ადამიანი სულით-ხორცამდე შეურაცხყო, დააბრალე ის, რის წინააღმდეგაც თავად იბრძვის. ჰოდა, ივანეს სწორედ საზო-გადო ფულის მითვისება დააბრალეს. „კვალმა" კი, არა თუ დაიცვა, სწორედ „კვალში" გამოქვეყნდა მისი მამხილებელი წერილი. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში ჩავარდებოდა მაჩაბელი. თან რა ფულის მოპარვას აბრალებდნენ? თანხის, რომელიც 1882 წელს რუს-თაველის ძეგლის ასაგებად თითქოს საზოგადოებას შეეკრიბა. ფული გაქრა და ძეგლი არ შექმნილა. უარესი ბრალდება რაღა შეიძლებოდა? პუშკინის ძეგლი დაიდგა, რუსთაველის კი ვერა, რატომ? იმიტომ, რომ ფული შეჭამეს. ძნელია, ამ კონტექსტში შენი გვარი რომ გაიჟღერებს. იყო სხვა ბრალდებებიც „კვალის" თანხებთან დაკავშირებული, მაგ-რამ პირველი ბრალდება ყველაზე დამანგრეველი გახლდათ.

მაგრამ ყველაფერს თავისი წინაპირობა აქვს. მაჩაბელმა ახლაც თავად აიტეხა შარი. როცა ილიას მოღვაწეობის შესახებ ანონიმუ-რი ბროშურა გამოიცა, სადაც ილიას ლანძღავდნენ, ჭავჭავაძემ

პასუხი არ გასცა. მკითხველმა, ბუნებრივია, ბროშურის ავტორობაზე ეჭვი მაჩაბელზე მიიტანა. ამან კი მოურიდებლად დაწერა, იქ ყველაფერი ჩემი დაწერილი არ არის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არის ხალხი, ვინც ილიას მოღვაწეობაზე ჩემსავით ფიქრობსო. მე მზად ვარ ამ ბროშურის ყოველი ბრალდება დავასაბუთოო. მოკლედ, რაღა დაგიწერია და რაღა ყოველ სიტყვას დათანხმებიხარ.

ამას დაემატა 1893 წელს გამართულ კრებებზე მაჩაბლის კვლავ აქტიურობანი ილიას წინააღმდეგ და ილიას მოპასუხის როლში ყოფნა. ამას დაემატა ისევ მაჩაბლისაგან არად ჩაგდება, სწორედ 1893 წელს, აკაკისა და ნიკო დიასამიძის, მაჩაბლის მომხრეების სურვილისა – შეერიგებინათ ეს ორი „საუკუნის ფალავანი". ილიას არანაირად არ ხიბლავდა მასზედ უმცროს და არსებითად მის ხელში დაფრთიანებულ ვანოსთან დაუსრულებელი კამათი და სეირის ცენტრში ყოფნა, მაგრამ ვანომ შერიგებაზე უარი განაცხადა. ახლა უკვე ხმლის ჩაგებას აღარც ილია აპირებდა. თავად არა, მაგრამ მისმა მომხრეებმა გაუხსენეს მაჩაბელს, „დროების" დახურვის დროს ვალები რომ დაუტოვა გაზეთს.

ამაზე მაჩაბელი აღშფოთებული წერდა, – განა თვითონ ილიამ არ შეკრიბა ხალხი, განა თავად არ გამოუცხადა მათ, რომ ეს მაჩაბლის კი არა, საზოგადოების ვალებიაო და განა თვითონ არ გახდა ამ ვალების გასტუმრების კომიტეტის თავმჯდომარეო?

„კვალმა" ალექსანდრე ჭყონიას ცნობა გამოაქვეყნა, სერგეი მესხის დროს გაზ. „დროებამ" რუსთაველის ძეგლის ასაგებად ორას თუმნამდე ფული შეაგროვა და ეს თანხა გაზეთთან ერთად ივ. მაჩაბლის ხელში უნდა გადასულიყოო. „კვალის" იმავე ნომერში მოთავსებული იყო ფელეტონი ლექსად, რომელიც შეურაცხყოფდა მაჩაბელს, კაჭკაჭს უწოდებდა მას და „კვალის" სალაროს დაპატრონებას აბრალებდა.

როგორც ჩანს, ამ უკანასკნელი ბრალდების გამო დაუთმო გ. წერეთელმა თავისი გაზეთი ილიას მომხრეებს, ანუ საერთო ინტერესი გაუჩნდათ მაჩაბლის წინააღმდეგ, თორემ გიორგი წერეთელი ამ ცნობის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე ილიამ სასტიკად გააკრიტიკა. აქედან გამომდინარე, რომ არა მაჩაბელსა და გ. წერეთელს შორის წარმოქმნილი უკმაყოფილება, გიორგი წერეთელი ილიას უნებლიე მომხრე არ აღმოჩნდებოდა.

ჭყონიას ინფორმაციის გამო – ორას თუმნამდე ფული მაჩაბლის ხელში უნდა გადასულიყოო, – აღშფოთებული აკაკი მაჩა-

ბელს სწერს: „რაც იმერეთში გადმოვედი, მასუკან ისეთ გუნებაზე ვარ, რომ... მტრისას!.. მაგრამ დღეს კი სულ გამოვედი მოთმინებიდან, ოთახიდან ოთახში გავრბი-გამოვრბივარ გიჟივით და ჩემებურათ რუსულათ ვილანძღები. მე აღარ მომდის „კვალი", დღეს ვინათხოვრე სხვისგან და გადავიკითხე, ზოგიერთი სიგლახე ადამიანის მხოლოდ სიგიჟით აიხსნება!.. რა ფულებზე ამბობენ? იმ ფულებზე ხომ არა, რომელიც შენ, ანდაზის წინააღმდეგ უკუღმა კისერზე ვალათ დაგაწვა? და ან რას ნიშნავს კასის გატეხა და „აქშის" შეძახება კაჭკაჭთან? მაგრამ ეს საწყენი კი არ არის, სასაცილოა, როგორც გიჟური რამ როშვა" – ამშვიდებს აკაკი მეგობარს და იქვე დასძენს, რომ გიორგი წერეთელთან ისიც წყვეტს თანამშრომლობას, რადგან იმას აკაკიც გაუნაწყენებია, ვირის მუშად მამუშავებს და საზღაურს კი არ იმეტებს. ვნახოთ, უჩემოდ როგორ იფარფაშებს მომავალ წელს ახალი ხელისმომწერლებითო...

აკაკის ეს აღშფოთება პირადი წერილით გამოიხატა. საზოგადოების თვალში კი მაჩაბელი დამარცხდა. მან იძულებით ჩართო ილია კამათში. ქათამივით ყველგან მე უნდა წამაკლასო, ახლა კი ილიამაც ამოიღო ხმა და ივანეს ქვა ქვაზე არ დაუტოვა. „დროების" ვალი, როგორც კერძო, საკუთარი გაზეთის, საზოგადოების ვალი ვერ იქნებოდა. მაჩაბლისთვის დელიკატურად მინდოდა დახმარება, ეს იყო და ესო. ფაქტია, „დროებამ" სწორედ მაჩაბლის ხელში დალია სულიო. რუსთველის ძეგლის არ ვიცი, მაგრამ ბროსეს პრემიის ფული სწორედ მაჩაბელს დარჩაო – განაცხადა ილიამ.

დიდად რომ არ გაგაგრძელო ეს ამბავი, ასე დამთავრდა ივანე მაჩაბლისა და აკაკის ოცნება, – ჰქონოდათ საკუთარი გაზეთი, საკუთარი ტრიბუნა. „კვალმა" პირველად პირველივე 6 თვეში იცვალა კანი. (ესეც აკაკის წინასწარმეტყველება)...

რაც შეეხება ივანესა და ილიას კამათს, არც აკაკი და არც არავინ არ ელოდა, რომ ასე ღრმად წავიდოდა საქმე. ეს კამათი ხომ წლები გაგრძელდა. აკაკის, მაჩაბელთან თბილი ურთიერთობის მიუხედავად, უკვე აღარ მოსწონს ეს ამბავი. აღარ მოსწონს აღარც ილიას ძიძგნა და აღარც ილიას მომხრეთაგან მაჩაბლის ბოლომდე გამეტება. ამიტომ, ამ წლის დავა მათ შორის ჩვენც რომ არ გავაგრძელოთ, აკაკის სხარტად გამონათქვამებს მოვიშველიებ, რომელშიც ზუსტად დახასიათდა ერთი მხარეც და მეორეც. პირველს მომხრეები აქებენ და თითქოსდა შეკრული წრიდან მათ ფალავანს გარეთ აღარ უშვებენ. ეი, ეს სურათია დახატული 1893 წელს

გამოქვეყნებულ აკაკის გამოცანებში. პირველი გამოცანა ილიას ეძღვნება, ბოლო, მეათე გამოცანა კი ივ. მაჩაბელს.

პირველი გამოცანა:

„როგორც ღრუბელთ წინამძღვარსა,
უყვარს გვრგვინვა, ჭექა-ჭუქი,
რომ მის ფრთებქვეშ შეიფაროს
წიწილა და ბატის ჭუკი"

როგორც ვხედავთ, აკაკი ილიას უფრთხილდება, მის აბეჯროსნებს კი – „წიწილა და ბატის ჭუკი"-ო, ამ თიკუნებით ამკობს.

ახლა მეათე გამოცანა, ანუ დახასიათებაც, გაკილვაც და რჩევაც მაჩაბლისადმი, – თავი დააღწიოს მის ჩამგონებელთა ფალავნობას, რაც უკვე სასეიროდ ქცეულა:

„გულით ამბობს, რასაც ამბობს,
რაც პერანგზე დაიწერა
და თუ სცდება, მისი ცოდვა
მიეცა მას, ვინც ჩაბერა"

●

ზემოთ ილიასაგან გ. წერეთლის გაკრიტიკება ვახსენეთ. რა იყო მიზეზი იმისა, რის გამოც, მისთვის უჩვეულოდ, თითქმის პირადი შეურაცხყოფა მიაყენა ილიამ გიორგი წერეთელს?

აი, რა: 1893 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანთა მორიგი არჩევნები ტარდება. წინა არჩევნებზე ხმოსანთა საბჭოში საკმაო რაოდენობის ქართველობამ მოიყარა ფავი, რაც მანამდე არასოდეს მომხდარა. მათ ქალაქის საბჭოში, ცხადია, უმრავლესობა ვერ შეადგინეს, მაგრამ ძლიერ ოპოზიციად კი ჩამოყალიბდნენ, იმდენად ძლიერ ოპოზიციად, რომ ძველი თავმჯდომარე ვეღარ ამოირჩიეს. ამ ადგილზე ახალი, თავისი კანდიდატი აირჩიეს. ილიას იმედი მიეცა, ინტელიგენციას უფრო მძლავრად შეეღწია ქალაქის საბჭოში და ჩარჩ-ეაჭრების ნაცვლად, ისინი გაძღოლოდნენ ქალაქის თვითმმართველობას. ამიტომ მის ცხოვრებაში პირველად თავისი კანდიდატურაც წამოაყენა და 498 ხმით 438-ის წინააღმდეგ გაიმარჯვა კიდეც.

ქალაქის საბჭოში ქართველების შესვლა და თან ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ფაქტობრივად, ქალაქის საბჭოს დაპყრობას ნიშნავდა.

ამ დროს ილია და ბევრი სხვა ხმოსანიც იმ 76 კაცის სიაშია, რომლებზედაც პოლიციის მეთვალყურეობაა დაწესებული. ილიას ხომ ეს პატივი დიდი ხანია, რაც ერგო.. მთავრობა დაფაცურდა, ამათთვის ქალაქის მართვის ბერკეტების ხელში მიცემა როგორ შეიძლებოდა? ადგნენ და არჩევნების შედეგები გააუქმეს. ხელახალი არჩევნები კი დანიშნეს, მაგრამ, ცხადია, ახალი ხრიკებით. ილიამ და ყველა მისმა თანამოაზრემ ხელახალ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და მონაწილეობა აღარ მიუღიათ.

გიორგი წერეთელმა კი მიიღო მონაწილეობა ამ პროტესტგამოცხადებულ არჩევნებში. ამ ფაქტით აღშფოთებული ილია დაწერს: „გუშინწინ, კვირას, 30 მაისს, მოხდა ხელ-მეორედ არჩევნები ქალაქ ტფილისის ხმოსანთა კანდიდატებისა, რადგან 16 მაისს არჩევნები უკანონოდ სცნა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ და გააუქმა... **კენჭის ყრაზე უარი სთქვეს ყველა ქართველებმა, გარდა ბატონ გიორგი ექვთიმის ძის წერეთლისა, რომელმაც თავი გამოირიცხა ქართველთაგან.**“ ენამახვილობის თვალსაზრისით ვერც წერეთელს დაიწუნებდით (მისი შვილი კაკი წერეთელი კი ამ მხრივ ლეგენდად დარჩება), პასუხი მან იმავ „ივერიაში“ დაბეჭდა ჭავჭავაძის წინააღმდეგ: „მე ძალიან მაკვირვებს ბ-ნის რედაქტორის თ.ი.გ.ჭავჭავაძის კადნიერება, რომ არ მოერიდა ცხადის უსამართლოების დაბეჭდვას თავის გაზეთში. იმ დღეს ჩემს გარდა მეორე ქართველმაც, სახელდობრ, კალოუბნელმა იყარა კენჭი ხმოსნობაზედ.

...ვეჭვობ, რომ ბ-ნს თ.ი.გ. ჭავჭავაძისთვის საქართველოს ერს არ მიუნდვია გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის ქართველთაგან განრიცხვა და არც საკადრისია მისი მხრით პირადი ღირსების შეზღუდვა“.

ილია ამ მართლაცდა აკადემიურად და მახვილგონივრულად დაწერილ პასუხს აღარ გამოხმაურებია, მაგრამ გულში კი იფიქრებდა, გიორგი წერეთელი რომ ხარ, სწორედ ამას ვჩივი, ვინმე კალოუბნელივით არ უნდა მოქცეულიყავიო.

სომხებმა გაიტანეს არჩევნებზე თავისი და ქალაქის მოურავად იზმაილოვიც აირჩიეს. ეს ის იზმაილოვია, წინა საკრებულომ ოპოზიციის წყალობით, მოადგილეობაც რომ არ აღირსა.

ეს იზმაილოვი სწორედ იმ დასმა ამოირჩია, ქართველების სიყვარულში რომ არ იყვნენ შემჩნეულნი, მაგრამ ნახეთ, რა ოსტატურად, რა დიპლომატიურად ანამუსებს ილია მას, რომ ქვეყნის ინტერესების

სამსახურში ჩააყენოს და არა იმ დასისა, რომელიც თავის სარგებელს იქით არ იყურება: „ბ-ნი იზმაილოვი ამორჩეულია იმ იმედით, რომ იგი ამ ცალკერძოდ მიხრილს დასს ციხე-სიმაგრედ გაუხდება.

ამ იმედს საფუძვლად უნდა ედვას იგი არა ერთი არა მცირე ნაკლულოვანება ხასიათისა, რომელსაც ვითომ ამჩნევენ ბ-ნ იზმაილოვს. იგი ამყოლი კაციაო, ამბობენ და, რა თქმა უნდა, რასაც ჩვენ ვიტყვით, იმას დაემორჩილება ყოველის უარის უთქმელადაო. არა ერთი და ორი ამაში პოულობენ მიზეზს ბ-ნ იზმაილოვის ამორჩევისას.

თუ ასეა, ეს ჩვენ მოგვაგონებს ერთს დიდის ხნის ამბავს. როდესაც რომის პაპი გრიგოლ XIII გარდაიცვალა, შეიყარნენ კარდინალები ახალის პაპის ამოსარჩევად. კარდინალთა კრებულში იყო ერთი ბერი, სახელად სიქსტი, კაცი სუსტი, წელში ულონობით მოხრილი, ულონობითვე ყავარჯენზე დაყრდნობილი, ფერმიხდილი და მიმკვდარი. ღირსთა მამათა იფიქრეს, თუ ამ სუსტს და დავრდომილ კაცს ავირჩევთ პაპად, ეს, რასაკვირველია, ჩვენი ყურმოჭრილი ყმა იქნება და როგორც გვინდა, ხელში ისე ვატრიალებთ და რასაც გვინდა, იმას ჩავადენინებთო. ამ იმედით აირჩიეს ეს საბრალო ბერი იმ უწარჩინებულეს თანამდებობისათვის, ჩააბარეს პეტრე მოციქულის გასაღებები და უწოდეს სახელად პაპი სიქსტი მეხუთე.

გამოცხადდა თუ არა, რომ სიქსტი არჩეულ იქმნაო, ეს მიმკვდარი, ძლივს ცოცხალი, ტანში ულონობით მოხრილი ბერი გაიმართა წელში, ყავარჯენი იქით მიაგდო და Te Peum-ი ისეთის გრგვინვით და ჭექითა სთქვა, რომ დარბაზის სარკმლის მინებმა ზრიალი დაიწყო. განცვიფრებული კარდინალები მიხვდნენ მაშინვე, რომ ამ კაცს ისინი თავის სურვილისამებრ ვერ ათამაშებდნენ და დარწმუნდნენ, რომ ანგარიშში შესცდნენ. ისტორიამ გაამართლა წინაგრძნობა ღირსთა მამათა და პაპი სიქსტი V მართლაც რომ შესანიშნავი და დამოუკიდებელი კაცი შეიქმნა.

განა შესაძლებელი არ არის რომ აქაც იგივე მოხდეს? ჩვენ დღეს მარტო ისღა დაგვრჩენია, რომ ბატონმა იზმაილოვმა იგი რიხი, მხნეობა, დამოუკიდებლობა და სიმაგრე ხასიათისა გამოიჩინოს, რაც საჭიროა მაგისთანა თანამდებობის კაცისათვის, და დაგვიმტკიცოს, რომ თუმცა აბჯარი ხისა აქვს, გული კი რკინისა ჰქონია.

მისი მშვენიერი სიტყვა აზრით, თუ მოკაზმულობით, წარმოთქმული არჩევანის შემდეგ, ცოტა არ იყოს, სიქსტის V Te Peum-სა ჰგავს. ჩაუკვირდით იმ მოკლე, მაგრამ ფართო აზრიანს სიტყ-

ვას და დაინახავთ, რომ იგი ერთს ცალკერძ დასის აყოლას თავის პროგრამაში არავითარს წილს არ უდებს და ამბობს, იმათაც ვისაც ჩემი ქალაქის მთავრობა არა ჰსურთ, ვეცდები ჩემის მოქმედებებით ჩემზე აზრი შევუცვალოო."

არ ვიცი, როგორ გაამართლა ამ იზმაილოვმა, მაგრამ ამ წერილის დამწერს რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნობას დაამადლებს, უფრო მეტი, იქიდან რომ უაპელაციოდ გამოუშვებს, რა ტალახით იყო ის ხალხი მოზელილი? საკითხავი, აი, ეს არის...

ნუთუ მართლა შლეგად ან დავრდომილად უნდა აჩვენო ზემდგომებს თავი, რომ დისკომფორტი არ იგრძნონ?

●

1993 წელს ქართველთათვის ორი ძვირფასი ნეშტი ჩაიხუტა ქართულმა მიწამ. ერთი წლის დასაწყისში, მეორე კი წლის მიწურულს. პირველმა, ქართული პოეზიის ორფეოსმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა უცხოობაში დალია სული და თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გადმოასვენეს, მეორემ კი – ყველაზე რომანტიული პროზის დამტოვებელმა ალექსანდრე ყაზბეგმა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში დაასრულა განამებული სიცოცხლე.

ორი ავი წინათგრძნობა აუხდა სრულიად ახალგაზრდა ტატოს – „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში"-ო და მართლა უცხო მიწაზე, გადაკარგულში გაუთხარეს სამარე. აშინებდა სასაფლაო, **„უბედურთათვის ნუგეში და ბედნიერების დასასრული"**. ჰოდა, თითქოს მკვდარიც გაურბოდა სამუდამო განსასვენებელს. სამჯერ მოუწია, – ერთიდან მეორეში, მეორიდან მესამე აკლდამაში გადასვენება. აკი წერდა მეგობარს, მიხეილ თუმანიშვილს: „ წავედი საბოლოოდ და მოულოდნელად სასაფლაოზე აღმოვჩნდი. გამოგიტყდები, ცოტა შევშინდი, როცა ამ დამუნჯებულ სამყაროს თვალი მოვავლე. ღამის 11 საათი იყო. ძე სულიერი არსად ჭაჭანებდა. ირგვლივ საუკუნოდ გამეფებული სიცარიელე. მთვარე ისე ძუნწად ანათებდა საფლავებს, როგორც მიმქრალი კანდელი მიცვალებულს. წყნარად და მდუმარედ მიედინებოდა მტკვარი, თითქოს ეშინოდა ამ ნაღვლიანი ქვეყნის მყუდროება არ დაერღვია!... შენ ახლა გალაღებული ხარ და არ მინდა შემოგახვიო ჩემი პირქუში ფიქრები, რომელიც ჩემს სულში ზეციურმა და მიწიერმა სანახაობამ აშალა. მაგრამ იმას კი გეტყვი, რომ მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. აუცილებელი,

რათა მოკვდავი საკუთარ სიცოცხლეს ხანდახან კითხულობდეს: უბედურთათვის ნუგეში, ბედნიერების დასასრული".

ეს კაცი, მისი პირადი ბარათიც რომ დიდი პოეზიაა, საქართველოს ილია ჭავჭავაძემ დაუბრუნა. ჯერ დაუბრუნა მისი პოეზია, შემდეგ კი მისი ნეშტიც ილიას სცენარით იქნა განჯიდან თბილისში გადმოსვენებული.

როგორც დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის, ისე ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების უჩინარი რეჟისორი ილია ჭავჭავაძე იყო. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების ნებართვა ტატოს დებს და ბიძაშვილს, გიორგი ორბელიანს ააღებინა. მთავრობას ფიქრად არ მოსვლია, რას უმზადებდა „ივერიის" რედაქტორი. არადა, ისეთი ამაღელვებელი სანახაობის შემსწრენი გახდნენ, მტერიც კი ერთდროულად აღშფოთებას და აღტაცებას ვერ მალავს, ამაზე, ცოტა ქვემოთ.

ილიამ 1893 წლის აპრილში ნეშტის გადმოსასვენებლად განჯაში გაგზავნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები გ. იოსელიანი და ალ. ჭყონია, მათთან ერთად პოეტის ბიძაშვილი, პოდპოლკოვნიკი გიორგი ორბელიანი.

მანამდე, ვითომ მთავრობის გულისხმიერებას უსვამს ხაზსო, დიდის ამბით „ივერია" მკითხველებს აუწყებდა, ნათესავებმა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე განცხადება შეიტანესო. შემდეგ, მთავრობამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე ნათესავებს თანხმობა მისცა და ეს სიხარულით უნდა გაუწყოთო. ერთი სიტყვით, ნელ-ნელა მოამზადა ხალხი, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა.

18 აპრილს ბარათაშვილის ნათესავებს „რატომღაც" გაზეთიდან ამცნობს: **„კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებულ იქნება განჯიდან ტფილისს ნეშტი პოეტის თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ეუწყებათ ეს ამბავი განსვენებულის ნათესავთა და პატივისმცემელთ, რათა მობრძანდნენ ამ დღეს დილის 9 საათზედ რკინის გზის ვაგზალზედ, საიდგანაც ნეშტს წაასვენებენ დიდუბეს, მღვთის-მშობლის ეკლესიაში."**

კი მაგრამ, თუ ნათესავები იყვნენ ინიციატორები, გაზეთი რატომ უხსნიდა მათ სად მოსულიყვნენ, რომელ საათზე და სად უნდა დაკრძალულიყო პოეტი?

ამას მოჰყვება კიდევ ახალი ინფორმაცია. 22 აპრილს იმ პირების განჯაში გაგზავნის შესახებ, რომელნიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. მოკლედ, ამ ხერხით ილიამ ცენზურა და მთავრობა გააცურა, იმავდრო-

ულად საზოგადოებაც შეამზადა. ერთადერთი, ვინც ცენზორთაგან მშვენივრად იცოდა რაც ხდებოდა, რაფიელ ერისთავი იყო. რაფიელი თავის უფროსებს– გაკკელს, ან ქიშმიშევს, ან ნოფალს, ან კარაზანოვს როგორ ეტყოდა, სინამდვილეში რას მოასწავებდა ეს უწყინარი განცხადებები? ის ხომ უმცროსი ცენზორი იყო და რატომ უნდა მიხვედრილიყო იმას, რასაც უფროსებიც კი ვერ ხვდებოდნენ?...

ჩავიდა ჩვენი დელეგაცია განჯაში და იქაც ყველაფერი მრმზადებული დახვდათ. იქაური ქართული საზოგადოება (იქ მოსამსახურენი), ქართველი მღვდლები, მგალობლები, ჩოხოსნები, მუშები.

ბარათაშვილის დამ, რომელიც ძმის საფლავზე რამდენჯერმე ჩასულა თბილისიდან, დააბარა გამგზავრებულთ, რომ ტატოს ცხედარი ესვენა ხის ძირას, ძმის მარჯვნივ. როგორც ჩანს ძმად მოიხსენიებენ ჯერ კიდევ 1823 წელს განჯაში გარდაცვლილ ტატოს ღვიძლ ნათესავს, სამხედრო პირს. გიორგი ბარათაშვილს, რომლის საფლავზეც თლილი ქვა იდო და ქართულად ეწერა: „აქ განისვენებს პოდპორუჩიკი თავ. გიორგი ბარათაშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1823 წელს". პოეტის საფლავის მარმარილოს ქვა, ქართული და რუსული ზედნაწერებით შეტანილი იყო ეკლესიაში. პოეტის გარდაცვალების წლისთავზე ქვა მას მისმა მეგობარმა და ბიძამ, ილია ორბელიანმა დაადგა. შემდეგ ეს ქვა მოუპარავთ. სავარაუდოა, ან იგივე ქვა დააბრუნებინეს უკან, ან ნათესავებმა შემდეგში სხვა ქვა მიიტანეს.

დაიწყეს გათხრა ხის ძირას, რომელსაც პავლე ინგოროყვა აკაციის ხედ იხსენიებს, „ივერიის" ცნობით კი აკაკის ხეა. პირველად სწორედ ტატოს ნათესავის საფლავი გაუთხრიათ, რაც ცხედრის ძვლების მეტი სიძველით და პოდპორუჩიკის სამხედრო ეპოლეტებით გახდა საცნაური. შემდეგ მის მარჯვნივ გათხარეს მიწა და როგორც დამ მიუთითა სწორედ იქ ტატოს საფლავი აღმოჩნდა. სამოქალაქო ჩინოვნიკის მუნდირი, ღილები ალ. ჭყონიას წამოუღია. ექიმის დასკვნით ძვლები, თავის ქალა ზორბა მამაკაცის უნდა ყოფილიყო. ნეშტი ჩაასვენეს კუბოში და ჩოხოსნებმა ხელით ატარეს 5 ვერსი რკინიგზის სადგურამდე. წინ მღვდლები, მგალობლები. პანაშვიდის გადახდა. სამგლოვიარო მიტინგი. ყოველივე ეს დაწვრილებით აქვს აღწერილი „ივერიაში" (1893წ. N87) ალ. ჭყონიას.

მე კი ვეშურები ვთქვა, რომ ნეშტის აღმოჩენისთანავე, დელეგაციის წევრებმა დეპეშა გამოუგზავნეს ილიას: „განჯა, 24 აპრილი. ეს არის ახლა ავხადეთ პოეტის სამარე პოლიცმეისტერისა და მრავალი ხალხის თანდასწრებით."

ილია მოუთმენლად ელოდა ამ დეპეშას. იმავ ღამეს სტამბაში აიწყო მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

დილით „ივერიაში" ხალხი კითხულობს: „დღეს დიდუბეში მიაბარებენ მიწას თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს". ცხადია, თვალშისაცემი შრიფტით.

აქვე დაბეჭდილია ციტატები პოეტის ლექსებიდან.

იბეჭდება სხვადასხვა ავტორთა წერილები და ლექსები ნიკოლოზ ბარათაშვილზე. გაზეთს, მის რედაქტორს, მის თანამშრომლებს რაც უნდა ექნათ, ყველაფერი გააკეთეს. ახლა ჯერი ქართველ ხალხზეა და ჩანაფიქრი აღსრულდა. არათუ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, რუსები, ყველა, მთელი თბილისი გამოვიდა, ჩამოვიდნენ სოფლებიდან. გადაჭედილია თბილისის ვაგზალი, მატარებელი ჩამოდგა 9 საათზე. გადმოასვენეს კუბო და მთელი ხალხი დაემხო მუხლებზე. „შემდეგ ეს აუარებელი ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ". გვირგვინები, გალობა, კუბო მიჰქონდათ ხან კაცებს, ხან ქალებს. დიდუბის ეკლესიასთან კვლავ ყველამ ერთად მუხლი მოიდრიკა. ფოტოგრაფი იღებს ამ ამაღელვებელ სურათებს. ეკლესიაში ზიარების დროს შესანიშნავ სიტყვას ამბობს მღვდელი ცინცაძე.

„სიტყვები და ლექსები წარმოთქვეს თ. აკაკი წერეთელმა, თ. ილია ჭავჭავაძემ, კნ. ნ. ორბელიანმა, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გ, წერეთელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა ბ-ნმა თუმანიანმა, თ. ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვა („ივერია", 1893ნ N86)

ილიას უკვდავი სიტყვა მის ყველა რჩეულშია შეტანილი და აქ აღარ გავიმეორებ, აქ გავიმეორებ იმ აღშფოთება-აღფრთოვანებას, რაც ამ სურათის მხილველმა მტერმა საიდუმლოდ მისწერა სადაც ჯერ არს: „ქართველებმა ხელახლა წამოაყენეს მივიწყებული საკითხი განჯიდან თბილისში ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა. ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა ამ საუკუნის დამდეგს და დასაფლავებული იყო განჯაში. განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით, გადმოასვენეს თბილისში, სადაც იმ ნეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდი პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას.

კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. არათუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი

ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს გასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. **დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს".**

ამ გრანდიოზული მანიფესტაციის შემოქმედი ილია ჭავჭავაძე კი მეორე დღეს, 26 ოქტომბერს დაბარებულია ისეთ დიდ გვამთან, როგორიც ცენზორთუფროსი გაკკელი იყო.

●

ილიამ „ივერიაში" გამოაქვეყნა ხონის სემინარიის მოწაფეთა გაფიცვის შესახებ კორესპონდენცია, სადაც ისიც ეწერა, რომ მოწაფეთა მოთხოვნებს ზავადსკი დაეთანხმაო. ეს ზავადსკი მოდგილე იყო იანოვსკისა. რას ჰქვია დაეთანხმაო-იანოვსკიმ ცოფები ყარა, დაიბარა მოადგილე და სასწრაფოდ ჭკუაზე მოიყვანა. დაავალა, დაუყოვნებლივ უარეყო „ივერიაში" ეს ცნობა. ზავადსკიმაც შეშინებულმა მისწერა გაზეთს, უარვყოფ, არავითარ მოთხოვნებს არ დავთანხმებივარო.

ილიამ არ დაბეჭდა ზავადსკის უარყოფა.

საცენზურო კომიტეტი შეკითხვას უგზავნის „ივერიას", რატომ არ ბეჭდავთო. რედაქცია დუმს.

საცენზურო კომიტეტი დაჟინებით ითხოვს ზავადსკის „უარყოფის" დასტამბვას.

ილია გაჯიუტდა, ქართულ გაზეთში რუსული ტექსტის დაბეჭვდვა არ შეიძლებაო.

აი, ამ საქმეზე მიდის პირადად 16 აპრილს საცენზურო კომიტეტში. იქ ცოფებს ყრიან, გინდა თუ არა , სწორედ რუსული ტექსტი დაბეჭდეო.

ყველაფერი როგორღაც ბავშვურ ჟინიანობას ემგვანება, მას შემდეგ, რაც ცენზურის გაწვალებით იანოვსკის აგრძნობინა, თქვენს კაპრიზებს რედაქცია არ ემორჩილებაო, დაბეჭდა ზავადსკის რუსული ტექსტი, მაგრამ ქართულად მიაწერა – „იბეჭდება ცენზურის განკარგულებითო."

ცენზურასთან ამ წელიწადს უფრო რთული ბრძოლა გარდახდება, მაგრამ ეს ბრძოლა მომავალ წელს გადადის და ამიტომ, მომდევნო წერილში გიამბობთ. ახლა კი ილია, რაც ხშირად არ სჩვევია, იმას გააკეთებს. იწყებს გასვლებს კახეთში არტურ ლაისტთან ერთად და

შემდეგ ქართლში თავის სხვა თანამოაზრეებთან ერთად. ქართლის სხვადასხვა სოფლებში არის გაჩაღებული პურობა და მამაპაპური სტუმარმასპინძლობა. როგორც თავის მოგონებებში სოფრომ მგალობლიშვილი დაწერს, ეს ერთგვარი საარჩევნო კამპანია იყო ილიასი, რათა ბანკობიადა თავის სასარგებლოდ დასრულებულიყო.

ასეც იყო, მაგრამ ოფიციალურად ამას ვერც დაადასტურებ და ვერც უარყოფ, რადგან მაჩაბელი არც უხსენებია. კაცმა მეგობრებისათვის მოიცალა და სტუმრად ეწვია, ხან ერთს, ხან მეორეს, მასზე სასურველ სტუმარს კი ის ოჯახები განა როდის ეღირსებოდნენ?

●

1893 წლის მიწურულს, სულიერად მძიმედ დასნეულებული, გარდაიცვალა ალექსანდრე ყაზბეგი. აკაკის მოგონებიდან: „ჩვენი საზოგადოება ცოტა პირშავად არის მასთან; მაშინ, როდესაც მისი ნაწერები ათასობით იყიდებოდა და როგორც მწყურვალი წყაროს, ისე ეწაფებოდნენ მის ნაწერებს, ის სამხედრო ჰოსპიტალში იწვა ავადმყოფი, დიდ გაჭირვებაში, სიკვდილის შემდეგ კი შეინანა საზოგადოებამ, მის კუბოს მზე და მთვარეც დაახალეს, მაგრამ რაღა დროს? მისი სიკვდილიც კი უცნაური იყო; ერთხელ ვარანცოვის ძეგლთან ვიდექ მე და შევნიშნე, რომ საზოგადოება მუშტაიდისკენ მიისწრაფოდა. ეკიპაჟი ეკიპაჟზე იყო გაბმული და მიაქანებდნენ. იქ სწორედ იმ დროს მოვიდა ჩემთან დანაღვლიანებული ზ. ჭიჭინაძე და ნაღვლიანად თავის ქნევით დამეკითხა: „სად მიდის ეს ქართველი საზოგადოება სასეირნოდო? სულ ნახევარი საათი არ იქნება რაც ჰოსპიტალში ყაზბეგი გარდაიცვალა და მეც იქიდან მოვდივარო!“. მუშტაიდისკენ კი საზოგადოება იმად იჩქაროდა, რომ აერობურთს ვირი უნდა აეტაცნა მაღლა და ამ სანახაობას არ სურდათ გამოკლებოდნენ...

ყაზბეგი 19 დეკემბერს ქაშუეთის ეკლესიიდან გამოასვენეს. ილიას იქ ვხედავთ, სიტყვით გამომსვლელებში ვერა....

საშინელი ტაროსი იდგა, ამის მიუხედავად, დიდძალმა საზოგადოებამ გააცილა. ვერის აღმართზე ჯვართან მცირე ხნით დაასვენეს. აქ სიტყვა წარმოთქვეს აკაკიმ, გრიგოლ აბაშიძემ და გიორგი წერეთელმა. აკაკიმ დაამთავრა ლექსით: **„აჰა საზღვარი სიკვდილ-სიცოცხლის, უცნობ-ნაცნობი რამ გამოცანა“**... ასეთ უცნობ-ნაცნობ გამოცანად დარჩა ტანჯული სანდროს ცხოვრება დღემდე....

1894

გაუგებრობა ილიასა და გოგებაშვილს შორის. ილიას სიმართლე. ილიას ბანკიდან გაძევების მცდელობა. ილიას გამარჯვება. ნინოშვილის გარდაცვალება. ნიკოლაძე ფოთის მერად.

ილია და იაკობი

„რაც საქართველო არსებობს ეს პირველი შემთხვევაა! ეს პირველად გაჩნდა ისეთი ღვთის წყრომა დასი, რომელიც თავის სამშობლოს უარყოფს, მის ტრადიციასა და უფლებას ფეხქვეშ გათელავს."

სპირიდონ კედია

1894 წლის საახალწლო დღეები ილიამ ისევ ქართლში გაატარა. სტუმრობს ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეებს სოფელ საღოლაშენში, იქიდან გადადის ხვედურეთში ციციშვილებთან. გაბმული ქეიფები მიდის რედაქციის თანამშრომლებთან ერთად. როგორც მუშაობა უყვარდა თავდავიწყებამდე, ისე დაათენდებოდა წერაში და ფიქრებში გართულს, ხშირად ვერც იგებდა, თუ ვინმე არ შევიდოდა ფეხაკრეფით და არ შეახსენებდა, ბატონო, დიდი ხანია გათენდა და საუზმე მაინც მიირთვითო – მოლხენაც გულიანი იცოდა. სიმღერით მხოლოდ ერთ სიმღერას ახერხებდა – „მუმლი მუხასაო". ბოლო აკორდზე – „მუმლი დაიხრჩოო, მუხა გადარჩაო" – ხმას აუწევდა და მაგიდაზე მუშტს დაჰკრავდა.

ქართლში „კალმასობამ" უკვალოდ არ ჩაიარა, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

დაბრუნდა თუ არა თბილისში, აქ „კვალის" საახალწლო ნომრის ეპიგრამები დახვდა. „კვალს" აკაკი შერიგებოდა და ისევ მათი თანამშრომელი გამხდარიყო. ამით გულმიცემული გიორგი წერეთელი უფრო იმედიანი და გათამამებული ჩანს. სხვა შედარებით მსუბუქ ეპიგრამებს შორის „კვალი" „ივერიისადმი" ერთ ღვარძლიან პამფლეტსაც ბეჭდავს:

„ახალი წელი ამას გირჩევს
შური განაგდე განზეო,
თორემ ხომ ხედავ გარს მტრები
დაგხარხარობენ თავზეო".

ამ ეპიგრამის ავტორის, ვინმე ღვანკითელის რჩევა–დარიგებას თავს დაუკრავდა კაცი, მაგრამ საშიში და დასაფიქრებელი ამბავი

ზემოთ დახვდა, მთლად მთავარმართებლის სიმაღლიდან „ივერიის“ თავზე ავი ჯანღი წვებოდა.

საქმე ის იყო, რომ გასულ შემოდგომაზე „ივერიაში“ წერილი მიიტანა იაკობ გოგებაშვილმა, ხელს ფსევდონიმით აწერდა. სექტემბერში თბილისში ტარდებოდა სამღვდელოების კრება. ამ კრების ყურადღება რომ მიექცია, იაკობმა დაწერა ვრცელი წერილი – „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“. ეს ერთი საუკეთესო წერილთაგანია, მაგრამ ვისთვის – ჩვენთვის. მმართველობა და ეგზარქოსი კი გულზე გახეთქა. არა, წერილი, ცხადია, არ დაბეჭდილა. „ივერიაში“ აწყობილი მასალა ცენზურამ აკრძალა. არ დაბეჭდილა არც მაშინ და არც იაკობის სიცოცხლეში, მაგრამ ცენზორმა გეკკელმა ხომ წაიკითხა? რაკი სტატია სამღვდელოებას ეხებოდა, დაინტერესდა, რუსულად ათარგმნინა და წაიკითხა. არა მარტო აკრძალა, არამედ გადაუგზავნა ეგზარქოსს, მთავარმართებელს. იმათაც ნახეს და ჩამოწვა ჯანღი. ილიას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, პირველი შემთხვევა ხომ არ იყო წერილის აკრძალვისა. აბა იმან რა იცოდა, რომ ზემოთ სტატია ხელიდან-ხელში გადადიოდა და ავტორის დასჯაზე ფიქრობდნენ...

მაინც რა ეწერა ამ წერილში ასეთი? კი, ეწერა...

იაკობი აღწერს, რა დღეშია საქართველოში სარწმუნოებისა და სასულიერო ლიტერატურის ბედი.

მაგალითად, თბილისში, გოლოვინის პროსპექტზედ, არსებობსო ბრიტანეთის ბიბლიის საზოგადოების მაღაზია წიგნებისა.

„შევიდეთ შიგ და გავშინჯოთ ეს წიგნები.

...აქ არის დაბადება რუსულსა და სლავიანურ ენებზედ, აი მეორე მწკრივი, აქ დალაგებულია სომხურ ენაზე. აგერ მესამე მწკრივი: აქ ალაგია დაბადება არაბულ ენებზედ. თქვენ აქ ნახავთ დაბადებას ფრანგულ, გერმანულ, სპარსულ, ოსმალურ და სხვა ენებზედ. სომხურ ენაზედ თუ მოითხოვ სახარებას, გკითხავენ, რომელ სომხურზედ გნებავთ, ძველზედ, არაბულზედ თუ კონსტანტინოპოლურზედაო? და რომელზეც გსურთ იმ ენაზედ მოგართმევენ. მხოლოდ ერთის ენის ჭაჭანება არ არის აქ, რომლისა? სწორედ იმ ენისა, რომლის დედაქალაქი იყო, არის და იმედია იქნება ტფილისი“. აქვე იაკობი განმარტავს, რომ თვით ბრიტანეთის საზოგადოებას ამაში არანაირი ბრალი არ უძღვის.

ქართული წიგნების არქონას იაკობი ბუნებრივად უკავშირებს მღვდელმთავართა მიერ ქართულის არცოდნას და დასძენს:

„მწყემსმა თავის სამწყსოს ენა არამცთუ კარგად უნდა იცოდეს, უნდა დახელოვნებულ იყოს მის მარჯვე ხმარებაში, გავარჯიშებული მკაფიო მეტყველებაში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას იყოს, ჭეშმარიტი მქადაგებელი, მთესველი მაცხოვრის მაღალი მოძღვრებისა, გამსპეტაკებელი თავისი სამყაროს სულისა და გულისა. რა არის მღვდელი მეტყველებას მოკლებული? არა მწყემსი, არამედ უსარგებლო მოჯამაგირე, მსგავსი უხმო მომღერლისა, მუნჯი მასწავლებლისა, უფრთო ფრინველისა, კუტი შიკრიკისა“.

შემდეგ გოგებაშვილი აღწერს თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფას. იქიდან ქართულის გაძევების გამო, თითქოს ვილაცას ჩაუფიქრებია, რომ სემინარიამ სწორედ თავისი დანიშნულება არ შეასრულოსო და ბოლოს მიმართავს ეგზარქოს ვლადიმერს – სთხოვს ხელშეწყობას იმაში, რომ დაიბეჭდოს საღვთისმეტყველო სახელმძღვანელოები პარალელურად ქართული ტექსტით, ხოლო სასულიერო სემინარიაში დაარსდეს ქართული ენის, ლიტერატურის, მქადაგებლობის ცალკე კათედრა. იაკობი ბჭობდა და ის ვლადიმერი ბრაზდებოდა. მე მაგას ვაჩვენებ, ენის არმცოდნე მღვდელმთავარი, როგორი კუტი შიკრიკიც ვარო.

მთავარმართებელმა, ცენზორის შუამავლობით, ილიას მოსთხოვა ატორის ვინაობის გამხელა.

ავტორის ვინაობის დამალვას, არანაირი აზრი არ ჰქონდა. საცენზურო კომიტეტის წესდებით, ცენზურას, უარის თქმის შემთხვევაში, შეეძლო რაგინდა-რა სადამსჯელო ღონისძიებებისათვის მიემართა. ამ წესებს ცენზორთუფროსი წერილობით შეახსენებს კიდეც ილიას. იქ, ცენზურაში, 1889 წლიდან მოყოლებული ილიას და ქართული ინტერესების დამცველი რაფიელ ერისთავი იყო, მაგრამ მთავარმართებლამდე მისულ საქმეს, უმცროსი ცენზორი რაღას უშველიდა? ისევ ილიას ჭკუამ გაჭრა. აი, რა ახსნა-განმარტება მისცა ცენზურას. თუმცა, ვიდრე ვიტყოდეთ, რა ეწერა ამ ახსნა-განმარტებაში, ერთი წიაღსვლა უნდა გავაკეთოთ. ვინ იცის, რამდენი ადამიანია უსაფუძვლოდ გალანძღული ისტორიკოსთა და, საერთოდ, შთამომავლობის მიერ, რადგან ისტორიას შემორჩა, ვთქვათ, ერთი დოკუმენტი და არ შემორჩა მეორე, რომელიც ნათელს მოჰფენდა იმ პირველი დოკუმენტის შექმნის მოტივაციას.

საცენზურო კომიტეტის მასალებში რომ არ აღმოჩენილიყო ილიას წერილი ცენზურისადმი და დღეს მხოლოდ გოგებაშვილის ის ერთი პატარა ბარათი გვქონდეს, რომელსაც აქ გაგაცნობთ –

შთამომავლობას დიდი თავსატეხი გაუჩნდებოდა და ილია ვინ იცის, რა ჩრდილმიმდგარი გვეყოლებოდა დღემდე.

ჯერ გაგაცნობთ იაკობის ბარათს, შემდეგ კი ილიას წერილს ცენზურისადმი, რომელიც ყველაფერს ნათელს ჰფენს. სხვაგვარად ცოცხალი სურათი ვერ დაიხატება იმისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში თუ რა ხდება და რატომ. საქმე ის არის, რომ იაკობ გოგებაშვილის ბარათის გაცნობამდე მკითხველმა უნდა იცოდეს სულიერი წყობა იაკობისა. ერთი მხრივ, უაღრესად ეროვნული და ლამის წმინდანის წესით მცხოვრები კაცი, პუბლიცისტიკაში უაღრესად გაბედული, იმავდროულად, საშინლად განიცდიდა ყოველგვარ უსამართლო შემოტევას. უსამართლობას ვინ არ განიცდის, მაგრამ ვიღაც ლაზღანდარას შეეძლო თვითმკვლელობამდეც კი მიეყვანა იგი. სხვათა შორის, ასეთი რამ სცადა კიდეც 70-იან წლებში, მტკვარში იხრჩობდა თავს და გადაარჩინეს. მერედა რისთვის? სამსახურში დაგებული ხაფანგებისა და ინტრიგების გამო. რაკი გადარჩა, გამოიტანა ყველა ოფიციალური საბუთი, რაც კი გააჩნდა – ატესტატი, დიპლომი თუ სხვა რამ სახელმწიფო სამსახურისთვის საჭირო ქაღალდი და ცეცხლში შეუკეთა, რათა ვეღარასოდეს შესძლებოდა სახელმწიფო სამსახურში მუშაობა.

ძალიან უფრთხოდა სახელმწიფო მოხელეებს და არ სურდა მათთან არანაირი შეხებაც კი. და, აი, იაკობი გებულობს, რომ ილიამ ცენზურას აცნობა, თუ ვინ დგას ფსევდონიმის უკან. ეს სუსტი ნერვების იაკობისთვის საშინელი დარტყმა იყო. მერედა ვინ გაყიდა? კაცმა, რომელსაც აღმერთებდა. მან წარმოიდგინა, რომ დიმიტრი ყიფიანივით გადაასახლებდნენ. ეს მისი ჯანმრთელობის კაცისთვის მკვლელობის ტოლფასი იყო. წონასწორობადაკარგული იაკობი 1894 წლის 29 იანვარს პირად წერილს წერს სოფრომ მგალობლიშვილს. ეს წერილი, საუკუნის შემდეგ, 1990 წელს გამოაქვეყნა შ. გოზალიშვილმა.

„ნიკო, ამ ცოტა ხანში შეიძლება თავზე დიდი უბედურება დამატყდეს... მთავრობამ, ანუ სწორედ მთავარმართებელმა ცენზურის კომიტეტის შუამავლობით მოსთხოვა ჭავჭავაძეს, დაგვისახელე ავტორიო, და მანაც იმდენი სულმოკლეობა და სიმხდალე გამოიჩინა, რომ დამასახელა. მაგალითი არ არის არც ჩვენში და არც რუსეთში, რომ ამისთანა შემთხვევაში, რედაქციას ავტორი გაეცეს. ეს გაცემა ძლიერ სამარცხვინო, ძლიერ სათაკილოდ მიაჩნიათ იმისთანა რედაქციებსაც კი, როგორიც არის (ხეჩატუროვი)

და დახე სადამდის დავეცით. ძლიერ მოსალოდნელია ჩემი გამგზავრება ჩრდილოეთისაკენ და ეს ხომ სიკვდილით დასჯაზე უარესია ჩემისთანა სნეულის სხეულის პატრონისათვის. თუ ეს ჩემი შიში აცხადდეს, გეთაყვა, ჩემი და გაიცანი და როგორმე ანუგეშე და ჩემს ძმისწულსაც ყური უგდე. ჩემ დას ექვს ძმაში მხოლოდ მელა ვყავარ ცოცხალი და მეც რომ რამე ამიტყდეს, საშინელი დღე დაადგება, ვინატრი შენს მშვიდობას და დღეგრძელობასა. ეს წერილი საიდუმლოდ უნდა დარჩეს. შენი ერთგული იაკობ გოგებაშვილი."

ის გრძელი შესავალი იმისთვის გავაკეთე, პირდაპირ ეს წერილი რომ წაეკითხა, გული გაუსკდებოდა მკითხველს. ახლა კი დროა, ნათელი მოვფინოთ, რომ ეს შიში იაკობისა იყო სრულიად უსაფუძვლო.

მიუხედავად იმისა, რომ საცენზურო კომიტეტი წერილის ავტორის ვინაობის დასახელებას ფორმალურად კეთილშობილური მიზნით ითხოვდა. მაგალითად ასე: მართალია, საცენზურო კომიტეტმა ამ სტატიის დაბეჭდვის საჭიროება ვერ დაინახა, მაგრამ იგი მთავარმართებელს გავაცანით, რომელმაც, თავის მხრივ, გადაწყვიტა, – სტატიაში აღძრული საკითხები გააცნოს უმაღლეს მმართველობას. წერილში აღძრულ საკითხებზე შესაძლებელი რომ გახდეს მსჯელობა, ანუ სამღვდელოებას რომ დაეხმაროს უმაღლესი მთავრობა, გთხოვთ ავტორის წოდება, გვარი და სახელი გვითხარითო. გამოუცდელი რედაქტორი ამ ინფორმაციას სიხარულითაც კი მიიღებდა, მართალია, წერილს არ გვიბეჭდავენ, ანუ პრობლემების საჯაროდ გამოტანა არ უნდათ, მაგრამ, აგერ კაცი, მთავარმართებელი საკითხის გადაწყვეტას გვპირდება, ჩვენი მიზანიც ხომ ეს არისო. მაგრამ ილიამ მშვენივრად გაიგო ცენზორთუფროსი დიპლომატიურ ენაზე რასაც ითხოვდა. ამიტომ ადგა და ამანაც ყველაფერი თავის თავზე აიღო. ფორმალურად ავტორი კი გოგებაშვილია, მაგრამ, არსებითად, ჩემი და ჩემი რედაქციის დავალება შეასრულაო. სიტყვა-სიტყვით კი ცენზორს ასე მისწერა:

1894 წლის 26 იანვარი. მიხეილ გაკკელს. „თქვენო აღმატებულებავ! 1894 წლის 24 იანვარს თქვენს წინადადებაზე (№211) მაქვს პატივი მოგახსენოთ: გასული 1893 წლის სექტემბერში, საქართველოს საღვმდელოების ყრილობაზე, გაზეთ „ივერიის" რედაქციამ, თავისი თანამშრომლის მონაწილეობით, დაწვრილებით განვიხილეთ საკითხი საქართველოს ეკლესიის სასულიერო წოდების საჭიროებაზე, ამის შესახებ გულმოდგინედ გამორკვევის

შემდეგ, რედაქციამ დაავალა ცნობილ ქართველ პედაგოგს და მწერალს იაკობ გოგებაშვილს, რომელიც თათბირს ესწრებოდა, როგორც გაზეთის თანამშრომელი, ძირითადი მოსაზრებანი გადმოეცა საგაზეთო სტატიაში. მან ეს დავალება შეასრულა.“ ილია ჭავჭავაძე.

მოკლედ, გოგებაშვილი ილიამ, არც მეტი, არც ნაკლები, რედაქციის თათბირის სტენოგრაფისტად გამოიყვანა, რომელსაც დაავალეს, რაც აქ ვილაპარაკეთ, ძირითადი მოსაზრებანი წერილობით გადმოეციო. აქედან გამომდინარე, იაკობი აღარც არავის შეუწუხებია. იაკობმაც, ალბათ, მერმეღა გაიგო, რომ თურმე კი არ დაუსმენია, პირიქით, დავიდარაბისგან უხსნია ილიას. იაკობი ისევ მისი დიდად მოყვარული და პატივისმცემელი დარჩა, მაგრამ მხოლოდ იაკობის ბარათი რომ შემორჩენოდა ისტორიას და ცენზურაში გაგზავნილი ილიას წერილი არა, რას ვიტყოდით მაშინ? ამიტომ ჟამთააღმწერელს ნიჭის, ალღოს და შრომის გარდა, სამი რამ მოეთხოვება – სიფრთხილე, ნამუსი და სიმართლის სიყვარული...

გოგებაშვილი ილიას პასუხის შემდეგ აღარ შეუწუხებიათ, მაგრამ თვით ილიაზე სადაც ჯერ არს იქ მისწერეს: **„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის თავჯდომარე (ამ ბანკის საშუალებით ინახება აღნიშნული თავადაზნაურობის სკოლა და აგრეთვე იგია რედაქტორი ქართული გაზეთის „ივერიისა“), თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დრო და დრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათის და სოციალურ კითხვებს“.** (რევოლუციის მატიანე, 1925, №1)

●

12 მაისს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრება გაიმართა. თუ ადრე კრება ანგარიშს ისმენდა და შემდეგ კი არჩევნებს რამდენიმე წუთში ამთავრებდნენ, უკენჭოდ დავტოვოთ, კენჭისყრის გარეშე ისევ ილია ავირჩიოთო, ახლა ეს კრება ორი კვირა გაგრძელდება.

ოპოზიცია გადამწყვეტი ბრძოლისათვისაა მომზადებული. ილია ბანკიდან უნდა გაუშვან. ისეთ კულმინაციას აღწევს დაპირისპირება, რომ, არა მხოლოდ ბანკში, ილია სადაც ფეხს შედგამს, ყველგან მისი წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობენ. აი, იციან, მაგალითად, რომ 20 მაისს უნდა მივიდეს თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად გამართულ კრებაზე. იქ, წინასწარი სცენარით, ვიღაც ადგება და ბრალს დასდებს – თვადაზნაურთა სკოლის დახურვა გინდაო. მერე რა რომ ამ სკოლის დაარსებას, შექმნას, ფუნქციონირებას სისხლი ჩააქცია, რომ სწორედ მისი მონდომებით არის აქ ღარიბთა შვილებიც რომ სწავლობენ, რომ ფინანსურად სკოლას ბანკი ინახავს, რომ მან არ გააზრდევინა სკოლაში გადასახადი და ა.შ. აგორდება ჭორი, ილიას თურმე სკოლის დახურვა უნდაო და სდიე მერე ამ ჭორებს. ადამიანებს ყოველთვის ტყუილი ურჩევნიათ მართალს.

ოპოზიცია ისე გაშმაგებულია, დაავიწყდათ, რომ ამასაც გული აქვს, რომ რკინის აგებულების არ არის. 21 მაისს დისწული გარდაეცვალა. მარიამ (მაკო) აფხაზი მაყაშვილისა, დისწული, რომელიც შვილივით ჰყავდა გაზრდილი. გახსოვთ, ალბათ, 1884 წელს პეტერბურგიდან ოლღას რომ წერდა: „სამი დღის წინათ საგინოვის დეპეშა მომივიდა, ვიღაც პადპალკოვნიკი მაყაევი თხოულობს მაკოსაო. ძალიან მიამა, თუ, პირველი, მაკოს ჰსურს და, მეორე, თუ კაი კაცია. მე ჩემის მხრით ლოცვისა და კურთხევის მეტს ვერას შემოვუთვლი მაკოს, ღმერთმა აბედნიეროს, საწყალი ჩემი და ნინო! ნეტავი ამას მოსწრებოდა."

ახლა 1859 წლის წერილი გავიხსენოთ დის, ნინოსადმი მიწერილი: „შენი ბიჭ-ბუჭულები და უზესთაესთა ხერუბიმი მაიკო ჩამიკოცნე." ეს მაიკო სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა. 21-ში მისთვის უსაყვარლესი დისშვილი წაუვიდა, ჯერ გაციებულიც არ არის, 4 დღის შემდეგ კი კრება იხილავს ილიასადმი წაყენებულ ბრალდებებს.

ახლა უკვე აღარც თვითონ დაინდობს ამ ბანკის ძალადმაცხონე გულშემატკივრებს. გარეგნულად არაფერს იმჩნევს, მაგრამ ბანკის კრებაზე გავეშებული მივა. ისე, როგორც ვასილ ბარნოვი იტყვის ძალიან ლაკონურად:

„მაგონდება ხალხური თქმა:
მიდის გმირი უიარაღოდ:

– გამარჯვება, აღსართან!
– გაგიმარჯოს!
– სად მიხვალ?
– საომრად.
– იარაღი?!
– მტერი მოიტანს!"

ზუსტად ასე ხდება. გამოვა მიხეილ მაჩაბელი, ივანეს დიდი მომხრე და აზრის დასასურათებლად იტყვის – „ერთხელ თიანეთს მივდიოდი, ბურუსი იყო საშინელი. გზა დამებნა და შორიდან ძაღლის ყეფა შემომესმა, ალღოთი ავყევი და გზაც გამოჩნდაო." ამის შემდეგ ვიღაც არტილერიის გენერალს უსაყვედურებია ილიასთვის: ბატონო ილია, თქვენ სარგებლობთ თქვენი ცოდნითა და პრესტიჟით და საზოგადოებაზე ახდენთ გავლენას. სინამდვილეში კი მიხეილ მაჩაბელი მართალიაო". (რ. გაბაშვილი)

იმ აღსართანის არ იყოს, ილია ამ ორივე გამომსვლელისგან იშოვის იარაღს, ერთსაც მის სიტყვაზე წამოაგებს და მეორესაც. არტილერიის გენერალს უპასუხა: ცოდნას, ლოგიკას და პრესტიჟს ვერავითარი არტილერია ვერ შეცვლის და ვერც მოერევა, რაც შეეხება ალღოს, მე ხომ მიშო მაჩაბელი არ ვარ, ბურუსში ავყვე ძაღლის ყეფასაო.

ამაზედ ბევრი უცინიათ. ისეთი შემთხვევაც იყო, ილიას მტკიცე ლოგიკით აღფრთოვანებულ აუდიტორიას ხანგრძლივი ტაში რომ დაუკრავს და ტაშს მისი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, მიშო ყიფიანიც რომ აღფრთოვანებული აჰყოლია. აქ მაინც უნდა დაენდო ილიას, ბოლოს და ბოლოს, მოწინააღმდეგის დაფასებით ღირსეულად მოიქცა კაცი. არა, ეს ამდგარა და მიამიტი სახით უკითხავს – ბატონებო, სისულელე ხომ არ ვთქვი რამე, მიშო ყიფიანიც რომ ტაშს მიკრავსო?..

ახლა ამაზედ ატყდა მეორე ტაშისცემა და ხითხითი.

მაგრამ იყო ხელით გაწევ-გამოწევაც. იყო იარაღის გაძრობაც და იყო ისიც, რომ თაყვანისმცემელმა არისტოკრატმა ქალბატონმა, მწერალმა ეკატერინე გაბაშვილმა ვერ მოითმინა, ილიას ერთ მოწინააღმდეგე ბრწყინვალე თავადიშვილს, აიღო და კრების მსვლელობისას, ქოლგა უზუზღა ზედ თავზე. და ძმას დაემდურა და ქმარი ცოლს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მაგალითად, ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილი, მარიამ ორბელიანი დიდი ჭავჭავაძისტია, მისი ღვიძლი ძმა კი მაჩაბლისტი.

აკაკიმ 1874 წლის ბანკობიას ახალი ლექსი დაუწერა –

კენჭობია

ყეენობა გადავარდა,
შემოვიღეთ კენჭობია.
აღარ ვიცით რა ვარჩიოთ,
ის ჯობდა თუ ეს ჯობია?
ის ხუმრობა მაინც იყო
და ყეენის დაცინება,
ეს ჩვენივე გაკიცხვაა,
აღარა გვაქვს მოსვენება.
ავირიეთ ავიშალეთ:
აღარ ზოგავს ტოლი–ტოლსა,
შვილი მამას, მამა შვილსა,
ცოლი ქმარს და ქმარი ცოლსა!..
გარბიან და გამორბიან
ზოგი ალთას, ზოგი ბალთას,
ვინც შეხვდა მათ, ხელს ავლებენ
და აგლეჯენ ჩოხის კალთას.
და ა.შ.

საქმე ისე გამწვავდა, ივანემ და ილიამ კომისიის შექმნა მოითხოვეს, რომელიც ტყუილ-მართალს გაარჩევდა. გამტყუნებული სამუდამოდ უნდა ჩამოშორებოდა ყოველგვარ საზოგადო საქმეს. ამას ერთიც დაეთანხმა და მეორეც.

ეს მოთხოვნა ილიამ წამოაყენა. კომისია ვერ შეიქმნა, ოპოზიციას და მაჩაბელს კანდიდატები არ მოეწონათ... ბოლოს, როგორც იქნა, კენჭისყრაც ჩატარდა. ორშაბათს, 25 მაისს, ღამის 12 საათზე დამთავრდა კენჭისყრა. თეატრის დარბაზი გადაჭედილია. მოუთმენლად ელიან შედეგებს. ჯერ ილიას მომხრეთა ხმები დაითვალეს. თეთრი კენჭი ამოვიდა 989. „საზოგადოებამ შავის თვლას აღარ დაეცადა, ასტყდა ქუხილი ტაშისა, ლოჟებიდან ქალები ფეხზე წამოდგნენ და ვარდებს აყრიდნენ თ. ილ. ჭავჭავაძეს, რომელიც სცენაზედ იდგა და მადლობას უხდიდა. ტაშის ცემამ თითქმის 20 წუთს გასტანა. ამის შემდეგ საზოგადოება ძლივს დაწყნარდა და ასისტენტი თ.გ.ი. ორბელიანი შეუდგა შავი კენჭის ყრას. შავი კენჭი ამოუვიდა 334. აქ კვლავ გაისმა საშინელი ტაშის ცემა, რომელმაც დიდხანს გასტანა. მაშინ თ. ილია ჭავჭავაძემ სთქვა: მადლობა მომიხსენებია იმათთვის, ვინც ამომირჩია და ნდობა გამომიცხადა, ხოლო ვინც არ ამომირჩია, ღმერთსა ვსთხოვ, იმათთვის შემაძლებინოს, რომ იმათაც დაენა-

ხოთ ის, რაც უმრავლესობამ დაინახა." კვლავ ასტყდა ტაშის ცემა და კვლავ მადლობა გადაუხადა. თ. ჭავჭავაძემ"...(„ივერია" 1894,№112)

მეორე დღეს ილიას გამარჯვებას თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა ხუთასკაციანი სუფრით აღნიშნავს. მეორე დღეს ივანე მაჩაბელი გაზეთ „კავკაზიდან" კომისიის შექმნას მოითხოვს, რომელიც მასა და ილიას შორის წარმოქმნილ უთანხმოებას გამოარკვევს...

ეს მაჭარივით მდულარე ვანოს მორიგი შეცდომა იყო. როცა უმრავლესობა გამარჯვებას ზეიმობდა, ამ განცხადების გამოქვეყნება მხოლოდ გაღიზიანებას თუ გამოიწვევდა, დროში მაინც ცოტა უნდა გადაედო, რა ეჩქარებოდა, ეს ბრძოლა ხომ არც ახლა დაწყებულა და ჯერ არც დამთავრების პირი უჩანდა.

„ივერიამ" ვანოს განცხადება სასწრაფოდ თავის ფურცლებზე გადაბეჭდა... თუნდაც ამით უნდა მიხვედრილიყო მაჩაბელი, რომ მისი განცხადება დროული არ იყო...

●

1894 წელს საქართველოში ჩამოდის მარჯორი უორდროპი. მისი დამხვედრი და მასპინძელი, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეა. მარჯორის სახით ილიამ ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი დიდი გულშემატკივარი და მეგობარი შესძინა, რომელმაც ბევრი გააკეთა ქართული კულტურის ევროპაში გასატანად.

●

1894 წლის მაისში გურიის სოფელ ჩოჩხათში გარდაიცვალა ეგნატე ნინოშვილი. ნინოშვილს, ამ ბუნებით მწერალს, იშვიათი ნიჭის პატრონს, რომელმაც სულ რაღაც 33 წელი იცოცხლა, არც სიცოცხლეში და არც სიკვდილში არ ჰქონდა ბედი. სიცოცხლე ამ თვითნაბადი მწერლისა იყო გაუხარელი და იყო არსებობისათვის ბრძოლა, მაგრამ შუქფენილი სიკეთის, ადამიანის სიყვარულის და პატრიოტიზმის მაღალი იდეალით. სიკვდილშიც არ ჰქონდა ბედი, რადგან მისი გარდაცვალება იქცა მაშინაც და მომავალშიც პოლიტიკური ინსინუაციების საგნად.

ნინოშვილი თავიდან დიდ პატივს სცემდა ილიას და სურდა „ივერიაში" მუშაობა. ნინოშვილს თბილი ურთიერთობა ჰქონდა აკაკისთან და განსაკუთრებით იაკობ გოგებაშვილთან.

ამასთან, ნინოშვილი მეგობრობდა რამდენიმე მარქსისტთან, მათ შორის ლიდერებთან, ნოე ჟორდანიასთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან, ფილიპე მახარაძესთან. („კვალში" ეგნატეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით მათ ძალიან თბილი წერილები მოათავსეს, თუმცა, „ივერიის" ლანძღვა არ დავიწყებიათ. დაკრძალვისას სიტყვა წარმოთქვა სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომელმაც კლასთა ბრძოლაზე და მქონებელთა გაუტანლობაზე ისაუბრა. ის მარქსისტი იყო. მაშინ მათ სოციალ-დემოკრატები არ ერქვათ. გავა დრო, შეიქმნება ეს სამშობლოს უარმყოფელთა პარტია და მოინდომებს თავისი ისტორიის გაფორმებას.

დაწერენ, მესამე დასი არაფორმალურად ეგნატე ნინოშვილის საფლავზე გაფორმდაო. გურიაში, მიცვალებულის დაკრძალვაზე, სილიბისტრო ჯიბლაძისაგან წაკითხული რაღაც დეკლარაციის გამო, ცხადია, ვერაფერი ვერ გაფორმდებოდა. ასეც რომ ყოფილიყო, მიცვალებული რა შუაში იყო?

გავა დრო და დაწერენ, ჩვენი აქტივისტი და იდეური ამხანაგი ეგნატე ნინოშვილი იყოო.

გავა დრო და ეგნატეს ილიას დაუპირისპირებენ – „ჩვენი ეგნატე, თქვენი ილია"-ო. ერთი სიტყვით, გავა დრო და ამ ქრისტიან კაცს ეშმაკები დაეპატრონებიან. როგორც ბორკილის ახსნას, ისე მოითხოვს ბრწყინვალე პროზის ავტორის სული იმ „დაფნის გვირგვინისგან" გათავისუფლებას, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა სიკვდილის შემდეგ დაადგეს. ეს მწარე ბედის კაცი უფრო ახლობელია ჩვენთვის თავისი ეკლის გვირგვინით.

ის ილიას მტრების სიაში ილიას მტრებმა ჩარიცხეს... გამოიყენეს ის ფაქტი, რომ ეგნატე ილიას ჰონორარის გაუცემლობის გამო დაემდურა, მაგრამ სწორედ იმ წელს ვაჟაც შემოსწყრა „ივერიას" და ცოტა ხნით „კვალში" გადაინაცვლა. მერე მობრუნდა, ისევ შერიგდნენ. ნინოშვილი, ღმერთმა იცის, რომ ეცოცხლა, სულაც დარჩებოდა თუ არა „მესამე დასელებთან" და აღმოჩნდებოდა ილიასთან, მაგრამ სიკვდილის შემდეგ მის სახელს, როგორც საკუთრებას, სოციალისტები ისე დაეპატრონნენ.

ერთი კი იყო, ეგნატეს საფლავზე ისეთებმა მოიყარეს თავი, რომელნიც სულ რაღაც ერთ წელიწადში პრესასაც მოედებიან, ილიას წინააღმდეგ კამპანიასაც გააჩაღებენ და იმთავითვე დააფიქსირებენ თავს იმ ძალად, რომლის მსგავსი ღვთის წყრომა დასი, მანამდე საქართველოს არასოდეს ჰყოლია.

●

1894 წლის შემოდგომაზე ნიკო ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე მან თითქმის 20 წელიწადს იმუშავა და გაპარტახებული, დაჭაობებული სოფლის მსგავსი დასახლება მშვენიერ ქალაქად დატოვა 1912 წლის შემდეგ, როცა ამ თანამდებობიდან წავიდა. ამას იმად ვიხსენებ, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, ცხოვრება სხვა რამ არის და ახალგაზრდული რადიკალიზმით, წიგნებიდან ამოგლეჯილი ლამაზი ფრაზებით დალაგებული სამოქმედო გეგმა სხვა რამ გახლავთ. გაიხსენეთ, რა ნართაულებით ელაპარაკებოდა ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძეს 70-იანი წლების დასაწყისში. აქაოდა, ზოგიერთებმა ჯამაგირს ანაცვალეს აღქმული პირობაო. ნიკო არ იყო, წერილში „პირველი ნაბიჯები ჩვენი ბანკირებისა", რომ წერდა: „ის მწერალი, რომელიც თავის კალამს იმისთვის იღებს ხელში, რომ საზოგადოებას თვალი აუხვიოს და კაი, შემოსავლიანი ადგილი იშოვოს, ჩაქოლვის ღირსია. ის მწერალი, რომელიც კალამს ხელში იღებს, თავის საკუთარ სინდისს პირობას არ აძლევს, რომ არასოდეს, არავისგან არც ერთს ჯამაგირიან ადგილს არ მიიღებს, ღალატობს თავის მკითხველ საზოგადოებას და თავის თავს ჰყიდის ფულათ, ჯამაგირათ"-ო?

ნიკოლაძეს არც მწერლობისთვის დაუნებებია თავი და ჯამაგირსაც იღებდა, როგორც ფოთის ქალაქის თავი, რა დაშავდა ამით, თუ არ გაკეთდა ის, რომ ფოთელებს დიდებულად უწინამძღვრა.

ისე, ბარემ კარგიც არის, მწერალმა მკითხველებს შესწიროს თავი, მაგრამ ეს იმ ქვეყანაში, სადაც მკითხველისთვის თავშეწირვა, ანუ მხოლოდ კალმით სამსახური პირდაპირი მნიშვნელობით თავგანწირვას არ ნიშნავს, სიღარიბითა და უწამლობით სიკვდილს არ ნიშნავს. აგერ მაგალითი, ერთი ნინოშვილისა და მეორე ყაზბეგისა, რომლის გარდაცვალების წლისთავზე, 1894 წლის დეკემბერში, იქ მყოფ ნიკო ნიკოლაძეს სწორედ ერთმა სავარაუდო მკითხველთაგანმა, ვინმე ბებურ ბებურიშვილმა (ჟურნალისტმა) უამრავ ხალხში ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა, ნიკო იძულებული გახდა, ეს უკანასკნელი დუელში გაეწვია... საზოგადოების აღშფოთებას რომ არ აეძულებინა ეს ვიღაც ბებურიშვილი, ბოდიში მოეხადა, შესაძლოა დუელი შემდგარიყო და შესაძლოა ნიკო ვიღაც ვიგინდარას ხელით სიცოცხლესაც გამოსალმებოდა.

აი, ამ საზოგადოებაში, სადაც ჩიტების გალობას სიამოვნებით ისმენენ, მაგრამ თუ „მოშივდათ", საფანტიანი თოფით დაბლა ჩა-

მოყრიან, ფუჭია ის ქადაგება, რასაც ახალგაზრდა ნიკო ილიას მისამართით წერდა.

თუმც ერთიც უნდა დავსძინო საპირწონედ იმ მკითხველი ბებურიშვილის საქციელისათვის. იმავ 1894 წლის შემოდგომაზე აკაკი სხვიტორში სახადით დაავადებული იწვა და სიკვდილს ელოდა. საზოგადოება გაფაციცებით ადევნებდა თვალს მის ჯანმრთელობას. „ივერია" გამოაქვეყნებს: „შეგვიძლია გავახაროთ ჩვენი მკითხველები. აკაკი ამჟამად იმდენად უკეთ შექმნილა, რომ ექიმებს სრული იმედი აქვთ იმის მორჩენისა".

დეკემბრის 17-ში კი „ივერია" ერთ უცნაურ ცნობას ბეჭდავს: ვინმე გ.წ.-ს შეურაცხყოფა მიუყენებია მიტროფანე ლაღიძისათვის. მიტროფანეს სასამართლოში უჩივლია. „ივერიის" ცნობით ამ მიტროფანეს აკაკის გადარჩენა რომ გაუგია, გახარებული მისულა სასამართლოში და განცხადება უკანვე გამოუტანია. მგოსნის გადარჩენის გამო ვპატიობ გ.წ.-ს დანაშაულსო...

ასეთი მკითხველებიც რომ არ იყვნენ, მწერლის ცხოვრება მართლა ნელ ცეცხლზე წვა იქნებოდა საქართველოში...

●

1894 წელს მოკვდა იმპერატორი ალექსანდრე III. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, 26 წლის ნიკოლოზ II. გაჩნდა იმედი, რომ რუსეთში საშინელი ეპოქა დასრულდებოდა,

1895

ნიკოლოზ მეორის ტახტზე ასვლა. ილია რუსეთის შესახებ. ილია აკაკის მოთხრობის ადრესატი. კრწანისის ომის პანაშვიდი. რაფიელ ერისთავის იუბილე.

რაფიელ ერისთავი

„ილია, როგორც ყმაწვილი, ისე შეჰხაროდა ამ სახლს“.

არტურ ლაისტი

„რუსეთის ტახტზე აკიდა ახალი თვითმპყრობელი ნიკოლოზ მეორე, როცა ეს უკანასკნელი წარმომადგენელი რომანოვების სამეფო გვარისა მემკვიდრედ იყო, რუსთა ლიბერალურ საზოგადოებაში დაჟინებით იმეორებდნენ, არავინ იცის რაზე დამყარებულ ლეგენდას, „ცესარევიჩი ნიკოლოზი“ ლიბერალი არისო და პაპამისის, ალექსანდრე მეორის ლიბერალური რეფორმების განგრძობის მომხრეაო.

ტახტზე ასვლისთანავე ახალმა თვითმპყრობელმა უმოწყალოდ დაამსხვრია ეს ლეგენდა. 1895 წელს მას წარუდგნენ ერთობისა და ქალაქების წარმომადგენლები ცნობილი მოღვაწის ს. ტრუბეცკოის მეთაურობით. მიულოცეს ტახტზე ასვლა და გადაკვრით მოახსენეს ის იმედი, რომელიც ლიბერალურ საზოგადოებაში ღვიოდა. ნიკოლოზმა ამის საპასუხოდ წაიკითხა წინადვე დამზადებული მოკლე სიტყვა, რომელშიაც გარკვევით იყო აღნიშნული, რომ ის განაგრძობს მამის, ალექსანდრე მესამის პოლიტიკას და „ყოველგვარი უაზრო ოცნება“ უკუგდებულ უნდა იქნასო. მაშინ დაჟინებით ამბობდნენ: პობედონოსცევის მიერ შედგენილ სიტყვაში ეწერა უნიადაგო ოცნება; ნიკოლოზმა კი პობედონოსცევის რეაქციონერობასაც გადააჭარბა და ერის წარმომადგენლებს „беспочвенные мечтания“ (უნიადაგო ოცნება) მიახალაო.

მართლაც, ახალი მეფობა გამოდგა უფრო დაბალი ხარისხისა და დამახინჯებული კოპიო ძველის რეაქციონური პოლიტიკისა. ნიკოლოზ მეორე, ისე როგორც მამამისი, ცდილობდა ფეოდალური პოლიტიკის რეჟიმის გამაგრებას, სასტიკად სდევნიდა და ანადგურებდა ლიბერალიზმის ყოველგვარ ნასახს. რუსეთის ლიბერალური საზოგადოება სასოწარკვეთილებას მიეცა და გაჩუმდა. ის ვერ ამჩნევდა, ვერ ხედავდა, რომ ყოველივე ეს ზედაპირი იყო მხოლოდ და რომ იქ, ცხოვრების სიღრმეში შეუმჩნევლად და მედგრად ვითარდებოდა ახალი ხანა, ცხოვრების ახალი საფუძვლები...

ამ ახალი ვითარების შეჩერება და ისტორიის ბორბლების უკულმა დატრიალება არ შეეძლო არც ალექსანდრე მესამის და არც ნიკოლოზ მეორის ცდასა, რეპრესიებსა და ჯალათობას. თუ ამას ვერ ხედავდა რუსთა ლიბერალური საზოგადოება და სასოწარკვეთილი გაჩუმდა, სამაგიეროდ ამას ხედავდნენ რუსეთის რევოლუციონური ძალები და ამათ გააცხოველეს თავისი მუშაობა. მათთვის ცხადი იყო, რომ ძველი რეჟიმის აღსასრული მოახლოებულია და ამ დღიდან ნიკოლოზ მეორე სარევოლუციო პრესაში მონათლულია „ნიკოლოზ მეორედ და უკანასკნელად".

„რა თქმა უნდა, როცა რუსეთში გაძლიერდა რეაქცია, ჩვენს ქვეყანას უარესი დღე დაადგა. მართლაც, დაახლოებით, იმ დროიდან დაიწყო საერთოდ განაპირა ქვეყნებში და კერძოდ საქართველოში გაშმაგებული რეაქცია. თუ რესეთში ამ რეაქციამ ნიშანში ინტელიგენცია და მშრომელი ხალხი ამოიღო, ჩვენში დევნა და განადგურება მთელს ერს არგუნეს, მეფის მოადგილეების – დონდუკოვ-კორსაკოვის, შერემეტიევის, გოლიცინის და სხვათა მიზანი გახდა ძირიან–ფესვიანად აღმოეფხვრათ ეროვნული კულტურა და გაეძლიერებინათ გამარუსებელი პოლიტიკა. სწორედ ამ ხანას ეკუთვნის შიდა რუსეთიდან ჩვენში გადმოსახლების პოლიტიკის გაძლიერება, ტირიფონის ველისა და მის გარშემო სოფლების გაუქმებისა და იქ სამხედრო პლაცდარმის გაშენების პროექტი, ჩვენი ჯარისკაცების გადაყვანა ჩრდილოეთში. ჩვენი ახალგაზრდებისათვის სახელმწიფო სამსახურის კარების დაკეტვა საქართველოში, ქართული პირველ-დაწყებითი სკოლის გაუქმებაც კი. ყველა იმ რეფორმის გადადება შორი დროისთვის, რომელიც დღის წესრიგში მაინც იყო ხშირად (ერობა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, უმაღლესი სასწავლებლის დაარსება) და სხვა."

ეს ვრცელი ამონარიდი მოვიტანე გიორგი ლასხიშვილის მოგონებებიდან, რომელმაც ხანგრძლივი გადასახლებების, ციხეების მოვლის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებულმა, 1895 წელს მუშაობა დაიწყო სწორედ ილიასთან, „ივერიის" რედაქციაში. უნდა გვქონდეს წარმოდგენილი ის საერთო პოლიტიკური და საზოგადოებრივი სურათი, რითაც იწყება ნიკოლოზ მეორის ხელმწიფობის ხანა. მართალია, თვით ნიკოლოზ მეორის პიროვნების შესახებ განსხვავებულ დამოკიდებულებასაც შეხვდებით ლიტერატურაში (საინტერესო წიგნია, მაგ., გ. ჩულკოვის 1927 წელს გამოცემული „იმპერატორები"). ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი რუსულმა ეკლესიამ წმინდანად აღი-

არა, მაგრამ ის, რასაც ლასხიშვილი წერს, არის მართალი. რამდენადაც ნიკოლოზი განათლებული იყო და თავისი ხალხის მოყვარულიც, იმდენად სატრაპად დარჩა საქართველოს მიმართ.

ყოველ შემთხვევაში, თავისი მოღვაწეობის პირველ ნახევარს აშკარად ატყვია კვალი მისი გამზრდელის პობედონოსცევისა, რომელიც ქართველთა ჭირად იყო დაბადებული.

რუსთა საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკას ახსენებს ლასხიშვილი. არადა, როცა ამ პოლიტიკის შესახებ იცი, აღარ გაგიკვირდება ერთი „გენიალური" პროექტის არსებობა, რომელსაც სასტიკად დასცინებს ილია. ერთმა ჭკუათმყოფელმა დიდძალი ფული მოითხოვა მთავრობისაგან, რათა თბილისში პური გამოეცხო. ხალხს კი ამ პურს მოგების გაუთვალისწინებლად მივყიდიო. კი, მაგრამ, მთავრობას პურის მცხობელისათვის ფული რატომ უნდა ეხადა? ძაღლის თავიც აქ არის დამარხული. აქაოდა, ხალხზე ვზრუნავო, ამ პროექტში ასეთი რამეც იყო გაცხადებული – ასეულობით ხაბაზს მოსკოვიდან დავიბარებ, აქ დავასახლებ და პურს მოსკოვის საუკეთესო მეპურეები გამოაცხობვნო. ილიამ იგრძნო, რა მუცლის გვრემაც ჰქონდათ ამ „ქველმოქმედებს" და სასაცილოდ აიგდო ისინი, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც წვრილმანები იყო, მთავარი გახლდათ, რით უნდა დაპირისპირებოდა ეს კაცი თავისი მცირერიცხოვანი მამულიშვილთა გუნდით იმას, რასაც რუქიდან საქართველოს საბოლოოდ წაშლა უნდა მოესწავებინა..

ის, რაც წერილობით ვრცლად აღწერა გ. ლასხიშვილმა, ძალიან ლაკონურად იმავ 1895 წელს დაწერილ ლექსში ასე გადმოსცა აკაკიმ. სხვათა შორის, ლექსი დაბეჭდა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში", სათაურად დაანერა „ობოლი" და ქვეშ დაურთო ხალხური. ხალხური არ იყო, ობოლშიც ჩვენი ობოლი სამშობლო იგულისხმებოდა. აი, ეს ლექსიც:

„დედის ტკბილი რძის ჭირიმე!
ძუძუებს ვენაცვალები!!
ვინც მათი გემო არ იცის,
ახვეული აქვს თვალები.

ხელში ჩამიგდო ობოლი
კუდურმა დედინაცვალმა.
დამწყევლა ენაბოროტმა,
გამღალა მისმა მე თვალმა...

აღარც ვიზრდები, არც ვკვდები,
შევჰკვნესი სხვისა კერასა,
დედის სახელსაც ვერ ვამხელ,
ვაი, ჩემს ბედისწერასა!..

დედას ვეძახი – „მამასა“,
ვეძახი მამას – „პაპასა“;
არც ერთი პასუხს არ მაძლევს
და იმან გამაკაპასა.

ოჰ, რა ძნელია ობლობა
და უძნელესი – გერობა!
დედინაცვალის დედობა,
მისი მოყვრული მტერობა!!

დედის რძე თაფლი ყოფილა
და დედინაცვლის – ნაღველა:
დავლიე – ყელზე დამადგა,
ძირმწარედ წამომახველა!..

ისევ დედის რძის ჭირიმე,
ძუძუებს ვენაცვალები!
ოცნებით მაინც შევეტკბო,
სიცხადით განაწყალები“.

„დედინაცვლისგან“ თავდაღწევის ოცნება საქართველოში ჰქონდათ როგორც სამოციანელებს, ისე ახალგაზრდების იმ ჯგუფს, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მაგალითად, გ. ლასხიშვილი ეს ეს არის ილიას ეწვია და მასთან მუშაობის ნებართვა აიღო. ეს ახალგაზრდები შემდეგ „სოციალ-ფედერალისტების“ პარტიას შექმნიან. იყო ახალგაზრდათა მეორე ჯგუფი – „მესამე დასელები“, შემდეგ „სოციალ-დემოკრატები“, რომელთა თავებშიც ამ ოცნებას არსოდეს გაუთენებია.

როგორ ხედავდნენ ლასხიშვილი, ზდანოვიჩი (მაიაშვილი), შემდეგ არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი და სხვა მათი მეგობრები „დედინაცვლისგან“ თავის დაღწევის გზას?

იყო ორი საკითხი. 1. სოციალური; 2. ეროვნული.

ამ ახალგაზრდებს სოციალური საკითხი აახლოვებდა მესამე დასელებთან.

ამ ახალგაზრდებს ეროვნული საკითხი ყოფდა მესამე დასელთაგან.

ამ ახალგაზრდებს ეროვნული საკითხი ხდიდა ილიას მიმდევრებად.

ამ ახალგაზრდებს სოციალური საკითხი აშორებდა ილიას.

რაც შეეხება „მესამე დასელებს" ილიას წინააღმდეგ მათ განაწყობს როგორც ეროვნული, ისე სოციალური საკითხები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სწორედ 1895 წლიდან მოყოლებული, ილიას წინააღმდეგ იწყება ლაშქრობა, ერთი მხრივ, მესამე დასელთა. პრესაში სწორედ ამ წელს პირველად დასჩხავლებს თავს ილიას ნოე ჟორდანია.

მეორე მხრივ, ილიას მოუწევს პოლემიკა, ეს უკვე მოგვიანებით, იმ ახალგაზრდებთან, მაგ., არჩილ ჯორჯაძე, რომელთაც მასთან სოციალური მოწყობის საკითხებში ჰქონდათ პრეტენზიები.

მესამე დასელებზე ჯერ აქ ნუღარას ვიტყვით. ვთქვათ იმ არსებითზე, რაც გ.ლასხიშვილისა და ილიას საერთო ოცნების, საქართველოს რუსთაგან გამოხსნის გზებს განასხვავებდა. ამაზე კი თვით გ. ლასხიშვილის მემუარები ძალიან ძვირფას ცნობას გვაწვდის. ილია ტრადიციულად წელიწადში რამდენიმე წვეულებას მართავდა. გარდა 20 ივლისის ილიაობისა, რომელიც საგურამოში იმართებოდა და გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა, რედაქციაში აწყობდა ხუთშაბათობებს, ასევე ტრადიციული იყო რედაქციაში საახალწლო სუფრები თანამშრომლებთან და ავტორებთან ერთად, ასევე ოლღას დაბადების დღის აღნიშვნა.

ლასხიშვილს ახალი დაწყებული აქვს „ივერიაში" მუშაობა. „პირველსავე ასეთ წვეულებაზე – იგონებს ის – მახსოვს, ილიასთან ცხარე კამათი მოგვიხდა. სიტყვა ჩამოვარდა ახალ მეფის ნიკოლოზ მე-II-ზე. იმ დროს ბევრი მითქმა-მოთქმა იყო იმის შესახებ, როგორ მოტყუვდა რუსის საზოგადოება, როგორ გაუცრუვდათ იმედი რეჟიმის შეცვლისა და საკონსტიტუციო ხანის დაწყებისა. აგრეთვე რუსეთის სარევოლუციო მოძრაობაზედ დაიწყეს ლაპარაკი. მე, კიტა აბაშიძემ, ილია ნაკაშიძემ გული ვიჯერეთ ახალი თვითმპყრობელობის გინებით და იმ აზრს ვსდევდით, რომ მალე სარევოლუციო მოძრაობა გაძლიერდება და რომანოვების ბატონობას ბოლო მოეღება.

უეცრად ლაპარაკში ილია ჩაერია და ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და პარადოქსული სიტყვა წარმოსთქვა.

ჯერ მან განაცხადა, რომ მაინც და მაინც არაფერი სწამს რუსეთის რევოლუციისა. რუსეთი გლეხობის ქვეყანაა ჯერ-ჯერობით

და დიდხანს დარჩება ასეთ ქვეყნად ჩამორჩენილ სასოფლო მეურნეობით, სიღარიბით, უვიცობით. გლეხობა, ნამეტურ რუსის გლეხობა, თაყვანსა სცემს და აღმერთებს მეფეს; თავის მტრად მეფე კი არ მიაჩნია, არამედ ჩინოვნიკობა და ამასთან ერთად ინტელიგენციაც. რუსეთის გლეხობა რევოლუციას არ მოახდენს, ხოლო ქალაქის მუშა ერთობ მცირერიცხოვანი და სუსტი ელემენტია. ყოველ შემთხვევაში რუსეთის რევოლუცია ძალიან პრობლემატიური და შორეული ამბავიაო". აქ მცირე კომენტარია საჭირო. არსებული რეალობის ილიასეული ხედვა იყო აბსოლუტურად ზუსტი. გაიხსენეთ ალექსანდრე II-ზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ სახრჩობელისკენ მიმავალ ტერორისტებს როგორი ზიზღით მიაცილებდა ეს უბრალო ხალხის მზერა, რომელთა ბედნიერებისათვის, ტერორისტთა ჭკუით, მოკლეს იმპერატორი.

შეგახსენებთ ერთ შემთხვევას ერთი ჩვენი ნაროდნიკისა, რომელიც რევოლუციურ წიგნაკს „კაპეიკს" ავრცელებდა ხალხში და რომ ჩაავლეს ხელი, გლეხობა დასცინოდა, კაპეიკისთვის დაიჭირესო.

შეგახსენებთ ერთ მოგონებას ილიას ცხოვრებიდან. როცა საგურამოში მის მამულში მომუშავე მოხევეებს დაუძახა, გამოესაუბრა და სტუმრის თანდასწრებით, ამ თავისუფლებისმოყვარე ხალხს შესაბამისი პასუხის მოლოდინში, თამამად ჰკითხა: ძველი, ჩვენი მეფის დრო სჯობდა თუ ახალი სჯობიაო. იმათ კი, როგორ გეკადრებათ, ბატონოო, სად ძველი დრო და სად ახალი. მაშინ ლეკების შიშით ხალხი გარეთ ვერ გამოდიოდა, ახლა კი მშვიდობიანად ვცხოვრობთ და ჩვენი შრომით პურსაც ვჭამთო. წახდა ილია ლელთ ღუნიას შთამომავალთა ასეთ პასუხზე.

ერთი სიტყვით, ნიშანწყალი იმისა, რომ რუსეთში ხალხი აჯანყდებოდა და ხელმწიფეს ჩამოაგდებდა, მართლაც არ ჩანდა. მაშინ ძე-ხორციელი ვერ იფიქრებდა, რომ, ჯერ ერთი, იმპერატორი მჩხიბავების ჯკუაზე ივლიდა, ყველა გარეშე ომს წააგებდა და, მეორეც, რომ რუსი რევოლუციონერები ხელისუფლების შეცვლის მიზნით საკუთარი სამშობლოს გერმანიასთან დამარცხებაზე იოცნებებდნენ და იმავ გერმანიის დაფინანსებითა და სხვა ტიპის დახმარებებით მოვიდოდნენ ხელისუფლებაში.

ახლა კვლავ ლასხიშვილს მოვუსმინოთ: „შემდეგ ილია შეუდგა იმის მტკიცებას, რომ თვითმპყრობელობის მოსპობა და საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება ჩვენთვის, ქართველებისათვის, სახეირო სრულიადაც არ იქნებაო. თქვენ რომ ოცნებობთ, იმისთანა

თანასწორობის, ერთობის და ძმობის, უმაღლეს სამართლიანობის სამეფო ჯერ ძლიერ შორს არის, არათუ რუსეთისთვის, არამედ განათლებულ და განვითარებულ ინგლისისა და საფრანგეთისთვისაც. **ხოლო დასავლეთ ევროპის საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება რუსეთში, ჩვენ, ქართველებს, დიდ საშიშროებას გვიქადის.** რუსის საზოგადოებაში და ხალხში დიდი პოტენციალური ძალაა, რომელსაც დღეს სძინავს. რუსის ხალხი ილია მურომეცია, ხელფეხშებორკილს სძინავს და ამიტომ ჩვენ, არა რუსებს შესაძლებლობა გვაქვს ვიარსებოთ და ვისუნთქოთ. ახლა რუსეთი ვერ გვისწრებს წინ, ჩვენც ვახერხებთ და მივდევთ უკან. იმდენი პოლიტიკური და ეკონომიური ძალა არ შესწევს, რომ საგრძნობლად გაგვისწროს და მერე, როგორც ჩამორჩენილი, ველური ხალხი, გადაგვყლაპოს. ხოლო თუ ბორკილს მოიშორებს და თავისუფლებას მოიპოვებს, იგი ძლიერის სიჩქარით წავა წინ, ჯერ ეკონომიურად დაგვიპყრობს და მერე ან გაგვარუსებს, ან აღვგვის დედამიწის პირისაგანაო.

აი, პოლონელებს და ფინლანდიელებს ვერას უზამს, ისინი ძლიერი არიან როგორც ეკონომიურად, ისე ეროვნულის შეგნებით. აი ამათთვის საკონსტიტუციო რეჟიმი სასარგებლო იქნება, რადგან შესძლებენ და დიდ მეტოქეობას გაუწევენ რუსებს. ჩვენ კი იმდენად სუსტნი ვართ ეკონომიურადაც და ნაციონალური თვითშეგნებითაც, რომ თავისუფალი რეჟიმით წათამამებული და წახალისებული რუსეთი თავის ქერქში ვეღარ დაეტევა, სამხრეთ მდიდარ ქვეყანას გადმოხეთქავს და ჩვენ ადვილად წაგვლეკავსო.

ჩვენთვის ილიას ასეთი მსჯელობა მიუღებელი იყო და ვუმტკიცებდით, რომ საკონსტიტუციო რეჟიმი ქართველ ხალხსაც მისცემს ხელში მძლავრ იარაღს ზრდისა და განვითარებისათვის. მაგრამ ილია მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და გვეუბნებოდა:

ყმანვილებო, სტყუვდებით, თანამედროვე საკონსტიტუციო რეჟიმი ძლიერებს ამაგრებს, ხოლო სუსტებს მონებად აქცევსო.

რამდენი სიმართლეა ამ სიტყვებში, რა ღრმა გაგებაა თანამედროვე ბურჟუაზიულ პარლამენტარული" თავისუფლებისა". ასეთ კომენტარს აკეთებს ათწლეულების შემდეგ ილიას ამ საოცარ წინასწარმეტყველებაზე გიორგი ლასხიშვილი.

სხვათა შორის, დღემდე დილემად დგას ეს საკითხი. ქართველთა ერთ ნაწილს ძლიერი და დემოკრატიული რუსეთი ესურვილება, ასე უფრო ადვილად ვილაპარაკებთ ერთ ენაზეო. ევროპას არ

ეშინია ასეთი რუსეთის და პირიქით, ხელსაც უწყობს მის განვითარებას. ახლაც ერთი მუჭაა ის ხალხი, ვინც რუსეთის გაძლიერებაში ჩვენს უბედურებას ხედავს მრავალგზისი მაგალითებით დადასტურებულს. ილიას ეს სიტყვები კიდევ ბევრ რასმე ჰფენს ნათელს, მაგალითად, ერთი მხრივ, რატომ იყო ის წინააღმდეგი არათუ ქართველი კაცის რუსულ სამხედრო სამსახურში შესვლისა, არამედ ქართველი ინტელიგენციის რუსეთში მუშაობისაც კი. მეორე მხრივ, რატომ იყო ის წინააღმდეგი, ქართველი სტუდენტები თავგამეტებით გადაშვებულიყვნენ რუსთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში და თავი გაეწირათ, ვთქვათ, ერთი ალექსანდრე რომ მეორეს შეეცვალა, ან მონარქი რომელიმე რევოლუციონერს, თუ ეს რევოლუციონერი სამშობლოს გამოხსნაზე კი არა, იმაზედ ფიქრობდა, როგორ გადაერჩინა რუსეთის იმპერია. ამიტომ იყო, რუსულ სახელმწიფო იდეოლოგიას რუსეთის ინტერესებისთვის ეს უფრო საშიშ მტრად რომ მიაჩნდა, ვიდრე ჯიბეებში ყუმბარებჩაყრილი რევოლუციონერები.

●

ახლა კი დიდი პოლიტიკის ანალებიდან იმ ლიტერატურულ გაჯიბრებებსა და კინკლაობას მივუბრუნდეთ, რაც „ივერიასა“ და „კვალს“ შორის უკვე ტრადიციად ქცეულა. იანვრის დასაწყისში „კვალი“ „ივერიელთა“ წინააღმდეგ პასკვილებს ბეჭდავს და „ივერია“ კი „კვალის“ ირგვლივ თავმოყრილ თანამშრომელთა საწინააღმდეგო პამფლეტებს.

ამჯერად ილიამ თავად ითავა „კვალელების“ დახარისხება და ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. გარდა იმისა, რომ გიორგი წერეთელმა „ივერიელებისადმი“ მიძღვნილი არა ერთი და ორი „გულთბილი“ საგაზეთო გამოსვლით გამოიწვია ილია, თვით აკაკი წერეთელმა დასტამბა ისეთი რამ, ილიას რომ ეპიგრამებისთვის კალამი ააღებინა ხელში. აკაკიმ 1894 წლის ბოლოს დაიწყო და 1895 წლის დასაწყისში დაასრულა „კვალში“ ბეჭდვა მოთხრობისა – „სიკვდილი“. თავიდანვე უნდა ვთქვათ, ეს ნაკლებად ცნობილი მოთხრობა ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებია აკაკის პროზიდან. ეს პატარა მოთხრობა თითქმის გამზადებული სცენარია საუკეთესო ფილმისთვის. სამწუხაროა, რომ დღემდე მისით არც ერთი რეჟისორი არ დაინტერესებულა.

ვინაიდან მოთხრობაში აკაკი „ივერიისა“ და „კვალის“ ურთიერთობას და განსაკუთრებით იმჟამად მისი და ილიას ურთიერთობასაც გადასწვდა, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, მოკლედ გადმოვცე თხზულების შინაარსი.

ცხადია, თვით მოთხრობაში „ივერია“-„კვალის“ არც ერთი თანამშრომელი კონკრეტული მითითებით გამოყვანილი არ არის, მაგრამ იმ ეპოქის მცოდნე ადამიანი სრულიად ადვილად გამოიცნობს, ვის გულისხმობს ავტორი.

მოთხრობა აკაკიმ დაწერა იმ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, რაც წინა წლის შემოდგომაზე გადაიტანა. ასეთი კაცი იყო, თავის მძიმე გასაჭირზეც კი იშვიათი ოხუნჯობა შეეძლო. როცა პეტერბურგში ექიმებმა გულის გადიდება დაუდგინეს, ამ დიაგნოზთან დაკავშირებით ქუთაისში კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა: გული მიფართოვდება და ჯიბე მეჩუტებაო. წინა შემოდგომაზეც ცოლმა რომ კაპრიზებით გააბეზრა და შვიდოთახიანი ბინა აქირავებინა, ამას კისერზე ძირმაგარის გამოსვლა და ავადმყოფობაც დაერთო, როცა მორჩა, თავის ახლობელს, ნიკო ნიკოლაძის დას სწერს: „მე ისე ავად ვიყავი, რომ კინაღამ მოვჰკვდი, მაგრამ, როგორც კი გავისტუმრე ცოლი, მეორე დღესვე უაპერაციოთ გამოსკდა ბზუკვა, რომლითაც ვიტანჯებოდი და ამგვარათ ერთს დროს გადაურჩი ორ ჭირს“-ო. როგორც ვთქვით, მძიმე ავადმყოფობიდან გამოსულმა ხელს ერთი სახალისო მოთხრობაც გამოაყოლა – „სიკვდილი“.

სიუჟეტი ასეთია: წარმოიდგინა, რომ გარდაიცვალა, მაგრამ სული არ ტოვებს, ყველაფერი ესმის და ყველაფერს ხედავს.

„ზოგი მხოლოდ იმიტომ მოდის, დარწმუნდეს, მართლა მოვკვდი თუ არა? ზოგი ამბობს გუნებაში: „ცოცხალი რომ მინახავს, – მოდი ახლა მკვდარსაც დავხედავ, როგორიაო!“

...“საკვირველია, რომ ხმამაღლა ლაპარაკს ვეღარავინ ჰბედავს მკვდართან... თითქოს ეშინოდესთ ჩემი!.. უკუღმა სამართალი თუ გინდათ, აბა, ეს არის!... სიცოცხლეში არავინ მერიდებოდა, მიყვიროდნენ, უსამართლობით და ცილისწამებით მაყრუებდნენ, და ახლა კი მართლის თქმასაც ვეღარ ახერხებენ ხმამაღლა... მხოლოდ ჩურჩულობენ!..

ვინ რას აღარ ჭკუისკოლოფობს. აგერ ერთი ბობოლა მოსულა და მკვდარს ამუნათებს – უკუღმართად გაატარა თავისი დღე და სოფელი! ვერც თავის თავს არგო რამე და ვერც ქვეყანას!... შეეძლო დანინაურებულიყო და კაცი გამხდარიყოო...

მეორემ: ღმერთმა აცხონოს, მაგრამ ცუდი ენის პატრონი კი იყოო. მაგის შიშით ხმა ველარ ამოგველო, ნამეტანი იყო, ნამეტანიო...

მესამემ დაუდასტურა – თავხედი, ბრიყვი, უზრდელი, შეუპოვარი! ეჰ, მადლობა ღმერთს, მოვრჩით გადავრჩითო!

ერთმა თქვა, 40 წელიწადში ქართული წერა ვერ ისწავლაო (აკაკის პოლემიკა ჰქონდა გოგებაშვილთან ქართული ზმნის საკითხზე – ვაღიარო თუ აღვიარო).

ეეჰ! – ღირდა კი მაგის ქართული, ისე არ მოიპოვება აზრი მაგის ნაწერებში, როგორც ურიის სახლში მირონიო – ამას მისი სხვა ლიტერატურული ოპონენტი ამბობს.

ამ დროს კუბოსთან ასეთი დიალოგიც იმართება ჩურჩულით.

– რა გშვენის ეგ შავი კაბაო! – წაულაპარაკა ერთმა ფრანტმა ახალგაზრდა ქალს.

– იფ, რა დროსიაო? – მიუგო სიამოვნებით გაწითლებულმა ქალმა და სიამოვნებით შეხედა.

– სიყვარულმა უდროობა არ იცისო! – უპასუხა ფრანტმა და გაჩუმდნენ.

ერთი თვალცრემლიანი ქალიც შემოვიდა, პატარა ახლავს, ნიკო ჰქვია. ეს ქალი გულით ჰგლოვობს, ეტყობა. ტასო მაჩაბელს უნდა გულისხმობდეს, მის ვაჟს ერქვა ნიკუშა.

მერე მღვდელიც მოიყვანეს. რუსულად აპირებს პანაშვიდის გადახდას, რადგან აქ ბევრნი არიან ქართული რომ არ იციანო.

ერთი მადლიანი შენიშნავს: კი, მაგრამ, თქვენ მკვდრებისთვის იხდით პანაშვიდს და არა ცოცხლებისთვისო.

აუგეს წესი და გამოასვენეს.

„დიდძალ ხალხს მოეყარა თავი; ქუჩები სულ გატენილი იყო, მაგრამ მწუხარება კი ვერავის შევატყვე. ისევ ქალებს, ბავშვებს და უბრალო ხალხს უფრო ეტყობოდა". საფლავთან რაღაც მაღლობი გაეკეთებინათ. „დგებიან ზედ ვიღაც-ვიღაცეები და ასაქსაქებენ ენას. რას არ ამბობენ, ღმერთო ჩემო!... „ჩაესვენა მზეო", „დაბნელდა მთვარეო", „მოსწყდნენ ვარსკვლავებიო" და სხვანი, ასე გატლეკაც იქნება?! მერე ვინ ამბობს ამ სიტყვებს ასე ურცხვად? სულ ის ხალხი, რომელიც სანამ ცოცხალი ვიყავი, ჩემი ლანძღვისა და ცილისწამების მეტი არაფერი გაუკეთებია".

... „სამარეშიც სული თან ჩამყვა – და გამიკვირდა. „ოი! ოიო!" – შემომძახა ვიღაცამ, – ვინ ხარ, რომ თავზე მაწვები და ძვლებს მამტვრევო?"

უპატრონო მკვდარი რუსი აღმოჩნდა. რუსიაო არ ამბობს, მაგრამ მიანიშნებს, 80 წლის წინ დაუმარხავთ აქ, სხვის მიწაზე აქაურების სისხლი არყით რომ გაუბანია. საიქიოში არ მიუღიათ და 100 წელი აქ უნდა ეგდოსო.

ღამე რას აკეთებო? ეს ეკითხება. ღამე მაღლა ავდივარ, ქვეყანას ვუვლი და ხალხს ვაშინებო, ის პასუხობს.

„ვერიდებოდი ღოლოსო, დამხვდა სოფლისა ბოლოსო" – რა ქნას, აქაც რუსი დახვდა...

რუსმა იმით ანუგეშა, შენ აქ 40 დღეზე მეტი არ მოგიწევს ყოფნაო.

იმ ღამეს ის თავის საფრთხობელა საქმეებზე წავიდა. ამის სულმა კი რედაქციას მიაშურა. არ ამბობს, მაგრამ ეს „ივერიის" რედაქციაა.

რედაქტორი მოწყენილი მარტოდმარტო ზის და თავის თავს ესაუბრება: „რამდენი ხანი ვიცნობდი და ჩემს დღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს. საზოგადოდაც, მართალია ერთი მიზანი გვქონდა, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს და მაშ რათ მძულდა, რათ მეჯავრებოდა? მაგრამ ენის მიტან-მოტანა რა საძაგლობა რამ არის! მუშას, რომ გადაატანინო რამე ერთი სახლიდან მეორემდის, განა იმას მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა".

ამ დროს რედაქტორთან (ილიას გულისხმობს) თანამშრომელი შემოდის (არტემ ახნაზაროვს გულისხმობს, რომელთანაც წაკიდებული იყო აკაკი). მიცვალებულის ლანძღვა მიუტანია. რედაქტორი კინწისკვრით გააგდებს, როდის რა უნდა დაწერო არ იციო?

თანამშრომელი არ მოიწყენს, ქებაც გამზადებული მაქვსო და ახლა იმ ქებას სხვა რედაქციაში (იგულისხმებს „კვალი") მიიტანს. იქ მიცვალებულს ნამდვილად გლოვობენ. ეს შევა და რედაქტორს მიახარებს, ნეკროლოგი მოვიტანეო. ქება თუ გინებაო, – რედაქტორი (იგულისხმება გიორგი ნერეთელი) ეკითხება. ქება ბატონოო. ისიც გამოაგდებს, შენისთანა კაცისგან იმას ქება ეწყინებოდაო.

ერთი სიტყვით, მიცვალებულის სული მტერ-მოყვარეს მოივლის. მის მეგობარ ქალთანაც გამოცხადდება და ფანჯრიდან ასეთ სურათს იხილავს:

– „შენ კარგად იცი, ჩემო სიცოცხლევ, რომ მე ის შენსავით არ მყვარებია; ის მიყვარდა ისე, როგორც მახლობელი ნათესავი, და შენ კი... – უთხრა ალერსით ქალმა და ჩაუდო ხელი ხელში. კაცმა ხელზე კოცნა დაუწყო". ამას გული დაწყდება და მათ დასაფრთხობად ფანჯარაზე დააკაკუნებს. ჩიტი იქნებოდაო, – კაცმა, და უფრო ჩაიხუტა ქალი. მიცვალებულის სული მთლად გამწარდა, მიეხალა და მიეხალა ფანჯარას. მაშინ კი მართლა დაფეთებული ქალი უფრო ღრმად ჩაეკრა გულში კაცს და იმანაც გასამხნევებლად ხელები მოჰხვია. „ვთქვი, თუ ასე ვაფრთხე ესენი, მე სანუგეშოს ვერას ვნახავ-მეთქი", მოვსხლტი გულშეწუხებული და ისევ საფლავში ამოვყავი თავი".

კიდევ უფრო საინტერესოა მოთხრობის მეორე ნაწილი, როცა სასუფეველში ასულ ქართველ მეფეებს ხვდება და მათ კითხვებს პასუხობს, მინიერი საქართველოს სურათს აღუწერს. ისეთ გულისმომკვლელ სურათს, რომ მეფენი ამას არ დაიჯერებენ. მათ სულხან-საბა ეტყვის, ეტყობა ეს მე რომ ყიამყრალა მყავს გამოყვანილი „სიბრძნე-სიცრუისაში", ის გახლავთო. დაუძახეს ბოქაულებს, სტაცეს ხელი, „ერთი მისთანა პანღური მჩანთეს, რომ სულ ბზრიალ-ბზრიალით წამოვედი მაღლიდან. გამხდა ბრეგვა მიწაზე და კიდევაც გამომეღვიძაო". ასე მთავრდება ეს დიდი იუმორით შეფერილი ბრწყინვალე მოთხრობა.

იქ, მეფეთა შორის, თავის საკბილო ნახა. თამარისა და დავითის დიდ ქებასთან ერთად, ერთ-ერთ ვარიანტში მოთხრობისა, ასეთი რამ უწერია: საქართველოს უკანასკნელ მეფეს, გიორგი მეთორმეტეს, რომელიც ავად გამხდარა, თავს ადგას დისშვილი, პოეტი ვახტანგ ორბელიანი და ესაყვედურება: „შე დალოცვილო! რა მიირთვით მისთანა, რომ ველარ მოგინელებიათ! ან თქვენ..."

ამ მოთხრობის ერთ-ერთი ადრესატია ილია, რომელიც არც მწარედ არის გამოყვანილი (პირიქით, მხოლოდ საყვედურია, ასეთ დიდი კაცს რატომ არ გიყვარვარო. ეს არის და ეს), ილია თავადაც დაწერს ეპიგრამებს, თუმც აკაკის მორიდებით მოექცევა, „კვალის" სხვა თანამშრომლებისაგან განსხვავებით. ეს ეპიგრამები „ივერიის" საახალწლო ნომრებში დაიბეჭდება სათაურით „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი". აკაკისადმი მიძღვნილი ლექსი, აშკარად პასუხია მის მოთხრობაზე „სიკვდილი" და აქვე მიუთითებულია ლიტერატურულ ბრძოლებზე, რაც ნინა წელს აკაკისა და ანტონ ფურცელაძეს ჰქონდათ.

აკაკი

დავბერდი დავჩაჩანაკდი
წვერი შემექმნა ჭაღარა...
ტყუილს ვინ სჩივის მართალიც
ჩემი არ სჯერათ აღარა.

ანტონმაც მე წინ გამიგდო,
გული დასერა, დაჰღარა...
რაცა ხარ იმას გამხელო.
დაჰკრა ბუკი და ნაღარა.

მოვიმკვდარუნე მე თავი,
ვთქვი ან იტყვიან რასაო?
ვნახოთ-რა ძაძას ჩაიცმენ,
როცა რომ მნახვენ მკვდარსაო?

ან ვით მაქებ-მადიდებენ
მე ქართველთ ერთგულ ყმასაო?
ან რას ეტყვიან პასუხად
მაგ ჩვენს კოჭლს ანტონასაო?

დავბერდი, დავჩაჩანაკდი
წვერი შემექმნა ჭაღარა...
ჩემი მევე ვქთვი ქებანი,
სხვამ რომ არა სთქვა არარა.

ვინც რომ დავკაწრე ბასრ ენით,
ან აღარ მინდობს, აღარა...
ეხლა ბევრს ვნანობ, – ეს რად ვქმენ
რაღა თქმა უნდა, რაღა-რა?

„ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში" გიორგი წერეთელიც არის გაკენწლილი, ივანე მაჩაბელიც, მიშო მაჩაბელიც, სხვანი და სხვანი. საკუთარ თავსაც უძღვნა ილიამ ერთი პამფლეტი. ასეთი პაექრობა არაფერს დაუშავებდა. პირიქით, აცოცხლებდა კიდეც ლიტერატურულ ცხოვრებას. მაგრამ „კვალში" გაგრძელებებით დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას წერილები „გაზ. „ივერია" და ეროვნება". აქედან დაიწყება იმ პატარა გუნდის აგორება, რომელიც ნელ–ნელა, წლიდან–წლამდე ზვავად იქცევა და არა მარტო ილიას, მთელ ქვეყანას დაღუპვას დაუპირებს.

1895 წელს პრესაში ძალიან უცნაური რამ ხდება. როგორც აღინიშნა, „კვალიდან“ ილიას თავს ესხმის ნოე ჟორდანია, ხოლო „ივერიაში“ ილია სხვადასხვა ნომრებში 5 ლექსს დაუბეჭდავს 16 წლის გორელ ყმაწვილს სოსო ჯუღაშვილს.

ერთიც ილიას მტრად იქცევა და მეორეც, მაგრამ რა მტრობასაც ეს მეორე იზამს, იმასთან შედარებით, ჟორდანიას გამოლაშქრებანი ილიას წინააღმდეგ, ბავშვის მიერ შინდის ჯოხით ხმალაობად მოგეჩვენებათ...

●

რა თქმა უნდა, საბანკო საკითხებზე მაისში ისევ დავიდარაბა ატყდა. ოპოზიციას პეტერბურგიდან რევიზიაც მოუწვევია. ბევრი ინვალა რევიზორმა, მაგრამ წვრილმანი დარღვევების მეტი ვერც ვერაფერი ნახა ბანკის 19 წლიან მუშაობაში. რევიზორი მაჩაბელმა და მისმა მომხრეებმა მოიწვიეს. (პეტერბურგში ჩივილის გამო ილიამ ისეთ დღეში ჩააგდო მაჩაბელი, ეს ჩივილი მისი წაგების უვერტიურად იქცა). მაჩაბლის მომხრეები რევიზორთან დაახლოებას ცდილობდნენ, ყელგამოწეულნი სუფრაზე ეპატიჟებოდნენ, ეს კაცი კი დემონსტრაციულად ილიასთან სადილობს. მოდი და ნუ გასკდებიან გულზე.

რევიზორი აღფრთოვანებული დარჩენილა, ასეთი გამართული მუშაობა არც ერთ ბანკში არ მინახავსო. ილიას წასახდენად მოწვეული კაცი მაჩაბელს იქით დამოძღვრავს – შერიგდით, ბანკში საჩხუბარი ვერა ვნახე-რაო. ოპოზიციას რევიზორის მოწვევით კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. დაიწყო კრებაც.

ილიამ ამ კრებებზეც იარაღი მოწინააღმდეგეებისგან იშოვა და ერთი ისეთი ლექცია წაუკითხა მათ, თავდახრილნი და დარცხვენილნი რომ უსმენდნენ. ოპოზიციიდან ვიღაცას იმერელ კაცზე უთქვამს, ეს ჩვენს შორის მოსული არისო (საუბარია ნიკო ნიკოლაძეზე). მოსული ეგრე არ უნდაო. ილია სპეციალურად გამოცხადდა კრებაზე და ყველას ერთად აგრძნობინა, რომ ბანკირთან კი არა, ქართვლის ბედის მჭედელთან და მესაჭესთან ჰქონდათ საქმე.

„დღეს უნდათ, – აცხადებს ილია ამ როყიო გამონათქვამის გამო, – ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენს შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამუ-

ლიშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ, ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწევთ, ასე მოიქცეთ, დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე (უკეთურ თავში დარჩესო, – ნ.გ) და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა".

მოდი ახლა და დეფიციტზე და პროფიციტზე ელაპარაკე. სთქვა მამულიშვილური სიტყვა, დატოვა მტერიც და მოყვარეც აღფრთოვანებული, გაიხურა კარი და წავიდა.

●

1895 წლის 11 სექტემბერს გადახდილ იქნა პანაშვიდი აღა-მახმად-ხანის შემოსევის დროს კრწანისის ველზე დაცემულ გმირთა სულების მასახსენიებლად. კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავის აღნიშვნისათვის მთავრობისაგან ნებართვის გამოთხოვა თბილისის გუბერნიის მარშალს კონსტანტინე მუხრანსკის სთხოვეს (შვილი ივანე მუხრანსკისა). მთვარობისათვის ეს მისაღები თხოვნა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ქართველები იხსენებდნენ იმ დღეს, როცა სპარსთა სულით და ხორცით მახინჯმა მბრძანებელმა თბილისი ააოხრა და გადაწვა, ამიტომ ნებართვა გასცეს და მიუხედავად იმისა, რომ დიდი წინასწარი სამზადისი არ ყოფილა, ამ დღეს ყველაზე მეტი ხალხი გამოვიდა, რაც კი მანამდე თბილისში ენახათ. ეს დღე ეროვნული სულის ზეიმად იქცა. ანგარიშში რუსის მმართველობა აქაც შეცდა. იმ დღეებში პრესაში დაიწერა წერილები კრწანისის ომის შესახებ. ცენზურის წყალობით ყველაფერი პირდაპირ ვერა, მაგრამ გამგები გაიგებდა იმას, რასაც მეუნარგიასთან პოლემიკაში აკაკი წერდა. კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავის აღნიშვნა აღწერილია დაწვრილებით როგორც იმ დროის პრესაში, ისე მემუარებში და სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომ აქ აღარ განვმეორდებით და მხოლოდ იმ ფაქტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას, რაც ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი. მაგალითად, სპეციალისტებმა კი, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ აღა-მახმად-ხანის თბილისში შემოჭრა, არც მეტი, არც ნაკლები, იყო რუსეთის ინსპირირებული. ერეკლე რომ იხვეწებოდა 1783 წლის ტრაქტატით აღებული ვალდებულება შე-

ასრულეთ და ჯარი მომაშველეთო, რუსები, პირიქით, საიდუმლოდ სპარსეთს აქეზებდნენ საქართველოზე ელაშქრა.

უფრო მეტიც, ის გამაოგნებელი ღალატი, რაც თბილისის დაცვას წინ უძღოდა, იყო რუსთაგან ორგანიზებული, ფულით და მომავალი კეთილდღეობის დაპირებით მოსყიდულ იქნენ ერეკლე მეფის თვით უახლოესი ადამიანებიც, თავადები ქართლში, კახეთში, იმერეთში. საქართველო მაშინ ღია, საჯარო, გაუგონარმა ღალატმა დაამარცხა. სხვათა შორის, ნოე ჟორდანია რაფიელ ერისთავის იუბილეზე ამას კი მართალს ამბობდა: გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან პოეტმა ჩამოიყვანა იმდენი ხალხი, რაც ვერ მოახერხა ერეკლემ კრწანისის ომის დროსო.

მიზეზი, როგორც ვთქვი, დიდი ღალატი იყო და ყველაფერ ამის უკან იდგა ერთმორწმუნე რუსეთი. აი, რას წერს აკაკი იმ დღეებში: „აი, ვინ იყვნენ საქართველოს მტრები: 1) ის, ვინც მოიწვია აღამახმად-ხანი საქართველოში და გზის ხარჯათაც 100000 მანეთი გაუგზავნა; 2) ისინი, ვინც ცდილობდნენ, რომ აოხრებულ საქართველოზე თავის საკუთარი სამეფო აეგოთ; 3) ის, ვინც შორიდან აბრიყვებდა ორივე მხარეს და მოლა ნასრადინივით ფიქრობდა: ვინც დაეცემა, მე დამრჩებაო; 4) ისინი, ვინც ფულს არიგებდნენ მოღალატეების მოსასყიდლათ. მოღალატეები ის დიდებული ქართველები იყვნენ, რომელთაც ფული მიიღეს და გაჭირვების დროს განუდგნენ მეფესა და საქართველოს".

კრწანისის ომის 100 წლისთავის აღნიშვნა თუნდაც იმად ღირდა, რომ ეს დოკუმენტი შემოგვრჩენოდა. ეს არ არის პუბლიცისტიკა. ეს დოკუმენტია. აკაკი სოლომონ მეფის შვილთაშვილი იყო და საკუთარი წინაპრებიდან ზუსტად იცოდა, რა მოხდა მაშინ...

●

ქართველი მწერლის იუბილე საერთო ეროვნული მასშტაბით პირველად 1895 წლის ოქტომბერში აღინიშნა და ეს მწერალი იყო „სამშობლო ხევსურისა"-ს ავტორი რაფიელ ერისთავი. არის ხალხი, ილიას თქმის არ იყოს, წუმპეში რომ გაიაროს, ერთი შხეფიც არ ამოჰყვება. ასეთი კაცი იყო რაფიელი. ის ყველას უყვარდა და მისი ცენზორობაც არავის გახსენებია. ყველამ იცოდა, რომ იქ ჩვენთვის იჯდა და არა ჩვენს საწინააღმდეგოდ. რაფიელის იუბილეზე საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ დელეგაციები. პრესა სავ-

სე იყო რაფიელისადმი მიძღვნილი წერილებით, ლექსებით. „ივერიამ" გამოაქვეყნა 16 წლის სემინარიელის „სოსელოს" ლექსი, იმავე ი. ჯუღაშვილის, იმავე ი. სტალინისა. აი, ეს ლექსიც:

თ. რ. ერისთავს

როს მშობელ გლეხთა ვაებით
საბრალოთ აცრემლებული
ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,
ერისთვის თავდადებული;
როს ერის კეთილდღეობით
საამოთ აღტაცებული;
სიმთ აჟღერებდი ტკბილ–ხმაზე,
ვით ზეცით მოვლინებული;
როს დაჰგალობდი სამშობლოს,
ის იყო შენი ტრფიალი,
მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა
გულის წარმტაცი ნკრიალი.
მაშინ მგოსანო, ქართველი
თურმე ციურ ძეგლს გიგებდა
და წარსულთ შრომა–ვაებას
აწმყოთი გიგვირგვინებდა.
შენმა სიტყვებმა მის გულში
უკვე გაიდგა ფესვია,
მოიმკე წმინდა მხცოვანო
რაც სიყრმით დაგითესია;
ნამგლად იხმარე ერისგან
გრძნობით ჰაერში ძახილი;
ვაშა, რაფიელ! გამრავლდეს
მამულში შენებრი შვილი.

ნუთუ ეს ის ყმაწვილია, რომელიც...

თუმცა კიდევ 2-3 წელი დარჩენია, ერისა და სამშობლოს ხსენების უფლება რომ აქვს და ამ დროში მაინც დავტოვოთ ამ უფლებით... ერთი კურიოზი, როცა ი.ჯუღაშვილი, როგორც ტერორისტ-წითელრაზმელების უფროსი 900-იან წლებში ბანკების ექსპროპრიაციაზედაიწყებსმუშაობას,ბანკისერთითანამშრომელი მისი ინფორმატორი გახდება ასეთი მოტივით- თავად ერისთავზე დაწერილი ლექსის ავტორს როგორ არ უნდა დავხმარებოდიო...

რაფიელის იუბილეზე სამი ცენტრალური ფიგურა ჩანს. ეტლიდან ჩამოაბრძანებენ ილია და აკაკი. თეატრში შეუძღვებიან ილია და აკაკი და სცენაზეც რაფიელს მარჯვნივ და მაცხნივ უსხედან ეს უგვირგვინო მეფენი.

ნადიმზეც, სადაც სამასამდე კაცი ესწრებოდა, პირველი სადღეგრძელო იუბილარისა შეისვა, შემდეგ კი ერთად დალოცეს ილია და აკაკი. აქ კი ერთი როყიოდ წამოსროლილი ფრაზა გაისმა. რუსმა პოეტმა ველიჩკომ ფამილარულად წარმოსთქვა: „ვისურვებ, რომ აკაკის ილია ჰყვარებოდეს და ილიას აკაკიო". საერთოდ, რაფიელის იუბილეს აღნიშვნა აკაკის იდეა იყო. მან ბევრი რამ გააკეთა ამ დღისთვის. ახლა კი ფიზიკურად ცოტა შეუძლოდ გრძნობდა თავს. ამ ძალადმაცხონე მშვიდობის მოციქულმა კი სულიერი ტკივილიც მიაყენა. წამოდგა აკაკი და ისეთი ლამაზი პასუხი გასცა ველიჩკოს, დღემდე სიამოვნებით კითხულობს მკითხველი: **„აქ ბატონმა რუსის მწერალმა უადგილოთ და უსაფუძვლოთ ინატრა, რომ ქართველ მოღვაწეთა შორის თანხმობა და სიყვარული იყოსო. ცხადია, რომ ეს ამბობს განაგონებით და, მაშასადამე, ჩვენშიაც ყოფილან ზოგიერთები ამ აზრის. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს დიდი შემცდარი აზრია! რაღა საჭიროა მისი ნატვრა რაც არსებობს და ხელში გვიჭირავს. „მცირე რამ სამდურავი მოყვარეთა წესიაო" – უთქვამთ ძველებს, როდესაც დიდ ოჯახებში, შეინროების დროს, გარდა გამდელებისა, – ბევრი აღარავინ რჩება და მათაც საამუშაო უმრავალკეცდება, მაშინ ისინი ერთმანეთს ეჩხუბებიან, ეწინააღმდეგებიან და ესაყვედურებიან: იმდენს და ისე ვერ აკეთებენ, როგორც გარემოება მოითხოვსო? ამ ვაი უშველებელში ხშირად კიდეც წყევლიან ერთმანეთს, მაგრამ ეს პირადობითა და შურ-ბოროტებით კი არ მოუდისთ!.. ოჯახის ერთგულება ამწარებთ! სურვილის სიდიდეს მათი ჯან-ღონე ვეღარ წვდება და როგორც თავის თავს, ისე ერთმანეთსაც ესაყვედურებიან. სწორედ ამ მდგომარეობაში არიან ჩაცვენილი ღევანდელი ჩვენი მოღვაწეებიც და მათი ერთმანეთთან უკმაყოფილება საშიში და ხელწამოსაკრავი არ არის!.. ქვეყნის ერთგულებით აღშფოთებულ-აღელვებულებს ეს კინკლაობა ხელს ვერ შეუშლის, რომ საჭიროების დროს ქვეყნისთვის ერთად დასდვან თავი. ასე გრძნობს ყველა ნამდვილი მოღვაწე და ვინც ასე არ ფიქრობს, ის მხოლოდ თვალთმაქცობს და არ ჩაითვლება მოღვაწეთ! ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს და ნათელი."**

სხვათა შორის, ველიჩკოს როყიოდ ნათქვამი აკაკის იმადაც ეწყინა, რომ სულ რაღაც ორიოდე თვის წინ „კვალში" აღწერილი

იყო აკაკის შეხვედრა კავკავის ქართველობასთან. აკაკი ხარკოვიდან, სადაც ცოლ-შვილი ნახა, ბრუნდებოდა და კავკავში, (იგივე ძაუჯიყაუში, იგივე ორჯონიკიძეში, ანუ ვლადიკავკაზში), იქაურმა ქართველებმა დიდად ასიამოვნეს. ნადიმის შემდეგ ქუჩიდან სასტუმროში კიბეებამდე ხელში აყვანილი შეიყვანეს. ეს ყველაფერი აღწერილი ჰქონდა „კვალის" კორესპონდენტს და იმასაც დასძენდა, რომ აკაკიმ კავკაველ ქართველებთან განსაკუთრებულად ადღეგრძელა ილია ჭავჭავაძეო. ეწყინებოდა ამ ველიჩკოსგან ჭკუის დარიგება, აბა, რა იქნებოდა? იკითხავთ, ილიას თუ ჰქონდა ველიჩკოს ექსპრომტზე რეაქციაო, არა, არ ჰქონდა, ერთი გაიღიმა და ეგ იყო. კაცი ვერ მიხვდებოდა, იმის სისულელეს დასცინა თუ გამწვავებას მოერიდა...

რაფიელ ერისთავს, ცხადია, ბრწყინვალე სიტყვა უთხრა. ველიჩკო კი საერთოდ არ უხსენებია.

●

ყოველდღიური გაზეთის რედაქტორობამ ილიას ქანცი გაუწყვიტა. ერთდროულად ბანკობია და აქეთ გაზეთის საზრუნავი გასაქანს აღარ აძლევდა. გაზეთი ხომ მარტო ის არ არის, რაც დაიბეჭდა. დაბეჭდვამდე რამდენი თავსამტვრევია. ეს დაწუნებული მასალების ავტორთა მოგერიება. ეს მომჩივან მოქალაქეთათვის პასუხის გაცემა. (სხვათა შორის, ერთი მომჩივანი, საჩხერელი ფერშალი ვინმე მაშკინი ამ წელიწადსაც გამოუჩნდა. თბილისის სასამართლო პალატამ ილია გაამართლა). მოკლედ, საჭირო გახდა გაზეთში თანარედაქტორის მოწვევა და არჩევანი შეაჩერა თავის ძველ ნაცნობზე, კარგ პუბლიცისტზე, ბათუმის სკოლის ყოფილ მასწავლებელზე ალექსანდრე ნანეიშვილზე. შესთავაზა მას თანარედაქტორობა იმავე უფლებებით, რა უფლებაც ილიას ჰქონდა „ივერიაში". იმ წელიწადს ეს არ გამოვიდა.

1895 წელს ერთი დიდებული რამ ხდება ილიას ცხოვრებაში... წლის ბოლოს მან დაამთავრა საგურამოში იმ სახლის მშენებლობა, რომელიც იქ დღესაც დგას და ისე იზიდავს ილიას მოყვარულთ, როგორც იერუსალიმის ტაძარი მორწმუნე ქრისტიანთ.

საყურადღებოა არტურ ლაისტის ჩანაწერი: „ადამიანის დასახასიათებლად, მისი გემოვნების, ჩვეულებებისა და გასართობ საშუალებათა გასაცნობად მნიშვნელობა აქვს მის საცხოვრებელ ბინას,

მით უფრო, თუ ეს ბინა თვით ამ ადამიანის მიერ არის შექმნილი და რამდენიმე წელსაც აქ უცხოვრია. ციცერონს აგარაკი ტულუსკუმში ჰქონდა, რომის ახლო და იქვე დაწერა „სიბერე". აქ მას სოფლის ცხოვრების სიმშვენიერე აქვს აღწერილი. გოეთეს სახლი და ბაღი ვაიმარში ჰქონდა, რომელსაც უამრავი მნახველი ჰყავს და ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის მწერლის გემოვნების, საყვარელი საქმიანობისა და გართობათა შესახებ. ციცერონის სახლიდან გარდა კედლებისა, არა დარჩენილა რა, ჩვენ იქ ვხედავთ მხოლოდ ერთს: არც თუ ისე ლამაზ მთას, რომელიც რომის გარშემო მინდორ–ველსა და თვით რომს დაჰყურებს. ძველი რომაელისათვის, ვინც ცხოვრებას პირდაპირ, რეალისტურად უყურებდა, ვისაც პოეზია ნაკლებად აღაფრთოვანებდა და თავისებურად ესმოდა, ეს გადასახედიც საკმაო იყო. მას თვალწინ ეშლებოდა ქალაქი, საითკენაც მოისწრაფოდა მთელი მისი გონება და სურვილები. გოეთეს სახლი ვაიმარში წარმოდგენას გვაძლევს გოეთეზე, როგორც ადამიანზე: ის იყო მშვიდი პოეტი, ბრძენი და დიდებული მოაზროვნე, რომელიც ბევრს სასიამოვნოს პოულობდა ვაიმარის მშვენიერ შემოგარენში".

ილიამ თავის საზაფხულო რეზიდენციად და სულის სიმშვიდისთვის ზედაზნის ტყისპირი აირჩია. ბევრს ჰგონია, საგურამოს სახლი ოლღას და ილიას მემკვიდრეობით დარჩათ თადეოზისაგან. ეს ასე არ იყო. ილიამ 1874 წელს ზედაზნის ტყის პირად ააშენა ოთხ ოთახიანი ფიცრული სახლი, რომელიც ძველებურ ნაგებობას მოგაგონებდათ. აი, ეს იყო მისი საგურამოს რეზიდენცია.

1892 წელს დაიწყო მან სამსართულიანი ქვითკირის სახლის მშენებლობა. ამ სახლში კი გული და სული ჩადო და მისი მშენებლობა დაამთავრა 1895 წელს. მშენებლობა დამჯდარა 40 000 მანეთი.

არტურ ლაისტი, რომელსაც საგურამოში სტუმარიც აღარ ეთქმოდა იმდენად ხშირად იყო ილიასთან, იგონებს: „სახლი მართლა ლამაზი, ფართო და მოწყობილი გამოვიდა. ილია, როგორც ყმაწვილი, ისე შეეხაროდა ამ სახლს". ლაისტი მშენებლობის დამთავრების თარიღად 1894 წელს ასახელებს, მაგრამ უნებლიე შეცდომა მოსდის, რასაც მისივე ფრაზაც ადასტურებს, ილიამ ამ სახლში მხოლოდ 12 წელი იცხოვრაო. 12 წელი კი სწორედ 1895 წლიდან გამოდის. ესეც არ იყოს, ყველაზე გრანდიოზული ილიაობა მასპინძელმა სწორედ ახალი სახლის აშენების შემდეგ გადაიხადა. ეს კი 1896 წლის 20 ივლისს მოხდა.

1896

პოლემიკა გ. წერეთელთან, მ. მაჩაბელთან, ი. მაჩაბელთან. გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალება. რედაქტორ პალმის ოინები და სირცხვილი. „ივერიის“ დახურვა. ბოლო ბრძოლა ილიასა და მაჩაბელს შორის. ივანეს ბანკიდან წასვლა. ილიაობა ახალ სახლში. ილიას უჩივის თედო სახოკია.



ილიას სახლი საგურამოში

„იყო რაუნდები, -
საყურებლად ღირდა“.

მ. ლებანიძე

ყველაზე დაძაბული წელი ილიასა და მაჩაბელს შორის ატეხილ ბრძოლაში აღმოჩნდა 1896 წელი.

„კვალმა“ საახალწლო შარჟები ტრადიციულად ილიას კრიტიკით დაიწყო და გიორგი წერეთელმა „მაზაკვალის“ ფსევდონიმით კრიტიკული წერილიც მოაყოლა – „ძველი მტრობა ახალ ქერქში“.

წინა წლის დეკემბერში თავად-აზნაურთა კრება გამართულა, სადაც იხილებოდა საკითხი, გვჭირდება თუ არა სამეურნეო სკოლა.

ილიას ძველი ბრალდება გაუმეორეს და აუშარდნენ, გინდა თუ არა თავად-აზნაურთა სკოლის დახურვა გინდაო.

ილიას პოზიცია იყო ამ სკოლასთან ერთად შეექმნათ სამეურნეო სკოლაც.

ერთმანეთს დამდურებული გიორგი წერეთელი და ივანე მაჩაბელი საერთო მოწინააღმდეგემ გააერთიანა და ერთობლივად შეუტიეს ილიას იმ კრებაზე. რაკი წერეთელმა „კვალში“ ხსენებული წერილიც გამოაცხო, აღარც ილიამ დაინდო ისინი და 26-28 იანვრის „ივერიის“ ნომრებში კუდით ქვა ასროლინა ოპონენტებს 1. გიორგო წერეთელს 2. მიშო მაჩაბელს 3. ივანე მაჩაბელს.

ღირს იმ ციტატების წარმოდგენა, რომელნიც ამ სამი კაცისადმი მიძღვნილ სამ „ლექციაში“ მათ უძღვნა ილიამ, იმავ თანმიმდევრობით, როგორც გვარები ჩამოვწერეთ.

გიორგი წერეთელზე.

როგორც ცნობილია, იმ ახალ თაობას ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში სამშობლოს, ერისა და სარწმუნოების უარმყოფელობა თილისმად რომ აურჩევია, გიორგი წერეთელმა გაუხსნა გზა, ეშმაკებივით თავის გაზეთს შემოასია და „მესამე დასადაც“ მონათლა. ნათლიის წყალობა ილიამ ამდაგვარად აიგდო სასაცილოდ: მეც მინდა ახალი კაცი მერქვას, **„იქნება გეგონოთ, ამით**

მინდოდეს თავი მოვაწონო გ. წერეთელს, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბედნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა, მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო. თუ ღმერთი შემეწევა და მე ჩემით მოგაწონეთ თავი, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო. ბ-ნ გ.წერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუვიწყარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა. საქმე ეხლა თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს – მეექვსე და წავა ესე, მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპისა კი – რა მოგახსენოთ."

არანაირი კავშირი ამ მესამე დასს არც პირველ დასელებთან ანუ 60-იანელებთან და არც 70-იანი წლების „ახალი ახალთაობის" ჯგუფთან არ ჰქონიათ, მაშ რატომ იყვნენ ისინი მე-3 დასელები? ან რატომ იყვნენ უფრო პროგრესულები? რაკი 3 მეტია 1-ზე? ასე ჩაუყარა წყალში გიორგი წერეთელს ილიამ ნათლიის ღვაწლი.

ილია ირონიით მკითხველს სთავაზობს ვარიანტს, როგორი შეიძლება იყოს მე-4 დასის მეთაური. ისეთი, რომელსაც წილად ერგება უშვერსიტყვაობა გ.წერეთლისა, ყბედსიტყვაობა თ.მ. მაჩაბლისა, ფუღუროსიტყვაობა თ.ი. მაჩაბლისა! მართალია, ზოგიერთი სწავლული და მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს სამივე ერთად დომხალსავით რომ აურიო, კარგად დაზილო და ერთს კაცზედ გამოაცხო, ის გამოვაო, რასაც რუსები „ნულს" ეძახიან, ფრანგები „ზეროს" და ქართველები ილია ხონელს."

რატომ აიგდო ასე ეს ილია ხონელი (ილია ბახტაძე), ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. <u>მიშო მაჩაბელმა</u>, უკვე მეოთხე წელია ბანკის ყველა კრებაზე ილიას რომ ლამის სულში ჩაუყოს ხელი, ასეთი დახასიათება მიიღო: **„საკვირველი კაცი ბრძანდება ეს თ.მ. მაჩაბელი. შეჯდება ხოლმე მეტყველების ჯაგლაგს მერანზე, დაეშვება თავქვე და როცა საძუე შემოაწყდება, ყირამალა გადადის, თავი ცალკე მიგორავს იქით, ენა ცალკე ლაყლაყებს აქეთ, თავს ენა ვეღარ უპოვნია და ენას თავი".**

„ხშირად თ.მ .მაჩაბელი თავის ნათქვამს გადასთქვამს ხოლმე, მე ეგ არ მითქვამსო. მართალიც არის: თითონ ყურს რომ არ უგდებს თავისს ლაპარაკს, საიდამ დაახსომდება, რა სთქვა და რა არა".

შემდეგ ივ. მაჩაბლის ჯერი დგება: **„ვინა ბრძანდება თ.ი. მაჩაბელი? იგი თავია იმისი, რის ფეხებიც თ.მ. მაჩაბელია თავისის**

პორთფელითურთ. ისე გადაბმული კი ერთმანეთზე რომ ძნელი გამოსაცნობია, – სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.“ „წამოდგა თ.ი. მაჩაბელიცა, ერთმა კუნჭულმა კრებისამ წინათვე მოამზადა ხელები ტაშისათვის.

ეს რომ დავინახე, ვთქვი: ცანგალას ხმაზე ხომ არ აპირობს თ.ი. მაჩაბელი ლაპარაკსა-მეთქი. სწორედ ასე იციან ხელების გამოშვერა ტაშისათვის გლეხებმა, როცა ცანგალას აპირობენ.“ მაჩაბელს სწრაფი, აჩქარებული ლაპარაკი უყვარდა. ილია განაგრძობს: „დიახ, თ.ი. მაჩაბელმა არც აქ უმტყუნა თავისს თავსა, ერთის იოტის ოდენადაც არ დაუწევია ძირს იმ სიმაღლიდამ, საცა ღვთის განგებას დაუყენებია ყელმოღერებული. ისევ ძველებურად, თავისებურად მოპყვა სხაპასხუპს. თითქოს თავზე წვიმა დასდის და სჩქარობს მალე დაროშოს დასაროშელი და სადმე ფანჩატურს შეეფაროსო...“

აქ შევწყვეტ ამონარიდებს და ილიას გაგულისების მიზეზზე მოგახსენებთ. ყველგან ხმას უვრცელებენ, ილიას თავად-აზნაურთა სკოლის დახურვა და მის ხარჯზე სამეურნეო სასწავლებლის გახსნა უნდაო. ბანკობია არ იკმარეს, ახლა განათლების მტრადაც გამოაცხადეს. დიდხანს ითმინა და ბოლოს ყველას თავისი მიუზღო. რაც მთავარია, დადო წლების წინათ კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტი, რომელსაც თავად-აზნაურთა დავალებით საკითხი შეუსწავლია და დასკვნა დაუწერია. თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან ერთად სასურველია ისეთ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სამეურნეო სასწავლებელიც არსებობდეს, სადაც პროგიმნაზიის დასრულების შემდეგ შევლენ ის ბავშვები, ვისაც სახელმწიფო სასწავლებლებში არ მიიღებენო. ილია სწორედ ამ დასკვნის ხორცშესასხმელად იბრძოდა, ანუ იმ დასკვნისა, რომელსაც ხელს აწერდა, სხვათა შორის, ივანე მაჩაბელიც. ამოიღო და დადო ეს დოკუმენტი. ამ საკითხშიც ააწევინა ხელები ოპონენტებს, მაგრამ მთავარი ეს ხომ არ იყო, მთავარი ბანკის თემა გახლდათ, ამიტომ გადამწყვეტი რაუნდისთვის ოპოზიცია მაისში აპირებს გამოსვლას. აგერ მოვა მაისი, ბანკის თავმჯდომარისა და დირექტორის არჩევნები და მერე ვნახოთო. ვნახოთ, რა მოხდება მაისში.

მანამდე კი ის განვმარტოთ, რატომ აიგდო ასე სასტიკად ილია ხონელი მისმა სეხნიამ და რატომ უწოდა ის, რასაც ფრანგები ზეროს, ქართველები კი ნულს ეძახიან?

საქმე ის გახლავთ, რომ ამ წლის 26 იანვარს გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე). გაბრიელი თავისი ღრმა ცოდნით (იყო აღიარებული ფსიქოლოგი) ფართო განსწავლულობით, უბადლო თეოლოგობით, სახარების ღრმა კომენტარებით, არაჩვეულებრივი ქადაგებებით, სამშობლოსა და მოყვასის დიდი სიყვარულით, მისაბაძი ცხოვრების წესით, იმავდროულად გაბედულებით, შეუპოვრობით იყო იმდროინდელი (და არა მხოლოდ) საქართველოს შეუვალი ავტორიტეტი (მისი ქადაგებანი გამოცემულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე).

მას თაყვანს სცემდა ყველა შეგნებული ქართველი, მის წინაშე ქედს იხრიდნენ ილია, აკაკი, იაკობი. აი, ასეთი სულიერი მოძღვარი გარდაიცვალა და პატივცემულმა ილია ხონელმა, მიცვალებული ერთი კარგა გამოლანძღა.

აი, ეს იყო მიზეზი, ერთ ფრაზაში რომ დამარხა ილიამ ხონელი, თორემ მანამდეც ჰქონიათ ერთმანეთში უკმაყოფილება და ეპიგრამების გაცვლა, მაგრამ მთლად ასე მანამდე არ გაუმეტებია.

ცხადია, ილიამ ასეთი დიდი მკრეხელობისათვის ეს ერთი ფრაზა არ აკმარა ხონელს და „კავკაზში" გამოქვეყნებული მისი სტატიიდან ბუნდღა არ დატოვა. „სტირის და გლოვობს მთელი საქართველო. მართლადაც უნდა იტიროს და იგლოვოს. დაკარგვაც არის და დაკარგვაც. დღეს საქართველომ დაჰკარგა ერთი იმისთანა დიდებული კაცი, რომელიც არამც თუ ჩვენში, საცა ასე იშვიათია კაცური კაცობა, სხვაგან ყველგანაც საცა დიდბუნებოვანება ადამიანისა ხშირია, იქაც კი ამისთანა კაცი სასახელოა და თავმოსაწონებელი მთელი ერისთვის.

...ვაი, რომ ჯერ როცა ამისთანა კაცი საფლავში არ ჩაგვისვენებია, როცა მისი წმინდა გვამი თითქმის არც კი გაციებულა. როცა მისი კუბო ჯერ კიდევ თვალწინ გვისვენია და ველით საუკუნოდ სახსენებელი ვუთხრათ ცრემლითა და გოდებითა, – ჩვენი რუსული გაზეთი „კავკაზი" გვიგინებს მიცვალებულს, მთელს საქართველოს წმინდა ცრემლში ურევს უწმინდურს დორბლს...

...რაც გინდა იფიქროს „კავკაზმა" ჩვენ კი არავის არ შევაგინებინებთ იმისთანა კაცს, როგორიც ჩვენდა სასახელოდ და სასიქადულოდ მოგვივლინა ღმერთმა..."

მოხდა ისე, რომ ისეთი საშინელი თოვლი ყოფილა ქუთაისში, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა მარტის 10-მდე ვერ მოხერხდა.

როცა გზები გაიხსნა, ქუთაისს მთელი საქართველოდან მიაწყდა ზღვა ხალხი. დაკრძალვის წინა დღეს ჩავიდა ილია თანამშრომლებთან ერთად. ჩავიდნენ აკაკი, ივანე მაჩაბელი, მარშლები, სასულიერო პირები. 10 მარტს ცხედარი ქუთაისიდან გადაასვენეს გელათში. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: თბილისიდან საღამოს გასულნი ქუთაისში დილას ჩავედით და მაშინვე გავემგზავრეთ ეტლებით გელათისკენ. ცოტა თოვლი ჯერ კიდევ იდო გზაზე. იმ დროს ქუთაისის პოლიცმეისტერად იყო ვინმე სიმონიშვილი, რომელსაც ქართველებს შორის ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, დამსახურებისათვის ყველაფერს ჩაიდენსო. ილიას მეგობარს, თბილისის მაზრის უფროსს, ლევან ჯანდიერს შეეტყო, რომ ამ პოლიცმეისტერს თბილისიდან დეპეშა მოუვიდა, რასაც ილია იტყვის, ყველაფერი ჩაიწერე და გვაცნობეო. ჯანდიერმა ეს ამბავი ილიას და დელეგაციის სხვა წევრებს აცნობა. ცხედართან ორატორი ორატორს ცვლიდა. ლევანს ილიასთვის ურჩევია, არ ღირს გართულება და სიტყვის თქმაო. ილიას უთქვამს, ცოტა ხანს კიდევ დავიცადოთ, ცხედართან ახლოს მივიდეთ, გამოვეთხოვოთ და წავიდეთო. „მე წინასწარ მივედი კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხთან, – წერს თაყაიშვილი, – რამდენადმე გავთიშე იგი და ხმა-მაღლა დავიძახე: „ბატონებო, ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით, ბატონს ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა-მეთქი. ერთი სიტყვით „პროვოკაცია" მოვუწყე ილიას!" ილიამ დიდებული სიტყვა წარმოსთქვა ამ წმინდა კაცის სახსოვრად, მსმენელი, ადგილობრივი თუ ჩამოსული მონუსხულნი უსმენდნენ მას. თაყაიშვილის მადლობელი დარჩენილა ამ „პროვოკაციისათვის" ლევან ჯანდიერიც. როგორი კმაყოფილნი დარჩნენ შურტები, მსტოვრები და მათი უფროსები არ ვიცი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ რაღაც ორთვენახევარში, მართალია, სხვა მიზეზით, მაგრამ „ივერიის" გამოცემა 8 თვით აიკრძალება, უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისის უფროსობა ილიათი ძალიან, ძალიან უკმაყოფილო იყო საზოგადოდ.

გაბრიელის დაკრძალვისას ერთი ინციდენტი მოხდა: დავით კლდიაშვილი გვიამბობს: „მწირველი იყო თბილისიდან ჩამოსული ეგზარხოსი ვლადიმერი, ცნობილი ქართველთა მოძულე. მან ერთი მეტად არასასიამოვნო ინციდენტი გამოიწვია გასვენებაზე. როცა სიტყვებს ამბობდნენ, ჯერი მიდგა ქუთაისის სომეხთა ეკლესიის დეკანოზ ტერ დავითზე. მას უნდა ეთქვა სიტყვა. დეკანოზმა კი-

დეც დაიწყო და მოასწრო მხოლოდ წარმოთქმა ორიოდე სიტყვისა, როცა საკურთხევლიდან გამოსულმა ეპისკოპოსმა დადიანმა შეაჩერა იგი.

– მოითმინეთ მამაო, უთხრა მან ტერ-დავითს. – ეგზარხოსმა გთხოვათ სანამ ის გავა ეკლესიიდან, კათედრაზე არ ახვიდეთ, ის ახლავე გავა!

დეკანოზმა იმ წამს მიატოვა კათედრა და გაეშურა კარებისაკენ. ამ დროს ეგზარხოსიც გამოვიდა საკურთხევლიდან და მეორე კარებისაკენ წავიდა. ეკლესიაში შეიქნა ერთი ყაყანი, ატყდა ყიჟინა, ყვიროდნენ ყოველმხრიდან:

– თქვას ტერ-დავითმა სიტყვა, თქვას სიტყვა! ნურავინ უშლით, ეგ არ შეიძლება!

გულმოსულმა ხალხმა მიაყვირა ეპისკოპოზს, რომ მას ნება არა აქვს ასე ირჯებოდეს. ეპისკოპოზი დაიბნა. გაეკიდნენ ტერ-დავითს, სთხოვეს დაბრუნებულიყო და წარმოეთქვა თავისი სიტყვა, მაგრამ მან უარი განაცხადა და თქვა:

– მე ვერავინ დამიშლის წესიერი პატივი ვცე დიდებულ მიცვალებულს და მომავალ კვირას მე ჩემს ეკლესიაში ჩემი მრევლით მუხლს მოვიდრეკ მის წინაშე!"

თითქოს ეგზარხოსის უტიფრობა არ იყო საკმარისი, დავით კლდიაშვილი ჩადის ბათუმში, სადაც ის სამხედრო სამსახურში იყო გამწესებული და ბათუმში გამომავალ გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკში" კითხულობს საშინლად შეურაცხმყოფელ წერილს, რომელშიც გაბრიელის გასვენებაა აღწერილი. ქუთაისიდან ვიღაც რუსის კორესპონდენტი იმასაც იტყობინებოდა, რომ ამ დღეს ქართველებს შეთქმულების მოწყობა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მთავრობამ ადრე გაიგო და ჩაშალაო.

გამწარებულმა დავითმა გაზეთის რედაქტორს, ყოფილ ჯამბაზს თუ ჯამბაზის ძმას (ერთი წყარო ასე ამბობს, მეორე ისე) დაურეკა და აღშფოთებულმა სინდისის, ადამიანობის საჭიროება შეახსენა. აბა იმას ან ერთი სად ჰქონდა, ან მეორე. ადგა და მეორე დღეს გაზეთში გამოაქვეყნა, ვიღაც სამხედრო პირი რედაქტორს უზრდელურად ელაპარაკა და აგინაო. აქეთ მოუნდომა დამუნათება და შეშინება კლდიაშვილს. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი. დავითმა მეორე დღეს 2 სეკუნდანტი გაუგზავნა. დუელში გაიწვია. 48 საათი მისცა. პალმი ისე შეშინებულა, სად ვიცი მე სროლა და ბათქა-ბუთქიო, მუდარით, გადამარჩინეთო, მთელი უფროსობა შეყარა,

ოფიცერთა წინაშე დავითს პატიებასაც ეევედრა და გაზეთით თავზე ნაცრის დაყრასაც შეპირდა. მაგრამ... ლამის მთელი იმპერია ჩაერია, ეს შეშინებული კაცი გაამხნევეს, ბოდიშის მოხდა გაზეთით აუკრძალეს და პრობლემები დავით კლდიაშვილს შეუქმნეს უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობიდან...

●

წინა წერილში ვწერდი, ილია დაძაბული რეჟიმის გამო, ყოველდღიური გაზეთის რედაქტორობას მთელ ენერგიას ვეღარ ახმარს-მეთქი. ეს გაზეთსაც დაეტყო. ტირაჟი 600 ეგზემპლარს ვერა და ვერ გადასცდა. ამის გამო გაზეთი ზარალიანია და მისი ნაწილობრივი დაფინანსება ილიას საკუთარი ჯიბიდან უხდება. სამეურნეო ნაწილი ჩაბარებული აქვს მესტამბე მაქსიმე შარაძეს. მაქსიმეს წლების განმავლობაში, კუთვნილის გარდა, გაზეთიდან ცოტ-ცოტა თანხა მიუთვისებია. ეს ცოტ-ცოტა კარგა დროის შემდეგ უკვე ფულად იქცა. კაციშვილმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და ვერც ვერავინ შეუმოწმებდა, თავად ჰქონდა ნაჩვენები შემოსავალი, გასავალი, ხარჯი, მოგება, წაგება, მაგრამ სინდისი ქენჯნიდა. ერთხელაც გამოეცხადა ილიას და ეს კაპიკ-კაპიკ ნაგროვები არამი თანხა ყურებამდე განითლებულმა წინ დაუდო. ესო, რედაქციის ფულია, მე არ მეკუთვნოდა, ასე იყო და ასეო. ილიას ეს ფული მთლიანად ჩამოურთმევია, გროშიც არ დაუტოვებია მისთვის. ახლა ამაზე რედაქციის თანამშრომელნი შეწუხებულან, ეს ფული ხომ თქვენთვის მაინც დაკარგული იყო. თითქოს ციდან ჩამოგვივარდაო და რატომ მაქსიმეს არაფერი დაუტოვეო.

რატომ და ეს ქურდობის წახალისება იქნებოდაო – მიუგო ილიამ. ასეთი იყო, რაც არ ეკუთვნოდა კაცს, არ შეარჩენდა, მაგრამ რაც სხვისი იყო, როგორც იტყვიან, ურიის ვალს აიღებდა და იმას არ შეირჩენდა.

ამის შემდგომ ამ მაქსიმეს დიდი ნდობა ჰქონდა და სამეურნეო საქმეებს ის განაგებდა, მაგრამ რა ექნა მაქსიმეს, რაც ჰქონდა, იმას ანაწილებდა. ხელფასები ცოტა იყო, ამის გამო თანამშრომლები ხშირად იცვლებოდნენ. მთელი ღამე ვინმე რომ რედაქციაში დარჩენილიყო და გვიან მოსული დეპეშები ეთარგმნა, ასეთი შტატი, უსახსრობის გამო, არ ჰქონდათ. გაზეთი ამიტომ ოპერატიულობის ფუნქციას ჰკარგავდა. მართალია, 1895 წელს რედაქ-

ციას ისეთი ძალა შეემატა, როგორიც ლასხიშვილი იყო, ხოლო 1896 წლიდან „ივერიაში" მუშაობა დაიწყეს კიტა აბაშიძემ და გიორგი ჟურულმა, მაგრამ თავი კაცი მაინც საჭირო იყო, რომელიც გაზეთს ახალ სისხლს გადაუსხამდა. დავით მიქელაძეს, რომელსაც ილიასაგან გაზეთის მოთავეობა ჰქონდა მინდობილი, სიფრთხილე დასჩემდა, ეშინოდა გაუფრთხილებლობის გამო სულ არ დაეხურათ გამოცემა. იმას კი მიაღწიეს ლასხიშვილმა და მიქელაძემ, რომ დეპეშების სათარგმნელად დამატებითი თანხა გამოეყო ილიას, მაგრამ ახალგაზრდა, გაბედულ ლასხიშვილსა და ახლა უკვე ფრთხილ მიქელაძეს შორის, რომელნიც ყოველი მასალის გაშვება-არგაშვებაზე კამათობენ, კონფლიქტი გარდაუვალი ჩანდა. მშვიდობიან დასრულებას იმან შეუწყო ხელი, რომ დავით მიქელაძე, ილიას ძველი მეგობარი, ნებაყოფლობით გაერიდა რედაქციას. დასვენება მჭირდებაო. დავითი უაღრესად პატიოსანი მოღვაწე და დიდი პატრიოტი იყო. გაიხსენეთ, 70-იანი წლების პარიზი, ჟენევა, ქართველთა კონფერენცია, სადაც თუ ვინმე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს აყენებდა, სწორედ მიქელაძე იყო, მაგრამ ამ ახალი მიმართულების ახალგაზრდების აჩქარება აშინებდა. ილიამ ვერაფერი გაანყო, დავითი ქუთაისს გადასახლდა, იქ ბანკის გამგეობაში მუშაობდა და ქუთაისშივე გარდაიცვალა.

გაზეთის მეთაურობა გიორგი ლასხიშვილმა იტვირთა. მაშინათვე შეუდგა „ივერიის" განახლებისათვის ზრუნვას. მუდმივ თანამშრომლად მოიწვია ვასილ წრეთელი. გარეშე ავტორებს, ძველებს, – იაკობ გოგებაშვილს, ნიკო ხიზანიშვილს, ანტონ ფურცელაძეს შემოუერთა ახლები. თხოვნით მიმართა ქუთაისში გიორგი ზდანოვიჩს და ალექსანდრე ნანეიშვილს, ბათუმში გრიგოლ ვოლსკის (უმწიფარიძე) საზღვარგარეთ ვარლამ ჩერქეზიშვილს და ნოე ჟორდანიას, თბილისში გიორგი დეკანოზიშვილს. ყველა ამათგან გიორგი ლასხიშვილს თანხმობა მოუვიდა, ეთანამშრომლათ „ივერიაში".

ალბათ ჟორდანიას მოწვევა გაგიკვირდებათ. საქმე ის გახლავთ, რომ მიუხედავად იმისა, ნოე ჟორდანიას უკვე ჰქონდა „კვალში" ილიას წინააღმდეგ წერილი გამოქვეყნებული, ის ეროვნულ საკითხში იმჟამად მთლად სამშობლოს უარმყოფელად არ ითვლებოდა, პირიქით, თავდაპირველად ნოეს განზრახვა ჰქონია, ახალი პარტია დაეარსებინა, რომელსაც ნაციონალურ-დემოკრატიული

პარტია ერქმეოდა. რაფიელის იუბილესთან დაკავშირებული მისი წერილიც არ ტოვებს არაპატრიოტის შთაბეჭდილებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ილიამ ის რედაქციაში დაიბარა და რედაქტორობაც შესთავაზა. თუ ვისმე ნიჭს დაატყობდა, ყველა ახალგაზრდა მამულის სამსახურში სურდა ჩაეყენებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჟორდანიამ დედა დაიწუნა და დედინაცვლის მზე დაიფიცა. ის მტკიცე მარქსისტი გახდა.

ამ დროისთვის ანუ 1896 წლისთვის კი, როგორც გითხარით, ლასხიშვილმა მოახერხა ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილის შემოკრება. ჟორდანია აპრილისა და მაისის ნომრებში გერმანიიდან აგზავნის და ბეჭდავს 8 ფელეტონს – „პოლიტიკური პარტიები გერმანიაში". მაგრამ „უკვე დაიწყო ბანკის კრებები. მე და გიორგი (იგულისხმება ზდანოვიჩი) წავედით თეატრში „ბანკოვიადის" სერიის საყურებლად, – იგონებს გ.ლასხიშვილი, – ავედით სცენაზე, დავიჭირეთ კორესპონდენტების ადგილები. იმავე წუთს სცენაზე გამოჩნდა ილიაც, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა. – აი, თქვენმა რევოლუციონერობამ უკვე გამოიღო პირველი ნაყოფი: ეს არის ქაღალდი მომივიდა „ივერიის" დახურვის შესახებ.

ადვილად წარმოიდგენთ, როგორ თავზარს დამცემდა ეს ამბავი, როგორ უეცრად მიცრუვდებოდა ყველა იმედი გაზეთის განახლებისა, გაზეთში თანამოაზრე ხალხის შეკრებისა და ახალ მიმართულებით მუშაობისა.

ილია კიდევ ლაპარაკობდა რაღაცას, მაგრამ მე აღარ მესმოდა. მხოლოდ მახსოვს გიორგი ზდანოვიჩმა უთხრა:

– არა უშავს რა, ილია, გაზეთის დახურვასაც და მაგგვარ თავში დაკვრასაც თავისი მნიშვნელობა აქვს ერის გამოფხიზლებისათვის.

– მეტი რაღა დაგვრჩენია, მაგით ვინუგეშოთ თავი! ნაღვლიანის ღიმილით გვიპასუხა ილიამ და მოგვშორდა...

გაზეთის დახურვა მოჰყვა ია ეკალაძის ფელეტონებს. ეს იყო მოთხრობა თბილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდან: ცნობილი რექტორის ჩუდეცკის დროის უმსგავსი რეჟიმის აღწერა, სემინარიელთა არეულობა და სხვა". ეს მოთხრობა ყუმბარასავით გასკდა მაშინდელ მაღალ სასულიერო წრეებში. „ივერია" 10 მაისის ბრძანებულებით, მთავარმართებელ შერემეტიევის ხელმოწერით, დახურეს. რაფიელ ერისთავს ჯერ საყვედური გამოუცხადეს, შემდეგ აიძულეს სამსახურიდან წასულიყო. „ივერიის" ბოლო ნომერი 17 მაისს გამოვიდა და გამოცემა 8 თვით შეწყდა.

ასე იქცა მაოხრებელ გზირად ეს ჩუდეცკი და ეგზარხოსი პავლე. აქ იყვნენ, – დაგვაქციეს! წავიდნენ და (ერთი საიქიოს, მეორე ყაზანში) აგვაოხრეს!..

●

1896 წელს კულმინაციას მიაღწია ბანკობიადამ და ამ წელს ეს ხანგრძლივი ბრძოლა დასრულდა კიდეც. თბილისის ბანკი გადაურჩა იმას, რაც ქუთაისის ბანკს მსგავსი მოვლენების გამო თავს დაატყდა. იქ რევიზიამ მძიმე შეცდომები უპოვა ხელმძღვანელობას, რის გამოც ბანკის ახალი ხელმძღვანელობა სახელმწიფომ დანიშნა და დამფუძნებლები პირშიჩალაგამოვლებულნი დატოვა. ილიას ბანკში პეტერბურგის რევიზიამ მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინა, მაგრამ ის, რაც ერთმანეთს დამართეს მებრძოლმა მხარეებმა, სალაპარაკოდ დიდხანს გამოჰყვა ჩვენს ისტორიას. ბანკობიადის ბოლო სხდომების შესახებ ყველაზე სრულყოფილი მოგონება ეკუთვნის იაკობ მანსვეტიშვილს. საჭიროდ ვცანი სრულად წარმოგიდგინოთ ეს მოგონება, ვინაიდან ვერც ერთი მემატიანე ისე ნათელ სურათს ამ ბრძოლების ბოლო აკორდისა ვერ დახატავს, როგორც ეს იაკობმა მოახერხა, როგორც თვითმხილველმა (ასევე 1924 წელს პირდაპირ დრამატული მოგონება დაწერა ზაქარია ჭიჭინაძემ).

„ვუბრუნდები მაჩაბლისა და ილიას ბრძოლის ამბავს, მაგრამ ჯერ ერთი პატარა ამბავი მინდა გავიხსენო. ბანკის მრავალრიცხოვან კრებებზე დიდის ხალისით და გულმოდგინებით ესწრებოდნენ ჩვენთვის უკვე ცნობილი ინგლისელები, და-ძმანი უორდროპები. რაც კი ქართველთა ცხოვრებას შეეხებოდა, ყველას ერთგულად თვალყურს ადევნებდნენ.

ერთ კრებაზე თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა მუხრანსკიმ გამოუცხადა დამსწრე საზოგადოებას: ხვალ დიდი სადღესასწაულო დღეა და ყველანი პარაკლისზე უნდა დავესწროთ სიონში და, რომ დრო არ დავკარგოთ, დილის სრულ ცხრა საათზე მობრძანდებით კრებაზე, თერთმეტ საათამდე საქმეს ცოტა წინ წავწევთ და მერე აქედგან ყველანი ერთად სიონში წავალთო. ქართველ კაცს დაპირება ხომ არასოდეს გაუჭირდება, თქვენ დანაპირის ასრულება მიბრძანეთ! მეორე დღეს ბანკის თანამშრომელნი და თავმჯდომარე დილის ცხრა საათზე უკვე თეატრში ვიყავით ჩვენ ალაგას. გა-

ვიხედ-გამოვიხედეთ, თეატრი სრულებით ცარიელია. ადამიანის ჭაჭანება არა სჩანს. უცბად ერთი ლოჟიდან ჩუმი ლაპარაკი მოგვესმა: ლოჟაში უკვე სხედან ჩვენი ნაცნობი და-ძმა უორდროპები. ვერ მოვითმინე, რომ ჩემი გულისთქმა არ გამომემჟღავნებია და ვუთხარი თავმჯდომარეს: აი აშკარა, თვალსაჩინო მაგალითი ინგლისელების კულტურულობისა და ჩვენი უკულტურობისა. ითქვა ცხრა საათზეო და ეს ერთი თქმა საკმარისი იყო, რომ ესენი დროზედ თავის ადგილას ყოფილიყვნენ. როდის ძლივ-ძლიობით, ერთი ოციოდე კაცი მოგროვდა, მაგრამ ისინიც მალე დაიფანტნენ და კრება არ შესდგა.

მაჩაბელს ვადა გაუვიდა სამსახურისა. კრებაზე ხელახლად არჩევანი უნდა მომხდარიყო. შეიქმნა ბრძოლა ულმობელი, უკანასკნელი, ბედის გადამწყვეტი, ვინ დარჩებოდა ბანკში, ილია თუ მაჩაბელი. ილიას მომხრეები საქვეყნოდ აცხადებდნენ: თუ მაჩაბელი ხელახლად ამოირჩიეს, ილია ბანკს თავს დაანებებსო. ვნებათა ღელვამ უკიდურეს მწვერვალს მიაღწია. ორთავე მხარემ გაშალეს თავიანთი დროშები, შემოკრბნენ ძალნი, ძალნი ცისანი და ჯოჯოხეთ-ბნელეთისანი, ძალნი ზესკნელნი და ქვესკნელნი. ერთმანეთს აღარა ზოგავდნენ. აღარ იყო არავის შეწყალება, შებრალება. ილია გრგვინავდა, სჭექდა და ქუხდა. მაჩაბელი ფიცხობდა, თრთოდა, ნერვებაშლილი დედაკაცივით ჟინიანობდა.

ილიამ ხელგაშლით გამოამზევა სრული სიდიადე და ძლიერება თავისის ბრწყინვალე ქართული ენისა, გონების სიფხიზლე და გამჭრიახობა. ელვასავით გამოჰკრთებოდა მისი მოულოდნელი ლამაზი შედარება, მოსწრებული სიტყვა, რომელიც ყველას, მომხრეებსაც და მოწინააღმდეგესაც, ჰხიბლავდა, სიამოვნების ღიმილს ჰგვრიდა ტუჩებზე. მაჩაბელი არა ნაკლებ ენამზეობდა ქართულში. ამისი ლაპარაკი მჩქეფარე, მოჩუხჩუხე წყაროს მოგაგონებდათ. მისი სიტყვა შინაარსიანი იყო, მდიდარი ბანკის საქმის ცოდნით, მაგრამ ფერადობა აკლდა. ამისი სიტყვა უცვლელად ერთ კალაპოტში მიმდინარეობდა, ყურს ხან აყრუებდა, ხან აბრუებდა, ცოტად ძილსაცა ჰგვრიდა. მაჩაბელს არ ეხერხებოდა ილიასავით მოხდენილი მიხვრა-მოხვრა, ხმისა და სიტყვის მიმდინარეობის შეცვლა, რომ მსმენელთათვის მოწყენილობა არ შეემჩნევინებინა, მათი ყურადღება არ დაედუნებინა. მაჩაბელი სრულებით მოკლებული იყო უნარს სხვადასხვა ორატორული ფანდები ეხმარა. ილია სიტყვას დროზე მოაყრიდა მარილს, პილპილსაც არ დააკლებდა,

რაც მსმენელს სიფხიზლეს მატებდა, სმენის მადას უღვიძებდა. ილიას, რაც უნდა ცეცხლი დატრიალებულიყო მის გულში, შეეძლო, თუ გარემოება მოითხოვდა, გარეგნობით არ ეჩვენებინა. მაჩაბელი, პირიქით, გულის ვარამს ვერა ჰფარავდა, თავს ვერ იჭერდა, თრთოდა, ღელავდა, შფოთავდა, სახე გაუფითრდებოდა, და ხმა ისტერიულ კივილად გადაექცეოდა ხოლმე. ეს მეტად ხელს უშლიდა მაჩაბელს და მისი სიტყვა არა–სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. ილია წყნარად, დინჯად იჯდა, მოთმინებით უსმენდა მოწინააღმდეგეს, თვალ-ყურს ადევნებდა ყველაფერს და წამოდგებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხედავდა, რომ ხმის ამოუღებლობა არ ივარგებდა. მაჩაბელი მოუსვენრად იჯდა, ჰბორგავდა ყოველ სიტყვაზე, მის წინააღმდეგ მიმართულზე, თუნდა ეს სიტყვა უმნიშვნელოც ყოფილიყო, ფიცხლავ წამოვარდებოდა საპასუხოდ, თითქოს ელექტრონის მავთულები აქვს ტანში გაყვანილი და ელექტრონის ნაკადი მოსვენებას არ აძლევს და ახტუნებსო.

ილიას და მაჩაბლის დაფნის გვირგვინები მოსვენებას არ აძლევდნენ სხვებსაც, რომელნიც თავიანთ თავს დიდ ორატორებად სთვლიდნენ, ჩაჰბერეს სტვირის გუდას, მოხსნეს პირი და წარმოსქდა დაუსრულებელი ლაპარაკის ნიაღვარი. ნამდვილი წარღვნა იყო. სრული ოცდარვა დღე გაგრძელდა ეს წყლის დენა. ბანკი ვიღას აგონდებოდა. ბანკიც და მისი საქმეებიც ყველას მიავიწყდა. ჭირვეულობის ჟინმა გაიტაცა ყველა, აბა ვინ ვის აჯობებსო. თუ ვისმე მსესხებელს გაჭირვება ჰქონდა, მოდიოდა და იხვეწებოდა: ჩემი საქმე ააჩქარეთო, ფული მჭირიაო. მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ესეც დადგებოდა, დაუგდებდა ყურს, არ ესმოდა რაზე ჩხუბობდნენ, რაზე იმტვრევდნენ თავ-პირს, ქვას მიაგდებდა, თან ამ სიტყვებს მიაყოლებდა: თავშიაც ქვა გიხლიათ და გულში ლახვარიო, და გასწევდა ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში, რომელიც ამავე საქმეს ადგა, როგორსაც ჩვენი ბანკი. ჩვენი მეტოქე იყო და უხაროდა ჩვენი მამლაყინწობა, ჩვენს ანთუბულ კოკონაზე ხელს ითბობდა. ჩვენები კი განაგრძობდნენ თავიანთ საქმეთა საგმიროთა: ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ.

მერე რა ჰქონდათ ამდენი სალაპარაკო? იმის წინად სამინისტროს რევიზია მოხდა ბანკში. ბოროტმოქმედება, დიდი უწესობა, რასაკვირველია, არაფერი უპოვიათ, ამ მხრივ ილიას მმართველობა უმწიკვლო იყო. წვრილმანი ნაკლულევანება კი, როგორც საქმის წარმოებაში, ისე საზოგადოდ საბანკო ოპერაციებში, ბლომად

აღნიშნეს. აი ეს დაიხვიეს ხელზე ილიას მოწინააღმდეგეთ და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ. ჩიტი ბრდღვნად არ ღირდა, დევნა მეტი იყოვო, – სწორედ ამაზე ითქმოდა.

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვის მასალა იყო, თავი და თავი კი ის გახლდათ, რომ რაიმე საბუთი ეშოვნათ ილიასათვის კლანჭის გამოსაკრავად. მადლობა ღმერთს, ლაპარაკის მასალა მაინც მიეცათ. და ამოიდგა ყველამ ენა. ლაპარაკობდნენ ისეთებიც, რომელთაც ენის ზადი ჰქონდათ და პირში ენას ძლივს ატრიალებდნენ. არა ლაპარაკობდნენ კი, რაღაცას ლუღლუღებდნენ. ლაპარაკობდნენ სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი, გამოწკეპილი ვაჟბატონები, რომელთაც ბანკიც და ქართული საქმეც ფეხებზე ეკიდათ. მაშ ვინ ატანდა ძალას, რად იწუხებდნენ თავს? აბა შეგეხედნათ: ლოჟები გავსებული იყო ქართველ წარჩინებულთა ქალებით და მანდილოსნებით. ხვალ ეს ბრწყინვალე ორატორი მივიდოდა იმათ ოჯახში სადარბაზოდ და თავმოწონებით იტყოდა: როგორ მოგეწონათ გუშინდელი სიტყვა? ხომ კარგი მათრახები გადავკარი იმ ცუნცრუკა მაჩაბელს?

სთქვა სიტყვა, და მგონი ორჯელაც, ჩვენმა მკვეხარა, მოტრაბახე ორბელიანმაც. იმის ლაპარაკში რიხი დიდი იყო, ლამაზი სიტყვების რახა-რუხიც ბევრი იყო, ხოლო კარგად რომ გასცხრილავდი და გასწმენდდი, ხედავდი, რომ შიგ ფარსაგი ბევრი არაფერი ეყარა, და იტყოდი: ვიხილე ნათქვამი შენი, ხოლო შიგ ვპოვე ვერა-რა.

საკმარისი იყო ერთ ვისმე თავზე ხელ-აღებულს წამოესროლა რაიმე წინდაუხედავი სიტყვა, რომ ამტყდარიყო ყვირილი, ხმაურობა, ყიჟინი, ატეხილიყო ერთი ყოფა, ჩოჩქოლი, ერთმანეთზე მიწევა, მანამ ერთი ვინმე გონიერი არ ჩაერეოდა საქმეში და არ დაამშვიდებდა ამ აღელვებულ ხალხს. რომ ამდგარიყავით და მიგემართათ ამ მყვირალა ხალხისათვის პუშკინის სიტყვებით: „О чем шумите вы, народные витьи?“ მერწმუნეთ, ბევრი ვერ მოგცემდათ პასუხს, რადგან თითონაც არა უწყოდნენ, რასა იქმოდენ.

დიდი გახრწნილება და ზნეობის დაცემა გამეფდა ჩვენს საზოგადოებაში. ერთსაცა და მეორე მხარესაც აუარებელი ხალხი ჩამოერეკათ სოფლებიდან, ქალაქებიდან და ეთქვათ: შენ ჭავჭავაძისტი ხარ, შენ მაჩაბელისტიო და აბა ეცადეთო. ესენიც ცდილობდნენ: რასაც ჭავჭავაძე თუ იმისი მომხრეები იტყოდნენ, ის მაჩაბელისტებს არ მოსწონდათ, და პირიქით, თუნდაც ჭკვიანური, მიუდგომელი რამ ეთქვათ, სულ ერთი იყო: რაკი ჭავჭავაძემ სთქვა,

მაჩაბელისტებს უნდა დაეწუნათ, და აგრეთვე მაჩაბლის ნათქვამი ჭავჭავაძისტებს არ უნდა მოეწონათ. ასე უთხრეს და რა ექნათ ამათაც. პურის ჭამაში კი, ღვთის წინაშე, გულუხვი მასპინძლები იყვნენ ორივე მხარე. ნამდვილი ქართული პურადობა გამოიჩინეს, არასა ზოგავდნენ. ქართლელებისათვის რაღაცა კლუბი თუ საზაფხულო თეატრი ჰქონდათ დაქირავებული, იქ ბინადრობდნენ. ვერც კახელები დაემდურებოდნენ თავიანთ ბედს. ესენიც კარგად იყვნენ დაბინადრებულნი. ახლად ჩამოსულნი, გუშინ რომ დაცვეთილ-დაგლეჯილები დაიარებოდნენ, დღეს ახალ ფეხსაცმელებში გამოწყობილნი და ახალ, კოხტად ჩატეხილ ქუდებში დადიოდნენ ყელმოღერებულები. ვინ იხარჯებოდა ასე უხვად, ვისი ჯიბიდან ამოდიოდა ფული? ეს ჩვენ შორის დარჩეს: მეჭორეები ვინ იცის, რა ხმებს არ ავრცელებდნენ, მაგრამ განა ამათ დაეჯერებათ რამე?

დრო მიდიოდა, ყველანი მოიღალნენ, ტანში მოიშალნენ. ცოტაოდენი რამ საკმარისი იყო, რომ ატეხილიყო ერთი ალიაქოთი, ჩოჩქოლი, აურზაური, ერთმანეთზე მიეწიათ და იარაღისათვის ხელი წაევლოთ. ვაგლახ-ორატორები კი არ აყენებდნენ თავიანთ გრძელ ენებს და ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ. ამათ სრულიად დაავიწყდათ, რომ მათ გვერდით ისხდნენ არა–მოლაპარაკენი და ტკბილად ამთქნარებდნენ. ამ უკანასკნელთ მოსწყინდათ უთავბოლო, გაუთავებელი ენათა ბრგვევა, სიტყვების რახა-რუხი, მოჰბეზრდათ ქალაქში უსაქმოდ ხეტიალი იმ დროს, როდესაც შინ ოჯახი და მამული უპატრონოდ იყვნენ დარჩენილნი.

აქ ერთი გარემოება უნდა აღვნიშნოთ. ილიას თვალი და ყური სულ პარტერისკენ ეჭირა, გამოწკეპილ ორატორებს თვალები სულ ლოჟებისკენ ჰქონდათ მიბრეცილი. ყველას დაავიწყდა, რომ თეატრში არის კიდევ ქანდარა, სადაც თავი მოეყარა მოზარდ თაობას, მოსწავლე ახალგაზრდობას და სულგანაბულნი თვალყურს ადევნებდა თუ, როგორ იშლებოდა, ვით ძაფის გორგალი, დრამა ილიასა და მაჩაბელს შორის. წარმოიდგინეთ, ეს ახალგაზრდობა მაჩაბელს უფრო მეტ თანაგრძნობას და სიყვარულს უცხადებდა, ვიდრე ილიას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქიდგან ხშირად მოისმოდა ხოლმე სტვენა და უკმაყოფილების ხმაურობა, მეტადრე როდესაც ილია მეტი სიმკაცრით და გაუკითხავად დააცხრებოდა ხოლმე მაჩაბელს, როგორც გაალმასებული ქორი ნიწილას. მეტადრე კარგად ჩამახსოვდა შიო ჩიტაძე, რომელიც მაშინ სემინარიის მონაფე იყო. არ დამავიწყდება იმის აღგზნებული, ცეცხლივით გაელვარე-

ბული თვალები, რომელნიც გაშმაგებით დაშტერებოდნენ ილიას. თვალი ისე ჰქონდა თვალში გაყრილი, როგორც გაონავრებულ ფუტკარს ნესტარი. იფიქრებდით, ეს-ეს არის დაეცემა ილიას, გაჰგლეჯს და გადაჰყლაპავსო. მიკვირს, ილიას მარჯვე თვალს და მახვილ ყურს როგორ გამოეპარა ეს გარემოება, და არა ილონა რა, რომ ცოტა მაინც მოელბო და მოეზიდა ახალგაზრდობის გული. ილიამ ალლო ვერ აუღო ამას, პირიქით, უფრო მეტის ახირებით და დაჟინებით განაგრძობდა თავის სიმკაცრეს და სისასტიკეს მაჩაბლის მიმართ.

იქნება აქ უნდა ვეძიოთ ჩანასახი იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც წიწამურის გოლგოთით დასრულდა. ნუ დაივიწყებთ, რომ მაშინდელი ახალგაზრდობა, მეტადრე სემინარიელები, ძველი წესწყობილების წინააღმდეგ მებრძოლნი იყვნენ და მებრძოლთა ბანაკში იყო შიო ჩიტაძეც. ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ამ ჩიტაძეზე. შიო ნიჭიერი და მხნე მოღვაწე იყო, 1905 წ., როდესაც, პირველ რევოლუციონერულ მოძრაობის ჩაქრობის შემდეგ, ტფილისში დანავარდობდა და მძვინვარებდა ცნობილი პოლიციის უფროსი მარტინოვი, ჩიტაძე ქართულ გიმნაზიის გამგედ იყო. ერთხელ მარტინოვი ყაზახებით გზად მიდენილა და გიმნაზიის შენობას რომ დაუახლოვდა, შენობიდან ვილაცას ყუმბარა გადმოეგდო და მარტინოვი დაეჭრათ. ყაზახებმა თოფის სროლა ასტეხეს. ჩიტაძეს მოენდომებინა შეეტყო, რა თოფის სროლაა, რა მოხდაო და მეორე სართულის ფანჯარას გადმოეყუდა თურმე. ყაზახებმა ეს რომ დაინახეს, ეგონათ, სწორედ ეს იქნება ყუმბარის გადმომგდებიო და ეტყობა, ხელახლად კიდევ აპირებს გადმოგდებასაო, ამიტომ მაშინვე თოფები ზედი-ზედ დააყოლეს და მოკლეს, ასე რომ ფანჯრიდან ადგომაც ველარ მოასწრო.

ეხლა ვიკითხოთ, რა იყო მიზეზი, რომ ახალგაზრდობა ასე მტრულად უყურებდა ილიას? მე მგონია, აქ ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური მოვლენაა. ვთქვათ, ქუჩაში მიდიხართ და დაინახეთ, რომ დიდი პატარას სცემს, ღონიერი უღონოს სჩაგრავს. თუ გული გაქვავებული არა გაქვთ, უსათუოდ პატარას, სუსტს, უღონოს გამოესარჩლებით, განუსჯელად იმისა, მართალია იგი თუ მტყუანი. რასაკვირველია, ამას ისიც ემატებოდა, რომ ილიას სთვლიდნენ ძველ წესრიგის დედა-ბოძად და მის ძალ-მომრეობას, მის ამხედრებას მაჩაბლის მიმართ იმას აწერდნენ, რომ ეს უკანასკნელი უფრო ახალი ცხოვრების მომხრეაო. რამდენად მართალი იყო

ასეთი შეხედულება, ჩვენ ამის კვლევა–ძიებაში არ შევდივართ, ვიმეორებთ, ჩვენ ამას აღვნიშნავთ აქ, როგორც ფსიქოლოგიურ მომენტს.

ეხლა კი თვით ენა–დაგრძელებული ორატორებიც მოსტყდნენ, მოიღალნენ, ქანცი გამოელიათ. ხალისი აღარა ჰქონდათ ლაპარაკისა, მხოლოდ ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, უბრალო რამ სიტყვა, წამოცდენილი ნათქვამი, საკმარისი იყო, რომ ერთმანეთს წაჰკიდებოდნენ, ხმა აღემაღლებინათ. ახლა ამათ დამქაშები ბანს მისცემდნენ და ატყდებოდა ერთი ორომ–ტრიალი, აჰყვებოდნენ ასე და აღარ დაწყნარდებოდნენ, მანამ საქმე ძალადობაზე, იარაღით შეტევაზე არ მიდგებოდა. და აკი იარაღიც მიჰმართეს კიდეც. ეს ასე მოხდა.

კრების თავმჯდომარეს, რომელიც მაჩაბლის დიდი მომხრე იყო და ჭავჭავაძის მომხრეთ კი, ცოტა არ იყოს, მიდგომით ეპყრობოდა, ზედამხედველი კომიტეტის წევრმა, ჭავჭავაძის მომხრემ, რაღაცა შენიშვნა მისცა შეუფერებელი, უშვერი კილოთი. თავმჯდომარემ ეს იწყინა, იუკადრისა და მიჰმართა თავის მომხრეთ:

– რას უყურებთო?

აქ წამოხტა თავის ადგილიდან პარტერში კოლა ორბელიანი და რევოლვერით ხელში გამოექანა სცენისაკენ, სადაც ზედამხედველი კომიტეტი იჯდა, თან გამოჰყვნენ სხვებიც იარაღზე ხელ–წავლებულნი. ამავე დროს სცენაზე საიდგანაც, თითქოს მიწიდგან ამოძვრაო, გაჩნდა თავზეხელაღებული ლელო ანდრონიკაშვილი და ხანჯალ ამოწვდილი გაეგება კოლა ორბელიანს. უსათუოდ უბედურება დატრიალდებოდა, რომ ამ დროს კორესპონდენტების ადგილიდან არ წამომხტარიყო მარდი დათა მიქელაძე (მწერლობაში ცნობილი „მეველეს“ ფსევდონიმით) და შუაში არ ჩასდგომოდათ.

– ბატონო, – მოუბრუნდა ორბელიანს, – მიბრძანდით თქვენ ალაგას, როგორც ვხედავ, თქვენ იარაღის ხმარება არ გცოდნიათ!

ეს ისეთი დინჯის და თან მტკიცე კილოთი იყო ნათქვამი, რომ დარცხვენილი ორბელიანი უსიტყვოდ უკან დაბრუნდა. მართლაც და ორბელიანმა აქაც ჩვეულებრივი სიმჩატე გამოიჩინა, აბა რომელი ჭკვიანი კაცი იზამს ამას, აუღია ხელში რევოლვერი და ამოდენა გზას მოდის მუქარით. არა, ის, ვისაც ეს ემუქრება, კუტი იყო, ბრმა, რომ დროზე ღონე არ მიეღო და თავისთვის არ ეშველა?! ამისთანებში დათა მიქელაძე კარგად იყო გამოცდილი და აკი ამიტომაც დასცინა ორბელიანს, ხმარება არ გცოდნია იარაღისაო.

ეს შემთხვევა ბრმასაც კი თვალს აუხელდა და აქ კი თვალხილულნიც, თითქოს განგებ, თვალებზე ხელს იფარებდნენ და არაფრის დანახვა არ უნდოდათ. მეტადრე მაკვირვებდა ილია: კარგად ჰხედავდა, რომ ურემი დიდს დაღმართს დაეშვა, თავს ვეღარ უჭერს, საცაა კლდეში გადაიჩეხება და დაიმსხვრევა. მაგრამ ილია წარბსაც არ იხრიდა, შეაგდო ქვა და შეუშვირა თავიო, სწორედ ამაზე ითქმოდა, აჰყვა თავის ჟინიანობას, სრულიად დაემორჩილა თავის გულისთქმას და ამას იქით აღარას ჰხედავდა, აღარა ახსოვდა რა. თითქოს მაჩაბლის ყოფნა–არყოფნაზე იყო დამოკიდებული მთელი „ქართვლის ბედი". ამას რომ ვხედავდი, ცხადად გავითვალისწინე ჩვენი ქართული ისტორია. აი თურმე რა და ვინ ყოფილან ჩვენი დამღუპველნი. ეხლა მესმის, დღესაც წყევლით და კრულვით რად იხსენიებს ჩვენი ხალხი ასეთ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ ზურაბ წერეთელი, ნუგზარ ერისთავი, ამილახვრები და ბევრნი სხვანი ამათგვარნი!

მამლები რომ წაძიძგილდებიან, ერთმანეთს ვეღარ მოჰშორდებიან, ან წყალი უნდა დაასხა, ან მაგარი ჯოხი უნდა არტყა, რომ ისინი გააშველო. ასე მოუხდათ ჩვენი ბანკის მამლაყინწებსაც. ადგილობრივმა მთავრობამ, ცხადია, იცოდა, თავისით, თუ ვისიმე დასმენით, რაც ბანკის კრებაზე უმსგავსობა და უწესობა ხდებოდა. ამ კრებაზე გამოცხადდა პოლიციის უფროსი თავის თანამხლებლებით და ასე უთხრა თავმჯდომარეს: ჩვენამდე მოაღწია ამბავმა, რომ აქ, კრებაზე რაღაც არეულობა და უწესობა ხდება, ეს დაუშვებელია, გთხოვთ, ამ ორ სამ დღეში თქვენვე დაამთავროთ კრება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თითონ დავხურავთ, და თუ აქ მოხდა რამე მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრებათო.

ამ თავზე ლაფის დასხმას ელოდნენ, ეს სირცხვილი უნდა ეჭამათ, რომ ჩვენი „ბრწყინვალე", წარჩინებული გვარის კაცნი გონს მოსულიყვნენ. საჩქაროდ მიაფუჩეჩეს საქმეები და შეუდგნენ ამ კომედიის თუ დრამის უკანასკნელ მოქმედებას, იმას, რისთვისაც თითქმის მთელი თვე თავს იმტვრევდნენ, ე.ი., არჩევნებს, კენჭაობას. ამ კენჭს უნდა გადაეწყვიტა ილიასი და მაჩაბლის გაუთავებელი დავა, ე. ი. ვინ უნდა იყოს ბანკში: ჭავჭავაძე თუ მაჩაბელი.

ორთავე ბანაკმა ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი თავის საკენჭაოდ მომზადებულ რაზმებს, დათვალეს, ანგარიში ჩააგდეს, ივარაუდეს და ნახეს, რომ არ კმაროდა, – სოფლად თუ ქალაქად დარჩენილი სათადარიგო ძალებიც უნდა მიეშველებინათ. აფრი-

ნეს სანდო კაცები და ჩამორეკეს ქართლიდან რკინის გზით, ტი-ვებით, ცხენით თუ ფეხით საჭირო ძალები. კახეთიდამაც მოაშვე-ლეს. მხოლოდ არ ვიცი რა გზით, რადგან მაშინ იქით რკინის გზა არ იყო და სატივე გზა ხომ არასოდეს ყოფილა. რამ არივ-დარივა მებრძოლთა ანგარიშები, რად მოუნდათ ასე სასწრაფოდ მეშველი ძალები? აი რად.

ამ კრების დროს თავი იჩინა ახალმა ჯგუფმა, ახალგაზრდე-ბიდგან შედგენილმა, ესრედ წოდებულმა „ნეიტრალმა" ჯგუფმა. როგორც თითონ სიტყვა ნეიტრალიდგან სჩანს, ამ ჯგუფმა თავის მოქმედების საგნად დაისახა ნეიტრალობა, ე.ი. სრული მიუდგომ-ლობა, ან და მომხრეობა იმისი, ვისაც სიმართლე მიუძღვის. მაგრამ სიტყვა–სიტყვაა, საქმე კი სხვაა, მალე ტყავი იბრუნეს და გვიჩვე-ნეს თავიანთი ნამდვილი ბუნება: ამისიც იყვნენ, იმისიც, აქეთაც იყვნენ, იქითაც. ამ ჯგუფს მეტ სახელად პეიტარები დაარქვეს. კარგი გაგეშილი მეძებარივით სუნს იღებდნენ, ეძებდნენ, სად უფ-რო მეტი გამოსარჩენი იქნება, სად უფრო მეტი ძალაა. ჩქარაც მიაგნეს: ილია და მისი პარტია უფრო მძლავრი იყო, უფრო საიმე-დო და ეს ჯგუფიც ამათ მიემხრო, თუმცა პირველად ბევრი მათგა-ნი უფრო მაჩაბელს თანაუგრძნობდა.

მახსოვს, ერთ სადილზე, რომელსაც მაჩაბელიც დაესწრო, ერ-თმა ამ ჯგუფიდან სიტყვით მიჰმართა მაჩაბელს და თითქმის სიყ-ვარულს და სრულ ერთგულებას უცხადებდა. არ გასულა სულ ერ-თი კვირა, რომ იგივე პიროვნება ვნახე მოლაპარაკე მეორე ალა-გას, სადაც ჭავჭავაძე იყო. ახლა ამას ულაქუცებდა და მაჩაბელს წიხლსა ჰკრავდა. ჩემი თვალით რომ არ მენახა და ჩემი ყურით არ მომესმინა, არ დავიჯერებდი. რაც უნდა იყოს, ასეთს ცვალებადო-ბასაც, ასეღ წაჯექ-უკუჯექობასაც დიდი ნიჭი უნდა. მერე, ხელთ რომ ჩავიგდე მარტოდ, დავეკითხე:

– კაცო, რას ლაპარაკობდი, ეგ სადაურია-მეთქი, ეგ ხომ ხან ისე და ხან ასე გამოდის.

– შენ ჩუმად იყავ, მერე ყველაფერს გაიგებო, – მიპასუხა.

მართლაც გავიგე და არა მარტო მე, სხვებმაც ბევრმა გაიგო. ყი-ზილბაშობა და ოინბაზობა ამ ჯგუფს, ეტყობა, კარგად შეესწავლა და შეეთვისებია. მალე ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ესენი ჭავჭავაძის ყურ-მოჭრილნი ყმანი არიან. მაგრამ ილიას ძვირად დაუჯდა ამათი მოყმეობა: ყმანი აღმოჩნდნენ ორგულნი და ვერაგნი. თითონ ამ ჯგუფ-მა კი კარგი სასყიდელი მიიღო ამ ვერაგობისათვის: ერთმა დირექტო-

რიბა მიიღო ბანკში, ორნი ზედამხედველ კომიტეტის წევრებად იყვნენ არჩეულნი და ერთსაც კიდევ კაი სუბსიდია მიეცა კვირეულ თუ ორ-კვირეულ სამეურნეო ჟურნალის გამოსაცემად. ჯგუფი სულმთლად, მგონი, ორმოცი კაცისაგან შესდგებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ სასწორის ულელი ერთ მხარეს გადიხაროს, აი ეს იყო მიზეზი, რომ მაჩაბლისტები დაფაცურდნენ და მეშველი ძალები მოიწვიეს.

არჩევნების დროც დადგა, დაიწყო კენჭების რახა–რუხი. ენების მაგიერ დაიწყო მუნჯი კენჭების ღაღადი. ათასამდე კაცს უნდა ჩაეგდო კენჭი, მერე ისიც შვიდ თუ რვა ყუთში, რადგან მაჩაბელს გარდა, საარჩევნო ყუთები ედგათ დამფასებლებს და ზედამხედველ კომიტეტის წევრებსაც. ამას, რასაკვირველია, დიდი დრო მოუნდებოდა, მართლაც და დილით დაიწყო კენჭის ყრა და თითქმის შუადღემდე იყო მიტანებული, რომ გათავდა, დათვლა ყოვლად შეუძლებელი გახდა, ღამე უნდა გაეთენებინათ, ამიტომ დათვლა მეორე დღისთვის გადაიდო, კენჭის ყუთებს ყარაულები დაუყენეს და დაიშალნენ.

დაიშალნენ, მაგრამ მაინც კენჭებს გარშემოსტრიალებდნენ, ბჭობდნენ, ანგარიშობდნენ, მაჩაბელი გავა თუ არაო. მაჩაბლის ერთმა თავგადადებულმა მომხრემ, გადარეულმა კიკო ჩოლოყაშვილმა ყური მოჰკრა სადღაც, რომ მაჩაბელს ცოტა უჩანს ყუთში თეთრი კენჭიო, და ასტყდა: ეხლავ წავალ, ყუთებს ავურევ–დავურევ, დაპნეულ კენჭებს ავკრებ და მაჩაბლის ყუთში თეთრებს მივუმატებო. რის ვაი–ვაგლახით დააჯერეს, რომ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო. მეორე დღეს შეუდგნენ კენჭების თვლას. მაჩაბელი ხელახლად არჩეული აღმოჩნდა, რასაც მოჰყვა ერთი მხრივ სიხარული და ტაშის ცემა, მეორე მხრივ დაღრემილობა და კბილების ღრჭენა.

ამ დროს სცენაზე წამოდგა ილია, – იღლიაში პორტფელი ეჭირა, ხელში ქუდი, – და მოღლილი, მოწყვეტილი ხმით განაცხადა:

– კარგად მოგეხსენებათ, რომ მე მაჩაბელთან მუშაობა არ შემიძლიან და რაკი ეგ ისევ ამოირჩიეს, მე თავს ვანებებ სამსახურს და ბანკიდან მივდივარო, – და წავიდა.

ეს განცხადება ბევრს ელდასავით ეცა, გაშეშდნენ, მაგრამ მალე გონს მოვიდნენ და დაიწყეს ყვირილი: დავით ავალიშვილი (მეორე დირექტორი) გამოვიდეს აქ და იმანაც უარი განაცხადოსო. ავალიშვილი ორჭოფობდა, ტორტმანობდა, დიდ ხანს გამოსვლას არ აპირებდა: ხომ ვიცი, რომ ეგ სულ ოინებია. ხვალ ილია ისევ ბანკში დაბრუნდებაო. მართლა იცოდა ავალიშვილმა, რომ ილიას წას-

ვლა მხოლოდ თვალთმაქცობა, წინადვე მოფიქრებული და გაწყობილი საქმე იყო, თუ ისე წამოსცდა, – არ ვიცი, მაგრამ შემდეგში კი ეს სიტყვები გამართლდა. ძალდატანებით ავალიშვილი მაინც წარმოსდგა და განაცხადა:

– ბანკი მთელი თვე არ მუშაობდა, აუარებელი საქმე მოგროვდა. დღეს–ხვალ დავალიანებულ მამულებს საჯარო ვაჭრობით გასყიდვა უნდა მოხდეს, ამის გადადება ყოვლად შეუძლებელია, კანონი პასუხისგებაში მიგვცემს. ჭავჭავაძე წავიდა და ეხლა მეუბნებით, შენც წადიო. მერე, ბანკს რაღას ეუბნებით? ნუ თუ ერთი მაჩაბლის გულისთვის მთელი ბანკი უნდა დაიღუპოს? ასეთ ყოფაში ჩემი წასვლა მიუტევებელ დანაშაულად მიმაჩნია, ეს ჩემი მხრივ ღალატი იქნებოდა ბანკის წინაშე. ამიტომ ვრჩები და ჩემს მოვალეობას ისევე მტკიცედ ავასრულებ, როგორც წინად ამისრულებია.

ჯერ არც კი დაემთავრებინა სიტყვა, რომ მიაძახეს: იუდა! იუდა!

ავალიშვილს გაბედულად, დაურიდებლად პირში თქმა უყვარდა სიმართლისა, თანაც ძალიან თავმომწონე, თავმოყვარული იყო და დიდად იწყინა, რომ ერთგულობისა და სიმართლისათვის იუდობა დასწამეს. აშფოთდა, ამრეზდა, წყრომის და რისხვის თვალით უმზერდა კარგა ხანს აღელვებულ ხალხს, მაგრამ აღარა უთქვამს რა, გაბრუნდა და წავიდა.

შეუდგა მაჩაბელი ბანკში საქმის მართვას, მაგრამ საქმე ვერ მოდიოდა. ბანკის წესდების ძალით, ყოველი დადგენილება გამგეობისა კანონიერად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელს აწერდნენ გამგეობის ორი წევრი და თავმჯდომარე. რაკი ილია წავიდა, თავჯდომარე აღარ იყო, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ბანკში შეიძლებოდა მხოლოდ წვრილმან მიმდინარე საქმეების წარმოება, საპასუხისმგებო საქმეები კი სრულიად შეფერხდა. მაჩაბელმა ეს იგრძნო და დაიბნა. ბანკი რომ არ დაღუპულიყო,– იძულებული შეიქმნა, თავი მიენებებინა და სრულიად მოშორებოდა ბანკს.

ილიასა და მის მომხრეებსაც არ ეძინათ, ეტყობა, წინადვე იცოდნენ, რომ ასე მოხდებოდა და, მანამ მაჩაბელი უილაჯოდ აქეთ იქით აწყდებოდა, რომ ბანკის საქმე როგორმე მოეწყო, იმათ მოაწყვეს საჩქაროდ კრება, რომელმაც მაჩაბლის არჩევანი უკანონოდ სცნო და გააბათილა, ხოლო თავმჯდომარედ ისევ ჭავჭავაძე იყო ხელახლად არჩეული. მაჩაბლის მაგიერ მოწვეულ იქნა მისი კანდიდატი.

ამ გვარად, ჭავჭავაძე ისევ დაუბრუნდა ბანკს და დროებით შერყეული მისი ბატონობა ბანკში კვლავ აღდგენილ იქნა."

ის ბრძოლა, რომელიც მაჩაბელმა ილიას ბანკიდან გასაძევებლად წამოიწყო ლოგიკურად დასრულდა. გავა დრო და აკაკი წერეთელი, რომელიც მაჩაბელს უთანაგრძნობდა, თუმცა თვით დარბაზში არასოდეს პოლემიკაში არ ჩარეულა (თუ მივიდოდა, ჯდებოდა მაყურებელთა ლოჟაში), იტყვის ასეთ რამეს – ვანომ ვერ მოზომა შესაძლებლობები, ის იალბუზს ებრძოლებოდაო...

●

მოატანა ილიაობამ. 20 ივლისისათვის ილია განსაკუთრებით ემზადება. სტუმრად ჰყავს „განდეგილის" ინგლისურად მთარგმნელი მარჯორი უორდროპი და მისი ძმა ოლივერი. საგურამოს ახალ სახლში სურს ყველა მის ახლობელსა და პატივისმცემელს მოუყაროს თავი, რაღა თქმა უნდა, რამდენსაც ერთი ლხინის სუფრა გასწვდება.

1896 წლის „ილიაობის" შესახებ ძვირფასი მოგონება დაგვიტოვა ეკატერინე გაბაშვილმა:

„როდესაც ილიამ დიდი და მშვენიერი სახლი აიშენა საგურამოში, სტუმართა რიცხვი დიდათ გაიზარდა. ილიას პატივისმცემელთა, ინტელიგენტთა და ნათესავ-მეგობართა გარდა, ბევრი ხეპრე, შეუგნებელი და არა მცოდნე ილიას ნამდვილი ვინაობის ღირსებისა, მარტო „ილიაობა-ჯვარობაზედ" თავის გამოსაჩენათ, საქეიფოთ მოდიოდა. ერთხელ, მახსოვს სხვათაშორის, ერთი კუდაბზიკა თავადი, რომელიც ჩუსტებით და წელზედ აკვანის თასმით მოჭერილი მინახავს ბანკიდგან ფულის მიღებამდე, ეხლა ბანკის ფულით გამოწყობილი თეთრ ჩერკესკაში და ვერცხლის ქამარხანჯლით შეიარაღებული, ოთხცხენიანი ფაეტონით მოგრიალდა პირდაპირ შუა ეზოში და თავმოწონებით გადმოიღო ეკიპაჟიდან დიდი ბოჩკა „ცოცხალით" და კარგა მოზრდილი ტიკით კახური „კამპანიაში" საქეიფოთ.

როდესაც საქეიფოთ მოსული დავინახე და ვიცან იმაში ჩემი ნათესავი პინპულაძე, კინაღამ დამბლა დამეცა. სირცხვილის ოფლში გავიწურე. იმან კი ჩემს დანახვაზე შეჰღრიალა: „ოჰ, შენც აქა ხარ! კარგი ალაგი ყოფილა მე და ჩემმა ღმერთმა ეს საგურამო, ნამდვილი საქეიფო და სალხინო და თან ვითომ თავის გასაოცარ საოხუნ-

ჯო სიტყვებს ხარხარი დაუმატა. იმ წელს მრავალი ხალხი მოვიდა თბილისიდან, ქუთაისიდან... ილია წინამძღვრიშვილის სკოლა მასწავლებლებით. საგურამოს პატივცემული დარბაისელი გლეხობა. დიდი სამზადისი იყო ამოდენა ხალხის დასახვედრად..."

„ილია თანხლებით ინტელიგენციისა და რჩეული სტუმრებით, დადიოდა მოქეიფე გლეხობის გარშემო, ალაგ-ალაგ ჩაჯდებოდა მათ შუა, ელაპარაკებოდა, მათ სადღეგრძელოს სვამდა. საგანგებოდ მოწვეული მომღერალნი მღეროდნენ „მრავალჟამიერს", „სუფრულს". მე დამავიწყდა მეთქვა რომ იმ დილით...

ორმოცამდე ცხენოსანი, სულ ყმაწვილი კაცები, ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, ხავერდის ქულაჯებით, ძვირფასის იარაღით ასხმულნი, მშვენიერ დარახტულ ცხენებზედ, წყვილწყვილათ, ნელ-ნელა მოდიოდნენ და მგზავრულს მწყობრათ მღეროდნენ. მალე მიუახლოვდნენ იმ გორას, რომელზედაც ილიას სახლი იყო აშენებული და თქარათქურით ამოიჭრნენ ზემოთ, წინ მიუძღოდათ გრიშა აბაშიძე თეთრ ტანისამოსში, თეთრ ცხენზე მჯდომი და ხელში ეჭირა უშველებელი ბაირაღი ალისფერი ატლასისა ოქრომკედის ბაბთით მოვლებული და ზედ ამოკერილის ილიას ლექსით, არ მახსოვს, რომელი ლექსით (ეს იყო სტრიქონები „მეფე დიმიტრი თავდადებული"-დან – ნ.გ.)

„კაცი უნდა კაცად იყვეს
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს!"

მალე ყველანი ბალკონზედ შეიკრიბნენ და აბაშიძემ თავის ოქროპირულის ორატორული ნიჭით სიტყვა მოახსენა და მიულოცა ილიას ახალი სახლის აშენება და დღეობა. როგორც ყოველთვის გრიშას სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალები, მოსამსახურენი, სიხარულით თუ სიტყვის შინაარსით ავტირდით. თითქო ილიასაც თვალები აევსო ცრემლებით, გადაეხვია აბაშიძეს, ჩამოართვა ბაირაღი და დიდის მადლობით რამდენიმე სიტყვა უთხრა მოსულებს. ბაირაღი საჩქაროდ ვიღამაც გაიტაცა და მესამე ეტაჟით ამართულ ილიას კაბინეტის თავზე დაარჭო და დიდებულათ აფრიალდა...

... საერთო სიმღერა და მრავალჟამიერი გაისმა. დიდებული სურათი იყო. ილია მთლად გარინდებული, გარდამეტებული გრძნობით გამსჭვალული, სიტყვას ვერ ახერხებდა ეთქვა, ნხოლოდ ნა-

თელი ედგა იმის ძვირფას სახეს და ნამდვილ კმაყოფილებას გამოსახავდა."

●

იმ წელიწადს ილიას კიდევ ერთ სასამართლოზე გასვლამ მოუწია. გაგიკვირდებათ და რედაქტორს ამჯერად ისეთი დიდებული პიროვნება უჩიოდა, როგორიც თედო სახოკია იყო. უჩიოდა „ივერიაში" დაბეჭდილ – ილიას ერთი თანამშრომლის რეცენზიის გამო, რომელიც ეხებოდა თედო სახოკიას მიერ გამოცემულ აკაკის „ნაკვესებს"

ილია მივიდა სასამართლოზე და დაამტკიცა, ის რაც თედოს აკაკის სახელით ჰქონდა გამოქვეყნებული, შეურაცხმყოფელი იყო თვით აკაკისთვის. ეს მარტივად მოახერხა. იღებს ამა თუ იმ ნაკვესს და სიტყვა-სიტყვით უთარგმნის რუსულად მოსამართლეს. მოსამართლე იცინის, უთარგმნის მეორეს, მესამეს, მოსამართლე ჩაბჟირდება. ლაპარაკია სკაბრეზულ ნაკვესებზე. მოსამართლე იხვეწება შეწყვიტოს კითხვა. ილია არ ეშვება.

თვალნათელი გახდა, რომ ამ ნაკვესების აკაკის სახელით გამოქვეყნება, მათი სკაბრეზულობის გამო, შეურაცხყოფდა თვით აკაკის. აკაკიმაც ეს წერილობით დაადასტურა. ბევრს ისეთ რამეს მომაწერენ, რაც ჩემი ნათქვამი არ არისო. ილია, ცხადია, გაამართლეს. არც სახოკია დამდურებია. ყოველთვის მის პატივისმცემლად და მოყვარულად დარჩა.

1897

ილიას რჩევა ქართველი სტუდენტებისადმი. ახალი მთავარმართებელი გოლიცინი. საიდუმლო გარიგება ცენზორთან. „ივერიის“ აღდგენა. ილიას მიერ კაცის გადარჩენა. მზადება ილიას იუბილესათვის. ილიას წინასაარჩევნო მიმართვა.

ტასო მაჩაბელი

„გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი“.

ილია

კუნძულ კრეტაზე მცხოვრები ბერძნები, კიდევ ერთხელ აუჯანყდებიანოსმალეთის იმპერიას. ამ დასაწყისს ლოგიკურად უნდა მოჰყვეს კითხვა, მერედა ილია ან ჩვენი ქვეყანა რა შუაშიაო? სწორედაც, ბულგარეთის ამბების არ იყოს, აქაც გაფაციცებით ადევნებს მოვლენებს თვალს ილია და თებერვლის დასაწყისშივე წერილს უძღვნის ბერძენთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი ის გახლავთ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები, ანთებული აჯანყებულ ჩაგრულ ბერძენთა მხარდასაჭერად, შეკრებილან და ილიას, ასევე გიორგი წერეთელს წერილებს უგზავნიან, სთხოვენ რჩევას, როგორ მოიქცნენ, დეპეშით ან წერილით გამოხატონ თუ არა თანადგომა აჯანყებულთათვის ქართველი სტუდენტების სახელით. ცხადია, ჩვენს სტუდენტებს ჩვენი ქვეყნის ბედი აწუხებდათ და მიზეზი ბერძენთა თანადგომისა ეს იყო.

სხვათა შორის, გასათვალისწინებელია, რომ მანამდე საბერძნეთის ელჩთან მისულან თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. მას სიფრთხილისათვის ურჩევია, თანაგრძნობის დეპეშას თქვენ ნუ გაგზავნით, მე გადავცემ ჩემს მთავრობას თქვენი სახელითო.

ამ დროს პეტერბურგში სწავლობდა 64 ქართველი სტუდენტი (მათ შორის ერთი ქალი). ამ სტუდენტებს შორის იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გრიგოლ რცხილაძე, ილია ნაკაშიძე, სამსონ ფირცხალავა, იოსებ ბარათაშვილი.

აი, ამათ სათვისტომოს (თავმჯდომარე სამსონ ფირცხალავა) უნდა მისცენ რჩევა გიორგი წერეთელმა და ილიამ. გიორგის მიუწერია, სადაც თავისუფლებისთვის ბრძოლაა, ახალგაზრდა კაცის პატიოსანი გულიც იქ უნდა იყოსო. ცხადია, წერილის ზოგად აზრს

მოგახსენებთ. ილიამ დიდხანს იწვალა და აი, ეს პასუხი დაწერა. გთავაზობთ მას სრულად, რადგან ერთ-ერთი სამაგიდო წერილი ჩვენი დროისათვის ესეც არის:

„წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი [1897წ.აპრილი]

მოწყალეო ბატონებო!

მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩიელი მოითხოვეთ. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უგულითადესი მადლობა ამნაირ, ჩემ მიერ არ დამსახურებულ პატივისცემისათვის. ხოლო ის-კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლ შუა დამაყენა, ერთის მხრით ყოვლად პატიოსანი გულთა-ძგერა თქვენი დამიდგა თვალ წინ, გულთა-ძგერა საქვეყნო, გულთა-ძგერა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილობით აღსავსემ გულთა-ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი დაუდვიათ ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, და გასამხნევებლად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევს [და მინდობიან] ძლიერებას გულისას.

კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ, რომ მოვა დრო, და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა, წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. შეიძლება ამაზედ უდიდესი მაგალითი?! არ მიკვირს, რომ ამის მნახველს ქართველს სტუდენტობას გული ანთებიათ თანაგრძნობით და კვნესით შეჰნატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთვლის. ძნელია კაცმა ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთის პატიოსან გულთა-ძვრისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ; მაგრამ რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან ამ ცივს ანგა-

რიშს არ მივცე თავი და ჩემი გულთა ნადები არ მოგახსენოთ გულახდილად.

ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, – რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი, ჩვენის შავბედიანის ქვეყნისათვის: მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერისის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისა-ღა იმედზედ დარჩეს? აშკარაა იგი რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა.

გარდა ამისა, დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიტყდა – და ამ დროს რამე მიზეზი რომ მივცეთ, მთავრობა ჩვენზედ ავის თვალით მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად თუ არ დაგვეღუპება. თქვენ მიერ განზრახული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩება. დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, – აი სად და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი, და მაშასადამე თქვენი ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მაგ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთა-ძვრის გარედ გამოფენისა და, მაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა. კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენ მიერ მოწადინებულისა, არც თავის დღეში ეჭვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმანვილკაცობას გული არ ებრძოდეს, არ ერჩოდეს ყოველი პატიოსნური საქმისათვის. მაგრამ რა ვქნათ? ბედმა ამისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ.

ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემი კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა

შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც იქით გადიხედავთ, ნურც აქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უუძლიერესის ფარ-ხმლით მოდით და დაეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმითი კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ გავიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი.

იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმარო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც-კი, რაც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშრობს. თუ აქ ჩემი წინასწარხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი, იმიტომ რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანგამოცლილი.

უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდგან მაგ პატიოსან გულთა-თქმას. შიში განსაცდელისა აქ საბუთია და სამართლიანი. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი.

„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“...

ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა“.

ილია ჭავჭავაძე.

●

საქართველოს ახალი მთავარმართებელი ჰყავს. შერემეტიევი წაიყვანეს და მოიყვანეს გოლიცინი.

80-იანი წლებიდან მოყოლებული, ისე აეწყო საქმე, რომ ახალი ძველზე უარესი უნდა ყოფილიყო. მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც ორი ათეული წელი განაგებდა კავკასიას, თავისი ინიციატი-

ვით არ გადასულა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. ძალიან რბილი გამოდექი, ძალიან მიუშვი ქართველები თავის ნებასო და ამ სიკეთეს აბრალებდნენ იმ კაცს, რომელმაც სემინარიელები მგლის ბილეთით გამოარიცხინა მხოლოდ იმისათვის, რომ ალექსანდრეს ბაღში ჩამომსხდარმა ყმაწვილებმა მისი გამოვლისას ქუდი არ მოიხადეს და ფეხზე არ წამოუდგნენ.

მაგრამ კორსაკოვის შემხედვარე მიხეილ ნიკოლოზის ძე სანატრელი გახდა. ეს ლოთობისა და დასჯის მეტს არაფერს აკეთებდა. ქუთაისის ქალაქის თავის, ასათიანის დასჯა უნდოდა, მაგრამ როცა ყიფიანი შერჩა ხელში, მთლად გახარებული იყო, უფრო დიდი თევზი დავიჭირეო. ყიფიანი, არსებითად, ამ სატრაპმა დაღუპა. ლოთობა ისეთი იცოდა, გამოუფხიზლებელი. სიმთვრალეში ყველას ყველაფერს ჰპირდებოდა, შესრულებით, ცხადია, არავის არაფერს უსრულებდა. ერთხელ ფოთში გამობრუჟულა, მატარებელში ჩაუდვიათ და თბილისს გამოუსტუმრებიათ. სურამში რომ შემოსულა მატარებელი (მაშინ რკინიგზა სურამზე გამოდიოდა) ბაქანზე ხალხი დახვედრია, ამას გაღვიძებია, ფანჯრიდან თავი გამოუყვია და ეს ამოდენა ხალხი რომ დაუნახავს, დიდის ამბით უცნობებია – გექნებათ პორტი, გექნებათ თქვენ პორტიო!..

სურამელები შეწუხდებოდნენ, ეს ჩვენი მთავარმართებელი ჭკუაზე აფრაკად ხომ არ არისო, მაგრამ, თქმას ვინ გაუბედავდა, – სურამში ერთი პატარა სურამულა ჩამოდის, ნავსადგური კი არა, ხიდიც რომ არ ჭირდება და კაცი ზედ გადაახტება, ისეთი. აბა, ნავსადგური სურამს რაში სჭირდებოდა? რა იცოდნენ დამხვდურებმა, რომ კორსაკოვი წინა დღეს ფოთელებს შეპირებია პორტს. დათვრა და ნამთვრალევზე თავი ისევ ფოთში ეგონა. არ უშველა ალექსანდრე III-ის ბრწყინვალედ დახვედრამ, მეფის სტუმრობის შემდეგ, ორ წელიწადში საქართველოდან მასაც ამოუკვეთეს ფეხი, მაგრამ ლოთობაში არც მისი შემცვლელი შერემეტიევი ჩამოუვარდებოდა. თვით შერემეტიევის შესახებ, უფრო სწორად, მისი აქ მოღვაწეობის დეტალებიდან, ბევრი არაფერი ვიცით რა. კაციშვილი მას არ ახსენებს, ის კი არა, ექვთიმე თაყაიშვილი და დავით კლდიაშვილი წერენ ასე: დონდუკოვ-კორსაკოვი გოლიცინმა შეცვალაო. არა, ამათ შუაში შერემეტიევი იყო, მაგრამ მოგვიანებით მას რატომღაც ვერავინ ვეღარ იხსენებს. იქნებ ეს მის შედარებით უკეთესობაზეც მეტყველებს... ყოველ შემთხვევაში, აი, – გოლიცინი ყველა მის თანამედროვეს ახსოვს. თუ კორსაკოვთან ან შერემეტიევთან,

მაგალითად, ილიას პირადი ნაცნობობაც ჰქონდა და ურთიერთობაც, ამ გოლიცინს ახლოს არ ეკარებოდა. ერთი სიტყვით, კავკასიის მთავარმართებლად დანიშნულია გადარეული კაცი.

დავით კლდიაშვილის დახასიათებით: „კაცი სასტიკი, თვითნება, დაუზოგველი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა მაგარი ხელით დაემორჩილებინა აქაურობა და რუსეთის სრული მონა-მორჩილი გაეხადა ქვეყანა. მაღალი, მუცელგამოშვერილი, თავგადატვლეპილი, ცისფერ თვალებით, მკაცრი კილოთი მოლაპარაკე, შიშს ჰგვრიდა ყველას მის გარშემო მყოფთ". მისი საურთიერთობო ენა იყო მათრახი და სახრჩობელა. ელიზავეტოპოლის (განჯის) გუბერნიაში ვიღაც მოუხელთებელი ყაჩაღი აბუზარა ყოფილა. ამ აბუზარ ოღლის ყაჩაღური ბანდა ვერა და ვერ აულაგმავთ. ბოლოს იმ ბრბოში სხვა ყაჩაღი, ჯიბიდან გავარდნილი ვიღაც სალიხა შეუგზავნიათ. ამ სალიხას ან თავად უნდა მოეკლა აბუზარა, ან მთავრობისთვის შეეწყო ხელი მის დაჭერაში. სამაგიეროდ ჰპირდებროდნენ ადრინდელი დანაშაულების პატიებას და კარგად დასაჩუქრებასაც. ამ სალახანა სალიხას თავისი საქმე ხუთიანზე შეუსრულებია. აბუზარაც ღალატით მოჰკლა და ყაჩაღების ბრბოც მთავრობას ააყვანინა. გახარებული გოლიცინი ხელებს იფშვნეტდა. ელიზავეტოპოლის გუბერნატორს, რომელიც მისი მეგობარი იყო და რუსეთიდან გუბერნატორად მისგანვე წამოყვანილი, უბრძანა, – 11 სახრჩობელა დაემზადებინა. იმ კაცმაც, კირეევი იყო გვარად, აღმართა 11 სახრჩობელა. მაგრამ, დახეთ უბედურებას, თბილისიდან ჩასულმა სამხედრო საველე სასამართლომ ჩამოხრჩობა მხოლოდ ოთხს მიუსაჯა, დანარჩენებს – სხვადასხვა სასჯელი.

კირეევი ჭკუაზე აღარ იყო. მზად ჰქონდა გადადგომის განცხადება. იცოდა, გოლიცინი რომ ამას გაიგებდა, რა დღეში ჩააგდებდა.

თბილისს დაბრუნებული სასამართლოს თავმჯდომარე შედის გოლიცინთან და საქმის ვითარებას მოახსენებს. ეს შეიშალა, აყვირდა, თერთმეტ გვამს ველოდი და თქვენ კი მხოლოდ ოთხს მაძლევთო.

ბევრი იყვირა, მაგრამ განაჩენი გამოტანილი იყო. სასამართლოს თავმჯდომარემ, როცა მაგიდაზე განაჩენი ხელმოსაწერად დაუდო, შეახსენა, – ამ ოთხში ერთი სალიხაა, რომელსაც შეწყალებას და დასაჩუქრებას შევპირდითო. აბა, 11-ის ნაცვლად სამიო?

აიფოფრა გოლიცინი, თქვენ დამცინითო? სტაცა კალამს ხელი და ოთხივეს ჩამოხრჩობაზე დასვა ხელმოწერა.

გოლიცინის ამბავს ექვთიმე თაყაიშვილიც გვიამბობს. მის სიახლოვეს გაძლება შეუძლებელი ყოფილა. უხეშად ექცეოდა ნებისმიერ ადამიანს. თავად-აზნაურთა წინამძღოლად ყოფილა დავით მელიქიშვილი. კაცი რუსული ორიენტაციის, სანდო და ერთგული მონარქისა. ადრე მეფისნაცვლის ადიუტანტად ნამუშევარი. ძმისშვილი იყო ცნობილი ლევან მელიქიშვილისა. აი, ეს დავითიც იძულებული გამხდარა გადადგომის განცხადება დაეწერა და მოშორებოდა მასთან ურთიერთობას. დავით მელიქიშვილი მეგობარი ყოფილა I გიმნაზიადამთავრებულ გრაფ ვიტესი, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრისა. ვიტესთვის უთქვამს თურმე – ეს ვინ გამოგვიგზავნეთ მთავარმართებლად, ნორმალური კაცი არ არის, გადარეულიაო. ერთი სიტყვით, საქართველოს სრული ბედნიერებისთვის ასეთი ჭკუანაღრძობი ხელმძღვანელი აკლდა და ესეც ციური მანანასავით მოგვევლინა.

აი, ასეთ მძიმე დროს შემთხვევით გაჩნდა შანსი, რომ ცენზურაში ჩვენი ერთგული კაცი დანიშნულიყო.

მას შემდეგ, რაც რაფიელ ერსთავი აიძულეს იქიდან წამოსულიყო, ქართული გამოცემები მთლად უნუგეშოდ რჩებოდა.

ილიას რამდენიმე საიდუმლო ჰქონდა მთავრობასთან მიმართებით. მაგალითად, ერთი ასეთი იყო. რამდენიმე წლის წინ მის რედაქციაში მოვიდა ახალგაზრდა ქალი – ოლღა აგლაძე, რომელმაც ახალი ცნობები მიიტანა დასაბეჭდად. ეს ქალი ილიასაც გაეცნო და სთხოვა „ივერიაში" მიეღო სამუშაოდ. ილიამ ჰკითხა, თუ სად მსახურობდა. ფოსტაშიო – იყო პასუხი. დეპეშებს აგზავნიდა და იღებდა.

ილიამ ოჯახის ახლობლად გაიხადა ეს ახალგაზრდა ქალი. ორივე ოლღა მეგობრები შეიქნენ ერთმანეთისა. ილიამ ახალგაზრდას სთხოვა, თუ სამშობლოსთვის სამსახური ეწადა, რედაქციაზე უკეთ ამას სწორედ იმ ფოსტიდან მოახერხებდა, რომლის მეშვეობით აქაური მთავრობა პეტერბურგის დიდ მთავრობას ელაპარაკებოდა. ასე გახდა წინასწარ ცნობილი ილიასთვის ვოსტორგოვის, საქართველოს მოძულე სასულიერო პირის ზრახვანი და ბევრი სხვა რამ, რასაც მტერი ჩვენ გვიმზადებდა.

ცენზურაში ვაკანსია გაჩნდა. წინა წლის ოქტომბრიდან რაფიელი წამოვიდა. ეს ადგილი შესთავაზეს გიორგი ჟურულს, რომელიც

სულ ერთი წლის მისული იყო „ივერიის“ რედაქციაში. ჟურულმა ეს შეთავაზება შეურაცხყოფად მიიღო. ეს ახალგაზრდა განსწავლული, ჭეშმარიტი მამულიშვილი იყო, მაგრამ ჯერ საზოგადოებისთვის უცნობი. თუ რაფიელს პატიობდნენ ცენზორად მუშაობას, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ახალგაზრდა კაცს იქ მისვლით სახელი არ გაუტყდებოდა. რჩევას საიდუმლოდ ჰკითხავს ილიას. ილია კი ასე ფიქრობს – ჩვენი ამოცანა ჩვენი ეროვნული ვინაობის აღდგენაა, საიდანაც კი ამ საქმის რგება შეიძლება, ყველგან ამ სულისკვეთების ხალხის გასვლას უნდა შევუწყოთ ხელიო. საიდუმლო პირმა, ვისაც ცენზურასთან ნდობა ჰქონდა, ისიც განაცხადა ჟურულთან საუბარში, თუ ქართველები ვერ მოძებნიან შესაფერის კანდიდატს, ვინმე მოხელეს დანიშნავენ რუსებიო.

მოვუსმინოთ გ. ჟურულს: „ილიამ როცა გაიგო საქმის ვითარება, კატეგორიულად გამოგვიცხადა (ჟურულთან ერთად იყო მისი მეგობარი, ცენზორობის სავარაუდო კანდიდატი), ერთ-ერთი უთუოდ უნდა დათანხმდეთ, ჩვენ სხვა კანდიდატი არავინ გვყავს და რომ იყოს კიდეც, ვინ იცის, დაამტკიცებენ თუ არა! ამასთანავე დასძინა: – ეს კი იცოდეთ, რომ ძალიან არასასიამოვნო და სახიფათო თანამდებობაა და სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ იქ ჩვენი კაცი გვყავდეს. საცენზურო კომიტეტს ისეთი სასტიკი ცირკულიარები მოსდის, რომ ცენზორი ვალდებულია „მამაო ჩვენო“-ს ზოგიერთი ალაგებიც კი აღკრძალოს, თუ უნდა ერთგული მოხელეობა გამოიჩინოსო. ამასთანავე ცენზორს სულ მუდამ საქმე ექნება ისეთ უმადურ ხალხთან, როგორც ჩვენ, ლიტერატორები ვართო: რაც უნდა შეღავათით მოგვეპყროს ცენზორი, ჩვენ მაინც იმის ლანძღვაში ვართ და ამას კი ატანა უნდა და გულთან ახლოს არ მიტანა. კვლავ დასძინა, რომ ერთ–ერთი უნდა დასთანხმდეთო.“

გადაწყდა ისე, რომ ცენზორად დაინიშნა გ. ჟურული. ძალიან საინტერესო ეპიზოდს იხსენებს იგი: „რაკი პირადად ჩემს თავს ვრაცხდი, როგორც საიდუმლოდ მიგზავნილ დელეგატს საცენზურო კომიტეტში, ყოველი ჩემი მოქმედება იქ, ამ გარემოებას დავუქვემდებარე. რასაკვირველია, ეს ჩემი ახირებული „დელეგატობა“ დიდ საიდუმლოებას შეადგენდა ილიასა, X-სა და ჩემს შორის; იგი არც არავის უნდა სცოდნოდა, თორემ ყოველი აზრი დაეკარგებოდა ჩემს გამწესებას. იმ ხანობად მთავარმართებლად კავკასიაში ახლად დანიშნეს თ. გოლიცინი. ბუნებრივი იყო, ქართველობას გაეგო: რანაირი მინდობილობით და რაგვარი წადილით იყო გამოგ-

ზავნილი ჩვენში ეს დიდი რუსი ბობოლა მოხელე, განსაკუთრებით გვაინტერესებდა, მის ბრძანების დროს მიეცემოდა რაიმე ოდნავი შეღავათი მაინც ჩვენ, ქართულ საზოგადო საქმიანობას თუ არა? ამაზე ხშირად ჩამოვარდნილა ლაპარაკი, ილიას დასწრებით, როგორც ბანკის კომიტეტის და გამგეობის სხდომებზე, ისე სხვაგანაც. თქმა არ უნდა, რომ არც ილიას და არც სხვებს არავითარი ილუზიები არ ებადებოდათ, მაგრამ გოლიცინის ფიზიონომიის სახალხო გამოაშკარავება არ იყო ინტერესს მოკლებული.

ამ მიზნის მისაღწევად, ილიასგან მიღებული იყო შემდეგი ჩემი წინადადება: ილია დასწერს მეთაურს, სადაც მშვიდობიანი კილოთი აღნუსხავს ყველა ქართველისათვის სავარამო კითხვებს და გამოსთქვამს იმედს, რომ კითხვები ახალი მთავარ მართებელის მიერ სასურველად იქნება გადაწყვეტილი.

ილიამ დასწერა საუცხოოდ დასაბუთებული წერილი, დაურთო მას ნიკიტინის მიერ რუსულად თარგმანი და გამომიგზავნა. როგორც შევთანხმდით, მე ნება არ დავრთე და წარვუდგინე საცენზურო კომიტეტს, როგორც ილიას წერილი, ისე თარგმანიც; ეს უკანასკნელი ვითომ ჩემგან მომზადებული. მოხსენების დროს კომიტეტს ვაცნობე, რომ წერილს უყოყმანოდ დავრთავდი ნებას, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, სიფრთხილისათვის, კომიტეტის აზრიც გამეგო, რადგან ახალი მთავარ მართებელის ხაზს არ ვიცნობ-მეთქი. კომიტეტის თავმჯდომარემ ილიას ის წერილი მეორე დღესვე წარუდგინა გოლიცინს და უკანასკნელისაგან მიიღო კატეგორიული ბრძანება, რომ ადგილობრივ გაზეთებში ამგვარი წერილები არავითარ შემთხვევაში არ ყოფილიყო გაშვებული. ამნაირად ერთბაშად გამოაშკარავდა გოლიცინის ფიზიონომია და სისულელე იყო იმ ხმის გავრცელება, თითქოს ქართველები რაღაცას მოელოდნენ იმ ძარღვებ-მოშლილ მთავარ მართებლიდან...“

●

8 თვის გასვლის შემდეგ გაზეთ „ივერიის“ აღდგენას, რომელიც წვალების გარეშე არ მომხდარა, მთელი რედაქცია და მკითხველი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა. ნიკო ხიზანიშვილს უმიზეზოდაც კარგი მოლხენა უყვარდა და თუ მიზეზიც ჰქონდათ, უკან რატომ დაიხევდა? გაზეთი 17 იანვარს აღადგინეს. იანვარი ისედაც ქეიფების თვეა. მასპინძელი ხშირად ანტონ ფურცელაძე

იყო. ნიკოს და ანტონის ურთიერთობა ხომ ერთ დიდ და სახალისო მოთხრრობას ჰგავდა. ნიკო ხიზანიშვილი სულ კრიჭაში ედგა, არაფერი ანტონის დაწერილი არ მოსწონდა, თუ მშიერი იყო, მაშინ ხომ – განსაკუთრებით. მაინც, მელას თავის მახრჩობელა უყვარდაო, სულ ერთად იყვნენ. ის კი არა, ერთხელ გერმანიაში ერთად წასულან სამკურნალოდ. ანტონ ფურცელაძეს თან თავისი პიესა წაუღია – „გიორგი სააკაძე". იქ ტრაბახი დაუწყია, ამ პიესას გერმანულად ვათარგმნინებ და დიდი წარმატებითაც დავდგამო. ნიკოს ჩაუცინია, არ გამოვა ეგ საქმე, ვერ დადგამ „გიორგი სააკაძესო". ვითომ რატომო? – უკითხავს ანტონს. რატომ და მაგ პიესაში 30 აქლემი რომ გყავს გამოყვანილი, რომელ სცენაზე დაეტევიან ის აქლემებიო...

ანტონთან სახლში სტუმრობისას, მასპინძელი ცდილობდა ჯერ თავისი ნაწარმოები გაეცნო ილიასთვის, სხვა სტუმრებისთვის და შემდეგ შესდგომოდნენ პურობას. ამ საქმეს იმავ წუთს ნიკო ჩაშლიდა. მშიერზე ისე გააკრიტიკებდა ანტონის ახლად შობილ თხზულებას, ქვას-ქვაზე არ დაუტოვებდა. ილია იცინოდა. ერთხელ ხიზანიშვილი, რომელიც ჭამა-სმის დიდი მოყვარული იყო, სამზარეულოდან გამოსულა და იმავ წუთს ანტონის კრიტიკა დაუწყია, შექსპირს რა სჭირს შენი დასაწუნიო (ანტონს რატომღაც შექსპირი არ ნაყვარება. ბეკონის დროში სულები როგორ გამოჰყავს პიესაშიო). ამაზე ანტონს ბევრი უცინია, როგორც ჩანს, მარია მაისეევნას (მეუღლე იყო მისი) სადილი ჯერაც არ დაუმზადებიაო...

ფურცელაძემაც ჭკუა ისწავლა, როცა ილიას და ნიკოს დაპატიჟებდა, ჯერ კარგად მოილხენდნენ, შემდეგ ნიკოს სულ თაფლი სდიოდა პირიდან.

თუ დრო ჰქონდა, ილია მტკვრის პირას რესტორნებსაც სტუმრობდა თავის მუდმივ თამადა ფურცელაძესთან ერთად(სანამ შეეძლო ადრე მუდმივი თამადა რაფიელ ერისთავი იყო ხოლმე). ერთი ასეთი გასვლისას ილიას თავის მღვდელი პერსონაჟის საქციელი გაუმეორებია. არა, მტკვარში არ გადაშვებულა, მაგრამ მეტი თუ არა, ნაკლები თავგანწირვა არ გამოუჩენია. გვერდით ოთახში ახალგაზრდები ქეიფობდნენ, რომ შეთვრნენ, ჩხუბი წამოიწყეს, ჩხუბს ხანჯლის დატრიალება მოჰყვა. შეიქნა ერთი ყვირილი და გნიასი. ჟურული, სუფრის სხვა წევრები გასულან გასაშველებლად, მაგრამ ასეთი სურათი ნახეს. ხანჯალშემართული ახალგაზრდა გაბოროტებული დასდევს ყმაწვილ კაცს მოსაკლავად და ძე-

ხორციელი ვერ ბედავს ახლოს მისვლას. „ვილაცამ მხარი გამკრაო, – ჟურულმა, – გამწია გვერდზე, შეიჭრა წრეში, მივარდა ამ გადარეულ ახალგაზრდას, სწვდა მაჯაში და შესძახა: თუ პატივს მცემთ, ეგ ხანჯალი მე მომეციო. ახალგაზრდა კაცმა შეხედა და იმ ოთახში რაღაც სასწაული მოხდა. „იმ მგელივით გამხეცებულმა, ეტყობა, იცნო ილია და უცებ ისე მოდუნდა და ისე ჩაიფუშა, რომ ბავშვივით დაემორჩილა ილიას და ხანჯალი ჩააბარა. ამით გადაურჩა ის უცნობი ყმაწვილი სიკვდილსა და ეს მოხდა მხოლოდამხოლოდ ილიას ვაჟკაცური გაბედულობით. იმოდენა ხალხში მხოლოდ მან გამოიდო თავი, მართალია, თავისი თავი დიდ საფრთხეში ჩააყენა, მაგრამ ეს მან არაფრად მიიჩნია, ოღონდ ეცადნა ადამიანის სიკვდილიდან გადარჩენა".

ეს ერთი დეტალი ილიას პირადი ცხოვრებიდან ერთი გარემოების გამოც მოვიხმე. ხშირად იტყვიან ხოლმე, ადამიანისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არისო. ცხადია, ეს ასეა, მაგრამ რაკი ზაკვა, შური, ლალვა, ბოროტება, ცილისწამება ისევეა ადამიანის თვისებები, როგორც სიკეთე, უშურველობა, თანადგომა, შენდობა, სიყვარული, უღალატობა, ერთგულება, სავალდებულო სულაც არ არის, ადამიანი ერთის მატარებელიც იყოს და მეორისაც. იმის შიშით, ვაითუ, სქემატური დახასიათება არ გამომივიდეს, ვაითუ, უძრავი ქანდაკება არ შემრჩეს ხელთო, ზოგჯერ ბიოგრაფები მეორე უკიდურესობაშიც ვარდებიან და ისეთ უარყოფით თვისებებსაც მიაწერენ თავის გმირს, რომელიც არ გაჰკარებია იმ კაცის სულსა და გონებას. როგორც ვითომ უნაკლო კაცის სიტყვით ძერწვაა უმადური საქმე, ისე დიდი კაცის ადამიანურ ნაკლოვანებათა ხელოვნური ძიებაც არის ცოდვა. ილიას ხასიათს რომ ვეცნობი, მიჭირს მისი ისეთი ნაკლის გამოკვეთა, ურომლისოდაც ის უფრო საყვარელი ადამიანი იქნებოდა, ვიდრე იყო...

●

21 იანვარს „კვალი" და „ცნობის ფურცელი" ბეჭდავენ ინფორმაციას ილიას ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს აღნიშვნის შესახებ.

„კვალი" წერდა: „ამ იანვრის გასულს სრულდება ორმოცი წელიწადი სალიტერატურო მოღვაწეობისა არა თუ მთელ საქართველოში, ევროპაშიაც ცნობილი პოეტისა და ბელეტრისტის, თ. ილია

გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა. იმედია, ჩვენი საზოგადოება ღირსეულად დაუხვდება ამ დღესასწაულს".

„კვალის" ეს განცხადება დასაფასებელია. მიუხედავად იმისა, რომ ილიას და „კვალის" რედაქტორს გიორგი წერეთელს ცხარე პოლემიკა აქვთ ერთმანეთთან და ეს პოლემიკა გაგრძელდება ამ განცხადების შემდეგაც, ეს ადამიანები ერთმანეთს როგორც მტრებს არ უყურებენ. პოლემიკას თავისი ადგილი აქვს, მაგრამ ფასი ერთურთისა კარგად იციან. და მაინც, ილიას იუბილესთან დაკავშირებით, პირველი განცხადებიდან დაწყებული ბოლო დღემდე, ყველაზე აქტიური არის გაზეთი „ცნობის ფურცელი". ეს გაზეთი წინა წლის, 1876 წლის 20 ოქტომბერს გამოვიდა, – როგორც ყოველდღიური გაზეთი. გამოსცა ვალერიან გუნიამ. ეს ნიშნავდა, თუნდ ილიასი ყოფილიყო ეს გაზეთი, რადგან გუნია ილიას უმცროსი მეაბჯრე გახლდათ. ამიტომაც გაღიზიანდა „კვალი" და ახალდაბადებულ გაზეთს ასეთი „მილოცვა" უძღვნა: „წარსულ კვირაში გამოვიდა ახალი პაწია ქართული გაზეთი. მას თანაგრძნობით შეეგება ჩვენი მკითხველი საზოგადოება, მისი ღირსება ისაა, რომ მისმა გამომცემელმა პირველ იანვრამდე ძლიერ გააიაფა გაზეთი, ცალკე ნომერი 3 კაპ. გახდა, ორი თვით 1 მან... მას დაესია მკითხველი, როგორც ზაფხულში ქუჩაში მაყურებელთ ჩვევიათ, როცა მათ დუქნიდან დამპალ ხილს გადაუყრიან საჭმელად. ერთმა ქუთაისელმა ინტელიგენტმა იხუმრა – გაზეთი მეგონა, „სპრავჳჩნი ლისტოკი" ყოფილაო. ჩვენ არა ვართ ამ აზრისა... გაზეთის ერთ ნათლიათაგანი თურმე საძიძაო წყალობას უპირებს, ოღონდ ხელში ჩემი სიმართლის დროშა დაიჭირეო, როცა სიმართლე კერძო საკუთრებად ხდება, იმ სიმართლის მადლი ეშმაკს შეეწევა".

ბუნებრივია, „კვალს" არ მოეწონა, ილიას რომ დამატებითი ძალა შეეძინა ახალი გაზეთის სახით. მთელი 1897 წელი „ცნობის ფურცელმა" არა ერთი და ორი პუბლიკაცია უძღვნა ილიას მოსალოდნელ იუბილეს.

ვალერიან გუნიამ ჭკუა იხმარა და გაზეთიდან ხალხს მიმართა, თქვენ თავად უნდა მიიღოთ მონაწილეობა არა თუ ილიას იუბილეს აღნიშვნაში, მის დაგეგმვაშიც კიო. შემოგვთავაზეთ გამოხმაურებები და ჩვენ მათ დავბეჭდავთ. გუნიას უნდოდა, რაც წყენა მიაყენეს ამ წლების მანძილზე ილიას, კორიდად ქცეული ბანკობიას გამო, ერთგვარი კომპენსაცია მოეხდინა და მისდამი ხალხის სიყ-

ვარული ეჩვენებინა. ამ იდეამ გაამართლა. წამოვიდა წერილები, რას აღარ სთავაზობდნენ რედაქციას:

იწერება ნესტორ მესხი (სერგეის ძმა). რედაქციას სთავაზობს მთელ გეგმას, – როგორი უნდა იყოს იუბილე.

იწერება ნადიკვრელი – ილია ზარაფიშვილი, რომელიც რედაქციას სთავაზობს იუბილე აღინიშნოს აგვისტოში, რათა მასწავლებლებს ეცალოთ, და რომ იუბილე უნდა აღინიშნოს არა მხოლოდ თბილისში, არამედ ყვარელში და შემდეგ მთელ საქართველოში.

ვინმე გიორგი წულუკიძე ეთანხმება ნადიკვრელის პროექტს, რომ ილიას იუბილე იქცეს სახალხო დღესასწაულად მთელს საქართველოში.

შავი ზღვისპირელი, იგივე თედო სახოკია, არცთუ დიდი ხნის წინ ილია რომ სასამართლოზე გაიყვანა, ერთ საუკეთესო წერილს მისწერს რედაქციას. ილიას იუბილე მთელი ერის საქმეა და ხომ არ შეგვიშლიან ხელს ის იდეური მოწინააღმდეგენი, რომელნიც ბოლო დროს მრავლად გაუჩნდნენ ჩვენს სასახელო მამულიშვილსო.

ამას გამოეხმაურა ვინმე კოსმოპოლიტი ლავრენტი და უნდა ითქვას, ეს კოსმოპოლიტი ლავრენტი ძალიან კარგი კაცი აღმოჩნდა. რას ჰქვია ილიას იუბილეს ვინმე ხელს შეუშლისო, ვინ გყავთ მხედველობაში – მაჩაბელი და მისი გუნდიო? მე ჩემი ყურით მოვისმინე მაჩაბლის სიტყვები, ილიას როგორც ბანკირს ვებრძოდი, თორემ მის ღვაწლთან და მამულიშვილობასთან რა ხელი მაქვსო, რომ ივანე და, საზოგადოდ, მაჩაბლისტები მიესალმებიან დიდი მამულიშვილის იუბილესო. აქ ერთ საინტერესო ინფორმაციასაც გვაწვდის ეს ჩვენთვის უცნობი კაცი. ის დეპეშა, რომელიც ილიას მოსწერეს, ბოროტი ხალხის გამოგზავნილია, რათა გაამწვავონ ჭავჭავაძესა და მაჩაბელს შორის ურთიერთობაო. როგორც ჩანს, ილიას მსგავსი დანოსებიც მისდიოდა, რათა გუნება მოეწამლათ მისთვის.

აქ სახოკია პასუხობს, – მეც ეგ მინდოდა და ეგ მქონდა მხედველობაში, რომ ამ იუბილემ შეგვარიგოს, ძმები ერთად ვიდგეთო.

წერილი მოდის პეტროვსკიდან (დაღესტნიდან) იქაური ქართველების სახელით. ისინი თავის წინადადებებს სთავაზობენ რედაქციას.

უცხოეთიდან „ქართვლის დედის" ფსევდონიმით მოდის წერილი, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა აღტაცებას გამოხატავს მოსალოდნელი იუბილეს გამო, მაგრამ წერილის ავ-

ტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ქართველობა დაავადდა, რომ პარტიებად დაყოფას უნდა უშველოს სწორედ ილიას იუბილემ და გააერთიანოს ხალხი.

ამ მოწოდებების მიუხედავად, ინტელიგენცია სდუმს და არც სხვა გაზეთები იკლავენ თავს, რის გამოც ასისთავი, ვინმე მ. ბაქრაძე იწერება: „ეს იუბილე ყოფილა ილუზია, თვალთმაქცობა. თუ ეს ასე არ არის, რატომ არ ვუხდით ერის დამსახურებულ მამულიშვილს 40 წლის იუბილეს?"

შესანიშნავი წერილი დაწერა მიხეილ ნასიძემ: „როგორც ასპინძის ომი მოიგო ქართველობამ, მაგრამ მის გმირად ირაკლი დასახეს, ყარსის ციხე რუსის მხედრობამ აიღო, მაგრამ ისტორიამ იგი დაუკავშირა გრაფ ლორის მელიქოვის სახელს, ასევე უმადურობა იქნებოდა არ აღვნიშნოთ, რომ განვლილი 40 წელი ი. ჭავჭავაძის ხანაა და ხალხის გამოღვიძების მიზეზადაც იგივე ითვლება".

მ. ნასიძე საზოგადოებას სთავაზობს, ყველამ გაიღოს თანხა შეძლებისამებრ, რათა ილიას იუბილეთი შეგროვილი ფულით გაკეთდეს ქართული საქმეები. ამას ეხმაურებიან მუშები და მზად არიან თავისი წვლილი შეიტანონ. ერთი სიტყვით, „ცნობის ფურცელმა" ნამდვილი ლაშქრობა მოაწყო საზოგადოებრივ აზრზე და დიდი წარმატებითაც.

იუბილე კი არ ჩანდა. ამაზე ხალხი ძლიერ ღიზიანდებოდა. შემოდგომაზე აირჩიეს საიუბილეო კომიტეტი. 2 ნოემბერს გაიმართა კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა თარიღი, როდის ჩატარებულიყო იუბილე. კრება კი არა, ეს იყო ყრილობა, დარბაზში ხალხი არ ეტეოდა, უამრავი გარეთ დარჩა.

კრებამ გადაწყვიტა მოახლოებული ზამთრის გამო იუბილე გადადებულიყო 1898 წლის აღდგომის პირველი ხუთშაბათისთვის. გადაწყდა სხვა ორგანიზაციული საკითხებიც, მათ შორის – ისიც, რომ იუბილე მთელი საქართველოს მასშტაბით აღნიშნულიყო.

იყო კამათი იმის შესახებაც, რომ უბრალო ხალხს არ აქვს საშუალება ილიას წიგნების შეძენისა და იუბილე რომ საყოველთაო ხასიათის იყოს, საჭიროა ილიას წიგნების იაფი გამოცემები, რათა ყოველ ოჯახს შეეძლოს მათი შეძენა.

საგამომცემლო ამხანაგობამ, სხვათა შორის, ეს თავის თავზე აიღო – დაებეჭდა და იაფად გაეყიდა ილიას წიგნები. იყო უადგილო შედარებებიც. რაფიელის იუბილეზე მოსული ხალხიდან უმეტესობამ მისი მხოლოდ „სამშობლო ხევსურისა" იცოდა და განა

ილიას მეტი ნაწარმოები არ იცის ხალხმაო? მოკლედ, რაფიელს ჯერ ასიამოვნეს და მერე ავყია სიტყვით გული მოუკლეს ბერიკაცს. შემდეგ დიდხანს იყო კამათი, თუ რას უნდა მოხმარებოდა ილიას იუბილესთან დაკავშირებით შემოსული თანხა. ზოგი სკოლის აშენებას ფიქრობდა, ზოგი ღარიბთათვის სტიპენდიების დაწესებას, ზოგი რუსთაველის ძეგლის დადგმას წარწერით-შოთას – ილიასაგან. ერთი სიტყვით, 1897 წელს ილიას იუბილე არ გადაუხდიათ, მომავალ წელს გადადეს, მაგრამ ვალერიან გუნიას და მისი „ცნობის ფურცელის" წყალობით მთელი წელი ილიას ირგვლივ მსჯელობა არ შეწყვეტილა (ამ საკითხებზე იხ. მ. გაჩეჩილაძის „გაზეთი „ცნობის ფურცელი", თბ. 1990წ.).

ამ ვითარებაში, როცა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან დაწყებული, ქართული სოფლებით დამთავრებული, ყველა მოუთმენლად ელის, როდის დადგება ის დღე, როდესაც ერის აღიარებულ წინამძღოლს სათანადო პატივით გადაუხდიან ამაგს, თბილისის საქალაქო საკრებულოს არჩევნებში ილია კენჭს იყრის და ბევრი ხმით არა, მაგრამ მარცხდება...

დედაქალაქში ილიას არჩევის ბედს ხმის უფლების მქონე პირველი და მეორე გილდიის ვაჭრები სწყვეტდნენ, რომელთაც ილია არ უყვარდათ. არ უყვარდათ იმიტომ, რომ ის დიდი ქართველი მამულიშვილი იყო. ძნელია ცხოვრება, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია იმ ქვეყანაში, სადაც მამულიშვილობა ისჯება, უკაცურობა კი ნახალისებულია...

არადა, მან საოცარი მიმართვა დაწერა. ვგონებ, ყველამ, ვინც კი ოდესმე კენჭისყრას დააპირებს, ეს მიმართვა „მამაო ჩვენოსავით" უნდა იკითხოს ხშირად. აი, ისიც:

„ხვალ, 18-ს მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღეა იმისი თუ, – ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულ-მოდგინებით ჩვენის ავკარგიანობისათვის.

აქამდე თუ ხმოსნების ამორჩევას საბჭოსათვის ყურს არ ვათხოვებდით და გულგრილად ვეკიდებოდით, დიდი შეცოდება იყო ჩვენ მიერ ტფილისისა და მისთა მკვიდრთა წინაშე. ეხლა სულ სხვა დროა. ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი, ვინც აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, – რა მილეთისაც გინდ იყოს კაცი, – მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუ-

წიოთ ერთნაირის გულისცემითა, ერთნაირის ნატვრითა, რომ ჩვენ-ნი დედაქალაქი გამოკეთდეს, მოფაქიზდეს, მოჯობინდეს, მოჯამ-რთელდეს. ღმერთმა არა დაიშურა-რა ჩვენის დედაქალაქისათვის. ჰაერი, წყალი, ადგილი – ყველაფერი, რითაც ბუნება მოსაწონებ-ლად ჰქმნის ადამიანის საცხოვრებელს, იმოდენად კარგი გვაქვს, რომ ბევრი უცხოელი შემოგვნატრის. თუ რამე ცუდია აქ, და ბევ-რი რამაც არის ცუდი, სულ იმისი ბრალია, რომ დედაქალაქს შვი-ლობას არ ვუწევთ, გულდადებით არ ვექცევით, სიყვარულით არ ვპატრონობთ.

კანონმა ნება მოგვცა ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილ-უბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკე-თილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელს ქალაქსა.

ყველამ ერთად რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შე-უძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენს შორის და იმათ მიან-დეთ ეგ პატრონობა და მოვლაო. და აი ხვალ ამისი განკითხვაა. რომ ჩაუფიქრდეთ, თქვენვე იტყვით ჩვენთან ერთად, რომ ეს სახუმარო საქმე არ არის. ერთი გულმრუდობით აქეთ თუ იქით წასული კენჭი შემძლებელია იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-შვი-ლი თავსა და პირს იხოკდეს, – ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო? იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ – ვინ არის ღირსე-ული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია.

თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენის ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენ მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენა-დაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, რაც მდიდარს დააკლეს, ღარიბს არ ახდევინონ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საჭმელ-სასმელი, ქალაქის ბაზარში კარგი და საღი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არა ჰხდიდნენ და ამით თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდთ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილ-უბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიმყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენსა ნვრილ-შვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც რაც შეიძლება იეფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ, რაკი ხორაგსა და სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილ შვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველწლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იქსაქსებოდეს გულდაუდებლობით და უთავდარიგობითა.

ერთის სიტყვით, ბევრი სხვაც არის, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ესეც საკმაოა, თუ ღმერთმა გვაგონა, და ამაებს მაინც ხვალ შესაფერი კაცები ამოვურჩიეთ.

ამიტომა ვთქვით ზევით, რომ ხვალინდელი დღე სახუმარო დღე არ არის. სიმძიმე და სიდიდე იმ მოვალეობისა, რომელსაც

ხვალ კისრად ვღებულობთ და ასე თუ ისე ავასრულებთ, წინ უნდა წაიმძღვაროს ყველამ და ისე მივიდეს კენჭის მისაცემად. აქ ვინც უმტყუვნებს და უღალატებს იმას, რასაც სინდისი, ნამუსი, კაცური კაცობა ამხელს, იგი უმტყუვნებს, იგი უღალატებს თავისს თავს, თავისის ცოლ-შვილის, ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას.

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელ ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენი ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანების დიდ საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინდისი არ გეუბნებათ.“ ვგონებ, კომენტარი ზედმეტია.

1898

ილიას ახლო მეგობრის გარდაცვალება. კრწანისის ომის ასი წლისთავი და ქალაქის საბჭოს პოზიცია. ილიას იუბილეს ჩაშლა მთავრობის მიერ. ივანე მაჩაბლის საიდუმლო გაუჩინარება.

ივანე მაჩაბელი

„სარკმელი საღამომ
და ფარდამ დაბურა,
სანთელი მბჟუტავი
მთლად გაუდაბურდა,
მას შემდეგ, რაც შენი
სახება ბინდბუნდ ზე
სახლიდან გავიდა
და აღარ დაბრუნდა.“

გალაკტიონი

თუ კაცს მეგობრის დაფასება მხოლოდ სიცოცხლეში შეუძლია, მისი წასვლის შემდეგ კი ივიწყებს, ჩათვალეთ, რომ უანგარობა არც არაფერში შესძლებია და მეგობრები ანგარიშით ჰყოლია შერჩეული. მეგობრის წასვლით შენ შორდები მას, თორემ ის შენთან რჩება, შენს ცხოვრებაში, როგორც ნაწილი შენი ბიოგრაფიისა. დიდებულად ამბობს პოეტი ზაურ ბოლქვაძე:

„გადაუარა ბალახმა
საფლავს, სიცოცხლის წერტილს,
შენ ჩემთვის როგორ არა ხარ,
მე აღარა ვარ შენთვის.“

თუ გადაშლით 1898 წლის ილიას ნაწერებს, პირველივე წერილი ეძღვნება მის ახლო მეგობარს ილია ოქრომჭედლიშვილს, რომელიც 5 იანვარს დაკრძალეს თბილისში. ამ კაცმა თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება რუსეთში გაატარა. ყმაწვილკაცობაში თბილისში რომელიღაც მაღაზიაში დაუწყია მუშაობა, იმდენად სწავლასმოწყურებული იყო, იმდენს კითხულობდა და ისეთ გონიერებას ამჟღავნებდა, რომ ყმაწვილკაცებს ფული შეუგროვებიათ და პეტერბურგში გაუშვიათ სასწავლებლად. პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მოსკოვში ლაზარევის ინსტიტუტში გადავიდა და იქ ქართული ენის პირველი პროფესორი გახდა. იმავდროულად ხე-ტყის საქმეშიც ჩა-

ერთო და დიდძალი ქონება იშოვა. მისთვის გაწეული სიკეთის მადლი იმით გადაიხადა, რომ უამრავ სწავლამოწყურებულ ქართველს თავის ხარჯზე აცხოვრებდა წლობით მოსკოვსა და პეტერბურგში. მოსკოვიდან საქართველოში აგზავნიდა ფულს ყოველგვარი სასიკეთო საზოგადოებრივი საქმის შესაწევად. ბოლოს გულმა მაინც ვერ გაუძლო უცხო ქვეყანაში, საქართველოში ჩამოვიდა და აქაც იმავე შემართებით გააგრძელა შრომა. ახლად აშენებული ქარხანა გადაეწვა, მისგან გაყვანილი გზები ნიაღვარმა წალეკა, მაგრამ ასეთ კაცზეა ნათქვამი: „მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორიო". თითქმის ცარიელზე დარჩენილმა ყველაფერი ხელახლა შექმნა. ილიას უყვარდა ასეთი ხალხი, მხოლოდ ამგვარ კაცებს შეუძლიათ ცხოვრების წინ წაწევა და არა იმათ, ვინც ქონებას იძენენ „მდაბალთ ჩაგვრით, მწვალებლობით და ხვეჭით"-ო. წერდა ის.

„ჩემს გულითად მეგობარს და დაუვიწყარ ამხანაგს, – ილია ჭავჭავაძე". ასეთი წარწერა ამშვენებდა გვირგვინს და ილია თავის კიდევ ერთ დიდი ხნის მეგობარს მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე, როგორც კი დაიწყო ეს ფარსაგი 1898 წელი.

●

1898 წელს შესრულდა 100 წელი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან. ქართველობა ემზადება ამ თარიღის აღსანიშნავად. 11 იანვარს სიონის საკათედრო ტაძარში მეფის სულის მოსახსენიებლად გაიმართა წირვა. წირვაზე მოსული იყვნენ კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი, თბილისის გუბერნატორი, ვიცე–გუბერნატორი, გუბერნიის მარშლის მოადგილე, მარშლები, ჩვენი დიდკაცობა, ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალნი სხვანი. ერეკლეს საპატივსაცემოდ არ მობრძანდნენ ქალაქის საკრებულოს წევრები, ქალაქის თავი. ყველა ისინი, ვინც ხალხმა აირჩია და, მაშასადამე, პატივი არ სცეს ამ ხალხის მეფეს.

როგორც გითხარით, წინა წელს ქალაქის საბჭოს არჩევნები ჩატარდა. ამომრჩეველთაგან 600 იყო სომეხი, 300 ქართველი, 100 რუსი, დანარჩენი სხვა ერის წარმომადგენლები.

ამ 300 ქართველიდანაც არჩევნებზე 40 პროცენტიც არ მისულა. არ იქნენ არჩეულნი არც ილია, არც გიორგი წერეთელი, არც ერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აირჩიეს რამდენიმე გამოუ-

ჩინებელი ქართველი. დანარჩენი მხოლოდ სომხები. იმ რამდენიმე ქართველმაც უარი თქვა საკრებულოში ყოფნაზე და პროტესტის ნიშნად გამოვიდნენ. ერთი დარჩა მხოლოდ – გიორგი ორბელიანი...

ილიას ბრწყინვალე მიმართვა ამომრჩევლებისადმი დარჩა ხმად უდაბნოსა მღაღადებლისა შინა.

აი, დადგა საკრებულოს გამოცდის ჟამი, რამდენად იყო იგი საქართველოს დედაქალაქის საკრებულო. მეფეს, რომელიც სისხლით იცავდა თბილისს, რით გადაუხადა ღვაწლი თბილისმა? სვამს კითხვას ილია და პასუხობს: „მით რომ ტფილისის საბჭომ და გამგეობამ არც კი იკადრა წირვასა და პანაშვიდზედ დასწრებოდა. თუ მთელი კრებული საბჭოსი და გამგეობისა მეტისმეტი პატივი იქნებოდა, მათის გაკადნიერებულ აღმატებულობის ფიქრით, ერთი ორი წევრი მაინც გამოეგზავნათ!.." ირონიულად დასძენს ილია და აგრძელებს:

„ეხლა ვკითხოთ იმათ, ვინც ყურები გამოგვიჭედა ძმობისა და ერთობის ქადაგებითა და ღაღადითა: რის მომასწავებელია ასეთი უმართებულო, უგულო, უკადრისი, უზდელი საქციელი მთელის იმ წყობისა, რომელთაც დღეს ხელთ უჭირავს პატრონობა ჩვენის ქალაქისა? ნუთუ ეს დღე იმისთანა დღე იყო, რომ ასე ყურები გამოგვიჭედეს ბამბითა და სამარცხვინოთ თვალი დაიხუჭეს, ვითომ და აქ არაფერიო? ნუთუ ამას იქითაც იტყვით, რომ ეხლანდელი „მამანი ქალაქისა" მართლა ქალაქის წარმომადგენელნი არიან და მისის სურვილების გამომეტყველნი და არა მარტო ერთგვარ წყობისა, რომელსაც მეორე ნაწილთან ქართველობასთან არავითარი კავშირი და ერთობა არა აქვს და არც ჰსურს რომ ჰქონდეს? განა ესე ექცევიან ძმები ერთმანეთს? განა ერთის ძმის სადიდებელი მეორისათვის პატივსაცემელი მაინც არ უნდა იყოს: სადიდებელს ნურას ვიტყვით? სიტყვით რომ ძმობას იძახით, საქმით რადა ხართ ეგრე შორს? ძმობა განა ჭირისა და ლხინის გაზიარება არ არის? ეგეც თქვენი მოწონებული და მრავალთათვის თვალებ ასაფარებელი „классовая борьба"-ა? ნუთუ აქაც ეგ ბორბა ჰლაპარაკობს და არა გულჩახვეული, უტყვი ავგულობა იმართ მიმართ, ვის ძმობასა და ერთობას ეგრე ებღაუჭებიან და ვის სადიდებელს და ღირსსახოვრს დღეს ეგრე უკადრისად, უმართებულოდ და უზრდელად იქცევიან!..

ვისაც გქონან ყურნი სმენად, ისმინეთ!"

ერეკლეს გარდაცვალებიდან 100 წლისთავი ფართო მაშტაბით 22 თებერვალს იქნა გადახდილი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტა-

ძარში. აქ წირვასა და პანაშვიდს დაესწრო ილია. იმავე დღეს „ივერიაში“ დაბეჭდილია მისი წერილი „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“.

ილიას ერეკლესადმი ღრმა პატივისცემაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ადრე ვწერდით, რომ მის კაბინეტს, როგორც წესი, აუცილებლად ამშვენებდა ერეკლეს პორტრეტი. ამ წერილშიც ილიას საოცრად ექსპრესიულად აქვს გამოხატული ფასი და მნიშვნელობა მეფე ერეკლესი: „თვითოეულის ადამიანის საფლავის ქვეშეო, – ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰეინე, – დამარხულია მთელი ქვეყნიერების ისტორიაო. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე თვითოეულად, მაშ, უფრო ბევრრიგად მართალია თ.გ. ორბელიანი, რომ მეფე ერეკლეზე სთქვა: „დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარესაო“ უფრო ზედმიწევნით დაგვიხატა დიდბუნებოვანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ–სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლმოსილობა გვირგვინოსან გმირისა. როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ველარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს“

ერმა ამისთანებში უფრო მოსწრებული და ზედგამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ რომ ბაგენი მისნი მეტყველებენ მარტო ნამეტნაობისაგან გულისა. ესე იგი მაშინ, როცა გული სავსეა. **„ვერ გაიგითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია-ო“.** ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თვისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის.“

●

თებერვლის თვიდან „ცნობის ფურცელი“ განაახლებს ილიას იუბილეს სამზადისთან დაკავშირებით ინფორმაციების გამოქვეყნებას. საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობს კონსტანტინე მამაცაშვილი, გადაწყვეტს, იუბილე აღნიშნოს 9 აპრილს, ხუთშაბათ დღეს. მამაცაშვილი აქვეყნებს იმ პროგრამას, თუ როგორ ჩატარდება მგოსნის სალიტერატურო მოღვაწეობის დაწყებიდან (ილიას პირველი ლექსი „ჩიტი“ გამოქვეყნდა „ცისკარში“ 1857 წელს) 40 წლის იუბილე. დიდი სამზადისია ქუთაისშიც. ქუთაისიდან განზრახულია გამოიგზავნოს დეპუტაციები, სა-

დაც შევლენ თავად-აზნაურობის წარმომადგენლები, ინტელიგენციის, ხელოსნების. ამზადებენ ადრესებს იუბილეზე წასაკითხად. ქუთაისში შეკრებილა ქალთა საზოგადოებაც, რომელთაც სამი მანდილოსანი აურჩევიათ დეპუტატებად. მათ აგრეთვე მოსკოვში შეკვეთა მიუციათ ვერცხლის ლირაზე. ამ სამი მანდილოსნიდან ერთი იქნებოდა იმერელი, ერთი გურული და ერთიც მეგრელი, გამოწყობილნი შესაბამისად კუთხურ ტანსაცმელში.

იუბილე ასევე უნდა გადახდილიყო ქუთაისში და საამისო ღონისძიებები ცალკე იყო დაგეგმილი.

თბილისში გამოცხადდა კონკურსი ილიას ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ ნაშრომის დასაწერად. საუკეთესო ნაშრომში გაიცემოდა პრემია 5-დან 10 თუმნამდე.

მხატვარმა გიგო გაბაშვილმა, – ილიას დიდი ზრმის სურათს დავხატავო.

ქართველთა წიგნის გამომცემელმა ამხანაგობამ ილიას წიგნები გააიაფა, რათა ბევრს შეძლებოდა მისი შეძენა.

საიუბილეო კომიტეტმა ხანგრძლივი პოლემიკის შემდეგ ასევე გადაწყვიტა, რომ იუბილეზე თანხა გადაედოთ ერთადერთი საქმისთვის – ეს იყო მუზეუმ-საცავის აშენება. ეს მართლაც ყველაზე საშური საქმე იყო, ვინაიდან თეატრის დარბაზის გვერდით ოთახში გახლდათ შენახული 3000 წიგნი, აქედან 2000 ხელნაწერი, მათ შორის X-XI საუკუნეებისა და 1000 ნაბეჭდი. ეს წიგნები ისე იყო ჩალაგებული, ვერავინ სარგებლობდა და, ესეც არ იყოს, ხანძრის შემთხვევაში საქართველოს უნიკალური სიმდიდრე განადგურდებოდა. ამიტომ საცავის აშენება იქცა საშურ ამოცანად.

ადრესები მოდიოდა იმპერიიდან თუ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან, მაგრამ 9 აპრილს დანიშნული იუბილე გადაიდო 24 მაისისთვის. ცენზურა „ცნობის ფურცელს" იმის უფლებასაც არ აძლევს, იუბილეს გადადების შესახებ განცხადება დაბეჭდოს. ხალხი ღელავს, ვერ გაურკვევიათ, რატომ არ ტარდება ილიას იუბილე.

აპრილში უკვე იყიდება ნადიკვარელის ფსევდონიმით ხელმოწერილი პატარა ბროშურა „თავ. ი . ჭავჭავაძე", რომელიც ვ. გუნიას „ცნობის ფურცელმა" გამოსცა და უფასოდ დაარიგა უბრალო ხალხში.

საინტერესოა ერთი ფაქტი, ოდესაში ლუკმა-პურის საშოვნელად გადახვეწილი ქართველები კაპიკებს აგროვებენ და უგზავნიან საიუბილეო კომიტეტს მუზეუმ-საცავის ასაშენებლად:

ამ მრავალგზის გადადებულ იუბილეს თითქოს საშველი დაადგა და 24 მაისისათვის მთელი საქართველო ემზადება, მაგრამ 2 მაისს „ცნობის ფურცელში" სასხვათაშორისოდ ქვეყნდება, ილიას იუბილე გადაიდო და თან გაურკვეველი ვადითო. რა მოხდა?! მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ილიაზე ხომ 80-იანი წლებიდან საიდუმლო მეთვალყურეობაა დაწესებული. ასეთ პირზე მთავრობა იუბილეს გადახდის ოფიციალურ ნებართვას, ცხადია, არ გასცემდა. მას აქამდე ოქროს კბილს უჩვენებდნენ, თუ გაზეთი დახურეს, რა მოხდა მერე, ასეთი რამ სხვა გაზეთსაც ხომ შემთხვევია, თუ კუდში დასდევდნენ, ეს ხომ ილიამ არ იცოდა. ახლა კი მთავრობა იძულებული გახდა, იუბილეზე ან ჰო ეთქვა, ან არა. მათაც მოიხსნეს ფარისევლის ნიღაბი და პირდაპირ განუცხადეს. გუბერნატორმა თქვა – არაკეთილსაიმედოთა სიაში გახლავთო თქვენი დევგმირი ილია. ამას სოფრომ მგალობლიშვილი აცნობებს ნიკო ნიკოლაძეს, თან დასძენს, ახლა გოლიცინს ვუცდითო, მაინც იმედი ჰქონდათ, იქნებ მთავარმართებელს დაერთო ნება. აი, სწორედ ამ საკითხზე საიუბილეო კომიტეტის წევრებს კრება გაუმართავთ. კომიტეტის წევრი ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, იმდენად აქტიური იყო, რომ ჟურული მას მოიხსენიებს საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარედ, გადმოგვცემს: „შემოვიდა ილია კრებაზედ, უჩუმრად დაჯდა კუთხეში და როცა სიჩუმე ჩამოვარდა, მწარე ღიმილით სთქვა: ტყულიად ნუ ირჯებით ბატონებო, მე წინადვე ვიცოდი, რომ ნებას არ მოგვცემდნენ. დღეს დილით, როცა ბანკში მივდიოდი, გოლოვინის პროსპექტზე, ჩვენი „პოლიცმეისტერი" ჩვეულებრივ მიაფრენდა თავის „დროშკას", დამინახა თუ არა, უცებ მოსწია კუჩერს ხელი და მანამ ის შეაჩერებდა გასუქებულ იორღას, საჩქაროდ გადმოხდა, ჩემსკენ გამოეშურა: ეს არის თქვენთან მოვდიოდი, კნიაზ ილია გრიგორიჩ, თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს; თქვენ უნდა იქონიოთ გავლენა და გადაადებინოთ თქვენი იუბილე, დიდი არეულობაა ხალხში, დიდი მღელვარებაა, დიდი შეხლა–შემოხლაა პარტიათა ბანაკში. ხომ მოგეხსენებათ რა დიდი სახელი გაქვთ მთელ საქართველოში. აუარებელი ხალხი შეიყრება თქვენ პატივს საცემად, შეიძლება რაიმე ინციდენტი მოხდეს და თქვენც და ხალხსაც უსიამოვნო შეტაკება მოუხდებათ რაიმე, ხომ მოგეხსენებათ, ბრბოს შეკავება ძნელია... რაღა გავაგრძელო, – დაუმატა ილიამ, – მე იძულებული ვიყავი აღმეთქვა, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ გადადებული იყვეს იუბილეს ყოველივე სამზადისი".

ამ მოგონების მიხედვით დახატული სურათი რაღაც უკმაყოფილებას გვიტოვებს, ნუთუ ამ დროისათვის ისეა პარტია პარტიაზე წაკიდებული, რომ მათ ილიას იუბილე შეუძლიათ გაბედონ და ძმათა ომად აქციონ? ნუთუ ამ დროისთვის ამდენი მოწინააღმდეგე ჰყავს ილიას და მანაც დაუჯერა პოლიცმეისტერის რჩევას? იუბილე ჩაშალეო, თან შენივე სასიკეთოდ გირჩევთ, რომ ბრბოს გაშველებამ არ მოგვიწიოსო. ეს რომ მართლა ეთქვათ, ილია სწორედ არ ჩაშლიდა საკუთარ იუბილეს. არა იმიტომ, რომ იუბილეს გადახდა ეოცნებებოდა, პირიქით, ვერ იტანდა სცენაზე საათობით ქება რომ უნდა ესმინა ადამიანს ქანდაკებასავით გაქვავებულს. არა, მას სხვა რამ გააღიზიანებდა, ხალხის მოლოდინი, დაგეგმილი ღონისძიებები, საცავის ასაშენებლად გაღებული ქველმოქმედება. ყოველივე ამაზე თავად უნდა ეთქვა უარი, მთავრობის „კეთილისმყოფელი“ რჩევის გამო. ილიას ის ძალა ჯერ კიდევ ჰქონდა საქართველოში, რომ მის იუბილეზე სკანდალი ვერავის გაებედა, უფრო სწორად, სკანდალის ამტეხი მესამე დასელები (და სხვა ამას არავინ იკადრებდა) ჯერ კიდევ არ იყვნენ ასეთი ორგანიზებულნი. საქმე ის არის, რომ რაც ილიამ კრებაზე თქვა, მხოლოდ ეს გამოსავალი დაუტოვეს. სხვაგვარად ვერ იტყოდა, თავის თავზე უნდა აეღო, რადგან სხვა შემთხვევაში იმ პოლიცმაისტერსაც განირავდა და არც იუბილეს ჩაატარებიდებდნენ. სინამდვილეში რა მოხდა, რომ გავერკვეთ, უნდა შევადაროთ ილიას ის მონათხრობი, რაც ეკატერინე გაბაშვილმა გადმოგვცა და ის, რასაც ახლა მოგვიყვება გიორგი ჟურული: „ამ ზეიმის (იგულისხმება ილიას იუბილე, ნ.გ) სამზადისს ყური მოჰკრა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ, რასაკვირველია, დაადგინა აკრძალული ყოფილიყო. ტფილისის პოლიციის უფროსი მაშინ იყო პოლკოვნიკი ზდონოვსკი და სწორედ მას დაევალა მისულიყო დარაზმული ძალებით და ჩაეშალა ზეიმი. ძალიან იყო შეწუხებული ამნაირი დავალებით პოლიციის უფროსი. იგი იყო ახლო მეგობარი კოტე აფხაზისა. იცოდა რა დიდი პიროვნება იყო ამ უკანასკნელის ბიძა ილია ჭავჭავაძე და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური.

ბედზედ, ერთხელ თვალი მოჰკრა ზდანოვსკიმ ილიას ქუჩაში. ფაეტონით მიმავალს, სალამი მისცა და შეაყენა ცოტა ხნით. უამბო რა დავალებაც ჰქონდა დაკისრებული და სთხოვა, ჩვენს მხცოვან მოღვაწეს, რამე გამოსავალი მოეძებნა“.

როგორც ამ მოგონებიდან ჩანს, ილიას დისშვილის კოხტა აფხაზის მეგობარი, წინასწარ აძლევს ცნობას ილიას, თუ რას უპირებენ მას იუბილის დღეს, მას და ქართველ ხალხს. დარაზმული ძალებით მისვლას და, ღმერთმა იცის, ამას რა მოჰყვებოდა.

ცხადია, ილია ამ კაცს ვერ გაჰყიდდა. იძულებული გახდა ეთქვა ის, რაც თქვა კრებაზე, მაგრამ ვიწრო წრემ რომ იცოდა, რა მოხდა სინამდვილეში, ვგონებ, ჟურულის მოგონებიდან გამოჩნდა.

ასე ვერაგულად ჩაშალეს ილიას იუბილე.

ივნისში გამოვიდა მიხეილ ნასიძის 48-გვერდიანი ბროშურა – „თ. ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი", „მე გახლავარის" ფსევდონიმით. ეს წიგნაკი ილიას საიუბილეოდ დაიწერა. და, აი, ამასთან დაკავშირებით შეეხო პრესით პირველად ილია ჭავჭავაძეს ფილიპე მახარაძე (ერთი დაუბეჭდავი წერილიც ჰქონდა ილიაზე ჯერ კიდევ 1892 წელს დაწერილი, ამას მერე იტყვის 20-იან წლებში). ამ წერილიდანაც ჩანს, რომ მესამე დასეელებს ამ დროისთვის არათუ იუბილის ჩაშლა შეეძლოთ, წერილსაც კი მახარაძე ილიასადმი გარკვეული მორიდებით წერს. თან ყეფს და თან კუდს აქიცინებს, ანუ თან აშინებს ილიას, პატივისმცემელნი შემოგაკლდნენო და თან თავადაც ეშინია, არ გადავაჭარბო და მკითხველის რისხვა არ დავიმსახუროო. ამჯერად, არც გადაუჭარბებია... **თუმცა მარქსისტები კბილს მაინც ნაჰკრავენ- 41 წლისთავის იუბილეს იხდისო...**

იუბილის აკრძალვის მიუხედავად, 1897 და 1898 წლები ილიას წლები იყო. მან მიიღო მილოცვები სხვადასხვა ქვეყნებიდან, ის კი არა, ბინაზე ეწვია უკრაინის მწერალთა დელეგაცია, სპეციალურად ჩამოსული ილიას იუბილის მისალოცად.

ექვთიმე თაყაიშვილმა კი თავისებური ხერხი იხმარა, ისე გაუმართა ილიას დიდებული ლიტერატურული საღამო, რომ პოეტმა წინასწარ არ იცოდა, რისთვისაც ეპატიჟებოდნენ.

ექვთიმე იმ დროს მსახურობდა თავად-აზნაურთა გიმნაზიის ხელმძღვანელად. ეს საღამო ისე მოაწყო, არა თუ ილიას, არც არავის უთხრა, რისთვის მზადდებოდა. ილიასთვის რომ მეთქვა, შესაძლოა, არ მოსულიყო, რადგან სიფრთხილეს გამოიჩენდა გიმნაზიის შესაძლო პრობლემების გამოო. თუ ოფიციალურად ჩავატარებდი, ნებართვა კავკასიის განათლების საოლქო მზრუნველის, იანოვსკისთვის უნდა მეთხოვა, რომელიც, ცხადია, საღამოს აკრძალავდა, სასკოლო კომიტეტის ნევრებიც არ ჩავაყენე საქმის კურსში, რადგან რომელი-

მე მათგანი, მაგ., ნიკო ცხვედაძე მაინც ილიას ეტყოდა საღამოს ნამდვილი დანიშნულების შესახებო, – იგონებდა თაყაიშვილი.

კომიტეტის ყველა წევრი მოწვეული ჰყავდა. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს ავადმყოფობის გამო მისვლაზე უარი უთქვამს, შემდეგ რომ გაიგო სტუმრად ილია გვყავდა, მისაყვედურა, ეს რატომ არ მითხარი, აუცილებლად მოვიდოდიო. მარიამი (ვახტანგ ორბელიანის ასული და ალექსანდრე (საშიკო) ორბელიანის მეუღლე) სასკოლო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) იყო. ამ მოგონებაში ერთი პატარა დეტალიც არის, სასხვათაშორისოდ ნათქვამი, ამ ორმა ორბელიანმა შეუღლებით მამულები შეაერთესო.

საღამომ დიდებულად ჩაიარა. აღფრთოვანებული დარჩენილა, თუ რა მგრძნობიარედ კითხულობდნენ მოწაფენი მის შემოქმედებას. საღამოს შემდეგ იქვე, გიმნაზიის საააქტო დარბაზში, მცირე სერობაც გამართულა. ილია კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით, სულ ეგონა, რომ გიმნაზიის კოლექტივი მას ოპოზიციაში ედგა, რომ ისინი მაჩაბლისტობდნენ. რამდენი თავის მართლება მოუნია ამ გიმნაზიის გამო, ჩვენი დახურვა უნდაო. როგორია, მუდმივად ჭორებზე რომ უნდა გასცე პასუხი. აღმოჩნდა, რომ გიმნაზიაში მხოლოდ ერთი ყოფილა მაჩაბლის თავგადაკლული მომხრე – ალ. ნათაძე, მაგრამ ეს აზრი ილიას ადრიდან შეექმნა, როცა იქ თაყაიშვილის ადგილზე ალექსი ჭიჭინაძე იყო. არადა, ჭიჭინაძე ხომ სწორედ მაჩაბლის გამო იყო ილიაზე განაწყენებული. როცა ივანე საქართველოში ჩამოვიდა, ილიამ იმ სამსახურში განაწესა, რომელიც ჭიჭინაძეს უნდა მიეღო როგორც პედაგოგს. ლაპარაკია სწორედ სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორობაზე. აკაკი ამ ჭიჭინაძეს უჭერდა მხარს, (ჭიჭინაძე ნიკოლაძის სიძე იყო) ილიამ თავისი გაიტანა...

ივანეს გამო ის კაცი გადაიკიდა, ის კაცი კი ივანეს მიემხრო...

მაგრამ ეს ინტრიგები გაგრძელებულიყო და ის არ მომხდარიყო, რაც მოხდა.

●

ბანკობიადის შემდეგ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ვანო და ილია, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შერიგდებოდნენ. ჯერ ერთი, ვანოს ბანკიდან წამოსვლის შემდეგ, არც ის და არც მისი ხალხი

ილიას მომდევნო არჩევნებში აღარ ჩარეულან და ილია თითქმის ერთხმად იყო არჩეული. (ერთი ხანობა მიშო მაჩაბელი ვიტესთან დარბოდა ივანესათვის საქმის ჩასაწყობად, მაგრამ ვიტე ამ საქმეში არ ჩაერია და მაჩაბელმაც საბოლოოდ ჩაიქნია ხელი) იუბილესთან დაკავშირებით ვანომ რა პოზიციაც დაიკავა, უკვე მოგახსენეთ – მე ბანკირს ვებრძოდი, თორემ ილია მწერალი და მოღვაწე ყოველთვის მიყვარდაო. თავის მხრივ, ილია, ბანკობიადის მიუხედავად, „ივერიაში" კვლავ დიდ აღფრთოვანებას გამოხატავს მაჩაბლის თარგმანების გამო. ასე რომ, მათი ბრძოლა ერთ ეპიზოდად დარჩებოდა, ისე, როგორც ეს მოხდა ილიასა და ნიკოლაძის შემთხვევაში. ილია და ნიკო ხომ ისევ უდიდესი პატივისმცემელნი და მხარდამჭერნი შეიქნენ ერთმანეთისა, მაგრამ ვანოს ბედის ბორბალი ტრაგულად დატრიალდა.

●

1898 წლის 26 ივნისის დილით ივანე მაჩაბელი სახლში ვეღარ ნახეს. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო და, ალბათ, იმ საიდუმლოდ დარჩება, რომელსაც სახარებისეული თქმის – „ყოველი დაფარული გაცხადდების" – ახდენა არასდროს უწერია...

იმ საბედისწერო 26 ივნისიდან მოყოლებული ბევრი ითქმება ვარაუდი, ჭორი. ბევრი დაიწერება ლექსებიც, მოთხრობებიც, წერილებიც, მონოგრაფიებიც. ამ ზღვა მასალიდან მე შემოგთავაზებთ მხოლოდ იმას, რაც იმ დღეებში მოხდა და რაც დოკუმენტურად არის დადასტურებული.

25 და 26 ივნისს ივანე მაჩაბელთან სტუმრად იყო აკაკი წერეთელი. ამდენად, ყველაზე საინტერესოა გავეცნოთ იმ წერილს, რომელიც აკაკიმ I ივლისს გამოაქვეყნა გაზეთ „ცნობის ფურცელში".

თავ. ივანე მაჩაბლის შესახებ

„რადგანაც ადგილობრივი გაზეთები მაჩაბლის შესახებ სხვა და სხვა გვარს ცნობას იძლევიან, იძულებული ვარ სიმართლის აღსადგენად გავიხსენო შემდეგი: იმერეთიდან რომ ჩამოვედი და ვნახე მაჩაბელი, ის კარგ გუნებაზე დამიხვდა და მომახარა: ახლა–კი იმედია, რომ სრულიად გამოვმრთელდეო, ტკივილებს აღარ ვგრძნობ. თავისუფლად დავდივარ და კიდეც ვმუშაობო. შვილები საზაფხულოდ საჩხერეში გავისტუმრე და მე თვითონ ერთი თვით

ან თვე ნახევრით აბასთუმანს ვაპირებ წასვლას და სახლის დასაქირავებლად გუშინ ბე კიდეც გავგზავნეო. ერთი სიტყვით, ახლა შიში აღარაფრისა მაქვსო. ცოლმა კიდეც უსაყვედურა, ერთავად ნუ მიეძალები საქმეს, ბევრს ნუ სწერ და მუშაობო. უკანასკნელად ხუთშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 5-6 საათზე, ძალიან კარგ გუნებაზე დამიხვდა, მთხოვა ნარდის თამაში რადგანაც სუსტადა ვარ, ხუთი ხელის მეტი არ გვითამაშნია. შევწყვიტეთ თამაში და დავიწყეთ ჩვეულებრივი ლაპარაკი. დიდხანს ილაპარაკა როგორც გორის მაზრის სინდიკატის შესახებ, ისე საკუთარ საქმეებისა და ორივესი კმაყოფილი იყო. მხოლოდ თავის თავს ესაყვედურებოდა, ვაი თუ ისეთის ენერგიით ველარ შევძლო შრომა, როგორათაც ბანკში ვშრომობდიო. საზოგადოთ მომავალზე იმედები ჰქონდა. იმ საღამოსვე მოვიდნენ ვილაცეები სინდიკატის საქმის შესახებ. მოელაპარაკა იმათაც და ისევ გამოვიდა ჩვენთან.

ჯერ კიდევ ათი საათი არ იყო, შინ წასვლა დავაპირე, მაგრამ შემეხვეწა დარჩიო. მე წავედი სასტუმრო ოთახში დასაძინებლად, თვითონ მაშინვე ვახშმად დამჯდარიყო ცოლთან. 11 საათზე ისიც დაწოლილიყო, კნეინა ხელ-საქმეს შეჰყოლოდა, ორ საათზე დაეხედა ქმრისათვის და გულის ძილში ენახა.

ოთხი საათი იყო სწორედ, რომ ძილში რაღაც ხმაურობამ და ცუდმა სიზმრებმა გამომაღვიძა. რომ წამოვდექი, გულის ძგერა მქონდა ავარდნილი. ჯერ დავაპირე მაჩაბელთან შესვლა, მაგრამ რადგანაც მალე გადამიარა, დავრჩი ჩემს ოთახშივე და ექვსის ნახევრამდე აღარ დამძინებია. ამ ხნის განმავლობაში რომ ხმაურობა ყოფილიყო, ან ფეხის ხმა, ან ლაპარაკი არ გამომეპარებოდა. რვა საათზე რომ გამომელვიძა, ჩემი ოთახის განის კარი გაღებული დამიხვდა, რომელიც 6 საათამდე მოხურული იყო. ვიფიქრე, მაჩაბელი ამდგარათქო, რადგან მხოლოდ ან იმის ოთახიდამ გამოსულს კაცს შეეძლო გაელო და ან კიბეზე გარედან შემოსულ კაცს, თუ ქუჩის კარები, რასაკვირველია, ღია იქნებოდა დარჩენილი. შეევედი ზალაში, სადაც მაჩაბელი იწვა. ის აღარსად იყო, მაგრამ ქვეშაგები კი მინგრეულ-მონგრეული იყო, ვიფიქრე, ალბათ პირის საბანად გავიდა-თქო და დავჯექი. რამდენიმე წამის შემდეგ კნეინას ხმა მომესმა, ჩაი მზად არის, ვანო, შემოდიო. მერმე თვითონაც მოდგა და მკითხა: ვანო სად არისო! მე არ დამხვედრია, ალბათ მანდ არის, პირს იბანს-თქო. გაბრუნდა, ისევ შემოვიდა აღშფოთებული, დახედა ქვეშაგებს და კიდევ უფრო შეშფოთდა: იმას ჩვეულებად

ჰქონდა ადგებოდა თუ არა, ქვეშაგებს თითონ გაასწორებდა და ეხლა-კი ასე მინგრეულ-მონგრეულიაო. მე ვუთხარი, რა ვუყოთ, სადმე წავიდოდა-მეთქი საქმისათვის და მოვათქო. იმან მაინც გული ვერ დაიმშვიდა დაიწყო ძებნა და სტოლზე დატოვებული რომ ნახა საათი, ძენკვი და პერანგის ოქროს ღილები, მაშინ თითქმის შეიცხადა, იმავე დროს „გოროდოვოის“ დავუძახეთ და იმან სთქვა, რომ ოთხი საათი არ იქნებოდა ჯერ კნიაზმა გაჩქარებით გვერდი აგვიარა, ჩვენ ქუდი მოვუხადეთ და მე შევეკითხეო: ასე ადრე სად მიბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავო, მაგრამ მან მხოლოდ თავი დაგვიკრა, ხმა არ გაგვცა და ჩაგვიარა გვერდით პირ და პირ გოლოვინსკის პროსპექტისაკენ. თუ ეს მართალია, ალბათ ხელ-ახლად მობრუნებულა ისევ და შესაძლებელია ჩემი ოთახის კარი მას გაეღოს და ხელ-მეორედ ისევ წასულიყოს. ყოველ შემთხვევაში წინა დღეს სრულ ჭკუაზე იყო. მეტად მხიარული და დამშვიდებული, ისე რომ თავზე ხელ-აღებული იმ მდგომარეობაში ყოველ ამას ვერას გზით ვერ მოახერხებდა“.

აკაკის წერილს მოსდევდა გაზეთის ფართო ინფორმაცია ივ. მაჩაბლის საიდუმლო დაკარგვასთან დაკავშირებული ამბების შესახებ:

„ეს მეხუთე დღეა რაც დაკარგული თავ. ივ. მაჩაბელი ვერ უპოვნიათ, თუმცა ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ, პოლიცია და ჟანდარმერია დაეძებს თვითონ ქალაქში და მიწერ-მოწერა აქვთ ყველა სხვა ქალაქებშიაც. ამათ ეხმარება ნათესაობა და მეგობრები დაკარგულისა. მენავეები და ცხენოსანი კაცები მტკვარში და მტკვრის პირზე დაეძებენ.

სახლში ეძებენ რაიმე ნიშანს, წერილს, მაგრამ ჯერ ვერა უპოვნიათ-რა. თავ. ივ. მაჩაბელი გამოვიდა სახლიდან პარასკევს დილით 4 საათამდე – ეს ნამდვილი და გამორკვეულია, ამის მეტი კი ყველაფერი, რასაც ლაპარაკობენ, ძნელად დასაჯერებელია და უსაფუძვლოა. არიან ვითომ იმის მნახველები პარასკევს ნაშუადღევს 2 საათამდის, მაგრამ ვერც ერთი იმათგანი ვერ ამბობს ამას დარწმუნებით. მხოლოდ ორი მათგანი ბ. დო–ვი და ადგილობრივი თერძი ფავლენოვი არწმუნებენ ყველას, რომ ერთს მათგანს ბ. დ–ევს, ის უნახავს ლორის–მელიქოვის ქუჩაზე 2 საათზე და ფავლენოვს კი პუშკინის ბაღთან, ერევნის მოედანზე – 11 საათზე დილით, მაგრამ როდესაც ჰკითხეს თუ რა ტანისამოსი ეცვაო, ნამდვილად ვერ ასწერეს.

კიდევ ბევრია ისეთები, რომელნიც გაიძახიან ვნახეთო, მაგრამ ადვილათ შესაძლებელია, რომ ამათ ის ენახოთ წინა დღეებში და არა პარასკევს ან და ენახათ ვინმე თავ. ივ. მაჩაბლის მსგავსი კაცი. ყოველ შემთხვევაში ისეთი არავინ არის, რომელიც დალაპარაკებოდეს დაკარგვის დღეს თავ. მაჩაბელს და ჩვენც ამის მიხედვით არა გვჯერა ამ ბევრისაგან იმისი ნახვა. ძნელად წარმოსადგენია, რომ ისეთი ცნობილი კაცი, როგორიც თავ. მაჩაბელია, შუადღის 2 საათამდე დადიოდეს ქალაქის ქუჩებზე და ერთი ისეთი ნაცნობიც არ შეხვდეს, რომ არ გამოლაპარაკებოდა. ყოველ შემთხვევაში პარასკევს 2 საათიდან ყოველივე კვალი ისპობა. მას აქეთ არც არავის უნახავს და ვერც რა გაუგიათ.

არის ერთი ჩვენება, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია სარწმუნოთ: თავ. მაჩაბლის სახლის პირდაპირ სახლობს ვილაც სარაჯოვის ქვრივი; ეს მანდილოსანი დარწმუნებით ამბობს, რომ 4 საათი იქნებოდა ჯერაო, როდესაც ივ. მაჩაბელი გამოვიდა ძალიან ფერ-მიხდილი თავის სახლის აივანზე და დაიწყო ჩქარი სიარული, აქეთ-იქით იცქირებოდა, ხელებს იმტვრევდა და მერე ისევ შევიდა ზალაში და ფანჯარაში დავინახეო, რომ თავში იცემდა ხელსაო; ამის შემდეგ გამოვიდა ქუჩის კარებიდან და ძალიან აჩქარებული წავიდა გოლოვინის პროსპექტისაკენო. ამ აღელვებით და აჩქარებით წასვლას მოწმობს იქვე მდგომი პოლიციელიც. ვილაც მუშა მოვიდა დაკარგულის ოჯახში და აჩვენა, რომ პარასკევს დილით 5 საათზე ის და კიდევ ერთი მისი ამხანაგი მოდიოდნენ ვერის ხიდზე და დაინახეს, რომ ვილაც კაცი მოჰქონდა მტკვარსა–თეთრი ჩესუჩის ტანისამოსი ეცვაო და ჭაღარა წვერულვაში ჰქონდა. ორჯერ-სამჯერ გადაატრიალა წყალმა და მერე კი აღარ გამოჩნდაო. ბევრი ვიყვირეთ, მაგრამ ახლო-მახლო არავინ იყო და ჩვენც ჩვენ გზაზე წავედითო. ამათგან ტანისამოსის აღწერილობა სიმართლეს მიემსგავსება, მაგრამ დარწმუნებითი დასკვნა არც ამ ჩვენებიდან შეიძლება.

თვით სახლში ყველაფერი საქმეები წესიერათ დაუტოვებია თავ. მაჩაბელს: სინდიკატის ანგარიშები, კუთვნილი ფულები და ყოველივე საბუთები, თავ-თავის ალაგას ჩაწერილი და შემოწმებული. პარასკევ დღეს თუ მაჩაბელს არა ქონია განზრახული თავის მოკვლა ან სადმე გადახვეწა სამუდამოდ ეს იქიდან მტკიცდება, რომ იმავ დღეს დაბარებული ჰყოლია რამდენიმე ტფილისელი ვაჭარი გორის სინდიკატის საქმეების შესახებ. ყველა ამათ პარას-

კევს მოაკითხეს სახლში და სთქვეს, რომ თავადს დღეს ჩვენთან საქმე ჰქონდაო და სადა ბრძანდებაო. დაკარგვის წინა ღამეს იმისი კარგ ხასიათზე და მხნედ ყოფნა სარწმუნო ჩვენებით დამტკიცებულია... ხშირად უძილობაც აწუხებდაო. თითქმის მთელი კვირა არ ეძინაო.

თავ. ივ. მაჩაბელი იმდენი მეგობრებისა და დიდათ პატივცემული ოჯახის პატრონი იყო, რომ ამჟამად მთელს ტფილისში და თითქმის საქართველოში მხოლოდ ამ სამწუხარო ამბავზე არის ლაპარაკი. ხვალისთვის უნდა მოველოდეთ ახალ ამბებს და ჩვენც ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს" („ცნობის ფურცელი", 1898 წ. ივნისი, N571).

სამწუხაროდ, ახალი ამბავი აღარავის მოუტანია. როგორც პოეტი იტყვის:

„საქართველო და მთაწმინდის ნიავი
დღესაც ეძებს კვალდაკარგულ მაჩაბელს..."

თ. ჩალაბაშვილი

1899

„ქვათა ღაღადი“. ილიას უცხოელი სტუმრები. ველიჩკო. აისბერგის ზედა და ქვედა ნაწილები...

„თუ მძულს მეცხრამეტე –
მძულს და... კიდეც მიყვარს!“

მ. ლებანიძე.

მინდოდა თხრობა დამეწყო იმით, რითაც დაიწყო ეს წელიწადი ილიას ცხოვრებაში. არაფერი ახალი, – საახალწლოდ „კვალი“ „ივერიის“ წინააღმდეგ ისევ რაღაცას პამფლეტობს. ნოე ჟორდანიას, ისე, როგორც წინა წელს, ილია ამოუღია მიზანში და „ივერიის“ პუბლიკაციების წინააღმდეგ წერს და წერს, ოღონდ აცხადებს, სხვა თანამშრომლებთან საქმე არა მაქვს, უშუალოდ ილიას სტატიებია ჩემი ნადირობის საგანიო.

წეროს! ილიამ არც წინა წელს უპასუხა და არც ახლა მოცდება მისთვის. მას სულ სხვა საქმე წამოუწყია და ეს წერილიც ამით მინდა დავიწყო. ილია წერს ასგვერდიან წერილს, მთელ წიგნს. ამ შინაური ლეკვების ყეფისთვის ყური აურიდებია, ვინც საქართველოს უტევს, მათ უნდა გასცეს საკადრისი პასუხი. როცა ამ საქმისთვის იღებს კალამს, თავს ისე გრძნობს, როგორც ბრძოლის ველზე მარტოდმარტო გასული ბელადი, რომლის ომს ჯარი გალურსული ადევნებს თვალს. თუ დამარცხდა, ჯარიც დამარცხებულია, თუ გაიმარჯვა, გამარჯვებულია მისი სპაც.

ასე იყო, როცა კატკოვს დაეჯახა. ასე იყო, როცა დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა გრანდიოზულ დემონსტრაციად აქცია.

ასე იყო, როცა ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენების სცენარზე ფიქრობდა და ასეა ახლაც, – როცა ზის და წერს წერილს – „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ეს არ იყო მორიგი წერილი.

ილიასთვის ეს ომი იყო. ომი, სადაც ხმალი უშიშრადაც უნდა ექნია და დიდი სიფრთხილითაც. საიდანაც თავადაც გამარჯვებული უნდა გამოსულიყო, საღი ქართველიც და საღი სომეხიც. ვისაც თვალნი აქვს ხედვად, ამ წერილში მხოლოდ ამას დაინახავს. იერიში იყო საქართველოზე, იერიში არა ხმლით, არამედ ეშმაკობით, რუსის წაქეზებით. ვინ კანონს წერდა, რომ საქართველოს

დედაქალაქში ქართველს ხმის უფლება არ ჰქონდა, რადგან არ ჰქონდა ქონება. ვინ ამ კანონს ოსტატურად ირგებდა და თვითმმართველობაში არცერთ ქართველს შეგნებულად არ აჭაჭანებდა. ვინ „სამეცნიერო" ნაშრომებს წერდა, რაც წარსულის გადაწერის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ქართველს სამტკიცებლად უნდა ქცეოდა ის, რომ თბილისი ნამდვილად საქართველოს დედაქალაქია. ეს უკვე იერიში იყო და თანაც იმპერიის ცენტრიდან წახალისებული. დიდებულად წერდა სპირიდონ კედია: „იერიში საიდანმე საქართველოზე? ქვეყნის თვალი არის ილიასკენ მოტრიალებული და ილიაც ასპარეზზე გამოდის – დახელოვნებული, თადარიგიანი სარდალი. მას გული ყოველთვის საგულეს აქვს: მართალ საქმეს იცავს – საქართველოს ვინაობას – და მომზადებულიც არის. მტრის დასამარცხებელი იარაღი დიდი სიფრთხილით აქვს შერჩეული და გადასინჯული.

თვალის მომჭრელი სანახაობაა მისი საფუძვლიანი და გულდაგული ომი. აქ საშემთხვევო არაფერია. ყველაფერი წინდახედულია და გამოზომილი. ილია დაჯერებულია და აუღებელი. დამშვიდებული ხარ და თან აღტაცებული... ილია წინ ან სულ არ წაიწევს, ან თუ წაინია, უკან არ დაიხევს. ასეთია მისი ბუნება...

...ილიას შეტევა განსაკუთრებული მადლით მაშინ იმოსება, როდესაც საქართველოზე უსამართლო თავდასხმა ხდება. როდესაც ამცირებენ მის სახელს, ანიავებენ მის ისტორიას, ულახავენ დროშას; ჰქირდვენ მის აწმყოს, ემუქრებიან მის მომავალს, თორემ მართალი კრიტიკა და მხილება მას კი არ ეთაკილება, პირიქით!

„საბუთიანს, მართალს მხილებას თუნდა მთელი ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა"-ო, წერს ილია.

ამ დარგის ნაწერებიდან „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი" შედევრია, რომელმაც ილიას პუბლიცისტობა სამართლიანად ქართულ ოლიმპზე აიყვანა".

ვამბობ, ხმალი გაბედულადაც უნდა ექნია და ფრთხილადაც. ძალიან კარგად იცის, „ქვათა ღაღადს" რატომ უბეჭდავს ცენზურა დიდი წვალების გარეშე, რატომ არ უშლიან ხელს დაიბეჭდოს გაზეთშიც, გამოვიდეს წიგნად, ითარგმნოს რუსულად. ერთი სული აქვთ, იქნებ ქართველი და სომეხი ნაჰკიდონ ერთმანეთს და იმიტომ. მაგრამ ილია რისი ილია იქნება, თუ მათ ბადეში აღმოჩნდება და მეორეც, ილიამ კარგად იცის სომხეთის თავისუფლების გარე-

შე, კავკასიის თავისუფლების გარეშე, საქართველო სრულყოფილ თავისუფლებას ვერ ეღირსება, ამიტომ მისი ფიქრია – „მთელ კავკასის თავისუფლება". აქედან გამომდინარე, რატომ უნდა ებრძოლოს სომხის ერს? ეს დღესაც კი ბევრ სომეხ ინტელიგენტს არ ესმის და „ქვათა ღაღადს", რბილად რომ ვთქვათ, სინანულით თუ მოიხსენიებენ. აბა, კარგად ნავიკითხოთ, რას წერს სინამდვილეში ილია ჭავჭავაძე.

პირველ რიგში, მოკლედ წარმოვადგენ, რა არის საგანი მისი აღშფოთებისა. წერილი იწყება რუსთველის სიტყვებით:

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა – მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს."

ამ ეპიგრაფს მოსდევს მოთმინების ძაფგამწყდარი კაცის სიტყვა:

„ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქოს არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი–ლაჩარნი–აი, ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლადიდების სურათი! აი, რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება წერით თუ სიტყვით, მაშ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომაც ჩვენ ასეთი უხეირონი და ულირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი.

ამისთანა დაღით შუბლზე გაისტუმრეს ქართველის სახელი ევროპაში, საცა კი ენა და კალამი მიუწვდებოდათ".

ამას კიდევ უფრო მძიმე სურათის აღწერა მოსდევს. შემდეგ კი ილია სვამს კითხვას: „ვისი უნარია ყოველივე ეს? ეს რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ დაგვყეფს და დაგვჩხავის? ჩვენ ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომე-

ლიც მარტო ერთგვარ გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნის. თუმცა ასეა, მაგრამ მანამ კალამს ხელში ავიღებდით ამ წერილის დასაწერადა, დიდხანს ჩავუფიქრდით ერთს ჩვენთვის დიდმნიშვნელოვან გარემოებას: როგორ ჩამოგვართვმევს წერილს მთელი ერი სომხებისა? ეს საკითხი უქმი საკითხი არ არის, როგორც ვნახავთ.

ერი როგორც კრებული ისტორიით შედუღაბებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათამყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია. ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი ნაწილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი. აი, საფრთხე აქ არის, აი, აქედამ მოველით იმ მტვერ-ბუქსა, იმ კუდიან ქარსა, რომლის აყენებას არ მოერიდა იგი ერთგვარი გუნდი, რომ კაცს თვალები დაახუჭვინოს, თვალები აუბას.

ვინ იცის რა ბუკსა და ნაღარას დაჰკრავს, რა საყვირს დააყვირებს ამ წერილების გამო იგი გუნდი, რომლის მხილება ჩვენ სახეში გვაქვს და რომელსაც ჩვეულებად დასჩემებია, მათ შესახებ ნათქვამი მთელს ერს მოახვიოს თავზე, მთელს სომხობაზე გადაიტანოს".

თითქოს ეს გაფრთხილება არ იყოს საკმარისი, ილია რამდენჯერმე მიმართავს პრევენციას – „მთელი ერი სომხებისა აქ არაფერ შუაშია. იგი, ვითარცა მშვიდობიანი, მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია – ვაჭრობაა თუ ხვნა თესვა და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომელნიც არამკითხე მოამბესავით მეტიჩარობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი-მუხასა".

ამ ერთგვარი პოლიტიკური განაცხადის შემდეგ, ილია მოსდგება იმ გუნდს, რომელთაც ქართველების ცოცხლად დამარხვა სწადიათ:

„დროა, ნიღაბი ავხადოთ ამ ერთ გუნდს სომხებისას, რომელთა მეცნიერნი ასეთს ყოფას გვაწერენ ქართველებს დიდისა და პატარის გამოუკლებლად".

აქ აღარ შევუდგები ამ ვრცელი წერილის შინაარსის გადმოცემას, ისედაც ყოველმა წიგნიერმა ქართველმა იცის, რა ზარებია

დარისხებული „ქვათა ღაღადში". ერთს კი ვიტყვი, როგორც ჩანს ილიას წინასწარმა თადარიგმა, წინასწარმა გაფრთხილებამ, მთელს ერზე კი არა, მის ერთ მცირე ქართველთმოძულე ავანტიურისტებზე, არამკითხე მოამბეებზე ვწერთო, დიდი შედეგი ვერ გამოიღო. ხალხს ტყუილი მართალს ურჩევნია, სომეხი შოვინისტები მაინც უკულმართად აწვდიდნენ თავიანთ ხალხს ინფორმაციას „ქვათა ღაღადის" შესახებ და ყველაფერს ცდილობდნენ ეროვნული შუღლის გასაღვივებლად. ამას ქართველი მარქსისტების ვერაგობაც დაემატა. 8 წლის შემდეგ, როცა ილიას მოკვლას გადაწყვეტენ სოციალ-დემოკრატები, წინასწარ იზრუნებენ მკვლელთა ვინაობის დასაფარად სხვადასხვა ალიბზე და ერთი ასეთიც იქნება: მკვლელებთან განდობილ ილიას მეეტლეს დაარიგებენ, პირველივე განცხადება ჩვენების მიცემის დროს ასეთი გააკეთოს – თავდამსხმელები გარეგნულად სომხებს ჰგავდნენო. მართალია, ეს ხრიკი არ გასჭრის, მაგრამ ის, რომ ილიას მეეტლე ადგილზე არ მოჰკლეს, მკვლელობის თანამონაწილე იყო, მაგრამ ზედმეტი მოწმე რაში სჭირდებოდათ? არ მოჰკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას თავისი დავალება შეესრულებინა. ასეც მოხდა. მეეტლემ დავალება შეასრულა. პირველივე ჩვენებაში თქვა, მკვლელები გარეგნულად სომხებს გავდნენო. ამ ხრიკმა არ გასჭრა, მაგრამ თვით ეს დეტალი მრავალისმეტყველია...

●

როცა ილიას საქართველოს უგვირგვინო მეფეს უწოდებენ, ეს არ იყო მხოლოდ ხატოვანი თქმა. ის ქვეყანას ისე უყურებდა, როგორც დიდ ოჯახს ჭეშმარიტი პატრონი. აჭარის შემოერთების შემდეგ, პირველი რასაც წერა-კითხვის საზოგადოება აკეთებს ბათუმში სასწავლებლის დაარსებაა. ილია რამდენჯერმე ჩადის ბათუმში და, სხვათა შორის, ყურადღებას აქცევს იმასაც, ვინ იქნება ბათუმის ქალაქის თავი. არჩევნებზე ბათუმში, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, დამკვირვებლადაც კი იმყოფებოდა.

ახლა, 1899 წელს, სოხუმის ქალაქის თავი უნდა აირჩიონ, აქაც ილიას ხელი ჩანს. ის ერთ-ერთ კერძო წერილში წერს: „...ჩემის ფიქრით, უკეთეს კაცს ვერ იშოვით სოხუმის მოურავად. (ლაპარაკია ალექსანდრე სარაჯიშვილზე) კაცი დარბაისელი, ჭკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი. ყოველ ამასთან ჭეშმარიტი და თავდადებული ქართველია, მოჭირნახულე და მხნე გამრჯელი. ხო-

ლო უნდა ეცადნეთ, რომ უსათუოდ არჩეულ იქმნას და ტყუილუბრალოდ არ გააბიაბრუონ პატიოსანი კაცი. მე სწორედ დღევანდელ დღეს მქონდა იმასთან ლაპარაკი და ძალიან გამიხარდა, რომ არ უარობს და თანახმაა სოხუმს ემსახუროს". სოხუმის ქართველობამ ყველაფერი გააკეთა, რომ არჩევნები მათი კანდიდატის, ალექსანდრე სარაჯიშვილის გამარჯვებით დამთავრებულიყო და ასეც მოხდა. სოხუმის თავად სარაჯიშვილი აირჩიეს, მაგრამ მთავრობას ჰქონდა უფლება არჩეული კაცის არ დამტკიცებისა თანამდებობაზე. ეს უფლება გამოიყენეს და ალექსანდრე სარაჯიშვილი არ დაამტკიცეს...

●

ილია, საქართველოში ჩამოსულ უცხოელთათვის, – მწერალი იქნებოდა, მეცნიერი, პოლიტიკოსი თუ ჟურნალისტი, პირად მასპინძლად გრძნობდა თავს. ევროპაში აღარ იციან საქართველო, იციან რუსეთი. თვით ვიქტორ ჰიუგოსთვისაც კი საქართველო რუსთაველის ქვეყანა კი არა, ის პროვინციაა, სადაც როგორც სმენია, ლამაზი ქალები ცხოვრობენ. ილიას ამოცანაა, როგორმე ჩვენი კულტურა, ჩვენი ქვეყნის სახელი გარეთ გაიტანოს. ამას გარკვეულწილად ახერხებს კიდეც, გერმანელია, ფრანგი თუ ინგლისელი, თბილისში მოხვედრილი, აუცილებლად ილიას სტუმარიც ხდება. არა-ერთი და ორი წერილი შემოგვრჩა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მათ მიერ მადლიერების გრძნობით მოწერილი ილიასადმი. ახლაც, თხუთმეტი წლის შემდეგ, საფრანგეთის ყოფილი კონსული მეიერი პარიზში ბეჭდავს მოგონებას ილია ჭავჭავაძეზე და ჩაურთავს ამ მოგონებაში იმ სიტყვას, რომელიც ილიამ 1884 წელის 30 ნოემბერს წარმოსთქვა საფრანგეთის დღესასწაულის აღსანიშნავ ნადიმზე. ეს მეიერი ჩვენ ნახსენები გვყავდა და ალბათ ახსოვს მკითხველს, სახეგაბადრული რომ უსმენდა ილიას პატრიოტულ სიტყვას „დროების" რედაქციაში.

და აი, ილიამ შეიტყო, რომ სექტემბერში ფრანგი ჟურნალისტები ჩამოდიან. ვინ უწდა გვასახელოს მათთან, თუ არა ნიკო ნიკოლაძემ? ილია სთხოვს მხატვარ დავით გურამიშვილს, ნიკოლაძის მეორე ცოლის ძმას, შეატყობინოს ნიკოს ეს ამბავი და თბილისში ჩამოსვლა სთხოვოს.

გურამიშვილის ნერილს ილია მინაწერს დაურთავს: „შენი ჭირიმე, ნიკო, უსათუოდ ჩამოდი, მეტი არის განგიმარტო რა მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, რომ ამ უცხო კაცებმა ჩვენგან შეიტყონ

აქაური ავი და კარგი. ეს შენ ჩემზე უფრო უკეთ იცი. აბა თუ კაცი ხარ და არ დაიზარებ აქ ჩამოსვლას, ვიდრე ისინი აქ დარჩებიან."

სექტემბრის დასაწყისში ფრანგი მოგზაური-ჟურნალისტები ეწვივნენ საქართველოს და მათ დახვდათ ილია ჭავჭავაძე. ამ შეხვედრისა და სტუმარ-მასპინძლობის დეტალები აღწერილია „ივერიის" რამდენიმე ნომერში. სტუმრები აღფრთოვანებულნი დასტოვებენ თბილისს.

●

24 ოქტომბერს ილია „ფანტაზიის" ბაღში მასპინძლობს ფრანგ მოგზაურ არქეოლოგს ბარონ დე ბაისა და რუს მწერალს – ევგენი მარკოვს. მასპინძლის როლში ილია მარტო არ არის. აქ ბრძანდებიან დავით სარაჯიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ნიკო ცხვედაძე, არტემ ახნაზაროვი და სხვები.

ნადიმზე ილია მიმართავს მარკოვს. სიტყა ასე იწყება: „ნება მიბოძეთ, მეც, სხვათა შორის სალამი მოგართვათ ჩემის მრავალტანჯულის სამშობლოს მხარეში, რომელმაც თავისი მშვიდობიანობა მოიპოვა მფარველობის ქვეშე რუსეთის სულგრძელი ერისა."

რას ნიშნავს ილიას ბაგეთაგან დაცდენილი სიტყვები – ჩემმა სამშობლომ მშვიდობიანობა მოიპოვა მფარველობის ქვეშე რუსეთის სულგრძელი ერის? ხომ არ არის ეს სუფრაზე მხოლოდ სტუმრის სიამოვნებისათვის ნათქვამი ფრაზა, იმწუთიერი აუცილებლობით ნაკარნახევი? კიდეც ხო და კიდეც არა. უფრო მეტიც, 1899 წლის ნოემბერში ილია ბეჭდავს წერილს – „ასი წლის წინათ" (პირველად შემოსვლა რუსი ჯარისა საქართველოში) ეს წერილი იგივე პათოსით მთავრდება, – რუსეთის კეთილისმყოფელი როლის აღნიშვნით საქართველოში მშვიდობის დამყარების საქმეში. კიდევ მეტი, ილიამ სამძიმარი დაბეჭდა „ივერიაში" ალექსანდრე მესამის გარდაცვალებაზედ და ასევე წერილი უძღვნა ნიკოლოზ მეორის ტახტზე ასვლას. ყოველივე ამას სჭირდება ახსნა და სჭირდება კომუნტარი. შეუძლებელია, ვერ ავუვლით გვერდს, ვერ ავერიდებით იმას, რაც ილიას კალმით დაწერილა. ბიოგრაფი ვერ ჩარგავს თავს სილაში იქ, სადაც წინააღდეგობას წააწყდება, სადაც ხედავს, რომ მის საყვარელ ავტორს რაღაც ისეთი უთქვამს, რაც მის შესახებ შექმნილ წარმოდგენებში არ თავსდება. ასეთ დროს ბიოგრაფთა ერთი ნაწილი საერთოდ თავს არიდებს ასეთ ჩანაწერებს, ხო-

ლო ბიოგრაფთა მეორე ნაწილი, რომელთაც ილია ლამის რუსეთთან ერთობის პირველ მქადაგებლად გამოჰყავდათ ან გამოჰყავთ, სწორედ ზემორე გამონათქვამებზე და ზემოთ ნახსენებ წერილებზე აკეთებენ განსაკუთრებულ აქცენტებს.

ამიტომაც ვამბობ, თუ ეპოქის ქერქიდან, ანუ იმ დროის მოტივაციებიდან ამოვალთ როცა ესა თუ ის წერილი დაიწერა ან ფრაზა ითქვა, ან ესა თუ ის ნაბიჯი გადაიდგა, ყველაფერი ნათელი ხდება.

კერძოდ, ყველაფერი ნათელი ხდება თუ მკითხველს ეცოდინება შემდეგი, როცა ალექსანდრე III გარდაიცვალა, ყველა რედაქციას დაურიგდა ცირკულარი, რომ უნდა დაბეჭდილიყო სამძიმრის წერილი, ამის არ შესრულება ნიშნავდა გაზეთის დახურვას.

ალბათ, გახსოვთ, რა დღეში ჩააგდეს ნიკო ნიკოლაძე მხოლოდ იმისთვის, რომ ალექსანდრე მეორის სურათი მისი მკვლელობის შემდეგ შავ არშიაში არ ჩასვა.

ასევე, მისასალმებელი წერილი იყო საჭირო ახალი მეფის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით. რა ჰქნას ილიამ, ან გაზეთის დახურვა ან ცირკულარის შესრულება. ამიტომაც იყო გ. ლასხიშვილი რომ ამბობდა, ილიას მილოცვის ნაცვლად ერთი კვნესა რაღაც წერილი გამოუვიდაო...

რაც შეეხება ილიას წერილს „ასი წლის წინათ" რომელიც ხშირად მოჰყავთ იმ მეცნიერებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ილია საქართველოს ხსნას რუსეთთან ერთობაში ხედავდაო, უნდა ვთქვათ, ამ წერილის ძირითადი არსი სწორედაც იმ პირობის შეხსენებაა რუსეთისთვის, რომელიც მან ცინიკურად დაარღვია და მეორე, ილია არ იყო რუსეთთან რევოლუციურად დატაკების მომხრე. 1899 წელს, როცა ეს წერილი დაიწერა, ლეგალურ პრესაში იმაზე მეტის თქმა, რასაც ილია ამბობს, უბრალოდ შეუძლებელი იყო. საამისოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ. სწორედ ამ პერიოდში აკაკის ქუთაისიდან წერილს მოსწერენ ახალგაზრდები, წერილს ხელს აწერს 300 ყმაწვილი. ისინი დიდ პოეტს უცხადებენ, რომ მზად არიან სამშობლოსათვის გასწირონ სიცოცხლე. სამასი ხელმოწერა, როგორც ჩანს, 300 არაგველის ანალოგიით გაკეთდა.

აკაკიმ ძლიერ გაიხარა, მაგრამ თან დაფიქრდა, ეს წერილი მთავრობის ხრიკი ხომ არა არის რა და ჩემი შარში გახვევა ხომ არ უნდათო. ვიდრე ახალგაზრდებს უპასუხებდა, ჩავიდა ქუთაისში, ნახა მისი მეგობარი მიტროფანე ლაღიძე, (ეს ის ლაღიძეა თავის შეურაცხმყოფელს რომ შეუნდო ავადმყოფი აკაკის მორჩენის გამო)·

და სთხოვა, გაეგო, ეს გულწრფელი წერილი იყო მოზარდებისა თუ მთავრობის ხრიკი. როცა ყველაფერი გაირკვა, მხოლოდ ამის შემდეგ შეხვდა გახარებული აკაკი ამ ახალგაზრდებს, მაგრამ შეხვდა ჯგუფ-ჯგუფად და არა ყველას ერთად, რომ მთავრობას რაიმე ეჭვი არ აეღო. აი, ასეთ დროში ნათქვამი თუ დაწერილი სიტყვებიდან უნდა გამოვარჩიოთ რა არის ის ლუკმა, რომელსაც მწერალი როგორც ძაღლს ისე მიუგდებს თავისი დროის კონიუქტურას და რა არის ის ლუკმა, რომელიც თავისი დროის სულის პურად ქცეულა.

ამ ვრცელი კომენტარის შემდეგ, დავუბრუნდეთ ილიას სიტყვას, რომელსაც იგი ნადიმზე ამბობს, ილია მიმართავს რუსის მწერალს: „რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე. მარტო მით რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა." მაგრამ ეს ყველაფერი, მხოლოდ შესავალი ნაწილია იმ მთავარის გამოსაკვეთად, რისი თქმაც ილიას სურს, რაც უნდა რომ გააგებინოს რუსეთს: „წაართვით ადამიანს ეს სიყვარული სამშობლოსი და მის გულში ვეღარ იპოვით ამისთანა ღრმას და მაგარს ადგილს, რომ ზედ ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა".

დიპლომატიურად მასპინძელი სტუმარს ეუბნება, თქვენი იანოვსკები, თქვენი ვოსტორგოვები, თქვენი პობედონოსცევები და, საერთოდ, თქვენი პოლიტიკა – ამოგვირეცხონ სამშობლო გულიდან, წინაპირობაა იმისა, რომ შეგვაძულონ თვით რუსეთი და სნორედ ასე იქცევიანო.

ამ ნადიმს ორი გაზეთიდან – „ნოვოე ობოზრენიე"-დან და „ტიფლისკი ლისტოკ"-იდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. აქ არავისთვის საწყენი რამ არ თქმულა, მაშ რად აიგდო სასაცილოდ ორმა გაზეთმა ეს შეხვედრა?

ორივ გაზეთში დაახლოებით ამდაგვარ რამეს სწერდნენ: ილიამ ცაში აიყვანა ვიღაც მარკოვი, რომელსაც რუსეთში ბოგუჩარსკი და მიხაილოვი არაფრად აგდებენო.

ბარონ დე ბაის მიართვეს ყვავილების ჩანგი, რომელსაც ზედ ეწერა, მადლობელ კავკასიისაგანაო, ვინ მისცა რამდენიმე ქართველს უფლება მთელი კავკასიის სახელით რომ უძღვნიან სტუმარს საჩუქარსო და მისთანანი.

შარი თუ გინდათ, ნამდვილად ეს იყო. ვინ კითხავდა ან ერთ გაზეთს, ან მეორეს სხვისი ნადიმის ამბავს? სხვის ლუკმას რისთვის უთვლიდნენ ესენი სტუმრებს? აკი გაკვირვებული წერს ილია:

„საცა ზრდილობა და მართებულობაა, განა საფიქრებელია, კაცმა კაცს უკიჟინოს – სტუმარი რად ისტუმრეო...

განა საფიქრებელია, კაცმა კაცს ნიშანი მოუგოს და წააყვედროს – ამ კაცს რად გაუმასპინძლდი, მაშინ როდესაც ბოგუჩარსკის და მიხაილოვსკის ეგ კაცი სულაც არ მოსწონთო?"

ამ გაზეთებმა მართლა ისეთი სისულელე წამოროშეს, პირდაპირ გასართობი მისცეს პოლემიკის დიდოსტატს. ილიამ სამასხარაოდ აიგდო ოპონენტები. პირდაპირ არ წერს, მაგრამ უტრირებას თუ მოვახდენთ, ასე კი ისმის მისი სიტყვები, ვინ ოხრებია ეგ თქვენი ბოგუჩარსკი და მიხაილოვსკი, რომ მაგათი შიშით ამ ჩვენს დედაქალაქში, ჩვენი მდინარის პირას, ჩვენს რესტორანში, ჩვენივე სტუმარი ვერ წავიყვანოთ და ჩვენი წესით პატივი ვერ ვცეთო.

ერთი სიტყვით, ამ ბრიყვულ გამოხტომაზე ილიასგან საპასუხო ალიყური მიიღეს წერილით „პასუხი გ. თუმანოვს." მაგრამ ისიც ვიკითხოთ, ნუთუ მართლა სხვისი ნადიმი გახდა ხსენებული გაზეთების აღშფოთების საგანი და მართლა ის არ მოეწონათ რუსეთში დაწუნებული მწერალი თქვენ რატომ აქეთო, ან ფრანგ მეცნიერს კავკასიის სახელით საჩუქარი რატომ მიართვითო? ზედაპირულად მართლა ასეთი სასაცილო ჩანს მათი გამოხტომა, მაგრამ თუ ისევ ეპოქის ქერქიდან ამოვალთ, ვნახავთ, რომ ამ პოლემიკაში მხოლოდ აისბერგის თავი ილანდება, უხილავი ბოლო კი სხვა რამეს მალავს, რაც არც ერთი მხრიდან ნახსენები არ არის, მაგრამ თუ ის ეპოქა იცი, ამ სასაცილო გამოლაშქრებას თავისი ახსნა აქვს. საქმე ის იყო, რომ ნადიმს თამადობდა რუსი პოეტი ველიჩკო. ხოლო მეორე რუსი მწერალი, მარკოვი, როგორც ჩანს, ამ ველიჩკომ გააცნო ჩვენს მოღვაწეებს. ეს ფაქტი კი გ. თუმანოვის აღშფოთებას, რომელიც სომხურ გაზეთს რედაქტორობდა, ნათელს ჰფენს.

საქმე შემდეგში გახლდათ. კამათი ამ ერთ სუფრასთან დაკავშირებით აირეკლავს იმ დიდ პოლიტიკას, რომელიც ამ დროს იმპერიისგან სამხრეთ კავკასიაში ხორციელდებოდა.

რუსის პოლიტიკა ცნობილია:

1) მუდმივად წაკიდებული უნდა ყოფილიყო ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი.

2) თავად რუსს ხან ერთის მხარე უნდა დაეჭირა, ხან მეორის და ხან მესამისა.

1801 წლიდან მოყოლებული ვორონცოვის დრომდე ქართველები იჩაგრებოდნენ და სომხებს ყოველნაირი ხელშეწყობა ჰქონდათ.

ვორონცოვიდან მოყოლებული კორსაკოვამდე დაბალანსებული პოლიტიკა წარმოებდა – ქართველებს ხელშეწყობა ჩინ–მედლებით, სომხებს ფულითა და ქონებით. კორსაკოვის დროში ქართველები ყველგან შეზღუდეს, თვით სამხედრო სასწავლებლებშიც კი ქართველს აღარ ღებულობდნენ.

ახლა გოლიცინის დროა და სომხების ჩაგვრის ჯერი დამდგარა. გოლიცინი სომხებს დასანახად ვერ იტანდა, რის შედეგსაც ის მოიმკის. განსხვავებით ქართველებისგან, რომელთაც ქართველთმოძულე და მთელი ერის დამაწყევარი ეგზარქოსი პავლე აქედან უვნებელი გაუშვეს, სომხებმა ძალიან მწარედ დაამახსოვრეს თავი გოლიცინს. თუმცა, ამაზე შემდგომში ვისაუბრებთ. იმას მოგახსენებდით, სუფრის თამადა ველიჩკო იყო მეთქი. ის მარკოვიც ალბათ ველიჩკოს მეგობარია, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩათვალა სომხის ინტელიგენციამ.

ეს ველიჩკო 1896 წლიდან რედაქტორობდა რუსულ ოფიციალურ გაზეთ „კავკაზს". მან იქ ქართველი ჩერქეზიშვილი შეცვალა. სანამ „კავკაზის" რედაქტორი ქართველი იყო, მას სომხების წინააღმდეგ არ გაულაშქრია, ამ რუსის პოეტმა კი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოუცხადა მთელ სომეხ ერს. გოლიცინი – მთავარმართებელი და ველიჩკო – რედაქტორი ამ მხრივ სრულ თანხმობაში იყვნენ ერთმანეთთან.

გ.თუმანიშვილს საქალაქო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით კარგა ხანია პოლემიკა ჰქონდათ ილიასთან, მაგრამ ამ ნადიმზე ახლადგამოქვეყნებული „ქვათა ღაღადის" ავტორისა და ველიჩკოს ერთად ყოფნამ გაამწარა თუმანიშვილი და იგი სტუმრებს იმდენად არ ერჩოდა, რამდენადაც მასპინძლებს. ძირითადად, ველიჩკოსადმი სომხების ზიზღი იყო მიზეზი იმ პოლემიკისა, რაც თუმანიშვილმა წამოიწყო. თუმცა წერილში ამაზე არაფერია ნათქვამი და თუ აისბერგის ქვედა მხარეს არ გაითვალისწინებ, მართლაც ძალიან სასაცილოდ გამოიყურება მისი გაგულისება. გინდათ თუ არა, ქართველებმა რუსი მნერალი რატომ დაპატიჟეთ სუფრაზეო.

●

უნდა ითქვას, რომ ველიჩკო ვის დავალებასაც ასრულებდა, ამას ქართველებიც მშვენივრად ხვდებოდნენ. ილიამ კარგად იცოდა ქართველთათვის მართლა გულშემატკივარი იყო ის თუ

ძალადმაცხონე ქომაგი. ეს კარგად ჩანს ერთი მემუარისტის ჩანაწერიდან. ილიას სასტიკად არ სიამოვნებდა როცა ეს კაცი საგურამოში ჩააკითხავდა ხოლმეო. გ.ლასხიშვილი იგონებს, ძველი თაობის მოღვაწენი გვეტყოდნენ ხოლმე, ვიცით ვინც არის, მაგრამ სჯობია ისევ ჩვენად გამოვიყენოთ, ვიდრე მტრად ვაქციოთო. ახალგაზრდებს კი სასტიკად არ მოსწონდათ ველიჩკოს თუნდაც სომხების წინააღმდეგ გალაშქრება. გრძნობდნენ, იგი ორი ერის გადასაკიდებლად იღვწოდა და სომხებს ველიჩკოსგან სწორედ გიორგი ლასხიშვილი და მისი თანამოაზრენი იცავდნენ. ამ ნიადაგზე მათ პოლემიკაც ჰქონდათ, რაც შაირობაშიც გადაიზარდა. ველიჩკოს ლასხიშვილისთვის ექსპრომტად დაუწერია:

„Полу-парун, полу-батоно Лали,
Кого учить вы пожелали?"

ამის საპასუხოდ შემდგომ წერილში ლასხიშვილსაც, რომელიც „ლალის" ფსევდონიმით წერდა, მისთვის ტლანქი ექსპრომტი უძღვნია:

„Полу-поет, полу-жандарм,
Как только встречу, в зубы дам"

ცხადია, ეს ექსპრომტი ცენზურამ ამოიღო, მაგრამ ადრესატისთვის ავტორს ფოსტით მაინც გაუგზავნია. შეშინებული ველიჩკო დავით სარაჯიშვილთან მივარდნილა. (დავითი ყველასთან მეგობრობდა).

დავით სარაჯიშვილს ლასხიშვილისთვის საყვედური მიუცია ამ ექსპრომტის გამო და ლასხიშვილიც შეწუხებული იგონებს, ცოტა უხეშად მომივიღაო.

გოლიცინის წასვლისთანავე, ეს ველიჩკო „კავკაზიდან" გადაყენებულ იქნა და რუსეთში ნავიდა. აი, იქ კი ასეთი რამ დაწერა: „ნოვოე ვრემია"-ში დაბეჭდილ ერთ წერილში ჯერ ლანძღავდა სომხებს: „ანგარების ხალხია, ებრაელების მსგავსი, არ დასანდობი, ფლიდი, გარყვნილი და სხვა. მერე ჩვენზე წერდა: ქართველები რაინდი ხალხია, ერთგული რუსეთისა, პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, რუსებმა, ვერ გავიგეთ ამ ხალხის სულიერი თვისებები და მიდრეკილება და დავლუპეთ: ეს ხალხი მეომარი ხალხია, ომის დროს ის მაღლდება, ხოლო მშვიდობიანობის დროს სულით ეცემა; ევროპული კულტურა და ცივილიზაცია მავნებელია ამ ერისთვის; იმისათ-

ვის საჭიროა სამხედრო სკოლა, სამხედრო სამსახური, იმგვარი სამხედრო ცხოვრება, როგორც კაზაკებს აქვთ. გიმნაზია და უნივერსიტეტი ამ ხალხისთვის გამოსადეგი არ არის."

სხვათა შორის, აკაკი იყო პირველი ვინც ამ რუსის ორმაგ თამაშს მიხვდა და სწორედ 1899 წელს ასეთი ლექსი უძღვნა:

ყიზილბაშური

თვალი დაუდგეს ქართველ კაცს
ველიჩკოს მოტრფიალესა!
ვერ ჰხედავს მის დასაკლავად
რომ მან მახვილი გალესა?
სომხებს რომ უყეფს იმავ დროს
კუდს უქიცინებს ქართველსა,
მაგრამ ორივეს თანსწორად
ანთხევს საწამლავ-ნაღველსა.
ცბიერს-სომეხიც, ქართველიც
სკვითურ ფეხებზე ჰკიდია!
ამისი მუცლის ტკივილი
სხვაგვარი „გზა და ხიდია"
ჰფიქრობს: დრო არის მკვიდრებმა
აქედან გაიმინდვრონო
და იმათ ნამოსახლარზე
მოსულნი დაემკვიდრონო!
ტკბილად იმღერის, როდესაც
გვიჭედავს ბორკილ-რკინებსა
და ქვეშ-ქვეშურად მხარს აძლევს
იანოვსკ – ბუტირკინებსა.
მაგრამ გულწრფელი ქართველი
განა მიხვდება ამასა?
როცა არ ჰტორავს, დათვსაც კი
ეძახის „კეთილ მამასა!"

ამ ლექსის პირველი სტრიქონი, თუმც უსამართლოდ, მაგრამ ილიას ბაღში ნასროლი კენჭიც იყო. აკაკი ნაწყენია ილიაზე, ვინაიდან „ივერიამ" „მოამბიდან" აკაკის საწინააღმდეგო წერილი გადმობეჭდა კიტა აბაშიძისა. ნაწყენი კია, მაგრამ ისეთ ტაქტიან წერილს მისწერს, ესეც ნიმუშად დარჩება იმისა თუ ორმა დიდმა ადამიანმა თუნდაც წყენა როგორ უნდა გამოხატონ ერთურთის მიმართ.

●

ჟამთა კრიალოსანზე ჩაიმარცვლა ეს 1899 წელიც. ჩაიმარცვლა კიდევ ერთი საუკუნე. მთელი 18 საუკუნე არ იყო კაცობრიობისთვის ისე ნაყოფიერი, როგორც ეს ერთი მე-19. მას ილია წერილით „მეცხრამეტე საუკუნე" ემშვიდობება ისე, როგორც სულიერს, როგორც ახლობელს, ერთგვარი სინანულითაც კი,რადგან იცის, რომ კაცობრიობის რჩეულთა შორის ეს ეპოქა მანაც შექმნა. ეს ასწლეული მისი იყო. ამ ასწლეულმა ადრე მოურჩენელი ავადმყოფობა ადამიანისა მოარჩინა. ამ საუკუნემ მსოფლიო დააპატარავა თავისი ტელეგრაფით, ფოსტით, უფრო სწრაფი გადაადგილების საშუალებებით. ამ საუკუნემ ადამიანთა თანასწორობა იქადაგა. ამ საუკუნემ ძალადობას მეტ-ნაკლებად აღვირი ამოსდო. მაგრამ მოვუსმინოთ კვლავ ილიას: „ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს."

დღემდე ეს ოცნებად დარჩა.

წერილს „XIX საუკუნე „ ილია წერდა 1899 წლის 31 დეკემბერს.

ყველაზე დიდი ქართველი, როგორც ერთ დროს ყვარლის სანახებს, ახლა უკვე თავის საუკუნეს ემშვიდობება. რატომაც არა, იცის საკუთარი თავის ფასი და იცის, რომ ამ დარბაისელ „მეცხრამეტეს" ვეღარავინ ახსენებს საქართველოში ისე, მის გონებაში უპირველესად ილიას სახელმა რომ არ გაიელვოს.

დიახ, საუკუნე იყო მისი.

ღამეა.

31 დეკემბერი.

კედლის მძიმე საათი ჩამოჰკრავს კიდევ ერთ ზარს და გრძელი ჟამი წარსულად იქცევა.

რას გვიქადის ჟამი ახალი?

პირველი ნაწილის დასასრული

სარჩევი

ნაცვლად პროლოგისა 5

შესავალი 6

თავი I

ილიას წუთისოფელი

1837 წელი 11
1838 წელი 16
1839 წელი 23
1840 წელი 27
1841 წელი 32
1842 წელი 40
1843 წელი 45
1844 წელი 48
1845 წელი 52
1846 წელი 58
1847 წელი 63
1848 წელი 67
1849 წელი 73
1850 წელი 78
1851 წელი 82
1852 წელი 89
1853 წელი 94
1854 წელი 98
1855 წელი 102
1856 წელი 107
1857 წელი 111
1858 წელი 114
1859 წელი 119
1860 წელი 125
1861 წელი 130
1862 წელი 137
1863 წელი 144
1864 წელი 152

1865 წელი	
1866 წელი	160
1867 წელი	165
1868 წელი	171
1869 წელი	175
1870 წელი	179
1871 წელი	186
1872 წელი	194
1873 წელი	206
1874 წელი	219
1875 წელი	231
1876 წელი	241
1877 წელი	249
1878 წელი	257
1879 წელი	265
1880 წელი	273
1881 წელი	281
1882 წელი	292
1883 წელი	305
1884 წელი	317
1885 წელი	330
1886 წელი	342
1887 წელი	352
1888 წელი	367
1889 წელი	379
1890 წელი	391
1891 წელი	402
1892 წელი	412
1893 წელი	426
1894 წელი	436
1895 წელი	452
1896 წელი	466
1897 წელი	487
1898 წელი	511
1899 წელი	530
	545

ISBN 978-9941-9183-0-8
ISBN 978-9941-9183-1-5 (ტომი-I)

მადლობას ვწირავ ჩემს აზერბაიჯანელ მეგობარს
მამედ ახმედოვს პირველი ტომის გამოცემაში ფინანსური
მხარდაჭერისათვის

ნოდარ გრიგალაშვილი

თანამდევი სული

(ილია და მისი ეპოქა)

რედაქტორი
ივანე ამირხანაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნინო მაისურაძე, ლალი გაგრატიონი,
ლალი ლორია, ზურა მაჩაბელი

დამკაბადონებელი
გიორგი მაისურაძე

გამომცემლობა
„ახალი საქართველო"
თბილისი
2011 წ